

ცითელუფარებთ ყველა ძიუენისა შეიბილით!
საქართველოს
საბჭოთაობის

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერ-
ლუძის კავშირის ყოვლთვიური სალიტე-
რატურთ სასულთენთ და საბთგადობრივ
საპლიცივთ ქერნალი

5-6

წლიწადი მესხრე



სახელგაბი

1932



3/შგ. რედაქტორი: გიორგი შუკუშაშვილი

რედაქციის წევრები: ივ. ვაშაშვიძე

ს. ფული

ზ. კალიანი

სიმ. ჩიქოვანი

პ. ჩხიკვაძე

ბიბ. ტაბიძე

ბალ. ტაბიძე

რედაქცია-მდივანი:

ლევ. ასათიანი

პოლიგრაფტრესტის 1-ლი
სტამბა

შტ. № 1704. ტირ. 8500.

მათელიტ. № 1407.

რედაქციის მისამართი: თფილისი, მანაბლის ქ. № 13
ეგნ. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასახლე, ტელ. № 1-65
კანტორის მისამართი: თფილისი, რუსთაველის გამ. № 22, პერიოდსექტორი.

ს ვ ა ნ უ რ ი მ თ თ ს რ თ ბ ე მ ბ ი

1. ლაშხეთის ბატონი

ლაშხის ბატონი დევლეთ ყიფიანი მთებში გარბოდა. რვა ერთგულ ყმა თან მიჰყვებოდა.

მთებში სიჩუმე იყო. ისმოდა მხოლოდ ცხენების ხენწეა და ბილიკიდან უფსკრულში დაგორებულ ქვების ხრიალი.

მრავალჯერ შეხვედრია დევლეთს გაქცევა, როცა მეზობელი მთავარი მტრად შემოსულა. თვეობით უბრძოლია ბალყარელთა, მეგრელების, რაჭის ერისთავთა გასადევნათ. თუ ხმაღში დამარცხებულა, საბატონო ხარკით დაუსხნია, მაგრამ არასოდეს უგრძნია თავი ასე დამარცხებულათ, არასოდეს ჰქონია იმდენი ბრახი, რამდენიც ახლა. შემოსეული მტერი სხვავა, მაგრამ სულ სხვავა ბატონზე ამდგარი ყმა, რომელიც გაქვევასაც კი გაიძულებს.

რა უცრად მოხდა ყველაფერი! ჯერ კიდევ გუშინ ძლიერი იყო. მტერს არ ელოდა, შინაურთა ურჩობას ვერც იფიქრებდა. რა უნდა ყოფილიყო მიზეზი? ის, რომ რამდენიმე დღის წინად სოფლებიდან მოგზავნილი ყმები დასაჯა? განა პირველად დაუსჯია ყმა?

უკანასკნელი იმედით, რომ განაპირა სოფელი, როგორც არაერთხელ, წარსულში, ახლაც შეიფარებდა და უერთგულებდა, გაქცეული ბატონი მიაჩქარებდა პატარა აფხაზურ ულაყს. მალე დაინახა კიდევ კლდეებს მიკრული სახლები და მაღალი თეთრი კოშკები. რვა თავგანწირულ მხლებელით დევლეთმა ცხენი სოფელში შეაგდო. მაგრამ აქ, სადაც ხსნას ელოდა, მეტი განსაცდელი შეხვდა.

საიმედო სოფელი ბატონს მტრული კივინით მიეგება. მოსახვევში, სადაც ორღობეს გადიოდნენ, კლდიდან უცრად მოსწყდა ლოდები და ზათქით დაეშვა. ერთი ლოდი ბოლო ცხენოსანს მოხვდა. როცა მოგლეჯილ მიწის მტვერი გაიფანტა, გზაზე დახვევებულ ქვებში დარჩა გასრესილი ცხენი დაკაცი. დევლეთმა და გადარჩენილმა მხლებლებმა მაშინ გაუშვეს ცხენები, შეიჭრენ პირველსავე კოშკში და რკინის კარით გადაჰკეტეს.

ახლა მათ დამშვიდებით ყოფნა შეეძლოთ. გარედან ესმოდათ მრისხანე ხმები, ასროლილ ისრების ზრიალი, კარს ურტყამდენ შუბებს, მაგრამ ქვის უზარმაზარი კოშკი საიმედო იყო.

იმისმიხედვით, თუ როგორ იზრდებოდა ყაყანი, დევლეთი გრძობდა, რომ კოშკის გარშემო ხალხი თანდათან მრავლდებოდა. მალე სანჯურის ხმაც მოესმა. სანჯური ლაშხეთის სოფლებს ეძახდა.

ლამით, როცა ხმაურმა იმატა, დევლეთი აცოცდა ზევით და სარკმელიდან გადაიხედა. კოშკის ერთ მხარეს ცეცხლი ენთო. ცეცხლს უსხდნენ შუბებით და ისრებით შეიარაღებული სვანები.

ხატში ლამის თევას ვაედა, რაც დევლეთმა დაინახა. შეეძლო ეფიქრა, რომ დღესასწაულზე მოსული მშვიდი სვანები იყვნენ. თითქო არაფერი იყო საჭირო იმის მეტი, რომ ჩაკეტილი კარი, რკინის იმედიანი კარი, გაეღო და გარედ შეხედებოდნენ ძველებურად მორჩილი ყმები.

დიდხანს უცქირა ცეცხლს, მთავრით დანათებულ სოფელს, მთების მკერდზე გაწოლილ ნისლებს, ნისლს ზევით მოვერცხლილ მწვერვალებს. ხედავდა საყვარელ ლაშხეთს, კოშკს იქით გასუდრულს, მაგრამ ახლა მხოლოდ ბრაზი იყო გულში.

ჩამოვიდა დაბლა, როცა შუალამე გადავიდა. ურჩია მასთან შეფარებულ ყმებს დაწოლილიყვნენ, ბალიშით ჩოხა დაიკეცა და თითონაც მიწვა.

ზაფხულის ღამე რატომღაც გრძელი იყო. ფიქრი არ აძინებდა და კიდევ უფრო წყურვილი. არც ყმებს ძინავდათ. კოშკის სიბნელეში ესმოდა დევლეთს, როგორ ლოკავდნენ ისინი გრილ ქვას და გრძობდა, რომ წყურვილი მათაც აწვალებდა.

კოშკის გარშემო პატარა მინდორზე მეორე დღეს დევლეთმა ისევ ხალხი დაინახა. დაბინდებისას ისევ აინთო ცეცხლი და ხმაური გაძლიერდა. მესამე დღეს კი მინდორი, ფერდობი, ახლო ეზოები და სოფლის გზა მამაკაცებით, ქალებით და ბავშვებით აივსო. აღამიანის ხმაურს დაუნაგრებულ ცხენების ქიხინი ერთეოდა. ღამით მრავალ ადგილას გაჩაღდა ცეცხლი. აღის შექმე პრიალბდა ამართული შუბები.

დილიდან საშინელი წყურვილი აწვალებდა კოშკში ჩაკეტილთ. სამი დღეა წყალი არ დაეღიათ. შვიდ მოუსვენარ ყმას უყურებდა დევლეთი და გრძობდა, რომ წამებას დიდხანს ვერ გაუძლებდნენ. გრძობდა ამას და შიშობდა. ბოლოს-დაბოლოს ესენიც ყმებია, იმათი სისხლი აქვთ, ვინც გარედ ურჩობს. ბრძოლაში ევაკაცები არიან, მაგრამ ასეთ მახინჯ სიკვდილისათვის თავს ვერ გასწირავენ და ზესაძლვა კარიც გაუღონ მათ, ვინც შიმშილითა და წყურვილით სიკვდილს ემუქრებათ.

მეოთხე დილას, როცა წყურვილი წამებათ იქცა, დასქრეს ჩოხები და შალი დაგრძეს. დევლეთმა ყმებში აირჩია ყველაზე სანდო, დაავალა ეთქვა აჯანყებულ ლაშხეთლებისთვის, რომ ყველას აპატიებს გაუგონარ ურჩობას, თუ ახლავე მშვიდათ დაუბრუნდებიან თავიანთ სოფლებს და ზევით აუშვა.

ახალგაზრდა სვანი მარდათ აცოცდა ბანზე, გრეხილის ერთი ნაპირი ლოდს მიამაგრა და მიწისკენ დაეშვა.

შუა კოშკს გაუტოლდა გაბედული ყმა, როცა აზრიალდა ხალხი. იმავე წუთში ჟამჩაფი ისარი დააყარეს კედელს. უეცრად სვანმა ხელი უშვა გრეხილს

და მოწყვეტით დავარდა მიწაზე ისრებით დაცხრილული, ის უკვე კვდარი
 ეგღო.

ამის შემდეგ ვერაფერს ვაბედა კოშკის თავზე გამოჩენაც და ექვსმა მხლე-
 ბელმა დევლეთს შეფიცა მასთან ერთად სიკვდილი.

ფიცმა დევლეთი ვერ გაამხნევა. გამხნეების მაგიერ თითქო გასტეხა
 კიდევ.

პირველად თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში ამ დღეს დევლეთი აღერსიანი
 იყო. ეს საოცარი ცვლილება მრისხანე გაუცინარ ბატონში უცხად შენიშნეს
 ყმებმა და მხოლოდ მაშინ იგრძენეს, რომ ამ კოშკში ცოცხლათვე დაისამა-
 რეს თავი.

დაჯერებული თავის დიდებაში, დევლეთი არავის იტოლებდა, აღერსის
 სიტყვა არავისთვის უღირსია, გულცივი მიუკარები, მაგრამ მოქცევაში ზედმე-
 ტად ზრდილი, ამით ის უფრო აშინებდა კაცს, ვიდრე სხვა რომელიმე მთავარ-
 ი წყრომითა და მუქარით. ლაშხეთის ბატონი მხიარული არავის ენახა, მაგრამ
 მწუხარებაც არასოდეს დამჩნევია. კოშკში ჩაკეტილი გრძნობდა, რომ აქ ასრუ-
 ლებდა თავის სიცოცხლეს და თან მიჰქონდა მრავალი ათეული წელიწადი
 მოუსვენარი ცხოვრებისა, სავსესი შურისძიებით, სისხლით. ახლაც როცა შე-
 საძლოა უკანასკნელად ჩავიდა მზე დევლეთს არ ქონია სინანული რომ მისთვის
 ზვალ აღარ გათენდებოდა. იკრდა ისიც, რომ მისიკვდილს არავინ დაიტირებ-
 და. როცა პირველი ცოლისგან მეორე ქალი შეეძინა, ბავში ჩვეულების თანახ-
 მად გაგულდეს ხოლო ცოლი უკან მიჰგვარა მშობლებს. მეორე ცოლი რომელსაც
 შვილი არ შექენია, სამი წლის შემდეგ მოკვდა. მაგრამ არავის გაუგია რისგან და
 როგორ ამის შემდეგ მართო დარჩენილ დევლეთმა ეკლესიები შეამკო ვერცხ-
 ლითა და სხვა სამკაულით, ამრავლა კოშკები და თავისი პატარა სამთავრო,
 ისედაც შეუვალი, ორბის მიუკარებ ბუდეთ აქცია.

იმ წუთიდან, როცა ფიქრი შეურიგდა სიკვდილს აჯანყებულ ყმებისაგან
 დაიწყო ბრძოლა იმ საშინელ წამებასთან, რომელსაც წყურვილი იწვევდა.

კოშკის გარშემო შეგროვილ ხალხის ღრიალში და მთებში დარწმუნულ ქა-
 რის ხმაში დევლეთს ესმოდა კიდევ ჩქერალის ხმაური. ყინულით მოქედილ
 მთიდან ფირუზის წმინდა ჩქერალი ჩამოარბოდა. ყველა ის, ვინც მთაში თავი-
 სუფალი იყო, მის ცივ წყალს ხარბად სვამდა. ჯიხვების ჯოგი წყალით გამაძ-
 ღარი, ისევ მწვერვლებს უბრუნდებოდა რამდენიმე დღის წინად—რა კარგად
 ახსოვს ეს დევლეთს!—გამოცდილ მონადირეთა თანხლებით მთებში ნადირობ-
 და. დაბინდებისას ნანადირევი ჯიხვი და არჩეი დაახვავეს, შესარულეს მონადი-
 რეთა ყველა წესი, დალს შესაწირავი მიართვეს, ღამე გამოქვაბულში
 გაითენეს და როცა დილით დაბრუნდნენ, შუაგზიდან სანყურის ხმებით აცნობეს
 სოფელს, რომ გამარჯვებული ბრუნდებოდნენ. ახლა კი იგივე სანყური სამტროდ
 უბმობს ხალხს და აჯანყებულ ყმებს კოშკისკენ მიერეკება...

ღამით დევლეთმა მოხსნა დარაჯი სარკმელს, ექვსი ერთგული ყმა დაბლა დასტო-
 ვა, თითონ კი კოშკის ბანზე ავიდა.

მთვარის სინათლეზე შორიდან სჩანდა თეთრი მწვერვალები. ურიცხვი, ურიცხვი
 თეთრი მწვერვალი. კოშკის გარშემო მინდორზე და ფერდობზე მრავალ ადგილას

ცეცხლი ენთო. მიწაზე მომთხნილი სევანები კათხებით არაყს სვამდენ და მლე-
როდენ. მიწაზე ეყარა შუბები და შეილდისრები. ასეთი ღრეობა ლაშხეთში
არაერთი ახსოვთ, როცა ბრძოლიდან უხვი ნადავლით დაბრუნებულან.

—სევანებო! გადმოსძახა დევლეთმა.

ათასი თვალი კოშკისკენ მიბრუნდა. სიჩუმე, საოცარი სიჩუმე, ჩამოვარდა
უეცრად. მაღალი და ხველი, თეთრი წვერით, მხარზე გადმოფენილ ფაფანაკით
იკვნეს ვინც იყო.

ალის შუქზე დევლეთმა დაინახა როგორ აიშართა დევისტანადი სვანი და
იცნო შემდეგ ხმით, როცა სიჩუმეში მეხივით გაისმა.

—სიკვდილი დევლეთს!

ეს იყო მეზობელი შუახნის სვანი რომელთანაც მრავლჯერ ულაშქრია და
ბრძოლაში იმედათ ყოლია.

ერთის მუქარას სხვა არაეინ აპყოლია. ჯერ ვაუბედავით, მერე უფრო თამამად
წამოდგა ხალხი და იარაღასხმული კოშკისკენ გაიქცა.

—სიკვდილი! მეორედ გაისმა იგივე მივრალი ხმა.

ჰერში ისარი ავარდა. პირველს მოყვა მეორე, მესამე.

თითქო ისრების ზრიალით გამოფხიზლებული. ამართული შუბებით ხალხი
სალტეთ შემოერთყა კოშკს და ათასმა ხმამ ერთბაშად იღრიალა.

—სიკვდილი დევლეთს! სიკვდილი!

დევლეთმა მოსძებნა თვალთ მაღალი სვანი, მომართა ხელში ხანჯალი
და ესროლა. მხარში მოხვედრილმა სატევარმა სვანი ჩაკეცა. მაშინ დევლეთმა,
რომელსაც ისრები ყოველწუთს სიკვდილით ემუქრებოდენ, პიჯვარი სწრაფად
გადაისახა, ჩახედა მუქარათ ამართულ წვეტიან შუბებს და გადახტა.

ტანი შუბებზე წამოგებული დატოვეს ცისკრამდე სანამ ღრეობას გაა-
თავებდენ.

2. მურზაყან

თუ მოხუც მურზაყანის სიცოცხლეს კიდევ ჰქონდა რაიმე აზრი, ეს იმიტომ რომ შვილიშვილი ყასბულათი ისეთივე ვაჟაკი ეზრდებოდა, როგორც იყო მისი მამა ბეჭირბი.

წარსულში მისი გვარი, ხორგიანი, მომრავლებული იყო. მაგრამ ზოგი ზევმა იმსხვრებლა, ზოგი ნადირობაში დაიღუპა და უფრო მეტი შეიწირა სისხლის ალებამ, რომელიც გირგვიანებთან ბრძოლაში ას წელიწადზე მეტი ემართათ ერთმანეთის ხან პირველსა და ხან მეორე გვარს. უკანასკნელად სისხლის საქმემ შეიწირა ბეჭირბი და მის შემდეგ ხორგიანებში დარჩა მხოლოდ მურზაყანი და ათი წლის ყასბულათი.

შვილის სიკვდილმა მოსტება ისედაც მოხუცი მურზაყანი. სიცოცხლის დარჩენილ დღეებს ის სასოწარკვეთით უცქერდა. ზედმეტ მწუხარებათ კიდევ ის ჰქონდა, რომ უღონო ველარ შესძლებდა სისხლის ალებას და შვილის სულის დამშვიდებას.

მართალია, ყასბულათი იზრდება, მაგრამ ხომ შეიძლება ის აღარ გამოდგეს გვარის ვალის ამღებთ? ახალი დრო დადგა. ყასბულათს ალბად ახალ ყალიბზე აღზდიან და ჩააგონებენ, რომ სისხლის ალება დანაშაულია. ფიქრი წორზედაც ახლა ზედმეტია—მოხუცი მურზაყანი, მარტოდ მყოფი, მოკლებული ნათესავ ვაჟაკებს ვილასთვის არის ანგარიშ გასაწევი!

მურზაყანმა ყველაფერზე ხელი ჩააქნია. მაგრამ ერთხელ, როცა შემთხვევით დახედა ყასბულათს, რომელსაც სახლის წინ მიწაზე გაშოლტილს ეძინა, მოხუცმა უეცრად შენიშნა ყმაწვილში ნათესაური თვისებები მისი მამის, იცნო ბეჭირბის განიერი მკერდი და ღონიერი მკლავი.

დიდხანს უცქირა მძინარე შვილიშვილს. შემდეგ დაიხარა და აკოცა.

ყასბულათს გაეღვიძა. სწრაფად წამოდგა. შეხედა მურზაყანს ორბის ძლიერი თვალებით. მოხუცი შვილიშვილს უსიტყვოთ გადაეხვია.

ამ დღიდან მურზაყანი გამხნვედა. ხალისი მიეცა. შეხაროდა ყველაფერს და ყველაზე მეტად ყასბულათს.

ბეჭირბის სიკვდილის შემდეგ კედელზე უქმად დაკიდებული თოფი მურზაყანმა ჩამოხსნა, გაწმინდა, დაჰკოცნა და ყასბულათს გადასცა. მოხუც ასვანმა ასწავლა შვილიშვილს თოფისადმი პატივისცემა, ნადირობის წესები, წაიყვანა არჩევბზე სანადიროთ და ჩააგონა, რომ ამიერიდან ის ვაჟაკი არის.

ლამით კი, როცა კერიას უსხდენ მუზაყანი, მისი ბებერი ცოლი ჩიყვიანი ჯამურგანი, ბეჭირბის ქერივი და ყასბულათი, მოხუცი სვანი შვილიშვილს უამბობდა ბეჭირბის ვაშკაცობაზე რა ლაჩრულად მოჰკლეს ის გირვეფინებში და რა წამებას განიცდის მოკლულის სული, სანამ სისხლი აულღებდნენ.

როცა დედაკაცები დაიძინებდნენ, მურზაყანი და ყასბულათი კიდევ დიდხანს იჯდნენ ცეცხლის პირად და მრავალჯერ თქმული ისევ მრავალჯერ მეორედებოდა. ყასბულათი ყოველთვის მღუმარედ და თავდახრილი უსმენდა.

იზრდებოდა ყასბულათი განიერ მხარბეჭიანი, ღონიერმკლავებიანი, მაგრამ ყველაზე უფრო იზრდებოდა მასში შურისძიების სურვილი. და რაც მეტად გრძნობდა ამას მურზაყანი, მით უფრო აღვივებდა ყრმის გულში სიძულვილს მორპირდაპირე გვარისადმი.

გაზაფხულის ერთ საღამოს ყასბულათი კერიას პირად ჩვეულებრივად ვერ ჩამოჯდა. სტკიოდა თავი. ტანი უცახცახებდა. საწოლმა მიიზიდა. ჩაწვა.

მეორე დღით ველარ ადგი ყასბულათი. მურზაყანმა დააყარა რაც შინ სათბური მოიძებნებოდა. როცა ვერც ამით გაათბო, დათვის ქურჭი დაახურა.

იწვა ავადმყოფი შესამე დღესაც. ღამით კი ბოღვა იწყო. ჯერ აყოლილის ეგონათ, შემდეგ უემურს და გამოულოცეს. მეოთხე დღეს საზე და ტანი წითელი კოპლემით აყვავილდა. მაშინ მიხედნენ, რომ ყვავილ-ბატონები იყო. შელოცვას თავი დაანებეს. ბატონების გულს შელოცვა ღმობიერს ვერ გახდის. ბატონებს უყვარს გართობა, ხალისი; სიშლრა.

— კარი გაუღეთ! წაგიდეს! სულს მიხუთავს! — ბორგავდა ავადმყოფი.

მეზობელ ეზოებში აფორიაქდნენ. მეზობლები სასწრაფოდ იხიზნებოდნენ.

მოხუცებს ახსოვდათ, რომ ერთხელ ყვავილ-ბატონები ერთ ოჯახიდან მეორეში გადაბანდა, შემდეგ შესამეში, ბოლოს მთელ უბანს მოედვა. ვერაფრით მოალბეს მისი მრისხანება და იმ წელიწადს მრავალი კვდარი გაიტანეს.

ახალგაზრდებმა თავიანთ ოჯახებში ავადმყოფებიც კი მიატოვეს, მთებს შეაფარეს თავი, მაგრამ ბატონებმა იქაც გასდინათ და მთიდან მრავალი აღარ დაბრუნებულა.

რამდენიმე წლის შემდეგ მონადირეებმა ნახეს მათი ჩონჩხები და იცნეს კვდები ზოგი ქუდიოთ, ზოგი იარაღით.

მურზაყანმა კედლიდან ჩამოხსნა ბეჭირბის სიკედილის შემდეგ დადუმებული ქიანური. გულს არ ემღერებოდა, მაგრამ ბატონების გასართობათ ყველა მივიწყებული სიმღერა გაიხსენა. სიმები უფრო მალე ეშვებოდა, ქიანური უფრო აღრე იღლებოდა, ვიდრე მურზაყანი.

დაამღერა რაც იცოდა მრავალჯერ ვი-მეორა და ახალიც გამოიგონა.

ართობდა მურზაყანი ბატონებს, მაგრამ სჩანდა ბატონები არ იყო კმაყოფილი.

— გაუღეთ! გაუშვით! — ბორგავდა ავადმყოფი.

ერთხელ, როცა ყასბულათმა შალიანის ძელიქეშმარიტი ახსენა, მოხუცმა სვანმა ბოღვა ნიშნად მიიღო და იმავე დღეს ხატს შესაწირავი მიაართვა.

ბატონები არც ამის შემდეგ დაამდა.

შიგნით, ჩონჩხი, სასპოლიათის ტანში ბატონები საიოდა. ვარიღან კი მორ-

რია აიკოონ ანთორის ანთორი. სააფის ანთორი. დარ ინი ნაორიტი.

შორიღან ჩაბი უნაბი. შორიღან ჩაბი უნაბი.

შორიღან ჩაბი უნაბი. შორიღან ჩაბი უნაბი.

შორიღან ჩაბი უნაბი. შორიღან ჩაბი უნაბი.

შორიღან ჩაბი უნაბი. შორიღან ჩაბი უნაბი.

შორიღან ჩაბი უნაბი. შორიღან ჩაბი უნაბი.

იშოვა მურზაყანმა შაქრის ნატეხი. მიართვა ბატონებს. ქალებში სუფრა გარეცხეს, სუფთა პირსახოცით დაფარეს, დააწყვეს ხილი, არაყი, თავლი. დაუნთეს წმინდა სანთელი. ბატონებს მიართვეს.

გარედან ქოხის კედლები ყვავდა, შიგნით ყასბულათი ყვავდა, ბატონების სუფრაზე სანთელი არ ჩამქაალა და მოხუც სევანს კიანური არ შეუწყვეტია. მაგრამ მეცხრე დღეს სანთელი დადნა, ყასბულათის თვალებიც ჩაქრა და მურზაყანმა სიმღერა ტირილზე შეცვალა.

ყასბულათის სიკვდილის შემდეგ მურზაყანი განადარდა. ქალების მოთქმის ვერ იტანდა. ქოხში დასაძინებლად თუ შევიდოდა. შეილის და შეილიშვილის საფლავზე ხშირად დადიოდა. შესჩიოდა მათ თავის უღონობას. ახ, როგორ იტანჯება ორივეს სული, სისხლალღებელი ისინი ვერასოდეს დამშვიდდებიან, და ეს იმიტომ, რომ მურზაყანი მოხუცია, თვალი სწორი აღარა აქვს და ხელში ღონე, რომ თოფი მოიმარჯვოს.

ერთხელ, როცა მურზაყანი ეკლესიიდან ბრუნდებოდა, ბილიკზე გელა გირგვიანი შეხვდა. გელა გვარში სანაქებო ვაყვაცია. ყასბულათს რომ დასკოროდა, საბედისწერო შეხვედრა აღბად გელასთან ექნებოდა.

ვიწრო ბილიკზე შეხვდენ ერთმანეთს. გელამ გზა მისცა და დამშვიდებით აუარა. მურზაყანმა წუთით მოიხედა, ხარბი თვალით გაზომა გელას განიერი ზურგი.

— ვაყვაცი ხარ!— შესძახა მურზაყანმა— მხოლოდ შენი სისხლი დაამშვიდებს ბეჭირბის!

ორივემ თოფი გადმოიღო. ორივეს თოფმა დასჭექა. გელა კვდარი დაეკარდა.

დაკოცნა მურზაყანმა თოფი და ეკლესიისკენ გაიქრა.

— გისისხლე!— დასჭყვივლა შეილის საფლავს— გისისხლე, ბეჭირბი! მურზაყანმა ყველას უამბო, რომ სისხლი აიღო. არც სასამართლოს დაუფარა. პირიქით, დაწვრილებით სთქვა როგორ მოკლა გირგვიანი.

— ბეჭირბის მკლელივით ლაჩარი არ ვარ. შევხვდით და შეეებრძოლეთ. ცოდვა იყო ვაყვაცი, მაგრამ რა უნდა მექნა!

მაგრამ მოკლულის კირისუფლები, ნათესავეები და მეზობლები მურზაყანს დამნაშავედ არ ცნობდენ, ისინი ამბობდენ— გელას მკლელი მურზაყანი არ არის, გელას მკლელი გაქცეულია და მურზაყანმა ტყუილად ოდვა ბრალი.

— ცრუობენ!— ყვიროდა მურზაყანი— მე მოვკალ, მე ვისისხლე!

მოკლულის კირისუფლები და გვარისკაცები აქე სჯიდენ: ციხე მოელის მურზაყანს, თუ მკლელია დაუმტკიცდა. ციხეს მოხუცი ვერ აიტანს და იქ მოკვდება. ვისგან აიღონ შემდეგ სისხლი, როცა ხორგიანთა გვარში მამაკაცი აღარ რჩება? რითღა შეასრულონ თავისი მოვალეობა მოკლულის წინაშე? როგორ ატაროს გვარმა სისხლალღებელის სამარცხვინო სახელი?

— ცრუობენ სუფრან!— ბატონო! — მურზაყანმა— ხატო შეეხვედით. მე

ჯამურგანმაც იცრუა. მოსამართლეთ უთხრა, რომ იმ დღეს მურზაყანი სახლიდან არ გასულა. ჯამურგანს მოხუცი ქმარი ეცოდებოდა, ციხეში ჩასაკეტად არ ემეტებოდა.

მურზაყანის თვალები ბრაზით აინთო.

— ხალხს ჰკითხეთ! თემი იტყვის!

მაგრამ არავან გამოესარჩლა. ზოგი გელას სისხლზე ზრუნავდა, ზოგს ციხეში მოხუცის სიკვდილი ენანებოდა. ყველა უარს იყო მურზაყანი მკვლელად ეცნო.

— მურტალი ხარ, ხალხო!— გიყვებოდა მურზაყანი— რად მარცხენთ ქვეყანაში? სიმართლეს რათ ფარავთ? ნამუსი რამ აგხადათ? გელა მე მოგვალ! ვინ მხდის ლაჩრად ვის უნდა ჩემი შერცხვენა? აღებულ სისხლს რად მართმევთ? შფოთავდა მურზაყანი. ევედრებოდა მსაჯულთ დამნაშავეთ ეცნოთ. აშინებდა ტყუილს მთქელთ შალიანის ძელიქეშმარიტით, კვირიკეს ძლიერებით.

როცა მოსამართლენი განაჩენის გამოსატანათ წავიდნენ, მურზაყანი უფრო აბორგდა. ხელდებოდა, სტიროდა, წვერს იგლეჯდა. რა ქნას, თუ უდანაშაულოდ იცნეს? როგორ დათმოს სისხლი?!

სასამართლომ მურზაყანი დამნაშავეთ სცნო.

მოხუცის თვალები სიხარულით აინთო. ამაყად გახედა ხალხს, იბრუნა სახე გელესიისაკენ და გადასძახა:

— ბეჭირბი, მშვიდად იყოს შენი სული!

მეორე დღეს მურზაყანმა, როცა ქალაქისკენ მიჰყავდათ, მოიხბო ცოლი, შოუალერსა თვალცრემლიან დედაბერს და გაამხნევა:

— მზიარულება გმართებს, ჯამურგან! არც ისე უბედური ვყოფილვარ... შიპატიებია გუშინ რომ იცრუე. რეგვინი ხარ, ბევრი არ მოგეთხოვება. განსოვდეს, როცა მოგვდეს, სული აქეთ გამოიხმე. ბარში არ დასტოვო!

ისრიმი ანტოლოგია და ბეჭდონი

ხმა პოეტების დამტკრეულად ისმის,
იგი ქარიშხალში
თითქოს იფანტება.
უფრო ადვილია ისრიმის
და პირველ იის ფერით ანთება.
არა ვართ ებოჭის
ჩვენ მხოლოდ მზღებელი.
ნუ თუ უძღურია კალამი ჩვენი?
სად არის პოეტი — გამომგონებელი,
ვინც გაუტოლდება, სიმღერით ლენინს?
რომელი გაფრენილი
ლექსი დაეწევა
სტალინის — ბელადის მოკვეთილ მძლეობას?
გვმართებს ქარხნებში და
ყანებში შესევა —
თავი დავაღწიოთ ოთახის უღლეობას.
სჩქებს შემოქმედება
ირგვლივ გასაკვირი.
თავის გამარჯვებას ზეიმობს მშრომელი.
არ კმარა აქ მხოლოდ
ჩვეული საყვირი: —
გზა დავგმოთ ნაცადი და შეუცდომელი.
ჩვენ რევოლიუციას
ნუ ვაქცევთ ხელობად,
იყოს იგი ჩვენთვის
ღიადი მიზანი.
გაჩაღდეს ჩვენ შორის
მეტი დამკვრელობა,
კარგია მშრომელთა რიგებში მსვლელობა,
ვიყოთ ახალ გმირის,
შრომის გულთმისანი.
ყოველი კოლექტივი,



ქარხანა ყოველი
 არის დაუწერელ
 ლექსის სტრიქონები.
 მაგრამ შთავგონების
 „მუხას“ ნუ მოველით:
 ჩვენ თვითონ ავენთოთ
 გრძობით და გონებით.
 მხოლოდ ნუ იქნება
 შტამპი, ბანალობა
 გაგჰედოთ სტრიქონი ნამდვილად გმირული.
 რაღა საჭიროა პოეტის წიგნები
 და მისი გალობა,
 თუ შიგ არ იქნება ბრძოლა ჩაკირული.
 ამას გვავალევენ
 გმირთა სახელები.
 ტყვილად ხალტურინი ხომ არ დალუპულა!
 გრგვინავს ნენაფეი მიწიდან გახელებით,
 სდგას ეელიაბოვი
 ხელმწიფის მკვლელებით,
 სჩანს პეროვსკაია უწმინდეს სუმბულად!
 ლექსებს დაეუფლა
 მუშების ნაბიჯი,
 და სიტყვა ვარვარებს
 სასტიკი ბრძოლებით,
 სიტყვა აზნაურთა მიერ დანაბეკი
 ისევე აზნაურდა
 ცუცხლის ათრთოლებით.
 მრდის ოქტომბერი!
 წუთი დღევანდელი!
 ათას გიგანტების ზღაპრული აგება.
 შრომა ამწვერვალდა
 ისე ვით კანდელი,
 ისხმება ახალი ყოფის ქანდაკება.
 დღეს ყველა ქუჩები
 არის გადათხრილი,
 და თითქოს ქუჩებში
 ყველგან სანგრებიან.
 დავლევოთ ლექსების მსუბუქი მარხილი,
 რითმები უფსკრულში
 გათავარდებთან.
 წყევალთო — მარხია
 ქველი აღსაფრთხილი.

თარგმანიდან



ჩვენ სიტყვა დაედლოთ
 ეპოქის ყალიბით.
 მშრომელთა გმირობა და ამხანაგობა
 ლექსში ახმაურდეს
 ახალ ბრწყინვალეობით.
 მწყობრი სტრიქონები
 და ანტოლოგია—
 ეს არის სიმშვიდე,
 ეს არის წარსული.
 ხავსიან ფორმების ჩვენს ირგვლივ ჯოგია.
 იყოს ძველ ხავსიდან
 ქვეყანა გაძარცვული.
 ახლა საბჭოებში
 იზრდება ქაბუჯი—
 მას ძველი სამყარო
 არ ეცოდინება.
 მაგრამ ბლომად არის მტერი დასაბუჯი.
 შორიდან გაისმის
 მუქარა, გინება.
 აფმართოთ ლექსები ისე ვით თოფები,
 იყოს პოეზია—
 ციხე და ჯებირი.
 ფეთქდეს ჩვენი სიტყვა
 მკვეთრი აღშფოთებით,
 იყოს უშიშარი,
 ლალი და მზეპირი.
 თრთოლვა ფოლადისა და ძლიერ ბეტონის,
 ყოველი ჩაქუჩის
 დარტყმა ულმობელი,
 არის პოეტისთვის მომცემი ტონის,
 ლექსთა ქედვისათვის მზმობელი.
 ხმა შესაბამების
 ისმის დაფარული,—
 ის სადღაც უფსკრულში
 ჩაფლული მადანია.
 იქნეს დედამიწა ჩვენგან დაბარული,
 ბევრი საგანძური გამოსატანია!

და როცა ეპოქის
 თაროლ სიმს დაიბჰირთ,
 „თორბეტნი“ ეს მინი
 ნლოცა გაიგონა,—

მაშინ ჩვენს ძიებას
 ყველა დაიჯერებთ,
 როცა დაფიცლებით
 მომავლის მუსიკის
 ფრთაშესხმულ სტრიქონად.



ყვენ რევოლუციის
 დაფრჩხებით მგოსნები
 არა ისე როგორც
 თანამედროვენი;
 დაფრჩხებით მთელი ხმით
 და მთელი ოცნებით,
 ვით „გმირულ სიმფონიის“
 ავტორი—ბეთხოვენი.



ცხენთსანთა ლაშქრული

ჯარის სასიმღეროთ.

მტერი აწუბებს გაუბიცებს,
მტერი არ ისვენებს.
ჩვენც ვაჟაკურ გული გვიცემს,
შემოვახტეთ ცხენებს.

კრული იყოს თავის ნებით
ვინც დატოვოს ველი.
ვაგრიალოთ შაშხანები
სიმამაცის მგვრელი.

თუ გვიქადის ძვლები კალოს
განწირული მტრის ხმა,—
ჯობს პირის პირ ითქრიალოს
ვერაგების სისხლმა.

სად სროლის დროს მთა-და-ბარად
დასკდებიან ხენიც
ხმალი გვეავდეს მეგობარად,
ამხანაგად—ცხენი.

ირგვლივ ბული და ბურია,
გაზია და ნისლი.
მტერს ლახვარი თუ წყურია,—
ჩვენც მზათავართ რისხვით.



თუ ყუმბარით გაგვიბზარეს
 რესპუბლიკის მიწა,—
 მივეშველოთ წითელ ჯარებს,
 წინ დავიძრათ იმ წამს...

მტერი აწყობს გაუბიცებს,
 მტერი არ ისვენებს.
 ჩვენც ვაჟაკურ გული გვიცემს,
 შემოვებტეთ ცხენებს.

იუსტიციის სამსახურში

საქართველოს სახელმწიფო

საქართველოს სახელმწიფო
 სამსახურის სამსახურში
 საქართველოს სახელმწიფო
 სამსახურის სამსახურში

საქართველოს სახელმწიფო
 სამსახურის სამსახურში
 საქართველოს სახელმწიფო
 სამსახურის სამსახურში

საქართველოს სახელმწიფო
 სამსახურის სამსახურში
 საქართველოს სახელმწიფო
 სამსახურის სამსახურში

საქართველოს სახელმწიფო
 სამსახურის სამსახურში
 საქართველოს სახელმწიფო
 სამსახურის სამსახურში

საქართველოს სახელმწიფო
 სამსახურის სამსახურში
 საქართველოს სახელმწიფო
 სამსახურის სამსახურში

ფრიდონ ნაროუშვილი

ქართული
საბავშვო ჟურნალი

მ რ ი უ ლ ა კ ი ა

მე-18, 19 ხაუჯნე.

პოემა

დაადგა ფეხი ქედს კავკასიის
ტან შებვეულმა შუბით რუსულით.
გაკრიალებულ მთამ ალმასივით—
იგრძნო ნაბიჯი ქუსლ-დალურსმულის.
ყრუ ჩონჩხიანი სივრცე კლდოვანი
შეღებულ იქნა სისხლით რუსების,
ძირს, კიდევ ძირს ტან ნისლოვანი
იდგა ველური მთის კონუსები.
სდუმდა ვოლკოვი—მეფის მგოსანი.
სდუმდა ველური სივრცეში მთები.
ვოლკოვს ეხურა ქუდი—ფრთოსანი
ორთავიანი არწივის ფრთებით.

ველურ თერგივით კლდეებს შეება
თავგანწირული რუსთა ლეგიონი.
იდგა მგოსანი და ტან ვეება
მის ფეხთ ქვეშ იყო კავკასიონი.
მან ნიადაგი თვითონ მონაბა
მარად გაყინულ და თოვლიანი;
მან ქანდაკება არწივ-მონარხის
დადგა მყინვარზე ორთავიანი.
მეფის მგოსანი და ოფიცერი
წარმოიდგენდა თავს იალბუზად;
კავკასიონის მდიდარი ფერი
ხიბლავდა მდუმარ ვოლკოვის მუზას.
იტყოდა: რა არ ჩაუდენია
თავდადებულებს რუსის ერისა,
როგორც ვოლკოვის მგოსნურ გენიას
და ბოროტებას ოფიცერისა.



თხზავდა: დალესტანს დანთებულ ომებს
 გადანაგრიგალს ცხენების ტორით;
 კავკასიონის მრავალფერ ტომებს
 როგორ ეფულა იმპერატორი.
 სახელ განთქმული რუსი მწერალი
 პუშკინისებურ თხზავდა პოემას:
 როგორ ახვევდა მთას გენერალი
 ახალ წესებს და გარემოებას...
 მთების ჩანჩქერი მქუხარ-ხმიანი
 ყინულის ხიდქვეშ თვალთაგან ქრება.
 ყმაწვილურ თვალებს კლდე ჩონჩხიანი
 ეჩვენებოდა ირმების რქებად.
 ვოლკოვს: მონარხის გვირგვინით შეკრულ
 კლდეები ორთავ არწივის ფრთებად,
 და გენერლები ჩინებით შემკულ
 მხრებ ჯინჯილიან თვით მყრობელ მთებად.

იდგა ვოლკოვი, და კავკასიის
 კლდეები იყო ნისლჩაყურსული.
 მარად კრიალა მთა აღმასივით
 გრძობდა ნაბიჯებს ქუსლ დაღურსმულის.

„ძევს კავკასია ჩემ ფეხთ ქვეშ, ვდგავარ
 მე მარტოთ ვოლკოვ კლდის განაპირად.
 არწივი მოქრის სულ მალლა მალლა
 სივრცეს მოაპობს ჩემს პირდაპირად.
 აქედან ვხედავ, სად ჩანჩქერები
 წყაროთა სახით იბადებიან.
 მრისხანე ღრუბლებს შევაჩერდები
 ჩემ ფეხთ ქვეშ როგორ იფანტებიან.
 ნისლი მდუმარეთ მიიზღაზნება.
 ნისლებში ბლავის ჩანჩქერის დენი.
 ჩანჩქერი ველურ კლდეებს ასკდება.
 ქუხან ტალღები და სდუმან კლდენი.
 ძირს, კიდევ ძირს, ხავერდოვანი
 მთის მდინარენი ტყეებ შუა რბიან.
 ძევს კავკასია სივრცე კლდოვანი
 სადაც ირმები უშიშრად ხტიან
 ძევს კავკასია... დგანან კლდეებად
 დგანან სარდლები რუსის, მთებურად,
 და კავკასია ვით ტყვე ვეება
 შებოჭილია, დადუმებულა...“



და მხოლოდ სევდა დაგუბებულა.
 დაბერებულან ვეება ხენი,
 ნაძირალეზზე ამოდის ნერგი.
 და უდარდელად ქრებიან დღენი.
 და უდარდელად თამაშობს თერგი.
 მჭუხარე ველურ. მდულარე ველურ,
 მარად ლოდებში და მარად ბეცი,
 ვიწრო კლდეებში თერგი რბის გველურ
 ვით ახალგაზრდა მრისხანე მხეცი.“

ვოლკოვი შუბლით ნაოკშეკრული
 იდგა მდუმარედ შტოებ ქვეშ ნაძვის.
 ვოლკოვის ლექსი იყო შეთხზული
 „Кавказ“-ისადმი ქარბი მიბაძვით.
 თუმც გიპოტეზაც ასეთი თქმულა,
 რის დამტკიცებას რალაც უშლიდა:
 როგორც გენიამ სახელგანთქმულმა
 ვოლკოვს წაბაძა თითქოს პუშკინმა.

სისხლით შეუღებიათ
 ხმალი ოქროს ტარისა,
 კლდეებს შედღუღებია
 მზარე დაღესტანისა.
 ცეცხლში იწვის აული
 ისმის გლოვა ქალისა,
 კლდეებს კვამლი ჩაუვლის
 გატანილი ქარისა.
 იწვის, ცეცხლი ედება
 აულს როგორც გენია
 ვოლკოვს როგორც ოფიცერს
 ესეც ჩაუდენია.
 ცეცხლში იწვის აული
 ლელავს ფერი ალისა.
 ლექს კისერში გაუვლის
 ხმალი გენერალისა.

იყო „ერენბურგ“ ხმალ სისხლიანი,
 თოვლივით თეთრი მისი მერანი
 იყო მდუმარე მთა ნისლიანი
 და დაღესტანის მზარე ვერანი
 იყო მოშვებულ ცხენის ლაგამი.
 თეთრი მერანი სდუმდა ბრძენივით.

საქართველოს
 პარლამენტის
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

57899 6124



თოვლის ფერ ცხენზე მჯდარი სარდალი
დამწვინებულ იყო ცხენივით.



ვოლკოვი როგორც რუსთ ოფიცერი
მგონსურ ტალანტით ღრმა და მდიდარი...
ერენბურგის ხმალს უწერდა ოდებს
უზენაესი სამეფო მუზა.

დალესტანის ლეწა ზურგი
რუსულ ჩექმამ ერენბურგის
იყო მუზა, გზა მწერალის—
მუზა მეფის გენერალის.
იყო მეფის შხამით სველი
როგორც მუზა ისე ხმალი.
იყო ლეკის სისხლის მსმელი
ვოლკოვიც და გენერალი.

რაა დალესტანის ძველი ადამი
რაა ველურის ცეკვა სიმღერა,
რაა ვანწირულ სისხლით სალდათის
კლდენი და კლდენი თუ შეიღება.
წამოდგა ვოლკოვ დაიწყო ლექსი
რომანტიული დეკლამაციით:
„უნდა მოისპოს ნასახიც ფესვის
გარდა რუსეთის, ყოველ ნაციის“.

„როგორც თერგის მარად დენა
მარადია რუსის ენა,
ლეკის ენა საძაგელი
შხამიანი როგორც გველი
უძღური და ძაღლის ლეკვი
იკბინება როგორც ლეკი...
როგორც თერგის მარად დენა
მარადია რუსის ენა“.

დალესტანის ბჭე და ზურგი
მეფის ჩექმამ გაამრუდა.
ვოლკოვი და ერენბურგი
მეგობრები იყვნენ მუდამ.
პოეტი და გენერალი
ერთობოდენ მოგონებით:
როგორ გააუბედურეს
ლეკის ცელქი გოგონები.



„მოუტანეს“ ლეკის ქალი
 რუს გენერალს სალდათებმა,
 გაიტარა გულს ხანჯალი
 ქალმა ნამუს განათელმა.
 და ვოლკოვიც არ ყოფილა
 სხვაზე ნაკლებ ტანადობით
 მანაც დაიკმაყოფილა
 ეინი ქალზე ძალადობით.

ოფიცერმა შემდეგ ამის
 ყალბი ლექსი შეთხზა ღამით:
 „უყვარდა ლეკის ქალს
 რუსი ოფიცერი,
 სიკვდილამდე ლეკის ქალს
 სურდა ოფიცერი.

„შავ დალაღებს უარდა
 ლეკი ლერწამ ტანისა,
 ოფიცერსაც უყვარდა
 ქალი დაღესტანისა.

„მშობელი დედა, სხვაც მისიანი
 სძულდა, აღარ სჭიროდა,
 ცა იყო ლაევარდ თუ ნისლიანი
 ქალი მდულარ ტიროდა.

„შეერთა ლეკის ლაევარდი
 ღრმა და იისფერი,
 როცა ცხენით ნაევარდი
 ნახა ოფიცერის.

„სიხარული ჩაუჭრა
 სიხარული ვერანი,
 ოფიცერი გაუჭრა
 თოვლის ფერი მერანით.

„ლაევარდ თვალეზ დახუჭული
 გადაევარდა მდინარეში,
 და შეთევზემ დაიჭირა
 წყლით გაბერილ განალეში“.

სიყალბეა ნამდვილი
 შეთხზა არწივ ფრთოსანმა,
 ქალს აგლიჯა მანდილი
 ძალით თვითონ მგოსანმა.



მოუტანეს ლეკის ქალი
ოფიცერსაც სალდათებმა,
და მდინარეს მოკრა თვალი
ქალმა ნამუს განათელმა.

ტანჯაედა ლეკის ქალს
რუსი ოფიცერი.
სიკვდილამდი ლეკის ქალს
სძულდა ოფიცერი.

იგი თვალეზ დახუჭული
გადაფარდა მდინარეში
და მეთევზემ დაიჭირა
წყლით გაბერილ განალეში.

ქვითინებდა მშობელი
კრემლებ არ დაშრობილი.
ასე შეთხზა ვოლკოვმა
ლექსი კეთილ შობილი.

შაირების მომღერალი
ქვითინს ველარ ანელებს.
ვოლკოვი თუ გენერალი
სძულდათ დალესტანელებს.

იყო სალამო მზეს მთა ეფარა,
იყო ცა სუფთა კავკასიონის
ჩამოდრიოდა მალლით ცხვრის ფარა
ამოდრიოდა ფოსტალიონი.
გადმოიარა ფეხით და სადათ
მანძილი დიდი კლდიან მთიანი.
ფოსტალიონმა გადასცა სალდათს
პაკეტი სქელი და ლუჭიანი.
მობრუნდა, არყით ტან შენახურებ...
შესდგა და უცებ გასწორდა ბოძად,—
„დენიკმა“—პირად მოსამსახურემ
პაკეტი პოეტ ვოლკოვს უბოძა.
მაშინ კავკასურ პოემებს თბზაედა
ღრუბლებში იყო პოეტი ზენა,
მაინც გენიის ქმნილებას გავდა
თერგისებური პოემის დენა.
ვოლკოვს შეეტყო ღიმილი ნელად,



აღბად მეფულე სიყვარულს უთელის
ის კითხულობდა, მოულოდნელად
შეიკრა სახის ყოველი კუნთი.

წერდა ერთგული მას მოურავი
მგოსნის გულისთქმა მან კარგად იცის,
ბატონს აცნობა ამბავი ავი
დაშორებულმა შორეულ სივრცით:
„ნდობით ახჭურვილ თუმც გეგულებით
მაგრამ ყმა მხეცზე უფროა ავი,
ველარც მათრახით, ვერც ერთგულებით
ველარც მუქარით და ველარც ზავით
რიგისამებრ ვერ დავიმორჩილე
ვერც რისხვით, ენით ტკბილ მოუბარჩა...“

გისურვეთ მეფურ ჯვარებს და ჩინებს
თქვენი ყრუ მონა და მოურავი.

„დე თქვენმა რისხვამ წალეკოს გლოვით
ურჩი ყმა,—ასე წერდა ვოლკოვი,—
ყმას მემამულე როდის არ სძულდა,
მაგრამ იყო და იქნება მუდამ
მეფე ლეთაებრივ მუზით შემკული
როზგი და როზგი, და როზგით მუდამ
ყმა მიწას გათხრის კუნთებ შეკრული.
ყმა თუ გაშეცდა მხეცზეა უნდო.
გადაეკრებათ, ფერი საწყალის.
როზგი და როზგი მათ ისე უნდა
როგორც ჰაერი, პური და წყალი.
დიდი რუსეთი უძლეველ მარად
უამრავ ქვეყნებს გარშემო იკრფეს.
და ბალახს ყმები—ჯოგი თუ ფარა
ძოვს ორთავიან არწივის ჩრდილ ქვეშ.“

ათეულ წლობით იბრძოდა ხანი
სისხლი ემართა თუ მტრობა სჭირდა,
ქართველ გენერლის ელვარე ხმალიც
ლეკების თავებს კრიდა და კრიდა,
ბოლოს და ბოლოს მიუვალი კლდე
გადაილახა ჯარებზე ჯარით.
მკვდრებით აავსო ხევი ყელამდე
და გენერალმა მიიღო ჯვარი.



ბოლოს და ბოლოს დაეცა ხანი.
 დალუბა ხანი დროთა დენამა,
 და გენერალმაც ჩააგო ხმალი,
 ხმალი, რომელიც სისხლით ენამა.
 ჯარებზე უწყვეტ ჯარები მოდის
 კვლავ ლეგიონებს სდევს ლეგიონი...
 როგორც ყრუ მუნჯი და როგორც ლოდი
 სდუმს დაპყრობილი კავკასიონი.
 მდინარეების ყოველ ბოგირით
 მთებით, ფერდებით და კიდეც ბარით
 ნადირისაგან დამრთხალ ჯოგივით
 მოძრაობს ყველგან რუსების ჯარი.
 დაპყრობილია მხარე მთიანი,
 ქედის გამოღმა და ქედის გაღმა,
 მეფის არწივი ორ თავიანი
 ფრთებ სისხლიანი მოფრინავს შალლა.
 ყუფენ ძაღლები და მხოლოდ ყუფენ
 ტომები უყფეს. ძალღურად ტომებს
 მოდის—ლაშქარი და, რუსის მეფე
 ბოლოს და ბოლოს ასრულებს ომებს.
 დასრულდა, შეწყდა ომი და ბუკი
 მთებს ებლაუქა რუსთ სიძლიერე
 მთელი სარდლობა და ერენბურგი
 დარაზმულ ჯარებს ათვალაიერებს.

მორბის მერანი და მარჯვე მუხლი
 დაფარულია რძიან მდელოში
 და რომანტიულ გენიის მწუხრით
 მოდის ვოლკოვი საქართველოში...
 დიდი რუსეთი უძლეველ მარად
 უამრავ ქვეყნებს გარშემო იკრებს
 და ბალახს ყმები, ჯოგი თუ ფარა
 ძოვს ორთავიან არწივის ჩრდილ ქვეშ.

ვოლკოვს ხიბლავდა თბილისის დილა,
 თბილისში იგი დარჩა დროებით,
 ნახა ბევრი რამ და მოიხიბლა
 ნოხით, ქალით, და აბანოებით.
 „რა წარმტაცი და სასახლოა
 ველურის ნიჭიც და ფანტაზიაც,
 რა ჯადოსნურად სპარსელ ხელოვანს.
 გადაუხატაეს ნოხზე აზია!“



აქვთ დარბაზობა ორბელიანებს
 დროს ატარებენ ქართულ ღვინითა,
 ნოხებით მორთულ სადარბაზოში
 მიდის დრო, მიდის, მიდის ლხინითა.
 რუსთაველისკენ ხელ ვაიშვირეს
 და წელ გამართულ გაჩაღდა ლხინი,
 შეზარხოშებულ თაყვანიშვილებს
 ეპყრათ ყანწები ავსებულ ღვინით.
 და ამღერებდენ ზარებს სიონის
 ზარებით გული ამოეფისათ.
 დამყრობელებმა კავკასიონის
 თქვეს სადღეგრძელო რუსის მეფისა:
 „ხელმწიფეე ჩვენო, ძლიერო ბრძენო
 ნიკოლოზ დიდო სულ გრძელებითა,
 მხედარნი შენნი ერთგულნი შენნი
 გადღეგრძელებენ მოწიწებითა“
 რაკი სალხინოთ ზოუსმენიათ
 როგორც სამეფო გიშნის ვალობა
 შემდეგ მდუმარე რუსის გენია
 აღიდა ქართულ ფეოდალობამ.
 შემდეგ წამოადგა საოქმელად ლექსის
 ვოლკოვ ქედმაღალ დე.ლამაციით:
 „უნდა მოისპოს ნასახიც ფესვის
 რუსეთის გარდა ყოველ ნაციის“.

„როგორც თერგის მარად დენა
 მარადია რუსის ენა...
 ლექის ენა საძაგელი,
 შხამიანი როგორც გველი,
 უძლური და ძალღის ლეკვი,
 იკბინება როგორც ლეკი...
 როგორც თერგის მარად დენა
 მარადია რუსის ენა“...
 უკრავენ ტაშს და მოუღბენიათ
 უძღვნიან ვოლკოვს მეფურ ვალობას;
 ასე მდუმარე რუსის გენია
 აღიდა ქართულ ფეოდალობამ.

დაეპატრონა რაც თვალმა ნახა
 ვოლკოვის ნიჭი და ფანტაზია:
 რო იმპერიამ დაალო ხახა
 და გადაყლაპა მთელი აზია.



ხმალით და ლექსით, ლექსით და ხმალით
 „ველურ“ კულტურას ძარღვი გაუჭრა...
 როგორც ბრმა წარღვნამ გააღო თვალი
 და კავკასიონის დაებლაუჭა.
 წვრილმან ერების ძეგლი აავო
 დაპურობით სივრცეს დააწვა რუსი,
 ერების მკერდში ხმალი ჩაავო—
 ლურსმებიანი დაადგა ქუსლი:
 კავკასიონის მდუმარე კლდენი
 მშობლიურ ნაყოფს ნუ მოისხამენ.
 და აამღერა ვოლკოვის ენით
 მან განაჩენი ძალზე მრისხანე...

ყოველი წელი მეომარს მოგავს,
 იბრძვის ეცემა, და ხდება ლეში,
 შემოდის დროის უწყეტი ვოლგა
 გრძელ ისტორიის ოკეანეში.
 ყოველ ლამეში და ყოველ დღეში
 იქუხებს სადმე წვიმს თუ იდარებს
 შემოდის ისიც ოკეანეში—
 ოკეანედან გამომდინარე...
 მოკვდა ვოლკოვი სიკვდილის მერმის
 დაეცა ასჯერ რიგ რიგად წელი,
 ვრცელ მოედანზე ბრინჯაოს ფერი
 დგას იმპერიის პოეტის ძეგლი
 ოდეს კავკასურ პოემებს თხზავდა
 როგორც ღრუბლებში პოეტი ზენა,
 მაინც გენიის ქმნილებას გავდა
 თერგისებური პოემის დენა.
 იყო „ერენბურგ“-დიდი სარდალი
 ქუხდა და გაქრა როგორც ნაცარი,
 რაა იმასთან რა შესადარი
 ვოლკოვის თუნდაც უბრალო პწკარი.
 თუმც მკერდს მიაკრეს შავი ვით ნეგრო
 ვოლკოვის ემალის ეპიტაფია:
 „აქ განისვენებს, ქვეშ ამა ძეგლის
 რუსი მწერალი ერიყლაპია“.

1932 წ.

[აპრილი.



ნ ა ბ ი ზ ი ბ ი

ცრილოზგია წიგნი პირველი

ქარიშხალის მოლოდინში *

ხ ა ბ ა რ დ ა!

გრიანებს სურების უღელტეხილი.

ლალუმების გრიალი საომარ განწყობილებას იწვევს მსმენელში. ორ კედელ შუა გამომწვევით აღეთქების ხმა გრგვინით ასკდება უღელტეხილის ვეება კედლებს, კედლებს ნაძვარ-ფიქვარით დაძაქულსა და დაფარულს. ასკდება და გრუხუნით მიეკანება დასავლეთისაკენ.

აღმოსავლეთით მთა საზღვრავს უღელტეხილს.

გრძელია უღელტეხილი, თითქო უბოლო და დაუსრულებელი.

ორი კედელი თვალუწვდენელი. კედელი კარჩხალებით ამოყორილი, ორწოხებით დაღარული და დასერილი.

სუფსა კიფილით ასკდება კარჩხალებს, სიპებსა და ხშირ ორწოხებს.

ყოველ მოხვეულში გადმოქუხს აქაფებული ვერცხლივით ქათქათა და მინასავით გამჭირვალე წყალვარდნილები.

სიპ კლდეზე შემდგარან ყაბალახიანი მუშები.

ბურღავენ მარცვებს ნაკვთიანი ბურღებით.

მეუროები ურტყამენ უროს.

შხად არის ხვრელები ლალუმებისთვის.

— ამფეთქებელნი!

— შხად არის?

მუშები მოშორებით გადადიან მორიგ სამუშაოზე, თან აფეთქების ალაგს ეფარებიან, თანაც ახალ სამუშაოს იწყებენ.

ჩქარობენ ამფეთქებელნი.

ხელში სანიშნოდ ანთებული ფითილი უჭირავთ.

ფითილით—ლალუმებსაც უკიდებენ ცეცხლს ასაფეთქებლად, თანაც თვალყურს ადევნებენ გაქცევის დროის მოახლოებას.

— შხად არის!

* იხ. „მნათობი“ № 1—2, 3—4.

ორმოცდაათი ლაღუმი ელოდება აგრიანებას.

შარა გზა დაცულია: დარაჯები უთვალთვალევენ.

კლდე ტყეს უერთდება.

კიდობანივით ამართულა კლდე, რომელიც უნდა აფეთქდეს.

ფითილი იწვის.

დენტის სუნი ფარავს არემარეს.

რა უნდა იყოს?—ეკითხება თავის თავს მახლობელ ტყეში გზადაბნეული უცხო მგზავრი, რომელსაც მიმართულება სწორედ კიდობანა კლდისაკენ უჭირავს. მგზავრი გზადაბნეულია.

დენტის სუნი საფრთხეს მოასწავებს.

მგზავრი ორქოფობს, აქეთ-იქით იყურება.

გაქცევა საბიფათოა.

ხმის ამოღება მით უარესი.

— რა უნდა იყოს?—კვლავ ეკითხება თავისთავს მგზავრი.

ამფეთქებელნი გარბიან კიდობანა კლდიდან.

უფროსი ამფეთქებელი დარჩა კლდის ძირას, უკანასკნელი ფითილი გააჩალა, იქაურობას თვალი მოავლო და: „ხაბარდა!“ დაიყვირა მან გამოზოგებით. მგზავრს ყურში ჩაეწვეთა გაფრთხილების ხმა, მიხედა გაფრთხილების მნიშვნელობასაც, მაგრამ... ჩიხში რომ მოემწყყდა უცხო მგზავრი!

აქეთ-იქით—ორწოხები, გაუვალი და ხავსმოკიდებული.

დაბლა კლდე. კლდე, რომელიც უნდა აფეთქდეს,

ჩაჩიხულია მგზავრი, საფრთხის წინაშე დანაშაულებული.

ერთად ერთი გზა ისევ აღმართია, საიდანაც ჩამოვიდა მგზავრი დაბლობში. დაიძალა კლდე ამფეთქებელთაგან.

უკანასკნელმა ამფეთქებელმაც კლდე ჩამოირბინა და ტყისკენ მიბრუნდა. ანთებულ ფითილს დააკვირდა. ფითილიდან ისევ ტყეს გადახედა და უცხო მგზავრი აჩრდილვით შეეფეთა გაფაციცებული ამფეთქებლის თვალებს.

— ვინ უნდა იყოს?

ფიჭრის დროც არ არის, ფითილი იწვის...

— ჰაბარდააა!—ეს ლა მოასწრო უკანასკნელმა ამფეთქებელმა და დაბლა დაეშვა.

დაიფრფლა ფითილი. ორი გოჯი-ლა დარჩა დასაწვავი, საფარამდე კი ოციოდე ნაბიჯია.

გარბის ამფეთქებელი და თვალწინ უცხო მგზავრის ლანდუ უტრიალებს. „რომ აქეთ გამოიქცეს? რომ აფეთქდეს არა... ხომ გაუაფრთხილე? შეუძლებელია!“

— ირაკლი, ჩქარა, ჩქარა!—ესმის მას ხმები ამხანაგების.

ირაკლი გარბის, საცაა საფარს მოეფარება, მაგრამ მგზავრი? მგზავრი ხომ...

— ჩქარა, ჩქარა!—ფეხების ბაკუნით აფრთხილებენ ირაკლის.

დაიფრფლა ფითილი.

— თვალი მოვკარი...

ირაკლი სულს ველარ იბრუნებს.

— მოდიოდა... შეეუძახე, მაგრამ...— შეუერთდა ფერწასული ირაკლი გა-
ხიზნულ მუშებს.

— ვინ მოდიოდა?!

— ჩვენები ხომ...

— ვილაც ნაბდიანი... შორს იყო, ვერ გავარჩიე.

— ნაბდიანი?

— ?!

— მალალი მომეჩვენა,— მოითქვა სული ირაკლიმ და ამხანაგებს დააკვირდა.

— მალალი?— გაოცდა ილიკო.

— ხაბარდა მეოქი, შეეუძახე. მგონი გაიგონა. თავი მალლა ასწია, მაგრამ
ფითილიც იწვოდა და...

— იწვოდა. გლაზაკი!— გაცხარდა ილიკო.

— გლაზაკი?!— ასწია თავი ფერწასულმა ირაკლიმ.

— აბა, არ შეგეტლო „ხაბარდა“-სთან ერთად „უკან გაიქციე“ დაგეყვირა.

— ვერ მოვიაზრე,— დამუნჯდა ირაკლი.

— ვინ იქნებოდა?!

— ვინც უნდა იყოს...

— ვერ მოვასწრებ, რომ...— წამოიძახა სევემ.

— გრ—რ. რ—რ!— იგრგვინა სევეს საპასუხოდ კიდობანა-კლდე.

— რ—რ—რ. რ—რ—რ!— მიჰყვა ზედიზედ დანარჩენები და კლდე გახლე-

ჩილ ვაშლივით გაცალკევდა.

წყალმა იჩხრიალა ახალ კალაპოტში.

ხათქით და ზავთით დაექანა მოხეტქილი ლოდები. ცაში ატყორცნილი
ქვის ნატეხები ბზრიალით წამოვიდა დედამიწისკენ.

ნისლით შეიკრა მახლობელი მიდამოები.

აქოთდა დამწვარი ღენთი.

— წავიდეთ.

— დაიცათ. ვგონებ კიდევ უნდა აფეთქდეს.

— არა, ყველა აფეთქ...

— გრ—რ—რ. რ—რ!— იგრიალა უკანასკნელმა ლალუმებმა.

— არ ვარგა! ერთბაშად უნდა აფეთქებულიყო. რას იტყვიან ინგლისე-
ლები?!

აწუწუნდა ირაკლი.

— ერთი შენც!

რაც უნდათ ისა თქვან.— წამოიძახა ილიკომ,— მე სხვა რამე უფრო მა-
ფიქრებს.

— რალას ვუშველით, თუ...

— შევლა კი შეიძლებოდა, რომ...— ილიკომ ზიზლით გადახედა ირაკლი
გვარამაძეს და ფითილის გორგალი მკლავზე წამოიცივა.

— თუ პირობები ხელს არ მიწყობდა?!

— დაჩუმდი! პირობები.. შენ მუდამ პირობები გაკერია ენაზე. გლაზაკო!

— ილიკო რად იცი ხოლმე ასე ახირება?! ლანძღვას რას მემართლები?!

— ცხვირს იქითაც უნდა იხედებოდე. საკუთარ თავს გარდა სხვისი—დანახვაც უნდა შეგეძლოს...

შარაზე გამოინდა შერვაშიძე და ინგლისელი ინჟინერი. *პანჭულიაშვილი*

— ყოჩაღ, ბიჭებო!— შორიდანვე მოუწონა მუშებს შერვაშიძემ და გაორღეული კლდისაკენ ხელი გაიშვირა.

— როგორც ჩანს, გაქრა დაწუნებულმა წამალმა. რას იტყვით?

— კარგად იმუშავა. თუმცა წამალი დაბალი ლირსებისაა.

— ცხოველი რომ იყოს... გვასახელებდა.— დასძინა გვარამამემ.

— ორმაგად იხმარეთ. რა გენაღვლებათ!

— ნაღველი გაშოროსთ, მაგრამ...

— ჰო, ინგლისს წამალი არ გამოეღვევა.— შენიშნა შერვაშიძემ.

— ნორმა?!

— ნორმა უნდა გაგვიდიდოს.— დაუმატა ვილაძემ.

— შერვაშიძემ თავი მოიფხანა.

— არა, ეცადეთ საქმეც კარგად გააკეთოთ და სარგებელიც ნახოთ.

— საიდან ვისარგებლებთ, გეტყვი მე!..

— რას იტყვი, ხოსია, რა გაწუხებს?— მიუბრუნდა ქიშვარდი ახალგაზრდა წვერმოშვებულ ვაჟკაცს ხოსია ტრაპაიძეს.

— რაღა არ გააწუხებს, გეტყვი მე, როცა ასე მცირე ხელფასს ვიღებთ და თოფის წამალს გამოზუსტულს; ჰაკვით გამორწყული წამალი, გეტყვი მე, სად გაგონილა?!

— მართალია „გეტყვი მე“—გაექომაგენ ხოსიას ზოგიერთები..

— „გეტყვი მე“!.—დასცინეს ხუმრობით აქეთ-იქიდან.

— იცინე, გეტყვი მე, იცინე, ვნახავ რას წაუღებ ცოლშვილს თვის ბოლოს.

— რას წაუღებს და...

— ხუმბრობა იქით იყოს,— ჩაერია სატუბარში ათისთავი ილიკო— წამლის ნორმა მეტად მცირეა. ქიშვარდი, თქვენ უნდა იზრუნოთ ამის შესახებ.

— მეტის მოფხოვნაც არ შეიძლება, მართლა და ვაქრობა ხომ არ უნდა დავიწყოთ ამ თოფის წამლის?—წინწინ გამოექამაგა რწმუნებულს ირაკლი გვარამამემ.

მუშებმა წყენით გადახედეს გვარამამეს, აქა-იქ ნიშანდობლავად ჩაახველეს და მასიური აღშფოთება მუნჯურად აღნიშნეს.

— რა არ შეიძლება?—პირდაპირ შეება გვარამამეს ილიკო,—არ შეიძლება, რომ ვიღაც ოხერ ინგლისელ კაპიტალისტს მისივე საჭიროებისათვის, მდინარის გასაწმენდი კლდეების ასაფეთქებლად თოფის წამლის ნორმის გადიდება მოეთხოვოთ?! არ შეიძლება, რომ ხელფასის სიმცირეზე მოველაპარაკოთ?

ქიშვარდიმ და გვარამამემ ერთმანეთს გადახედეს.

— რაც შესაძლებელი იყო ჩვენ უკვე მოვითხოვეთ.—დასძინა გვარამამემ.

— არა, მე კიდევ ვეცდები, ხოსია ჩემო, ვეცდები ნორმა გავადიდებინო,— მობრუნდა ხოსიას შერვაშიძე, თითქოს აქ მარტო ხოსია მოითხოვდა დენტის ნორმის გადიდებას და არა ყველა მუშა მთლიანად.

ქიშვარდიმ გვერდი აუქცია ამფეთქებლებს და ინგლისელ ინჟინერს, რომელიც იქვე მახლობლად ბრეჯზე შემდგარი, ბინოკლით ტყის ფასადს იყურებდა, მოწიწებით მკლავზე ხელი ჩამოკრა და აფეთქებულ კონიშნა.

— ისეთი ბიჭები შევეურჩიე თქვენს სამუშაოს, რომ უნამუსო კაცი ვიყო, თუ ხუთი მანეთი ცოტა არ იყოს მაგათთვის დღიურად.

— შართალია შართალია! ვეცდები ყველაფერი დაწვრილებით აუხსნა სერ ჯონ ელიოტს: იქნებ მოუმატოს კიდევ. — დაუმოწმა რწმუნებულს ინჟინერმა.

— დიდად დამავალდებ, სერ, დიდათ დამავალდებ! სხვა არა იყოს რა, ამას თქვენი ინტერესებიც მოითხოვს, სამუშაო ჩქარა დასრულდება და გაზაფხულზე ტივების პირველ კარავანს გავგზავნი ინგლისისაკენ.

ინჟინერი და ქიშვარდი ახალ სამუშაოებს წაადგენ თავზე: ბურღზე მომუშავენი დაათვალიერეს.

წლებზე რომ ფეხი დაიდგა წყლის კალაპოტის გაწმენდა მაინც არ მოხერხდება, — ფიქრობს შერვაშიძე, — რკინის გზას ინგლისელი იორქშირა აქ არ გამოიყვანს, გზატკეცილი არ გამოდგება...

ქიშვარდი ოცნებაში გაეხვიდა.

«ვხვეტავ და ვხვეტამ ამ სტერლინგებს, სანამ ინგლისურ სალაროზე ხელი მიმიწვდება, შემდეგ კი... — ქიშვარდიმ უღვაშებში გაიღიმა. — შემდეგ... ვინ იცის?! სურების საკონცესიო ხე-ტყის პატრონი: სერ შერვაშიძე... ქიშვარდი შერვაშიძე... სერ კიშ! ha-c! ყველაფერი მოსალოდნელია.

ინჟინერი კარავს მიუახლოვდა. ქიშვარდიმ გვერდი აუქცია ინგლისელ სპეციალისტს და შარას აედევნა წყლის სათავეს მიმართულებით.

— წაიგრძელებს ენას! — აუტყდენ ირაკლის ამხანაგები, როცა შერვაშიძე და ინჟინერი თვალდან მოეფარნენ. — სალახანა!

— ცოტა ზრდილობიანად ილაპარაკეთ, ამხანაგებო!

— წადი შენი ამხანაგის...

— ლაქია!

— ქვემძრომი!

— წრის სხდომაზე მოველაპარაკებთ.

— კარგია, ამხანაგებო! — მიუბრუნდა მუშებს ილიკო ტოროტაძე — ჩვენ შევეცდებით ირაკლის ღირსეული პასუხი მოვთხოვოთ სადაც ჯერ არს, აქ კი... წავიდეთ ახლა სამუშაოზე.

— პასუხი?! ხალხი ჩემსკენ იქნება ყოველთვის, ამხანაგო ილიკო! ჩემს აზრს მსა დაიცავს ყოველთვის.

— შენ ასე გგონია?

— კომიტეტში ხომ დარწმუნდით...

— აგერ ბურთი და მოედანიც, ენახოთ!

— ენახოთ!

— შეუძლებელის მოთხოვნა უაზროა და შეუძლებელიც! რომ მიიტოვოს კონცესია და გაიტყეს ეს ინგლისელი, ხომ სრულიად უმუშევრად დავრჩებით ამდენი ხალხი?!



- რაო?
- „შვიდი დღე კვირაში!“ აბა, როგორ გგონიათ, თუ კი ხელს არ შეუწყობთ მაგ ვილაც ოხერ ინგლისელს, ადგება და მოუსვამს მოუსვამს.
- მოუსვას, თუ მოუსვამს.
- მერე, შენ რა? დარჩები უმეშვეარი და გათავდა!
- აბა, არ გვჭონია საშველი უკაპიტალისტოდ.
- გვიან შეგიტყვია! ბათუმში რომ როტშვილდისა და ნობელის ქარხნები არ მუშაობდეს, სად შეინახავდენ თავს იგი შენი მეზობლები, დღეს რომ დიანალის შარვლით და შაგრენის წულა-მესტებიან დადიან გამოიბიწკუნნი.
- აუუ, ჩემო ძმაო! უკივლეს მუშებმა გვარამაძეს.
- ეს არის შენი პროგრამა?!
- წრის სხდომაზე მოვილაპარაკოთ სალამოს, აშხანაგებო!
- მოვილაპარაკოთ, მოვილაპარაკოთ!

მოულოდნელი შეხვედრა

ლალუმების გრიალმა შესძრა არე-მარე.

სუფსას ქუ ილივით აედევნა დამაყრუებელი ხმაურობა.

ტყე შეზანხარდა. ქუხილი იქცა ორმაგ ქუხილად და დაძაძულ ნაძვნარზე შენარცხებულ ბაერის ტალღები გრუზუნით აედევნა უღელტეხილს.

ჩიხში მომწყვედელი უცხო მგზავრი შეკრთა მოულოდნელ აფეთქებაზე. მან თუმცა წინასწარ იცოდა სუფსის კალაპოტის გაწმენდის და ინგლისური კონცესიის შესახებ და ამ უკანასკნელ ხანებში თითქმის ყოველდღე, განუწყვეტლივ ესმოდა ლალუმების გრიალი, მაგრამ მაინც ვერ წარმოედგინა, თუ ეს ხმაურობა ტობახჩის მიდამოებში ხდებოდა, ამიტომ სწორეთ ცხვირწინ შეეფეთა აფეთქების ადგილს ბარში მიმავალი გზაბნეული მგზავრი.

შეეფეთა.

ლალუმები აფეთქდა, მაგრამ უვნებლად დარჩა პირველ და მეორე შეჯჯფთულ აფეთქებაზე.

მგზავრმა თავისუფლად ამოისუნთქა. ერთი მოხედვაც—და მდინარის ახალმა კალაპოტმა მიიპრო ყურადღება.

წყალმა იჩქრიალა ახალ კალაპოტში და ეალტამი წალეკა ელვის სისწრაფით.

— გათავდა!—გაიფიქრა უცხო მგზავრმა და კიდობანა-კლდისაკენ დაეშვა მუშებთან შეხვედრის მიზნით.

მგზავრი სათოფეზე შიუახლოვდა გარღვეულ კლდეს.

ახალ კალაპოტში მოთამაშე მდინარის ტალღებს დააკვირდა, რომ მოულოდნელად იხუვლა კლდის მარჯვენა ბრეკმა და მგზავრმა დაკარგა წონასწორობა, ორივე ფეხით წაიფორხილა, ყურები აუჭრიალდა და თითქო მიწა იძრა მისი ტანი უნებურ მოძრაობას დაემორჩილა.

წამიც—და შრაბნელივით წამოვიდა გრანიტის ნატეხები, ტყიდან დაგორდა ბაერში ვატყორცნილი ლოდები და...

— მიშველეთ.—დაიგრიალა მგზავრმა სავსე მკერდით.

ქვიშითა და ნისლით დაიბურა იქაურობა, შეკუმშული ჰაერი ქვიშით-
ვით მოასკდა მახლობელ ტყეს. მგზავრმა იგრძნო მძლავრი დაჯახება,
დაჯახება თქმის არეში.

— მგზავრი ბალახებში გაიშლართა, თითქო ფეხებში ცელი გამოჰკრესო.
საშინელი ტყივლი იგრძნო მარცხენა მენჯზე, მაგრამ ჩქარა შეგრძნობის
უნარიც დაჰკარგა და ჩაიკეცა. აფეთქების ხმა მდინარემ გაიტაცა ჩვეულებრი-
ვად, და კიღობანა კლდის მიდამოებში სიწყნარე გამოეფიქრა.

— ხმა გაიგონეთ, გეტყვი მე?!

— ყრუ ვართ, რომ ვერ გაგვეგონა?—დასცინეს ხოსიას ამხანაგებმა.

— განა ლალუმის, გეტყვი მე!

— მაშე!

— „მიშველეთო“! მომესმა, გეტყვი მე, ალბათ ის თუ იყო, ირაკლი რომ
ამბობდა.

— წავიდეთ!

— ეუშველოთ!

მუშების ჯგუფიდან საჩქაროდ განცალკევდნენ სვეე გვიჩია, ხოსია ტრაპაიძე
და კიდეც რამდენიმე მუშა; განცალკევდნენ და ირაკლის მითითებით ტყისკენ
გაეჭანენ.

დანარჩენი მუშები ტექნიკოსს შემოეხვიენ ვარშემო და ახალი სამუშაოს
დაგეგმვას შეუდგნენ.

მიდის სვეე გვიჩია ტყის მიმართულებით და მუშტის-ტოლა თვალებს
ვეფხივით აბრიალებს, დაქვერილ ბალახს აკვირდება, ფალტამს ათვალთვრებს.

მიაგნო: აგერ ნაკვალევი. აქედან შორს ვერ გაიქცეოდა.

„ქვის ნამტვრევები: ლოდები. ვაი თუ“... — ფიქრობს გვიჩია მგზავრის ძებ-
ნაში და ტყის სიღრმეს უახლოვდება.

— უ-უ-უ!—დაიყიენა სვეემ, თითქო ბუღამ დაიღმულია; ყიენა მიასკდა
ულელტეხილის ორივე მხარეს.

ბაიბურთი არ ისმის.

სვეემ კიდეც დაიყიენა, რაზედაც გრძობადაკარგულმა მგზავრმა თვალები
გაახილა, თქმის არეში ტყივლი იგრძნო და თავი დაქრილად წარმოიდგინა.

— პოლიცია თუ შემომესია!—გაიფიქრა ჯერ კიდეც გონს მოუსვლელმა
მგზავრმა და უშალ თოფს დასწვდა, ხელბოძებს დახედა, ქვას მოეფარა და თავ-
დაცვის მიზნით სასროლად მოემზადა.

გვიჩიას ხმაურობა შემოესმა. დაუყურადა.

— ეი, რომელი ხარ?!—განგებ შეუძახა გვიჩიამ და ბალახებში შეიქრა.—
ხოსია, ლელის პირად წამოუარე?

— კი წამოუარ, გეტყვი მე, მაგრამ იქნება მოელანდა ვინმე ირაკლის.

— შევლას რომ ითხოვდა?! შენ თვითონ არ ამბობდი?! არა, ხოსია, არ
შეიძლება ვინმე არ იყოს.

1 მგზავრი გაიტრუნა. მუშების ლაპარაკს მიუყურადა, იცნო.

— ვინ იქნებოდა?!—ეკითხება გვიჩია თავისიანებს.

— რა ვიცი. ალბათ მწყემსი იქნება.



- ან შეიძლება ყავრის ოსტატი იყოს.
გვიჩია შედგა:
- უუუ!—სცადა მან ერთხელ კიდევ დაყიენება.
— უთუოდ მუშებია. დამეძებენ!—გაიფიქრა მგზავრმა და თვითონაც აღარ დააყოვნა გვიჩიას დაძახილზე.
ყიენაზე ყიენით უპასუხა.
— ის არის.—წამოიძახეს ერთხმად მუშებმა და ქალტამს მოუდვენ გაფაციცებით.
- სადა ხარ, ვინ ხარ?
— მე ვარ... დაბლა ჩამოდი!—მოისმა პასუხი.
მგზავრი წამოდგა. შეგებება მოინდომა, მაგრამ თქმო აღარ დაემორჩილა და, მენჯმოშლილი, ქვაზე ჩამოჯდა.
ყოველი შემთხვევისათვის თოფის ჩახმახი წკიპზე შეაყენა.
სვეე მგზავრს თავზე წაადგა.
საბრძოლველ მდგომარეობაში აღმოჩნდა უცხო მგზავრი.
— ვინ ხარ?—იკითხა შემკრთალმა სვეემ. «იარალი მანაც წამოშელო»—გაიფიქრა მან თავისთვის და ოდნავ შეწუხდა.
მგზავრს ნელი ნაბიჯით მოუახლოვდა. დააკვირდა.
მგზავრი შედგა. სვეე ემცნაურა. თოფი დაბლა დახარა და, გახარებულმა ტუჩები ღიმილით დაიმშვენა.
გვიჩია დაიბნა.
— ვინ უნდა იყოს?!—შეეკითხა სვეე თავის თავს, მაგრამ ვერაფერი მოისაზრა. მგზავრი ნაცნობებს ვერ მიამსგავსა.
— სვეე!—წამოიძახა მგზავრმა ერთხმად როცა დარწმუნდა, რომ ის მოულოდნელად შეხვდა გვიჩიას სურების ტყეში.
— ნაცნობია, გეტყვი მე!..
— სვეე!—კვლავ წამოიძახა მგზავრმა, თოფი ხელიდან გააგდო და შესაგებებლად წაიწია.
სვეემ თვალეზი გააცეცა. ნაძალადევად გაიღიმა, მგზავრს რამდენჯერმე ახედ-დახედა, თვალეზში ჩააშტერდა, ცხვირზე დააკვირდა, მაგრამ... «ფუი, ასეთ მახსოვრობას!» ვერაფერი მოთვინა, ვერ იქნა, ვერ შეიცნო უცხო მგზავრი.
ბოლოს გონს მოვიდა. თავი სამეგრელოში წარმოიდგინა, «ნუ თუ?» გაიფიქრა და დარწმუნებულმა, რომ გუმანი სწორად მიიტანა თავის მეზობელზე, დაუფიქრებლად წამოიძახა:
— ბეგლარ!
— სვეე! ჯიმა!
— საიდან?! როგორ?! ეგ წვერი?—სვეე ბეგლარს წვერზე დააკვირდა, სიხარულით ცას დაეწია. აცქმუტდა, ბავშვით აფართქალდა.
— შენ საიდან? აქ როგორ გაჩნდი?
ბეგლარი და სვეე გვიჩია თვალეზგაბრწყინებულნი ერთმანეთს გადაეხვიენ, ლამის ყველაფერი გამოაშკარავეს, წინდაუხედავი მოკითხვითა და ძველი ამბების მოგონებებით მაგრამ ფრთხილი იყო ბეგლარ ძიგუა, ამ ქამად ბეგი ლა-

დარიად წოდებული. სევცე—მრავალ ჯანდარაში გამოვლილი და საქმად გამოცდილი.

— წავიდეთ, შინ ვისაუბროთ,—თქვა სევცემ.

— წავიდეთ,—დაემოწმა ბეგლარი და ფეხზე წამოდგა.

სევცე შეიქმუხნა, როცა ბეგლარმა ფეხის გადადგმაზე მწარედ დაიკვნესა, და მოულოდნელი სიხარული მწუხარებდად შეეცვალა სახეგაბრწყინებულ გვიჩიას.

— რა მოგვიდა, ბეგლარ! საფრთხილო ხომ არაფერია?!

— არაფერი! თქვენმა ლალუშებმა „დამაჯილდოვეს“! ტყიდან დაგორებულ ლოდი მომხვდა და, როგორც ვატყობ, თქმის ძელები დამიზიანდა,—თქვა და გაიღიმა, გაჭირვებით გადაადგა ნაბიჯი და ყავარჯენის მაგიერ თოფზე დაეყრდნო.

— მოდი, ხოსია, მხრებში შევედგეთ:—მიმართა სევცემ ხოსიას, როცა შეატყო, რომ ბეგლარს სიარული უძნელდებოდა.

— სად წავიყვანოთ?—ჩუმათ იკითხა რომელიღაც მუშამ.

— ჩემსას, გეტყვი მე!.. ჩემი და მოუვლის,—ხმაშალა თქვა ხოსიამ.

„ჩემი და“...—ჩაეწვეთა ყურში ბეგლარს და რატომღაც ტანში გააეჩროლა.

— წავიდეთ!

სევცე და ხოსია მხარში ამოუდგნენ ბეგლარს და ელტამიდან დაიძრნენ.

გზაში ხოსია ეკითხება ბეგლარს:

— საიდან მოდიოდი, ამხანაგო? აქ როგორ გაჩნდი?

ბეგლარმა პასუხი არ დააყოვნა, სევცეს თვალი ჩაუკრა და დაბალი ხმით დაიწყო:

— მთაზე ვიყავი. საყავრე ნაძვები დავათვალიერე.

ხოსიამ ეკვის თვალით გადახედა ბეგლარს და გულში გაიფიქრა: „თოფი, ნაბადი, იარაღები. აქ რალაც სხვა ამბავია“.

ხიღზე გავიდნენ. სოფლის შარას დაადგნენ.

„მით უკეთესი, თუ „ისეთი“ ვინმეა!—დაასკვნა ხოსიამ და ეზოს კიშკარი შეაღო.

დ ა ბ რ უ ნ ე ბ უ ლ ი

დაბრუნდა თუ არა ძიკი საბერიოში, მაშინვე ოჯახურ საქმეებს მოეკიდა: ისლგადამძვრალი ფაცხა გამოხურა, ჯოკები ახალი წირებით გამოიკრა, საჯორგი გაუქეთა, შეფუთნა, გააკობტაეა; გაპარტახებული ეზო შქერის წყნელითა და აკაციის სარებით შემოღობა, ეზოს ახალი კიშკარი დაკიდა, საზამთროდ შეშა მოიპარავა.

ძიკი ვაიტაცა ოჯახურმა საქმიანობამ, თუმცა ჩიჩისთან სიარულსა და საიდუმლო თათბირებსაც არ ივიწყებდა გამდიდრებისა და გადიდკაცების სურვილით თავბრუდახვეული.

— ცარიელი ხელებით რა უნდა გავხდეთ?! არც სახლი, არც საქონელი, აღარც ფული და აღარც ნდობა ხალხის თვალში. შელესილი ფაცხა, ქვარტლიანი ბინა და... და სხვა არაფერი.

რა ვქნა? რა ვიღონო? როგორ მოვიქცე? გავიდე სამუშაოდ? — ბიჭო ფიქრებს ვერ ართმევდა თავს და გავერანებულ ეზოში გულშელონებული დაეხეტებოდა, დაეხეტებოდა და დროგამოშვებით ხმამალა ოხრადავდა. სალომე ძიკის არ ეკარებოდა, გამგუნებული, ხან ეზოში დაბორონობდა, ხან მეზობლებში გაიჭრებოდა და მუდამ ბეგლარზე ფიქრობდა.

დღე ისე გავიდოდა, ძიკის ერთხელ არაფერს კითხავდა. იჯდა, გლოვობდა თავის ბედსა და მოსწრებას და ბეგლარის სადღეგრძელოდ ლოცვებს ამბობდა. ღმერთისა და მღვდელმსახურების ბევრი არაფერი სწამდა სალომეს, მაგრამ განგებისა კი ეწინოდა; ქვეყნისა და ზეცის ბატონ-პატრონად განგება მიაჩნდა.

— ძიკის გაზრდას გველი გამეზარდა... ეს სამიწე ძუძუ მაგ დასამებულის მაგიერ ძაღლის ლეკვისთვის მეწოვებია.

სალომე ოხრადა, იტრემლებოდა, გულმკერდს იბოტნიდა და ძიკის საქციელთ გამწარებული სიგიჟის პირად მიდიოდა.

— ძმას უღალატა, მამის ანდერძს შეაფურთხა. ლორონთი! ეგ რა გამიჩინე საქიროდ და სავალალოდ!

სალომე ძირს ქვეყანას წყველა-კრულვით იხსენიებდა და მალლა ზეცას შიშითა და კანკალით აყვედრიდა თავის უბედურებას. არაფერი აღარ ახარებდა სალომეს დამეხილ გულს. ძიკის ოჯახურ საქმიანობას გულამრეზილი უყურებდა.

მეზობლებს უყვირდათ სალომესა და მისი უმცროსი შვილის ძიკის ასეთი გულცივი ურთერთობა.

— ბეგლარზე ამოუდის მზე!

— ბეგლარი საფიცრიადა ჰყავს!

— ბეგლარი აკერია ენაზე, — ამბობდენ მეზობლის ქალები.

— ნეტა რად შეიძულა უმცროსი ბიჭი?

— ამბობენ, ავი ყბის პატრონი არისო.

— იმასაც ამბობენ, რომ ბეგლარს უღალატაო, გასცაო...

— ჰო და დედამისიც მაგისთვის ემდურის თურმე...

— ნუ იტყვი, ქალო!

— ბეჩა, რა ესმის ავი ჩემს ყურებს?!

— ასე ამბობენ და ყურს ვერ დავიფხებ!

— სისხლად და ბაღმად მაგისთანა შვილი!

— მაგას იძახის უბედური დედამისიც!

— უიმე, უიმე! ახლა კი მეცოდება მაგ შავდღეზე გაჩენილი სალომე. უიმე შე საცოდავო! — გამოჰქონდათ დასკვნა იმავე დედაკაცებს.

— მომილოცავს, სალომე, შვილის დაბრუნება, — საეჭვო გულწრფელობით მიულოცა სალომეს დუქნებიდან შინდაბრუნებულმა უჩა ურიდიამ და კარგახნის უნახავ მეზობელს ხელი გაუწოდა.

— ნეტა სულ არ გამოჩენოდა, შენს დღეგრძელობას!

— რატომ, დაო სალომე, ღმერთს რისთვის სცოდებ... ჩემი ოჯახი დააქცია და დაამხო, თორემ... შენ რა გაქვს სამედურავი!

— ურიდიამ თავი ჩაღუნა, შეკრეჭილ წვერზე ხელი ჩამოისვა და ტალახიანი ყვარჯენი ქვის კიდეს მოუკაკუნა.

— მკოდნოდა პატივისცემას ასე დამისწავლიდა, მაშინ უანახებდი/მაგას ვინ იყო უჩა ურიდია... დღეს ყველაფერს მემართლება. კიდევ იმ შენი უფროსი ბიჭის ხათრი მაქვს, შეილუმს გეფიცები, თორემ—უჩამ პირველი გამოიხსება,— დღესვე წავიდოდი გუბერნატორთან და ციმიბის აქით არ მოვახედებდი მაგ ნამუსზე ხელდარეცხილს...

— უი, ეგ მოუკვდა დედამისს!

— ცალკე გოჩა ვადამეკიდა: „ქარაზე შენ გამომიგზავნეო“, ცალკე მეც ვხედავ, რომ ოჯახი დაეპტევი... ათი წლის თავნაყარი წყალში ვადავყარე, ქარს ვავატანე...

ურიდიამ მწარედ ამოიოხრა და აღელვებულმა წვერი კიდევ უფრო მაგრად ჩამოიფხოკა.

— შეილად არ მინდა... სისხლ-ხორცად არ მიმანია. დამიჯერე, უჩა, შეილად არ ვიფიცებ, მაგრამ რა ვქნა. სისხლში ხელი როგორ გავისვარო ამდენი ხნის ქალმა.

როგორც ამბობენ, სამსახური კარგი უშოვია.—შენიშნა უჩამ გესლიანად.

— რა სამსახური? არაფერი უთქვამს?

— მაზრის უფროსის განკარგულებით ჩიჩიას მოადგილედ დაუნიშნავეთ შენი ვაჟიშვილი... ნუ თუ არ შეგიტყვია?! ალბათ დიდი დამსახურება მიუძღვის, თორემ... ურიადნიკობა ასე... მოულოდნელად...

სიტყვა „მოულოდნელის“ მაგიერ რალაც სხვა უნდოდა ეთქვა ურიდიას, მაგრამ ენა შეუბორძიკდა და უნებლიედ „მოულოდნელად“ წამოიძახა.

— უივე, შეილო!—დაბალი ხმით შეიცხადა სალომემ და ამ ამბის გამგონეს გული შეულონდა.

შარაზე დუქნებიდან მოშავალი ძიკი გამოჩნდა.

ურიდია შეერთა ძიკის დანახვაზე, სალომესთან საუბარი გასწყვიტა და წასვლა დააპირა.

ძიკი ურიდიას მიესალმა.

უჩამ დუმილით უპასუხა ძიკის მისალმებას და ზურგი შეაქცია.

— ზურგი შემომაქციე! მე შენ გიჩვენებ თამაშას!—გადმოყარა ქდობლი ძიკიმ და ხანჯალს ჩაადრინდა.

— ქრისტეს ფეხის მტკეერელო!—აკაპასდა სალომეც, მაგრამ ძიკის ყურადღება ისევ ურიდიასკენ იყო მიტეული, ისევ ურიდიას „თავხედობაზე“ ფიქრობდა შეურაცყოფილი ურიადნიკი.

— მემდური, რადგან თავისუფლად დადიხარ ცოდვილ დედამიწაზე!

— ვისთვის ცოდვილია მართლაც ეს ქვეყანა, მაგრამ ურიდიას ცოდვები ხომ შეუწყნარებელია და მიუტყევებელი.—ორაზროვნად თქვა ურიდიამ და წვერი ჩამოიფხოკა.

— ურიდია გივია გივებს შორის და რეგვენი რეგვენთა შორის.

— დაიგმინა ურიდიამ და ძიკისაკენ პირი იბრუნა.—შენ ციმიბირი გავიგონია ძიკი?—აკანკალებული ხმით იკითხა ბოლოს ურიდიამ და ყავარუჯენს დაჯვრდნო.

— გამიგონია. სიბერის ჟამს აგარაკად გამოგადგება. ვეცდები სათანადოდ გეშუამდგომლო.

— ჩიჩიასთან რას არ ვაწყობ, — შენიშნა უჩამ.

— რაკი სოფლის მწერლობა წავართვა, ახლა ჩიჩიასაც ემდღური? წინად... წინად რატომ არაფერს ამბობდი.

ურიდია ძიკის მიუახლოვდა, გულგრილად ახედ-დახედა და რაკი თვალი შეავლო, რომ ძიკი ხანჯლის ტარს რალაც საეჭვოდ ატრიალებდა, თვითონაც არ დააყოვნა ჭალარა ურიდიამ ხანჯლის ტარზე ხელის წავლება.

— ჩიჩიასთან ეთრევი, ურიადნიკად ემზადები? — ჩაერია სალომე ლაპარაკში და ძიკის ზიზღით გადახედა.

— კმარა, დიაქიმი! — ძლივს მოიბრუნა [სული ძიკიმ და უსახლერო აღშფოთება გულში ჩაიკლა. ძიკი გრძნობდა დანაშაულს, გრძნობდა და აშკარად ხედავდა უღირსი საქციელის შედეგებს, მაგრამ... „ოჯახი მინდა, მიწა-მამული, მინდა ქონება, სახლ-კარი, სახელი და დიდება. მინდა მიცნობდნენ საბოქაულაოში მახრამში, გუბერნიაში, იმპერიაში. მინდა პირველი კაცი ვიყო ჩემიანებს შორის, ნაცნობ-მეგობრებსა და ნათესაებებს შორის, მინდა წარმატება, მინდა სიმდიდრე. მინდა... მინდა და“... — ძიკი ოცნებაში შეტოპავდა. წარსულს იგონებდა, მომავალს ითვალისწინებდა. „რევოლიუციაში მე ვინ ვამახარებს?!... ძმა რომ ძმა არის ისიც კი მეჯიბრებოდა პირველობაზე. ჯერ რევოლიუცია სიზმარცხადიც არ არის და ის კი წინდაწინვე მეჯიბრებოდა. პირველობას იჩემებდა, მბრძანებლობას ლამობდა, ლამობდა თავის გამოჩენასა და ამოტივტივებას. ძმა... ძმა ძმის მიმართ... სხვები ხომ... არა! შენი არჩეული გზა სწორია, ძიკი ძიგუა! რევოლიუცია სიზმარია, რევოლიუცია ახალი სახარებაა... ახალი სარწმუნოება. სანამ სი-ახლე გზას ვაიკაფავდეს, სანამ ოცნება სინამდვილედ იქცეოდეს, შენი ძვლებიც კი არ დარჩება დედამიწის გულში, ძველი გზა კი ნაცადია, გათელილი და გატკეპნილიც. ჩინი, 'ჯვარ-მენდლები, სახელი და დიდება. განუსახლერელი უფლებები და პატივისცემა, მე რევოლიუცია არ მესმის. მე არ ვიცი რევოლიუციას. სამაგიეროდ არც რევოლიუცია მიცნობს მე. მე ვხედავ თუ როგორ მიიწვევენ წინ ჩემი ტოლ-სწორები. მე ვხედავ, თუ როგორ წარჩინებას აღწევენ ზოგიერთები სრულიად მცირე დროის განმავლობაში. მეც მინდა სახელი და დიდება, მინდა ფული და სიმდიდრე. მაშ წინ, ძიკი ძიგუა! შენი და შენი ძმის ბეგლარის გზა სხვადასხვა მიმართულებისაა. ერთმანეთს არ შეხედებიან, არასოდეს არ გადაჯვარდენდნებიან... ასეთია ჩემი არჩევანი, და წინ, წინ მეტქი, მშინარო ძიკი!“

ძიკი გონს მოვიდა.

ხანჯლის ტარზე ხელწავლებული ურიდია იდგა მის წინ და, დაფიქრებული მიწას დაჰყურებდა.

— მაშ ასე... ციმბირითაც მემუქრები? — დაბლა თქვა ურიდიამ, ძიკის თვალებში შეხედა და უცებ მიახალა: — პასპორტი... ჩემი პასპორტი ციმბირშიაც მიგიყვანდა.

ურიდია დადგმოდა.

— პასპორტი! პასპორტი ბეგლარმა ამოიჩემა, თორემ... ან შენს კარავთან რა მესაქმებოდა...

— სხვა რალა გესაქმებოდა? მიზანს ხომ მიიღწიე? ფულიც გეჭრება და თანამდებობაც. ჩიჩია... ჩიჩია რას არ გაგიჭახრაკებს.

— ბოდავუ სიცხე გაქვს. — აიტყვიცა ძიკი და თვალები ისე უბრუნდა თითქო წამოცვენას ლამობენო.

— ეთქვათ მე შორეული ვიყავი... ბეგლარი ხომ... აჩიფიფდა ამღვრეული ურიღა.

— რა?

— ვიცით, ყველამ კარგათ ვიცით... შენი გზა მოკლეა, ძიკი... შორს ვერ წავიყვანს. ჩაიჩებები... ხალხი დიდია, ხალხის ძალა განუსაზღვრელია. მე ახალ-თაობის კაცი არ ვარ, მაგრამ მომავალი მოძრაობისაა, შენ კი... კაობისკენ ეშურები... სიდამალესა და შმორის სუნს ვერ გრძნობ ახალგაზრდა კაცი... გაი-გულები, ძიკი, გაიგულები! — ურიღია რამდენიმე ნაბიჯით მოშორდა ძიკის და უკან არ მოუხედია, ისე ბუტბუტით გასწია შინისკენ.

ურიღიასთან ერთად სალომეც დაიძრა ადგილიდან და გაშეშებული ძიკი დარჩა შუა შარაში.

— მაშ ყველაფერი იციან? — ფიქრობდა ძიკი — იციან, რომ მე კარავზე თავდასხმის მონაყოლე ვარ, ისიც იციან, რომ მე ბეგლარის... არა. ეს არ იციან... საიდან გაიგებდენ?... ბეგლარმაც არ იცის... რომ სცოდნოდა, ხომ... თუმცა... არა, წამოსვლისას რად მითხრა: მომავალში შევხვდებით და მაშინ მოვილაპარაკოთო.

ძიკი ისევ დაფიქრდა თავის აწმყოსა და მომავალზე, დაფიქრდა თავის უკანასკნელ არჩევანზე, რომლის მიხედვით სამუშაო გეგმაც შეადგინა, დაფიქრდა ჩიჩიასთან კავშირზე და...

არა, ჩემი გზა სწორია! ურიღია უნდა განადგურდეს მთელი ოჯახით... ბეგლარი... ბეგლარს თავის გზას მიუჩენენ, ასე რომ ჩვენ ერთმანეთს გზაში არ შევხვდებით.

სოფელში და საბოქაულოში კი... მეტი სიმტკიცე, ნებისყოფა... შეუბრა-ლებელი და სასტიკი ნებისყოფა!... დიახ, სასტიკი და უღმობელი! მაშინ... მაშინ გამარჯვებაც უზრუნველყოფილია. აღმასვლის ხაზი გამართული და გასწორე-ბული. დღეს ნიადაგი ნოყიერია და, მაშასადამე, წინ, წინ, ძიგუა! გასწი და გაიმარჯვებ.

სახსო ზიმა

ბეგლარი მიიყვანეს ხოსიას ოჯახში.

დაფაკურდენ ოჯახის წევრები: ავადამყოფ სტუმარს ფიცხლავ ლოგინი გაუშალეს. თეძოზე, მოხუცი ბებიას რჩევით, მოთუშული ანწლის ფოთილი შე-შოაწყვეს, თბილად შეუხვიეს და ყოველი შემთხვევისთვის, სოფლის ფერშალთა-ნაც კაცი აფრინეს.

პირველად ტკივილებმა უმატა ბეგლარს. თეძოს ძვლებმა ტეხა დაუწყო, მაგრამ ჩქარა მოხუცი ბებიას „მკურნალობამ“ გასჭრა და ბეგლარს დაეყვილი ადგილი თითქმის დაუამდა, სევესთან საგულდაგულო საუბარი გააბა, საეჭვო ამბები და ხოსიას მდგომარეობა თუ ვინაობა მეგრულად გამოიკითხა და როცა

დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო ხოსიასა და მისი ოჯახის სრული კეთილსაიმედობის შესახებ, გულახდით უამბო ბეგლარმა გვიჩიას თავისი შორეული თუ უახლოესი თავგადასავალი.

გვიჩიას გაკვრით გაგონილი ჰქონდა ბეგლარისა და ძიქის გაქცევის შესახებ. ისიც იცოდა, რომ მირზახანის მკვლელი ბეგლარი იყო, ამიტომ საპასუხოდ გვიჩიამაც იქპარა ყოველივე დაწერილებით ეამბა ბეგლარისთვის, და თავიდან დაიწყო მან თავისი თავგადასავალი.

გადაგვასახლეს,—თქვა გვიჩიამ, როცა მირზახანის მკვლელობის შემდეგ საბერიოში მომხდარი ამბები მოათავა.—როგორც მახსოვს, ეს იყო აპრილში, თუ მაისის დასაწყისში. ერთდროულად ჩამოგვიყვანეს სენაკის სადგურში. ჩავსხსენს სატუსალო ვაგონში. თექვსმეტი ვიყავით სამეგრელოდან, ფოთიდან მოყავდათ ხუთი ტერორისტი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის რამდენიმე იატაკ-ქვეშ მომუშავე წევრი (ყველაფერი ეს გზა და გზა გამოვარკვიეთ). პირველად ჯგუფ-ჯგუფად ვიჯექით ჩვენ-ჩვენთვის. ერთმანეთს არ ვიცნობდით. ვაგონში ცხელოდა, ფანჯრები გამოკეტილი იყო. კარებზე დარაჯები იდგა. საშინელი სუნი ტრიალებდა ხულის ოდენა ვაგონში. სუნთქვა შეუძლებელი შეიქნა. შევწუხდით. ფანჯრის გაღება მოვითხოვეთ. უარი გვითხრეს. მოხუცს ალანიას გულის ფრიალი აუფარდა. წამდაუწუმ გული მოსდიოდა, სული ეხუთებოდა. მოვითხოვეთ ექიმი. ყურს არავინ გვათხოვებდა. ფერი წაუვიდა საბრალო მოხუცს, მიტკალივით გახდა. ატეხებთ განგაში, დავცხებთ კედლებსა და იატაკზე, რითაც კი შეგვეძლო, ვახშამზე ვაფიცვა გამოვაცხადეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით: ფანჯრებს არავინ აღებდა. ჰაერი ისევ მოშამული იყო და შეხუთული. ალანია გულაღმა იწვა და სუნთქვა არც კი ემჩნეოდა. ასე მივალწიეთ კავკავამდე. კავკავაში მოხუცმა თვალი გაახილა. მე მიკითხა, ახლო დამისვა და ხრიალით დაიწყო: „სევე... მე ციმბირამდე ვერ მივალწევ. ზეზეურ არ დამტოვოთ... საფლავი გამითხარეთ და ქვის სასთუმალი გამიკეთეთ... შინ... შვილიშვილებით...“—მოხუცი აფართხალდა ხელები ააფათურა, თვალები გაუშტერდა და... სული განუტევა.

—მოკვდა?! საცოდავი!..—მოიწყინა უცებ ბეგლარმა.

—მოკვდა. როსტოვში დავასაფლავეთ. ქვის სასთუმალიც ვავუკეთეთ—ნაწვეტებად თქვა გვიჩიამ და თვალის უბეები დაუსველდა.—ახლაც თვალ წინ მიდგას საბრალო მოხუცის თვალები. სიცოცხლეს შეგვთხოვდა ყველას. სიკვდილი უმძიმდა, ეშინოდა, აკანკალებდა. ჰაერი არ ჰყოფნიდა, პირდაღებული სუნთქავდა. „ოღონდა ვიცოცხლოთ და გადასახლება რას დაგვაკლებს“—გვაიმედებდა ყველას საბრალო, განსაკუთრებით ახალგაზრდებს: „მომავალი თქვენია, ციმბირმა როდი უნდა შეგაშინოთ, იბრძოლეთ და გაიხარებთ“... ეჰ, გული დამთუთქა მოხუცის ასეთმა უმიზეზო დალუპვამ.

სევე დადუმდა.

ბეგლარი ფიქრებმა გაიტაცა. თვალები გაუშტერდა. ანთებული სახე ჩაეფერფლა ნაცრისფერი გაუხდა.

—უმიზეზოდ...—მაშინალურად გაიმეორა ბეგლარმა და ბალიშიდან წამოიწია, მიზეზი ხომ მე ვიყავი თქვენი ასე გაწამების...

—რატომ გგონია, ბეგლარ!—გაიღიმა ოდნავ გვიჩიამ.



—მგონია და ეს ასეც არის. მირზახანი მე მოვკალი.

—შერე?

—შერე, მე ტყეს მივეცი თავი და საბრალო ხალხი კი...
 ალანია!—ბეგლარს გული აურუყდა, ლოგინზე შეტრიალდა. უცებ თემოს ტკივილებიც გაუახლდა და მოულოდნელად დაიკვნესა. ოთახს თვალი მოავლო და როცა იქაურობა ეუცხოვა, თითქო ახლა გამოერკვაო, სევდს ისევ მოლიმარი სახე უჩვენა და იქვე ტახტზე მხართემოზე წამოწოლილ ხოსიას ღიმილითვე მიუბრუნდა:

—ხოსია ჩემო! ერთი ცივი წყალი, თუ შეიძლება...

—წყალი!—სწრაფად წამოდგა ხოსია ტახტიდან—ღვინო მიირთვი, გეტყვი მე!..

—არა, წყალი მირჩენია. წყალს ბავშობიდანვე ვარ დაჩვეული,—შენიშნა ბეგლარმა.

ხოსია აინვანზე გავიდა.

—ნათელა!—გასძახა მან სამზარეულოში მოფუსფუსე ქალებს.

—რა გინდა?—მოისმა ნათელას წყნარი ხმა.

ბეგლარმა ყურები ცქვიტა: „ჩემი და მოუვლის“, მოაგონდა უცებ და ერთი წუთით ტკივლები მიუყურდა, თავისუფლად ამოისუნთქა და გამოურკვეველი სიხარული ჩაეწვეთა გულში.

—ცივი წყალი მოგვიტანე, გეტყვი მე!

ხოსია ოთახში შემობრუნდა და ისევ საუბარს დაუგდო ყური.

—შერე?—მცირე პაუზის შემდეგ იკითხა ბეგიმ.

როსტოვის ციხეში ორი თვე გაგვანერეს. აგვისტოში ტუსალები გავგანაწილეს: ბექაია როსტოვში დატოვეს. დაბრუნებისას შევიტყვე: ბექაია სახადით—, გარდაცვლილიყო.

—ისიც?!—ამოიოხრა ბეგიმ და, თითქო საბერველმა დაიქშიტინაო, მძიმე სუნთქვა ამოხდა მწარე ამბებით გულდამძიმებულს.

—ხეზულაჲა და ჯანაშია თურუხანისკენ გაისტუმრეს. მე და ევანია—ორენბურგში.

—ორენბურგში?—დაწკურა თვალები ბეგიმ, თითქო რაღაცას იგონებდო.

ჰო! ურალის მხარესაა ურალის მთების კალთებზე. ცივი ჭვეყანაა. ქალაქი—უწესრიგოა და ბინძორი. ღამის ორ საათზე მიგვიყვანეს ორენბურგში. სამმართველოში გავგანერეს. დარაჯები გამოგვიცვალეს. უცებ ატყდა განგაში: საგუბერნიო სასურსათო საწყობს ცეცხლი გასჩნოდა. აირია ყველაფერი. გამოგვრეკეს დერეფანში, კარები ჩაგვიკეტეს. აგერ: დერეფანი პატარა ვიწრო დერეფნით თავდება. ფანჯარა მოჩანს. ეტყობა შიგნიდანაა გამოკეტილი. ევანიას მეგრულად დაველაპარაკე, ფანჯარაზე მიეუთითე. არავინ არაფერი შეგვნიშნა. მივიწიეთ ფანჯრისკენ. ბორკილები ახსნილი გვქონდა. დერეფანში ხმაურობამ იმატა. მოვშინჯეთ ფანჯარა: ადვილი გასაღებია. ბევრი აღარ დავაყოვნეთ, ვისკუპეთ და მოვუსვით კარებისკენ. ალაყაფის კარებში დარაჯი იდგა. სინათლეს მოვერიდეთ, ფეხაკრეფით მიუახლოვდით დარაჯს და თავს დავესხით. პირზე ქუდი მოვაფარეთ. გავვუდეთ. გარეთ ვავათრიეთ. იარაღი ავყარეთ, ტანისამოსი... თვითონ

კი ცოცხალ-მკვდარი გალაენიდან კარგა მანძილზე დაეტოვებოდა და ვიკტორტი გაქცობა.

ბეგლარს თვალეები ვაუბრწყინდა, ალტყინების არშია მტკიცედ უკვლავრებულ სახეზე.

— გამოიქცეო, გეტყვი მე! — იკითხა ხოსიამ.

— გამოიქცეო, ღამე ვილაც საექვო მოხუცი ქალის ბინაზე გავათიეთ (ორენბურგში ბევრია საექვო ოჯახი). დილით ძველი ტანისამოსი და გახუნებული პალტოები შევიძინეთ. იღბლად ფული მეც მქონდა, ქვანიასაც. მოხუცი დედაკაცი დიდი გამოქნილი ვინმე აღმოჩნდა: ყველაფერი სასწრაფოდ გაგვიქაზარა, საგზალი მოგვიშალა და ორი დღის შემდეგ დავიძარი ორენბურგიდან. გზაში ხან ეტლით ვიარეთ, ხან მატარებლით, მეტწილად კი ქვეითად. ფული შემოგაკლდა. გაგვიძენელდა მოგზაურობა. ქვანია ცარიცინში არჩია დარჩენა, მე კი ერთი თვე ვილაც მემამულისას ვიმუშავე, საგზაო ფული შევაგროვე და შინისაკენ მოვუსუვი. მოვიჩქაროდი, დედის დარდი მაწუხებდა...

ბეგი უცებ შეიკმუნა. დედის ხსენებაზე უკუნებოდ შეიქნა.

— საბრალო დედაჩემი. — ჩაუბრუნა ბეგემ და ამოიხზრა. — რვა თვეა აღარ მინახავს...

— სიგლაზე მოგსვლია. გაეძვრებოდი. ვინ განახავდა? თუნდაც ენაზე ვისმეს, კრინტის დაძვრას ვინ გაბედავდა!

— შენ მართალი ხარ, სევე. სიგლაზე ჩაეიდინე! — უყაყმანოდ დათანხმდა ბეგი.

— დაებრუნდი სამეგრელოში. — განაგრძობდა გვიჩია, — მალულად ერთი თვე ვიცხოვრე, მაგრამ როცა ჩიჩიას ჯაშუშებმა სუნი აიღეს, შემთხვევით გავიგე სურების ხე-ტყის კონცესიის შესახებ და, როგორც ხედავ, მის შემდეგ აქ ვაფარებ თავს.

სევე დადუნდა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

ბეგლარმა, ლოგინზე გვერდი მოინაცვლა, ფანჯარაზე ხელით ნაქარგი ფარდა გადასწია და ეზოში გაიხედა.

გაკვირებული მოჩანდა არემარე, ზაფრანას ფერი, უსიცოცხლოდ უბერავდა სუსხნაკრაიე შემოდგომის ნელქარი სითბოგამოლულული მზე თავფლის სანთელივით ლაბლაკებდა.

— ბეგლარ! — მიმართა გვიჩიამ ბეგის.

ბეგლარი შეიშმუნა. გულზე სატინის თხელი საბანი შეისწორა, ხელით ნაქსოვ ბალიშს დააკვირდა, წითელი ძაფით ამოქარგული „ნათელა“ ამოიკითხა. გაიღიმა ფერმა გადაჭკრა.

— იცი, ბეგლარ, — ისევე გაიმეორა გვიჩიამ.

— დამაცა, სევე! შენ იცი, რომ მე ბეგლარის ნაცვლად ბეგის შეძახიან, გვარად ლადარია გახლავარ.

სევემ გაიღიმა, — ყველაფერს მიხვდა.

— ბეგი ლადარია! კარგა მონათლულხარ!

— რა გაეწყობა.



— რა გვარისა ხარ, გეტყვი მე—იკითხა ხოსიამ.

— ლადარია.

— ბეგი ლადარია, აზნაური იქნები, გეტყვი მე...

ბეგის ღიმილმა გადაჰკრა.

სევეს ეშმაკურად გადაჰბედა.

— რა ფასი აქვს ახლა აზნაურობას!

ოდის აივანზე ნათელა გამოჩნდა.

ნათელა ოთახში შემოვიდა, სევეს მიესალმა, ლოგინად ჩავარდნილ ბეგის მორცხვად გადაჰბედა, და მოულოდნელი სიწითლისაგან ლოყები აეწვა.

— იცნობდე, გეტყვი მე... მეგრელი კაცია. ლადარია გვარად. სახელად ბეგი ჰქვია. ჩემი დაი არის, ნათელა,—გააცნო ერთმანეთს ხოსიამ ბეგი და ნათელა.—ჩვენი ლალუმების აფეთქებაზე შემთხვევით დაზიანდა, გეტყვი მე! წყალი დააღვინე.

ნათელა თავჩაქინდრული მიტრიალდა სასტუმრო ოთახისაკენ, განჯინა გამოალო, ჭიქა და ლამბაქი გამოიტანა, თუნგიდან წყალი დაასხა და ბეგის მიაწოდა. ბეგმა მორცხვად ჩამოართვა სავსე ჭიქა ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ქალს, მორცხვად, მაგრამ სულით და გულით გადააელო თვალი ნათელას მოხდენილ თვალტანადობას, სუბუქ ფეხებზე სიარულს... და ისევ ჭიქას გაჰბედა, სადაც ბროლისა და წყლის ფერი ერთმანეთში გადადიოდა და თუ არა მკრელი თვალები, ვერ გაარჩევდით ცალიერი იყო, თუ სავსე კრიალაწყლით პირამდე ავსებული ჭურჭელი. ბეგმა ბაგეზე მიიღვა ჭიქა და დინჯად გამოცალა. ნათელასათვის თვალი არ შოუშორებია. ტუჩებზე ღიმილი არ გაჰპარვია.

ნათელა სირცხვილით დაიწვა როცა ბეგის ანთებული თვალები მის გაბრწყინებულ თვალებს შეეფეთა და მოულოდნელად ერთმანეთს ღიმილი მოჰპარეს. ბეგმა ჭიქა გამოცალა, ლამბაქზე დასდო და ნათელას მიუბრუნდა: „სამაგიეროდ ჭორწილში მიმსახურე“,—ანგარიშმიუცემლად გაიმეორა ბეგმა მოხუცებისაგან არა ერთხელ გაგონილი სიტყვები.

— „ჭორწილში!“—გაუელღვა თავში ნათელას, უკან გაბრუნდა, სევესა და ხოსიას წყალი შესთავსა და ანთებული სახით სამზარეულოსკენ გაექანა. თუნგი ხელში შერჩა თავბრუდახვეულ ქალს, ხოლო როცა სამზარეულოში შინაური თუ მეზობლის ქალები ერთხმად აკისკისდნენ ნათელას საქციელზე, ნათელა უცებ გამოერკვა და ვარდისფრად შეღებილი ლოყები კიდევ უფრო აუღელვარდა.

— მოგეწონა?

— კაი თვალადი უნდა იყოს. შორიდან მოგკარი თვალი, მაგრამ ასე მომეჩვენა.

— მარხვამდე ნუ ჩააყოლებთ.

— მადლია ახლა მავათი...—აფრუტუნდა მეზობელ ქალებში ყარყუმად მიჩნეული ეგვიტო.

— კარგი, ერთი!—დაიმორცხვა ნათელამ.

— ამოვარდა ქალის სახსენებელი! რაფა მაჭარივით ადულდა ვილაცა ყაზახის დანახვაზე!—განაგრძნო ისევ ეგვიტომ და სამზარეულო აივსო საეახშმოცეხლის კვამლითა და ატეხილ სიცილ-ხარხარით.

— ნუ გეშინია, წელი ჩქარა მოურჩება, — არ ისვენებდა ვეგეტო და ევლის მორჩენას რა უნდა.

— კარგი მეთქი! — გაწყრა ნათელა და, ხუმრობა-კანკინდობაში, თეძოდაქვეყილი სტუმარი გულში ჩაუვარდა.

ს ა მ უ შ ა ო ზ ე

დაზამორდა.

გაძნელდა სუფის კალაპოტის გაწმენდა, მუშების უბინაობა, ცუდი გზები და ცუდი ამინდები სამუშაოებს დააწვა კისერზე.

წინასწარ ნავარაუდები ხარჯთაღირცხვა უმნიშვნელო აღმოჩნდა სამუშაოთა დასაძლევად, მომკირნეობის გაწვევა კი შეუძლებელი იყო. ან გზა და წყლის კალაპოტის სრული გაწმენდა, ან კიდევ კონცესიაზე ხელის აღება.

„ხელის აღება შეუძლებელია“ — ოცნებობს კონცესიონერი.

სამუშაოები კი უზომო ხარჯებს მოითხოვს.

კვლავ მოახდინეს კალაპოტის გამოკვლევა. შეადგინეს დამატებითი ხარჯთაღირცხვა.

ჯონ ელიოტმა ახლა უშუალო მონაწილეობა მიიღო ხარჯთაღირცხვის შედგენაში. ყოველი წერიმალე თვითონვე გამოიანგარიშა. ყოველმხრივ გაზომა, აწონ-დაწონა. ხე-ტყის საბოლოო თვითღირებულება ივარაუდა და როცა ლეგენდარულ ციფრებს წაადგა თავზე, დაფიქრდა. კონსულტატს გამოუძახა, სპეციალური თათბირი გამართა.

— ვიზარალებთ! — დაასკენა თათბირმა.

— ვიზარალებთ, მაგრამ...

— მიტოვება შეუძლებელია!

შერვაშიძე გაიღურსა თათბირის მსვლელობის დროს. განგებ კრინტი არ დაუძრავს. რა ჩემი საქმეა, — ფიქრობდა ის, — მიტოვებით ჯერ ვერ მიატოვებს, სამუშაოები კი თანდათან გაძნელდება. მუშახელს ვერ იშოვის. გაზაფხულზე ეს გლეხები თავიანთ ოჯახს მიაშურებენ, კალაპოტი კი გაუწმენდელი დარჩება, გაზაფხულის ლანქერი ივნისამდე ჩაივლის და როცა ივნისში წყალი დაშრება და ფიჩხის დაძვრასაც ვერ შეძლებს მდინარის საერთო წყალმოკულობა, მაშინ... — შერვაშიძემ ეშმაკურად გაიღიმა. — მაშინ თუ იფიქრებს მიტოვებას და ორასი ათას ხეს, უკვე საექსპორტოდ გამზადებულს, წყლის პირად მიატოვებს, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მე ვიცი და გუბერნატორმა. თუ დამპირდა, მთავარმართებლის მოადგილეს გენ. შირინკინსაც კი დავიხმარებ... მაგრამ... ჯერ აღრეა ამაზე ფიქრი...

— რას იტყვი, ბატონო ქიშვარდი? — შეეკითხნენ თათბირზე შერვაშიძეს. — შევძლებთ თუ არა კალაპოტის გაწმენდას და გაზაფხულზე პირველი ქარავენის დაძვრას შავიზღვისაკენ?

ქიშვარდი განგებ აიღერა, პირდაპირ არაფერი უპასუხა, მოკიბული პასუხი არჩია, ორასროვანი.

— თუ რომ სერ ელიოტი ხარჯებს არ დაერიდება და მუშა-ხელი საქმარისი გვეყოლება სამუშაოზე, ცხადია, გაზაფხულზე ქარავენს დაძვრავთ შავიზღვისაკენ.

— ხარჯებს?

— ხარჯებს?!— ერთბაშად გაიმეორეს ელიოტმა და რამდენიმე სანუკრად
 — ხარჯებზე კი უნდა მოგახსენოდ, რომ...— დაიწყო ელიოტი.
 — მუშების ხელფასი მეტად მცირეა, სერ! დაასწრო შერვაშიძემ.
 — პირიქით, ბატონო ქიშვარდი, პირიქით, თუ ჩვენ რაღაც პრინციპით
 არ შევამცირეთ მუშათა ხელფასის საერთო რაოდენობა, იძულებული გაეხდებოდა
 ხელი ავიღოთ კონცესიაზე.

„შევამცირეთ გაივლო გულში შერვაშიძემ.— არა ბიძია, ბიძია შემცირებას
 არაფერს დაგანებებს, ახლა სხვა დროა“

— რას იტყვით?

— მე შეკითხვებით? — გაიოცა შერვაშიძემ. — საკვირველია! მე ხელფასის
 სიმცირეზე ვლაპარაკობ და თქვენ კი შემცირებაზე შეკითხვით. მუშები არ იმუშავებენ—
 მოუჭრა შერვაშიძემ.

— არ იმუშავებენ?!— აიტყვიცა ჯონ ელიოტმა და მაგიდაზე მუშტი ისე
 დაჭკრა, რომ საწერკალამი შეარყია.

— დიად, არ იმუშავებენ, სერ!

— გაიფიცებთან?

— მოსალოდნელია.

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— ასე მგონია!

— მაშინ მე დამაცადეთ. მე დამაცადეთ, თუ როგორ გაიფიცებთან, შერვაშიძემ
 იწყინა ელიოტის ასეთი კადნიერება, მაგრამ არაფერი შეიმჩნია,
 პროტესტის ნიშნად თათბირი მიატოვა და კარავიდან ეზოში გამოვიდა.
 ელიოტი დიდხანს ეთათბირა თავისიანებს.

შეადგინეს ახალი სამუშაო გეგმა. სამუშაოები დაიწყო უზნებლად. უბნებს
 ცალკე ხელმძღვანელები დაუნიშნეს. შერვაშიძეს კი მიუხედავად მთავარ-
 მართებლის მოადგილის გენ. შირინკინის და გუბერნატორის საუკეთესო ატეს-
 ტაციისა მისი სრული კეთილსამედობის შესახებ, რომ ის, შერვაშიძე, არას-
 დროს შემჩნეული არ ყოფილა „კრამოლას“ თანაგრძობა—მფარველობაში და
 რომ შერვაშიძე მუდამ ერთგული სალდათი იყო მისი უდიდებულესობის ტახ-
 ტისა და რომ მისმა უმაღლესობამ საკუთარი ხელით უწყალობა შერვაშიძეს
 პრაპორშიკის ხარისხი ტფილისში სტუმრად ყოფნის დროს, მაინც მეთვალყურე
 მიუჩინეს. შერვაშიძის მიერ დანიშნული ზოგიერთი ათვისათვი მოხსნეს და სამა-
 გიერო შემცველი ხელისუფლებას მოსთხოვეს.

„გამოგვიგზავნეთ თანამდებობის „შესაფერი“ პირნი. ხელფასის შეთანხმე-
 ბით“ აუწყებდა. გუბერნატორს კონცესიონერი, და სურების უფელტეხილი ელო-
 დებოდა ახალ ხელმძღვანელებს.

* * *

ბეგი მიიღო შერვაშიძემ სამუშაოზე.

ელიოტთან თათბირის შემდეგ გულმოსულს, ბეგის ვიზაობა არც გამოუ-
 კითხავს, ისე გასცა განკარგულება მისი შტატში ჩარიცხვის შესახებ.

ბეგიმ დაიწყო მუშაობა.

ირაკლის ჯგუფში მოხდა ბეგი სამუშაოდ.

ბეგიმ უროზე მუშაობა არჩია.

— ყოჩაღ, ლადარია! — მოუწონეს სენთი ლადარიას უროს ლაზართან დარტყმაში, და გახურდა ბურღები სიპების ბურღვაში.

ლადარია საუკეთესო ოსტატი აღმოჩნდა ბურღვა-აფეთქებელ-საქმეში. თეორიული ცოდნა და სასკოლო განათლება (ბეგი ოთხკლასიანი სკოლაში) პრაქტიკულად გამოიყენა და თუ აქამდე ბურღვე მომუშავეები ხუთი-ექვსი ხერხელის მეტს ვერ ასწრებდნენ დილიდან საღამომდე თავაუღებელი მუშაობით, ლადარიამ საკუთარი სისტემით ეს რიცხვი თორმეტამდე აიყვანა, დენტის ლალუმებად ხმარების წესი შეცვალა, საკუთარი მეთოდით „დატენა“ შემოიღო და.. მუშაობა დაიძრა მკვედარი წერტილიდან.

ლადარიამ ერთი თვის განმავლობაში, ისეთი ჩქარი ტემპით წაიყვანა კალაპოტის გაწმენდის სამუშაოები რომ ყველას ყურადღება მიიქცია.

განცვიფრებული დარჩა თვითონ ელიოტი, რწმუნებული შერვაშიძეც.

— დანიშნეთ ასისტავად! — ვასცა განკარგულება კონცესიონერმა.

— ჯამაგირზე გადაიყვანეთ! — დაუშატა მანვე.

ბეგი დანიშნეს ასისტავად, მაგრამ პერსონალურ ჯამაგირზე უარი განაცხადა, სანარდო სამუშაო მოითხოვა; ყველა მუშა სანარდოზე გადაიყვანა, ქიშვარდი გაშტერებული დარჩა ლადარიას მოქმედებით.

„ეგ რა მოგივიდა. — გაიფლო გულში შერვაშიძემ, — კაცი ასე უთავბოლოდ მივიღე და დაზე... ჩემს ფუნქციებსაც ეპოტინება. დღიური ხელფასი გამიუქმა. მუშები სანარდოზე გადაიყვანა. კონცესიონერთან უშუალო კავშირი გააბა. ე. ე. ე“ აქ რალაც სხვა ამბავია, ქიშვარდი, სიფრთხილე გემართებს“.

ქიშვარდი დაუფიქრდა შექმნილ მდგომარეობას, ყველაფერი ზუსტად გაითვალისწინა, მუშების სითამამესა და „თავაშვებულობას“ დააკვირდა ლადარიას აქ მოსვლის შემდეგ და...

— დაგაპატიმრები! ჩამომეხსენ, თორემ ნამესტნიკს მიეწერ. — შეუტია მან ერთ დღეს ლადარიას.

— დამაპატიმრებ?! — ბეგიმ ყურებამდე გაიღიმა, შერვაშიძეს უკმეხად აპხედ-დაპხედა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „ყულზე არ დაგადგეს“.

ბეგიმ გვერდი მიიბრუნა შერვაშიძისაკენ და გაშორება მოინდომა.

— ყური მიგდე, ბეგი!

ბეგი უცებ შემოტრიალდა, შერვაშიძეს შორიანლო დაუდგა და აღმაცერი თვალეირება დაუწყა.

— შენზე რალაცები გამოგონია: ვაყვაცი ბიჭი ხარ...

— შერე? — აღარ დააცალა ბეგიმ შერვაშიძეს.

— მოდი, ერთად ვიმოქმედოთ.

— როგორ?

— ვიმუშაოთ და ქირი თუ ლხინი (ზარალი და სარგებელი) შუაზე ვიყუთ.

— ა. ა. ა! Вот как?! არ მინდა. მიზეზს კი ნუ მკითხავ. შენ დალალი ხარ, მოიჯარადრე, რწმუნებული და რა ვიცი, მე კი... ამის მეტს ნურაფერს მკითხავ. ნურც რაიმეს შემომთავაზებ, რადგან მე კარგად ვგრძნობ თავს მუშებში...

— გირჩევ, როგორც...

— გმადლობ რჩევისათვის. ასე მირჩევნია.

— მაშ ჩამომეხსენ.



- როგორ?
- გზიდან ჩამომეცალე.
- არაფერი მესმის!
- კონცესიონერის რწმუნებული ხომ მე ვარ.
- შერე? შენთან ვაწარმოოთ მოლაპარაკება... შენი მეშვეობით?!
- როგორც საჭიროა.
- ვისთვის რა არის საჭირო, მაგრამ... ჩვენ ინგლისელთან პირადად მოლაპარაკებას ვარჩევთ. ჩვენც შეგვიძლია ჩვენს გასაჭირზე ვილაპარაკოთ.
- წააგებთ.
- ბევრს არაფერს.
- უმუშევარი დარჩებით.
- არა მგონია.
- შენ რას ჰქარავავ, რაც გინდა მიიღე ოღონდ...—შეატრიალა სიტყვა-

შერვაშიძემ

- აბა, ჩუმიად, თორემ... იცი, მე ბეგი ლადარიას მეძახიან.
- მე არ გეკითხები რას გეძახიან.
- გამოვადგება, ჩაიწერე!

ქიშვარდიამ ფეხის ფრჩხილებამდე გაზომა ლადარია, რამდენჯერმე აშხედ-დაშხედა, პრაზით მოიკენიტა ულვაშები და თავისთვის გაიფიქრა. „ოხერი ვინ-მეა, არ დათმობს“. „არ დათმობს და სიფრთხილეა საჭირო“—დაასვენა შერვა-შიძემ.

ბეგემ მიიღო ასისთაობა.

სამუშაოები დასძრა მკედარი წერტილიდან. მუშებს დაუახლოვდა, სათითაოდ ყველასთან მჭიდრო კავშირი გააბა. მუშებში ხუთეული გამოჰყო, მუშათა კომიტეტი უწოდა ამ ხუთეულს, კონცესიონერს თვითონაც დაუახლოვდა, კომიტეტის წევრები გააცნო და მათი უფლება-მოვალეობა აუხსნა.

— რა ვაკია? სადაურია?—გამოაკითხა ელიოტმა, როცა შეჰხედა, რომ ლადარია მუშებში იშვიათი პოპულარობით სარგებლობდა და, მიუხედავად იმისა რომ ახალი მოსული იყო, ყველა დიდის ნდობითა და პატივისცემით ეპყრობოდა.

შერვაშიძემ დრო იხელთა ლადარიას საწინააღმდეგოდ სიტყვა ჩაეკრა ელიოტისთვის, მაგრამ სწორედ ამ დროს კარავს თავს წაადგა კბილებამდე შეიარაღებული ზორბა ტანის ნაბადწამოსხმული ვაჟკაცი. მოპარსული წვერი, ხშირი ულვაშები, განიერი შუბლი და მუშტისოდენა თვალები.

— სად დაკარგულხარ, შე დედა გალლეტილო!—სიცილით მიმართა მან შერვაშიძეს, აგია შენი ელიოტე?!—დაცინვით აშხედა ახალმოსულმა შერვაშიძის გვერდით მდგომ ქერა ინგლისელს და ბოზი ხმით გადინახარა:—ახლად დაბადებულ შაიმუნს არ ჰგავს?! ჰე-ჰე ჰე!

— რაო?—იკითხა ელიოტმა „ელიოტეს“-ს გაგონებაზე.

ქიშვარდი შეერთა, ოდნავ გაწითლდა და თარჯიმანს მიუბრუნდა.

— ჩვენებური თავადია, სერ ელიოტის გაცნობა სწადია—მოწიწებით გააცნო შერვაშიძემ ახალმოსული ინგლისელ კონცესიონერს და ელიოტს ღიმილით გადააშხედა.

ელიოტი ადუღლუნდა ინგლისურად, ხან გაიღიმა, ხან კიდევ დანალრულ სახეზე მჭირდავი ხაზები ალბეჭდა, მაგრამ ვერც ქიშვარდიმ და მით უმეტეს

ვერც თავადად გაცნობილმა შეიარაღებულმა ვერაფერი გაუგეს ენაზე მოლაპარაკეს. მუნჯურად ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს და შიშველ პაუზის შემდეგ კარავს მოშორდნენ.

— კარგი ვაჟაკი ხარ, დათიკო, მაგრამ მჭირდავი ხარ, ნიშნებს კილოზე მიჰმართა შეიარაღებულს შერვაშიძემ.

— შევარდნაძე მოგიკედეს, მე თუ მჭირდავი ვიყო.

შერვაშიძემ წყენით გაიჭნია თავი, შევარდნაძეს არაფერი უპასუხა.

— რას იბუტები, შე დედა ვალეტო! მაიშუნს ჭგავს და მიიშუნს შევადარე. როდის იყო რომ ვირს ბედაურად ასალებდენ? მიიპასუხე!

— მუტის-მუტია, დათიკო, მე ხუ მოვკედე! მიხედებოდა კიდევ, შენ რომ ახვიხვინდი.

— აბა, სისულელეს თავი დაანებე. შენ ის მითხარი, ბაჯალლო ბევრი აქვს?

— ინგლისში ბევრი. — გადაუკრა სიტყვა შერვაშიძემ.

— აქ რამდენი აქვს? მართლა, ვილაც ლადარიაზე ესაუბრებოდი ინგლისელს. ვინ არის? სადაურია? — განგებ იკითხა შევარდნაძემ.

— ასისთავია. მეგრელი უნდა იყოს.

— კაი ბიჭია?

— შენსავით თავზეხელაღებულია. — გაიცინა შერვაშიძემ.

— მაშ კარგი ბიჭი ყოფილა. ხუმრობა იქით იყოს და იცი, ლადარიასთან ცოტა მორიდებულად უნდა გეჭიროს თავი შენც და იმ შენ ინგლისელ მაიშუნსაც.

— როგორ?

— ისე რომ... ლადარია თვალის ჩინივით უნდა შეინახოთ.

ქიშვარდი უგუნებოდ შეიქნა. მიხვდა, თუ რას ნიშნავდა შევარდნაძის გაფრთხილება და გაფრთხილების ასეთი კილო.

— შეეინახოთ რა...

— ჰო, უნდა შეინახოთ! — მკვახედ მოუჭრა შევარდნაძემ. — ჩმას გეკითხებოდი: ბაჯალლო ბევრი აქვს?

— რას სულელობ, დათიკო!

— სულელიცა ხარ და... დედა ვალეტო! — დააბრიალა თვალები შევარდნაძემ. — ხომ მიცნობ ვინცა ვარ?

— არა, არ გიცნობ, შენმა სიცოცხლემ — სიცილით შეუტია ქიშვარდი და, ნიშნად ახლო მეგობრობისა, ბეჭებზე ხელი დაჭკრა. ხმა დაიდაბლა და ყურში წასწორწულა: თუ ძმა ხარ, თავი გაანებე მაგ ოხერ მამაძალს. ისედაც აღრენილია და ახლა მაგას რომ ფულისთვის ვინმე თავს დაესხას, მოუსვამს აქედან და ის იქნება.

— წავიდეს, მაგის ოხერი დედაც...

— დათიკო, შენ გენაცვალე!

შ ე რ ი ლ ი

საახალწლოდ ძიკი ჩიჩიას მოადგილედ დანიშნეს. ახალგაზრდა ურიადნიკი ხალისით შეუდგა „მძიმე“ მოვალეობის ასრულებას და ბოქაულ ჩიჩიასთან აღრევე საიდუმლოდ დასახული გეგმის განაღებებს.

— არა, ბიძია, ჩვენ სახარჯო გვინდა. ათი კაცი უკაპეიკოდ დამტყდნარ...
თუ მაგისთანებს არ წავეუთაქვთ ქეჩოში, აბა რით უნდა ვიცხოვროთ.

— დათიკო, თუ ძმა ხარ, თავი გაანებე. სხვა დროს რუდიის დამქვლია?
ასეთი საქმის პირველი ორგანიზატორი მე ვიყავი ყოველთვის...
ახლა შეუძლებელია.

— აბა სხვაგან მიგვითითე.

— ეძიეთ და იპოვეთ, თქვე ოხრებო!

— ჩვენ უკვე ნაპოვნი გვაქვს. დღესვე წავეუთაქვთ და ის იქნება,

— დათიკო, შენი ქირიმე!—დაიღრიალა შერვაშიძე.

— აბა სახარჯო მოგვეცი.

— ჩემი თავი გენაცვალოს. ბოლოს კი... თუ იქამდე მივა საქმე, მე აქ არა
ვარ? ერთი თვალის დახამხამებმა და მოჩრჩხა: ღინღლიც არ ჩაპყვება ინგლისში.
შევარდნადემ ვადიხარხარა.

— კარგი, კარგი, შე დედა გალღეტილო! ლადარიას გაუფრთხილდით.
არაფერი შეემთხვეს, თორემ...

— იცნობ?

— ვამიგონია. კაი ვაგაკაცია. მინახავს კიდევ.

— სადაურია?

— სადაურიც უნდა იყოს, კაი ბიჭია მეთქი, შე დედა გალღეტილო. გა-
მოაზოვა ბოლოს შევარდნადემ და მუშებისკენ დაიქირა გეზი. მუშებში ლადა-
რიას მოკრა თვალი და საჩქაროდ გაეჭანა მისკენ.

— ერთგულება, თავდადება და...—აქეზებდა ჩიჩია წარმატების ყინით
გაბრუებულ ახალგაზრდა მოხელეს და თვითონაც სული მისდოდა მორიგი
წარმატებისა და დაწინაურების მოლოდინში.

სამოქალაქოში ხმა გავარდა:

„ჩიჩიას მაზრის უფროსად ნიშნავენ“.

„ქუთაისის ციხის უფროსად გადაყავთ“

„გუბერნატორს პოლიციისტრობა უწყალოებია“.

ჩიჩიამ კი მაზრის უფროსობა არჩია ჩამოთვლილ სავარძლებს შორის და
ადრინანდ შეიფერა ჯერ კიდევ „მისი უდიდებულისობის“ სათანადო ბრძანე-
ბით უბოძებელი მაზრის უფროსობა. აჩქარდა ჩიჩია ხმების გავარდნაზე, მოთ-
მინება გამოეცა. მეზობელი რაიონების ბოქაულებს ბრძანების კილოზე დაწე-
რილი საიდუმლო მიმართვა გაუგზავნა გაქცეული გოჩა ურადიას დაუყოვნებ-
ლივ შეპყრობისა და ხეთაში გადმოგზავნის შესახებ.

მიმართვაზე კი ხელი მოაწერა, როგორც ბოქაულმა.

„დამცინებენ“ — გაიფიქრა ჩიჩიამ, მაგრამ მიმართვები მიიწვ დაგზავნა,

ყველა დუმილით შეხვდა ჩიჩიას თავხედობას.

— იქნება მართლა გაუწყრეს ღმერთი და მაზრის უფროსობა უწყალო-
ბონ... მიგვაციმბირებს.

— რომ დაწინაურებენ, უდავოა, ამიტომ...— დაფიქრდნენ მეზობელი ბო-
ქაულები.

ძიკიც დღითი-დღე ელოდა ჩიჩიას დაწინაურებას, რადგან...

— ჩემს რაიონში სხვას როგორ დანიშნავენ. ბოქაულად,—ფიქრობდა ძი-
კი.— უძველია გავიშარჯვებ. გავიშარჯვებ და... წინ. წინ მეთქი, ძიკი ძიგუაქ,

თუ ბოქაულობა გავინაღდე, მაშინ... მაშინ მიცქირე, როგორ მუხასებო გავიდვამ ფესვები და... მიფრთხილდით, მიფრთხილდი, წერილზეა ქიალუბი? ფული, ქონება, სახელი და დიდება...—ესაუბრებოდა საკუთარ თვფეკე ვხაჯბაძე რა ურიადნიკი.

კაბინეთის კარები ხშირად იღება.

საბოქაულოს ეზოში ხალხს თავი მოუყრია და მზეზე იფიცებდა ურიადნიკთან შესვლის მოლოდინში.

— ბოქაული აქ არ არის.

— ურიადნიკი ლებულობს, — იძლევა განმარტებას მეკარე ჩაფარი და მთხოვნელებს ათვალეირებს.

— გამიშვებ? — ეკითხება მოხუცი ჩაფარს.

— არ შეიძლება. ქალი ჰყავს კაბინეთში.

— ქალი??

— ?!

ჩაფარი, სირბილზე ხრლებდაწყობილი კარის სიახლოვეს ბოლთას სცემს და მთხოვნელებს საქმიანი მზერით ათვალეირებს, ჩაცმულობის მიხედვით ანაწილებს და ურიადნიკთან შეშვებით რიგს მტჯურად ადგენს.

მოხუცი ჩაფარს უახლოვდება, სირბილზე დაწყობილ ხელში ვერცხლის მანეთიანს ჩაუდებს შეუმჩნეველად და ჩაფარის ხელიც ავტომატურად იკუმშება.

— ეხლავე, ძია კაცო! ქალის შემდეგ. — იმედებს ჩაფარი მოხუც მთხოვნელს და ახლა სხვებს ეძებს; ასეთსავე სარფიანს, მთხოვნელებს შორის. ქალი კი იგვიანებს კაბინეთიდან გამოსვლას.

ხანდახან ისმის ყრუ. მაგრამ ხმამალალი ცხარე საუბში.

ძიკი თავაუღებლად უსმენს გაცხარებულ ელენეს და დროგამოშვებით მაგიდაზე აკაკუნებს თითებს.

— გაიტკა? მერე, ჩენი რა ბრალია, ჩემი მოხუცი ქმარი რა შუაშია? უჩა ხომ მთავრობის ერთდული მოსამსახურე! ამას გუბერნატორიც დაადასტურებს,

— არ ვაცი ვინ რას დაადასტურებს, ეს კი უდავოა, რომ გოჩა დია... — ჩამოართვა სიტყვა ძიკიმ და თავი მალა ასწია.

— ყაჩაღია, არა? — ებიერად მიახალა ელენემ ურიადნიკს.

— უფრო მეტიც, ამიტომ...

— გადასახლეთ, არა? ისევ ელენემ დაასწრო.

— შესაძლოა. უჩას კი...

— ტყვიით გაუსწორდებით?!

— ეგეც შესაძლებელია. თუ გოჩას ჩაგვებარებს, მაშინ...

გოჩამ რა დააშავა, მის კარავზე ხომ შენ და შენი ძმა...

— არც ერთი სიტყვა!.. არც ერთი სიტყვა მეთქი, თორემ! — წამოვარდა ურიადნიკი სავარძლიდან და სახის ისეთი ჭერი მიიღო, თითქო ეს არის ქურდობაზე მოუსწრეს და საჯაროდ შეარცხვინესო.

ძიკი მართლაც გრძობდა სიხილისის ქეჯანს. ხედავდა, თუ როგორ უდანაშაულოდ ისპობოდა შეძლებული ოჯახი, ხედავდა, მაგრამ სწორედ აქ იწყებოდა პირადი ანგარიშები, სადაც ბოქაული ჩიჩიაც იმ თავიდანვე აქტიური მონაწილე იყო და, მაშასადამე, ურიდიას ოჯახის განადგურების ერთხელოვანი მომხრე.

— გოჩა ურიდია მოკლათ, მოხუცი ან გადავასახლოდ, ან კიდევ... გოჩას მივაცოლოთ, ელენე კი?.. — დაასვენეს ჩიჩიამ და ძიკი ძიგუამ.

— ელენეს მე მოველაპარაკები, — შეიტანა წინადადება ძიკიმ.

— იჭნება დავითანხმო, თუ არა და...



საქართველოს
საბჭოთაო მთავრობის

— ისიც ციმბირისკენ, არა?
— ჭეშმარიტად, ციმბირისაკენ!— მოიწონა ძიკი ძიგუამაც.
აქედან დაიწყო ურიდებლის შევიწროება.
გოჩა გაიქცა. ტყეს შეაფარა თავი. ჯოგი ვინადგურდა, კონსტანტინე
ქონებრივად. უნა ურიდია კი ეს ერთი თვეა ციხეში ზის საქმის გამოსურვე-
ვლად.

— მიზეზი მაინც არ უნდა გავაგებინო? რად დაატუსაღეთ მოხუცი
კაცი?!— ეკითხება ძიკის ელენე.

— მიზეზი იქნება.

— დავვისახელეთ.

— ამას საქმე დავგანახებ.

— თქვენ კი შეგიძლიათ რაიმეს დანახვა?

— ქალბატონო!— დასცინა ძიკიმ ელენეს გესლიან კილოზე.

— მაშ რისთვის გვლუბავ, რა დავგიშაყებია.

— სად არის გოჩა?

— გაიქცა, ტყეს მისცა თავი.

— რისთვის?

— რისთვის? შენ რისთვისღა გარბოდი, როცა გაიქცეი?

— „შენ“ გარბოდიო?— გაუსვა ხაზი ურიადნიკმა სიტყვას „შენ“ და აპილბი-
ლებულ ელენეს მგლის თვალი უჩვენა.— გაეიწყუდებათ, რომ...

— ურიადნიკს ველაპარაკები, არა? მაპატიეთ თქვენო...

— დაჩუმდით!

— მაშ რად გარბოდიო?— გაიმეორა ისევ ელენემ.— გეშინოდათ, არა?
შწარეა სიკვდილი საერთოდ და მით უმეტეს როცა ასე უდანაშაულოდ...

— გთხოვთ დაჩუმდით! დაჩუმდით მეთქი! აღრიალდა ძიკი და ჩაფარმა
ცალი თვალთ შეიხედა ოდნავ შეღებულ კარის ქუჭრუტანაში.

— შე საქმეზე მოვსულვარ,— მოუჭრა ვაცეცხლებულმა ელენემ და ფეხი
ფეხზე გადაანასკვა.

კაბინეტში სიჩუმე ჩამოვარდა.

გაბოროტებული მოჩანდა ამ დროს ურიდიას მეუღლე, განერვიულებული
გული საცხველივით უცემდა და სავსე მკერდი რიტმიულად იწევდა აღმა თუ
დაღმა.

— ელენე!— დაარღვია დიდი ხნის მუდროება დამშვიდებულმა ძიკიმ და
ელენეს ახლა ლმობიერი თვალთ მიაშტერდა, კილო გამოიცვალა და სახეზე
მოპარებულმა ღიმილმა გადაურბინა.

— ?!

— რატომ არაფერს მიპასუხებ?! ელენე!

— მაშინ ხომ სიკვდილს გადაგარჩინათ ორივე ძმა,— მაშინალურად წა-
წამოიძახა ფიჭვებში გართულმა ელენემ.

— მისმინე, ელენე!



ქართველი
მწერლების
კავშირი

— მე შენთვის ელენე არა ვარ.
— ჯიუტობა რა საჭიროა! მომისმინე!
— მოხუცი კაცი და ციმბირი...
— „მოხუცი კაცი და...“ — ძიკი ელენეს შეატყდა თვალებში. — „ასეთი ახალგაზრდა“...

— ეგ თქვენი საქმე არ არის. — ისევ დამცინავე კილოზე მოუჭრა ელენემ აღერლილ ურიადნიკს და ცბიერი სახე უჩვენა.

ელენე განცვიფრდა ურიადნიკის ასეთი საქციელით. მაგრამ მას მოაგონდა ძიკის უტიფარი თვალები პასპორტის ალების დროს რომ შენიშნა ლოგინიდან შეშინებულმა ელენემ. ის უტიფარი თვალები ახლა კიდევ უფრო მეტად გამოიყურებოდნენ გასხვილ წამწამებში.

— მისმინე, ელენე — წამოდგა ძიკი სავარძლიდან, ელენეს მიუახლოვდა, აკანკალებულმა ცალი ხელი წელზე მოჰხვია, ცალი ხელით მარჯვენა ხელი დაუჭირა.

— ვიკივლებ, ჭვეყანას შეეყრი! — დაემუჭრა ელენე ურიადნიკს ხელის შეხებისთანავე.

— რა საჭიროა! შე საქმეზე მსურს მოგელაპარაკო.

— ხელები იქით წაიღე, მსუნავო! — ძალით მოიშორა ელენემ ძიკის მორგვევით მძიმე ხელები რომელიც წელზე სეიასავით შემოხვევოდა...

— ელენე! მე შენ ბედნიერება მწაღია. შენთან ერთად მეც მიინდა გავიხარო. შენ ხომ წარჩინებული ოჯახის შვილი ხარ, ურიდია კი... მოხუცი, მეჯოგე, სოფლის მწერალი. ახლა აღარც მწერალია და არც მეჯოგე.

— შენი და შენი უფროსის წყალობით.

— მისმინე, ელენე! მე დღეს ურიადნიკი ვარ, მართალია, მცირე თანამდებობაა, მაგრამ... — ძიკიმ ტიტველ სახეზე ჩამოისვა ხელი და აკოკრილი უღვაშები ნიშანდობლივად შეისწორა. — ახალგაზრდა ვარ... მალე ბოქაული ვიქნები...

— მაზრის უფროსიც — მოუჭრა ელენემ.

— შესაძლოა... რატომ გგონია, რომ მაზრის უფროსობა ჩემთვის აკრძალული ხილი იქნება? შენ ახალგაზრდა ქალი ხარ, სიცოცხლით სავსე... ელენე! ფიქრებმა წაიღო მოხუცი ურიდიას ახალგაზრდა ცოლი და ურიადნიკმა დრო იხელთა დიდი ხნის სოფიქრებულ გეგმის გასანაღდებლად!

— უნა ურიდია უნდა მოისპოს, ელენე! ჩვენ უნდა გავიხაროთ ამ ცოდვილ ჭვეყანაზე... გესმის, უნდა გავიხაროთ!

— ნუ იტყვი, არ მინდა... არ მინდა! — ამატავდა ელენე მთელი სხეულით და გული სიბრალულით აევსო მოხუცი ურიდიას მოგონებაზე.

— ცხოვრება ჩვენია, ელენე...

— ნუ იტყვი... ნუ იტყვი!..

კაბინეთში სიჩუმე გამეფდა და დროგამოშვებით კი შეგუბებული ღრმა სუნთქვა.

კარის ტუტრუტანაში ჩაფრის თვალმა შეიკეცია.

- ხი, ხი, ხი!—გიქივიეთ აფრუტუნდა ჩაფარი და თავის ადგილას გაიქიმა.
- აღარ ათავენს?—იკითხა რომელიღაც მთხოვნელმა.
- დაჩუმდით, ათავენს... ათავენს.
- დაღამდა. შორიდან ვართ ჩამოსული,—ნერვიულობენ დერეფანში მართლაც შორიდან მოსული გლეხები.
- მერწმუნე, ელენე, ენდვე ჩემს პატიოსან სიტყვას...
- შენ...—ელენე კვლავ ფიქრებს მიეცა... „ბეგლარი, ჰო! ვაქაცია, იმ ღამესაც თვალში ჩამივარდა... თუმცა... თვალტანადობით არც ეს ჩამოუვარდება, მაგრამ... ის... ის... არა. ეგ ხომ სისულელეა. სისულელეა და წუთიერი გატაცება.
- მომეცი ხელი.. ხელს მომეცი, ელენე!—გადაეხვია ძიკი ელენეს და ძალით დაუჭირა მარჯვენა ხელი.
- დერეფანში ჩოჩქოლს უმატეს. ელენე და ძიკი ჩქარა გამოეკრკვენ და თავიანთი ადგილი დაიკავეს.
- გამიშვი მეთქი!—ისმოდა დერეფანში ვილაცის ხორბოზი ხმა. კარი ვაილო და კაბინეთში იაკინთე გაფორჩხია შევიდა.
- იაკინთეს დანახვაზე ძიკი დაიბნა, ფერწასული ელენე კი კარისკენ გაემართა.
- რაზე გარჯილხარ?—უგულოდ იკითხა ურიადნიკმა და მიმავალ ელენეს თვალი გააყოლა,
- იაკინთემ თავი დაბლა დახარა და ტანის მოძრაობაში მუნჯური დაცინვა და აღშფოთება გამოამჟღავნა.
- დრო არ მაქვს, ხეალ შემოიარეთ!—იჩქარა ძიკიმ და წასვლა დააპირა.
- ბეგლარი ვნახე, წერილი გამოგიგზავნა.—იაკინთემ მიმავალ ძიკის წერილი გაუწოდა და თვითონ მიუპატიებლად ჩამოჯდა სკამზე.
- ბეგლარი?—შედგა უცებ განცვიფრებული ძიკი.
- ?!
- სად არის?—ძიკი გაწითლდა. სავარძლისკენ მიტრიალდა.
- მუშაობს.
- მუშაობს?!—გაიმეორა აღელვებულმა ძიკიმ და წერილს თავი წაფხრიწა.
- კარგად არის. კომიტეტს ხელმძღვანელობს?!—შეუკითხავად განაგრძო იაკინთემ.—კომიტეტს ხელმძღვანელობს?!—შეახმა ხელში წერილი, ურიადნიკს და წაეკითხა ვერ მოახერხა. ძიკი მაგიდას მიუახლოვდა. მაგიდაზე ჩამოჯდა, წერილს თვალყურება დაუწყო.
- ამ ორ თვეში გესტუმრებო... დედა მენატრებაო...
- დედა?!—აბლუკუნდა თავჩაღუნული ძიკი.
- გილოცავ ურიადნიკობასო...
- გაჩუმდი! — დაპკრა მაგიდაზე ხელი ძიკიმ და სამელნე გადააპირქვევა, უმაღ სტაფილოს ფერი დაედო და უნებლიეთ წარბები აუკანკალდა.
- დანარჩენს თვითონვე გიამზობს... ბატონო ურიადნიკო!

— იაკინთე! — რისხვით გადაჰხედა ძიკიმ ვაფორჩხიას.

— ასე დამავალა და... — იაკინთემ თავი ისევ დაბლა დახარა, რითაც ძიკისადმი სასტიკი დაცინვა და გულის წყრომა გამოამჟღავნა. *ერკინეშვილი*

— იაკინთე! მე მოლაღატე არ ვარ... შე ქვეყნის ხაჭაპურს... მე ბეგლარზე ქვეყანი ვარ და ერთობისთვის უფრო სასარგებლო...

— შესაძლოა... რაკი შენ ასე გგონია... იქნება ასეც იყოს...

— დიღ მე მგონია და თქვენც დაინახავთ.

— შესაძლებელია... მე მხოლოდ დავალემა შევასრულე. თუმცა მოსალოდნელია ძვირად დამიჯდეს ამ დავალების შესრულებაც, მაგრამ იცოდეთ, რომ ბეგლარი ცოცხალია და კომიტეტს ხელმძღვანელობს. — გაფრთხილების კილოზე თქვა იაკინთემ.

ვაფორჩხია სწრაფად გამობრუნდა კაბინეთიდან და ახლა ის მოხუცი შევიდა ურიადნიკის კაბინეთში, რომელმაც მანეთი უფეშქაშა ჩაფარს.

„კომიტეტს ხელმძღვანელობს“. უუჰ, ძიკი ძიგუა, ან შენ და ან ბეგლარი ამ ცოდვილ დედამიწაზე, ან შენი გეგმის განხორციელება და გამარჯვება, ან კიდევ ბეგლარისა... და სიკვდილი, განადგურება... მაგრამ ბეგლარი ხომ მარტო არ არის. ბეგლარი ხალხთანაა. ბეგლარი ხალხის გულშია. შე კი... მარტოდ მარტო ვარ... მარტოდ-მარტო, თითო-ორი თანამგრძობის ამარა, თუმცა... ძალა-უფლება, იარაღი, ფული და ყოველგვარი ბრძოლის საშვალეება ჩვენს ხელშია. არა, ძიკი ძიგუა, შენ არ დაიღუბები. დაიღუბება ის, ვინც მართალია და ვისაც სიმართლის განადგობა არ შეუძლია. დაიღუბება ის, ვისაც ბრძოლის საშვალეებად ხალხის „სიმართლე“ მიაჩნია... რა არის სიმართლე? რა არის სამართალი. სამართალი მისია ვინც ძლიერია, მოსამართლე ის არის ვინც შეძლებულია, შეიარაღებული. არ შედრკე მეთქი, ძიკი, არ შეშინდე და გაიმარჯვებ! გაიმარჯვებ, როგორც ყოველი ძლევა მოსილი“. ძიკიმ წერილი გადაიკითხა და ისევ მწარე ფიქრებს მიეცა გულამღვრეული.

„გილოცავ ურიადნიკობას“... ხელმეორედ ჩაათვალიერა ძიკიმ წერილი და გესლიანად ახვიხვინდა. — ჩქარა გუბერნატორობასაც მომილოცავ, გუბერნატორობას... უჰმე! იუდას კერძი! მემუქრება კიდევ... „გერჩია ხალხს არ ჩამოშორებოდი“. ხალხი!.. იაკინთე ვაფორჩხია, ივანე ჯოლორია და მისთანა გლეხტუები ხალხია ჩემი ძმის თვალში, ადამიანებაი? მე კი მგონია, რომ ხალხი ცხვრის ფარაა... ხალხი ჭიანჭველების გროვია... ხალხი გაუგებრობაა ცოდვილ დედამიწაზე... ქვეყანა მისია ვინც ხალხზე მალა სდგას, ვინც ხალხს ბურთივით ათამაშებს, ვინც ხალხის ბედს განაგებს, ვინც...

— შეიძლება? — იატაკმდე დახარა თავი მოხუცმა.

— რისთვის ვარჯილხართ?

— მოსახსენებელი მაქვს ბატონო ურიადნიკო. უნდა მომისმინოთ.

— გისმენ. — ურიადნიკი სავარძელს დაუბრუნდა. — დაბრძანდი. — მოხუცმა ნაბადი მოიხსნა და ურიადნიკი სახტად დარჩა მოხუცის მკერდზე შეიდი ჯვარმენდლის დანახვაზე.

— მე ელიშულს მეძახიან, რამის შეიდი ვარ.

— გამიგონია. ბოქაულმა ჩინიამ თქვენზე ბევრი საარაკო რამ მიამბო ერთ-ერთი შინაური საუბრის დროს.

ჰო და ახლაც საქმეზე მოვშლვარ. მურთაზ ქუთაისში ვნახე ერთ კერას დააყოვნებს. დამავალა თქვენთვის გადმომეცა ყველაფერი.

ძიკიმ კარები გამოიკეტა და მოხუც რამიშვილთან ერთად საქმიანი საუბარი გააბა საბოქაულოში.

ლომისკარელი

თოვს.

ეგვიტოს ფაცხაში მეზობლის ქალები შეგროვილან. ბურდლას წაწენ და ქვეყნის ავკარგზე საუბრით ერთობიან.

— ძალიან კაი კურო უშოვა ხოსიამ მის დას, ნათელას, — დაიწყო ეგვიტომ.

— აყარყუმდა მისებურად, — ჩაიჭირჭილეს ქალებმა და ლადარი გამოჩხრიკეს.

— ტუელს ვამბობ თუ?! ლეკურით ვერ წააგდებიებ კისერს, ისეა გაეირლილბული მაგი ცხენიპარიე მეგრელი, — დაუმატა ეგვიტომ და გაწეწილი ბურდლით საესე ხელი ცაცხვის კანიდან შეკერილ კოთხოში გაიკალა, თითები დაინერწყვა და ისევ ბურდლის წეწვას შეუდგა.

— რატომ არ ექნება კისერი გაეირლილბული, ჩემო ეგვიტო, კაი ცხოვრებას ვინ არ შეიფერებს?

— რა კაი ცხოვრება უნახავს, ორი კაპეიკიზა სასწორზე აქვს თავი შეგდებული. რა წუთში გამოირაგვება იმ კარხლებში, არ იცის. — ჩაერია საუბარში ილიკო ტოროტაძის ცოლი მარინე.

— წინად რა უნახავს, მე არ ვიცი, და ახლა რომ კეთილ ცხოვრებაში ჩავარდა, აგი აღარ არის სადავო, ჩემო მარინე!

— რა ცხოვრებაში?!

— რა ვიცი, აი ჩვენი ხოსიეს ოჯახი კი გაანადგურა და...

— როგორ?! — გაიკვირვეს ზოგაერთებმა.

— „როგორ!“... — დასცინა ეგვიტომ მეზობლის ქალებს და სიცილი აიტეხა. — დაუსუნთქავეი ვარიები — ცხენიპარია მეგრელს, დედალი ინდაური — ბეგი ლადარიას, ნასუჭი დედლები და წამარილებული ლორის ბეჭი — ბეგი ლადარიას, გადადღლებული ადესა და იზაბელა — ლადარიას. ქინძის ძმარში ჩაწვობილი კალმახი — ლადარიას, კაი მურაბა, ჯანჯუხი, ხილეული, ტკბილეული და კიდევ კაი გაფრიწინებული გოგო.

— ო, გაგიხმეს მაი საშხამავეი ენა! — მიაწყველეს ქალებმა ეგვიტოს და ბურდლის განაწეწი ცეცხლში დახრუკეს.

— არა, მისმა სულის ცხონებამ, ამდენი ხანია კუროსავით ვაქყაცი ოჯახში ჰყავს და ხელშეუვლებელს დასტოვებდა იმისთანა მარწყვივით გოგოს. ნათელას ახლა ბადალი არ ჰყავს ჩვენს სამამასახლისოში.

— კაი გოგოა, შენ ნუ მომიკვდე!

— კაი გოგოა, მარა კაი ბიჭიც ქე მოიგდო ხელში.



ერეკენული

- მოიგდო თუ არა, ეს ჯერ სადავოა... მარა...
- ვითომ დასტოვებს?
- რა იცი არ დატოვებს! რამდენს გაჭირვებულს უაქვს დატოვებს? — დაასკვნა ეგვიტომ.
- არა მგონია, რომ დატოვოს, — გამოეძვრა ეგვიტოს ტოროტაძის ცოლი-მარინე. — ლადარია ახალთაობის კაცია. ილიკო ამბობს: ბეგის დიდიკაცის მომავალი აქვსო.
- ბეჩაა! — გაიკვირვებს ერთხმად ქალებმა.
- აბა ვაკეთებულა ხოსრე ტრაპაიძის საქმე.
- ბედი ნათელას ჰქონია და ეს არის.
- ახალთაობის კაცი ყოფილა. იმიტომაც ივლეჯდა წვერებს ნიკო ბლალოჩინი: სურბში საეჭვო ხალხი ჩამომითესლესო.
- მართლა ბლალოჩინზე რაღაცებს ამბობენ, — ხმადაბლა თქვა ერთმა.
- რას ამბობენ?.. ქმარშვილს გაფიცებ, — დაინტერესდნენ სხვებიც.
- ჯაშუშობას თუ სწამებენ, — წამოისროლა ეგვიტომ.
- უი, მაგას დაშუბავს მისი გამწენი...
- ლეთის მაგიერი კაცი და ჯაშუში?
- ფუ! — ორივე მხარეზე გადიფურთხა ეგვიტომ და პირჯვარი გამოისახა.
- წმინდათა წმინდა მგონია და ჯაშუშობს?
- ისე მისმა ცოლშვილმა იხარა მაგი კაი კაცი იყოს. ურიეს ცხენსავეთ აწვალებს მოჯამაგირეს და ჯამაგირს არ აძლევს. ლმერთი სწამს მაგ ურჯულოს?
- ლმერთო შეგცოდე და ილიკომ მითხრა, ლმერთი არ არისო, — შეშინებულ კილოზე თქვა მარინემ.
- ლმერთი რაღა არ არის, დეილოცა მისი სამართალი, — გადაიწერეს პირჯვარი ქალებმა.
- ლმერთი დიდია, იკურთხოს მისი დიდება.
- რა ვიცი, არ არისო და... — გაიმეორა მარინემ.
- ბეჩა, ნუ იტყვი უცნაურს. ლმერთი კი არის, ვენაცვალე მის განგებას. ისე, ამ წუწკმა ღვღელ-ღიაკენებმა კი გააბახეს სარწმუნოება. ლმერთი თუ არ იყოს, აბა რამ გააჩინა ამისისხო ქვეყანა?
- ქვეყანა ბუნებამ გააჩინაო. ადამიანი მაიმუნდინდნ არის წარმოშობილიო.
- დაჩუმდი, თუ ლმერთი გწამს! სად ლეთისნიერი ადამიანი და სად მაიმუნი! დეილოცა მისი განგება!
- ლმერთო შეგცოდე, მარა ადამიანი ქე წაგავს მაიმუნს.
- გაჩუმდი, თუ ლმერთი გწამს! ლმერთო შეგცოდე, შენიმუხლების ქირიმე! — დაიმუშტეს ბაგე-ტუჩები, შეშინებულმა ქალებმა.
- არა, ლმერთი კი არის, მარა აი ღვღელ-ღიაკენები... იცით რას ამბობენ?
- რას?
- ამას წინათ რომ იმდენი ხალხი დაწყვიტეს და ზოგი გადაასახლეს, სამღვდლოება დიდ მონაწილეობას იღებდა ამ საქმეში, ნიკო ბლალოჩინმა თურმე ხუთი კაცი ჩამოაღწოზბია თავის საბლალოჩინოდან.



- დამიდგეს თვალები!
- წმიდაო შენ დამიცავი!
- ღმერთო შეგცოდე, მარა... ნუთუ ღმერთი არ ხედავს... ამ საზიზღარ საქმეს? რაღა ღვთისმსახური კაცია ისეთი ადამიანი, რომელსაც ხელი სისხლში აქვს გასერილი.
- ალბათ დასჯის კიდევ.
- რავე, მაგ მგლის არჩივს ამდენი დრამის ფული და საწირავ-სალოცავი არ ჰყოფნის, რომ ჯაშუშობაში და ხალხის განადგურებაში არ გეისვაროს ხელები?
- ღმერთო შეგცოდე!..
- ღმერთო, ნუ გვიწყენი!—ააპყრეს ხელები ქალებმა და ოჯინჯალეს მიაშტერდენ, სადაც კონწლებად გვიდა დიდი ხნის ჩამოუწყმენდავი კვარტლი და ცეცხლის კვამიზე გასახმობად ჩამოკიდებული ღორის კვეთები.
- კი, მარა საიდან ტყობილობს მაგ იუდის კერძი საიდუმლო ამბებს?— დაეჭვდა ერთი.
- რა ვიცვი, ჩემი კმარი ახალთაობის კაცია, მაგრამ ხმას არ ამოიღებს „საჩუქმათო“ საქმეზე,—გააქნია თავი მარინემ.
- იცით რა შითხრეს? ლომისკარელი ეზმარება ხალხის გამოტეხაშიო,
- ლომისკარელი!
- დეილოცა მისი დიდება!
- ლომისკარელზე ტყუილის თქმას ვინ გაბედავს!
- აღსარების დროს თურმე ყველაფერს ამბობენ.
- კი, მაგრამ ახალთაობის ხალხი რომ არ დადის ეკლესიაზე?
- ზოგიერთები დადიან... ზოგის ოჯახის წევრები სისუსტეს იჩენენ.
- რავე, რომ გკითხონ რაიმე აღსარების დროს, ტყუილის თქმას გაბედავ?
- დეილოცა მისი განგება. ჩემი თქმა რად უნდა, თვითონ არ იცის თუ?!
- ერთი შენც, ადამიანის ხელით გაჭედილმა ხატმა რა უნდა იცოდეს?— თამამად სთქვა ახლა მარინემ.
- ნუ იტყვი მაგას, მარინე! ადამიანის ხელით არის გაჭედილი, მაგრამ ყველაფრის მცოდნეა, ვენაცვალე მის განგებას.
- აბა, რა... კაცის გაკეთებული ღმერთის რავე შემეშინდება! იმდენს სიცრუეს ვიტყვი, ნახევარი ვერ დაითვალის.—დაუმატა მარინემ და უფრო გათამამდა.
- გაბედავ ცრუობას?—გაკვირვებით ჰკითხეს ქალებმა მარინეს.
- რატომაც არა.
- კაი გული გქონია, ჩემო მარინე! შე შემეშინდება.
- რის?
- როგორ თუ რის?! ლომისკარელმა ცოტა აყვირა და აბლაღლა ჩვენში?
- ტყუილია. ხალხია დამფრთხალი, თორემ არც ერთ ხატს არაფერი არ შეუძლია.
- ა მეორე ანტიქრისტე!
- გარწმუნებ, რომ არ შეუძლია.

— სანიკიძე რომ გადასცეს ლომისკარელზე და მეორე დღეს აქვირდა, კი ვარ ქურდიო...—წამოიძახა ეგვიტომ.

— ბერიწვილმა რომ დეიფიცა და იქვე გადირია.

— შემოქმედში რომ წაასვენეს იქ ხალხი დააფიცეს და ორი კაცი რომ შეიშალა შიშით კვუდიდან.

— რას ამბობ?—წაუშინეს ერთად მორწმუნე ქალებმა.

მარინე დაიბნა, ასეთ შეკითხვებზე პასუხი ვერ გასცა, თუმცა გულში დარწმუნებული იყო, რომ ხალხის გაგიჟებისა და გამოტყუებისა ხატი არაფერ შუაში იყო, მაგრამ ნამდვილი მიზეზის გამონახვას ვერ ახერხებდა და ისეთ დროს ყოველთვის დუმის არჩევდა.

— ლომისკარელიც ხელს უწყობს—განაგრძობდენ ისევე ქალები,—და ჩაჩუტებიც *) ეყოლება.

— უეჭველია ეყოლება.

— ერთი მეც ვიცი.—თქვა მარინემ.

— ვინ?

— ელიშულე რომ დაძვრება აღმა-დაღმა, ერთი კვირის წინათ რომ ქუთაისში იყო, იქიდან სამეგრელოში გამოუვლია, ჯუმათში ყოფილა, შემოქმედის მონასტერში და გუშინ რომ ნიკო ბლალოჩინთან ერთად ოზურგეთში წაბრძანდა მაზრის უფროსთან, თუ არაფერი აწუხებს და რაიმე საქმეში არ ურევია, რას დალოდავს ამოგებულ ძაღლივით?

— მართალა მაგია.. ბლალოჩინი და იგი თქოამოგდებული ელიშილე ასეა ერთმანეთზე გადასკენილი.—ეგვიტომ საჩვენებელი თითები ერთმანეთს გადასკენა. ცეცხლს ხმელი ფიჩხი მოუმატა და ისევე ბურღლის წეწვას შეუდგა.

— ეგვიტო!—მოსისმა გარედან ყრუ დაძახილა.

ქალებმა ყურები ცქვიტეს.

— ხოსიეს ხმა იყო.

— მობრძანდი!

ფაცხაში ხოსია შემოვიდა.

— გამარჯობათ ქალებო, გეტყვი მე!

— გაგიმარჯოს, „გეტყვი მე“!—უპასუხეს ერთხმად ქალებმა.

— ბურღლის საწეწელში ხართ, აბა, სირის კული გექნებათ საღამოს,

გეტყვი მე!

— რატომ არა.

— თქვენი სტუმარი ვარ, გეტყვი მე!

— მობრძანდი, ხოსია!

— ეგვიტო. ხუმრობა იქით იყოს და ცხენი უნდა მათხოო.

— სად გინდა?

— ლადარია სამეგრელოში აპირებს წასვლას. ორ დღეში ქე დაბრუნდება, ქირას კარგს მოგცემს, გეტყვი მე!

— რომ დათოვოს?

*) ჩაჩუტს—ჯაშუშს ეძახოდენ გურიაში.

— რავე გეკადრება, ეგვიტო! იმხელა თოვლი რავე მოვა, გეტყვი მე რომ ცხენმა ვერ იაროს?

— წეიყვანე. შენი მოყვარე კაცია და არ გაეაწილებს ^{ერკენული} ~~გადადრეწის~~ ^{კეტიყა} ეგვიტომ და ცხენის შესაკაზმად წამოდგა.

— რა მოყვარეა ჯერ, გეტყვი მე! ლამეს ათევს ჩემსას და ეს არის.

— იქნება.—წარბის აწევით უპასუხა ეგვიტომ.

— თუ იქნება, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, გეტყვი მე! რა ურიგო ბიჭია, თუ იცი.—მიხვდა ხოსია გადაკრული სიტყვის ნამდვილ მისამართს.

— დიდებულ ბიჭია!

— კაი ვაქვაცია.

— მეგრული კი არის, მარა...

— რა ფუყოთ, ქრისტიანი ხომ არის.

— ქრისტიანობა რა შუაშია?—იკითხა ხოსიამ.

— აბა, თათარი რომ იყოს, გაატან ნათელას?

— თათარი და ქართველი რამ გაარჩია, ორივე ადამიანი არ არის?

— უი, დამიდგეს თვალები!

— აგი წერია იმ თქვენი ახალთაობის პაგრამაში, თათარი და ქრისტიანი ერთია, ვინც გინდა ითხოვე ვისაც გინდა ცოლად გაყვეო?

— აგიც წერია, გეტყვი მე—დადასტურა ხოსიამ.

— აბა არც თავადიშვილობა და აზნაურობა ყოფილა რაიმე.

— თავადიშვილი! შევარცხვინე, გეტყვი მე, ლადარიაზე უყეთესი თავადიშვილი. დამისახელე, რომელ თავადიშვილს ჩამორჩება?!

ქალებმა ერთმანეთს გადააჭედეს.

— იქნება თავადის ვაკეთებულა?—წამოძახა ერთმა.

— ვისი ვაკეთებულა, მოწმედ არ დავსწრებივარ, გეტყვი მე, და კაი ვაქვაცი და ქვეიანი იქი რომ არის, აგი არაა სადაეო.

— ვაი, რა დრო მოდის!—ამოიოხრა ერთმა.

— რას მოვესწარი!—გამოისახა პირჯვარი მეორემ.

— ასეთიც მინახავს და ისეთიც. ახლა ახალიც ვნახოთ, რა იქნება,—დაუმატა ეგვიტომ და საჯინიბოდან ცხენი გამოიყვანა.

ხოსია გატრიალდა აჯილდა ცხენის დანახვაზე, უნაგირს გადააჭედდა, მოხართავეები გასინჯა და ქალებს მიუბრუნდა:

სირისკულზე თქვენი სტუმარი ვარ, გეტყვი მე!

— მობრძანდი, ხოსია, გამიხარდება, შეილებს გეფიცები,—მოიპატიოა სალამოსთვის ხოსია ეგვიტომ და ფაცხაში შებრუნდა.

306 უნდა იყოს?

— ინახულე მოხუცი რამიშვილი?—დაბრუნებისთანავე იკითხა ბოჭაულმა ჩინიამ და პასუხის მოლოდინში ძიკის იქვენულად დაუწყო ცქერა.

— ენახე. დიდხანს მესაუბრა,—არ დააყოვნა ძიკიმ.

— ლადარიაზე გეტყოდა რაიმეს.

— ცნობები გადმომცა. ჩაწერილი მაქვს,—გაწითლდა ძიკი.

— ვინ უნდა იყოს?—იკითხა ჩიჩიამ, დარწმუნებულმა რომ ძიკიმ ბევრ ლადარიას ვინაობის შესახებ არაფერი იცოდა.

ძიკიმ თავი დაბლა დახარა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქო შეკითხვაზე საპასუხოდ ემზადებოდა.

— იქნებ აბხაზი იყოს გამოქცეული?

ძიკიმ უკოდინარობის ნიშნად თავი გაიქნია და ფიქრებს მიეცა: „რისთვის გამოვტყედე ასე ტყუილ-უბრალოდ? ბევრი ლადარია რომ ჩემი ძმაა, ბეგლარ ძიგუა, ეს ჯერ მე ვიცი და უჩა ურიდიამ. უჩას ამ დღეებში ბოლოს მოვუღებ და... ბეგლარი ხომ... არა, ვნახოთ, ჩიჩიას როგორ დააწინაურებენ. ვნახოთ ვის წამოაყენებენ მის ადგილას... თუ, ვინიცაა გვერდს ამივლიან, მაშინ...—ძიკიმ თვალები დაწკურა და ჩიჩიას ირიბად გადახედა.—მაშინ გიფეთებ ანგელოზებს, მურთაზ ჩიჩია. თუ არა და ბეგლარი სურების ტყეშიც ადვილი დასახუნდავია. ჯერ-ჯერობით კი დუმილი მიჩქევნია. საცოდავი ბეგლარი,—შეპყვა ფიქრებს ურიადნიკი.—სურების ტყეში შეტყუქდა. კარგია თავშენახული ცხოვრება. ჩუ-მად, ქურდულად. კარგია, სანამ ავითვალთვალებენ... მანამ კი მეტებრებით გამოგიდგებიან.

ძიკიმ შეტობა ფიქრებში და სულ დააფიწვდა, რომ ის ამ ეხვად ბოქაულს ესაუბრებოდა სამახურის საკითხზე.

— იქნებ შენი ძმა იყოს, ლადარია... გვარ, გამოცვლილი?—როყიოდ იკითხა მურთაზმა.

— შეუძლებელია. ის რუსეთში აპირებდა წასვლას და სურებში საიდან გაჩნდებოდა. არა, ეგ შეუძლებელია,—მეტი დამაჯერებლობისათვის გაიმეორა ძიკიმ.

— შეც მეტკვება, მაგრამ ნიშნები თითქოს დასტურს იძლევა: მალალი, თმახუქუქა, ზორბა ტანისა.

— წვერი?—დაასწრო ძიკიმ.

— წვერი...—გაიმეორა უაზროდ ჩიჩიამ—იქნება მოუშვა წვერი შენთან გაშორების შემდეგ.

— შეიძლება... მაგრამ მაინც მეტკვება,

— ჯანდაბას! ამ ორ კვირაში ყველაფერს გამოვარკვევ.

— ახალი ცნობებით?—აღელდა ურიადნიკი.

— არა. გურიაში სტუმრად მივიღივარ. ქიშვარდი შერვაშიძისგან წერილი მივიღე, დედაჩემის ბიძაშვილია, ქეიფს ვაპირებ და უთუოდ მეწვიეო. მინდა წავიდე. „მამიდასაც ვნახავ, კეიცასაც გავხეიანი“. შერვაშიძე კონცესიონერის რწმუნებულია. იქნება პირადად იცნობდეს ლადარიას... ყველაფერს გამოვარკვევ. ძიკი მოიღრუბლა. „ყველაფერს გამოვარკვევ“. თუ გინდ გამოვარკვიოს, მერე რა?

— რახედ ჩაფიქრდი?—შენიშნა მურთაზმა ფერწასულ ძიკის.

— ოჯახურმა პირობებმა გამწვლა, ბატონო მურთაზ!—იცრუა ძიკიმ.—სახლის გადმოტანას ვაპირებ, ნასესხები ფულით ვიყიდე და სახარჯო გროში არ გამაჩნია.



- რა დროს სახლია, მეგობარო?
- უბინაოდ ვარ, ბატონო მურთაზ... ფაცხაში ვცხოვრობ.
- არაფერია. მალე ქარვასლას აიშენებ, ოღონდ...
- რა, ბატონო მურთაზ?—მოუხშირა ძიკიმ „ბატონობით“ მიმართა, ნაცვლად სასამსახურო ტიტულის ხსენებისა.
- მე კიდეც არ მჯერა, რომ შენ ძმას გაიმეტებ.
- რატომ იკადრებთ?
- ასე მგონია.
- გარწმუნებთ.
- შეიძლება, მაგრამ...
- არავითარი „მაგრამ“, ბატონო მურთაზ! ფიცი მომიცია!
- მჯერა მაგრამ ძმა არის, სისხლი და ხორცი,—განგებ დაიმდაბლა ხმა ბოქაულმა და ძიკის სულიერ განწყობილებას დააკვირდა.
- ძმა იყო, სანამ ერთად ვიყავით და ერთი გზა ჩვენ ერთად ყოფნის დროსაც არ გვექონია, დღეს კი ჩვენ შორის ღრმა უფსკრულია, უფსკრული, რომელსაც ვერავითარი ნათესაური გრძნობა ვერ ამოყორავს.
- მომწონს. ელენესთან როგორ ხარ?—მოულოდნელად იკითხა ბოქაულმა.
- მოვტეხე,
- დათანხმდა?
- თითქო უარზეა, მაგრამ დათანხმდება. გოჩას ადვილად გაიმეტებს.
- მოხუცი? ჯერ ხომ არ უჩივლია გუბერნატორთან?
- მოხუცი ეცოდება, მაგრამ მოვაწყობ რაიმეს. საჩივარი ველარ მოუსწროია, რომ დავაპატიმრე მაშინ ყოფილა წასასვლელად მომზადებული.
- როცა მოხუცს მოვრჩებით, გოჩა მაშინვე უნდა განადგურდეს. იქნებ მან მოახერხოს გუბერნატორთან ჩასვლა, ფულიანი კაცია, ქრთამი კი ჯოჯოხეთს გაანათებს. აუხსნის ყველაფერს დაწვრილებით და... მშვიდობით: ჩვენი საქმე დალუპულია. შენც...
- ზომები მიღებულია.
- აიგულე ვინმე?
- უკვე დაუწინაშე კიდეც. თოფიც მივეცი, ცოტა ფულიც.
- აი ყოჩაღ! მომწონს!—დაჰკრა ხელი ბეჭებში ბოქაულმა ძიკის.
- მაშ ურიდიებთან ჩქარა გავასწრებთ ანგარიშებს.
- ორიოდე კვირაში.
- სააღდგომოდ ვქორწილობთ კიდეც. ამ ხსნილში არ ივარგებს.
- მეც ასე მგონია. ისე სისხლიანი ქორწილი მექნება ბატონო მურთაზ.
- მოგცლია შენც! სისხლი. სისხლი ზოგჯერ მაქარზე ტკიბლია, შარბათივით საამური. თუ გინდა გაიმარჯვო, ხელი სისხლიანი უნდა გქონდეს.
- ჭეშმარიტებაა!—ყოყმანით დაუდასტურა ძიკიმ.
- ორკოფობა კი აშკარა მარცხს უდრის,—წყაქვების კილოზე სთქვა მურთაზმა და თავის კაბინეთში გაეიდა, კარები გაიხურა და მაგიდაზე დალაგებულ ქაღალდებს დაუწყო თვალჩიერება.

წვეულების თადარიგი



ჩიქვაშვილი

გამძაფრდა ზამთარი გურიაში. ქვენა ქარშეთმა ხოშტკალჩიწმამთხარა. შეწყდა მისვლა-მოსვლა: თხილამურებით თუ გაკალავენ წელამდე თოვლს. შეწყობდა ინგლისელი.

საკონცესიო გეგმა ჩაეშალა.

წინასწარ ნავარაუდები თანხები თითქმის დაიხარჯა, კალაპოტი კი ძველებურად გაუწმენდავი დარჩა, ღრანტეებიანი.

ცალკე თოვლი და უხეირო ზამთარი, ცალკე მუშათა „ქარბი“ მოთხოვნა პირობების გაუმჯობესების შესახებ:

— უბინაოდ ვერ ვიმუშავეთ.

— მბურღავენს სანარდო უნდა გაუდიდდეს.

— ამფეთქებლებსაც.—დაირხა ხმები მუშათი რიგებიდან.

ელიოტი კვლავ დაუფიქრდა შექმნილ მდგომარეობას.

— ველარ გაუძლებ... უნდა მივატოვო...—აიღერდა ის ჩვეულებისამებრ.—

ხმელთაშუა ზღვას უფრო გასწმენდს კაცი, ვიდრე... ამ ლელელულეს.—ზიზლით გადახედა ელიოტმა სუფსას და ისე დაიქუანა, გეგონებოდათ უნდა გააფურთხოსო.

— არ მოველოდი, მე და ჩემმა ღმერთმა!—შეიგრინა უღვაშები შერვაშიძემ და განგებ ნაწყენი სახე მიიღო.

— არა, სხვა გზა არ არის. უნდა მივატოვო...—გაიმეორა ელიოტმა.

— მიტოვება... აბა როგორ გეკადრებათ! ოქროები ჩაგიყრიათ.—შენიშნა შერვაშიძემ.

— მეგონა-ათასი სტერლინგით კონცესიას დავასრულებდი. დღეს კი, როგორც ვატყობ, ეს თანხა კალაპოტსაც ვერ გასწმენდს.

— კალაპოტი არ მოინდომებს ასე დიდ თანხებს, მაგრამ...

— ასე გამოდის. გადმოუთარგმნა ქიშვარდის თარჯიმანმა...

მსახურმა ბუხარს შეშა შეუკეთა: სასადილო მაგიდაზე რომის ცალიერ ქურქელს თვალი მოჰკრა და ფიცხლავ სამზარეულოში გაიტანა. უცებ ინგლისელს თვალი მოარიდა, ბოთლი გადმოაპირქვეა და თავგადაწეულმა ბოთლში ჩარჩენილი რამდენიმე წვეთი ძვირფასი სასმელი პირში ჩაიყლანტა.

შეშა ატაკუნდა ანთებულ ბუხარში და ჩქარა ალში გაეხვია. ქიშვარდი ბუხარს მიუჩინდა გათოშილა ხელები ალზე მოითბო და უცებ დარცხვენილი სახე მიიღო როცა უეცრად ცეცხლის ალზე მორუჯულ ხელის ბალნის სუნი შეიგრინო. ელიოტიც დააკვირდა ქიშვარდის საქციელს და მორუჯულ ბალნის მყარალი სუნის გამო ცხვირი შეუმჩნევლად მალლა ასწია, ჩიბუხი ღონივრად მოქაჩა და დაგრეხილ კვამლს დაწყურულ ზვალით დაუწყო თვალიერება.

— უეჭველად ვიზარალებ.—უაზროდ წამოიძახა ინგლისელმა—რას იტყვით ბატონო ქიშვარდი?

შერვაშიძემ სცადა სიტყვის ბანზე აგდება, პასუხის ჩვეულებისამებრ მიკობ-მოკიბვა და, რომ ელიოტს ეჭვი არ შეპაროდა მის, შერვაშიძის, ერთგულებსა და კონცესიისადმი უანგარო დამოკიდებულებასში, სიტყვა ჩამოუგდო

მისი უდიდებულესობის მეფის ნაცვლის საქმიან გავლენიანობის შესახებ და თავის მხრივ აღუთქვა სრული დახმარება მეფის ნაცვალის მოადგილეს გენ. შირინკინის შეშევობით, რომელიც ეს ერთი ხანია კარგი მეგობარი იყო ჯანაყარაშვილისა.

— მოვიპატიოთ სპეციალურ ნაღიშზე.— დაიწყო შერვაშიძემ.

— ორი-სამი დღე „შაშაპაურად“ ვაქტიფოთ. გზადაგზა სიტყვა ჩამოვუგდოთ კონცესიაზე, ხელისშემშლელ პირობებზე, მუშახელის სიმცირეზე, პეკოლუციონერებზე და რევოლუციონერთა გავლენაზე. შემდეგ გადავიდეთ პირდაპირ საქმეზე და როცა ოჯალემის წვენიტ შებრუნებული გენერალი მხიარულ გუნებაზე დადგება, ვთხოვოთ პირდაპირი დახმარება საკონცესიო პირობების შეცვლის შესახებ. გენ. შირინკინი კარგ დამოკიდებულებაშია ვორონცოვ დაშკოვთან და მე მჯერა, რომ მისი შუამდგომლობა მინისტრის წინაშე უთუოდ გასჭრის და საქმეც სასურველად დაბოლოვდება.

— დიდებულია, დიდებული! თქვენ უთუოდ გენიოსი ხართ ბატონო ქიშვარდი.—სთარგმნა თარჯიმანმა ჯონ ელიოტის გულწრფელი სიტყვები.

გაჩაღდა საუბარი. გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება საკონცესიო პირობების შეცვლის შესახებ. ელიოტი სიბარულით ამჩატდა. აზნაურ შერვაშიძის რჩევა-დარიგება კუთაში მოუფიდა. სათანადო ჯილდო და საჩუქრებიც აღუთქვა შერვაშიძეს, თუ საქმე „რიგინად“ დაბოლოვდებოდა, თუმცა... ვაქნილი ვინმე! ვერაფერს გაუგებს ადამიანი. ხან საით გადაიხრება და ხან საით. ყველგან კი საკუთარ სარგებელს დაეძებს“,—გაიფლო გულში მანვე, მაგრამ შერვაშიძის წინადადება მაინც მოიწონა და ქიშვარდის მიუბრუნდა:

— მოაწყვეთ ნამიდი და ხარჯები ჩემს კისერზე იყოს.

შერვაშიძესაც სწორედ ეს უნდოდა. ინგლისელის ხარჯზე არაჩვეულებრივი ნაღიშის გადახდა და... შირინკინთან აბა რას ვერ გააწყობდა საკმაოდ ვამოქნილი აზნაური, ცხადია საკუთარ ჯიბის სასარგებლოდ.

— თქვენი თანხები რა შუაშია, სერ!—განგებ შეესიტყვა ქიშვარდი ელიოტს,—თქვენგან ხომ დიდად დავალბებული ვარ.

— როგორ გეკადრებათ, ხარჯებს მე ვიკისრებ უკანასკნელ გროშამდე, თქვენი მარიფათი და ჩვენი სტერლინგები.—ოღონდ... ელიოტმა ყურებამდე გაიღიმა, რაზედაც შერვაშიძემ ღიმილითვე უპასუხა და ამით გადაწყდა საკითხი სპეციალურ ნაღიშზე მალალი თანამდებობის პირთა მიწვევის შესახებ, სადაც შერვაშიძე ყველაფერს თავისებურად გაჩარხავდა და მომავალ სამუშაო გეგმას ამთავითვე საძირკველს ჩაუყრიდა.

— მოვიწვევ ყველას, ვისთანაც ხელი მიმიწვდება,—ფიქრობდა შერვაშიძე,—სახარჯო თანხებს ამ ღიპიან იორჭშირს დავციცლავ, ნაღიშს კი საკუთარ პურმარილად გავასაღებ, შირინკინს წინასწარ შევუთანხმდები კონცესიის საკითხებში. ყველაფერს თავის დროზე ავუხსნი და გავაგებინებ და როცა მოლაპარაკებაზე მიდგება საქმე, შირინკინს თვალმაქცურად ვაიძულებ თანხმობა განაცხადოს მეფის ნაცვალთან შუამდგომლობაზე, საკონცესიო პირობების ძირეულად შეცვლაზე, როგორც ამას ფიქრობს კონცესიონერი ჯონ ელიოტი, ხოლო განათხულებზე, როცა ლანჭერი წამოვა, და როცა დანებილი ხეტყე წყლის კა-

ლაპოტთან მოშორებით აღმოჩნდება და მუშა ხელი მიაშორებს დაგიანთ სოფლებს საგაზაფხულო სამუშაოს ჩასატარებლად, მაშინ აი მაშინ... სწორედ ამ უნუგეშო მდგომარეობის დროს მოუსწრებს კონცესიონერს ქვეყნის მთელი მეფის ნაცვლისაგან და გაქცევა და მიტოვდება აუცილებელმა სწრაფად და ჩემთვის საყრელიც. პირობა დარღვეული აღმოაჩნდება, კონცესიონერს, მუშებიც გაეფიცებიან. წყლის კალაპოტი გაუწმენდავი დარჩება, ტყე სანახევროდ გაჩეხილი... საწნახლის ტოლა მორები წყლის ნაპირიდან მოშორებული. დადგება ზაფხული, ჩაივლის ლანჩერი და... იცოცხლე, მოუსევამს ელიოტი ინგლისისკენ! შერვაშიძე კი თამასუტებს ვადმოშლის, პირობის განაღდებას მოითხოვს, მუშებსაც დაეხმარება და თვითონაც დაიხმარებს ხელფასის განაღდებასათვის ბრძოლაში, მთავრობა კი (შირინკინთან ხომ ყველაფერი წინასწარ იქნება შეთანხმებული?) ვასცემს შესაფერს განკარგულებას კონცესიონერის დავალიანების ასანახაზღურებლად გაჩეხილი ხეტყის შერვაშიძისათვის ვადაცემის შესახებ. დიად შერვაშიძისათვის, რადგან გენერალ შირინკინთან ასე იქნება ყველაფერი შეთანხმებული. „ხელი ხელს ჰბანს“ შირინკინსაც ხელს მოუთბობს უცხოელის სტერლინგები და შერვაშიძეც ყელამდე აივსება.

გადაწყდა. დამარხვებამდე გაიმართება ჯერ არნახული ქეიფი შერვაშიძის ოჯახში და ამ ქეიფში „ვადაწყდება“ ინგლისელი კონცესიონერის და შარვაშიძის ბედობალიც.

გ მ ნ ა ც ვ ა ლ ე !

სანამ ხოსია ეგვიტოდან დაბრუნდებოდა, ბეგი შეუდგა სამგზავრო სამზადისს. სამუშაო ტანსაცმელი გამოიკვილა, ძვირფასი ტანისამოსი ჩაიკვა, თეადურად მოირთო და მოიკაზმა.

ტანჩაცმული ლადარია სარკის წინ გაიჯგვიმა: საკუთარ გარეგნულობას დააკვირდა, ტანჩაცმულობა, არ „მოეწონა“ და თავი უკმაყოფილოდ გაიქნია.

ლადარია არწივსავეთ გამოიყურებოდა და, პირველსავე თვალის გადავლენაზე, ყაჩაღის ან დაუნდობელი ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა: გრძელ წამწამებში გოროზად გამოიყურებოდა დანისლული მუშტის ოდენა თვალები, რომელთა საკუთარ ბუდეში გადატრიალდება ისე შინაარსიანი იყო და დამაფიქრებელი, როგორც კარგად დაწერილი წიგნი ან მსოფლიო ოსტატის ხელით ნახატი თუ ნაქანდაკები. განიერი და მაღალი შუბლი, რომაული ცხვირი, მოგრძო პირისახე—კვადრატისებური, მაგარი ყბის ძვლებითა და ფერგვიული ნიკაპით, გარედან შავგრემანი პირსახე ბატკანივით შეფუთვნილი, წვერი ჯერ დაუმშვენებელი, ლილოკრელი, ლოყის ქალაქებში ფუთქი,—თითქო გამოპარსული.

წვერი განგებ ჰქონდა მოშვებული ბეგი ლადარიას. სარკეში ზომივდა ბეგი წვერულვანს. მოვაკრე ახალგაზრდა ებრაელს ამსგავსებდა თავისთავს, მაგრამ ეს გოროზი თვალები?

ნათელა უბზოდ იკვდა სასტუმრო ოთახში და ღია კარიდან ბეგის სამგზავრო სამზადისს უთვალთვალებდა, ერთ ადგილას ვერ ისვენებდა. ტაბტზე

ჩამომჯდარი მუთაქებსა და ყურთბალიშებს წალმა-უკულმა ავოტრიალებდა. ნაქარგს ჩიჩქნიდა, მუთაქის ყურებს აწვალებდა.

ბეგი იარალი გამოიტანა. შეუმჩნეველად შეიარაღდა. რევოლვერითა და პატრონტაშის სიმძიმით ქამარი წელზე დაუცურდა, თედოს ძეაღზე დახაჭტა ნათელამ თვალი მოჰკრა ლადარიას შეიარაღებას.

„იარალი რალად უნდა?“ — გაითქრა მან და ანთებულ სხეულში ცივმა ერუანტელმა დაუარა.

ლადარიამაც შენიშნა ნათელას მზრუნველი თვალები, მაგრამ განგებ არაფერი შეიმჩნია, ასეთ საპასუხისმგებლო მომენტში ქალთან სენარიმენტალურ საუბარს დუმილი არჩია. ბეგის სამეგრელოში გამგზავრება მრავალ საუფრად-ღებო საკითხთან იყო დაკავშირებული. პირველი და მთავარი ის იყო, რომ ბეგის უშუალო კავშირი უნდა დაემყარებია გურია-სამეგრელოს ორგანიზაციებს შორის. მას თან მიჰქონდა სათანადო დადგენილება და ინსტრუქციები. თუმცა პირველი არ იყო ორ მოსაზღვრე კუთხის, გურიასა და სამეგრელოს ორგანიზაციული კავშირი.

ამას წინად სამეგრელოდან იაკანთე გაფორჩხიამ იმგზავრა გურიის ორგანიზაციებში, განსაკუთრებით სურების ორგანიზაციაში, სადაც მეტწილად თავმოყრილი იყენენ კონცესიაზე მომუშავე ვლებებიც, მუშებიც და ინტელიგენტებიც.

წინადაც მოდიოდენ კომიტეტის წევრები გურიაში, გურიიდან სამეგრელოში, მაგრამ ბეგლარის გამგზავრებას ამჟამად უფრო მეტად სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ახლო ხანში, კომიტეტის გადაწყვეტილებით, მოსალოდნელი იყო ხე-ტყის კონცესიის მუშების პოლიტიკური გაფიცვა, რაშიც გურია-სამეგრელოს კომიტეტს ხელმძღვანელი როლი უნდა ეთამაშა და გაფიცვის პერიოდში სათანადო დახმარება აღმოეჩინა დაზარალებულ მუშებისთვის.

გაფორჩხიას ხელით ბეგიმ წერილობითი და სიტყვიერი ცნობები გაგზავნა სამეგრელოს კომიტეტში, წერილი მისწერა თავის ძმას ურიადნიკ ძიკი ძიგუასაც. ჰო და, ბეგი ახლა ძიკისაც ინახულებს: ინახულებს ურიადნიკს ეპოლეტთან, ინახულებს მეფის ერთგულ მოხელეს, რომელმაც შეგნებულად მიატოვა რევოლუციონერ მამისა და ძმის გზა-კვალი, შეგნებულად გაეცა მოძრაობას, მიატოვა რევოლუციონური ბრძოლა, დაბრუნდა სოფლად და ეკურთხა მეფის ერთგულ მოხელედ. ამიერიდან ძიკის სამოღვაწო ასპარეზი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაა, „ახალთაობის“ ხალხის დევნა და შევიწროება... საკუთარ ძმის წინააღმდეგ ვალაშქრება, მამისა და მისი თანამოაზრეების დახუნდვა, ციმბირში გადასახლება ჩამოხზობა, ამიტომ ბეგიმ უნდა ინახულოს ურიადნიკი ძმა, სერიოზულად უნდა მოელაპარაკოს და წინადადება უნდა მისცეს ოჯახზე, დედა სალომეზე, საბოჭაულო საქმეებზე, რევოლუციონერებზე ჯაშუშებზე. თუ ვინიცობაა ძიკი გაურჩდება და ჩიჩიას გზას არ გადაუხვევს, ხალხის მტრობასა და დაწიოკებაზე ხელს არ აიღებს, მაშინ... ბეგი გეგმებს ადგენს, ყოველი ვარიანტის შესაღარს, და თანაც ფაქტობრის სამგზავრო სამა-

დისში თავბრუდახვეული. ტახტზე უსულგულოდ ჩამომჯდარი ნათელა მრუსვენ-
რად წრიალობს, უხმოდ ოხრავს, იფუდება.

— დაიგვიანებ სამეგრელოში? — ველარ მოითმინა ბოლოს ნათელამ და ანგა-
რიწმიუცემლად მიახალა სასტუმრო ოთახში შემოსულ ბეგისა: *ჩუჩუბაძე* ამ
დროს კედელზე მიკიდებულ ქამარ-ხანჯალს ათვალეირებდა.

— არა, ჩქარა დაებრუნდები, — მოკლედ მოუჭრა ბეგიმ და ნათელასკენ
არც კი გაიხედა. თუმცა ლადარია მზად იყო სამი დღედაღამე განუწყვეტლივ
ნათელას გვერდით ყოფილიყო ტკბილ საუბარში გართული, მაგრამ „საქმეები?
რევოლუციონური საკითხები?“ — ეკითხებოდა ლადარია თავის თავს და პასუხი
იყო მისი ძალდატანებული თავშეკავება ნათელას თბილ და ალერსიან შეკითხ-
ვაზე. ბეგი მზად იყო ნათელასთან ალერსით ამოეწურა თავისი მჭერმეტყველი
უნარიანობა, ფარდავად გაეფინა ცხოვრების სიაყვარებზე ტკბილი საუბარი,
აეხსნა ნათელასთვის ყოველივე ის, რაც მის გარშემო ასე შეუმჩნევლად ხდებო-
და, აეხსნა ჩაგრულთა ბედი, მეტრძოლთა სამოქმედო პროგრამა და მისალწვევი
მიზანი, ემზილა ქვეყნის მმართველი ავაზაკების ვერაგობა და სიძულვილი მებრ-
ძოლი ხალხისადმი. ემზილა და დაწერილებით აეხსნა ყველაფერი, მაგრამ დღემ-
დე საამისო შემთხვევა არ ჰქონია ბეგის და ახლა ხომ საამისო დროც აღარ იყო, —
ბეგი სამგზავროდ იყო მომზადებული.

ნათელამ მძიმედ ამოიოხრა და მაყვალევით თვალები გოროხი ცრემლებით
დაუსველდა.

— რაზე ამოიოხრე? ღიმილით იკითხა ბეგიმ.

ნათელამ პასუხი ვერ მოახერხა: გულაჩუყებულს, ცალკე ხმა არ დაემორ-
ჩილა, ცალკე სირცხვილისგან სიწითლე იგრძნო და პირზე ხელმოფარებული
პირსახე საკუთარ კალთაში ჩაიმალა.

ეზოში წყნარად თოვდა.

ფანჯრიდან ნათლად მოჩანდა თოვლის ფანტლები. სუროზე შაშვები
ქახჩახებდნენ. ქახჩახებდნენ და მადიანად ილუქმებოდნენ სუროს მსხვილ მარჯვ-
ლებს.

ბეგი ფანჯრიდან შაშვებს ნიაშტერდა, თუმცა თვალწინ ნათელას აღან-
ძული სახე და მისი დარცხვენილი ჭეჭუნა თვალები ეხატებოდა. ბეგი ჩაუფიქრ-
და ნათელას მძიმე ამოოხვრას და გადაჭარბებულად მოეჩვენა მისი ასეთი მღელ-
ვარება მოკლე ხნით გამგზავრების გამო.

„კარგი ვთქვათ ჩვენ ერთმანეთს დავეყავშირდით, ურთიერთ ჭირი თუ
ლხინი გავიზიარეთ, მაგრამ ვთქვათ ერთი თუ ორი წლით ციხეში მიკრეს თავი
ან შორეულ ციხიბრში გადამასახლეს, მაშინ? მაშინ ხომ“... — ბეგის — მღელვარე-
ბა დაეტყო, ნათელასკენ მობრუნდა, მზრუნველი თვალთ დააკვირდა.

ნათელა თავჩალუნული იჯდა და, განერვიულებულსა და გულაჩუყებულს
ქვეყნის ბაიბური არ ესმოდა. ატირებას არაფერი ერჩია, აცრემლება შეებად
მიჩნდა.

ბეგიმ, ოთახში უმიზეზოდ, წრე შემოხაზა. ტახტის წინ, სადაც ნათელა
იჯდა თავჩალუნული, მძიმე ნაბიჯები დაადგა, ნელი ხმით ჩახველა: ნათელას
ყურადღების დამსახურება სცადა. „რა საჭიროა... ქალის გულჩვილობა ხომ...“

მაგრამ არა“. ბეგი ნათელას მიუახლოვდა. უცებ თვალეში გაუბრწყინდა პირსახე აენთო. ბეგიმ ირგვლივ მიმოიხედა. ვერცხვინ შენიშნა. საკუთარ გულსცემა და ხშირი სუნთქვა შეიგრძნო, ქოშინს რომ წააგავდა.

ნათელასაც მოესმა ბეგის სულერი მღელვარება, მაგრამ სირცხვილისგან თავი მალდა ვერ ასწია და გულაჩუქებულს ტირილი წასკდა.

ბეგი დაბლა დაიხარა. ნათელას მორიდებული ხელი შეახო და აღელვებულ კილოზე ჰკითხა:

— რა გატირებს?

ნათელა შეერთა უცხო ხელის შეხებაზე, ტანში ქრუანტელამა დაურბინა, შენების ადგილას სიცხე იგრძნო. გული შეეკუმშა, თითქო შიშველ ტანზე ცივი წყალი გადაასხესო.

ნათელა შეეცადა გული გაემაგრებინა და თვალცრემლიანი არ სჩვენებოდა ბეგის, მაგრამ გონება ველარ დაიშორჩილა და უცებ ხმამაღლა ზღუქუნე წასკდა ბეგის გამგზავრებით გულშელონებულს.

— ნათელა!—ძლივს მოიბრუნა სული ბეგიმ, მაგრამ გამწარებულმა ნათელამ „თავი დამანებე!“ წაილულულა და თავი ისევ კალთაში ჩამალა.

ბეგი აიძვრა, სახე წამოუჭარხალდა. მას ერთი წუთით გადაავიწყდა წელანდელი ფიქრები და ამჟამად მზად იყო თავს შემოვლებოდა საუკეთესო მეგობრის და მასპინძლის დას ნათელას, მაგრამ დაიბნა ლადარია, დაიბნა ქალის წინაშე პირველად აღეწილი და ატოკებული.

ბეგის კუნთები აუძივდიგდა და ხელის თითები დაიმტვრია თავშეკავებულ მღელვარებისაგან, მაგრამ არ იქნა, ხელის შეხება მაინც ვერ გაბედა. მიახლოვება, თავზე ხელის მოსმა და მოფერება სირცხვილად მიიჩნია, ღირსეულ ოჯახის შეურაცყოფად.

„რას იტყვიან,—გაუფლდა თავში ლადარიას,—კაცი ოჯახში თავს ვაფარებ და... უცებ არშიყობაზე მოგასწრონ. ვინ დაგიჯერებს, რომ აქ გულწრფელი განზრახვაა რომ ჩვენ უმწიკლო...“

ქოშონი ხოსიას ხმაურობა და ცხენის ფრუტუნე მოისმა. ნათელა შეერთა ხოსიას ხმის გაგონებაზე, თვალეში სწრაფად ამოიწმინდა, თმა შეისწორა, შეშინებული, მაგრამ აღერისიანი თვალეებით ბეგის მორცხვად გაუღიმა, წინსაფარი შეისწორა და აიენისაკენ გაემართა.

ბეგი, ისედაც აღეწილი მოულოდნელი შემთხვევისაგან, სულ აჩქოროდა, სისხლი მაჭარივით აუშინდა ანთებულ ძარღვებში, წამოდგა, მაგრამ ადგილიდან დაძვრა ვერ მოახერხა.

— ნათელა!—ძლივს დაიბლუტუნა მან და მიმავალ ნათელას მათხოვარი თვალეები გააყოლა. მის რხეულ ტანადობას დააკვირდა და თითქო გული მოსწყდა და განუსაზღვრელი სიმძიმის ლოდი ჩამოწვა დაბლა. ბეგის სუნთქვა გაუმძიმდა.

— ნათელა!—კვლავ გაიმეორა ბეგი და გაუბედავი ნაბიჯი გადადგა აიენისაკენ, სანაც ნათელა მსუბუქი ჩუსტებით გედევით მიცურავდა ახლად მორცხვილ და მოკრივალბულ ნაძვის იატაკზე.

ნათელა შედგა. უკან მოიხედა. ბეგის მათხოვარ თვალებს შეეფეთა და უაზროდ წამოიძახა:

— ბეგლარ, გენაცვალე!—ნათელამ ყელმოდერებით და რწინილად გამოთქვა უკანასკნელი სიტყვა და საკუთარი გამბედაობით გულამბატებული აივანზე გავიდა, გვეგონებოდათ მიცურავსო.

„გენაცვალე“—ჩაეწვეთა ყურში ლადარიას და გული სიხარულისაგან შუა გაეპო. არ მოელოდა მისგან ასეთ სითამამეს, მაგრამ... „აღბად უკანასკნელი გაბრძოლებისა და ნერვების დაჭიმვის შედეგი თუ იყო?“—დასკვნა ლადარიამ.

— ბეგი სად არის, გეტყვი მე!?—კითხვით შემოხედა აივანზე ხოსია ნათელას და როცა სამგზავროდ გამზადებულ ბეგის მოჰკრა თვალი, სწრაფად მიუბრუნდა:

— კარგი ცხენი გიშოვე, გეტყვი მე! თოხარიკი არ არის, მაგრამ კაი ლაფურით სიარული იცის. ცუდი ამინდი რომ არ იყოს...

— არა უშავს რა, ხოსია ჩემო, ნაბადი კარგი მაქვს და ამინდი ხელს ვერ შემეშლის.

ბეგი შეკანკაულ აჯილღას დააკვირდა. სისუქნისაგან გამრგვალებული ლაფშა თვალში მოუვიდა და ხოსიას კმაყოფილმა გადახედა, შემდეგ ოთახში შებრუნდა, ფიცხლავ ნაბადი წამოიხსნა და დაუყონებლივ ეზოში გაჩნდა.

— სადილი ჭამე, გეტყვი მე!—არ დააყოვნა ხოსიამ წასასვლელად გამზადებულ ბეგის დანახვაზე.

— სადილი მზად არის.—მოაძახეს ქალებმა სამზარეულოდან,

— რა დროს სადილია, მივდივარ.—ბეგი სწრაფად მოახტა აჯილღას ზურგზე, სადავე მოსწია და, მათრახბომარჯვებული, ეზოდან ჭიშკრისკენ გააქანა.

— მშვიდობით მგზავრობა.—გზა დაულოცეს ლადარიას ხოსიას ოჯახის წევრებმა, და ბეგი ჭიშკარს მოუფარა.

თოვდა. ქენა ქარს მოჰქონდა ბუქი და კორიანტელი.

ს ა მ ი კ ი ტ ნ ო შ ი

გაჩაღდა თუ არა სურების ტყეში მუშაობა, მუშათა დიდი უმრავლესობა კონცესიონერის საცხოვრებელ კარვის მახლობლად დაბანაკდა. შირაგზის პირას სოკოსავით გამრავლდა სახელდახელოდ აგებული ლამფის კარვები, პაწია ფაცხები და ყაზარკები,—რომელნიც ფეოდალურ საქორწილო სეფას უფრო წააგაფდნენ ვიდრე მუშათა საერთო საცხოვრებელს, აკვამლდა საერთო საცხოვრებლები, ახმურდა აქამდე უდაბნოს მსგავსი შირას პირი.

მუშახელის სიმრავლეს ყურადღება მიაქციეს სათანადო პროფესიის პირებმა და ერთ დღეს ვიღაც თავმოტვლებილმა, ერთი შეხედვით საექვო ვინაობის კაცმა, შერვაშაძის მოწვევით მუშათა უბანში საძირკველი ჩაუყარა ცაცხვის კოხტა სახლს და ორი კვირის შემდეგ თავმოტვლებილი კაცი რუმბივით გაიჯგინა ჯერ კიდევ ღვინით დაუსველებელ სამიკიტნოს დაბლში.

თავმოტვლებილი, ხალამპრე მიკიტანი აღმოჩნდა.



ციბრუტივით დატრიალდა ხალამპრე ახალ მუშტრებში. მუშტრების მისა-
ზიდათ „ჩიტის რძეც“ კი გაიჩინა პაწია ღუქანში.

— რას ინებებთ?

— ყველაფერი ვახლავთ...

— თქვენთვის სამი აბაზი ეღირება...

— ჩემი თავი გენაცვალოს... შენი კირი მომეცეს!

ხალამპრე დადნა შაქარნაყინივით, ნაძალადევი ღიმილით პირის ნახვევი
ვაუფართოვდა.

— გაიძვრა ვინმე!

— ნამდვილი მიკიტანია, — შენიშნეს ჩუმად ზოგიერთებმა.

გაიგეს თუ არა მუშებმა სამიკიტნოს გახსნის ამბავი, ყოველი კუთხიდან
იწყეს დენა. ადგილობრივად მცხოვრებმა გლეხებმაც თავი ვაანებეს ოჯახებში
სადილ-ვახშობას და სამიკიტნოს ყოველდღიური მუშტრები გახდნენ. სამიკიტ-
ნო — დასვენებისა და დროს გატარების ადგილი გახდა.

— საუზმე რა გაქვს, ძმობილო! — დაუქნია ხელი გვიჩიამ მიკიტანს და
ამხანაგებთან ერთად სუფრას შემოუჯდა. ქუსლებზე შემდგარი მიკიტანი გვი-
ჩიას მიერ ამორჩეულ სუფრის წინ გაიჯგომა.

— რას გვიარძანებ? — მოწიწებით იკითხა ხალამპრემ.

— რა გაქვთ?

— ისეთი ხარჩო ვახლავთ ტყლაპითა და წიწაკით, რომ მეკდარს გაა-
ცოცხლებს, ისეთი ჯიგრის სალიანკა, რომ დედოფალიც ვერ დეიწუნებს. იმის-
თანა ღომი და ნადერგალი სულღუნია... კაი წვადი შეიძლება შევაწვიოთ...

— კარგი, ღვინო როგორი გაქვს?

— ადესას მოგართმევთ... ზემოურიც ვახლავთ. ალადასტურის წვენი ცხი-
ლათობანი, ტყვანდილი, კრახუნა, ჯანი, წვანია და ჩხავერი.

სუფრე ამხანაგებს გადახედა.

— ჩხავერი გავშინჯოთ, — სთქვა ერთმა.

— გავშინჯოთ, — იყო საერთო დასტური.

— რა ღირს — სხვათა შორის იკითხა გვიჩიამ.

— ათი შაური ეღირება ჩარეკი! ცოლშვილს ვფიცავარ, ზურგით მაქვს
ვადმოტანილი ბაღდადიდან. ადესას ექვს შაურად გიანგარიშებთ. ნაყიდობის
ფასია, მაგრამ თქვენგან ხომ მოსაგებს არ ევიღებ.

— ო, კარგი სამი ბოთლი ჩხავერი მოგვიტანე. ღომი და სულღუნია.
ერთი წვადიც შეგვიწვი. თითო არაყიც მოგვიტანე.

— ქაქის თუ... — შებოროძიკდა მიკიტანი და იდაყვით სუფრას დაეყრდნო.

— აბა სხვა რა გაქვს?

— თქვენთვის ბუზის არაყიც მექნება, — წასჩურჩულა ყურში მიკიტანმა.

— მოიტა. — წაიღო დაკვეთა ხალამპრე მიკიტანმა.

— ბუზი რა ოხრობაა! — იკითხა გვიჩიამ, როცა მიკიტანი დახლს მიუა-
ზლოვდა.

— ზედვე ემჩნევა, რომ შეგრელია. სამეგრელოში ტყემლის არაყი იციან,
ანწლისაც და...

— აბა, აბა, კუთხური მამლაყინწობა არ იყოს, თორემ...— იხუმრა გვიჩიამ და პასუხს დაელოდა.

— თაფლის არაყს „ბუზს“ ეძახიან.

— ააა! აი, რა ყოფილა! მოიტა, მოიტა თუ ძმა ხარ, მაგ რალაც ბუზია თუ პაეროპლანი!— გასძახა გვიჩიამ ხალამპრე მიკიტანს და ამხანაგებს მიუბრუნდა: ოხერი ხალხი ხართ გურულები, თავის გამოჩენა გიყვართ და რალაც უცნაურის გამოგონება. „ბუზის არაყი“... მე მართლა ბუზების არაყი მეგონა და კინალამ შევიშალე. ნეტა სად აგროვებენ გურიაში ამდენ ბუზს მეთქი!

ხალამპრემ არაყი მოიტანა.

— ნარევი არ იყოს, თორემ...— გააფრთხილეს ხალამპრე წინასწარ და თითო ჭიქა ასწიეს ლამბაჯიდან.

— გაგიმარჯოთ!

— სიმწარე გაშოროთ!— მიუჯახუნეს ერთმანეთს ჭიქები.

— კარგი რამე ყოფილა.— მოიწონა გვიჩიამ ბუზის არაყი.

— ნატურალი რამეა, ცოლშვილს გეფიცებით,— გამოიძლია თავი ხალამპრე მიკიტანმა, როცა ნახა, რომ მუშტრებმა არაყი მოუწონეს.

— წვადი სათბილოდან ჩამოგვიტერი, თუ ძმა ხარ.

— ჩემი თავი გენაცვალოს!— კვლავ გაიღიმა მიკიტანმა და, ცერებზე მობრუნებულმა, ბიკს გადასძახა სამზარეულოში:

— სიკოია. ჩქარა ცეცხლი გააჩაღე... ბოთლებში ღვინო ჩამოასხი ცოცხლად!

— ემ საათში!— იყო სიკოიას პასუხი, შეგვიანებული და თანაც ზანტი და უსიცოცხლო, გეგონებოდათ ერთი კვირის უძინარი ლაპარაკობსო.

სიკოიას მართლა ერთი კვირა იქნება ხეირიანად ჯრ ძინებია.

ათი დღეა რაც სამიკიტნო გააღო ხალამპრემ, მაგრამ სამიკიტნოს კარები დახურული ჯერ არაყის უნახავს.

მთელი დღე-ღამის განმავლობაში ღიაა ხალამპრეს სამიკიტნო და რადროსაც გინდა შეიხედოთ შიგ, თავისუფალ ადგილს ვერსად იპოვით. განუწყვეტელი ქეიფი და მუდმივი ღრიალცელი მეფობს თუთუნის კვამლითა და საქმელების სპეციფიური სუნით გაჟღერებული პაწია ღუქანი.

ხალამპრეც მოიჭანცა მუდმივი ვაჭრობით. მასაც ენატრება მოსვენება და რიგიანი გამოძინება, მაგრამ... შემოსავალი? ფულისთვის ცოლშვილი მიატოვა ხალამპრემ, გამდიდრების ეინით თავბრუდახვეულმა უდაბნოში გადმოიხვეწა, აქ კი სახვეტავსა და ნიშბით ასაკრეფ „ოქროს მადანს“ მიაგნო და ახლა რაღა დროს ძილია და მოსვენება?! მუდამ ხომ ასე სახვეტი არ იქნება?! ამიტომ... ხალამპრეც ფხიზლობს ძალდატანებული ენერგიულობით და სიკრიასაც ეფერება და ულოლიავებს, რათა არ დაკარგოს ერთადერთი თანამეგობრე როგორც ბუფეტში, ისე სამზარეულოში.

პირველად სიკოია ციბრუტივით ტრიალებდა, ხაზინის თუ მუშტრის ყოველ დაძახილზე.

მუშტრებს ემსახურებოდა, ღუქანს ჰკვიდა და ასუფთავებდა, ხალამპრეს სამზარეულოში შეელოდა, ჭურჭელს ადუღებული წყლით რეცხდა და ამშრალებდა. მაგრამ გავიდა ორი-სამი დღე ოთხი, ხუთი და დღისით მუხლის მოკე-

ცა ვერ მოახერხა სიკოიამ, ღამით თვალის მოტყუება დაძინებაზე არცაა ფიქრობდა. დაიქანცა, არაქათი გამოელია, დამძინდა, დაზანტდა და თუ წინად, დაძახების უმაღლეს ფუნთა წინსაფარით თვალწინ აგეტუზებოდა, დღეს... ენის სწრაფად მობრუნებას ვერ ახერხებს უძილობით გამოყვანებული და პირის კოქოსავით აღებს განუწყვეტელი ზმორებით დაავადებულნი.

— რამ დავამუნჯა, ბიჭო, რა გემართება, — ზიზღით დაიმანკა ხალამპრე სიკოიას შეგვიანებულ პასუხზე, მაგრამ გაჯავრებასა და გაწყრომას ვერ უბედავს... შიშობს: არ გამეჭკესო.

— აღარ შემძლია, ხაზეინ, თუ გინდა ანგარიში გამისწორე, — ლულულულებს სიკოია სამზარეულოში.

— რა დავგმართა, ბიჭო, ავთ ხომ არ ხარ?

— უძილობამ მომკლა, ხაზეინ, კაცი დაიჭირავე. ყველაფერს როგორ გაუფუთავდები.

— ცოტა დამაცა, სიკოია ჩემო სულ ცოტა, ორი სამი დღე და უთუოდ ვინმეს დავიჭირავებ. მერე თუ გინდა ერთი კვირა იძინე განუწყვეტლად.

— დღეს, ხვალ ორი-სამი დღე... აღარ შემძლია, ხაზეინ, მუხლები მიკანკალეს. — გაბრაზდა სიკოია და საინები ისე მძლავრად დააჯაბა ერთმანეთს, გეგონებოდათ კატამ ლანგარი გადმოაპირქევა და რამდენიმე წყება ჭურჭელი დაამსხვრიაო.

— ფრთხილად, ბიძიკო, ნასესხები ფული მიმიცია მაგ ოხერ მუდრეგში, — ძალად შეიმავრა მლეღვარება ხალამპრე მიკიტანმა და თვალები მოხარშულ თევზოვით გადმოკუსა.

— აღარ შემძლია არა, არა, ადამიანო! — აჯაჯლანდა ისევ სიკოია და დაჭონილი საინების წმენდას შეუდგა.

ხალამპრე დახლში დატრიალდა, ჭიქები მწკრივში ჩააყენა, ღვინითა და არყით სავსე ბოთლები მოიშარავა. მუშტარი მატულობდა. თავისუფალი ადგილიც აღარსად მოჩანდა.

დახლის წინ უკვე ლალუმზე მომუშავეების მწკრივი იყო გამართული და მუცლიან ჭიქებში იღვრებოდა შეკეთებული ჭაჭის არაყი.

უბინაობა, უდაბურ ტყეში კარჩაკეტილი ცხოვრება სამიკიტნოსკენ ერეკებოდა კალაპორტის გაწმენდასა და ტყეში მომუშავეებს. ხალამპრესაც ეს გარემოება ჰქონდა ზუსტად გამოანგარიშებული, როცა გამდიდრებისათვის უდაბურ ტყისაკენ მოეშურებოდა, მაგრამ ყოველდღიურმა ვაჭრობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, და დატრიალდა მიკიტანის დახლში მუშათა თითქმის მთელი შემოსავალი. თანდათან კერძისა და სურსათ-სანოვავის ხარისხიც გააუარესა გაჭინილი მიკიტანმა. ჩხავერისა და კრახუნას წვენიც მაგიერ მათლოს მსგავსი კვაწარახივით ღვინო შეაპარა მუშტრებს, არაყში პილიპილისა და წყლის ხსნარი შეურია და...

დახლი აივსო ნაცარცვი ფულებით.

დუქანში უცხო კაცი შემოვიდა. ყველას თვალში მოხვდა ახალგაზდა მგზავრის გარეგნულობა. მაღალი, ხმელი, ქერა წვერმოშვებული, ცილინდრითა

და საშემოდგომო პალატოთი, რომელიც, ეტყობოდა, შუაგულ ზამთრის სუსხს ვერ იმაგრებდა და მგზავრი გალურჯებული გამოიყურებოდა.

მგზავრმა სადილი და ერთი ჭიჭა ღვინო შეუკვეთა.

რკინის ლუმელთან ცოტათი შეთბა და მუშებს თვალთვლიერება დაუწყა. გეგონებოდათ, ამათგან ვიღაც უნდა ამოარჩიოს და რაღაც საიდუმლო ამბავი გაუმელავენოსო.

— ვინ უნდა იყოს?

— უთუოდ ცენტრიდან იქნება ვინმე.

— ბეგი ვილაცას ელოდა. ალბათ ის არის.

— რა ცუდ დროს მოვიდა! ბეგი სწორედ ამჟამად არის სამეგრელოში.

— წავიდა ლადარია?!

— გუშინ სადილობისას.

— მერე რა უნდა, კომიტეტის წევრები რომ აქ არიან. ილიკო, ხოსია სოლომანა, ირაკლი და შენც, სვევი.

— ირაკლი... ირაკლი რომ არ იყოს, ისა სჯობდა,—აიღერლა გვიჩია.

— რატომ?

— არ იცი რატომ?

— ზოგჯერ უყვარს უცნაურ დათმობებზე ლაპარაკი, მაგრამ...

— ზოგჯერ კი არა, მუდამ ოპორტუნისტია,—დაბეჯითებით განაცხადა გვიჩიამ.

— რა არის ოპორტუნისტი?—ჩუმად შეეკითხა ერთი ყაბალახიანი მუშა მეორეს.

— რატომ არის ოპორტუნისტი,—გეტყვი მე?—წამოიძახა ხოსიამ.

— ბრძოლაზე ხელს იღებს, მთავრობას ემორჩილება... ტერორის და ექსის *) წინააღმდეგია,—დაბლა თქვა გვიჩიამ უკანასკნელი წინადადება და უცხო მგზავრს თვალში შეატყდა, რომელიც შორიანლო ყურს უგდებდა სევესა და მისი ამხანაგების საუბარს.

— ტერორის წინააღმდეგია?!—დაალო პირი ხოსიამ.—აბა ნიკო ბლალაჩინი ვერ გაგვიმეტებია და ეს არის.

— გვიან გაგიგია! გუშინწინ რაიონულ კომიტეტში მთელი გეგმა ჩაგვიშალა.

— მომხრეები გამოუჩნდა?

— ექვსი ხმა მიიღო ირაკლის წინადადებამ, სამი ჩვენმა.

— მაშ ორი მიმდინარეობა შეგვიქმნია კომიტეტში?!

— ვეყოფით?

— რა გაეწყობა. შეიძლება მართლაც გავიყოთ და გავშორდეთ ერთმანეთს სამუდამოდ. ლიდერებში ხომ კარგა ხანია მოხდა განხეთქილება.

— კი მაგრამ იქ, ტერორის საკითხი როდი იყო მთავარი...

— მთავარი არც ჩვენთან არის, მაგრამ... საერთოდ ვერ ვაწყობთ შინც. ისე ტერორი როდია ხსნა მუშათა კლასის. ჩვენი გამარჯვება ჩვენივე კლასის კლასიური ინტერესების ამოძრავებისა და ორგანიზაციულ შეტყვის ნიადაგზე.

*) ექსი ექსპროპრიაცია.

უნდა მოხდეს ტერორი მხოლოდ შეიძლება დაშვებულ იქნას ისიც გარდაკლის შემთხვევაში...

მუშები ჩაფიქრდნენ,

სამიკიტნოში ღრიანცელი თანდათან მატულობდა. უცნობი მკვლელები არაფერი ესმოდა მოსახლურე მაგიდაზე გამართული საუბრისა.

— მაშ უნდა გაეყოთ?— გულდაწყვეტით თქვა ერთმა მუშამ, რომელიც აქამდე ხმაამოულებლივ იჯდა და კომიტეტში დატრიალებულ ახალ ამბავზე ფიქრობდა.

— ვასაყოფი რა გვაქვს, გეტყვი მე!— ნიკოლოზა ხელწიფებს ვებრძვით, ვებრძვით პოლიციას და. ქანდარშერიას, რა გვაქვს სადაო და ვასაყოფი!

— როცა სხვა ვხა არ არის, ხოსია?!

— უნდა მოინახოს, გეტყვი მე უნდა მოვრიგდეთ,

— მოვრიგდეთ... როცა არ ხერხდება?— გადაჭრით სიტყვა სევემ.

— უნდა მოხერხდეს, გეტყვი მე! რა გვაქვს ვასაყოფი?!

— ხოსია, ნუ იცი ახირებული ლაპარაკი.— შეუტია სევემ ხოსიას.

— ახარებული შენ ხარ, გეტყვი მე! ჩვენი მიზანია, „ძირს ზემოთ, მალ-ლა მუშა“, შორხა და გათავდა! ჩვენ ერთი უნდა ვიყოთ შიგნით და გარეთ... აბა, რა...

— თუ კი ვერ ვახერხებთ ერთად მუშაობას, თუ ერთმანეთის აზრს არ ვიზიარებთ?

— მოიცა, მოიცა, გეტყვი მე! თუ ვერ მოვახერხებთ, ამაზე ცენტრიდან მოგვივა სათანადო ინსტრუქცია.

— ცენტრიდან? ჩვენ რაღას ვაკეთებთ მაშინ, ძირითადი ორგანიზაციები? ჩვენ არ მოგვწონს ირაკლისა და მისი თანამოაზრეების მუშაობის გეგმა.

— რადგან არ მოგვწონს იმიტომ უნდა გაეყოთ?— შენიშნა ვილაცამ.

— მაგას ვინ ამბობს? აქ მარტო მოწონებაზე როდია საქმე პრძოლის ამბებია. აი, მაგალითად, ირაკლი წინააღმდეგია რაიმე მოთხოვნილობები წაუყენონ მუშებმა კონცესიონერს. წინააღმდეგია გაფიცვის... ფურცლების გავრცელების...

— რატომ?

— შიშობს ინგლისელმა არ მიატოვოს კონცესია და არ გაიტყვესო, ე. ი. უკაბიტალისტოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. გარდა ამისა, ირაკლი და მისი თანამოაზრეები მომხრენი არიან ჩვენი წრეების ლეგალიზაციის. უარს აცხადებენ იატაკქვეშ მუშაობაზე, მალული ლიტერატურის გავრცელებაზე. მოითხოვენ მთაფრობაში თანამშრომლობას, კონსტიტუციით კმაყოფილდებიან...

— მოიცა, მოიცა, გეტყვი მე! შენ იმდენი რაღაც ჩამოთვალე, რომ არ ვიცი, საერთო რაღა დავგზრჩენია.

— საქმე ის არის, რომ მუშებმა დაწვრილებით არ ვიცით საქმის ნამდვილი შინაარსი.

დუქნის წინ ხალხი შეჩინქოლდა. უცებ ყოველი მხრიდან შეგროვდნენ მუშები და შარას დაუწყეს თვალთვლება.

— რა მოხდა?— დაინტერესდნენ სამიკიტნოში თავშეყრილი მუშებიც. დუქნიდან გარეთ იწყეს დენა, შეგგუფულ ხალხს წამოემატენ.



- რა მოხდა? — გაისმა აქეთ — იქიდან.
- კაპიტო ვადმოვარდნილა სიბიდან და დაშავებულა.
- კაპიტო? ეჰ! — ერთხმად ამოიოხრა რამდენიმე მუშამ უცნაურად მიიხედა, საიდანაც მოჰყავდათ საკაცებე დაკრული ამფეთქებელი საკაცე ღუქის წინ დასვენეს. ირგვლივ მუშები შემოეხვივნენ.
- დავგოცავს ეს არამზადა ინგლისელი და ეს არის.
- არც ბინა, აღარც ექიმი.
- იოდი რომ მოვარჩენდეს, ვერსად იშოვნი.
- ჭრილობის შემხვევიც არავინ გვეყავს. — ახმაურდენ უკმაყოფილო მუშები.
- ინგლისელმა რა ჰქნას ასეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, ექიმს ხომ ინგლისიდან არ მოიყვანს, — გაეკომაგა ინგლისელს ირაკლი გვარამაძე, რომელიც ახლახან დაბრუნდა კონცესიონერის კარგიდან.
- რა ჰქნას? მიწა გაითხაროს?! ჩამორჩენილი... ჩვენ ვაჩვენებთ მაგას ჩამორჩენილსა და გაუნათლებელს. შენც, ჩემო ირაკლი.
- ტყუილს ვამბობ თუ?!
- მიქარავ, აი რას ამბობ შენ და შენისთანეები.
- ეგ შეტისძეცია! ჩამორჩენილობა და ველურობაც სწორედ ისარის.
- შენ ჰეი! ცოტა ჰკვიანად, თორემ... — უჩვენეს თვალი გვარამაძეს და საკაცეს ირგვლივ შემოერთყენ. — სურებელი ინტელეგენტი...
- პროგრესიული ხალხი ვერც გასძლებს ასეთ ველურებში. — ეუშტად შეტრიალდა ირაკლი და ბრაზმორეულმა თოვლის გუნდა დაარგვალა.
- პროგრესიული...
- ცივილიზაციური....
- შენ ხომ ბევრი „ცივილიზაცია“ გესმის, იმიტომ აშენდა საქართველოს პროლეტარიატი.
- რა უნდა გელაპარაკოს თქვენ კაცი, ჯიუტებს!
- ჩვენ, კი არა, ამის ცალსეილს მოელაპარაკეთ შენ და ის შენი არამზადა ინგლისელი. აი, ვის სჭირდება მოლაპარაკება და მოელა-პატრონობა. კაცი ლუკმა პურის შოვნას შეეწირა. შეიდაბაზიანი სამსახურის წერა გახდა. შენ კი დაძვრები ინგლისელის კარავში და აინუნშიც არ იგდებ ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას.
- სამწუხაროა, ამზანავო, კაპიტოს დამარცხება, მაგრამ რა საშუალებას მივმართოთ ახლა სხვების გადასარჩენად, აბა მიმითითეთ, დამისახელეთ გამოსავალი. — დაიდაბლა ხმა ირაკლიმ და მუშებს მიუახლოვდა.
- ექიმი გვინდა.
- წამალი გვინდა.
- ბინა გვინდა.
- აი გამოსავალი.
- მართალია! გვინდა! — დაემოწმა ირაკლი ალელვებულ მუშებს. — გვინდა მაგრამ სად გავაჩინოთ, საიდან მოვიტანოთ ან ჩვენ, ან ინგლისელმა!
- სტამბოლიდან მოიტანოს.

- პაპაჩემს შეუთვალოს.
- ორი ვაგონი თოფის წამალი კი მოიტანა ინგლისიდან.
- თოფის წამალი მას ესაჭიროებოდა.
- კონსერვები და სასმელები კი მოაქვს ყოველდღე.
- გული გულობდეს და... ქადა ორივე ხელით იკმება.
- ჩვენ ვაჭმევთ მაგას „ჩვენებურ“ ქალებს.
- იმდენს ვაჭმევთ, რომ ვერც მოინელოს.

საკაცებზე დაკრილმა დაიკვნესა, თავზე წაფარებული ნაბადი გადასწია და სისხლიანი ხელი და სახე გამოაჩინა.

სახე გასიებოდა კაპიტოს, ქვაზე დაკრული წარბი გახეთქოდა. იღვა საკაცებზე უძრავად და სიმსიენის გამო მიკუთქულ თვალებს განუწყვეტლავ ახამხამებდა.

— საცოდავი!

— წავიყვანოთ ბიჭებო! — თქვა გვიჩიამ და საკაცს შეუდგა.

უცხო მგზავრიც სამიკიტნოდან გარეთ გამოსულიყო. თავშეყრილი მუშების ჩოჩქალს უყურებდა, დაშავებულის ვინაობას კითხულობდა.

— სამწუხაროა... სად შეიძლება ლადარიას ნახვა? — იკითხა ბოლოს უცხო მგზავრმა.

უცხო მგზავრი ილიკო ტოროტაძესთან მიიყვანეს. ირაკლისა და ხოსიას დაუძახეს, და მუშებში შეიქნა ჩუმი ჩოჩქალი.

(შემდეგი იქნება)



ძ ი რ ს

ს ი მ ი ნ დ ი ს

რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა *

ინათა. მეტი შეინძრა. ფრთხილი, დაწვეული მოძრაობით შემართა ფეხი და... რატომღაც დახლიდან ვერ ჩამოხტა.

შემართული ფეხი ისევ იქვე დაეცა. სად გაქრა დახლსა და იატაკს შორის არსებული სიმაღლე!

თვალეებს იფშენეტს და უზომოდ გაკვირვებულია, რომ იატაკზე წევს. განა წუხელ, როგორც ყოველთვის, საწოლი დახლზე არ გაიშალა?!

გარშემო მიუხედავრელ მზერას მიმოავლებს და ყველაფერი ეუცხოვება. ვინ შემოყარა დუქანში ამდენი გრძელი სკამი, ან ეგ სინათლე საიდან შემოიქრა! დუქანს როდის ქონდა ფანჯარა! ვაი თუ ერემომ ჩამომისწრო, დარაბა უჩემოდ გაალო...

იგი აკვირდება კედლებს, მის წინ ამართულ ხარაჩოებს და ძილის ბურანს მყისვე იბერტყავს.

. . . ეს ხომ კლუბია!

შეორე დღეა რაც მეტი კლუბში ცხოვრობს და ჯერ კიდევ ვერ შეითვისა ის აზრი, რომ იგი აღარაა ერემოს მოჯამაგირე. ცისმარე დილით ისევ იმ ნაც-ნობი ტკივილით იღვიძებს, რონელიც მისი განუყრელი თანამგზავრი იყო ხუთ-მეტი წლის განმავლობაში.

მოწყენით ახელს თვალს, თითქო დარწმუნებულია, კარებთან ერემო უც-დის თავის ბარქაშებით, კალათებით და უშვერი გინებით.

ჯერ-ჯერობით მისთვის უცხოა თავისუფლების ცხოველი გრძნობა.

ჯიშკარიანის ეზოში არტელი ბოსელს აშენებს.

ადრეა. ეზოში არავის სჩანს. მეტი აზმორებს, შეკრულ სახსრებს ტკაცატკუციით გაშლის და კოკებს წამოავლებს ხელს. წყალს მოიხაზირებს, მერე შარვალს დაი-კოტავენს და ტალახის ზელეას იწყებს.

მაღე ტარასიცი გამოჩდება.

— ვაი გამარჯობა, დღესაც დამასწარი? — არტელის თავმჯდომარის სიტყვე-ბში იმდენი სითბოა, რომ მეტი მზად არის ხეალ უფრო ადრე გამოვიდეს სა-მუშაოდ.

— შენ ახლა შეისვენე, კოტა დაიხეფსე. არც კი ვიცი, რა გამოხვია ჩემმა დედაკაცმა. გამომართვი, — და ტარასი თავსაფარში გამოკრულ საღუმეს აწოდებს. მეტი მოხიბლულია მისი ასეთი მშობლიური მზრუნველობით. იგი აღელ-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ №№ 1—2, 3—4.

ვევით ეძებს დიდსა და მზურვალე სიტყვას, რომ ერთბაშად გადასცეს ამ დიდ-
ბულ ადამიანს თავის გულისხმა, მაგრამ უბრალო მადლობის თქმასაც ვერ ახერ-
ხებს და შეშინებულივით იძახის:

— არ მინდა, არ მშია!

შუადღით, როცა მუშები სადილათ დასხდებიან, მეტი ისე ქურდულად და
სხვების შეუმჩნეველად მოიტებს ჯადს ან ყველს, რომ ბაჭუს უყვირს: — ვისი
ეშინია, ყოველ ლუკმას ისე იღებს, თითქო იპარავსო.

— შენ ბედნიერი ხარ, ბაჭუა — უთხრა ერთხელ ტარასიმ. შენ არ გა-
ზოგიცილია — რას ნიშნავს ხაზეინი, ხაზეია და მათი ხელშეურიანი ბახარბლები,
რომლებიც ყოველ წამს მოდარაჯებული არიან, რომ მოჯამაგირემ ზედმეტი ლუკ
მა არ წაიღოს პირისკენ. ერთ დროს მეც ასე ვიყავი. ბარნაბა საგანელიძის
მამას უდევს. ხანდახან სუფრაზე დამიძახებდა. ათასწილ მგრიჩა ნატები ჯადი მოეცა
და ჩემ სამხარეულოში გავეშვი. ცოტა იყო თუ ბევრი, თავისუფლად მაინც გა-
დავყლაპავდი. იქ კი, სუფრაზე, ვიცოდი, თვითვე ჩემს ლუკმას თვლიდნ და
პირდაპირ ვიტანჯებოდი. საქმელს მაშინ გაუწევდი ხელს, როცა ჩემსკენ არ
იხედებოდნ. ვცდილობდი რაც შეიძლება შეუმჩნეველად მეჭამა. ერთხელ არა-
ფერს მივეკარე.

— რატომ არ ჯამ, არ გშია? — შეშეკითხა პატრონი.

— რატომ ეშვიება, აქამდე ათჯერ მოიპარაედა საკბილოს და გამოძლე-
ბოდა. ახლა კი თავს გვაწონებს, ცოტას მჭამელი ვარო, დამახალა ქალბატონმა.
ჯამა კი არა, წამება იყო მათ სუფრაზე ჯდომა. მოჯამაგირობა დიდი ხნით
აფუჭებს და აბეჭავებს კაცს. აგერ მეტი არტელის წვევრია, მაგრამ ხანდახან გეზიზ-
ლება კიდევ, იმდენად საწყალი და დამონებული ხასიათი აქვს.

ტარასი მართალი იყო. იგი ყოველ ნაბიჯზე ამელაენებდა თავის უშეწო-
ბას. რითაც ისარგებლა ტულუში უშევრიძემ და როცა მექის თავისუფალი დრო
ქონდა, იპარებდა სახლში და ბიჭივით იმსახურებდა.

კომკავშირის უჯრედმა გულის წყრომა გამოთქვა მექისადმი ასეთი მოპ-
ყრობის გამო. უშევრიძე გაატრთხილეს, ნამოჯამაგირალს კი ჩააგონეს, რომ
არტელში არავის ქონდა უფლება შეშის დაპობა და კოკების თრევა ებრძანე-
ბია მისთვის.

უჯრედის თბილი და მზრუნველი ხელი მექის თანდათან ანთავისუფლებდა
მოჯამაგირეობის მონურ მემკვიდრეობისაგან.

ერთმა შემთხვევამ მთელი გადატრიალება მოახდინა მის შეგნებაში.

ბარნაბა საგანელიძის ქალიშვილმა თალიკომ განცხადება მისცა უჯრედს
წვევრად მიღების შესახებ.

მეტი დარწმუნებული იყო რომ უჯრედი სიხარულით მიიღებდა მას, მაგრამ
დაუჯერებელი ამბავი მოხდა. საგანელიძის ქალიშვილს უარი მიაკრეს.

ეს კიდევ არაფერი.

ბაჭუა და გუსკამ მთელი სოფლის თვალი, ნასწავლი და ლამაზი თალიკო ისეთი
აგდებოთ და ზიზღით მოიხსენიეს კრებაზე, რომ ნამოჯამაგირალი შეეჭვდა: მე
სულ აღარ მიკადრებნო.

და როცა ბაჭუამ მისი ანეკტა წაიკითხა, ახმახი ბიჭი ქონდრის კაცად გა-
დაიქცა. აღწერილი სახე მხრებში ჩამალა და გაქვავდა.

ანკეტების განხილვა დიდი მოვლენა იყო უჯრედში. მოხსენებებს დროს ხმაურობა და თავდაპირველი სიცილი ჩვეულებრივი ამბავი იყო. თითონ თემკომის მდივანიც რომ დასწრებოდა უჯრედის კრებას, აქაურები ბევრჯერ შეშინა. კი მოახერხებდნენ გოგოებთან ჩურჩულს. მაგრამ საკმარისი იყო, მაგნიტის კითხვა დაეწყო, რომ ყველანი ერთბაშად დალაგდებოდნენ, დადინჯდებოდნენ და ანკეტის პატრონს იმისთანა მჭრელი თვალებით გამოკდიდნენ, რომ მექის ამის მოგონება გუნებას უკარგავდა. მერე მოყვებოდა შეკითხვები, კამათი, კენჭის ყრა.

რა გაოცებული იყო მექი, როცა მისი გვარი წაიკითხეს, ბიჭები არამც თუ დაჩუმდნენ, უფრო ახმაურდნენ, აყვირდნენ: ვიცნობთ, ჩვენი იაო. აქა იქ ტაშიც დაკრეს და იგი ისე სწრაფად დაამტკიცეს წვერად, თითქოს მთელი უჯრედი წინასწარ ყოფილიყოს შეთანხმებული.

ამ შემთხვევამ მექი ერთბაშად გაზარდა საკუთარ თვალში. დღემდე არ ეგონა ქვეყანაზე თუ არსებობდა ისეთი ხალხი, რომელიც თალიკოს იუკადრისებდა, მტერს უწოდებდა, მას კი, ხრიკუნას, ხელგაშლილი მიიღებდა.

მექიმ იგრძნო თავის უპირატესობა თალიკოს წინაშე.

ამ გრძნობას იგი დღესაც ელოლიავენ და უფლის, ვინაიდან ეს გრძნობა სამაგიეროს უხდის საგანელიძის ქალიშვილის ყოფილი მოჯამაგირის მრავლგზის დამცირებისა და შეურაცყოფისათვის.

მექი წუხს, რომ არტელი და უჯრედი ასეთი მზრუნველობით და გულითადობით ეპყრობიან მას. იგი არაა შეჭვეული ადამიანისაგან ასეთ მოქცევას. მექიმ არ იცის, რა არის საჭირო იმისათვის, რომ მათი სიყვარულის ღირსი გახდეს. თავს არ იზოგავს. მისი მუყაითობა ენაზე აკერია ყველას, მაგრამ ეს ოდნავაც არ აკმაყოფილებს მას. იგი გაფაციცებით ეძებს ისეთნაირ შემთხვევას, რომ ერთბაშად დიდ მსხვერპლი გაიღოს არტელის კეთილდღეობისათვის.

ასეთი შემთხვევაც მალე გამოჩნდა.

ტარასიმ ფართოდ გაშალა ხელი. ლეხმურას მისაველზე ატეხილი ჯაგნარი იყო. არტელის თავჯდომარემ მისი გაკაფვა განიზრახა ბოსტანის მოსაწყობად. არტელში გამწვევი ძალის ნაკლებობაა. ხუთი უღელი ხარი, ერთი დაფეხვილი ცხენი. მარამ ტარასი ივიწყებს ამ უნუგეშო რიცხვს და საერთო კრებას იწვევს.

არტელის წევრებმა ჯიუტად გაიქნიეს თავი.

— ყველაფერს ვედებით, ყველაფერს ვთესავთ, ბოლოს კი თავს ველარ გავართმევთ და ყველაფერი გავგიოხრდება. ბოსტანი დიდი უკადრისი რამეა. მუდამდღე მიდარაჯებული თვალი და ხელი სჭირდება. მუშა ხელი არ გვეყოფა. თესლის ჩაგდება ადვილი საქმეა, დათესილს კი ველარ გავწვედებით.

მაგრამ ტარასი ეშმაკურად იღიმება და ფიქრობს: ოღონდ კი დავეთსოთ, მერე მომვლელიც გამოჩნდება. გლეხი ვერ უღალატებს თავის დათესილ მიწას. ამოსულ მცენარეს რომ დაინახავს, ხელის გულზე სამკეცა ტყავს გადაიძრობს, გაგანია სიჯიხეში გადგება, ოყიან თოხით წელს მოიწყვეტს და მზრუნველობას მაინც არ მოაკლებს. კრუსუნით მოიხრება და კომბოსტოს ხელით შემოაცლის სარეველა ბალახს. მცენარეს რკინას არ მოუქნევს რომ უცაბედად ლერო არ გაუქრას. ოღონდ დავეთსოთ, თორემ სადაც გლეხი თავის ოფლს ჩააქცევს, მერე იქიდან აღარ გამოიქცევა. გავიჭირებთ და გავწვედებით.

ტარასი დარწმუნებულია, რომ არტელის წევრები არ ლაპარაკობენ იმ მთავარ მიზეზს რის გამო უარყოფენ მის წინადადებას.

და როცა დაქინებით მოითხოვს გარკვეული პასუხი, ის მთავარი წესი ითქვამს:

— თავისუფალი ან ადვილად მისადგომი მიწა რომ გვქონდეს, კიდევ პო, რამეს იფიქრებდა კაცი, მარა იმ ჩირვების სათხრელი წელი ჭე სად მაქვს, ბეჩა. საკატორღო სამუშაოა, — გაუჭრელად მიუგო ჯიმშერაშვილმა.

— დაეხოცებით, — დაემოწმა ილიკო გორდაძე.

ტარასი აღრევ მიხვდა, რომ არტელის წევრები სწორეთ ამიტომ გაურბოდენ ბოსტანის გაშენებას. ჯაგნარის გაწმენდას დიდი ჯაფა ჭირდებოდა.

მეტი უსმენდა კამათს და სიხარულით ცმუტავდა. უხაროდა, რომ ტარასის არაეინ უჭერდა მხარს. აი ბედნიერი შემთხვევა, რომელსაც იგი მოუთმენლად ელოდა.

მეტი წამოდგა და დარცხვენით განაცხადა, რომ ის კისრულობდა მისავალზე მუშაობას.

— ჭე არ გაგეტება ამ შობელძალმა! — უკმაყოფილოდ ჩაიბურღლუნეს უფროსებმა.

მეკის ბაჭუაძე მიხვდა. სხვებიც შეყოყმანდენ, მაგრამ ტარასი აღარ მიეძალათ.

— ჯერჯერობით ამ ორმა დაიწყოს. კალას რომ ჩავათავებთ, ორსაც მერე მივახმარებთ. — თქვა მან.

მეორე დღეს ტურების სამეფო ჯაგნარს ნაჯახები მიადგა.

— იცოცხლე, აქ ბოსტანი იხეირებს. მარა ამ კურკანტელას და ჭერაძენძან რომ შეებრძოლო, თავი მოძულეებული უნდა გქონდეს. ხელზე გამოიქცევიან, — წინასწარმეტყველებდენ ბარელები. მაგრამ ლეხეშურას მოსავალზე მეორე დღესაც გაიხმაურა ნაჯახმა და წერაქვამი.

რკინამაც გაიხმაურა და ადამიანმაც დაიღრინა.

— ტანზე ერცახე ადგილი არ ღმირჩა რომ ეკლით დაჩხვლეტილი არ შქონდეს. შეეწირეთ ამ ბოსტანს და ის არის! — იგინებოდა ბაჭუა.

— ორი დღეა ორი კაცი გადავაკედით ამ საოზრეს. და კაცის ხელი მაინც ვერ დავატყვევთ! ისეც ისეა თითქო ჯერ აქაურობას ჩენი თავი არც კი მოლანდებია! — ბურღლუნებს მეჭი.

მაგრამ ჯაგნარიდან მაინც არ გარბიან. კაფეა არც ისე ძნელია. ისინი ძირების ამოყრამ გატება წელში. ხანდახან ისეთი ძლიერი ბუჩქი გამოერევა რომ ნახევარ საათს უტრიალებენ, წერაქვებს ცემენ, ჩხავენ, ილაჯს გაიწყვეტენ და მაინც ვერას დააკლებენ. შეისვენებენ და ხელახლა ებრდლებიან. არ მოშორდებიან ვიდრე თითველ ფესოს არ ამოიღებენ. ერთგულად ასუფთავებენ საბოსტნე ადგილს.

მესამე დღეს შედრკენ. აღრე მოიქანცენ. ჯერ სამხრობაც არ იყო, ისინი კი ისე ვასავათდენ, რომ ხელში წერაქვებს ძლიეს და იმავრებდენ.

და აი მაშინ პირველად გაექცენ კურკანტელას ღონიერ ბუჩქს. რა არ იღონეს, საიდან არ მიუღვენ, მის ამოგდებას არაფერი ეშველა.

— ეგ ერთი დავტოვოთ. პირდაპირ ქვესკნელში აქვს ფესები. თავი გადავაჭრათ და იყოს. — სთქვა ბაჭუამ

— ამ ერთი ძირით არაფერი დაშავდება, ოღონდ მეტს ნულს დაეტოვებთ. — დაეთანხმა მეტი.

შეუბრავარი ბუნჯი გაკაფეს და წინ წაიდგინა. შემდეგ მისწავლა და დროებით მოეჩვენათ. აქაც იგივე განმეორდა: — ეგ ერთი კიდე დაეტოვოთო. — მალე მესამეც გამოტოვებს: — უჰ, ამას სულ ვერაფერს დავაკლებთ! — გადაწყვიტეს და ადგილი მოინაცვლეს.

შემდეგ თანდათან მოუხშირეს ძირების დატოვება. რახან ერთხელ გაიადვილეს მუშაობა, შერე თავი ველარ შეიკაფეს და ყოველი ბუნჯი ასწლოვან მუხად ეჩვენებოდათ.

იჩქარიან გვიმრებში შესვლას. იქ მხოლოდ ყურიანი თოხია საჭირო.

იჩქარიან, მაგრამ ახლა არც იგინებიან, აღარც საუბრობენ, სდუმან. ორივეს ისეთი სახე აქვს, თითქო რალაც შეუფერებელი საქმე ჩაიდინეს და ერთიმეორესთან დალაპარაკება რცხვენიათ.

საცაა გვიმრებში შევლენ.

უცებ მექიმ თეაუღებლად ჩაილაპარაკა:

— კურკანტელა ოხერი ბუნჯია. ორ-სამ დღეში იმისთანა ნაყარს ამოუშვებს — ხელ ახლა გასაკაფავი იქნება.

— მართალია, ერთ კვირაში ისევ გატყვევდება აქაურობა. — მყისვე შეეხმაურა მეტი.

გაემართენ. მიხვედრილი თვალთ ერთმანეთს გადახედეს და წერაქვებს წამოუსვებს ხელი.

საჩქაროთ მონახეს ის ადგილი, სადაც ისინი პირველად წახდენ და ძირები დატოვეს.

— უ, შენი სული! — გამეტებით დაკრა მექიმ.

— დაცხე, ამის ბრალია ყველაფერი, ამან შეგვიტყუილა სიზარმაცეში! — დააწია ბაჭუამ.

სალამოდ სათითაოდ ჩამოუარეს ძირზე გადაკრილ ბუნჯებს და თითხებულა ფესვიც არ გაუშვეს მიწაში.

— ბოსტანი ჩენია. ხაზეინის ხომ არაა, რომ თეალის მოსატყუებლად ვიშუშაოთ და ვაკეთოთ. ცოტა იყოს და კარგი. — თქვა მექიმ როცა უკანასკნელი ძირიც ამოიღეს.

— ასე ჯობია, — დაემოწმა ამხანაგი.

მძიმედ სუნთქავენ. მკლავები დაწყვეტაზე აქვთ. შინწასვლ კი არა, ფეხის გადგმაც უჭირთ. იქვე წაიქცენ და მყისვე ჩაეძინათ იმ ბედნიერი და ნაგარო ძილით, რომელსაც ადამიანს ბუნება აძლევს მისივე წინააღმდეგ ბრძოლაში დახარჯულ ძალღონის აღსადგენად.

მეხუთე დღეს ჯაგებში ნაფეტვარიძე შემოლილინდა. იგი მხოლოდ მაშინ ლილინებდა, როცა სვამდა ან მუშაობდა. სხვა დროს ყოველთვის მოწყენილი იყო.

ბაჭუა და მექიმ დალილილად გაუღიმეს ერთმანეთს, როცა მისი მზიარული ლილინი გაიგონეს; და მართლაც დიდი ხანი არ გასულა, რომ ნაფეტვარიძემ ლილინი შესწყვიტა და გულმოსულად ჩაილაპარაკა.

— რა ყოფილა ეს ოხერი! თითო ძირზე თუ ამდენი ვიჯახირეთ, მგონი ბოსტანი გაისამდე ვერ დაეთესოთ.

მალე ბრაზიანი გინებაც ამოყარა.

ლიტინით მუშაობა შეუძლებელი საქმე იყო ჯაგნარში. ეროვნული
კულტურის
სალამოს ჯაგებში მომუშავე სამეულს ტარასიმ ჩამოაკიდებდა.

— ხელიდან კოლიკას მოგაშველებთ — დაპირდა იგი, მაგრამ მეორე დღით არამც თუ კოლიკა, ნაფეტვარიძეც არ გამოუშვეს.

აღიღებულმა უხიდომ სამიოდე ქცევა ახლად დათესილი ნოლა წარეცხა: ნოლაში ერთი მტკაველა მიწის გაცდენაც არ შეიძლებოდა. ხელახლა უნდა დაეთესა.

ჭალის ჯგუფს ვერაფერს გამოაკლეს. აქ ისედაც ცოტანი იყვნენ. ქარჩხაბში მეტი ხალხი იყო, მაგრამ იქ ნუწუხიკი მეტი იდგა. ისინი ბარით მუშაობდნენ. გამგელებულნი იყვნენ, რომ მიწის გადაბრუნება გვალვების დაწყებამდე მოესწროთ, თორემ ბარით ვერას გახდებოდნენ შემდეგ.

— ისევ თქვენ უნდა გაგიმეტოთ; ორი კაცი უნდა წავართვათ — ეუბნებოდა შეწუხებული ტარასი ბოსტანის გაშენებით გატაცებულ ბიჭებს: — ეიცო რო ძალიან გიჭირთ, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვაქვს. ვერც იმას დავაძლავებთ, რომ ამ დაწყველილ ჯაგნარში მხოლოდ თქვენ ორმა იმუშაოთ. თუ ვერ შეიძლოთ, მიატოვეთ. თავს ხომ არ მიაკლავთ!

— შევიძლებთ — თქვა მექიმე, რომელსაც არც ისე ძალიან წყენია მათი ჯგუფის განახევრება. ის კმაყოფილი იყო, რომ ერთხელ კიდევ მიეცა შემთხვევა არტელისათვის თავის ერთგულება დამტკიცებია.

— მარა — თავის ქექით წაილაპარაკა ბაქუამ: ნაკათის ალებახე კი უქველად უნდა მოგვცხმაროთ.

— უქველად. ხელ ქუთაისის შიფდივარ. ტუჩას თაობაზე მიბარებენ საკონტროლო კომისიაში. არ ვიცი როდის გამოვბრუნდები. თუ ჩემ ჩამოსვლამდე მორჩეთ, ჭალიდან მოიხპარეთ ვინმე. ყოჩაღად იყავით, უჩემობა არ დაიმჩნიოთ.

ტუჩას ხსენებაზე ბაქუა გამოცოცხლდა.

— ფიჭრი ნუ გაქვს, მხოლოდ შენ კი დაიხსომე; აქედან ტუჩა მოგყვება, როგორც აღმაკომის თავჯდომარე და პარტიის კანდიდატი, იქედან კი ისე ჩამოიყვანე — არც ერთი არ იყოს.

— ვნახოთ. მე მტასაც ვაპირებ. — მკაცრად თქვა ტარასიმ: — საკონტროლო კომისიამ ტუჩას ბებიებსაც უნდა გაუსინჯოს კბილი.

კვირა გავიდა. ტარასი ისევ ქუთაისში იყო. მეორე ორშაბათს მარტო დაშინანი ჩამოვიდა.

დუქნებთან ბაქუა შეხვდა. ტუჩა ისე მოწყენილი და მოშვებული იჯდა ცხენზე, რომ უჯრედის მდივანი მაშინვე მიხვდა — იგი მაგრად შეხურებული ბრუნდებოდა ქუთაისიდან.

— გამარჯობა, ტუჩა. — ხმალია მიესალმა ბაქუა.

ტუჩა მყისვე შესწორდა უნაგირზე და ნაძალადევად გაიღიმა.

— გაგიმარჯოს. ძლივს ველირსე, ძლივს! ორი წელია სამაზრო კომიტეტს განცხადებას განცხადებაზე ვაძლევ: ძველმა ჭრილობამ გამიხსენა, ტეხა დამიწყო, წამლობა მჭირდება და იწამეთ ლმერთი, გამანათავისუფლეთ თავმჯდომარეობიდან, საექიმოდ გამოშვით — თქვა. კომიტეტი ყურსაც არ იბერტყდა. გუშინ კი, როგორც იქნა, ველირსე. ჩემი თხოვნა შემისმინეს და გამანათავისუფლეს.

ბაქუამ მთელი ძალღონე მოიხმო, რომ სიცილი არ აეარდნოდა.

— მომილოცავს. მაყარიჩი შენზეა. ეს კი არ ვიცოდი, თუ სამაზრო კომიტე-
ტშიდაც ბიუროკრატები იჯდენ. ორი წელია განცხადება შეიტანე და ახლა
მოგცეს პასუხი? საქართველო

დაშინანი აიწურა;— დამცინის ეს მამაძალი, ესეც ტარასის გამოზრდი-
ლი ლეკვია!— და აქამდე ძლივს-ძლივობით შემავრებული ბოღმა ერთბაშად გა-
მოხეთქა გარეთ.

— დედას ვიტყვებთ ორივეს!— დაიკრიკა ტუჩამ და მათრახი გადაუჭირა ცხე-
ნს, რომელიც მშვიდად წიწვნიდა ბალახს და საესებით არ მოელოდა პატრო-
ნის ასე უეცარ გაბრაზებას.

სამამაბათ დილით ტარასი ჩამოვიდა და პირდაპირ ლეხმურას მიაშურა:

— ცოცხლები ხართ, ყოჩბო! კარგად გიმუშავებია, და მეც კარგი მახა-
რობელი ვარ.— ხმაურით შეიჭრა ნაკაფში.

— უშენოდაც ვაგივეთ. სამახარობლო არ ვერგება.— მშვიდად ვაგებმურა
ბაჭუა, რომელიც დარწმუნებული იყო რომ ტარასი ტუჩას დამარცხების მახა-
რობლად მოდიოდა. აღმასკომის თავჯდომარის მოხსნა და პარტიიდან გარი-
ცხვა მთელმა სოფელმა იცოდა.

— რა ვაგივეთ, ტუჩას ამბავი? ეგ ხომ ისედაც უქვეელი იყო. მე უფრო
ძნელი საქმე მოვაქაზხარაკე ქუთაისში.

ტარასიმ ყველასთვის მოულოდნელი და სასიხარულო ამბავი ჩამოიტანა.
დიდი ბრძოლისა და მიწერმოწერის შემდეგ სამაზრო აღმასკომს ბარნაბასეული
ბალი არტელისათვის გადაეცა. ტარასი არტელის დაარსების დღიდანვე უთვა-
ლთვალეზდა ბალს, მაგრამ ტუჩას გამოისობით ვერაფერი გააწყყო.

სოფლის აღმასკომის ხელში ბალი გადაშენების პირას იდგა. ახალგაზრდა
ნამყენი ყინვამ მოწვა. ხნიერ ხეხილს კორფელი და სოკო დაესია, მაგრამ შარშანს
აქეთ ბალში ერთი კარდალა შაბიამანის ხსნარიც არ შეუტანიათ, ერთი ხეც არ
შეუღლესავთ კირით. გასხვლა და თაღების გამოყვანა ხომ სულ აღარაეის ახსოვდა.

ბალს მცველი არ მიუჩინეს. ყოფილი მეპატრონე ბარნაბა საგანელიძე სა-
რგებლობდა ამით და ხელს უწყობდა ისედაც გადაგვარებულ ბალის აოხრებას.
ერთხელ თხები შეუშვა შიგ.

სოფელში იგი დიდ უკმაყოფილებას თესდა; შეხედეთ, მე წამართვეს და
ვერც თვითონ მოიხმარესო. ამ გაზაფხულზე აქა იქ კიდევ გაისმა, რომ ბალი
ყოფილ მეპატრონისთვის დაებრუნებიათ.

ბალი დიდი შეძენა იყო არტელის ღარიბ მეურნეობისათვის. იმავე საღა-
მოს კრება გამართეს და ბალის მუშების ჯგუფი გამოყვეს. ხეხილს დიდი წამ-
ლობა ჰქონდებოდა. გამოკდილი მებაღე არტელში არ მოინახა. ამიტომ აგრო-
ნომის მოწვევა გადაწყვიტეს.

— ჩვენს მეკინკრიას დაუძახებ. კვახპირში გადასულა სამუშაოდ. ამას წი-
ნათ ხონში მითხრეს, ახლა იქ დაიწყოთ თავის კინკრის მოშენებაო, — თქვა ტარა-
სიმ და მეორე დღესვე არტელის დაფეხილი ქაკი კვახპირისაკენ გააძეუნძულა

აგრონომი ლადო გეგელია რომელიც მთელ იმერეთში მეკინკრიას სახელს
უძახოდენ, ხონელი ვაჭრის შვილი იყო. 1884 წელს, როცა იგი ჯერ კიდევ
წინამძღვრიანთ კარის სასწავლებელში სწავლობდა, მამა მისმა ბარდა გიგე-
ლიამ საანგარიშო ჩოთქი და არშინი გვერდზე გადადო და გუბელ წერეთლე-
ბის შემწეობით ხე-ტყით მოვაკრე ფრანგ კომერსანტს დაუახლოვდა— გვარად
ნაიტის.

ეს ის დრო იყო, როცა უცხოელი ფირმები და კონცესიები საქართველოსკენ იშვებოდნენ ხელს და ჩვენი ქვეყნის ნავთ-სადგურებში უცხო გემები უშვებდნენ ლუწას

უცხოეთის კაპიტალი გაშმაგებული მოუძლოდა გეოლოგებს, რომლებიც ვაფაციკებით ბურღავდნენ მრავალნაირ საბადოებით მდიდარ მთებს და ზეგნებს მოუძლოდა აგრონომებს, რომლებსაც სუბტროპიკული მცენარეების ცხელი სუნთქვა დაქონდათ რიონის ქალებზე და კოლხეთის დაბლობში.

მოუძლოდა კომერსანტებს, რომლებიც ნადირებივით დაძრწოდნენ და აცალიერებდნენ თვალშეუვალ ტყეებს. საქართველოს მდინარეები განუწყვეტლად მიაკურებდნენ ნავთსადგურებისაკენ აფხაზეთის ბზას, გურია-სამეგრელოს ხიგვზებს და იმერეთის ურთხმელას.

იმერეთის ვახტეცვილებზე ბერძნები დარახრახებდნენ ეტლებით და ხონში და სამტრედიისაში აბრეშუმის პარკის სახმობ ფარდულებს აგებდნენ.

მოიჯარადრეები და შუამავალი კაცები თავის წონა ოქროდ ფასდებოდნენ. ბარდლა გეგელიამ ადვილად იხმო გული, რომ ახლა მისთანა მოხერხებულ კაცს დანაშაულად ჩათვლებოდა დახლში დგომა და მუშტრების მოლოდინში ზანტათ მთქნარება.

სავაქრო მიხურა და შუამავლობას მოჰქიდა ხელი. მან ჩქარა დაიმსახურა ნაიტის ნდობა. იგი ბრძნულად მოქმედებდა. არ ბაძაედა იმ სულწასულ შუამავლებს, რომლებიც პირველდღესავე იწყებდნენ ნაიტის მოტყუებას და წვრილმანებზე იტყებდნენ კისერს.

ბარდლა გეგელია მეტი გაქანების კაცი იყო. მან იცოდა, რაც უფრო მეტი ნდობა, მით უფრო ადვილია ქურდობა. ამიტომ ექვსი თვის განმავლობაში იმდენი პატიოსნება და მოთმინება გამოიჩინა, რომ კანონიერ პროცენტებს არ გადაცილებია.

მისმა თვალთმაქცურმა ერთგულებამ კომერსანტი მოხიბლა და ერთი წლის შემდეგ ბარდლა თავის რწმუნებულად გახდა.

ბარდლას მიზანიც ეს იყო. რწმუნებულობის მიღებამ ხელეები გაუსწა. მოკლე ხანში ერთი ორად აინაზღაურა ექვსი თვის იძულებითი პატიოსნება. დიდძალი გამორჩენა ქონდა. ერთი წლის შემდეგ ორ სართულიანი სახლი გამოიჭიმა ხონში, მათხოჯის ქუჩაზე. მეორე წელს, როცა ლადომ სასწავლებელი დაასრულა, ბარდლა იმდენად ხელმომთბარი იყო, რომ შეიღს კიდევ გაუკვირდა—მამამ ისე უყოყმანოდ შეუსრულა თხოვნა და სწავლის გასაგრძელებლად ყირიმში გაამგზავრა, მებაღეობისა და მეღვინეობის საიმპერატორო სასწავლებელში, იალტის მახლობლად სოფელ ნიკიტაში.

1889 წელს ბათომში ნაიტიმ გეგელიას გააცნო ფრანგული სააქციო საზოგადოების წარმომადგენელი მ. ანდრიე.

ზამთრის მიწურული იყო. ისინი ყავახანაში იჯდნენ და ყავას შეექცოდნენ. ანდრიე ხნიერი, მაგრამ კარგად შენახული მამაკაცი იყო. დაბალი, ჩამრგვალებული, მსუქანი, დაეღაეა ლოყებით და მუდამ გაცინებული, ლმობიერი თვალეებით ანდრიე განებივრებულ ბავშვს უფრო გავდა, ვიდრე სამშობლოდან სადიდაც შორეულ ქვეყანაში გადმოხვეწილ ბედის მადიებელს.

ბარდლაზე მან გულუმბრყვილო და გულუბვი ადამიანის შთაბეჭდილება დასტოვა. ამ ტომ შუამავალმა სიამოვნებით იყისრა მასთან სამსახური.

ფრანგული საზოგადოების წარმომადგენელი ანდრიე მიწვეს ცხებულა ქვემო იმერეთში რამის ანუ ჩინური ქინჯრის გასაშენებლად. ფრანგული საზოგადოება მიწებს ათი წლით იჯარით იღებდა. თითველ ქვევაზე ყოველწლიურად თორმეტ მანეთს იძლეოდა. აქედან ოროლი მანეთი შუამავალს მიეცემოდა გასამრჯელოთ.

ამას გარდა, ანდრიე მზად იყო სამი წლის საფასური წინდაწინვე გადაეხადა მიწის ზატრონებისათ. ის.

მიწები — დაახლოვებით სამას ქვევამდე — მომავალ ვაზაფხულიდან უნდა გადასულიყო ფრანგული საზოგადოების მფლობელობაში. წელს კი საქირო იყო სამი ოთხი ქვევა იდგილი სანერგეს გასაშენებლად.

ანდრიეს წინადადება ბარდლასათვის ციდან ჩამოვარდნილი ბედნიერება იყო. ოროლი მანეთი ანდრიესაგან, ამდენივეს ხონელ წულუკიძეებს და ავალიანებს აართმევ! უკეთესი საქმე ღმერთმა შეარკხვისოს! ბარდლა იმდენად ვახარებული იყო, რომ ძლივს მოთოკა თავი და პასუხი ორ დღეს დაავიანა, რათა ამით საქმე უფრო რთულად მოეჩვენებია ფრანგისათვის, ვიდრე სინამდვილეში იყო.

— სანერგესათვის რაც შეიძლება ფხვიერი, ნოტიო და ქარისაგან დაცული ნიადაგი შეარჩიო, — თხოვა ანდრიემ, როცა პირობებზე შეთანხმდენ და გეგელია ხონში წასასვლელად გამოეწყო.

შუამავალმა სანერგე იდგილი შორს აღარ ეძება და თავისივე მამულიდან მიუზომა მებალე ნაკედონსკის, რომელიც ანდრიემ მოიწვია სანერგე პლანტაციის მოსაწყობად და მოსავლელად.

აპრილის დამლევს მაკედონსკიმ ოციოდე გლეხი დაიქირავა და ნიადაგის გამზადებას შეუდგა. ასიოდე ურემი ნაკელი მოაყარეს, ღრმად დაბარეს, გაფოცეს და პატარა არხებით დასერეს.

მომავალი ვაზაფხული შორს იყო, მაგრამ ბარდლამ ამ თავითვე დაიწყო მიწების შექება.

პირველად როსტომ წულუკიძეს მიადგა, რომელსაც საწულუკიძეთოში ასიოდე ქვევა ქური ქონდა. ეს წულუკიძე ხელმოკლე თავადი იყო და ხელგაშლილი ცხოვრება უყვარდა. ამის გარდა, არც მისი ეწერი იყო დიდი ბარაქა. მიმდინარი ყანა იყო.

ამიტომ სხვა დროს როსტომ წულუკიძე თავის ეწერში იმის ნახევარსაც სიამოვნებით დაჯერდებოდა, რასაც ანდრიე იძლეოდა, მაგრამ ახლა, როცა უცხოელის გვარი ვაიგონა, თვალეზი გადმოუცვინდა სიხარბით. მან იყო, ეწერი ამდენი არ ღირდა, მაგრამ რაკი ხელგაშლილი მუშტარი გამოზნდნ, ერთბაშად აზრი შეეცვალა: „კოტას მამლევენ, მატაუბენ“. გულწრფელად დაიჯერა და ისე მოიქცა, როგორც ყოველი ხარბი და უქკუო ადამიანი იქვეა ხოლმე ამისთანა შემთხვევის დროს. ყვავის ბახალა იადონად მოეჩვენა და თავპატივი ვაიღო.

ბარდლა არც კი შევაპრებია, ისე გამოემშვიდობა მას.

— მალე პირაქეთ შემებვეწები, მარა მუქთად რო მომცე, არ წავიღებ! დაექაღნა ის და კიდევ შეასრულა.

ორი კვირის შემდეგ ხონელ მემამულეებში ხმა გავრცელდა, გველეხი ავალიანებს ურიგდებოა. როსტომი მხოლოდ მაშინ მიხვდა თავის სიბუკეს და კაცი მიუგზავნა შემაჯალს, მაგრამ ბარდლამ პასუხის ღირსადაც არ გახდა. ისი წულუკიძემ შური იძია.

— ფრანგები იმისთანა მცენარეს აშენებენ, მის ნაკვალევზე სიმინდი კი არა, ანწლიკაც ვერ გაიხარებს!— ხმამალა ლაპარაკობდა ის. ქორების მოყვარული ხონელები დიდი მონდომებით გამოეხმაურენ როსტომ წულუკიძეს. ერთმა გამოყრუებულმა მემამულემ კარაბადინიც კი მოიშველია, სადაც თურმე შემდეგი ეწერა: სადაც ის დაწყველილი მცენარე დაირგოა, მიწა ვადაშენდეს და უნაყოფო გახდესო.

ქორებმა ავალიანები შეაყოყმანეს.

— რაცხა ამისთანა რომ არ იყოს, ფრანგები არც ამდენს შემოგვაძლევდენ! ვანა საფრანგეთში ცოტაა მიწა? რალა ჩვენ მოგვადგენ!

წულუკიძის ქორებს ზოგიერთები ურწმუნოდ უყურებდენ, მაგრამ ხალხში მაინც გულმოდგინედ იმეორებდენ მას. ეს ქორები ყველასთვის ხელსაყრელი იყო: მიწას ფასი ემატებოდა.

იჯარის მოგვარება შეფერხდა. აპრილის დამლევამდე ბარდლამ სამოციოდე ქცევა იშოვა მხოლოდ. გულს არ იტებდა.

— საქონლის პატრონსა და მუშტარს შორის მოგებული ის დარჩება, ვინც შეტს მოითმენს. გაისამდე კაი ძალი დროა. მე არ მეჩქარება, მოვიცილი!— ფიქრობდა ის და გამსუნაგებულ მემამულეებს აღარ ეძაღებოდა. მაისის პირველ რიცხვებში შუამავალმა ანდრიესთან ერთად, რომელიც სანერგე პლანტაციის მოსაწყობ ნაკვეთის დასათვალისწინებლად იყო ჩამოსული, აჯამეთში გაემგზავრა რამის ძირების ჩამოსატანათ. სამიათას ძირამდე ბარონ ლონგვილის ყოფილ მამულიდან შეისყიდეს. ათასი ძირი შემოქმედის მონასტრის ბაილიდან წამოიღეს. ეს ბაილი ქაიხოსრო გურიელს ეკუთვნოდა. აქაური რამი ქუთაისის ფერმიდან იყო გადმორგული სადაც ის ინგლისელმა მარრიმ ვააშენა 1869 წ. ზოგიც კვახპირელ წულუკიძეს გამოართვეს, რომელსაც მთელს იმერეთში განთქმული, კულტურულად მოწყობილი მეურნეობა ქონდა. სულ რვა ათას ძირამდე მოაგროვეს და მაისის მიწურულში ხონში დაბრუნდენ.

ლადო სამშობლოში ატარებდა საზაფხულო არდადეგებს. ჩამოვიდოდა თუ არა, მის დანახვაზე აივნიდან კისრის ტეხით გადმოცევილ მშობლებს ერთის წამით საკოცნელად მიუშვერდა ლოყებს და მყისვე უკანა ეზოში გავარდებოდა თავის გაშენებულ ხეხილის ბაღის სანახავად. თავს ევლებოდა. არდადეგების განმავლობაში მუდამ დღე ბაღში იყო თავის ხელსაწყობით. მრავალნაირი ხეხილის ჯიში მოაშენა. ადგილობრივი ჯიშებს გარდა იგი გულმოდგინედ აწარმოებდა ახალი ჯიშების გამოცდას. აშენებდა უცხოელ რენეტებს, ჯიშიან ქერამს, ატანს და ყირიმულ მსხლეებს.

სწავლის დასრულების შემდეგ ლადოს განზრახული ქონდა თავის ბაღის გადიდება და მებუღოების ფერმის მოწყობა, რომელიც დახმარებას გაუწევდა ადგილობრივ მეურნეებს.

წელსაც ჩამოსვლისთანავე ბაღისკენ გაქანდა. ვიდრე ბაღის კარს შეაღებდა, მისი თვალი უცნაურმა სანახაობამ მოიტაცა.

ბალის მარჯვნივ, სადაც წინად მამა მისი სიმინდს თესდა, ახლა რაღაც უცხო მცენარე ლელავდა ვერცხლისფრად.

ახლო მოვიდა, დააკვირდა და უზომოდ გააკვირვებულა. — მან, სამეურნეო სასწავლებლის უკანასკნელი კურსის სტუდენტმა, დაახლოვებითაც ვერ გამოიცნო ეს მცენარე. ხელით გასინჯა. იგი ძლიერ გავდა ჩვეულებრივ ქინკარს. მხოლოდ მისი ფოთლები მსუსხავი ბუსუსებით არ იყო შემოსილი. ფოთლების ზედაპირი მუქი მწვანე იყო, ქვედა კი — ვერცხლის ფერი. დილის ფიცხი ნიაფი მცენარეს აღელვებდა, ფოთლების ქვედაპირს აჩენდა, ამიტომ შორიდან ამ უცნაურ „ყანას“ ვერცხლის ფერი გადაკრავდა.

ბალისკენ არც კი მოუხედავს, უკანვე გამოიქცა.

— ეგ რა უცნაური რამე მოგიშენებია, მამაჩემო! რა არის?

— რა უნდა იყოს. ვერ გამოიცანი? რამია, შეილო — ისეთი ხმით მიუგო ბარდლამ, თითქო რამი ერთი ათჯერ მაინც მოეყვანოს თავის მამულში. რამის შესახებ იმანაც არაფერი იცოდა ხეირიანად, მაგრამ შეილის წინაშე თავი მოიწონა და მცოდნე კაცივით დაიჭირა.

ანდრიესაგან გაკვრით გაეგონა, რამისაგან აბრეშუმისნაირ ქსოვილებს ამზადებენო, მაგრამ ამის დაჯერება ისე გაუძნელდა, რომ გადასწყვიტა: ფრანგი თავის ქვუაზე არ იყო. თავის ურწმუნოებას არ ამხელდა. ეშინოდა, ბრიყვი ანდრიე გონს არ მოვიდეს, თორემ აქედან აიბარგება და მშვიდობით ოროლო მანეთოთ.

ბარდლამ ყველაფერი ჟამბო შეილს. ამ დღიდან მოყოლებული, ლადო გეგელია მუდამ დღე რამის სანერგე პლანტაციაზე იყო, სადაც ანდრიეს გულს უწვრილებდა თავის გაუთავებელ ცნობის მოყვარეობით.

ფრანგთან საუბრებმა იგი ისე გაიტაცა რომ თავის ბალი აღარც კი ახსოვდა.

— რამი სართავი მცენარეა, — უხსნიდა ანდრიე: — მისი კანი უმაღლეს ხარისხის ბოკოს იძლევა. ჩინეთის შემდეგ, რომელიც რამის სამშობლოდ ითვლება, საქართველო მეორე ქვეყანაა, სადღაც დიდი წარმატებით შეიძლება მისი გავრცელება. აქაური ნიადაგი და ჰავა დაუფასებელი განძია. აქ სასწაულის მოხდენა შეიძლება, მაგრამ თქვენ ლატაკები ხართ, კაპიტალი არა გაქვთ, კულტურა, რომელიც ამ მიწას ოქროს გამოაღებინებს. სიმინდს თესაეთ, ან კიდევ იმერელი გლეხები ამისთანა ძვირფას მიწას ტოვებენ და ლაქიებად გარბიან ამიერ კავკასიის ქალაქებში. ამაზე მეტი ველურობა წარმოუდგენელია: ორი ქცევა რამის პლანტაცია ორმოც ქცევა ყანაზე უფრო სარფიანია. ჩვენ გავამდიდრებთ აქაურ მეურნეებს, თუ ისინიც თავის მხრით ხელს შეგვიწყობენ და რამის გაშენებას იკისრებენ. სამწუხაროდ, დახმარების მაგიერ მემამულეები მხოლოდ იმას ფიქრობენ, რაც შეიძლება მეტი აგვადლიტონ. მიწებს იმისთანა ფასი დაადეს, რომ იძულებული ვარ-ვანზრახული პლანტაციების რაოდენობა შევამცირო. ისინი ნაკლებად ფიქრობენ რომ ჩვენი საზოგადოება დიდ სიკეთეს უქადის საქართველოს მეურნეობას. მათ მხოლოდ პირადი ანგარება აოქმედებთ. იმედი მაქვს, თქვენისთანა განათლებული ახალგაზრდები, რომლებსაც სამშობლო მეურნეობის ბედი აფიქრებთ, დაგვეხმარებინან, რათა ადგილობრივი მოსახლეობა რამის სარგებლიანობაში დავაჯეროთ.

ლადო დაწერილებით გაეცნო ფრანგული საზოგადოების საქმიანობას. იგი დარწმუნდა რომ ფრანგების ოქრო არ ხუმრობდა და თავის ძლიერ ნების ხონიდან შავ ზღვამდე შლიდა.

— შთელი ზაფხული აქ დავრჩები. არას დავიშორებ მიმსახურეთ, მხურვალედ აღუთქვა ლადომ.

იგი ერთბაშად ჩასწვდა ფრანგული საზოგადოების წამოწყების მნიშვნელობას საქართველოს მეურნეობისათვის. მისთვის, მომავალ აგრონომისათვის, ადვილად მისახვედრი იყო, რომ მსოფლიოში სოფლის მეურნეობით განთქმული ფრანგები საქართველოს ტყუილბურალოდ არ მოადგებოდნენ. იგი დიდი ვატაცებით შეუდგა ანდრიესადმი მიცემული პირობის შესრულებას.

ბარდლას არ მოეწონა შეილის განზრახვა. ბოლო ხანებში შუამავალი განგებ აძნელებდა მიწების შოვნას, რათა ანდრიეს მეტი სიუხეით დაეჯილდოებია მისი სამსახური. შეილის ჩარევა საზარალო იყო.

— შენს ბალსა და წიგნებს მიხედუ, ის გირჩევნია. ანდრიეს შენი აპეკუნობა არ ჭირდება! ჯავრობდა იგი, მაგრამ ლადო არ ცხრებოდა. ერთხელ მან უკმეხად მოუჭრა, რომ ფრანგების საქმიანობა საქვეყნო საქმეა და არა შენი და ავლიანების საწველი ფურიო.

— რის საქვეყნო! იყვირა ბარდლამ: ეგება მართლა გგონია, რომ იმ ჭინჭრისგან აბრეშუმს მოქსოვენ! ჩემ საქმეში ნუ ერბები. სანამ ანდრიე თავის ბრიყვობას მიხვდებოდეს, მანამდე თუ რამეს დავაძრობ თორემ, მერე გვიანდა იქნება. მაისამდე მაცალე. მერე კი თუ გინდათ, ცხვირზე დაითესეთ ის რამი, ღმერთმა ხერი მოგკეთ.

ლადო მტკიცედ ადგა თავის გადაწყვეტილებას. იგი სათანადოთ ვერ იცნობდა რამის კულტურას, მაგრამ ის ვარემოება, რომ ამ კულტურას ფრანგები მესვეურებდნენ, უკვე საკმარისი იყო რათა ლადო მისი ინტელუიასტი გამზდარიყო.

მამა და შეილი გვარიანად შელაპარაკდნენ. მათი დავა ისე შორს წაივდა, რომ ცისმარე დღეს, სადილ-ვახშამზე უბრადა ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ვინ იცის როდის გამორიგდებოდნენ, რომ ბრმა შემთხვევას ნიადიგი არ გამოეცალა მათი უკმაყოფილებისათვის. მართობის თვეში ანდრიე ფილტვების ანთებამ იმხვერპლა, სამტრედიაში ვარდაიცვალა. მისმა მეუღლემ ანდრიეს ნეშტი საფრანგეთში წაასვენა.

მისი სიკვდილის შემდეგ ხონის სანერგე პლანტაციის ბედი უკულმა დატრიალდა.

ბარდლამ და მაკედონსკიმ რამდენიმე წერილი მისწერეს ფრანგულ საზოგადოებას, მაგრამ პასუხს ვერ ეღირსენ. უპატრონოდ დარჩენილი სანერგე მათ დაოსაკუთრეს. მიუხედავად იმისა, რომ პლანტაციის მოვლა-გაპატიებაზე ახალი პატრონები ნაკლებათ ფიქრობდნენ, რამი მშვენივრად განვითარდა, მაგრამ ბოკოს მისაღებ მანქანების უქონლობის გამო, მოსავალს არ აგროვებდნენ. ბარდლას მიწა უცდებოდა. მაკედონსკის შრომა ეხარჯებოდა, ნარგავებს კი ვერაფერში ვერ იყენებდნენ. ამიტომ ადგენ და ნერგების დიდი ნაწილი ჩაქვის საუფლისწულო მამულს მიჰყავდნენ.

ბარდლას დარჩენილი ნერგების მოშორებაც უნდოდა. მაგრამ ლადოს თბოენით დატოვა.

— გაეცნენილ მიწას ერთი ათად აგინაზღაურებ! დაპირდა შენთან და გაფიც-
იციებით შეუდგა რამის კულტურის შესწავლას და ცდების წარმოებას.

1895 წელს მისი პლანტაცია უცხოელმა აგრონომებმა ინახულეს. მათი
აზრით, რამი ჩინებული იყო და წელიწადში სამი მოსავლის აკრეფა შეიძლე-
ბოდა. გამხნეებულმა ლადომ საბოლოოდ გადასწყვიტა გავგრძელებია ფრან-
გული საზოგადოების მიერ დაწყებული საქმე. ამ აზრმა მთელი მისი გონება
დაიფლო. არც სამსახურს ეძებდა, მეხილეობის ფერმაც მიივიწყდა. მისი ამბა-
ნაგები ქუთაისის ბრწყინვალე ჩინოვნიკები იყვნენ. ის კი დღე და ღამ თავის
იორლაზე იჯდა და იმერეთის გზატკეცილებს ამტვერიანებდა. ნათელი გონების
და დიდი ენერჯის გარდა ლადოს არაფერი ვაჩნდა, ეს კი ძალიან ცოტა იყო
ამ დიდი ტვირთის ასაწევად, რომელიც მან იკისრა. ამიტომ იგი იმერეთის
შედლებულ მემამულეებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა „რამის ამხანაგობის“
შესადგენად. იმ ხანებში იგი შეუამხანაგდა ახალსენაკელ აფთიაქარს, ვასკოვ-
სკის, რომელმაც ხონის რამიდან ბოქკო დაამუშავა, მისი ნიმუში ლადომ საფ-
რანგეთში გაგზავნა, სადაც იგი საუკეთესო ლირსების ბოქკოდ იქმნა ცნობილი.
ფრთხვანაგობა აგრონომმა ახლა შორს გაიწია და ბოქკოს ნიმუშები ევრო-
პის სხვადასხვა სახელმწიფოებს მიაწოდა. 1896 წელს უცხოელმა ფირმებმა წი-
ნადადება მისცეს მას, რომ კონტრაქტი დაედო მათთან რამოდენიმე ათეული
ათასი ფუთი რამის მიწოდების შესახებ. თითოეულ დესტინის მოსავალზე 90
მანეთს იძლეოდნენ. ლადო გაათკეცილებული ენერჯით დაფაცურდა, მთელი გუბ-
ერნია შეძრა, მაგრამ ამხანაგობის შედეგია არ მოხერხდა. მისი ალტაცებული
სიტყვები უსარგებლოდ იფშენებოდა მემამულეების გაყინულ შუბლზე, ყველანი
დაცინვით აკანტურებდნენ თავს: სხვა ვინმე სულელი მონახე, ვისაც ჭინჭრისათ-
ვის მოსაცდენი მიწა ექნებოა.

ბარდლაც უკმაყოფილო იყო.

— რას ვადაყვი იმ საოხრეს! შენს სწავლას შენი წონა ფული დაეხარჯე,
სამსახური იშოვე, ოჯახს მიხედ! — კიცხავდა შვილს, თანაც მიწის განთავისუ-
ფლებას ითხოვდა.

ახალგაზრდა აგრონომი ერთხანს კიდევ აწყდებოდა მემამულეების ჭიკაძეს.
ბოლოს გულის ტკივილით აღიარა თავის დამარცხება და უცხოელ ფირმებს
უარი შეუთვალა.

1898 წელს ლადო გეგელიამ იორლას უნაგირი მოხსნა და სანერგეში გა-
უშვა საძოვრად. ვახარებულმა ბარდლამ ძროხებიც მიაყალა. გულხელდაკრეფი-
ლი ლადო აივანზე იდგა. ჩუმი ნალველით გატკეროდა სანერგეს, რომელსაც
ხარბად მუსრავდა საქონელი.

ასე უსახელოდ დაიღუპა ხონში ფრანგული სააქციო საზოგადოების მიერ
გაშენებული პლანტაცია.

რამი ჯიუტი მცენარე გამოდგა. ბარდლამ ვერასვხით ვერ გადააშენა ის
თავის მამულიდან. საქონელი მოაბალახეს, ღერები აჭრეს, მოხნეს, მაგრამ აქა-
იქ დარჩენილმა ძირებმა გაზაფხულზე კვლავ ამოხეთქა და იჭაურობა გაატყვევა.

შემოდგომაზე ჩაღებოდა, გაზაფხულზე ისევ ამოვარდებოდა თავმოწო-
ნედ. გაველურდა, ასე მომძლავრდა, რომ ივანდიდელი გლეხები მცენარის ძირ-
ებს ბოკონებოვით თხრიდნენ და შეშად ხმარობდნენ. ერთმა კი იმდენიც მოახე-
რხა, რომ რამის ღერებს კანი გააცალა და ათიოდე გირვანქა მშენიერი ბაწა-
რი დაწა.

თავგაბეზრებულმა ბარდლამ გლეხები დაიჭირა და კავებით და წაიქაძა-
ბით მიუსია შეუპოვარ მცენარეს.

გავიდა წლები. ლადო მასწავლებლად მოეწყო ქუთაისის ფერძის სასწავ-
ლებელში. ცოლი შეირთო, შეიღებოც გაუჩნდა, მაგრამ ოჯახური ბედნიერ-
ება ძალიან მცირე ნუგეში იყო მისთვის მოსვენებული ცხოვრება მალე მო-
სწყინდა. იგი მუდმივი მოქმედებისათვის იყო გაჩენილი. მის გონებაში ათა-
სნაირი გეგმები ეწყო, რომელიც სკოლის ოთახებიდან თვალგაუწვდენ მინდ-
ვრებისაკენ ეწეოდა მას.

რამდენჯერმე კიდევ ცადა ამხანაგობის შედგენა. ქუთაისის საადგილმამუ-
ლო ბანკიდან დახმარება ითხოვა, მაგრამ მისი პროექტები ყველგან სასაცილოდ
აიგდეს.

გეგელიამ რამი საბოლოოდ გამოიტირა და ისევ მეხილეობის ფერძის და-
უბრუნდა, რომ მისთვის მოულოდნელმა შემთხვევებმა იგი კვლავ წამოშალა
თავის გეგმებით და იმედებით. ეს იყო ჟიროხნის წლებში.

—საქართველო ქარხველებისა! სამშობლოს ბედობაღს რუსის ჩინოვნიკე-
ბი აღარ განაგებენ— და იმედგაღვიძებულმა აგრონომმა ქუთაისის ერობაში ცი-
ფრებისა და გეგმების სროლა ატება.

—ევროპიდან საქართველოში მოდიოდენ ამ დაუფასებელი მცენარის გა-
საშენებლად. დამოუკიდებლობა გველირსა, ახლა მაინც მივხედოთ ჩვენი ქვეყ-
ნის მეურნეობას—დაასრულებდა სიტყვას და კაბინეტში ხანგრძლივი სიჩუმე
ჩამოვარდებოდა.

ქმინავდა გეგელია და ჭრიჭინებდა სავარძელი, რომელსაც ის არ ასვენებდა.
დაქიმული ელოდა პასუხს. მისთვის ძნელი მოსათმენი იყო ეგ სიჩუმე რომლის
განმავლობაში ერობის წევრი დასაბუთებულ პასუხს ამზადებდა რამზე გაგიჟე-
ბულ აგრონომის თავიდან მოსაცილებლად—და როცა გეგელია მოისმენდა ათა-
სჯერ ვაგონილს და საუწყებო თავაზიანობის ციფ წყალში ამოვლებულ ფრა-
ზას... ამ ეპიზოდ ჩვენს წინაშე ვაცილებით რთული ამოცანა დგას: საქართველოს
საერთაშორისო მდგომარეობა და სხვა და სხვა...—აგრონომი წამოვარდებოდა და
თითქო არა იმ ოთახში მოხვდა, რომელსაც ეძებდა—საჩქაროდ მიიხურა და
კარს.

გამწარებულმა გეგელიამ ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს მენშევიკს გრი-
შა ცხომელიძეს მიმართა დახმარების აღმოსაჩენად.

—რა დროს ცდები ჩემო ძმაო!—უსაყვედურა ცნობილმა პოლიტიკურმა
მოღვაწემ:—ახლა ჩვენს სამშობლოს შეგნებული მამულიშვილები და პოლიტი-
კოსები ჭირდება და არა ვიწრო სპეციალისტები. შენ, როგორც გეტყობა,
უსაქმოდ ყოფილხარ. მე გავიჩენ საქმეს.—შეპირდა იგი და რამდენიმე დღის
შემდეგ გეგელიას პარტიული მანდატი და საარჩევნო ფურცლები და ბროშუ-
რები მიიჩინა ხელში. აგრონომი სოფლებში უნდა წასულიყო არჩევნების ჩასა-
ტარებლად.

—კაცო, მე რომელი ურატაქე ვარ! რაც ვიცი, იმ საქმეზე დამაყენეთ—
გაცხარდა იგი, მაგრამ როცა ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ იჭვი გამო-
თქვა მისი პარტიოტობისა და მამულიშვილობის შესახებ, აგრონომი უსიტყვოდ
დანებდა.

ფურცლები და ბროშურები სამგზავრო ჩანთაში ჩატენა და პოლიტიკურ
ქარს, რომელსაც აქამდე ზურგს უჩვენებდა ყოველთვის, ახლა სახე მიუშვია.

სოფლებში მოგზაურობის დროს აგრონომი მოწმე გახდა მრავალწლოვან კულტურების განადგურებისა. სიმინდის კრიზისით შევიწროებულნი, მწიფე მწიფე ბევრგან ვენახებსა და ბაღებს კრიდენ და ყანას თესდენ.

—რამს ვილა ჩივის! რაცა გაქვს, ის ძვირფასი ნარკავებიც დაღუპვის პირზეა,—შემრწუნდა იგი და ქუთაისში გამოიქცა რათა სამაზრო ხელისუფლების დახმარებით სასწრაფო ზომები მიეღო ვენახებისა და ბაღების განადგურების ტალღის შესაჩერებლად.

ერთი კვირის განმავლობაში ოციოდე განცხადება და წერილი ჩამოარიგა ერობაში და რედაქციებში. ყველა უპასუხოდ დატოვეს. რესპუბლიკას არ ეცალა ასეთი წვრილმანი საკითხებისათვის. იგი ქალაქების მთავარ ქუჩებზე დროშებით და ყვავილებით დამოშენებულ თაღებს დგავდა, ძვირფასი სტუმრების, დასავლეთის „სოციალისტური“ მიზისტრების მისაღებად.

კრებების და მიტინგების კორიანტელში გახვეულ აგრონომს ძალიან უკვირდა, რომ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ პარტიები ისევ განაგრძობდენ ბრძოლას და კინკლაობას.

—მეტი რალა გვინდა? ქართველი ერის დიდხინის ოცნებამ ხორცი შეიხსა. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის“. ჩვენ კი უჭკუოდ ვიჭყევით. იმის მაგივრად, რომ ჭვეყნის ეკონომიურ აღორძინებაზე ვიზრუნოთ, მთელი ჩვენი ენერჯია პარტიულ კინკლაობას ეწირება!—წუხდა იგი და მოუსვენრად აწყდებოდა ქუთაისის სამეურნეო დაწესებულებებს.

ის უკვე გაქალაქავდა რამის დევნაში, მაგრამ გულს არ იტებდა.

1920 წლის მიწურულში გეგელიამ გადაწყვიტა რამის კულტურის შესახებ ვრცელი მოხსენება-ნარკვევი წარედგინა მიწადმოქმედების სამინისტროში. საქარო მასალები მოკრიბა და რამოდენიმე კვირის შემდეგ მოხსენება მზად ქონდა, მაგრამ თბილისში უკვე აღარ იყო მიწადმოქმედების სამინისტრო. საქართველოს ოცდახუთი თებერვალი დაეპატრონა.

—საქართველოში კვლავ რუსული შინელების სუნი დგას. შავი მონარქისტები წითელმა დესპოტებმა შეცვალეს,—ამოიგმინა მან და თავის მოხსენება-ნარკვევი ცეცხლს მიკა. იმ ლამით იგი ერთბაშად მოხუცდა.

გულგატეხილი, დამარცხებული აგრონომი ისევ მასწავლებლობას დაუბრუნდა. იჯდა ფერმაში და გულგრილად აღევნებდა თვალს მისთვის უცნობ და მიშხიდელობას მოკლებულ ცხოვრების დენას.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა?! ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგი?! ეს ლენინის პოლიტიკური ფანდია. ქართველი ერის ნაციონალური თავმოყვარეობის მოსადუნებლად. ეროვნული კულტურის აყვავების ლოზუნგები—ეს მხოლოდ და მხოლოდ ნარკოზია, კრომლითაც ბოლშევიკები, აყუჩებენ რუსეთისადმი ჩვენი ერის სიძულვილს.

...მათი შინაარსი კი ძველია. საბჭოთა ჩაქუჩსა და ნამგალს უკან უბეში დაპყრობა ძალა—ორთავიანი არწივი იმალება, რომელიც საქართველოს ისევ თავის ორ გუბერნიად გადააქცევს.

ასე ფიქრობდა აგრონომი ლადო გეგელია და 1922 წელს, ქუთაისის ყოფილ სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებლის მენშევიკ ნაკაშიძის მითითებით იგი შეუდგა „წითელი დესპოტების“ წინააღმდეგ ბრძოლას. ჩამოაყალიბა მოწაფეთა ანტისაბჭოთა ჯგუფი, რომელმაც იმავე წელს მონაწილეობა მიიღო კონტრე-



ვოლიუტკონურ ოცდაექვსი მაისის აღსანიშნავად, ქუთაისის ბულვარში მოწყობილ გამოსვლებში.

მეორე დღეს ლადო ხონში გაიხიზნა. გამოსვლების თითქმის ყველა მკათაური ჩეკაში იჯდა. გეგელია ვადარჩა, მაგრამ ვერ მოისვენა. ყოველ წამს ელოდა ქარზე ჩეკას გაქუნს. ორი დღის შემდეგ ნაჯაშიძეც პაიარდა. მის დაპატიმრების შემდეგ გეგელია დარწმუნებული არ იყო, რომ ზვალ დილით თავის საწოლში გაიღვიძებდა. მის გულს საშინელი გულმოდგინებით ხრავდა შიში. „ჩემ კვალსაც მოაგებენ, დამიჭერენ, შეიძლება კიდევ გადამახახლონ! ჩემ თავს არ დაგეძებ. ოჯახი ამიწიოკდება, შვილები შიმშილით დამეხოცება“. ამის შიშმა ლადო ისე დაიფლო, რომ მეხუთე დღეს ჩეკაში თავის ნებით გამოცხადდა. გულწრფელად აღიარა ყველაფერი და პატიება ითხოვა, თანაც პირობას დებდა, რომ ამერიიდან ხელს აიღებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებაზე.

ჩეკაში ათიოდე დღე გააჩერეს. დაკითხეს, გამოიძიეს, ხელწერილი ჩამოართვეს და გაუშვეს.

ფერმიდან დაითხოვეს. ახალი ადგილი აღარ ეძება. გადასახლდა ხონში და თავის მეურნეობას მოეკიდა.

მოიწყინა გეგელიამ. სამი ათეული წლის მეცადინეობით ვერაფერს მიღწია და მომავალსაც სანუგეშო პირი არ უჩანდა. ძავდა ახალი ცხოვრება, რადგან დაჯერებული იყო, რომ ბოლშევიკებიც არ ყოფილყვენ, იგი განახორციელებდა თავის მასულდგმულბეულ მიზანს. საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი აგრონომი განგებ ივიწყებდა, რომ შენშევიკებმა მას სპეციალობა ჩამოართვეს და ენის ქვეილი ასწავეს. «ხმა მიეციით პირველ ნომერსო» — ამის ძახილით გამოათაყუანეს.

გეგელია ცხოვრებიდან ამოვარდა. იგი უმოქმედობაზე იყო გაწირული. თავისთავს დაკარგულად და ქვეყნისათვის ზედმეტად თვლიდა. არ იცოდა რა ელონა, რომ ამ ზედმეტობის საშინელი გრძობისგან განათავისუფლებულიყო. საკუთარ ფიქრებში და ეზოში ჩაკეტილი აგრონომი გაურბოდა იმ სინამდვილეს, რომელმაც მისი აზრით ვერ გააუქმა ლადოსთანა მოქმედი ადამიანები და ახლა ხელი მიძყო იმათ სამშობლოს განადგურებას.

გაურბოდა ყველა მეგობარს და ნათესავს, ვინც მასავით შწარეთ არ განიცდიდა „ბარბაროსების შემოსევას“. გაცილებული ადამიანი ზიზღს გვრიდა მას.

ერთხელ ცოლმა ძალით წაიყვანა ლადო თავის მის ოჯახში, სადაც ისეთი ქეფი იკოლენ, რომ სუფრა კვირიდან კვირამდე არ ილაგდებოდა.

ენაშეუხანავი ხონელები ლაპარაკობდენ, რომ 1921 წელს 16 მარტს, როცა ქუთაისიდან გვარდიელების უკანასკნელი ბათალიონები გარბოდენ, ლადოს ცოლის ძმა — გვარდიის სამნეო ნაწილის გამგემ, ორპირის ქუჩაზე ჯარის ტანსაცმულით და სურსათით დატვირთულ ურმების ქარავანს ორი ურები ჩამოაშორა და ხონისკენ გამოაპარაო.

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ იყო აშკარა: 1921-22 წლებში, როცა იმერეთის ბელლებში თავგების თავშესაქცევი სიმინდიც აღარ იყო, ყოფილ გვარდიელს ყველაფერი თავსაყრელი ქონდა — ბრინჯი, შაქარი და სიმინდი. სიმინდი სამეგრელოდან ჩამოქონდა.

ყოველ ზუთშაბათს გვარდიელი ხონიდან გაქრებოდა ხოლმე. როცა აქედან მიდიოდა, ყოველთვის ინგლისური შინელი ეცვა, იქიდან კი შილიფად ბრუნდებოდა. სამაგიეროდ ქიშკართან სავსე ეტლს გააჩერებდა და ორი მძივე ტომარა და სულგუნებით გატენილი ხურჯინი საჩქაროდ შეიმალებოდა შუშაბანდიან აივანში.

იმ წელს ხონში ძვირად იყო ისეთი მოსახლე, რომ მისი ვალი არ მართებოდა. ცოლიამის ოჯახში ისეთი ბედნიერი უდარდლობა სუფევდა, რომ ლა-

დომ მისვლისთანავე ინანა აქ წამოსვლა. მათ ბედნიერებაში იყურებოდნენ ცხოველური, უხეში რამ, რაც შეურაცყოფას აყენებდა გეგელიას სივრცეს.

მას ჰირივით შეებულდა ეს გონებაშებნულდული და ზერეულ ადამიანები, რომლებსაც არარაობად მიიჩნდათ ყველაფერი, რაც მათი ოჯახის იქეთ იდო და რომელთა ვიწრო შუბლს ერთი ნაოჭიც არ მიუშავთ სამშობლოს უბედურებამ.

— პირუტყვი რო პირუტყვია, ერთჯერ ისიც კი დაიბლაღვებს, როცა გაყიდვან, თავის ბოსელს მოაშორებენ, ამათ კი სამშობლო დაკარგეს და მანც მხიარული გუნებაზე არიან! ეს ხალხი კაცობრიობის ყველაზე საშიხლარ ჯიშს ეკუთვნის, იმ ჯიშს, რომელსაც შეუძლია ყოველნაირი დროშის ქვეშ ტკბილად იცხოვროს! — თქვა და ცოლიძის ოჯახში სანუღამოდ ამოიკვეთა ფეხი.

მაგრამ იყო ერთი მოსახლე, სადაც ლადოს არ ენელებოდა მისვლა. იგი ხშირი სტუმარი იყო ალექსანდრე ლოლოზბერიძის ოჯახში, ლადო ისვენებდა აქ, სადაც ყველანი მასავეთ დამგლოვიარებულნი იყვნენ. პროვიზორი ალექსანდრე ლოლოზბერიძე, სამხარო ერობის ყოფილი წევრი და ქუთაისის ორა აფთიაქის პატრონი ახლა სოფელ ბარში იყო პატარა აფთიაქის გამგედ. დილიდან შუადღემდე წამლის ფიხჯანებს აჩხაკუნებდა. ნასაღლეებს იძინებდა. საღამოს ლადო ესტუმრობოდა ან თვითონ აირბუნდა მასთან ხონში.

გვიან შუალამემდე სვირულს და ჯანჯუხებს უსხდენ და ანგარიშობდენ, როდის დატოვებდენ ბოლშევიკები საქართველოს.

შარშან შემთხვევით ხონის ბირჟაზე სოფლიდან ჩამოსულ ტარასის აგრონომი შეხვდა.

ტარასის წინ დაძებუნებული მოხუცი იღვა რომელსაც ლაქებით აპრიანებული და გახუნებული პიჯაკი ჩვარივით ეკიდა ტანზე. ზურგი და საყელო ქერტლით ქონდა გადათეთრებული. ლადოს გარეგნობა და ლაპარაკი გარკვევით ღალადებდა, რომ მას ყველაფრის გულისყური დაკარგოდა. მისი ერთად ერთი წადილი იყო, რაც შეიძლება წყნარად და უშფოთელად მისულიყო სამარის კარამდი.

ტარასი გაოცდა როცა ეს მოუსვენარი და შრომისმოყვარე ადამიანი ასე უდროოდ მოტეხილი ნახა.

მკლავებ დაკაბიწებული ქვეყანა გაბედულ გეგმებს აშრიანებდა.

თბილისის მახლობლად, ავჭალაში, ექსკავატორები ხრიანებდენ. ბოლშევიკები თეთრი ნახშირის უზარმაზარ სასახლეს აგებდენ — ზაქესს, რომელიც 25 ათასი ცხენის ძალით შემოიჭრებოდა დედაქალაქში.

ჯებირებში ჩაკეტილი აქარის წყალი აშმაგებული ეხეტებოდა ნაპირებს. ანგრევდა საგუმბარს და დაუშთავრებელ ტაფობს აოხრებდა. ლამობდა დასხლეტოდა ადამიანის ხელს, რომელიც მის თავისუფალ ზვირთებს გვირაბში ამწყვდევდა.

ნატანებიდან რკინის გზის ახალი ხაზი გაყავდათ. გურულები დღედღეზე ელოდენ, როდის მოაკივლებდა ორთქშავალი ოზურგეთს.

ყველაფერი ეს ხონიდან შორს იყო, ყრუდ ისმოდა. ლადო გეგელია ურწმუნოდ იქნებდა თავს. მას ურყევად წამდა, რომ საქართველო კომუნისტების ხელში რუსეთის ორი მიყრუებული გუბერნია იქნებოდა.

მაგრამ როცა ქუთაისში ყოფილი საგუბერნო ციხის პირდაპირ, სადაც წინათ ყაზარმები იდგა, მაულის ფაბრიკის კორპუსები აიშართა და მილებმა კვამლი ამოყარა, როცა მდინარე რიონიდან სარწყავი არხის «მაშველის» გადმოყვანას შეუდგენ, რომელსაც თავის ქსელის სიგრძით და მოსარწყავი ფართობის რაოდენობით მეორე ადგილი უნდ დაეჭირა საქართველოს სარწყავ სისტემებს შორის, როცა მთელ იმერეთში მასიური შაბათობები ახმაურდა გზების

შესაკუთებლად, ხიდების ასაგებად და მდინარეთა ნაპირების გაკვივრებად, მაშინ ლაღო გეგელიამაც ასწია ურწმუნო თავი და ყური მიუხდლოს. მან აშკარად იგრძნო, რომ საქართველოს ძლიერი და მზრუნველი ხელი მართავდა.

ისე გაუკვირდა, კინალამ იკითხა: ხელისუფლება ხომ არ შეცვლილაო, მაგრამ არა, ქვეყნის სათავეში ისევ ბოლშევიკები იდგნენ და ის ძლიერი და მზრუნველი ხელი საბჭოებს ეკუთვნოდა.

იქვე არ უნდა, ბოლშევიკებმა თავიანთი პროგრამა შეცვალეს, საქართველოს გასომხების, გარუსების და განადგურების ნაცვლად რალაქას აკეთებენ. ეს „რალაქ“ იმდენად მშალავრი და ახლობელი იყო, რომ გეგელიას გულში იმედი გახსნა.

მცირე ხნის შემდეგ ზონის მახლობლად ძვირფას კულტურების საცდელი სადგური მოეწყო. გეგელია აწრიალდა. ველარ მოითმინა, დაიჭირა ეტლი და ახლად მოწყობილ მურწნეობის სახახავად გაქანდა.

მთელი დღე საცდელ სადგურში გაატარა. კულტურებს გაეცნო, მანქანა-იარაღები დაათვალიერა, დირექტორს ესაუბრა და საღამოხანს ფიქრადწეწილი აგრონომი უკანვე გამობრუნდა.

საკვირველი ამბები ზღბოდა, იმდენად საკვირველი, რომ გეგელია გონს ვერ მოდიოდა. ფიქრებში წასულმა მოხუცმა თავის სახელი გაიგონა. მოიხედა. ეტლი უკვე ბარში შესულიყო. აფთიაქის აივანზე ალექსანდრე ლოლობერიძე იდგა და მას უძახოდა.

გეგელიამ ყოყმანის შემდეგ მოაბრუნა ეტლი. მას გაუკვირდა, რომ ლოლობერიძესთან შესასვლელად ყოყმანი დაჭირდა. წინად სიხარულით ეძებდა მასთან შეხვედრას, ახლა კი მისი აფორიაქებული გონება განმარტოვებას ითხოვდა რომ ფიქრებისათვის თავი მოეყარა და რაიმე გარკვეული პასუხი მიეღო.

ამ წამში მას არ იზიდავდა მეგობართან საუბარი და იმის გაგება თუ ამ მოკლე ხანში ქართულმა ემიგრაციამ დასავლეთის რომელი მინისტრის კაბინეტის კარი გაარახუნა. დღეს ლაღოს სხვა რამ აღელვებდა, ამიტომ როცა ალექსანდრემ შესვლისთანავე მიახარა მას, რომ ორი კვირის წინათ მაცდონალდმა ირაკლი წერეთელი მიიღო და დახმარება აღუთქვაო, ლაღომ ორი სიტყვაც ვერ იძოვა მეგობრის სიხარულის გასაზიარებლად.

დალლილი დაეშვა ტახტზე და იმის ფიქრში იყო თუ როგორ შეეცვალა საუბარი მისთვის მალეღებულ თემაზე, ისე რომ მასპინძელს არ წყენოდა. სხვა რომ ვერაფერი მონახა, ისევ გულახდილობა ამჯობინა.

— ეგ საკითხი სხვა დროსთვის გადადეთო. ემიგრაციის ამბები ვიცი და იმას კი ვერ ვამჩნევთ, აგერ ყურის ძირში რა ზღბება— შეაწყვეტია მასპინძელს და მის შეკითხვაზე— ასეთი რა მოხდაო— ლაღომ საცდელ სადგურზე ჩამოაგდო სიტყვა.

ლაპარაკის დასაწყისში აგრონომი ერთგვარ უხერხულობას გრძნობდა. ასეთ უხერხულობას ის ადამიანი განიცდის ბოლქე, რომელსაც სურს გულწრფელი იყოს, მაგრამ ეწინია, რომ მოსაუბრე ვერ გაუგებს ან ცუდათ გაუგებს და აქტარებულ დასკვნებს გამოიტანს.

ამ შიშის გამო აგრონომმა შორიდან დაიწყო და მოჰყვა, რომ საქართველოს ჩამორჩენილ სასოფლო მეურნეობის აყვავების ინტერესები დაჟინებით მოითხოვს საცდელ სადგურების და საჩვენებელ მეურნეობათა მშენებლობას. იმერულ გლეხს სილატაკისაგან მხოლოდ სამეურნეო განათლება და სარფიანი კულტურების განვითარება გამოიყვანს. ამას გარდა— თქვა მან— იმერეთში სათესის მიწის დიდი სიმცირეა. მიწის სიმცირეს მიწის დამუშავების კულტურით— ნაყოფიერების გადიღებით დაეძღვეთ, ამიტომ განუწომელია საცდელი სად-

გურების მნიშვნელობა—ჩვენი მეურნეობის ინტენსივობის გასაძვივებლად, შემდეგ როცა ახალგაშენებულ სადგურს შეეხო, მის შეუმჩნეველად ხმაზე მიყრდნობა, ცენტრული კილო შემოეჭრა, რომ ალექსანდრემ, რომელიც აქამდე დაფანტულად უსმენდა, თავი წამოაყყო და ისე გაკვირვებით გაიხედა ტაბტიკენ, თითქო იქ ვიღაც უცხო ჩამომჯდარიყო.

— ეს როგორღაც სხვანაირად ამღერებულა. გაიფიქრა მასპინძელმა და სმენად გადაიქცა.

აგრონომი კი წუხილით განარძნობდა, რომ მის მიერ დათვლიერებულ მეურნეობის ზოგიერთ კულტურას გამოუსდელი აგრონომის ხელი ეტყობოდა. ბოლოს კმაყოფილებით აღნიშნა, სადგურის დირექტორს ზოგი რაიე უოოო, რაზედაც იგი დამეთანხმავა.

მასპინძელმა შეაცრად გადახედა სტუმარს და წამოაღება.

— ვინ დაგავალა, ჩემო ლაღო, კომუნისტების მრჩეველი ვახდით? წყალსაც წაუღია სადგურიც და მისი გამკეთებელი.

აგრონომი არ მოელოდა ასეთ უეცარ თავდასხმას.

— როგორ თუ წყალს?!

— როგორ და ისე, რომ საქართველოში მათი ნაკვალევიც არ დარჩენილიყოს! ხვალაც მიდი და ურჩიე, ასწავლე. ზეგ გახეთში დაგხატავენ და ღირჯანაგირს დაგინიშნავენ. გაკეთდება შენი საქმე!

გეგელია დაიბნა. ძლივსა მოახერხა ეთქვა, რომ იგი საცდელ სადგურში იმერეთის დარბი გლეხობის და მეურნეობის სიყვარულმა და მათი გაუმჯობესების იმედმა მიიყვანა და არა სამსახურის შოვნის სურვილმა. თანაც დაუშავა: მე არ ვარ წინააღმდეგი, რომ კომუნისტები წყალმა წაიღოს, მაგრამ ამისთანა აგროკულტურული სადგურები არაა წყალწასაღები.

— იპ, — ჩაიციხა პროვიზორმა: — ერთი ათი კიდეც შენისთანა გამპრიახი პოლიტიკოსი და საქართველოდან ბუნდლა არ დარჩება. კომუნისტებმა აკეთონ და აშენონ. მერე გავრეკოთ და ყველაფერი ჩვენ დაგვბეზო, არა?! ერთი სიტყვით მტერს ჯერ ვაცალოთ საქართველოში ფეხის მოკიდება და მერე შევებრძოლოთ. რომელი ქვეთამყოფელი მიმართავს ამისთანა სტრატეგიას? ყოველი ქვა, რომელსაც კომუნისტები ჩვენს მიწაზე დადებენ, ყოველი კედელი, რომელსაც ისინი აშაშენებენ, თითოეული საენი არხი, რომელსაც ისინი გათხრიან, თანდათან ამავრებს და აძლიერებს მათ. ისინი ციხე სიმაგრეს აშენებენ და შენც იმათ ეხმარები რომ შეტელომა არ დაუშვან და უფრო მაგრად ააშენონ. მაგრამ, პროვიზორმა კვლავ ჩაიციხა— შენ არც ისეთი გულშეპყვილი ხარ, რომ ასეთი უბთმეტიკა არ გესმოდეს! მაშ რაშია საქმე? რალს ეცეხები! მოგშივდა? აგრე რალო არითქვი ბარემ. მდგომარეობა შეგნებას ქმნისო, ე. ი. კუჭი სამშობლოს მოლაღატეებს. ნება შენია. შენ არა ხარ პირველი და არც უკანასკნელი იქნები.

— მე მოლაღატი... მე, რომელმაც მთელი ჩემი სიცოცხლე... — აცხვცახე-ბულმა მოხუცმა უმწიროდ მიმოხედა თითქო შევლას ელოდა საიდანმე. იგი არ მოელოდა თუ ესე მწარედ გაიმეტებდა მეგობარი.

მაგრამ ამ შეურაცყოფამ გაბედულება შემატა მას და ათქმევინა ისეთი რამ, რასაც აქამდე ვერ ამბულდა მოლაღატის სახელის შიშით. მან ხმის კანკალით თქვა, რომ ყოველი ქართველი მოვალება თავის პოლიტიკურ მრწამსზე მალა სამშობლოს სიყვარული დააყენოს.

— მე ხელს გაუწოდებ ყველას, ვინც საშუალებას მომცემს ჩემს სამშობლოს ვემსახურო. მენშევიკებმა მე გამაუქმეს როგორც აგრონომი. სოფლად მეურნეობა ნადგურდებოდა, მე კი საარჩევნო ფურცლებს ვარიგებდი და კრებებზე ვამთქნარებდი. მე მწამდა თქვენი ნათქვამი როცა ბოლშევიკებს უკულტურო ბარბაროსებს ეძახოდით.

— მერე, ამით რისი თქმა გინდა! — შეაწყვეტინა პროვიზორმა.

— სინამდვილე უარყოფს ჩემს რწმენას. მე არაფერი მაქვს კომპრომიზების საწინააღმდეგო, თუ ისინი ბლომად მოაწყობენ ამისთანა სადგურებს, გარდა-ჭინან ჩვენს მეურნეობას.

— შენ დაგავიწყდა, რომ ქართული ხარ- უკბინა მოსაუბრე, რომელიც წამდაუწყუმ ახსენებდა თავისთავს, რომ იგი მასპინძელი იყო და ლადო კისტუ-მარი. ამის გახსენება იმისთვის იყო საჭირო, რომ სტუმართმოყვარეობის წესი არ დაერღვია და ეს ბრიყვი მოხუცი სახლიდან არ გამოეგდო.

— დამევიწყდა? არა, არ დამევიწყებია. მე მახსოვს, რომ ქართული ვარ და მესმის სამშობლო რას ითხოვს ჩემგან. მე გული მეკუმშება როცა ჩვენს ლატაკ მეურნეობას უტყერი, მაგრამ— გეგელია შედგა. იგი მიხვდა, რომ შორს გაიქრა და გადამწყვეტ მიჯნას მიაღწია. მას უკვირდა, რომ ახლა ასე ადვილად წყვეტდა იმ კითხვას, რომელიც დიდი ხანია სტანჯავდა მას.

იგი წონავდა თვითოეულ თავის სიტყვას, რომ მისი პასუხი კამათში მოსულა კინით ან მის შეურაცყოფელ მოსაუბრისადმი წინააღმდეგობის გაწევის უბრალო სურვილით არ ყოფილიყო ნაკარხახევი.

მან იცის რომ ხეალ მათი საუბარი მთელ ხონს მოედება. მრავალ მეგობარს დაკარგავს. მრავალი გაიქცევა და მიაფურთხებს მას. ამიტომ ასეთი გადაწყვეტი წუთის წინ იგი ცდილობდა ისეთი მოზომილი სიტყვა ეთქვა, რომელსაც ხეალ წმინდა გულით დაიკავდა. ერთ წამს მას მოეჩვენა თითქო მისი ლაპარაკი ეწინააღმდეგებოდა მის შინაგან რწმენას. იგი თავის არსებაში ვერ ათანხმებდა პოლიტიკოსს და აგრონომს.

წასვლა დააპირა, მაგრამ მიყვებ წარმოიდგინა, რომ აქედან გაქცევა ოდნავადაც არ ანთავისუფლებდა მას ამ კითხვების მარწმუნებისაგან, ხოლო გაქცევა უფრო გააღრმავებდა მის ტანჯვას.

აგრონომ ლადო გეგელიას არ უნდოდა, რომ თავის საყვარელ ქვეყანაში ზედმეტი ადამიანი ყოფილიყო. მას მთელი თავის არსებით წყურთა გაქცეობა ამ ზედმეტობის გრძობას.

და იგი თანდათან იმ მოულოდნელ დასკვნამდე მიდიოდა, რომ მისთვის, როგორც აგრონომისათვის, სულ ერთი იყო რა ფერის დროშა იფრიალებდა საქართველოს თავზე, — ოღონდაც ამ დროშის ქვეშ შემოკრებილ პარტიას მისი ქვეყნის კეთილმოწყობისათვის ეზრუნა და ებრძოლა.

მან ხმამაღლა ჩაახველა, თითქო ამით თავი გაიბნევა, და სმენად ქცეულმა პროვიზორმა ისეთი რამ გაბგონა, რომ ხელის გამოსის მეტი ვეღარაფერი მოახერხა.

... მაგრამ— დაქედა გეგელიამ— თუ დღეს ქართველობა ასეთი სადგურების წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავს, მაშინ მე მზად ვარ დავივიწყო, რომ ქართველი ვარ, ვინაიდან ასეთი ქართველი საქართველოს მტერია.

.....
ისინი დადუმდნენ.

მეგობრები ამოიდ ცდილობდნენ, რომ რაიმე შემარბებელი სიტყვით დაერღვიათ ის უხერხული დუმილი, რომელიც კიდევ უფრო აშორებდა მათ. ამისთვის გულწრფელობა იყო საჭირო, ეს კი არცერთ მათგანს არ შეეძლო ახლა. ისინი მიხვდნენ, მათ შორის ყველაფერი გარკვეული და გათავებული იყო და ნაძალადევი თავაზიანობით გამოემშვიდობნენ ერთმანეთს.

გრილი და ნათელი ღამე იდგა. ვახატკეცილზე დიდრონი ქადრების ჩრდილი იწვა. აგრონომმა ეტლი გაუშვა.

— ისეთი კარგი ღამეა, დეხით გავლა მირჩენია. — უთხრა ვაოცებულ ნეეტლეს. ხონამდე კაიძალი გზა იყო კიდევ, მაგრამ ახლა მოხუცი აგრონომს არც და-ღლის ეშინოდა, აღარც შინ ექპარებოდა.

ახლა უკვე დაწყნარებული იყო.

(პირველი წიგნის დასასრული შემდეგ ნომერში).



კ მ ღ მ ლ ი

გ ა გ რ ბ ე ლ ე მ ა *

გალაქტიონ გალდავაძეს თავის ცხოვრებაში არა ჰქონია ბედნიერი დღეები არც მზიარული, დასრულებული სიყვარული გამოუცდია, პირველი მისი გრძნობის გატაცება მარო მევეგარიანის ქალი იყო, მაგრამ ეს იყო რომანტიული უიმედო სიყვარული რაც მალე მიჩქმალა ცხოვრების სხვა გატაცებამ სხვა მიმდინარეობამ.

ამ ხნის განმავლობაში მას არ ჰქონია არც დრო და არც ხალისი სიყვარულზე ფიქრისა—მაშინაც კი, როცა ერთ-ერთ სამინისტროს დაწესებულებაში მუშაობდა. მაშინ ქალის დაახლოება ან რაიმე კავშირი სრულიად არ იზიდავდა მას. სამსახურში დადიოდა და მთლიანად მუშაობაში იყო ჩაფლული, მაგრამ კარგად ჰხედავდა და ჰგრანობა, რომ მის ვარშემო არაფერი არ კეთდებოდა. თითქო ყველა თავის კერძო საქმეებით იყო გართული, ყველა იყო გატაცებული და ნამდვილ საქმეზე ძალიან ნაკლებად ზრუნავდა მათი ყოველდღიური ლაპარაკი მხოლოდ ეს იყო: შეინარჩუნებდა თუ არა საქართველო დამოუკიდებლობას იქნებოდა თუ არა ის სუვერენული თავის საქმეებში თუ რომელიმე ევროპული სახელმწიფო მოუსპობდა მას არსებობის საშვალეებს. მათი ნატვრა და სურვილები ლიტონ სიტყვებით ამოიწურებოდა, სამსახურში კი სალაპარაკოდ დადიოდნენ და ქუჩებში—საქოროდ. ეს გარემოება გალაქტიონს ანერვიულებდა. თვითონ დაუღალავად მუშაობდა, დამოუკიდებლობის შენარჩუნებას კი ბედს ანდობდა. ასეთ პირობებში მიმდინარეობდა გალაქტიონის ცხოვრება და ოჯახურ მოწყობაზე სრულიადაც არ ჰფიქრობდა. ეხლა კი, როცა მას თითქო პასუხისმგებლობა მოეხსნა, როცა აღარ აწუხებდა წყევლი კიბებები და ყოველი გასარკვევი საგანი და კითხვები უიმისოდაც ირკვეოდა, დასვენებულა გონება და მიწყნარებული ნერვები ლალად მისდევდა ჩვეულებრივ ცხოვრების მსვლელობას.

ბათონიდან დაბრუნების შემდეგ როცა სოფელში პირველად შეჭვდა ახალგაზრდა ცქრილა თინას, სადღაც მიყუჩებული ფერფლ-გადაყრილი გრძნობა გაღვივდა, გაღელავდა და თითქმის მთელი მისი არსება დაიპყრო.

მერე, რა არის სიყვარული?

სიყვარული იქნებ ის ძალაა, არც დროს არც პირობებს რომ არ დაგიდევს და მოულოდნელად გესტუმრება, რათა შეაშფოთოს შენი გული აგატორტმანოს

* იხ. „მნათობი“ №№ 1-2, 3-4.

გონება ავიმღვროს ყოველივე დაგავიწყოს, გარდა ერთი საგნისა და მუდამ მასზე გაფიქრებინოს.

გალაქტიონი რომ სამსახურში მიდიოდა ეხლაც თინაზე ჰფიქრობდა. თინა უკვე კარგა ხანია რაც ახალ სამსახურში დადიოდა. მისი სამუშაო ოთახი ჯემო სართულში იმყოფებოდა. მასთან მისვლისთვის ყოველთვის მიზეზი იყო საჭირო. ამიტომ გალაქტიონი იშვიათად ადიოდა ზევით, ხოლო რამდენჯერაც ასულა, ყოველთვის შეუმჩნეველია, რომ მატაფიევი თინას გვერდით ტორლიალებდა ხოლმე. მერე რა ამბავია? რატომ დადის მატაფიევი თინასთან? იმ დღეს როცა თინა ჯერ კიდევ რამდენიმე დღის მოსული იყო და გალაქტიონს ელაპარაკებოდა, ოთახში მატაფიევი შემოვიდა, მაშინვე თინასთან მივიდა, დაბეჭდილს გადააშხედა და თინას უთხრა:

—განა ეს ალაგი თქვენთვის შეხუთული არ არის?

—კი, მაგრამ, რა ვქნა?

—აი აქეთ არ სჯობია. ანეტას მაგიდა ცოტა იქით მივწიოთ, თქვენი აქეთ გამოვსწიოთ, ადგილი გავენათავისუფლოდ და მაშინ მეტი სინათლე გექნებათ. ალექსი! გასძახა დარაჯს. —აბა, ეს მაგიდა იქით მიდგი! ჰო, ასე! ხომ სჯობია ამხანაგო თინა?

—კი, სჯობია. მორცხვად უთხრა თინამ.

—აბა ახლა ეს ქალაღი დამიბეჭდეთ. მე თითონ გიკარნახებთ—თინას გვერდით მოუჯდა და გალაქტიონს შეხედა.

გალაქტიონი მიხვდა, რომ წასვლა იყო საჭირო. დამნაშავე შევირდივით ნელა მოტრიალდა, კარი გაიღო და გავიდა.

მერე, რატომ იწყო სხეულმა თრთოლა? რატომ გამობრუნდა შეურაცყოფილსავეთ? რა მოხდა? მატაფიევიცა ყურადღება მიაქცია თინას? მერე რაო?

საკვირველია, თავისთავად არაფერი არ მოხდა იმგვარი, რომ ჩვეულებრივ თავაზიანობას გასცილებოდა, მაგრამ გალაქტიონისათვის ამ ამბავს სულ სხვა ელფერი ეძლეოდა. ის გრძნობდა, თითქო მის წმინდა სპეტაკ სიყვარულში ვიღაც უხეშს ტალახიანი ფეხებით შეეტოპა. მატაფიევის ასეთი თამამი მოქცევა თინასადმი და მისი მზნინავი თვალები ალელვებდა მას.

მძიმე ნაბიჯით დაეშვა კიბეზე და თავის მაგიდას მიუჯდა.

დაბეჭდილი თუ დაწერილი ქალაღები მრავალად იყო გაფანტული მაგიდაზე და მხედველობაში იბნეოდა კორიანტელისაგან აბნეულ ნაკუწებად. სკამებზე წამომსხდარ თანამშრომლების ჩამწკრივებულ ზურგებს რომ ვახედა, უცნაურად მოგიწენა, თითქოს გემის ბაქანზე მსხდარიყვნენ და ქანაობით მიეშურებოდნენ ტალღებში. ორი საფეთქელი ორი ხელის გულში ჩასდო და იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას.

მასთან საქმის მწარმოებელმა მიიჩინა და იღუმალი ხმით დაიწყო ლაპარაკი.

გაიგე ახალი ამბავი?—შეეკითხა.

—არა. რა მოხდა—ბურანიდან გამოვიდა და ისე უბასუხა.

—არ იცი ქორქიაშვილმა ბაუმანს რა ხრიკი გაუყეთა?

—არა, არ ვიცი.

— ხედავ დღეს ბაუმანი არ მოსულა და ველარც მოვა.

— რატომ?

საქმის მწარმოებელი მოუყვა გალაქტიონს ქორქიაშვილისა და ბაუმანის შორის ჩამოვარდნილ ქიშკობის ამბავს. ყველამ იცოდა, რომ ჩინური ერთმანეთს ემტერებოდნენ და რომ ბაუმანს მხარს უჭერდა მატაფიევი. ამით გათამამებული ბაუმანი თავხედობდა, იცოდა რომ მატაფიევი მას დაიცავდა. ქორქიაშვილი არ უთმობდა. ის კიდევ თავის მხრივ განყოფილების გამგესთან დადიოდა და ამით მხარს იმაგრებდა. ბაუმანმა ეს იცოდა და ამიტომ ანონიმური წერილი მისწერა განყოფილების გამგეს მისი ცუდლუტობის უსაქმურობის და ვაჭრებთან ინტიმურ ურთიერთობის შესახებ. შემდეგ ეს ამბავი ქორქიაშვილს ამცნო და ისიც კარგად მიხვდა, წერილი ბაუმანის მიერ იყო დაწერილი. მაშინ ქორქიაშვილი შურისძიებით აივსო და საშინელი საქმე დამართა ბაუმანს.

— რა საქმე კაცო? მე არაფერი გამიგია! თანდათან ერკვეოდა გალაქტიონი.

უკვე სხვა მაგიდებიდან შეამჩნიეს, რომ საქმის მწარმოებელი ბაუმანის ამბავს უამბობდა და თუმცა მრავალგზის ქონდათ იგი გაგონილი, მაინც ვერ მოისვენეს მაგიდას გარს შემოეხვიენ და ყურები წალურსმეს.

— რაო, რაო? ბაუმანს სამსახურიდან დაითხოვენო? — ეკითხებოდა ერთი

— სამსახურიდან დაითხოვნა თუ აკმარეს, კიდევ კარგი! — უპასუხებდა მეორე.

— ქართველმა, რომ ებრაელს აჯობოს, იშვითი შემთხვევა ამბობდა მესამე

— არა, მართლა ძალიან მოხერხებულად არ მოუწყაო?

— უსინდისობა კია, უნდა გითხრა.

— ორივე ძაღლები არიან. არც ერთი არაა დასანანი.

გალაქტიონი უსმენდა ლაპარაკს და საქმის ნამდვილი ვითარება კი ვერ გაეგო.

ქორქიაშვილის მოხერხებული საქმე კი მართლა ვერაგულად იყო ნოწყობილი. მან მოისყიდა ერთი ვაჭართაგანი, რომელსაც ბაუმანისათვის ქრთამად უნდა მიეტანა ხალიჩა, ხოლო მიტანის დრო უნდა სცოდნოდა ერთ თანამშრომელთაგანს, რომელიც ქორქიაშვილისაგან იყო განზრახული. ეს თანამშრომელი ბაუმანის კამესთან იცდიდა. ხალიჩა მოიტანეს და ისიც იმ დროს მოვიდა ბაუმანთან როცა მან კარი გაუღო მოიტანეს და ხალიჩა ჩამოართვა. საბტად დარჩენილი ბაუმანი ცხვირ წინ შეეფეთა ნაცნობ თანამშრომელს. მოულოდნელობით გაფითრდა, ათრთოლდა, დაიბნა...

— მერე რა უთხრა თანამშრომელმა?

— თანამშრომელმა ხალიჩა ჩამოართვა და სამსახურში მოიტანა, როგორც საბუთი. ჩოჩქოლი და მისელა-მოსელა არ წყდებოდა. თანამშრომლები მოუსვენრობდნენ. შემთხვევას სხვა-და-სხვა კომენტარიებს უკეთებდნენ. საქციელისთვის ბაუმანს ჰკიცხავდნენ. დაინტერესებულნი იყვნენ მისი ბედით. ზოგი ჰფიჭრობდა, რომ ამ საქმეს „ჩეკა“ მოჰკიდებდა ხელს და ბაუმანს კარგი დღე არ მოელოდა ზოგი ამბობდა, რომ მას მხოლოდ სამსახურიდან დაითხოვდნენ.

მზიარული ქორქიაშვილი მოლიმარი სახით დაიარებოდა თანამშრომელთა შორის.

— ჰე, მაგისი ღდინი კი ამოვადგე მაგისი! არა, ეგ ოჯახდაცულო, საიდგანდაც მოთრეული ებრაელი ჩვენ ოჯახში ხელებს ითბობს, სამასხურს მოუტობს და თანაც არ ისვენებს? თავებლობა მეტი გინახავთ? ჩემს გაბითურებას სცდილობდა! ახლა წავიდეს და სადაც თავისი დაიკვებოს, ჩემიც იქა სთქვას!

ხელების სრესით დადიოდა ქორქიაშვილი დაწესებულებაში და გამარჯვებას კვებულობდა.

გალაქტიონ გალდავაძესთან შეკრიკი მივიდა და გადასცა, რომ მას დირექტორი ელოდებოდა.

მის შემდეგ, რაც ის ლევანთან მსახურებდა, ორჯერაც არ ასულა მასთან კაბინეტში. ყოველთვის გაურკვეველ უხერხულებას გრძნობდა და ამიტომ ერიდებოდა.

როცა დარაჯმა კარი გაუღო და გალაქტიონი კაბინეტში შევიდა, ლევანი ღმილით მიეგება მას, ხელი გაუწოდა და თავის მაგიდის წინ დასვა. მერე, რატომ ჩამოვდა ასე უცნაურად, თითქო სხეულში უღუტუნა ვინმემო, ულაზათოდ და წელში მოკაკული? სკამის ნაპირზე იჯდა, უნდოდა გასწორებულყო მაგრამ ვერ ჰხედავდა, თითქო ამით დაირღვევოდა წონასწორობა მასსა და ლევანს შორის.

არ იცოდა თავი როგორ დაეჭირა. მისი მახლობელი ძველი მეგობარი ახლა დირექტორი იყო იმ დაწესებულების, სადაც გალაქტიონი მსახურობდა და მან არ იცოდა რა კილოზე უნდა დალაპარაკებოდა მას, ძველი მეგობრული, ინტიმური თვალთ უნდა შეეხედა მისთვის, თუ მოკრძალებით, როგორც დაბალი მოსამსახურე შეჰხედავს ხოლმე თავის უფროსს.

ძველ მეგობარს შესცქეროდა, უღიმოდა, მაგრამ ის მოზრდილი ზავიდა, მწვანე მადუდი რომ იყო გადაფარებული, თითქო იზრდებოდა, ფართოდებოდა და ლევანსა და მის შორის მაღალი პიტალო კლდესავით იმართებოდა. იქით კი მეორე მხარეს მუდარი ლევანი, შორს იყო მისგან—მიუწლომელი, მიუკარებელი და თანაც მახლობელი, ამხანაგი, მეგობარი.

კაცო, თუ თქვენ განყოფილებაში ასეთი ამბავი ხდებოდა, რატომ არაფერს შეუბნებოდი?—შეეკითხა ლევანი გალაქტიონს.

გალაქტიონმა არ იცოდა ეს შეკითხვა მეგობრული იყო თუ ისეთი, როგორც უფროსი მიჰმართავს თავის უმცროს თანამშრომელს, ამიტომ არც ის იცოდა გალაქტიონმა, მეგობრულ კილოზე უნდა ეპასუხნა თუ ისე, როგორც უპასუხებენ ხოლმე დაწესებულების უფროსს.

— მეც რომ არაფერი ვცოდი ამის შესახებ ლევან და მხოლოდ დღეს გავიგე ეს ამბავი, რა უნდა შემეტყობინებინა? მეგობრულ კილოზე უპასუხა გალაქტიონმა.

— ვინ არის ეს ბაუმანი, საიდან მოვიდა აქ?—ცხარობდა ლევანი.

— არვიცი ლევან, ვერაფერს გეტყვი!

— შე რომ იმას დღეს დავაყრი, მაშინ ნახოს იმან!—გაბრაზებით ამბობდა ის.

კაბინეტში მატაფიევი შემოვიდა.

რა ზომებია მიღებული, რა ზომები? ამის დაყოვნება აღარ შეიძლება! —
რუსულად მიჰმართა მან შემოსულს.

მატაფიევმა ხელში ნადები ქალაღებები იღლიაში ამოიღო, ორივე ხელით მაგიდაზე დაეყრდნო და წყნარი დამშვიდებული ხმით დაუწყო ლევანს ინტიმურად ვარეზოების ახსნა. მისი ლაპარაკიდან ირკვეოდა, რომ ამ შემთხვევის გახმაურება მაინცდამაინც არ იყო საჭირო, რადგან დაწესებულებას ენებას თუ მოუტანდა, თორემ სარგებლობას — არაფერს. მისი აზრით ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული ქორქიაშვილის წინააღმდეგაც, რადგან გამოირკვევა, რომ მას ინტიმური ურთერთობა ჰქონია მრავალ ვაჰართან, წინააღმდეგ შემთხვევაში აგრე იოლად ვერ მოაწყობდა ამ საქმეს. ამასთანავე ამ საქმეში მონაწილეობა მიაღებინა ერთ თანამშრომელს, რაც ყოველად დაუშვებელია. მატაფიევი მოითხოვდა ქორქიაშვილის დასჯას ბაუშთან ერთად. მაგრამ, მისი აზრით, ყველაფერი ეს უნდა მომხდარიყო საქმის გაუხმაურებლად.

მატაფიევი კმაყოფილი იყო, რომ თავისი მოსაზრებებით შთაბეჭდილება მოახდინა დირექტორზე და სკამზე ჩამოჯდა.

ამ საქმეს ჩვენ რომ თავი დავანებოთ, მუშგლებინის ინსპექცია ხომ მაინც არ დაანებებს თავს? — შეეკითხა ლევანი.

— მაგის შესახებ... — მატაფიევმა თვალთ მნიშვნელოვნად უჩვენა გალაქტიონზე. ლევანი მიხვდა რის თქმაც უნდოდა მატაფიევს. გალაქტიონს მიუბრუნდა საყვედურით, რომ ის მას ხშირად არ ინახულებს ხოლმე, ხელი ჩამოართვა მას და გაისტუმრა.

გალაქტიონის გასვლის შემდეგ მატაფიევმა უთხრა ლევანს, რომ ის მოელაპარაკებოდა მუშგლებინის წარმომადგენელსაც და იმასაც დაიყოლიებდა თავის აზრზე.

ლევანი ერთხანად ეწინააღმდეგებოდა მატაფიევს, მაგრამ ბოლოს დაეთანხმა და ორივენი ერთ გადაწყვეტილებას დაადგენ-

14.

კვირა დღე იყო და ამიტომ, როცა გალაქტიონ გალდავაძეს გამოეღვიძა ერთი ხელი ბალიშის ქვეშ ამოღო, ლოგინში გასწორდა. რადგან საშური საქმე არ ჰქონდა და არც სამსახურში იყო წასასვლელი, გაიხშორა და ფიქრთა დენას მისცა თავი.

გუშინდელი სცენა, მატაფიევმა რომ თვალთ უჩვენა მასზე და ლევანმაც უტიფრად გამოისტუმრა ეხლაც ბოლომთ და გესლით უხსებდა მას გულს. „მერე, ვინ არის მატაფიევი? როგორ უბედავს გალაქტიონს ასეთ მოპყრობას! რატომ უწყევს ანგარიშს მას ლევანი? სად იყო იგი წინად, როცა უფრო მძაფრი ბრძოლა იყო? ეხლა?.. რა ვუყოთ მერე, ეხლა რომ... მაშ, აღარაფერი ყოფილა წარსული ბრძოლები? არა, არა! ლევანი არ არის მართალი!“.

სხეული თრთოდა. ერთ წერტილისკენ მიშტერებული თვალები გაფართოვებოდა და გული უძებრდა. მახლობელ მაგიდის უჯრიდან პაპიროსი ამოიღო.

პირში ჩაიდო, ასანთს მოუკიდა და კვამლი გაუშვა, რომელიც დაბინდულ ოთახში ზღაპრით ავიდა ზევით და ჭერს მიეკრა ლეჩაქივით.

გაქრა ყველაფერი, თითქო უფსკრულში ჩაინთქა ყოველი საგანი რასაც გალაქტიონი ხედავდა. სჩანდა მხოლოდ მატაფიევის სახე, რომელიც ცხვირის ორივე მხარეს უკვეილისგან ოდნავ იყო დაკნეკილი. მრისხანე, მოღუშული შუბლით და შეკრული წარბებით გამოიყურებოდა. მისი მიმოხვრა, კმაყოფილი და უტიფარი გამოხედვა აღიზიანებდა გალაქტიონს.

იგი ჰხედავდა მას დაწესებულებაში მიმომავალს, ჰხედავდა თინას ოთახში შემავალს, მის მაგიდასთან მანქანის გვერდით თავდახრილს და ყელში ძარღვები ეჭიმებოდა, სული ეხუთებოდა.

თინას მოგონებასთან ერთად წარბები შეიკმუხნა. მწვავე და მტკივნეული აღმოჩნდა მატაფიევთან მისი დაკავშირება. „მერე, რატომ დადის ასე ხშირად თინასთან? რა უნდა მისგან?“..

ფიქრები სწრაფად მისრიალებდა. მატაფიევი და თინა ხტოდნენ, თითქო ცუკვადნენ და დაცინვით იცქირებოდნენ მისკენ. გულიბოლომით ეკუმშებოდა, ყელში ბურთი ეცობოდა. მერე, როგორ შეეძლო გალაქტიონს ასეთი მოსალოდნელობა აეცდინა? რა ზომები უნდა მიეღო მას? არაფერი, თითქმის არაფერი! ეს იმანაც კარგად იცოდა. მუდამ პასიური, მუდამ უნდილი, უბრძოლველად დასთმობდა თინასაც! მაგრამ არა!...—ფიქრობდა გალაქტიონი,—მალე მოეღება ბოლშევიკების ბატონობას ბოლო ღ მაშინ იცის გალაქტიონმა როგორ გაავლიოს შურის ძიების კოცონი!.. ეხლა კი დევნუენდობა მას მატაფიევი და მასთან ერთად ლევანიც! არასდროს, არასდროს მათ შორის ამართული კედელი არ დაინგრევა. პიტალო და მალალია იგი, სიბი და მოუკარებელი! იქითა მხარეს ლაღნი და გამარჯვებულნი შიიმღერიან ისინი, აქეთ კი დარჩენილია გალაქტიონი—თავის ფიქრებით და შურის ძიების გრძნობით ავსებული.

უცბად საბანი მოიშორა, ტანთ ჩაიცვა. ფიქრებით გაბრუებულმა სახეზე წყალი შეისხა და თითქო ბურუსი გაიფანტაო. მჩატედ ამოისუნთქა. შემსუბუქებული შუბლი ბირსახოცით შეიშრო და სარკეში ჩაიხედა. საფეთქლებთან ჭილა-რა ვახშირებულიყო, თვალის უბეები ჩაცვენილიყო და შუბლის ნაოკებიც გაღრმავებულიყო. მაგიდაზე მაკრატელი მოძებნა და საფეთქელთან ჭილარა შეიკრიჭა. ამან თითქო ვაახარა, აამღერა. საათს დახედა და როცა შეამჩნია, რომ ისრები თორმეტს გადასცილებოდა, თითქო მოაგონდა ადგომის მიზეზი: სწრაფად დაიბურა ქული, კარი გამოკეტა და რუსთაველის გამზირისაკენ გასწია, სადაც თავს იყრიდნენ მასაგით უკმაყოფილონი და მოკოროილი ამბებით იკვებოდნენ.

რუსთაველის გამზირი მუდამ უსაქმოდ მოხეტიალე ინტელიგენციის, მეკორეების, და ფუქსავეტ მოლაპარაკეთა ბუდე იყო.

ცარიზმის დროს აქ დისეირნობდნენ რუსის მოხელეები, აფიცრები, გიმნაზიკლები, ვასათხოვარი ღ ვაუთხოვარი ქალები, ვაკოტრებული ვაჭრები, გადაგვარებული თავადები და აზნაურები. აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს უპროფესიო ინტელიგენტები, ყურნალისტები, რედაქტორები, რეპორტიორები, აქვე კოორიკანობდნენ და თავიანთ საქმეს აქაზარაკებდნენ. აქვე კამათობდნენ პოლიტიკაზე, არსებულ რეჟიმის აუ-

ტანლობაზე, სიტყვის თავისუფლებაზე და გაკოტრებულ ვაჭრებზე. რესტორან „პურ-ლეინოდან“ ფილაქანზე გამოდიოდნენ ნარდის მოთამაშე ვაჭრები, კარტის მოთამაშე თავადები და ეძებდნენ პარტნიორებს. აქვე დაეხეტებოდა მტრულ ხროვა დამშეულ ჩახოსან-აზნაურებისა, ისენი ცდილობენ ეპოვნათ ისეთი, ვინმე ვინც მათ სადილად დაპატიებდა. ასეთ პირს ისინი უსათუოდ წააწყდებოდნენ. ეს იქნებოდა რომელიმე თავადი, რომელმაც უკანასკნელი მიწის ნაჭერი ბანკში დააგირავა და ფულის სოფლად წაღება ეზარებოდა. თავშეყრილები ჩეშვებოდნენ სადმე სარდაფში და სიმღერისა და ლეკურის თამაშით ათენებდნენ ღამეებს. მეორე დღეს კვლავ დამშეულები დაიარებოდნენ და კვლავ მომპატივეს ეძებდნენ.

მაშინ გადაგვარებულ თავად-აზნაურების და რუსის მოხელეების რუსული ლაპარაკი გაისმოდა—აქ

მენშევიკების დროს გამზირს თანდათან მოაკლდა რუსის მოხელეები და აფიცრები, ხოლო კვლავ გაისმოდა რუსული ლაპარაკი გარუსებულ და გადაგვარებულ თავდაზნაურებისა. აქ მოსიარულე ტიპების სახეც შეიცვალა. ეს ადგილი გაზდა პოლიტიკის და პოლიტიკურ მოღვაწეების გასაქორავ ბუდედ. ახლა აქ დადიოდნენ სხვადასხვა სამინისტროების მოხელეები. აქ სეირნობდნენ და თავს ირთობენ იგივე უსაქმოდ მოხეტიალე გაკოტრებული თავად-აზნაურობა, რომელიც უწინდელზე უფრო მეტად გამრავლდა.

აქვე გრძელდებოდა დაუნდობელი კამათი პარტიების წარმომადგენელთა შორის. ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები, ნაციონალ-დემოკრატები, სოციალ-დემოკრატები, თუმცა არსებითად ყველა ერთსა და იმავე საქმეს—საქართველოს „დამოუკიდებლობას“ იცავდა, ერთნაირი ტაქტიკით იბრძოდა, მაგრამ თუ რომელიმე საქმე სასურველად ვერ ჩაივლიდა, ფათერაკს ერთმანეთს აბრალებდნენ და ვაპყიოდნენ: „აი, ხომ ხედავთ, სოციალ-დემოკრატები ჰლუპავენ საქართველოს... „ხომ ჰხედავთ ისინი ვერ უძღვებიან საქმეს, აბა ჩვენ ვიდგეთ სათავეში!“..

ყოველი პარტია ცდილობდა თავისი გავლენა გაეფრცვლებინა, რომ აზნაირად თავისივე მახლობლები მოეწყო სამსახურში. ბევრი მათგანი ვითომ საქართველოს კეთილდღეობისათვის ზრუნავდა, მისთვის თავს გასწირავდა, საქმით კი მარტო პირადულ ბედნიერებაზე ჰფიქრობდა.

ყველა პარტიის წარმომადგენლები აგინებდნენ მენშევიკ სოციალ-დემოკრატებს იმის გამო, რომ მათ წინათ არა თუ საქართველოს დამოუკიდებლობა არ უნდოდათ და პროგრამითაც არ მოითხოვდნენ მას, არამედ ავტონომიასაც კი ვერ იმეტებდნენ მისთვის, ეხლა კი ასე მწარედ და გააფთორებით ებლაუჭებოდნენ დამოუკიდებელ რესპუბლიკის შენარჩუნებას.

კამათი და გინება გადატანილი იყო კაფე „დარბაზში“ და პოეტების რესტორან „ტიმერიონში“, სადაც ისინი თავს ირთობდნენ რუსეთიდან ბოლშევიკების მიერ გამოორეკილ მომღერლებისა და აქტიორების ესტრადული ხელოვნებით. რესტორანებში ხშირად იმართებოდა ბანკეტები რომელიმე კუთხიდან ჩამოსულ დელეგატების პატივსაცემად და გათენებამდე გრძელდებოდა მრავალკამერის, ლეკურის და პოეტების ლექსთა ჯიბრი.

გალაქტიონ გალდავადე მაშინ იშვიათად გაივილიდა იქ. კაფე-რესტორანებს ერიდებოდა. დამძიმებული თავით გაივილიდა ქუჩებს და მხოლოდ თავის მოვალეობის შესრულებაზე და საქართველოს კეთილდღეობაზე ფიქრობდა.

ეხლა? ეხლა კი თავ-აღვრებული მიდიოდა გამზირისაკენ, სითქო მხოლოდ იქ ყოფილიყო ნაწილი იმ უხილავი ძალისა, რომელიც მას შეებას მისცემდა, მის ბოლუშელ შუბლს ნაოკებს გაუხსნიდა.

რუსთაველის გამზირი ახლა სავსე იყო სხვადასხვა პარტიის ყოფილი მოღვაწეებით და ბოლშევიკებთან შეურიგებელი ელემენტებით. ესენი აქ ჭორიკანობდნენ, კამათობდნენ, ილანძვებოდნენ, იგინებოდნენ და ბოლშევიკების დალუპვას ნატრობდნენ.

ყოფილ კაფე „დარბაზის“ წინ შეჩერდა. იქვე კუთხეში მდგომ ნაცნობ სახეებს მოჰკრა თვალი.

ესენი რკალად ივდნენ და გაცხარებით კამათობდნენ. ერთი მისი ძველი ნაცნობი ვეჭილი კოლა ჯავანიძე ყველაზე მეტად ცხარობდა.

— არ არის ეგ მართალი!—გაიძახოდა ერთი ვინმე.

— რა არ არის მართალი! ინდიგო რომ მხოლოდ 1912 წელს შემოვიდა?— ეკითხებოდა კოლა ჯავანიძე.

— ჰო! გაცილებით გვიანაა შემოსული!

— გაჩნდა თუ არა ინდიგო, მე იმ წელსვე შევაკერინე კოსტუმი თერძ პიკელნის. — აჯერებდა მას კოლა ჯავანიძე.

— კი, მაგრამ რომელ წელს?

— აკი ვამბობ, 1912 წელს მეთქი!

ყველა სერიოზული და დაკვირვებული სახით შესცქეროდა მოკამათიებს. თითქო კამათის დამთავრებისაგან ყოფილიყოს დამოკიდებული სამშობლოს ბედით.

— არ არის მართალი! ცხრაას თორმეტ წელს შენ ინდიგო არ გეცმებოდა! ცხარობდა ჯგუფში მდგომი.

— შენ მის დღეში ინდიგო კი არა, ხეირიანი კოსტუმიც არა გცმია, სულ ნახმარი ტანისამოსით გამოდიოდი, აბა შენ რა იცი როდის შემოვიდა პირველად ინდიგო!.. — გაჯავრებით უპასუხებდა კოლა ჯავანიძე.

— ნუ ხარ კუდაბზიკა აზნაური, მართლა კაცს ეგონება...

— აბა შენსავით ღორი ბარდით კი არ მიბია სოფელში! უპასუხა კოლა ჯავანიძემ.

მოსწრებულ სიტყვაზე ყველამ გადინახარა.

— აბა, მოდი მაშ დავნიძლავდეთ! — ბრაზ-შეკავეებით ეუბნება ჯგუფში მდგომი.

— ჰოო! ეს კარგია, ეს ნამდვილია!.. — გაუხარდათ სხვებს.

— კარგი, დავნიძლავდეთ!.. — ხელი გაუწოდა კოლა ჯავანიძემ.

— აბა, რაზე, რაზე! — იკითხეს დანარჩენებმა.

— აი ამ ხალხის თანდასწრებით ერთი კარგი სადილი რესტორანში! სთქვა კოლა ჯავანიძემ.

— თანახმა ხარ? — შეეკითხნენ გვერდით მდგომნი.

— კარგი! თანახმა ვარ!

— აბა ხელი გადასქერით!

ერთი წრეში მდგომთაგანი მარჯვენა ხელს მოქნეული ხანჯალივით დაუსვამს ჩაქობილ ხელებს და ერთმანეთს დააშორებს.

— ვის ვკითხობ? ვინ უნდა გადაჭრას საკითხი?— დაიძაბა ერთმა.

— აგერ მოდის დღე! იმას ეცოდინება ნამდვილად.—სთქვა კოლა ჯავანიძემ, მოახლოვებული დღე შეაჩერა და შეეკითხა—ერთი დაუმტკიცე ამ ოხერს, რომ ინდიგო 1912 წელს შემოვიდა.

— რა ინდიგო, რას ინდიგო, რას შეკითხებოდით, ვერ გავიგე? —ჰკვირობდა ახალ მოსული.

— ვაი შენს პატრონს! მავან რა იცის! რაა ინდიგო!—იხუმრა ერთმა.

— რა და შევიოტი რომაა, საკოსტუმე!—აუხსნა კოლა ჯავანიძემ.

— ჰოო! ინდიგო? რა ვიცი! მე რომ გიმნაზიაში ვსწავლობდი იმის შარვალი მეცვა ხოლმე.

— რაიო? გიმნაზიაშიო!.. შენი გიმნაზიაში ყოფნა ვილას ახსოვს აწი! მაშინ დიაგონალის შარვლები იყო და არა ინდიგოსი!.. არა ძმაო, შენ არაფერი გცოდნია!—უთხრა ერთმა.

— იცით რა? წავიდეთ და თერძ პიკელნის ვკითხობთ, იმაზე უკეთესად ვის ეცოდინება?—სთქვა ერთმა,

— მართალია, მართალი!

— ჰოდა, იმასაც გავიგებთ მართლა შეიკერა მასთან კოსტუმში კოლა ჯავანიძემ თუ არა.—სთქვა მეორემ.

— ეგეც მართალია!—დაეთანხმენ სხვები.

— აბა, წავიდეთ!—და არეული ჯგუფი რუსთაველის ფილაქანზე წეროებივით გაჰყვა ერთმანეთს პიკელნის დუქნისაკენ.

როცა ჯგუფი დაიშალა და ფილაქანს გაჰყა, გალაქტიონ ვალდავაძემაც ალაგი იცვალა, პაპიროზს მოუყიდა, ბოლი ჰაერში გაფანტა და იქვე ხეს მიეყუდა.

ამ მხარეს მეორე ჯგუფს შეეკრა რკალი. ხნიერი ქალბატონი პირისახეები ერთმანეთისაკენ მიეშვირათ და განცვიფრებით შესცქეროდნენ ახალმოსულს, რომელიც რალაც ამბავს უამბობდა ბოლშევიკების შესახებ. მისი ლაპარაკიდან ირკვეოდა, რომ ბოლშევიკები უკვე შესდგომოდნენ საქართველოს დაცლას. მან თავის თვალთ ნახა ბაქოსქენ მიმავალი ჯარი. ბოლშევიკებს რალაც საიდუმლო განკარგულება აქვთ და ეს ამბავი რომ მართალია, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ეგენი აქ ალარაფერს სტოვებენ და ყველაფერი თან მიაქვთ!

— ჰო, ჰო! ეს მართალია! ჩემის თვალთ ვნახე ტრამავის ლიანდაგს ხსნიდნენ, ესეც ალბათ თან მიაქვთ.—ამბობს ერთი.

— ვაჰ! ეგ მეც ვნახე აი!

— ნამდვილია, ნამდვილი! ულტიმატუმში აქვთ მიღებული რომ მალე გაიყვანონ ჯარი.

— მეც ერთმა ნაცნობმა ბოლშევიკმა მითხრა საიდუმლოდ, მალე დავც-
ლით საქართველოსო—ერთმანეთს აღარ აცლიან და დამაჯერებელი ძერით
უამბობენ ყურმოკრულ ამბებს.

— რა ვიცი! რა ვიცი! ერთი მალე მოხდეს ეს ამბავი, თორემ სკოლები
ვევლებება!—ამბობს ერთი ხანშესული ვინმე.

— სკოლებიც, უნივერსიტეტიც! ჩაურია მგორემ.

— ეს გაიგეთ, ყველა ეკლესიების დანგრევას რომ აპირობენო?

— მაშა! მაშა!

— ეს რაღა უბედურებაა, კაცო!

და ყველა თავს ჩაქინდრავს, ტრალიკულ, წამებულ ფერს ზიილებს და ერთ
წერტილს მიაშტერდება მგლოვიარესავით.

ამ ჯგუფში არეულია ახალგაზდა და მოხუცი, ყოფილი თავადი თუ მოხე-
ლე, ყოფილი ბოქაული თუ ნახუცარი.

— ახლა ერთი ანეკდოტი გითხრათ, ანეკდოტი კი არა, სინამდელია—
ამბობს ერთი.

— აბა, სთქვი, სთქვი, თუ ხათრი გაქვს!

შემკვიდროვდებიან. ვიწრო რგოლში თავები თითქმის ერთმანეთზე აქვთ
მიდებული. ანეკდოტი შეეხება ებრაელების გამრავლებას ცენტრებში. მოსკოვი,
სადაც წინათ ებრაელებს არ აცხოვრებდენ, ახლა მხოლოდ მათ დაიკავეს, და
ერთ საღამოს, როცა ეკლესიებში ხარი ჩამორეკეს, ერთი ებრაელის შვილი ეკი-
თხება მამას: ეს რას ნიშნავს მამა? მამა კი უპასუხებს: შვილო, ეს რუსების კო-
წონია პრეკავს ზარებს თავის მრევლისთვის. ასე ამთავრებს ანეკდოტს მთქმელი
და ყველა კმაყოფილი იცინის.

შეიძლება დიდ ხანს დარჩენილიყო გალაქტიონი კიდევ ხესთან მდგარი,
რომ ნაცნობი ხმა არ გაეგო. მიიხედა და მარო იცნო.

— რატომ ასე ჩაფიჭრებულხარო, ბატონო გალაქტიონ?— შეეკითხა მა-
რო.

— არ ვიცი, ისე! აი—დაბნევით უპასუხა გალაქტიონმა.

თვალეში შეხედა და მისი სახე ეუცხოვა—უკვე დანაოკებული და მიმქ-
რალი. იქიდან აღარ გამოკრთოდა ის ნაპერწკალი, წინათ რომ გალაქტიონს
ანთებდა. და ფიქრობდა გალაქტიონი: რა იქნა ის მიმზიდველობა, მაროს რომ
წინათ მიუწვდომელს ჰხდიდა მის თვალში? რატომ თრთოდა მასთან შეხვე-
დრისას და ახლო მისვლასაც ვერ ჰხედავდა? ეხლა? ეხლა კი როცა გალაქტი-
ონი უმზერდა მის ძაფის ხაზებად ჩაყოლებულ ნაოკებს, რალაცნაირი გესლი
და ბოლმა აწვებოდა მის გულს. ეს იყო სიძულოვილი და ზიზღი ხანში შესულ
გაუთხოვარ ქალისადმი, რომელმაც ვერ შექმნა ოჯახი. მარო საცოდავ ნანგრევის
შთაბეჭდილებას სტოვებდა მასზე. მხოლოდ ნაძალადევი ზრდილობა აიძულებდა
მასთან მუსაიფის გაგრძელებას. მარო კი კეკლუცობდა ცდილობდა გალაქტიონისა-
თვის დაენახებინა თავისი წინ სვლა, პარტიული გრძნობები გაეღვიძებია და ამით
მაინც მოეზიბლა იგი, მაგრამ რამდენადაც შეტს ცდილობდა თავი მოეწონებინა
იგი იმდენად უფრო შორეული და მიუღებელი ხდებოდა მისთვის.

— ჩენი მდგომარეობა! — გაიმეორა მარომ — ამ მდგომარეობაზე მალე მოვიღებ ბოლო თქვენც გაიგებდით, ჩემმა ძმამ მითხრა, რომ ევროპაში საქმე უკვე გადაჭრილია და საქართველო მალე იქნება განთავისუფლებული. ამ დროისთვის შონობისგან, ოჰ!.. დმერთო ჩემო! ნეტა ამას მოვესწრებოდე და მერე თუნდაც სულ სხვა გზით წავიდეს ჩემი ცხოვრება!

— რა გზით? — უნებურად შეეკითხა ვალაქტიონი.

— წინანდელ ფუქსავატ ცხოვრებას თავს დავანებებ სულ საქართველოზე ვიფიქრებ და სხვა არაფერზე.

მისი კილო გულწრფელი იყო. ეხლა ხედავდა უშინაარსო წარსულ ცხოვრებას მის უშიზნოდ დაღუპვას და მწუხარე იყო ეს შეგნება. ეხლად ამწვედა ვალაქტიონის ფართე შუბლს პატარა ულვაშებს, ვიწრო ტუჩებს და ნაიბადა, რომ წინად ვერ ხედავდა ამას.

— აგერ, აგერ კოწია! — უცბად შესძახა მარომ და ხელი მიშავალ ეტლისკენ გაიშვირა. — კოწია, კოწია! — დაუძახა მეეტლეს კოწია, მოდი, მოდი აქ პატარა ხანს! ველარ იცანით კოწია? — შეეკითხა მარომ ვალაქტიონს ვიდრე მეეტლე ცხენებს მოაბრუნებდა. — ჩვენებურია, აღარ გახსოვთ კოწია კინვალიძე? ყოფილი აზნაური, ეხლა კი მეეტლეა ყველაფერი ჩამოართვეს, ცხენები — და დარჩა. ჭალაქში ჩამოვიდა, ეტლი იყიდა თავის ცხენების წყალობით ცხოვრობს.

ვალაქტიონმა თვალი მოჰკრა კობტად შეტრეკილ შავ წვერულვაშიან მეეტლეს, როცა მან დაჰკიშული თასმებით ცხენებს თავი დაუჭირა და ეტლი მოაბრუნა, და მაშინვე მოაგოხდა კოწია კინვალიძე. „ის არის, ის როგორ არა! მუდამ მაროსთან დადიოდა. მედიდური პირისაზე ჰქონდა. დალაპარაკებასაც კი არ კადრულობდა.“

ერთხელ — კარგად ახსოვს ვალაქტიონს, — სათევზაოდ იყო წასული და შინ ბრუნდებოდა. სველ ჩანთაში თევზები ჰყავდა ჩაწყობილი და მხარზე ჰქონდა ჩამოკიდებული, სველი ოჩხო ბადე მეორე მხარეს გადაედო. შიშველ ფეხებზე შალვარი აკაპიწებული ჰქონდა. უცბად უკანიდან ცხენის ფეხის ხმა მოესმა გაიხედა და მარომ იცნო, მუხლებზე რომ გრძელი შავი კაბა ჰქონდა ჩამოშვებული ერთი ჩოხოსანი შორს ცხენიდან ჩამომტარიყო და უნაგირის სართავენს ამაგრებდა. ვალაქტიონს შერცხვა რადგან უქედოდ და უქამროდ აკარწახებული შალვარით რომ შეხვდა მას. მარომ მოუახლოვდა და შეეკითხა. —

— „თევზები დაიჭირეთ?“

— „დიახ, სათევზაოდ გახლდით.“

— „აბა მაჩვენეთ თქვენი დაჭერილი თევზები.“

ვალაქტიონმა ორივე ხელით პირი გაუხსნა სველ ჩანთას, ზევით ასწია და მაროს პირსახესთან მიიტანა მისი იდაყვი მაროს მუხლთან უნაგირზე დაეყრდნო, მარომ ჩანთაში ხელი ჩაჰყო და წვრილი თევზები აუჩია. ერთი თევზი ამოიღო, რომელიც ხელში სრიალებდა, მეორე ხელი მიიშველა და შინჯვა დაუწყყო. ცხენი ფრუტუნებდა, წასვლას აპირებდა, ბტუნაობდა. უცბად თევზი ხელიდან გაუსხლტა და ცხენის წინა ფეხებთან მტვერში ამოიფეხვლა.

— „უჰ! საცოდავი თევზი! უჰ საცოდავი!“ — შექმუხნილი წარბებით წარმოსთქვა მარომ.

— „რა უკირს, რა უკირს! ეხლავე წყალში გავაგლეშ, ცოცხალი ხომ არ უკირს“
გალაქტიონი მტერიან თევზს დასწვდა, იქვე მდინარეში გაბანა და ჩანთა-
ში ჩააგდო.

სწორედ ამ დროს მოაქენა ცხენი ჩოხოსანმა, თავის ცხენს მაროს გვერდში
ამოუყენა და მედიდურად გადახედა გალაქტიონს.

— „თევზები დაუქერია?“ — იკითხა მოსულმა

— „ჰო, ჩანთაში ჰყავს!“

— „ლოქოებს დაიქერდა, ლოქოებს!“ დაცინვით სთქვა ჩოხოსანმა და მაროს
შეეკითხა, — „რალას უცდით? ქალბატონო მარო?“

— „არაფერს, წავიდეთ“.

და ოთხი უკანა ნალი აპრიალდა მზის სხივებში, ორი ძუა შეიგუნგლა
მტვერში.

ეს ჩოხოსანი იყო ის კინვალიძე, რომელიც ეხლა კოფოზე წამომჯდარი,
გალაქტიონსა და მაროსკენ ეტლს მიაქროლებდა. მათთან გასწორებასთანავე,
თანმები დასკიმა და ლაგამ ამოდებული ცხენის თავები კისერში მოლუნა, ეტლი
გაჩერდა.

— „არ იცნობ. კოწია? გალაქტიონ ვაღდავადე! — მიმართა მას მარომ.

— როგორ არა, ქალბატონო მარო! ვიცნობ, როგორ არ ვიცნობ! — უპასუხა
კოწია კინვალიძემ, კოფოდან იქვე ეტლის წინა ბორბალთან ჩაცსუკჭდა და
ხელი გაუწოდა გალაქტიონს.

ფილაქანის ნაპირად იდგენ მარო და გალაქტიონი და მეეტლის ქურჭში
გახვეულ კინვალიძეს შესცქეროდენ.

— არ მინდა ყველამ გაიგოს ეტლზე რომ დავდივარ, ხომ იცით, საქმის-
თვის საქირია! — იღუმალი ხმით მიმართა კოწიამ მაროს.

ეს რომ სთქვა მნიშვნელოვანად გალაქტიონს გადახედა და ამით აგრძნობინა,
რომ იძულებით კი არ დადის ეტლზე, არამედ ასეთ ცხოვრებასთან დაკავ-
შირებულთა სულ სხვა ამბავი. მარო მიხვდა და სახე გაუღიშდა.

— სხვა რას იტყვით, ბატონო გალაქტიონ ახალ ამბავს! — მიმართა კო-
წიამ გალაქტიონს, როგორც თანასწორი მაჰმართავს თანასწორს.

გალაქტიონი მიხვდა რომელ ახალი ამბავის შესახებაც ეკითხებოდა. გაი-
ღიმა და სიამოვნებით შეხედა კოწიას ღია თვალებში.

ეხლა აღარ იყო ამართული მათ შორის უწინარი კედელი. აღარც გამო-
მეტყველება იყო მედიდური. კოწია ზევიდან აღარ დასცქერდა გალაქტიონს,
არამედ მეეტლის ქურჭში გახვეული, კობტად შეკრეპილი წვერებით მიმზიდველ
შთაბეჭდილების ახდენდა გალაქტიონზე. და ჰკვირობდა გალაქტიონი — რატომ
სძულდა მას წინად კოწია! აი თურმე როგორი უბრალო და თავდაბალი ყოფი-
ლა იგი! აი, შეიძლება ეხლა „ერთად მოუხდათ ბრძოლა ბოლშევიკების წინაა-
ღმდეგ“ ის ალბად ნაციონალ-დემოკრატების პარტიაშია. რა ვუყოთ მერე! სწო-
რედ ესენი უფრო გამოდგებიან ასეთი ბრძოლისთვის“.

ასე ჰფიქრობდა გალაქტიონი. სავსებით დაივიწყა უწინდელი შეხვედრები
და ეხლა მზად იყო ალერსით და სიყვარულით დაშვებობდა და მასთან
ერთად საერთო მუშაობაში ჩაუღლულიყო

ყოფილა კინვალძე ჰგრძნობდა, რომ მან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ორივეზე და რათა ეს შთაბეჭდილება განემტკიცებინა, დიდხანს ალაგა გააბა მათთან მუსაიფი. ვითომ საჭირო და საჩქარო საქმისათვის ეშურებოდა, გამოემშვიდობა, ცხენებს შოლტი დაარტყა, ეტლი შეატორტმანა, ვალაქტიონს იღუშალი ხმით უთბრა დიდმნიშვნელოვან კილოზე „ნახეამდის! მალე შეეხედებით ერთმანეთს ბრძოლის ველზე“, და ეტლი გააქროლა.

15

დიდი ხნის არალეგარულ პარტიულ მუშაობას მიჩვეულ ლევანს ძალიან უძნელდებოდა საეაქრო დაწესებულების გაძლოლა. ამას მისი მახლობელი ამხანაგებიც ამჩნევდნ და ამიტომ წინადადება მისკეს ისევ პარტიულ მუშაობაზე გადასულიყო. მართალია, პარტიას სახელმწიფო აპარატში ჯერ კიდევ არ ჰყავდა საკმარისი მომუშავე ძალები, მაგრამ იმ დაწესებულებას, სადაც ლევანი მსახურობდა, იოლად გაუძღვებოდა ისეთი ახალი ძალაც, როგორიც იყო მატაფიევი. მით უმეტეს, რომ მალე ამ დაწესებულების გაუქმებაც უნდა მომხდარიყო.

ლევანი კაბინეტში იჯდა, მაგიდას ალაგებდა. საჭირო ქალაქებს ცალ გვერდზე აწყობდა, დასახვევს ჰხვედა და იქვე კალათში ჰყრიდა. ერთი მხრივ მას ძალიან უხაროდა ისევ პარტიულ მუშაობის დაწყება, მაგრამ ამავე დროს ადგილის დატოვებაც ენანებოდა.

ყოველი ცვლილება — სამსახურის გამოცვლა, ბინიდან ბინაზე გადასვლა, ან ერთი ქალაქიდან მეორეში წასვლა, საერთოდ შეჩვეულ ცხოვრების ცვლილება კაცს აფიქრებს და წარსულ განვილი ცხოვრებას მოაგონებს.

ლევანი მაგიდის უჯრებს ასუფთავებდა, სხვადასხვა ქალაქებს თავს უყრიდა და თან შორეულ პარტიულ მუშაობაზე ჰფიქრობდა. იგონებდა იმ დროს, როცა კონსპირატიული მოსახრებით, ერთი ქალაქიდან მეორეში უნდა გადასულიყო. მაშინაც უხაროდა, რომ იმ მახზარ ჯაშუშებს შორდებოდა, რომელნიც მოსვენებას არ აძლევდნ და კვალდაკვალ დასდევდნ მას, მაშინაც ჰხვედა უამრავ ზედმეტ ქალაქებს და ახალ ცხოვრებისკენ, ახალ ქალაქში, ახალ მუშაობისკენ მიისწრაფოდა და ამავე დროს სწყინდა, რომ შეჩვეულ ქალაქსა და იქ მყოფ მეგობრებსაც სცილდებოდა.

ასე იყო ეხლაც. პარტიულ მუშაობასთან შეზრდილი ლევანი, კარგი ორგანიზატორი იყო, გატაკებული მომუშავე და საქმის კონსპირაციის დაცვის მოყვარული. მას ბევრი რამ გადაჰხედია თავზე. პარტიასთან ერთად ბევრი ტკივილები, გამარჯვება და დამარცხება განუცდია. ნამდვილი „პარტიული თავუნა“ იყო ცხოვრებაში გამოხარშული, მიუხედავად ქალარისა, და საგულეში ჯერ კიდევ ბავშურ გულს ატარებდა.

მას ენანებოდა, რომ მის მიერ მოწყობილი, თითქმის მისი ხელით შექმნილი დაწესებულება, ეხლა სხვას უნდა ჩაბარებოდა. ის გრძნობდა, რომ მატაფიევი ამ დარგში დახელონებული მომუშავე იყო და კარგადაც წაიყვანდა საქმეს, რადგან მამა მისი ერთ დროს ვაჭარი იყო. გრძნობდა, მაგრამ ამ ახალგაზრდისადმი მთლიანი, სრული ნდობა მაინც არ ჰქონდა. რალაც აშორებდა მათ. მატაფიევი არ განიცდიდა ძველი კონსპირატორის პარტიული მომუშავის ხა-

ლის ის ვერ შეაფასებდა აწმყოს წარსული მუშაობის თვალთ. მას არ მოეპოვებოდა ამხანაგური სიტბო და ის უხილავი ძაფი, მეგობართა შორის, რომ ეძღოდა ხოლმე მათდა შეუმჩნეველად. აი ეს ამხანაგური, მეგობრული ურთიერთობა ვერ დამყარდა მათ შორის. არ მოხერხდა და მათი დამოკიდებულება მშრალ პარტივისკემას და ზრდილობიან მოპყრობას ვერ გასცილდა.

მუდამ გონიერი და ხელისუფლების სადარაჯოზე ფხიზლად მდგომი მატაფიევი ხშირად შეუსწორებდა ხოლმე ლევანს მოსაზრებას ამა თუ იმ საქმის შესახებ. დაარწმუნებდა მას, რომ მისი აზრი არ არის სწორი, ლევანი ამ დროს ანჩხლობდა, ბრახობდა, ხან თავის ავტორიტეტს და ხანგრძლივ გამოცდილებას იშველიებდა, მაგრამ როცა პარტიულ უჯრედის უმრავლესობა მატაფიევს დაუჭერდა მხარს, ისიც ნებდებოდა, უთანხმდებოდა, უთმობდა.

ფიქრებში ვართულმა ლევანმა უკვე მიაღავა საწერი მაგიდა როცა კარი გაიღო და კაბინეტში მატაფიევი შემოვიდა.

—აბა, ამხანაგო, ახლა შენ იცი როგორ წაიყვან საქმეს! მიმართა ლევანმა.

—ნუ გეშინიათ, ამხანაგო! ეს საქმე უკვე ისე შევისწავლე, რომ შეცდომებს ალაგი აღარ ექნება!

მატაფიევს ეხლა თავი ისე ეკირა ლევანთან როგორც თანასწორთან. კაბინეტს ათვლიერებდა და მის მოწყობის გეგმას ადგებდა. საქირო იყო მაგიდის მობრუნება და მის წინ გძელი ვიწრო მაგიდის დადგმა. ტელეფონისთვის კიდეც ცალკე ალაგი. საწყობიდან ხალიჩას მოატანიებდა და მთელ კაბინეტში დააფენინებდა. იქვე კედელზე ცალკე დარაჯისთვის და ცალკე შემანქანისთვის დასარკე ხარს ვააკეთებინებდა და საერთოდ კაბინეტს უფრო ლამაზად და გემოიანად მოაწყობდა, ვიდრე ლევანს ჰქონდა მოწყობილი.

—აი ეს ქალაღდები ჩაიბარე. ამაზე ჯერ ჩემი რეზოლიუცია არ არის დაწერილი. საკითხი რთულია და ნუ აჩქარდები. ამხანაგებს შეეკითხე. ეს საკითხი თავისთავად ამოიწურა, ეს კიდეც სახკომსაბჭოშია გაგზავნილი. პასუხი მოვა, —სათითაოდ აძლედა საქმეებს და თავის აზრსაც უზიარებდა.

მატაფიევი საქმეებს ართმევდა, ცალკე აწყობდა, მაგრამ ლევანის მოსაზრებას იმდენ ყურადღებას არ აქცევდა. მას თავისი მსჯავრი ექნებოდა ამის შესახებ. ლევანი გრძნობდა ასეთ განწყობილებას. გარეგნულად დაწყნარებული იყო და საქმის ვითარებას უხსნიდა, როგორც უფროსი ამხანაგი უმცროსს, მაგრამ გულში შფოთავდა და ჯავრობდა.

ლევანის წასვლა ყველა თანამშრომელს სწყინდა. ამის გამო დაწესებულებაში ბევრ ცვლილებას მოელოდნენ. ზოგს სამსახურიდან დაითხოვდნენ, ზოგი თვითონ დაანებებდა თავს. რამოდენიმე მაფიანი დაწინაურებას მოელოდა. ამის გამო ბევრი მითქმა-მოთქმა, ქორი და ლაპარაკი იყო გამართული. ამბობდნენ, მატაფიევმა დაასმინა ლევანი ცეკაში რალაც მიდგომა დასწამა და ამიტომ გადაიყვანეს სხვაგან, თორემ თვით იმას აქედან წასვლა არ უნდოდაო. იმასაც უმატებდნენ, რომ მატაფიევი კარიერისტია და ამიტომ ყველაფერი მოსალოდნელია. მისგანო, მაგრამ იმასაც დასძენდნენ, რომ იგი საქმის მცოდნეა, ენერგიული და მომუშავე ახალგაზრდაო.

დაწესებულებაში იმ დღეს მოდუნებული და ავადმყოფური მუშაობა სწარმოებდა. ყველა ნერვიულობდა, განსაკუთრებით გალაქტიონი. მთელი დღე მაგიდასთან იჯდა ჩაფიქრებული. რაიმე ქალაქს ამოიღებდა, მარტინოვიჩს ოვალს გააყოლებდა, მაგრამ აზრს ვერ გამოიტანდა და კვლავ უსწორდებოდა.

პატარა ხნის შემდეგ სამუშაო დარბაზში ლევანი შევიდა. მის შესვლას ყველა ფეხზე აღგომით შეხვდა. მან სათითაოდ ჩამოართვა ყველას ხელი. მის გარშემო შექურდენ. მოლიძარი სახით შესცქეროდენ, ის კი უხერხულობას გრძობდა. თითქო უნდოდა ეთქვა რაიმე და კი არ იცოდა რა ეთქვა. პერე ნელი ხმით და დაბნევით დაიწყო:

— ყოჩაღად იყავით, საქმეს გულმოდგინეთ შეუდევით, ნუ უღალატებთ მას. მუშუარ-გლახური სახელმწიფო უსათუოდ შევბას მოგცემთ. მხარი დაუჭირეთ მას, გაპყევით გულწრფელად და დაინახავთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, სიტყვა გაეგრძელებინა, მაგრამ გული აუძგერდა, ველარაფერი სთქვა, გატრიალდა და კიბეს აჰყვა. გალაქტიონი დაედევნა. როცა ლევანმა უკნიდან მომავალი გალაქტიონი შეამჩნია, გაუღიმა, კაბინეტის კარი გააღო და გალაქტიონი შეიპატოეა.

— უნდა გითხრა ლევან, რომ თანამშრომლებს ყველას უყვარდი. შენი წასვლა ყველას გულწრფელად სწყინს. სულ უკიდურესი ანტიკომუნისტებიც კი ასე ამბობდენ: მართალია, კომუნისტია, მაგრამ ძალიან კარგი კაციო, — სიცილით სთქვა გალაქტიონმა, როცა კაბინეტის კარი მიიხურა და მეგობრული ხუმრობის ნიშნად ლევანს მკლაეზე ხელი დაარტყა.

ეხლა, როცა ლევანი გალაქტიონის უფროსი აღარ იყო, უფრო გათამამდა. დაღონებულ გალაქტიონს, ლევანის შეხვედრამ კაეშანი მოხსნა, გამხიარულდა.

— ისევ პარტიული მუშაობა! — სთქვა ლევანმა როცა სკამზე დაჯდა. — რასაკვირველია, არა ასეთი, როგორც ძველად, კონსპირატორობის დროს, მაგრამ მაინც უფრო მეტი პასუხსაგები, გაცილებით უფრო მეტად პასუხსაგები, ხომ იცი! წინათ ვინ ადევნებდა თვალყურს შენს მუშაობას! ეხლა კი, ყოველი მოქმედება შეზომილი, მოფიქრებული და პარტიის გენერალური ხაზის მიმდევარი უნდა იყოს! ვინ იცის წინათ რამდენი არა მარქსისტული, არა სწორი ლენინური შეხედულება ჩემდა შეუმჩნეველად გადამიცია მუშებისთვის! ვინ იყო ამის კონტროლი! ეხლა კი... აბა შეგამჩნიონ!

პარტიულ მუშაობის მოგონებასთან ერთად გალაქტიონს პირსახე გაუხვედა. თვალებით ერთ წერტილს მიაშტერდა და ისე დაუშვამდა გული თითქო შიშველ სხეულზე ცივი წყალი გადაასხესო. ის შესცქეროდა ლევანის შავი ტყავის ქურქს. ერთი ღილი მოდუნებულ ძაფზე ჩამოკიდებულ იყო და ტანის რხევასთან ერთად ისიც ქანაობდა. ამ ღილს უმზერდა გალაქტიონი და თავში კი უამრავი ფიქრი ერეოდა კორიანტელივით. რა იქნებოდა ეხლა გალაქტიონისთვის პარტიული მუშაობა? სრულებით სხვა რამ! დიამეტრალურად წინააღმდეგი, ვიდრე წინათ! ვის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული ეს მუშაობა? არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, ე. ი. მისი მეგობრის ლევანის წინააღმდეგ. ეს რომ გაიფიქრა ისე შეიცვალა პირსახე და მოელუშა წარბები, თითქოს ვინმემ უცრად ქურდობაში დაიჭირაო. ლევანისადმი მეგობრულ გუნებას თითქო ძმარი გადა-

ესხა და ეხლა მის წინ შიშველი სინამდვილე—რომ ის და ლევანი ძაღლის შორს ერთმანეთისაგან მოწინააღმდეგე ბანაკში არიან, რომ ბრძოლის დროს ექნენ ერთმანეთს არ დაინდობენ და სისხლსაც დაღვრიან,—ეს სინამდვილე მისთვის ეხლა მტკივნეული შეიქნა და ლევანთან დარჩენაც ეძიებოდა.

—შენ კი, გალაქტიონ ნუ თუ მარტო სამსახური დაგაკმაყოფილებს? ნუ თუ ამდენ ხანს პარტიულ მუშაობას შეჩვეულ კაცს ეხლა მხოლოდ პირადი კეთილდღეობისთვის ზრუნვა გაგიწევს სამაგიეროს? ჰა, გალაქტიონ!—შეეკითხა ლევანი.

რა უნდა უპასუხოვს გალაქტიონმა? ვანა მართალი არ არის ლევანის შეკითხვა? გალაქტიონი დაბნეულია და თავში არაფერი გარკვეული პასუხი არ მოსდის. არა, არ შეუძლია გულწრფელი იყოს! ჯერ ეტყვის ლევანს იმას, რაც გულში უდევს და ამიტომ სდუმს.

—ერთი ეს მაინც მითხარი, თუ ძმა ხარ ინტერვენცია რომ მოხდეს, ევროპის სახელმწიფოებმა რო ომი დაგვიწყონ, ვის მხარეს იქნები? აიღებ ხელში იარაღს და ჩვენთან ერთად იბრძოლებ მათ წინააღმდეგ, თუ იმ იარაღს ჩვენ ზურგში ჩაგვცემ?—არ ეშვებოდა და დაკინებით ეკითხებოდა ლევანი დადუმებულ გალაქტიონს.

—აბა რომელი მებრძოლი შე მნახე, რომ იარაღი ავიღო და ვიბრძოლო? წაილულულა გალაქტიონმა.

—აბა ეგ რა პასუხია! მაგრამ ამას თავი დავანებოთ. რადგან ლაპარაკი ჩამოვარდა, უნდა კიდევ გითხრა, როგორც ძველ შეგობარს, რომ ჩვენს პარტიას გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს შენშვეიცების კონფერენცია, სადაც ისინი ძველ გზას უარჰყოფენ და კომუნისტურ პარტიას გაჰყვებიან. კონფერენცია მოეწყობა მთელი საქართველოს მამულებით და აი შე ვფიქრობ, რო შენც მიიღებ ამ კონფერენციაზე მონაწილეობას. ეს იქნება ერთად ერთი გამოსავალი გზა შენთვის. ეს არის ჩემი შეგობრული რჩევა-დარიგება და ეხლა როგორც გინდა ისე მოიქეცი, ხომ იცი, სხვა გზა არ არსებობს! ან ჩვენთან, ან ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენი მტრების ბანაკში. ჰო და ეს უნდა ვიცოდეთ ჩვენ, ვისთან გვაქვს საქმე?—ხაზგასმით სთქვა უკანასკნელი სიტყვები ლევანმა.

—არ შეიძლება, კაცო, არც თქვენთან ვიყო მთლიანად და არც თქვენი მტრების ბანაკში?—დაბალი ხმით შეეკითხა გალაქტიონი.

—ბავშვით ნურც შე ჩამაგდე და...—უკაცრავად მოითმინეთ პატარა ხანს!—გასძახა ლევანმა უცნობ პირს, რომელმაც კარი გააღო და თავი შემოჰყო შემოსასვლელად,—ჰო და ნურც შენ გახდები ბავშვი! ეხლა ეს აღარ შეიძლება ეხლა ბრძოლის დროა და ბრძოლის დროს კი მხოლოდ ორი ბანაკია! მხოლოდ ორი!—პათოსით და ამაღლებულ კილოზე სთქვა ლევანმა.

—კი, მაგრამ რა ვქნა რომ ზოგიერთ რამეში ვერ დაგეთანხმებით?—სთქვა გალაქტიონმა.

—მაგალითად რაში!

—აი თუგინდ...—ყოყმანით დაიწყო გალაქტიონმა.

—ჰო, ჰო; ვიცი, ვიცი! საქართველო! ეს შენი საქართველო რა გახდა ბოლოსდაბოლოს!—ფეხზე წამოდგა და ხმა—მალლა თითქმის ყვირილით განაგ-

რძო ლევანმა. — ბრძოლა აქ მთელი მსოფლიოს მაშტაბით მიდის და თქვენ კი გაიძახით, „საქართველო და საქართველო!“ — წერილი ხმით ყბამოკეტულად წარმოსთქვა ლევანმა. — ისიც ვნახეთ როგორ ააყვავეთ იგი თქვენს მაღაზინის დროს, ყოველი ევროპიელი ფეხ-ქვეშ რომ სთელავდა მას და ბურჟუაზიის საჩინქნელად რომ გახადეთ!

ამასთან ერთად, ისიც უნდა ეთქვათ რაც უმთავრესია, რომელ საქართველოზე ბრძანდებით თქვენ ეგრე გულმოკლული? საქართველო ორია — საქართველო ძველი ფეოდალების და ბურჟუაზიის და საქართველო მუშურ-გლეხური. ნურას უკაცრავად თქვენთან თუ ძველ საქართველოს ხაზს გაუსვამთ და მუშურ-გლეხურ საქართველოს აეაყვავებთ, ამ საქართველოდან შორს თქვენი ხელები!.. — პათოსით და ხმის აწევით დაამთავრა ლევანმა.

— თქვენს შპარზე მხოლოდ უცხო ელემენტები არიან, ჩვენი მუშები და გლეხები კი... — უცბად ჩაურთო ვალაქტიონმა.

— დიად, დიად! თქვენგან მოტყუებული მუშები! ისინი მალე მოვლენ გონს! რაც შეეხება უცხო ელემენტებს, რომელსაც შენ გულისხმობ, ვაი თქვენი ბრალი თუ მალე თეალს არ გაახელთ და სინამდვილეს არ დაინახავთ!

კამათი უკვე ყვირილში და მუქარაში გადავიდა. ვალაქტიონიც წამოდგა. ლევანის გაცხარებულ ლაპარაკის დროს-ის მხოლოდ ორიოდ სიტყვას ჩაურთავდა ხოლმე, რაც უფრო და უფრო ანთებდა ლევანს, როგორც ცეცხლს ნავთის მიმატება. მაშინ მისი თვალეები ნაპერწყლებს აფრქვევდა, ტანი უცახცახებდა, კუნთები უთრთოდა. მერე, როცა ვალაქტიონი გაუჩქმდა, ისიც ჩამქრალი ხანძარივით ჩაიფერვლა და მიჰხვდა, რომ ასეთ ყვირილს არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყვებოდა და ისევ დაბალ კილოზე დაამთავრა —

— ასე, ვალაქტიონ, სჯობია ჩემს რჩევა-დარიგებას მიჰყვე წელან, რომ გეუბნეოდი სანამ დრო გაქვს, თორემ შემდეგში იქნებ გვიანაც იყოს.

ზარი დარეკა. დარაჯი შემოვიდა.

— სთხოვე, იქ ვილაც იცდის! — უთხრა მას ვალაქტიონმა ხელი ჩამოართვა. რაღაც გაურკვეველი წაილულლულა, გატრიალდა, გასავალ კარებში ვილაცის წაეჯახა და გავიდა.

16

ღაღად ჰგრძნობდა თინა თავს სამსახურში. ყველა ამხანაგები შენატროდენ. „რა უჭირს თინას! მატაფიევისთანა მფარველი ჰყავს“. — ხშირად ამბობდენ ისინი.

თინამაც კარგად იცოდა, რომ მატაფიევი მას ყურადღებას აქცევდა, კარგად ხედავდა მის დამოკიდებულებას გრძნობდა, რომ მას იგი მოწონდა, სულ ცდილობდა შეხვედრას, გამოლაპარაკებას, მასთან ყოფნას, თინაც ქალური აღლოთი მისდევდა მატაფიევის და უხაროდა, ამხანაგებში კვებულობდა კიდევც ამყოფობდა, შედიდურობდა.

ბირველ ხანებში თინა ატყობდა, რომ მატაფიევი მას ზერელედ უმზერდა; ის მართლა ჰფიქრობდა რომ თინას ხელში ჩაგდება იოლი იქნებოდა, მაგრამ თინამ მალე გაუცრუა იმედი და იმანაც გეზი შესცვალა. ეხლა ის დარწმუნე-

ბული იყო რომ მატაფიევს იგი უყვარდა და რამდენათაც უფრო მეტად სწამუნდებოდა, იმდენად უფრო ხარობდა და ლალობდა; ხოლო ამ ამბავს თინა/მატაფიევს არ აგრძნობინებდა და ცდილობდა მასთან გულცივად დასკვნა/თავი.

თინას ვერც ერთი ამხანაგი ვერ იტყოდა რა განზრახვას ამოძრავებდა მატაფიევს თინასადმი. ჰხედავდნენ კი, რომ მათს შორის ისეთი დამოკიდებულება იყო, რომ, რაც გარეშე ქალს შურით აესებს ხოლმე. ვერავინ ჰხედავდა თინასთვის ეკითხნა რაზე და ყოველი მოქმედებიდან თვით გამოჰქონდათ ესა თუ ის დასკვნა. „შეირთავს მატაფიევი თინას თუ არა?—ეკითხებოდნენ ერთმანეთს.— აბა ეხლა მაგის მეტი ვერაფერია ნახა მატაფიევმა სწორედ!“—ამბობდნენ მოწინააღმდეგენი.— „ვითომ რაო, ცუდი გოგოა თუ? ჰკითხულობდნენ მეორენი.“ ამის გარდა თინა ლამაზი არ არის, ტანადი თუ რა? „მატაფიევი კომუნისტია და ამიტომ უჭირავს დიდი ალაგი, თორემ რას წარმოადგენს?“ აბა ერთი ეგენი აღარ იყვნენ, ვნახოთ რა დარჩება მისგან! „იმაზე უკეთეს თინა სხვას მაინც ვერ იშოვნის, ტყუილია!“— ასე ბეჭობდნენ და ჭორიკანობდნენ თინას ამხანაგები და მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც გულში მას შეჰნატროდნენ.

მატაფიევთან შეხვედრისას თინა გარეგნულად თუმცა ჩვეულებრივად მიეხალმებოდა ხოლმე მას, მაგრამ ნამდვილად კი თრთოდა მისი შეხვედრა მის სხეულს ჯიანჭველებს შეუსევედა.

ამავე დროს თინას ვერ გაერკვია რატომ იბნეოდა, როცა გალაქტიონს შეხედებოდა რატომ აკლდებოდა სითამამე და თავლებს დამნაშავე შევირდივით ძირს დაუშვებდა და პირსახეში ვერ შეხედავდა. ჰო, რატომ? თინამ იცოდა, რომ გალაქტიონიც არ იყო მასთან უგულოდ და რომ ეს ამბავი უფრო სერიოზული იყო ვინემ უწინ ეგონა თინა ჰგრძნობდა გალაქტიონს როგორც ძალიან მახლობელ ადამიანს, როგორც ნათესავს. მისი დაახლოება მას ამშვიდებდა, გულს უთბობდა, აწყნარებდა. თინას უყვარდა გალაქტიონის წარსული, მისი აზრები, მისი ლაპარაკი, მაგრამ ქალური ალღო უკარნახებდა სრულ დაახლოებას მორიდებოდა. მატაფიევს გაცნობის შემდეგ თინა გალაქტიონთან შეხვედრას გაურბოდა, ერიდებოდა, მაგრამ ამავე დროს ნანობდა და ისევ მისკენ მიიწევდა.

მერე, რა ქნას თინამ? ცხოვრება ასეთი უცნობია, გაურკვეველი, მოალაღატე და მაცდური! მას კი ძლიერ უყვარს ცხოვრება და რა ქნას თუ კი ასე ძნელია ნამდვილი გზის მოხაზვა? რომელია, სად არის ის ბილიკი, მას რომ იმ წყაროსთან მიიყვანს, რომელიც შვებას მისცემდეს მას?! რომელია, რომელი! გალაქტიონი თუ მატაფიევი? რომ არ იცის რომ, არავინ ეტყვის? და ამიტომ თრთის, ამიტომ ფიქრობს, ამიტომ უცდის და თავის ბედს შემთხვევას ანდობს.

ქართველ ქალს სიყვარული არ შეუძლია, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ქართველმა ქალმა სიყვარული არ იცის. ის თავის გრძნობას, თავის გულს მთლიანად არ აჰყვება. სიყვარულით გატაცება მას არ ებერება მას გაქანება და გადავარდნა აშინებს. გონებას ეკითხება მღაბიურად მსჯელობს. გარეშე წრის აზრს ანგარიშს უწევს. აფიქრებს მომავალი ცხოვრება. გრძნობას და გონებას ერთმანეთს ვერ უთანხმებს, ამიტომ მას არ შეუძლია სიყვარულისათვის თავი გასწიროს.

სიყვარულის დროს ადამიანი ერთი მთლიანი არსება უნდა გახდეს მხოლოდ ერთ აზრს, ერთ ვინმეს, ერთ არსებას უნდა ემსახურებოდეს. გაორება სიყვარულის საფლავია.

თინა ბოლო დროს ბევრს ჰფიქრობდა. ქალური გუმბანი მსტანფიქვისაქმ ეწეოდა, რადგან იცოდა, რომ მას მოსწონდა მისი წითელი ვიწრო ტუჩები, მოყვანილი თეძოები შავი თვალები და შვილდისარჩევით დაჭიმული გულმკერდი. თინაც მეტ ყურადღებას აქცევდა თავის თავს-ტუჩებზე წითელ ფერს ისევე, ცხვირზე და ნიკაპზე პუდრს იყრიდა და ამჩნევდა, რომ თვალები გაეარსკვლავებული ჰქონდა.

სამსახურის დამთავრების შემდეგ თინამ ქალაქები უჯრებში შეინახა, მანქანას ხუფი დააფარა, შემდეგ ჩანთიდან პუდრის წასასმელი კოლოფი და პატარა სარკე ამოიღო. შავი თვალწარბით სარკეში ჩაიხედა, ცხვირზე პუდრი წაითხუპნა, ლოყებსა და ნიკაპზედაც გადაუსვა, თმა შეისწორა და კიდემ ჩაიხედა სარკეში. ტუჩები მომუწა და წითელი ფერი ხაზად გაუსვა ვიწრო ტუჩებს. პატარა სარკე მრავალ გზის შემოავლო სახეს და ყველა ნაწილი სათითაოდ დაათვალიერა. ყურზე ჩამოკიდებული თმის ღეროები გადასწია და შეკულულეზულ თმაში გძელი თითები ჩაურთო.

კოპწია ტუჩები ეხლა ტყუპი მარწყვივით წამოზიდულიყვნენ წინ. შავი თვალები თეთრი შუბლის ქვეშ ელაედენ და წერილ ისრებად დაშვებული წამწმები უპკებში ჩრდილს აყენებდენ.

შაპო დაიხურა. წამოდგა. ჰქედა ტანისამოსის კალთები თეძოებს შემოეხვია და ვიწრო წელის ზევით გულმკერდი წინ წამოზიდული ბუჩქივით გადმოეკიდა. იცოდა რომ მას მატაფივეი უცდიდა. თითქმის ყველა მოსამსახურენი წასულიყვნენ. ოთახის კარი გამოიხურა და დერეფანში გავიდა ის-იყო კიბეზე უნდა დაშვებულიყო, რომ შეუძმინველად წინ გალაქტიონი დაჰხვდა. მოულოდნელობისაგან თუ სხვა მიზეზით, თინა შეკრთა, ერთ ადგილს ხელნაკრავით შეჩერდა და ნაბიჯი უკან გადადგა.

—თქვენ, ბატონო გალაქტიონ?

—დიად, ქალბატონო თინა, რატომ განცვიფრდით? როგორ ბრძანდებით? რამდენი ხანია არ შეგხვედრივართ!

გალაქტიონი უმზერდა თინას და ამჩნევდა, თუ როგორ დაქალბებულიყო ის სოფლიდან ჩამოსვლის შემდეგ. ეხლა დიდი განსხვავება იყო იმ თინას შორის, რომელიც სოფელში ფეხშიშველი ცხვრებს დასდევდა და იმ თინას შორის, რომელიც მის წინ იდგა. ეხლა ქალაქური ელფერი ეღო მას. გამოხედვაც და მიმოხვრაც ისეთი ჰქონდა, რომ ყოველი ვაეკაცის ყურადღებას მიიზიდავდა. თითქო ამალღებულიყოს და თეძოებიც

მწყობრი გამხდარიყოს, რაც წინად გალაქტიონს არ ჰქონდა შემჩნეული.

— მართლა დიდი ხანია რაც ერთმანეთს აღარ შეგხვედრივართ—უთხრა თინამ.

— დიად! სავსებით დამივიწყეთ!

— არა! რატომ ჰფიქრობთ, გალაქტიონ?

გალაქტიონმა პირი გაალო რალაც უნდა ეთქვა, მაგრამ გაღივიტრ და კიბის საფეხურს ჩაჰყვა. გვერდით თინა მისდევდა სდუმდა გალაქტიონი და თანაც არაფერს ამბობდა. სათქმელი ბევრი ჰქონდა, მაგრამ ყელში ეხირებოდა და წარმოთქმა უძნელდებოდა.

კიბე უკვე ჩაიარეს და გასაველ კარებთან შეჩერდნენ. ამ დროს ზევიდან მომავალი მატაფიევი შეამჩნიეს, გამალბებით რომ მიეშურებოდა კიბეზე. მათთან მივიდა. ორივეს ჩამოართვა ხელი. გალაქტიონს რალაც ჰკითხა საშახურის შესახებ, პორტფელი ილღიაში ამოიღო, კარი გაალო და თინას გასელა შესთავაზა.

გარეთ გავიდნენ. ორიოდ კიბის საფეხური კიდევ ჩაიარეს და ფილაქანზე შეჩერდნენ. თინას გული გამალბებით უძგეროდა. პირისახეზე- მკრთალი ფერი გადაჰკროდა. გალაქტიონი გარინდული იდგა. მატაფიევმა კი ლალად დაუქნია ხელი მეორე მხარეს მდგომ შოფერს. ავტომობილი მყისვე მოტრიალდა და მათ წინ გაჩერდა.

— გთხოვთ, ამხანაგო თინა, შინამდე გაგაცილებთ. თქვენც, ამხანაგო გალაქტიონ! — შესთავაზა მატაფიევმა.

გმადლობთ, ამხანაგო, ბოდიშს ეიხდი. მე აქეთ უნდა წავიდე. — უპასუხა გალაქტიონმა.

მატაფიევმა თინას ხელი მოსდო მკლავში და ავტომობილში ჩასვა. თვითონაც გვერდით მოუჯდა. ავტომობილი ჯერ ერთ ადგილზე აქოთქოთდა კრუხივით, მერე ერთბაშად მოსწყდა ადგილს, სველ ქუჩას ორი ზოლი გააელო და იქვე მოსახვევში შეუხვია.

17.

დიდხანს იდგა ერთ ადგილს უძრავად გალაქტიონი ავტომობილის მიერ დატოვებულ დახლაქნილ ზოლს უცქეროდა. შეკუმხნული წარბებით დიდხანს იყო გაშტერებული. მერე მოდუნებული სხეულით და მძიმე ფეხებით, თითქო ზედ ლოდები ჰკიდიოთ, ფილაქანს გაჰყვა.

ისე მიდიოდა როგორც შინ ბრუნდებიან ძვირფასი ცხედრის დაკრძალვის შემდეგ. მერე რა მოხდა? თინა მატაფიევს ავტომობილში გაჰყვა მერე, რატომ თრთის და ცახცახებს მთელის სხეულით? რატომ წმუის გული? არაფერი, საიმისო, არაფერიც არ მომხდარა! რა ვუყოთ მერე! ეს ხომ ჩვეულებრივი თავაზიანობაა მხოლოდ! — ასე ამბობს გონების ერთი ნაწილი. მაგრამ გული მაინც გრძნობს ტკივილებს და კინემატოგოფის სურათივით ეხატება თინა, ავტომობილი, მატაფიევი და სველ ქუჩაზე დატოვებული დახლაქნილი ზოლი... ჩეარვიით მოდუნებული, ფიჭვებით დამძიმებული მილასლასებს ფილაქანზე.

მაშა-დავითის მთა ნისლით მობურულა, რუსთაველის პროსპექტი მოლუ-შულია. მოხუშულია გალაქტიონის სახეც და უნდა გულს მოწოლილი კაეშანი მოიშოროს აჩქარებით მიდის. სარდაფში მუდამ ხმაურია, სიმღერა, გაძახილი. საკმელების ოხზივარი, და იქ, ამ აურ-ზაურში შეიძლება პატარა ხნით თავდა-ვიწყება და გალაქტიონიც იქით მიეშურება.

ფილაქანიდან სარდაფში დაშვებულ ქვის განიერ კიბეს ჩაივლის. კიბის გვერდით, იქვე დაზგასთან, ჩარჩოიანი მინები დაფარულ საკმელებს დააცქერდენ-

ბა. ცხერის მსუქანი ბარკალი. რომელსაც ქონის ზოლი დანით იქვე დასერილი დიდ ჯამში ჩაყრილი უკვე დამზადებული ბასთურმა, სუკების ველები ნაჭრები იქვე გვერდით წვანილსა და წითელ ბოლოვში გახვეული სუნელები, მობარშული დედლები, რომელათც ჯერ ისევ ოღშივარი ასდით, შემწვარი ვარიები, ღრმა მათლაფაში ინდოურის საცივი, მობარშული თევზი, ცოცხალი და სხვა, საკმელები გალაქტიონის თვალში აიბნევა, გემოვნებას მოჰგვრის გვერდს აუელის და დაბალ თაღებთან დარბაზს ნაპირნაპირ გაჰყვება.

ერთმანეთზე მიყოლებულ მაგიდებზე წახრილი ზურგები, ფარეშების სირბილი, საუბარი, გაძახილი, პატივი, საკმელების და სარდაფის სუნი უკვე აღი, ზიანებს მას და სხვა გეზით მიჰპართავს მის ფეხებს. აკვირდება მაგიდების გარშემო მსხდარ პირებს და ნაცნობს ვერავის ამჩნევს. ეძებს ცარიელ მაგიდას.

ნახევრად ბნელ სარდაფს თვალი უკვე შეეჩეია და ახლა გარკვევით შეიძლება ყოველი საგნის დანახვა. მაგიდებზე ჯერ კიდევ ღვინით სავსე ბოთლები და სუფთა ქიჭები სდგას. მწვანელი, ყველი, დაჭრილი პური და საუზმის პატარა თევზები ჯერ კიდევ მწკრივად გაყოლებულია სუფრის ნაპირას. პაპიროსის ბოლით და ღვინის სუნით ჰაერი ჯერ არ არის გაელენთილი უცბად თავის სახელს გაიგონებს მიბრუნდება და კედელთან განმარტოებულ მაგიდასთან ნაცნობის სახეს მოჰკრავს თვალს. ერთი წუთით დააქვრდება.

— მოდი კაცო აქ, ვეღარ მიცანი თუ?— მიმართავს ნაცნობი.

— ოპ. ნიკო, შენა ხარ?— მოლიმარი სახით შეეკითხება გალაქტიონი და მის პირდაპირ ჩამოჯდება სკამზე.

— სად ხარ, ამდენხანს არსად შემხვედრიხარ!— ეუბნება ნაცნობი.

ნიკო ნალიქაძე ძველი პარტიული მომუშავე იყო. გალაქტიონი მას თავიდანვე იცნობდა და პატივს ცემდა იმიტომ რომ ის სხვებისაგან განსხვავდა არ იყო, კარიერას არ მისდევდა. ჩუმი და წყნარი „პარტიის თავუნასავით“ არა-ლეგალურ მუშაობას შეჩვეული— ვერ სძლებდა უსაქმოდ, არ კმაყოფილდებოდა როცა სახელმწიფოებრივი ლეგალური მუშაობა დააკისრეს. წარსული ბრძოლებისაგან ის მეტი ნაყოფის მიღებას მოელოდა და როცა „დემოკრატიული რესპუბლიკით“ შემოიფარგლა ყველაფერი, როცა კარიერიზმით გატაცებული ამხანაგები სამინისტროებში თბილ ალაგებზე მოკალათდნენ და ამით დაკმაყოფილდნენ, ის გაოცებით კითხულობდა: ნუ თუ ეს არის ყველაფერი? ამის გამო მას ბალშევიკს უძახოდნენ, ხოლო თვითონ კი ბოლშევიკებს არა თუ არ სცნობდა, მათ წინააღმდეგ გააფრთხილებითაც იბრძოდა. გვარდიის შტაბში მუშაობდა და ამ მუშაობას ის ძველი არალეგალური მუშაობის გაგძელებად სთვლიდა.

— ჯერ სოფელში ვიყავი, მერე დატუსაღებული, ეხლა კი აქა ვარ და ვმსახურებ.— უპასუხა გალაქტიონმა, იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას და ნიკოს თვალებში შეჰხედა.

— დატუსაღებული იყავი კიდევ?

— ჰო, სოფელში დამიჭირეს ახალგაზრდა კომუნისტებმა.

— ეხლა მსახურობ?

— ჰო, ნარკომპროდში. რა ჰქენი შენ, სადილი გაათავე, თუ? რატომ არის ეს მაგიდა ასე სუფთა?,

— არა! მეც ეს არის ეხლა ჩამოვედი! ამხანაგო, ამხანაგო! — გასახანა ნიკომ შიშველ ფარეშს — შოდი ერთი, თუ ძმა ხარ, მოგვიტანე რამე! ღოში ზომ გაქვით? მაშ, ორი ღოში, ორი ხარჩო, ერთი ბოთლი ღვინო. ხომ თანახმა ხარ? — გალაქტიონ?

— კი, კი! კარგია!

— ერთი სულგუნიც მოაყოლე თან! აბა, ჩქარა თუ ძმა ხარ! — ფარეში სირბილით წავიდა სამხარეულოსკენ.

ახლა შენ მითხარი, როგორა ხარ რას აკეთებ! — მიმართა გალაქტიონმა ნიკოს.

— მე? — შეეკითხა თავის მხრივ ნიკო, თითქო ისეთმა შეკითხვამ გააკვირა — ისევ ძველ მუშაობას მივდექ.

— ესე იგი?

— ძველ არალეგალურ მუშაობას.

— ბოლშევიკების წინააღმდეგ?

— მოიცა, ცოტა ჩუმაღ ვილაპარაკოთ. ხომ იცი, ჩეკისტებით საესეა აქა-ურობა — სთქვა ნიკომ დაბალი ხმით.

— ჰო, შენ ისევ ძველი კონსპირატორი ხარ, ისევ შენს სტიქიას მისცე-მიხარ.

— მაშ რა უნდა ექნათ აბა! მაგათი დღე დათვლილია, საზღვარგარეთი-დან ითვლენინებთან, ისევ მალე დაებრუნდებიან... უნდა გითხრა, რომ მათი იმედი მე ნაკლებად მაქვს, ნამდვილი მუშაობა ბოლშევიკების წინააღმდეგ ჩვენ აქ უნდა ვაწარმოოთ.

ფარეშმა მაგიდაზე ორი თეფში, წვანილი, ყველი, პური, ღოში და ხარჩო გააწყო. გადაფარებულ თეთრ ქაღალდზე სველი ბოთლის რგვალი ხაზი აინიშნა და წითელი ღვინის წვეთები სუფრაზე გაიყვინტა.

— მუშაობა უკვე მიდის? — ჩუმი ხმით შეეკითხა გალაქტიონი როცა ფარეში წავიდა.

— მიდის რომელია! გახურებული მუშაობაა იქიდან ღირეპტივები უკვე მიღებულია.

— მერე? მერე? — გაბრუებული, ამბით დაბნეული ერთ წერტილს მიშტერებული ჰკითხავდა გალაქტიონი.

— მერე, ის რომ მთელი საქართველო ჩაბმულია საქმეში...

— მერე, მერე? — კვლავ ჰკითხავდა გალაქტიონი და წერტილს თვალს არ აშორებდა.

— მერე ის, რომ ყველამ უნდა ვიმუშაოთ. ინტერპარტიული კომიტეტი უკვე დაარსებულია და მთელ საქართველოში კავშირი აქვს გაბმული. დალიე კაცო, რას გაშტერებულხარ!

ეხლავა გამოერკვა ფიქრებისაგან გალაქტიონი თითქო ეხლავა მისწვდა იმ თოქს, მას რომ შექმნილ მდგომარეობისგან იხსნიდა, მის ცხოვრებას რომ სხვა გზით მიმართავდა. აღარც თინა, აღარც მატაფიევი! მოშორდება ამ პირობებს, მოსცილდება თინასაც. შორს სიყვარული! თინა ისეთივე ქალია, როგორც მრავალი სხვა ათასი! თინამ არ იცის ადამიანის დაფასება. თინა შეზღუ-

დღულია. მას მხოლოდ მაძლარი და ჩაცმული ქმარი უნდა და მეტი არაფერი მაშ გაჰყვეს ამ გზას!—გაიძახოდა ბრახმორეული, ათრთოლებული გალაქტიონი, საესე კიქას ხელი წააელო, ერთი სუნთქვით დასცალა და სულწაბნი მაგრად დაარტყა. მერე ნიკოს შეჰხედა. ეხლა ისე დაინახა იგი როგორც მასზე უფრო მალლა მდგარი. შეჰშურდა მისი მთლიანი ბუნება, რომელიც მუდამ ერთი რამით იყო გატაცებული, რომელიც მუდამ პარტიულ მუშაობაზე ჰფიქრობდა, მისი სულისთქმით სცხოვრობდა, მისი ლხინით ხარობდა და მისი ქირით ნაღვლობდა.

— მერე, მერე?—თითქო თავის აზრების განმტკიცების საბუთებს სთხოვდა გალაქტიონი.

ნიკოც ატყობინებდა მას მუშაობის გეგმას და მიღებულ გეზს.

— დავლიოთ კაცო რას დადუმებულხარ, რა დაგემართა! გაუმარჯოს ჩვენს საქმეს!—სთქვა ნიკომ. კიქა კიქას მიჰკრა, ღვინო დააქცია და ფარეშს მეორე ბოთლი მოსთხოვა.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!—გაიმეორა შეზარხოშებულმა გალაქტიონმა და კიქა დასცალა. უღვაშებზე ხელი მოისვა და მიძიმედ მიეყუდა სკამის ზურგს.

— შენც ხომ იმუშავებ?—შეეკითხა ნიკო.

— ვნახოთ, ვნახოთ... ესე იგი, პო, უსათუოდ უსათუოდ!..

კუთხიდან მრავალგამიერის სიმღერა გაისმა ბურღვისაგით დახლანილი პირველი ხმა ცივად შეიქრა პაპიროსის ბოლით და ღვინის სუნით უკვე გაქლენთილ პაერში. ჯერ თალიან კერთან შეჩერდა და მერე აქეთ იქით გაიფანტა. აირველ ხმას ბანი დაედევნა, კუთხეებში გაიქედა და მთელი დარბაზი მოიცვა, პათრთოლა, მეორე ხმა პირველსა და ბანს შუა შეიქრა ერთმანეთში მრავალი ხმა აირია, შეერთდა. ერთმანეთის წაქეზებით აღფრებული ყულები დაქიმული ძარღვებით, სკამებზე მიბჯენილი ზურგებით ხმებს მალლა სწევდენ და დარბაზს აზანზარებდენ.

სხვადასხვა სუფრებზე მსხდარნი თითქო გათამამდენ, თითქო გამოცოცხლდენ. ღვინით შეზარხოშებულთ ძარღვი აუთამაშდათ და სისხლმაც მეტი სიჩქარით იწყო დენა. შეტორტმანდა, გამხაარულდა დარბაზი.

(შემდეგი იქნება)



არსენა მარაბული

თ ა ვ ი მ ე თ თ რ მ ე ტ ე *

უსისხლო სახელი

არ აშენდების ლამისგან ბირთვის-სამ-
შვილდის ციხენი.

ვგ ვნები დაიმოკლეთ.

ვგ ხანჯლები დაიგრძელეთ.

არსენას ნათქვამი.

არსენამ მეორჯელ ვაახილა თვალები და გაოცდა: მას ისეე გაახსენდა ყველაფერი, მაგრამ თავის ახალი სამყორფელი ვერ იცნო. ბნელი სარდაფის მაგიერ ეხლა სუფთა ოთახში იწვა და თავთ მოლიმარე მაგდანა ედგა.

— სადა ვარ, ძალო:—დაბალი ხმით ჰკითხა მარაბდელმა.

— ახალციხის მახლობლად. სოფელ უდეში, ბარიკალაშვილის სახლში.— მიუგო ნაქვრივალმა.—ახალციხეს ფათერაკი მოგველოდა. გიგოლამ რალაც გაიგო, მაგრამ თამარაშვილმა დროზე აგვაცდინა და აქ გადმოგვიყვანა.

— ხოსიტა სადღაა?

— აგერ შენს გვერდით.

არსენამ მიიხედა და იენგიჩარის მოლიმარე წვერულვამს წააწყდა.

— გამარჯვება, არსენ.—მხნელ გადმოსძახა ხოსიტამ.

— გაგიმარჯოს, ხოსიტავ.—მიუგო მარაბდელმა.

— სუ, იუჟიეთ!—ჩაერია მაგდანა.—ეკიმმა ლაპარაკის ყადაღა დეგადოთ.

— თუ გინდ დავმუნჯდები, ძალო, მაგრამ ჯერ გამაგებინე, სხვები სადღა არიან.

— ყველანი აქა ვართ. სუყველანი კარგად არიან. მარტო კარპიჩა, სიმონა და ჰასანა გეაკლია. თათრის ჯარს ვაპყოლიან და სათათრეთში გადასულან.

— მაშ გადაარჩენილან. დიდება შენდა უფალო! ეხლა ფიქრია, მარინე და ჩემი დათუნა მაჩვენეთ.

— არ იქნების. იუჟიე მეთქი და თვალებიც დახუჭე.

არსენამ მორჩილებით გაკმინდა ხმა და თვალებიც მილულა.

* გავრდ. იბ. „მნათობი“. №№ 1—2, 3—4.

იმ დღიდან მარაბდელი და ხოსიტა გურგენიძე ისე სწრაფად ბრუნდებოდნენ ამ ქვეყანას, როგორც დილა ბნელ ღამეს. ექიმი ანტონი დროვამოშვიტით ამოდიოდა, ჭრილობებს უხვევდა, ახალციხიდან ახალი ამბენამდე ამოქონდა, ყველას ამხნევებდა და უკანვე ბრუნდებოდა.

ერთ საღამოს ექიმი თამარაშვილი სამარიდან ამოსულ არსენას ეუბნებოდა:

— ენგლიზიდან შენი წერილის პასუხი მოვიდა. იქაურ კათოლიკეთა ერთ-ერთ მოძღვარს რუსტამი მოუძებნია და შენი მინაწერი წერილი ჩაუბარებია. ორიოდე კვირის შემდეგ ხელახლა მისულა და ასეთი პასუხი მიუღია: მთელი ლონდონი გადავაბრუნე და ქართულის მკოდნე ვერ ვიპოვე, მე კი ერთი სიტყვაც აღმრ მახსოვსო.

— რას ამბობ, ანტონ! აბა რა დასაჯერებელია, რომ იმ ქვეყანაში ქართული არ იკოდნენ!

— აგრეა, ჩემო არსენ.— ლიმილით მიუგო ანტონმა.— მე აღრევე ვიცოდი, რომ ქართულის მკოდნეს ვერ იპოვნიდნენ და ამიტომ შენი წერილი ლათინურად ვთარგმნე და გავუგზავნე. იმ მოძღვარს ის თარგმანი მაშინლა ჩაუბარებია, როცა ხელმოკრედ მისულა. რუსტამმა წააკითხვინა, ბევრი იცინა და იკითხა: ნუ თუ რუსებმა საქართველოში აქამდე ერთი საგიყეთიც ვერ ააშენესო!

— რაო! საგიყეთიო!— ამოიხრიალა მარაბდელმა.— მაშ მე გიყი ვგონივარ!

— ნუ აღელდი. რუსტამს უხუმრია. შენი წერილი მეც ხუმრობა მეგონა. მშვიდობით იყავი. — მიუგო ექიმმა და გავიდა. არსენამ კი თვლიდან ბრაზის ერთი კურცხალი მოიხოცა და ზირბიდის კლდესავით ჩაფიქრდა.

ვაგლახ არსენა მარაბდელი! ნაპოლეონის ნამეგობრალს გიყი ჰგონიხარ, ანტონ თამარაშვილს კი— მასხარა. ორივე „დიდი კაცია“, ორივე განათლებულია, ნასწავლი, ნავალი და ჭკვიანი. შენ შენი გლეხური ნაზრევი წრფელი გულით გადაუშალე მათ და თავდაბალი დარიგება სთხოვე, ისე სთხოვე, როგორც მორცხვი შეგიარდი სთხოვს ხოლმე დიდ ოსტატს, ხოლო მათ შენს გულის ნადებს აღმაცურათ გადმოხედეს და უკმეხად ჩაიციენ. შენ შენი საკუთარი თავი დაიწუნე და ახალი შეთაურის პოვნა მოისურვე, ხოლო ამიერიდან გეცოდინება, რომ უდროოდ დაწყებულ საქმეს შენ თითონ უნდა გამოემათეადაც და მკლავადაც.

ეცოდინება, მაგრამ როსტომის და ანტონის სიცილი გულნატკენ მარაბდელს მაინც შხამივით ჩაუწვეთდა, თვითმჯერობა მოუდუნა, რწმენა შეურყია. იქნება მარაბდელი მართლა სასაცილო ლანდს დაედგენა? იქნება მართლა „არუქმნელი არ იქნების“? იქნება ომელაშვილი მართლა ლამობდეს ეს ცხოვრება ყირაშალა დააყენოს და მკლავის მაგივრობა თავს გააწვეინოს და ტვინის საქმე კი მკლავს დააკისროს?

— „თუ აგრეა, მართლა სასაცილო ვინმე ვყოფილვარ. პოლოლო მაშინ ჩემ საქმესა! მაგრამ თუ ამ საქმემ სხვა ქვეყანაში იხეირა, რატომ ჩვენში არ უნდა იხეიროს! თუმცა აბა რა დასაჯერებელია, რომ ცნო ხალხმა ბატონყმობა მოსპოს და ჩვენში კი იგი უკვდავად დარჩეს? რა თქმა უნდა დაუჯერებელია! არ შეიძლებს! არ იქნების!

დღე დღეს მისდევდა და კვირას კვირა. მაიორი ახალციხეში იჯდა და მესხეთს სკდიდა. მან ათასი ჭანგი, ამდენივე თვალი და ყური ~~გამოძახა და~~ ლამობდა ყოველ სოფელსა და ყოველ ოჯახში ჩაეხედა, ყოველს ~~საქვას~~ მესხი გაეჩხრიკა, დაეჭირა და მოეშთო ან ოსმალეთში გაეძევებინა. კრაზანას ბუდე უკვე იშლებოდა. ლტოლვილი ქართველები, მთიელები და თათრები ათასობით გადადიოდნენ ხონთქრის სამფლობელოში, ხოლო იქიდან სომხები მოდიოდნენ და მათს ნაბუღარში სხდებოდნენ.

ძმანაფიცებმა უდემიც იშოვეს საქმე და ლუკმა პური, მაგრამ ხიფათი იქაც აკოცდა, ძმანაფიცებს ჩაუსახლდა და არსენა საფიქრებელს მისცა. უკვე შემოდგომა მოდიოდა და მთელი რაზმის თავმოყრა და ისევ ტყეში გასვლა ძნელიც იყო და დაგვიანებულიც. ამიტომ ოძელაშვილს ერჩივნა რაზმი დაეჭუტმაყბინა და გაზაფხულამდე მოეცადა. ხოსიტამ აზრი მოუწონა და ურჩია ძმანაფიცები მალე დაეფანტა.

ერთ ბნელ ღამეს ყველამ არსენას ოთახში მოიყარა თავი. ბელადი ტახტზე იწვა და ძმანაფიცებს ესაუბრებოდა. უცებ გარეთ ძაღლის ყეფა მოისმა და მცირე ხნის შემდეგ როსტომმა ოთახში სამი დაკარგული ძმა შეშოაპარა.

— ჰასანი! კარპი! სიმონა! — წამოიძახეს ძმანაფიცებმა და წამოიშალნენ.

— იაშასუნ, ყარდაშლარ! — დაიძახა ჰასანმაც, მწოლარე მარაბდელს მოეხვია და მის განიერ მკერდზე კატასავით გამოჩნდა, რომელიც ლომს უაღერსებდა.

— კაცო, ეგ რა მოგვლია? — მიიძახა კარპიმაც და კოჭლობით მივიარდა ბელადს. სიმონა ფეხებთან ჩამოუჯდა მას. ახალმოსულებმა უკვე ყველაფერი იცოდნენ: არსენას დაქრაც, ხოსიტას პოენაც და ოსტაპის შემაზრზენი სიკვდილიც. მათ ახალციხეზე გამოეველოთ, ანტონ თამარაშვილი ენახათ და მისგან შეეტყო ეს ამბებიც და რაზმელთა ბინაც. შემდეგ მათ თავიანთი თავგადასავალიც უამბეს.

იმ სისხლიან ღამეს, როცა არსენა და ისინი ერთმანეთს დაშორდნენ, მათ გზა მოუჭრეს რუსებმა და სხვებთან ერთად შიდა ციხეში შერეკეს. მეორე დილას ციხის კარი უნდა გაეღოთ. რა თქმა უნდა მაიორი ქართველებს და მათთან ერთად ჰასანსაც და კარპისაც ჩამოახჩობდა.

— ჩვენ ვიპიკრეტ და ბუნტი ავტეხეტ. — ჩამოართვა სიტყვა დალი ჰასანს კარპიჩამ. — ახმედ პაშა გამოვიდა და გვკიტხა, რა გინდატო.

„ომი გეინდა, ომი!“ შესძახეს ქართველებმა და განწირულმა მთიელებმაც ლტოლვილი ქართველების ბელადმა თეიმურაზ ლორთქიფანიძემ ახმედ ფაშას მათი შეუპოვრობის ნამდვილი მიზეზი გააგებინა და უმაღლე დაითანხმა. ციხეში მრავლად ეწყო ასკერების მუნდირი. ახმედ ფაშამ ამ ხალხს საწყობი გაუხსნა, ოსმალურად გადააცვა, ასკერებში გაურია და მეორე დღეს მათთან ერთად გააპარა. ასე გადაარჩა სამი ძმანაფიცი, მაგრამ —

— ვალაჰ იქ ვერ გავხვლით და ისევ თქონთან გამოვიპარეთ. წყალი წყლისკენ მიდის და ზომბილი ზომბილს ეტებს. — დაასრულა ამბავი ჯუჯა თათარმა.

— ყოლგან კარგია, მაგრამ დუნიაზე ჩონ გურჯისტანს არც ერთი ქოყანა არა სჯობიან.

ერთმანეთის მოკითხვა და ამბების თხრობა რომ გაათავეს, ოძელაშვილმა დაბალი ხმით სთქვა:

— მშვიდობაში თქვენი გადარჩენაც და დაბრუნებაც, ვერცხლს მხარგრძობენ ფათერაკი გვეპარება და დღესვე უნდა ვილონოთ რაზე, თორე გვიანლა იქნება.—თავის გეგმა მოკლედ გადმოუწალა და დაასრულა:—სთქვით, ძებო, დაერჩეთ თუ დაევიწაღნეთ!

ძმადნათეცებმა ხანგრძლივ იყუჩეს. შემდეგ ჰასანმა ამოიოხრა და სთქვა: %

— ვალაჰ ზალიან მინდა მუდამ შენთან ვიყო, მაგრამ ჩვეიანი სიტყვა სთქვი და სჯობინ სავიდ-სამოვიდეთ.

— როცა წამოვდგები, მე ჩემი ცოლშვილით ისევ ჩემს მინგრეულ ქობს დავებრუნდები ქვიშხეთში.—სთქვა ხოსიტამ და მაგდანას და ზურას გადაჰხედა.

— მე ისევ ახალდაბაში დავებრუნდები.—ავი ღიმილით დაუმატა სიმონამ.—სუმბათაშვილი უნდა მოვიკითხო და სევასტი და მეშთაც მარტო დარჩენ და მეცოდებიან.

— შენ სადლა წახვალ, რუსო?—ჰკითხა მარაბდეღმა კარბიჩას.

— მე შენს იკიტ გზა არა მაქვს. მე უცხოეთში ვარ და ამიტომ...

— მაშ დარჩი.—ჩაუქნია თავი ოძელაშვილმა.—სულხანიც და ფიქრიაც აქ დარჩებიან, მე მომივილიან და მარინესაც უშველიან. მერმე სადმე სხვაგან გადავალთ და თქვენც შეგატყობინებთ.—ერეკლე კი ისევ მარაბდაში დაბრუნდება. ღვთისაგარი იბარებს. შენ რალას აპირებ, როსტომ?

— მენა? მეც ჯერ აქ დაეჩრები.—მიუგო მან და გაწითლდა.

— ყველა მიუხედა. ჯორჯიაშვილი იმიტომ რჩებოდა, რომ აგერ იქ, მეორე ოთახში, აქარელი ქალი იწვა, როსტომმა რომ გადაარჩინა ახალციხეში. მას აქეთ როსტომს ის ქალი ერთხელაც აღარ ენახა და იმ ოთახს მაინც ნიადაგ გარშემო უვლიდა, როგორც ვეფხი ფარებს, და თავის ქამს უცდიდა. როსტომმა არ იცოდა, უცდიდა თუ არა მას ის ქალიც, ვისაც თავის მხსნელი ვაფი ჯერ ერთხელაც არ ენახა. მაგრამ არა უშავსრა, როსტომი ჯორჯიაშვილის „გორისა“ და ბირთვისის ციხესავით მომთმენი და შეუპოვარი. არა, როსტომი არსად არ წავა და თავის დასთან, სიძესთან და ნაპოვარ საბედლოსთან დარჩება და ეტყვის მას, უკვე განკურნებულ ნაზიმეს: „შენ დახოცილებში ეგდე და სისხლით იცლებოდი. ყოველმხრივ ტყვია ზუზუნებდა, მე იმ ეზოში გავვარდი, აი ამ მკლავებზე ავიგდე და ექიმს ჩავაბარე“. როსტომი ამაზე მეტს არაფერს არ ეტყვის თუმცა—ამასაც არ ეტყვის, რადგან ფიქრიამ და მაგდანამ ალბათ უკვე უთხრეს მას ყველაფერი: მერმე კი რაც მოხდება, მოხდეს.

— მაშ დარჩი—მორცხვად მიუგო არსენამ, რომელმაც უკვე იცოდა მისი გულის ტკივილი.—ჰასან, შენ რალას იტყვი?

— მე ისევ გორულის კოშკში სავალ.—თეთრად გაუღიმა თათარმა.—გურჯისტანში ბორჩალოზე უკეთესი ქოყანა არ არის.

— მაშ აგრე. დაუდასტურა მარაბდეღმა.—ხვალ დილითვე გაუდგით გზას და ღმერთმა კეთილი მგზავრობა მოგცესთ, ჩემზე კი ნუ იღარდებთ. მეც მალე წამოვდგები და წამოვალ.

ყველას სწორედ იმ ღამეს გაახსენდა თავის სათქმელი. ყველამ პირი მოუშვა და მაშინლა გაჩუმდნენ, როცა მამალმა მეორჯელ იყვილა: *მეგდნამ! კრიერაჟე* გააღვიძა. პირში თითო ლუკმა ჩაიდეს, თითო არაყი გუნდაშკრესს! გუნდა-ნაბადი აიკიდეს, დარჩენილ ძმად ნაფიცებს პირმოღუშულნი გამოეთხოვნენ და დასჯილ ბალღებზეთ წამოვიდნენ. ენანებოდათ ურთიერთის გაყრა, დარჩენილი ბელადი, დობილები და რაზმის დროებითი დაშლა. მაგრამ მეტი გზა აღარ იყო და გულის ტკივილით დაიშალნენ.

ორიოდე კვირის შემდეგ არსენას ბინას რამდენიმე აქარელი და ათიოდე მესხი მიადგა. არსენა და ხოსიტა აივანზე ისხდნენ. სტუმრებს როსტომი მიეგება და აივანზე მიიპატიჟა. პირველი სალამის და სიტყვაპასუხის შემდეგ ერთ-მა მათგანმა სთქვა:

— ეფენდი არსენ, ჩონი ქალი ნაზიმე აქ ყოფილა და უნდა წაიყვანოთ.

არსენამ როსტომს აპხედა. ჯორჯიაშილი კედელს მიეყუდა და იმავე კედელივით გაფითრდა. მარაბდელმა შუბლი შეიკრა, იყუჩა და ახალმოსულების თავკაცს როსტომზე მიუთითა:

— ის ქალი აი ამან გადაარჩინა.

— ვიცი.—მიუგო მან.—ახალციხელმა აქიმბაშმა მითხრა. ჩონ უმადური ხალხი არა ვართ.

— ვინა ბრძანდებით თქვენ?—ჩაურთო ხოსიტამ.

— ნაზიმეს ბიძა გახლავართ. ეს ოთხი ვაჟი კი ჩემი შვილები არიან.

— კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, მაგრამ...—არსენამ ერთხელ კიდევ აპხედა როსტომს და განაგრძო:—მაგრამ ის ქალი ამ ვაჟს ეკუთვნის და... და ამას უნდა მიათხოვოთ. ყალიმსაც ბლომად მოგცემთ—ფულადაც და საქონლითაც.

ნაზიმეს ბიძა ზეზე აიჭრა და მისი მხლებლებიც წამოიკვიდნენ.

— მუსლიმანი ქალი ქრისტიანს მიეცე? არ ყოფილა და არც იქნება!—მტკიცე ხმით განაცხადა მან და დაუმატა: ჩონი ნაზიმე მაჩვენეთ.

მაგდანა ნაზიმეს ბიძას ქალების ოთახში შეუძღვა. მოხუცი მალე გამოვიდა და მცირე ხნის შემდეგ იმ ოთახიდან შავებით შესუდრული ქალიც ლასლასით გამოჰყვა. მას ფიქრია, მარინე და მაგდანა მოსდევდნენ. ახალმოსულები გამზიარულდნენ, ალაპარაკდნენ და ათას მადლობას უძღვნიდნენ სამ ქალს, არსენას და როსტომს. ჯორჯიაშილი ქირისუფალივით იდგა, რომელმაც ეს-არის ეხლა ჩაუშვა სამარეში თავისი პირველი სიყვარული. ყველას რომ გამოეთხოვნენ, ნაზიმე ჯერ არსენას დაეკონა ხელზე და მერმე ხოსიტას დააკვდა. უკანასკნელმა ენგჩარმა თვალიდან კურცხალი მოიხოცა და უკანასკნელ მებრძოლ ქალს მამა-შვილურად მოუაღერსა.

უცებ ნაზიმემ როსტომისკენ გაიწია, მაგრამ მოხუცმა ბიძამ ხელი სტაცა, უკანვე გააბრუნა და თითქმის ძალით ჩაიყვანა კიბეზე. ნაზიმე უხმოდ ქვითი-ნებდა შავ საბურავში. ქალებიც ტირილით მისდევდნენ.

აბაშიძის ქალი ცხენზე შესვეს და წაიყვანეს, ისე წაიყვანეს, რომ ერთხელაც არ მოახედდინეს.

როსტომი ისევ კედელზე იყო მიყუდებული: ქვემო ტუჩი უთრავდა და თვალები ხის წვერზე ჰჭინდა მიბჯენილი. მან მხოლოდ ეხლალა შეამჩნია, რომ

ხელში მიიღე რალაც ეჭირა და გაოცდა, შეკრთა. შემდეგ ნახიმეს ბიძის/ოქრო-
თი გატენილი ქისა შორს მოისროლა, დინჯად დაეშვა კიბეებზე დე. ფლოლიან-
ში მიიმალა.

არსენამ ხოსიტას გადაჰხედა და დაბალი ხმით უთხრა:

— ცოლა.

— ცოლა.—ჩაიბუტბუტა ხოსიტამაც და ღრმად ამოიოხრა.

* * *

ზამთარმა ოდნავ შეანელა ომი, მაგრამ ვერ შესწყვიტა. რუსებმა ხელთ
იგდეს ფოთი, ჯავახეთი, ახალციხე და ყარსი. სანამ პასკევიჩი მესხეთში იბრ-
ძოდა, სომხეთის გამგებელმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ ბაიაზეთის საფაშო დაი-
პყრო, ხოლო გრიბოედოვმა მისი ქალიშვილი ნინო დანიშნა, შემდეგ ახალცი-
ხის მიდამოში დარიგება მიიღო პასკევიჩისგან და სპარსეთის გასაყვლევად და
შესაბოჰად წავიდა. ჩრდილოეთით რუსებმა საბოლოოდ მიანგრეს ანაპა—მთა-
ვარი მოწინავე ციხე ხონტქრისა, მთავარი ბუდე ისლამის მოქადაგეთა და მთა-
ვარი ფორი ქალ-ვაჟების ბაზრობისა.

გაზაფხულზე ოსმალებმა ასი ათასი ჯარისკაცი მოაგროვეს და მოშორე-
ბით დააყენეს, ხოლო უჯარო და იარალაყრილი მესხეთი ერთხელ კიდევ მის-
ცეს პირში ყელამდე ზარბაზნებში ჩამჯდარ მურავიოვს და ვასილ ბებუთოვს,
რომელსაც ხელმარჯვე ოინბაზისავით სამძირიანი ქუდი ეხურა—სამნაირი გვა-
რი ჰქონდა. ბებუთოვი, ბებუთიანიცი, ბებუთიშვილი და წარჩინებულ ქართველ
თავადად ითვლებოდა. მას ისე მიჰყავდა საქმე თითქო მესხების დამშვიდება კი
არ ჰქონდეს აზრად, არამედ მათი მოთმინების ამოშრეტა და აჯანყების გამო-
წვევა. ბოლოს ახმედ ფაშა თითქო მიხედა, რომ ერმოლოვის მიერ დანიშნულ
მოკრებულს სულ სხვა ზრახვა ედო გულში, მიუხედა და... და საწაღელი შეუ-
სრულა: მესხეთი აუჯანყა.

ოცი ათასი ამბოხებული მესხი შარშანდელზე უფრო თავგამოდებით იბრ-
ძოდა. მათ ერთი მოქნევით მოაგლიჯეს პასკევიჩის მძიმე უღელი და რამოდენი-
მე დღეში ხელთ იგდეს დაკარგული სამშობლო. გარდა ახალციხის შუაგულისა.

ქალაქი ერთხელ კიდევ გაეხვია აღსა და ბოლში, ერთხელ კიდევ შეიღება
სისხლით და ერთხელ კიდევ მოიფინა გვამებით და ჩამოხრჩობილთა ხეივნებით.

ახმედ ფაშამ ახალი შუამავალი მოუგზავნა პასკევიჩს და ერთხელ კიდევ
შეეხვეწა: კანონი რუსული, ენა ქართული და რჯული მუსლიმანური. კავკა-
სიის მთავარმართებელს საკუთარი ფორმულა ჰქონდა: რჯული მუსლიმანური,
მაგრამ ენაც რუსული და კანონიცაო. პასკევიჩი მაშინაც კი არ უთმობდა ხიმ-
შიაშვილს, სანამ ორთავიანი არწივი ბორჯომს ვერ გასცილებოდა, და ეხლა
რალად დაუთმობდა როცა მესხეთ-ჯავახეთში ნახევარზე ნაკლები ქართველი
დარჩა და იქაურობაც უკვე ხელთ ეჭირა: რალად დაუთმობდა იარალაყრილსა
და განახევრებულ მესხებს, რომელნიც რუსეთის იმპერატორის ყოველგვარ უფ-
ლების დათმობას სთავაზობდნენ და თავიანთთვის კი თავისუფლების მცირე
ნაწილსა იტოვებდნენ: იტოვებდნენ უფლებას დედაენაზე ელაპარაკათ, დედაე-
ნაზე ეძიათ სამართალი და დედაენაზე ემართნათ მცირე სოფელურ-კუთხური
საქმენი.

გენერალმა ოსტენ საცენმა არ მოიციდა სანამ პასკევიჩი პასუხს ვერსცემდა ხიმშიაშვილს და მის სამშობლო აჭარას შეესია, შემუსრა, დასწავა, ახმედ... ფაშას სამყოფელი ხულოც მიწასთან გაასწორა, მისი სასახლეც ცეცხლს მიჰყენა. მაგრამ დაგვიანებით დაბრუნებულ პატრონს წააწა და უკანვე გამობრუნდა. აჭარლებმა გზები მოუჭრეს, გენერალი უღრანი ტყით შემოსილ აჭარის მთებში შეაგდეს და ძალა გაუნახვევრეს. გენერალმა ძლიერ გადმოლაზა აჭარის ქედი, დაბევილ-დამსხვრეული ჩამოგორდა გურიაში და უნაგირს ეცა: გურულები დაარბია და ქობულეთში შეიჭრა, სადაც განდგომილი სოფიო გურიელისა და მისი ვაჟი ეგულებოდა, მაგრამ აქაც დაშარცხდა: მთავრის მეუღლე ნავში ჩაჯდა, თითების შუა გაუსხლტა და მეორე დღეს უკვე ტრაპიზონის ვალის სტუმრად ითვლებოდა.

ნამგალა მთვარემ ერთხელ კიდევ წამოიწია და ერთხელ კიდევ ჩააგდო საგონებელს იაჯუჯი და მაჯუჯი, აქ დარჩენილი ბაგრატიონები, თავადები და მოწინავენი: ქართველების თვალწინ კვლავ მყინვარივით იყო აყუდებული უძველესი საზრუნავი: ჩრდილოეთი თუ სამხრეთი? მართლმადიდებელი რუსეთი თუ მართლმორწმუნე ისლამი? მესამე გზა-გზა სრული თავისუფლების, გზა დავითის და თამარისა—ექვსი საუკუნის წინათ დაინგრა და მისი კვალიც კი აღარ მოსწანდა. დიდი უმრავლესობისთვის დავა უკვე გადაჭრილი იყო. მან რუსის ხიმტით დაიბრუნა ჯავახეთ-მესხეთი და ეხლა არტანს, აჭარას, ისპირს, თორთუმსა და ლაზისტანს ექიდებოდა.

ექიდებოდა და მადაც ქამაში მოდიოდა.

გზირები და იასაულები ქუჩა-ქუჩა დადიან, ხალხს აგროვებენ და პასკევიჩის ახალ ბრძანებას კითხულობენ: ვინაიდგან ოსმალეთის სულთანი გეომება... რამეთუ ჩვენს სათაყვანებელ იმპერატორს თქვენი ერთგულება უკვე ნაცადი აქვს... და რადგან რჩეულმა თავადაზნაურებმა და მღვდელმთავრებმა მოწინებით სთხოვეს მათს იმპერატორობით უდიდებულესობას, რათა მან საშუალება მისცეს ქართველ ხალხს სისხლით დაუმტკიცოს მას თავის ერთგულება, ამიტომ მე, კავკასიის მთავარმართველი და იმპერატორის ჯარის მთავარსარდალი ვასრულებ უწმინდეს საწადელს და ვბრძანებ: გაწვეულ იქნეს სალაშქროდ ხუთმათაყვანებელი ერთი მოხალისე.

ჯგუფჯგუფად თავმოყრილი ხალხი გაოცებით და აღშფოთებით ისმენდა ამ ბრძანებას და კითხულობდა:

— ეს ხომ სალდათობაა: რუსული სალდათობა?

დიალ, აგრე გახლდათ, ხალხის გეშმა უმაღლე მიაგნო სიმართლეს. ეს მოწოდება ბრძანებას უღრიდა და რუსულ სალდათობის შემოღება მოხერხებულად იყო მიმალული.

სიტყვა „სალდათობა“ მუდამ ბრაზიან ერკოლას იწვევდა საქართველოში. მთავრობა დროდადრო თვითონვე ავრცელებდა საიდუმლოდ ამ სიტყვას რათა გაეგო, დამწიფდა თუ არა გლეხობა და მზად იყო თუ არა იგი ოცდახუთი წელიწადი ემსახურნა საიმპერატორო დროშის ქვეშ და იქვე დაბერებულყო, ან სადმე ცხრა მთის იქით ჩაძაღლებულიყო. გლეხობას კი არ ჰსურდა დამწიფებულიყო და „სალდათობის“ გაგონებაზე უმაღლე თოფ-იარაღში ჯდებოდა, ავად

იღრინებოდა და რამდენჯერმე სისხლიც კი დაღვარა. მაგრამ ამ სიტუციას ორი-
ვე პირი გალესილი ჰქონდა და შუთის მთესიანი მეორე პირს ისევ მთავრობას
უბრუნებდნენ და ეხლაც შეუბრუნეს, შეუბრუნეს რუსის მთავრობასაც და
ქართველ თავად-აზნაურობასაც, რომელიც მას სალდათობის შემოღებაში ეხმარებოდა.

სალდათობა შემოიღეს!—მხას აუწყის მათ და მთელ ქალაქს მოედგნენ.

— ხალხო, თვალი გაახილე, სალდათობა შემოიღეს!

— ხალხო, ხმა ამოიღეთ! ქუდზე კაცი გამოდით!

და ხალხმაც ისეთი ხმა ამოიღო, რომ პასკევიჩის სისახლემ და თავადების ციხე-კოშკებმა ხანზარი დაიწყეს.

რამდენიმე ხნის წინათ ქართველი თავადაზნაურები, ოსმალების გაძლიერებით დაშინებულნი, საზეიმო სხდომაზე შეიკრიბნენ და პასკევიჩს დელეგატები მიუგზავნეს. რათა მას თავადაზნაურთა ხარჯით შეიარაღებული შეიდი-ათასი ქართველი გლეხი მიეღო.

პასკევიჩმა და შტაბის გამგემ მურავიოვმა დელეგატებთან ერთად საიდუმლო სხდომა გამართეს და საბოლოო პასუხი მოსთხოვეს თავადებს: დაგვეხმარებით თუ არა სალდათობა შემოვიღოთ?

მრისხანე ეამი იღგა. პასკევიჩს ორმოცდაორი ათასი სალდათი ჰყავდა, ოსმალებს კი ასი-ათასი და აქაური მუსლიმანების აჯანყების იმედიც ჰქონდათ. მათ ადვილად შეეძლოთ საქართველოში შემოკრილიყვნენ, აზერბეიჯანიც ხელთ ევდოთ, მთელი კავკასია აეშლნათ, სპარსეთიც მიემხროთ და აზოვის, ყირიმის, ასტრახანისა და თურქესტანის დასაბრუნებლად დაძრულიყვნენ. საქართველოს შემუსრავდნენ, საბოლოოდ მოსპობდნენ. მუსლიმანობა მასზე ამოიყრიდა მწვავე ჯავრს იმის გამო, რომ მან დარიალი გაუხსნა იაჯუჯსა და მაჯუჯს, რომ მის წყალობით ოსმალებმა დაჰკარგეს საქართველოს ნახევარი, სომხეთის ნაწილი და ჩრდილოეთი კავკასია, სპარსელებმა კი—საქართველოს მეორე ნახევარი, მათი კუთვნილი ნაწილი სომხეთისა, აზერბეიჯანი და დაღისტანი.

— ეს ანგარიში სრული არ არის.—აშინებდა დელეგატებს მურავიოვი.— ეხლა ჩვენი იმპერატორი სპარსეთის და ოსმალეთის არსებობასაც კი სრულ მოსპობას უქადის. თუ მათ გაიმარჯვეს, საზარლად იძიებენ შურს თქვენზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ქართველ ერს ბოლოს მოუღებენ და მის ხსენებასაც კი გააქრობენ. კეთილშობილნო, ეამი მოვიდა და მტკიცე და პირდაპირი პასუხი უნდა მოგვეთ: გვაძლევთ თუ არა სალდათებს?

თავადებსაც სჯეროდათ, რომ ადვილი შესაძლებელი იყო ქართველ ერს მართლა ბოლო მოჰღებოდა და მათი პასუხიც მტკიცე და პირდაპირი იყო: დიალ, ისინი ზალისით მისცემენ სალდათს, მაგრამ თავადაზნაურობა მთავრობამ ხალხის რისხვისაგან უნდა დაიფაროს.

— არ შეიძლება ყველაფერი ერთბაშად გაკეთდეს... შეუძლებელია აშკარად შემოვიღოთ რუსული სალდათობა... თანდათან... ნელნელა... ჩუმჩუმად... საიდუმლოდ.

— რა თქმა უნდა! რასაკვირველია!—ამშვიდებდნენ მათ პასკევიჩი და მურავიოვი.— თანდათან... ნელნელა... ჩუმჩუმად.

და ხალხის ბელადებიც გულმოდგინედ ცდილობდნენ ჩუმჩუმად ეცხოვრებინათ ხალხი და ჩუმჩუმადვე შოულობდნენ ახალ-ახალ მიწებს, ორდენებს და ჩუმადად მიიწევდნენ ცხოვრების კიბის საფეხურებზე.

იმავე დღეს საღამო ჟამს იმავე დარბაზში სომეხი ეპისკოპოსები, ვაჭრები და თავი კაცებიც ასე ჩურჩულებდნენ:

— თანდათან... ნელნელა... ჩუმჩუმად.

პასკევიჩი და მურავიოვიც წელანდელივით ამშვიდებდნენ მათ:

— რა თქმა უნდა! ჩუმჩუმად... ნელნელა... თანდათან.

და სომეხი ვაჭრები ჩუმჩუმად და აშკარადაც შოულობდნენ იჯარას, სახლებს და „პოჩოტნი ღრეხანინის“ სახელს.

საქმე ჩუმჩუმად კეთდებოდა, დიდი ბაზარი და ახლომახლო ქუჩები კი აშკარად ვაიქედა. ხალხი შატულობდა, დრტვინავდა და ჰკიოდა.

— არ გვინდა! არ გავალთ! სისხლი უნდა დაეღვარათ!

ისმოდა იარაღის ქლარუნი, უშვერი ლანძღვა და მუქარა. რამდენიმე თავდადებული, მღვდელი და მოქალაქე ხალხის დაშოშმინებას ლამობდა, მაგრამ მათ ყოველმხრივ უტყევდნენ:

— თქვენც რუსის მხარე გიჭირავთ? მაშ თქვენც თან გავაყოლებთ!

და მალე გამოაშკარავდა, რომ ისინი მართლა პასკევიჩების მხარეზე იყვნენ და სალდათობას ეხმარებოდნენ, ხალხი კი გაითიშა და თავის გუშინდელ წინამძღოლებს დაუპირდაპირდა. ბოლოს ჭალაქის მარშალი ალექსანდრე ორბელიანი და მომავალი გუბერნატორი „უკუკვიანესი“ ნიკო ფალავანდიშვილი გამოჩნდნენ მათ სხეებზე უფრო მეტი წონა ჰქონდათ და ამიტომ ხალხი მიუყრდა და ყური მიუგდო.

— ხალხო და ჯამაათნო!—დაიძახა სამეფაზე შემდგარმა ალექსანდრემ.— თათარი წამეტან გაძლიერდა და საქრისტიანოს წაღიკას უქადის, თქვენ კი გამოძღვარხართ და ლამის მტერი გაახართ და საქართველო დაღუპოთ. ახლა სხვანაირი დრო დაგვიდგა და ამიტომ ვინძლო უფალ მთავარსარდლის ბრძანებას ურჩობა არ გავუწვიოთ და სალდათი მივცეთ, ვინაიდან...

— არ გვინდა! არ მივცემთ! თავს შეგაკლავთ!—იგრილა ხალხმა.

ალექსანდრემ კვლავ სცადა ელაპარაკა, მაგრამ ზღვა ხალხი ვერ დაიმორჩილა და სკამიდან ჩამოვიდა. რაბან მას ვერ გაუვიდა სიტყვა, დიდ მოხელეს ფალავანდიშვილს ხომ ხმასაც არ ამოაღებინებდნენ. ხალხი ჯგუფუჯგუფად შეიკრა და გამწარებით ყყაყნებდა. აქა-იქ უცნობი კაცები დაძვრებოდნენ და მინელებულ ცეცხლს ნავთს ასხამდნენ. ალექსანდრე ორბელიანი ჯგუფით-ჯგუფში გადადიოდა და ხალხს მუდარით ამშვიდებდა.

არსენა ოძელაშვილი ერთ დღეში იჯდა და შფოთის ძაფებს ჰხლართავდა. მასთან ხშირხშირად მორბოდნენ კარპიჩი, სულხანი, როსტომი, ლოპიანი, გიგუა და სხვა მრავალი. ის ჩუმი ხმით აძლედა განკარგულებას. მის გარდა სხვებიც იძლეოდნენ ბრძანებას. ეს მეორე ტალღა ორბელიანთა უბნიდან მოდიოდა. ფილადელფოს ბერი, შალვა ბარათაშვილი და ლუარსაბ, იაკობ, ასლან, ვახტანგ, ქაიხოსრო და მამუკა ორბელიანები თავიანთ მსახურ აზნაურების, ვლადლებისა და მოურავ-ფარეშების პირით საიდუმლოდ ჰბერავდნენ შფოთს და

უკვე ახალ მთავრობის სიას აღგენდნენ და ამის გამო წინდაწინვე ჩუმობდნენ. არსენამ ჯერ არ იცოდა ვინ ვის შეელოდა, ის თავადებს თუ თავადები მას.

ახეირთებული ხალხი კი ნიადაგ ჰგუგუნებდა:

— ბელადი გვინდა, ბელადი!

ხოლო ბელადი არსად არ მოსჩანდა, კარჩაკეტილში თავმოყრილი ორბელიანები არც თვითონ იყვნენ შემხადებული და ვერცა ჰბედავდნენ, არსენა კი მზადაც იყო და კიდევ გააბედავდა, მაგრამ ქალაქელები არ გააყვებოდნენ და, ვარდა ამისა, ოძელაშვილი „მკედარი იყო“, წესის მიხედვით ის ახალციხის მიწაში უნდა წოლილიყო და მისი გაცოცხლება არეგდარევის მეტს ვერაფერ სახეიროს ვერ გამოიწვევდა.

ზოგჯერ ხალხის განაპირას გრიგოლ ორბელიანის შჩატე სხეული მოსჩანდა და ვერავის ვერ გაეგო, საით ეჭირა მას გეზი, ან ჰქონდა რაიმე გეზი თუ არა.

— მუხრან ბატონი მობრძანდება! გზა მიეცი! დაიძახეს აქეთ-იქით და ხალხი მიწყნარდა.

მოედანზე ცხენოსანთა მოზრდილი რაზმი გამოჩნდა. მას თეთრი ცხენით დიდი მარშალი კონსტანტინე ბაგრატიონ მუხრან ბატონი მოუძლოდა. ერთი გვერდით თავრიზის ამლეები გენერალი გიორგი ქსნის ერისთავი ჰყავდა, მეორე გვერდზე ქართული მილიციის სარდალი ალექსანდრე ქავჭავაძე ედგა, უკან კი ბრწყინვალე ამაღა მოსდევდა. ზოგნი ოქრომკერდით ნაკერი მუნდირებით იყვნენ გამოწყობილი, ზოგს კი მოკრძალებული ჩოხა ეცვა; რიგს უამრავი ჯვარ-ორდენი ეკიდა, რიგს კი თითოოროლაც ძლივს ეშოვნა. რაზმი ნელი ნაბიჯით შევიდა ხალხის შუაგულში და შესდგა. ქავჭავაძე ილიმებოდა, ერისთავი იბღვირებოდა, ბაგრატიონი სწუხდა. მცირე დუმილის შემდეგ მუხრან ბატონმა შინარევი თვალეები მოავლო ირგვლივ, ხელი ასწია და შესძახა:

— ხალხო, ამას რას მოვესწარი?! ქართველი ხალხი მუდამ ემორჩილებოდა თავის მეფესა და ბატონს, ახლა კი აშლილხართ და ეურჩებით. სად გაგონილა! როდის ყოფილა! რა ჩაგიდევით გულში?

— მეფეს არ ვეურჩებით, მაგრამ სალდათს არ მიეცემთ!—დაიძახა ვილაცამ და ხალხმაც უმაღვე იხუვლა:

— არ მიეცემთ! არ გავეალთ! სისხლი დაიდვრება!

მუხრან ბატონი დინჯი ხმით აჯერებდა ხალხს, რომ საქართველოს „ურჯულოსგან“ სამკედრო ხიფათი მოელოდა, რომ მათი მამა-პაპები მუდამ პირნათლად იბრძოდნენ თავიანთი სამშობლოს და ცოლშვილის დასაცავად და ვერც ეხლანდელი თაობა უღალატებს თავის მეფეს, ქრისტეს, ქართულ ვაჟკაცობას და საკუთარ ოჯახს. ხალხი გულდასმით უგდებდა ყურს. მერმე წინამდგომმა ერთმა ჭადარა ხელოსანმა შექადრა:

— დიდო ბატონო, ეხლა ჩვენც მოგვისმინე, შენი კენესა მე. ჩვენ გულში არა გვქონია მეფის ლალატი. ვიცით რა დღევ დაგვადგება თუ თათარმა გვაჯობა. შენი პატივიც ვიცით. უწინაც გვიმსახურნია შენს კარზე და კულავაც გვიმსახურე, მაგრამ... მაგრამ სალდათს მაინც ვერ მოგცემთ. ისევ შენ დაგვიძახებ, შენი კენესა მე, ისევ გვახლებით, უწინდელივით ვიომებთ და მერმე შინ

დავბრუნდებით, ხალდათს კი ვერ მივცემთ, ოცდახუთ წელიწადს ვერ გავწირავთ. ხალხო, მართალს ვამბობ თუ არა?

— მართალია! აგრეთა სწორედ უთქვამს!—ერთხმად იგრძნობდა ხალხმა და კიდევ დიდხანს გუგუნებდა:—არ მოგცემთ! არ გვინდა! სისხლი დაიღვრება!

მუხრან ბატონმა რაღაც ჩასჩურჩულა ალექსანდრე ორბელიანს და ცხენი გაატრიალა. დიდკაცები პასკევიჩთან წავიდნენ სათათბიროდ, ორბელიანი და ზოგი თავადი კი დარჩა და ხალხში გაიფანტა რათა აფეთქება ერთი საათით მაინც შეეგვიანებინათ.

იქ კი, სასახლეში, ბაგრატიონის მოხსენება მოისმინეს, სწრაფად დაიხიეს უკან და გეზიც შეატრიალეს. დაადგინეს ახალი ბრძანება არ შეესრულებინათ და ყველაფერი გაუგებრობისათვის მიეწერნათ.

ბაგრატიონის წასვლის შემდეგ ბაზარში ცხენოსანთა თქარუნი გაისმა და ახლად დანიშნულმა სამხედრო გუბერნატორმა სტრეკალოვმა ხალხს ყაზახების რაზმი მიაგდო, მიაგდო და სამხედრო რიხით შესძახა:

— რაზოიდიის! დაიშალენით, თორემ სისხლი დაიღვრება!

გაოცებული ხალხი ჯერ გატვრინდა და მერმე ბრაზით აყაყანდა:

— სისხლი დაიღვრება? დაიღვრება და დაიღვაროს! აბა სცადეთ და ნახეთ ვისი სისხლიც დაიღვრება.—და ყველაფერი მოიმარჯვეს რასაც კი ხელი მიაწვდინეს: თოფი, დამბაჩა, ხანჯალი, კეტო, ქვა და ხელოსანთა იარაღი, თანაც ყაზახები მოიმწყვდიეს და ზედ მიადგნენ.

გენერალი სტრეკალოვი დაიბნა. არსენას ცალი ხელით მისი ცხენის სადავე ეჭირა, მეორე კი ხანჯალზე ედო, რომელიც საცაა ქარქაშიდან უნდა ამოშიშვლებულიყო. გვერდით სამი ძმადნაფიცი ედგა და ზედმიწვდარი ზღვა ხალხიც მათებრ იყო აღზარბებული. ოძელაშვილი გენერალს აღუღებული თვალებით სწყვავდა და რკინის ნაჭრებივით ახლიდა პირში:

— საიდანაც მოთრეულხარ, ისევ იქით წავთრი ვივინდარავ! სალაზანავ! საწყალი ხალხის მტანჯელო! ავო ძალო! გვეყო ამდენი წამება! ხალხო, არ დაუთმოთ! გავრეკოთ! მოაწეკით!—და გენერლის დაფრთხალ ცხენს ისე მოუგრიხა კისერი, რომ კინალამ დააჩოქა.

უცებ მარაბდელი მაიორის თვალებს წააწყდა, რომელიც გენერლის უკან მობუზულიყო. არლოვმა ისე მოიფშვნიტა თვალები თითქო მოჩვენებას ებრძოდაო, და ჩაიბურტყუნა:

— Нет, не может быть!—შეუძლებელია!

რა თქმა უნდა, დაუჯერებელია! არსენა ახალციხის მიწაში ლბება და აქ რა უნდა? ეს ვიღაცა კი მხოლოდ მისი აჩრდილია ან მისი ორადი. ამას წინათ გიგოლამ და სხვებმაც ჭორი ჩაუწვეთეს მას, არსენა ცოცხალიაო, მაგრამ მან მხოლოდ გაიცინა და სთქვა: „ის ყაჩაღი აი ამ ხელით დავხვრიტე და მისი გვამი მე თვითონ გავათრევიანე სასაფლაოზე. არსენა ამეამოდ ჯოჯოხეთში იხრაკება, ამ ჭორს კი ჩემი მტრები და ხელმწიფის მოლაღატენი ავრცელებენ“.

ეხლა კი მარაბდელი ჯოჯოხეთიდან გამოქვეულიყო და ისევ არლოვს ეომებოდა. ის ეხლაც თვალწინ უდგას მას და კანდიერად უღიმის. ეს ლანდი რომ მართლა არსენა იყოს, მაიორი სამუდამოდ დაიღუპება. მან არსენას მოკვლის-

თვის უკვე შედალიც გაიკრა და ხუთი ჰთასი მანეთიც ჩაიჯიბა; ეხლა კი არა, მათორი ხმასაც ვერ ამოიღებს და, რომ კიდევაც შეეძლოს მისი დამატირება, თითასაც არ ახლებს, პირიქით, კიდევაც დამალავს, გააპარებდას და დასჯისკენს.

ოძელაშვილმა მათორის უკან კიდევ ერთ ვინმეს მოჰკრა თვალი და უშალვე გაახსენდა ის ყაზახი ათისთავი, რომელსაც მან შარშანწინ დააყრევინა იარაღი კოდის დუქანში. მაშინ იმ ყაზახმა პირობა მისცა არსენას, არსად არ გადაგელობებოო, ეხლა კი დააშტერდა მას. იცნო. მერმე გვერდით ამოუდგა მათორს და ჩააცივდა.

—ვაშე როდიე. აგერ ის კაცი...რომელმაც კოდაში...

არლოვი სათქმელს მიუხვდა და შეუტია.

—პაშოლ ვონი მოლჩატ.

ფალავანდიშვილი და ორბელიანი სტრეკალოვს და არსენას შუაში ჩაუდგნენ და გენერალს გაბრუნებას ურჩევდნენ. ოძელაშვილმა ხელი გაუშვა სიდავეს. გენერალი თავის რაზმით გატრიალდა და გამარჯვებულის იერით გაქუსლა.

უამი გავიდა. ხალხში უამრავი ახალი თავადი, მოხელე და მღვდელი გაერია. უცებ მათ ლაპარაკს ახალი გეზი დაეტყო. სასახლიდან ახალი ბრძანება მოვიდა და იმათაც უმაღლვე გამოიცვალეს ელფერი და დაბეჭდილ ბრძანების შინაარსიც შეატრიალეს. მათს თვლებსა და ხმასაც წელანდელი შიში აღარ ეტყობოდა. წარჩინებული ეხლა თამამად ფიცულობდნენ ცოლშვილს, ხატსა და წინაპართა საფლავებს, რომ იმ ბრძანების დამწერი მოხელე შეცდა, რომ პასკევიჩს აზრადაც არ მოსვლია სალდათობის შემოღება და ხალხს მხოლოდ იმას ურჩევდა, რომ უწინდელივით ჩაწერილიყვნენ მილიციაში და რუსებთან ერთად მოეგერებინათ საერთო მტერი, ხოლო მისი ბრძანებაც ბრძანება კი არ იყო, არამედ მამაშვილური რჩევა და უფროსი კაცის მოწოდება.

ამაზე არავის არა ეთქმოდარა. რისხვა თოვლივით დნებოდა და დაჯერებული ხალხი ხმამაღლა გაიძახოდა:

—ჩვენც ეგ გვინდა! მილიციაში ყველანიც ჩავეწერებით, მაგრამ სალდათად არ გავალთ! მაშ ჩავწერეთ! იარაღი დაგვირიგეთ!

მაგრამ ურწმუნონი და შფოთის მთესავნი მაინც არ სთმობდნენ:

—არა გვეჯერა! ტყუილია! ფიცი. დასდეთ ფიცი!

—ხალხო, თუ მოგატყუოთ, ცოლშვილიანად დაგვბოკეთ. ჩავვაქვავეთ! ყვიროდა ორბელიანი და მისი მომზრენიც კვერს უკრავდნენ:

—დგვბოკეთ! ჩავვაქვავეთ!

—ფიცი; ფიცი!

მცირე ხნის შემდეგ შემოსილი მღვდელი გაჩნდა და წარჩინებულნი ანჩისხატის ჯვარზე და სახარებაზე დააფიცა. ხალხი ნელნელა იშლებოდა.

არსენამ გულიანად გადააფურთხა და ხმამაღლა დაიძახა:

—ფუჰ, გამწენი გაგიწყრესა! ე ქალაქელი ხალხი სულ წამხდარი ყოფილა. ამათ ბატონყმობა სულ არ ენაღვლებათ და ისევ გლებმა უნდა უშველოს თავის თავს, თორე თქვენი ხელიდან ხეირი არც ყოფილა და არც იქნება.

და ისინისკენ გაუტია, სადაც ის უკანასკნელ ზამთარს ბინადრობდა.

დამარცხებული მარაბდელი მეორე დღეს რიყრაზე მოახტა ლუკას და გარე კახეთისკენ გაუტია, ხოლო როსტომ ჯორჯიაშიელი არავეისკენ გაეშურა.

ოთხოდღე დღის შემდეგ რამდენიმე ათასი შეიარაღებული გარეკახელი მოაწყდა ქალაქს და ისინი უბანი ამბოხში გაჰხვია. მათს ლაშქარს ერთი ხელი ერთი პირი და ერთი წესი ეტყობოდა, მაგრამ ჩამოსვლისთანავე ერთობა გაიშარა და ნელნელა დაირღვა რასაც ერთი მხრივ ოძელაშვილი და მისი ძმადნაფიცები და მეორე მხრივ ლუარსაბ ორბელიანის ჯგუფი აშანებდნენ. მას მესამე მხრივ დიდი თვალები, მოხელენი და მღვდლები ანგრევდნენ.

ქალაქიდან ერთი დღელამით ყველანი ისანში გადასახლდნენ: მარშალი მუხრან ბატონი, მისი ძმა თეიმურაზი, გიორგი ქსნის ერისთავი, ივანე აფხაზი, ნიკო არღუთაშვილი, ნიკო ფალავანდიშვილი ორბელიანები, ბარათაშვილები ზაალ, დავითი, მელიტონი, გოგია, ციციშვილები, ამილახორები, ერისთავები, დიდგვაროსანნი და უაზნონი ცნობილნი და უცნობარნი. საექვო ორბელიანებიც დიდი სარდლის ყაფლანიანთ დავითის შვილის ლუარსაბის მეთაურობით აქ მოგროვილიყვნენ და მათი ჯარიც გამრავლებულიყო. ზურაბ ქავკავაძე, ზაქარია და ივანე ჩოლოყაშვილები, ერისთავები ივანე, იესე, დიმიტრი, ივგორი, ელიზბარი, გიორგი გლუხარჩი, შალვა ბარათაშვილი და ივანე; ია ფალავანდიშვილი და კიდევ ბევრი ორკოფი და ორგული—ყველას აქ მოეყარა თავი, ყველანი შეამბოხებეს მიჰკედლებოდნენ და ჩუმუმად აღიზიანებდნენ. დუქნები და ბინები გაქედილი იყო და ქუჩებშიც გზას ძლივსლა იკვლევდნენ იმ ღამეს არავის არ ეძინა. ქუჩამოედნებზე ასობით ენთო ცეცხლი. ყოველ მხრივ მოისმოდა საკლავის ბღავილი, ხალხის ყაყანი, ცხენების ჰიხინი, დუღუკის დუღუნი, ზურნის ჰყვიტინი, და უცხო ვინმეს ეგონებოდა, რომ ისანში ამბოხება კი არა, უზარმაზარი ქორწილიაო. ორი საქართველო კვლავ პირისპირ შეხვედროდა ურთიერთს, ხოლო მესამე მხარე სადღაც ჯურღმულში მიმალულიყო თავის ხელით ანთებულ კოცონს თავადანაურთა ხელით აქრობდა.

ბაგრატიონ მუხრან ბატონი დარეჯან დედოფლის ნასახლარში დაბანაკებულიყო და ყოველ ნახევარ საათში შიკრიკების ხელით კარგ ამბებს უგზავნიდა პასკვიჩს.

დაქანცული და ორი დღის უძილო და უკმელ-უსმელი არსენა ერთი ჯგუფიდან მეორეში გადადიოდა და სადაც კი მივიდოდა, იქ მაშინვე ახალი ნაკადი ამოვარდებოდა ხოლმე:

—ბატონყმობაც აღარ გვინდა! მოვსპოთ გადავაგდოთ!

ეს კივილი თავადანაურთა ორივე ბანაკს მშიერი ლომის ბუზუნით აფრთხობდა და რაც უფრო მედგრად და მშირად გაისმოდა იგი, იმდენად უფრო იცხებოდა ის ხრამი, რომელიც მათ შუა იყო გათხრილი.

—სულ ბატონების ბრალია! არ დაუჯეროთ! გაგრეკოთ!—უკეთებდა ცეცხლს ოძელაშვილი, მაგრამ მოპირდაპირენი უმაღვე ადვილად აქრობდნენ მას.

—ხალხო, ურჯულომ ღამის კარი შემოგვინგრიოს და ბატონყმობაზე ახლა მოგინდათ ლაპარაკი?

—ომი გაეთავით და მაგზე მერმე ვილაპარაკოთ.

გლებებიც ჩუმდებოდნენ და ისევ სალდათობაზე გაჰკვირდნენ:

—სალდათს არ მოგცემთ! თავს დაეინოცავთ და არ გაგვლა

—ხალხო, გაიგეთ და შეიგნეთ, რომ სალდათს არავენ არა გთხოვს-მეათასჯერ ყვიროდენ მუხრან ბატონისა და პასკევიჩის კაცები. — როგორც კულავ გიომინათ, ახლაც ისევე იომებთ და მერმე შინ დაბრუნდებით, და თუ მოგატყუოთ, სად წაგივალთ! ძირიან-ბუდიანად ამოგვზოკეთ! დაგვწვით ჩავვაქვავეთ!

—მაშ დაიჟოკეთ! ფოცი მოგვეციო!

დამშოშმინებულნი მარინეს მონასტერში ფიცულობდნენ და გლებებს ჯგუფჯგუფად ისტუმრებდნენ შინისკენ.

მოედან-ქუჩებში კი უფრო და უფრო გაბედვით და მალიმალ გაისმოდა:

—ვინც კორსა სთესავს, ის თათრის მხარეზე ყოფილა!

—ვინც ურჯულოს ხელს უწყობს, ის მოლაღატეა და უნდა ჩავაქვაოთ... მოვიწოროთ თათრის ჯაშუსები... დაევიპოროთ! შევეკრათ პასკევიჩს მივგვაროთ!

შეთქმული თავადების ხმა სულ აღარ ისმოდა. მათ შუკე დაეკეცათ უხილავი დროშა და დუქნებში დაფანტულიყვნენ.

სულხანმა და კარპიჩამ ძალით წაიყვანეს ოძელაშვილი:

—ცოტა მაინც დანაყრდი, თორემ ფერი აღარ გადევს.

ერთ მიყრუებულ დუქანში შევიდნენ და ბნელ კუთხეში ჩამოსხდნენ. არსენამ ფილადელფოს ბერს და შალვა ბარათაშვილს მოჰკრა თვალი, რომელნიც ოციოდე თავადში გარეულიყვნენ, ერთად ვაზშობდნენ და ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. ფილადელფოსის გვერდით მეორე ბერი იჯდა, შავი ანათორით და კუნკულით გამოწყობილი, გამზდარი, სევდიანი და მღვმარე. არსენამ დათუნა ბარნაველი იცნო და გული შეეკუმშა. „ვაი როგორ გაიყარა ჩვენი გზა! საწყალი დათუნა!“ გაიფიქრა მარაბდელმა, ზურგი შეაქცია მათ და გაინაბა.

დუქანში გრიგოლ ორბელიანი შემოვიდა, რომელიც იქვე ისინი უბანში ცხოვრობდა, და სუფრას მოუჯდა. მას ერისთავი „გლებბარიჩი“ მოჰყვა. მოვებშმეთა ჩურჩული კანტიკუნტად ისმოდა.

—არ გაგვივა... ხელსაყრელი დრო არ არის, ომია... ბევრი გლები უკანვე გაბრუნებულა. ხომ გაიგეთ რას ყვიროდნენ დღეს გლებები? ბატონყმობაც გადავაგდოთო.

ფილადელფოსის მეორე გვერდით ერთი ცილინდრიანი, ბეჭანიერი, მოკუზული და წვერულვაშ-გაპარსული კაცი იჯდა. მას მოკლე ბაკნბარდები, განიერი სახე, მოგრძო ცხვირი, განივრად ჩასმული თვალები, მოკლე ნიკაპი და უწნო სახე ჰქონდა, მაგრამ ამ სახეზე ცხადი ჰკუა, დიდი ნებისყოფა და იღუმალი რამ სევდა ეწერა-

—მიირთვი, ძმავო სოლომონ. — შესთავაზა მას საქმელი მისმა შეგობარმა ფილადელფოსმა.

არსენამ ცალი თვალით გაიხედა და სოლომონ დოდაშვილი იცნო. მარაბდელი ადრეეაც ნავალი იყო ქიზიყში და მღვდლის შვილი სტუდენტი რამ-

დენჯერზე ენახა. სოლომონს რუსეთში დაესრულებინა უმაღლესი სწავლა, ეხლახანს დაბრუნებულიყო და კეთილშობილთა სკოლაში ქართულ ენას სწავლიდა. აქაურ წარჩინებულ საზოგადოებაში მას დიდი მადლი და სახელი ქონდა, რადგან პეტერბურგში ნიადაგ იქაურ ქართველ ბატონიშვილებში ტრიალებდა, (რომელთაც ბაგრატიონის ნაცვლად გრუზინსკის გვარი მიაკრეს და სასტიკად აუკრძალეს ბატონიშვილობა). აქაურ გაზეთებშიც სწერდა და თავისუფლად კითხულობდა პლუტარხის, ჰეროდოტის, ჰომეროსის, ტაციტის, ციკერონის, ვირგილიუსისა და სენეკას ნაწერებს.

მან მორიდებით და დაბალი ხმით უპასუხა. არსენამ რამდენიმე სიტყვას მოჰკრა ყური და ესეც საკმარისი იყო:

—საზარელი დროა. რუსეთის დამარცხებას ჩვენი გასრესა მოჰყვება. თათარი რუსების შემოსევას არ დაიფიწყებს... გლეხები იყაყანებენ და წავლწამოვლენ... კიდევაც მიდიან... დროება შეიცვალა—Mutantur tempora იგი მალე კიდევ შეიცვლება და მაშინ, რომაელებისა არ იყოს, Unitis viribus ესე იგი შეერთებულის ძალღონით ჩვენი წმინდა საქმე შეწყვენითა ღვთისათა... არსენა სწრაფად წამოადგა, დახლიდარს მანეთიანი მიუგდო და გამოვიდა, თანაც გამწარვებული ეუბნებოდა მმადნაფიცებს.

—გაიგეთ ამ ბერების და თავადების ნათქომი? შარშან მე მეხვეწებოდნენ, რუსები უნდა გავყაროთ და გლეხობა მოგვაშველეო. ამას წინათ ბაზარში და დღესაც შუადღემდე ისინი თავიანთი გზით მიდიოდნენ და უნებურად გვშველოდნენ, ეხლა კი ხალხმა რომ დაიძახა, გლეხს თავისუფლება მიეცითო, უცებ დაფრთხნენ, მტრის ბანაკში გადავიდნენ, თვითონაც წახდნენ, ჩვენი წაგვახდინეს და დედაბერივით ჩიფჩიფებენ: „საზარელი დროა... უნდა მოვიცადოთ... თათარი გავკანადგურებსო...“ ვანა ეს ხალხია? ხალხი კი არა, მოლაღატენი, ქრისტეს გამყიდველნი და ფარისევლნი ყოფილან.

ოძელაშვილი მეორეჯერაც დამარცხდა, მაგრამ უჯიითი და მოუდრეკელი კაცი იყო და არ შეეძლო ასე მალე გამოტეხილიყო და ასე ადვილად დაეყარა ფარხმალი. იქვე ერთ ჯგუფში გიგუა და სხვებიც იპოვა და უთხრა:

—აბა, ბიჭებო, აი ეხლა გვმართებს სიზარჯვე და მხნეობა. ყველა ჩვენი ზომხრე იპოვეთ და უთხარით, რომ ეს ხალხი ორი ან სამი დღით დაბანდონ და არ გაუშვან, უთხრან, არსენას დიღმის მბრივ ხუთი ათასი გლეხი მოჰყავს და ვინმლო პირი არჯ გასტხოთ და ერმანეთს არ უღალატოთ თქო, აბა, თქვენის იმედით მიედივარ. მხნედ იყავით.

და დაუდგვარი მარაბდელი შუალამისას წაეკისს, შინდისს ტაბახმელას და ზემოურ სოფლებში ჰკიოდა:

—ჰეი, გლეხებო, გარეთ გამოდით! ქუდზე კაცს დაუძახეთ! თქვენი აღსასრულის დღე მოდის! მალე გაიღვიძეთ და დიღომში მოიყარეთ თავი!

გლეხებს ისედაც არ ეძინათ. იარაღები აესხათ, ქალაქში ჩასვლას ამირებდნენ და რამდენიმე დღეს ბელადის ხმასლა ელოდებოდნენ; შემდეგ ოძელაშვილმა ხუთიოდე სოფელი კიდევ მოიბრძინა, შიკრიკიც მრავლად დაჰგზავნა და მესამე დღეს დიღომში ხუთიოდე ათასი კაცი მოაგროვა. როსტომი და არაგველებიც იქ უცდიდნენ. ეს ლაშქარი ეხლა კი არსენა მარაბდელს ეყუთვნოდა. იგი

სუფთა იყო და ხალასი გლეხებისგან შესდგებოდა. რამდენიმე თავგამოდებულ წვრილფეხა. აზნაურისა და ლატაკი მღვდლის გარდა სხვა აღარააქვს ერში—არც მუხრან ბატონები, არც ერისთავები და აღარც ორბელიანები.

ღვთისაგარი ერთხელ კიდევ ამოძვრა მიწიდან, ვრხელ კიდევ მიბაჯინა მარაბდელს ცალი თვალი, ერთხელ კიდევ გაულიმა იმ თვალით, ისევ მოიფხანა განიერი ნიკაპი და ისევ ჩაუღუღნა ბოხი ხმით: გამარჯვება, შეილო!

—საიდან გაჩდი, მამა-ჩემო?

—მგლის ჩვეულება მაქვს და ვერ მოვიშალე. საცა სისხლის სუნი ტრიალებს და საცა ჩემი ლეკვია, მეც იქ უნდა დავერქო ხოლმე.

—ეხლა რალას შეტყვი, მამა-ჩემო?

—ღვთისაგარი სდღმდა და ეს ღღმილი მის რისხვაზე უფრო უარესი იყო.

—სთქვი რალა, სული ნუ ამომართვი!

—რა გითხრა, შეილო? ყველაფერი გასწაეღე, მაგრამ ვერ იქნა და ბრძენის სიღინჯე ვერ შეგასწაეღე. სიფიცხეც კარგია, მაგრამ განა მუღამაო. რალა სიტყვა გაგიგრძელო, ქალაქიდან მოედივარ, იქაურობა დაესუნე, ყველაფერი გავზომე და აი რას გეტყვი: ეხლა რომ გაიმარჯვით, საქართველოს დიდი უბედურება დაიწყდება. შეილო, ეგ საქმე სათავეშივე წაგებუღია. ამ საქმეში სიმართლე თავადების მხარეზეა. ეხლა გლეხებს მარტო ისლა უნდათ, რომ სალდათობას თავი დააღწიოს, და თუ არ დააღწია, რუსებსა და ბატონებს ზედ შეაკვდება, მაგრამ ბატონყმობის დასამზობად ეხლა ერთი ბეწო სისხლსაც არ დაღვრის.

შვილი: მაგის საქადაგებლად ამოხვედი?

მამა: რუსებს დიდებუში 24 ზარბაზანი დაუღვამთ.

შვილი: ვიცი. მაგისთვინ ამოხვედი შეთქი?

მამა: ვერაზე დიდძალი ჯარი დაუგროვებიათ.

შვილი: ეგეც ვიცი. გეკითხები, მაგისთვინ ამოხვედი შეთქი?

მამა: საბურთალოს გორაკებზედაც გამოუტანიათ ზარბაზნები.

შვილი: ვინ მომიყვანე ალგეთიდან?

მამა: თვითონვე წამოვიღენენ, შე კი არავინ არ მომიყვანია. რა ბედენაა ხალხი მოვიყვანო, ტყუილ-უბრალოდ ვაყვირო და ხელცალიერი დაეაბრუნო?

შვილი: მაშ ეგრეა საქმე?

მამა: სულხანი და კარბიანი ენახე. ქალაქში დარჩენენ. იქაურებს აგროვებენ და ცეცხლს უკიდებენ. დამაბარეს, თუ არსენა იმ ხალხს ვერამდე ჩამოიყვანს, აქაურობას ჩვენ ავაფეთქებთო.

შვილი: ერეკლე საღლაა, მამა-ჩემო?

—ერეკლე შინ დაეტოვე—მორცხედ მიუგო მამამ და სასოწარკვეთილ კილოზე შესძახა:—ერეკლეს თავი დაიანებე! ეს ერთი შეიღილა შემრჩა და მამა-ტი!

—მიბატებია. კარგად შეინახე. არ გაგიცივდეს, არც დაგიშვადეს.—მწარე ღიმილით მიუგო შეილმა და ასისთავებსა და უფროსებს გასძახა: ჰეი, ბიჭებო! ბუკი დაჰკარით! რიგი დააწყეთ! მივდივართ!

გულდაფლეთილი ღვთისაგარი გატრიალდა და ალგეთელ გლეხების მწყობრში ჩაუდგა უბრალო ჯარისკაცებით, არსენამ კი თრიალეთის ტყეში გადაკეთებული ძველი დროშა გაშალა, იგი ნაცად ლკისაგარის მავრიტანთა მხარეს ჩააბარა და აჯანყებულებს გამოუძღვა.

მეორე დილას ვარკეახელებმა უკანვე იწყეს დენა, ხოლო საღამოზე ერთი ცალი დაიხინილიყო ქალაქში. გლეხები გაწურთვნილი ლაშქარით შემოვიდნენ ისანში და ბქედან გაფანტულად ბრბოსავით გაბრუნდნენ. მათ გაიმარჯვეს: სალდათად აღარ გაიყვანენ და ჯერ ესეც ხომ საქმარისია.

დიდი თავადები და პასკევიჩი ერთმანეთს ულოკავდნენ. თავიანთი თავი იმათაც გამარჯვებული ეგონათ, ვინაიდან უდიდეს ხიფათს დააღწიეს თავი. ნამეტან კი პასკევიჩი იყო გახარებული, რადგან ის ბრძანება არ გააუქმა, „შეცდომა“ ვილაც ვიცე-გუბერნატორს ზავილეისკის გადააბრალა და ამბოხება თავდაზნაურების ხელით ჩააქრო. მარშლები უკვე სწერდენ ახალ მოხალისე მილიციელთა სიებს და მათი რიცხვი უკვე ათასებს უდრიდა. ხალხი მიინც ვერ დაშოშმინებულყო და ახალი ამბავი უჩინარი წყალივით გონავდა: თრიალეთი და არაგვიც აშლილან და მოდიანო.

იმავე დილით ყოველ კუთხიდან მოკვიდნენ შიკრიკები და ამბავი მოიტანეს, რომ ამბოხება მთელ ამერეთს მოსდებოდა. აჯანყებული გლეხები ათასობით მისდგომოდნენ სილნალს, თელავს, თიანეთს, დუშეთს, გორს, ცხინვალს, სურამს და ბატონები და ხელისუფალნი ხანჯლებით დაეფიცებინათ ჯვარ-სახარებაზე, რომ პასკევიჩის ბრძანებას რა შესარულებდნენ, და თუ შესარულებდნენ, გლეხები ფიცის გატეხისთის ცოლშვილიანად ამოხოცავენ, ხოლო ფიცის გატეხის მკვლელი, მათის რწმენით, არც ღვთის წინაშე აგებდა პასუხს და არც ადამიანისას.

ღალატის ამბავი ხელისუფლებამ მოტყუებული ქმარივით სხვებზე გვიან გაიგო.

ყველაზე მეტად ქალაქელი დიდებულნი დილოში ჩამოსულმა ლაშქარმა დაატრთხო.

—დიდებულნო, ნუ შესწუხდებით. — ამშვიდებდენ თავისიანებს მარშალი მუხრან ბატონი და გენერალი ერისთავი. არაგვი და ქსანი ჩვენი სამშობლოა იქაური გლეხები გვიჯერებენ და არ გვიღალატებენ, არ გავგვირავენ.

და მარშალს ისე სწამდა თავის ძალა და სახელი, რომ თვითონ არც კი იკადრა ქალაქიდან წასვლა და აშლილი გლეხების დახამშვიდებლად თავის ძმა თეიმურაზი და თავის თანაშემწე ორბელიანი გაჰგზავნა.

თეიმურაზმა და ალექსანდრემ ოთხი მხლებელი გაიყოლიეს და დილაადრიან კარგი დილიბოხებით დიღმის გზას გაუდგნენ.

—დიდ ფათერაკს გადავჩაჩით, დილო ბატონო, — ეუბნებოდა მარშალი ბაგრატიონს

—ვითომ გადავჩაჩით? — ჰკითხა დაეჭვებულმა თეიმურაზმა.

—გათავებულა. დილოშიც რამდენიმე სიტყვას დაეხარჯავთ და დავშლით. ჩქარის ჩორთით მიდიოდნენ. დიღმის მიწოდორზე რომ გავიდნენ, ნაჭულბაქევის მთის ძირში ჩამოხტნენ, მწვანე შოლზე დასხდნენ და ცხენები გაზაფხულის ბალახზე მიუშვეს.

—არავენ არ მოსჩანს და იქნება ტყუილია?—სთქვა თეიმურაზმა.

—შესაძლოა მართლა მოგვატყუეს, თორემ ხალხი აქამდე გამოჩნდებოდა.—
დაეკვივანდა ალექსანდრეც და დაუშატა:—ცოტა ხანიც მოვტყუდობდით და-
ბრუნდეთ.

სანამ თავადები თავს ინუგეშებდნენ, დევის ნამუხლის ვიწროებიდან ერთი პირი დიდი ხალხი გამოჩნდა და ქვეით წამოვიდა. იქვე მეორე ლელიდან მეორე რიგი გამოვიდა და შავი ტბასავით გაიშალა, რომლიც ხმაურობდა, ცოცხლობდა და ბიწიერებისა და სიავის ბუღისკენ მიიწევდა. ბაგრატიონი და ორბელიანი უმაღლეს მოასხდნენ ცხენებს, მაგრამ მისვლა არ იკადრეს და მხლებელნი გაუგზავნეს. გლეხებმა რომ მუხრან-ბატონის და ქალაქის მარშლის იქ-ყოფნა გაიგეს, პირი იბრუნეს, იმ ორ თავადს გარშემოხევივნენ და მისალმების შემდეგ ყური მიუგდეს.

—ხალხო, საით მიდიხართ? რას სჩადიხართ?—დაიწყო ალექსანდრემ და უკვე-გაზეპირებული სიტყვა ერთხელ კიდევ განიმეორა: სალდათობა ქორია, მილიციას ვაგროვებთ. ურჯულო კარზე მოგვადგა. ვილაც მოხელეს ზრძანებდა შეეშალა. ქალაქები უკვე დაწყნარდნენ, გარეკახელებიც წავიდნენ და თუ გაატყუებთ, ჩვენც დაგვბოკეთ და ჩვენი ცოლშვილიც ამოეკლიტეო.

—არა გვეკრა! ტყუილია! არ გვინდა!—დაიქუხა ხალხმა.

ალექსანდრეს თეიმურაზი მიუშველა. მას უფრო უკეთ იცნობდნენ და მის სიტყვასაც უფრო მეტი ნდობა ჰქონდა. ის იყო მფლობელი იქაური ალაგების და აჯანყებულთა ლაშქრისაც, რომელიც უკვე შეყოყმანდა, და როცა მუხრან-ბატონმა დაიძახა, ვფიცავ სვეტი-ცხოველსა და ჩემი პაპის ერეკლე მეფის სულსა. გლეხობა ვალეხა, მიყუჩდა და მიენდო. მორჩილების ჩურჩულმა ნიავივით ჩაირბინა. უკანა რიგები გატრიალდნენ, მოწინავენიც დაიძრნენ და წელან მრისხანე შეწყვერივით ჩამოსული ლაშქარი ეხლა დასიცხული თოვლივით დნებოდა.

რუკებ მცირე ფორზე თეთროხიანი არსენა გამოვარდა, თოფი ვადმოიგდო, ჩახმაზი შეაყენა, მოოქროვილი თავი მალლა აილო და მგრგვინავი ხმით დაიძახა:

—ხალხო, შესდექით! სად მიხვალთ, ლაჩრებო! ამ ჩემ თოფს შიგ ვულში ვკრავ ვინც უკან გამობრუნდება! თავადისა არც ხატია დასაჯერებელი და არცა ღვთის ფიცი. ათასჯერ მოუტყუებივართ და ერთხელ კიდევ გვატყუებენ.

—მართალია! აგრია! გვატყუებენ—იგრიალა ხალხმა და თავადებს ზურგი შეაქცია.

—სუყველაფერი მაგათი ბრალია, ეგენი გვეყდიან, გვლალატობენ და ანგაგრიშს ქალაქში გაუსწორებთ. ჩვენებურ თავადებს და რუს ხელმწიფეს ერთი პირი აქეთ და ის პირი უნდა ჩაუღლეწოთ. მაშ მომყევით! გამობრუნდით! ვაეკაცები ვართ და ერთმანეთი ვაეკაცურად გავიტანოთ!—დაასრულა მარაბდელმა, ლურჯაზე აისვეტა და ძველებური ლაშქრული შემოსძახა.

ისევეც დაიბრუნდებიან

ალგეთს ლეკები მგლისანი!

ისე არ ამოსწყუდებიან,

ჯაფრი არ სქამონ მტრისანი!

ხალხმა პირი იბრუნა და უკლებლივ გაჰყვა ოძელაშვილს.

— ეილუბებით. — ჩაილაპარაკა ორბელიანმა.

— ვალუბებით. — ამოიოხრა თეიმურაზმა.

— თუ ამ თოფ-იარაღიანმა ხალხმა ქალაქში შეევასწროს შატალის ქალაქს აშლიან იმათთან მთელი საქართველოც აიშლება, მთების ხალხიც წამოდგება, თათრობაც ამით მიჰყვება, ალექსანდრე ბატონიშვილიც დაიძვრება, სპარსეთიც ისეი თავს წამოჰყოფს და ბოლოს დროს კარგი არა იქნება — რა — სთქვა რუსების გასარეკად შეთქმულმა ალექსანდრემ და დაუმატა: — დიდო ბატონო, თქვენ ამ ხალხს გამოჰყვეით, ლაპარაკი გაუბით და შეავგიანეთ, მე კი ცხენს ვავკრავ, ქალაქში ჩავისწრობთ და კიდევ ვილონებ რასმეს.

— აგრე ქენი აბა ჩქარა!

ალექსანდრემ დილიბოზს მათრაბი ჰკრა და ქარივით წამოვიდა, თეიმურაზი კი გლეხებს დაეწია, შიგ ვაერია, შინაურულად გაუბა საუბარი ოხუნჯობით შეანელა მათი მრისხანებაც, ნაბიჯი და ნახევარი საათით მაინც შეავგინა.

ალექსანდრეს მიერ ჩამოტანილმა ამბავმა ქალაქს თავხარი დასცა და ისეთი აურზაური და სირბილი ატყდა, რომ უცხოთ ვგონებოდა, ალა მაჰმადის დრო დაბრუნდაო. ვინც ამას წინათ შუა ბაზარსა და ისანში შფოთავდა, მან ხელახლა ამოიდგა ენა და ჩარაღიც მოიმარჯვა. მაგრამ ეხლა მათი დამწყენარებელი აღარავინ არ იყო, რადგან დიდკაცები მუხრან — ბატონის სასახლეს მიაწყდნენ. რომელიც ანჩისხატის უბანში იდგა, და სწრაფი თათბირი გამართეს. ათიოდე წუთის შემდეგ ოთხმოცმა ცხენოსანმა თავადმა ჰვაჭვავაძის, დიდი მარშლის და ქსნის ერისათვის მეთაურობით ქალაქი და ვერა კორიანტელივით გადაჰსერა და საბურთალოს იქით დიღმის ხევის მახლობლად არსენას ლაშქარს წააწყდა. ახალგაზრდა თავადებმა წინ გაუსწრეს მაშრალს და გლეხების რაზმებს მიადხეს:

— ხალხო შესდევით! დიდ მუხრან — ბატონს და ქსნის ერისთავს ლაპარაკი უნდათ და ავერ იმ მინდორზე გავიდეთ.

კვლავ წელანდელი ამბავი განმეორდა. ეხლა ორბელიანის მაგიერ ქსნის დიდი ერისთავი ლაპარაკობდა, ხოლო თეიმურაზის ნაცვლად მისი ძმა დიდი მუხრან — ბატონი ამოსულიყო. ამითაც დახეპირებული ჰქონდათ სათქმელი და მათი სიტყვა ოსმალების შემოსევის და ქართველების გათათრების ირგვლივ ტრიალებდა.

— შეილებო, ალბათ თქვენც ვაიგებდით, — ამბობდა უზანგებზე შემდგარი ბაგრატიონი — რომ მესხებიც და აქარლებიც ოდესმე ჩვენისთანა ქრისტიანი ქართველები იყვნენ, მაგრამ თათრებმა დაიმორჩილეს და თავიანთ რუჯულზე დააყენეს. ახლა თქვენც იმათი ბედი მოგელით. ეკლესიები მისგითად უნდა გადაგვიკეთონ და სახარების ნაცვლად ყურანზე უნდა გვალოცინონ. ამისთვის აიშაღენით ამისთვის მიდიხართ ქალაქში?

ამაზე უმწვავეს და შემზარავ საბუთს ეშმაკიც ვერ მოიგონებდა. და როცა მუხრან-ბატონმა შფოთის მთესავნი ოსმალების მოკიჭულებად და ქართველი ხალხის მოლაღატეებად გამოაცხადა, ხალხი წელანდელივით მოიღუნა და მხოლოდ ზოგნილა ბურტყუნებდნენ:

—ჩვენა, შენი ჭირი მე, უსწავლელი ხალხი ვართ... არც ლაღობა გვიფიქრია და არც არაფერი, მაგრამ სალდათს მაინც ვერ მოგართმევთ.

დიდი ზეავი დახურდავდა, სალდათის არმოცემამდე დაქვეყნდა და ნახევარ საათში ჩაიშალა. თავადები ჰტიცულობდნენ, გლეხები კი შიშით მოხუცდნენ, სიმაართლე თავის პირით თვითონ პასკევიჩმა გვითხრასო, თავადები დათანხმდნენ და მოითხოვეს, რომ გლეხებს ასიოდე თავი—კაცი აერჩიათ.

ყველაფერი გათავდა: არსენა მესამეჯერ დამარცხდა, მაგრამ მაინც არ დანებდა და, უზანგებზე შემდგარმა ერთხელ კიდევ დაიქვეყნა:

—ხალხო, როდემდე უნდა გატყუებდნენ? როდის გაახილავთ თვალებს და როდის შეივნებთ, რომ თავადები მუდამ გატყუებენ?

—სტყუი შე ჰარამზადე! გააჩუმეთ! დაიჭირეთ! შეპოკეთ!—მოისმა თავადების ყვირილი და მათ რამდენიმე გლეხიც აჰყვა:

—კარგი, გეყოფა:... აგჩემებია თავადები და მეტს ვერაფერს ვერ ახერხებ... რას ჩავვაცივდი, შეილოსან! ჩვენც ხალხი ვართ და ჩვენც გვესმის ამ ქვეყნის ავკარგი.

—არსენა უფრო მეტად შეკრთა ვინემ დამიზნებული თოფი შეაკრთობდა არ მოელოდა, რომ მოქნულ ხმალს სწორედ გლეხები აუკრავდნენ და ამგვარ სიტყვებით მოუდუნებდნენ სულსაც და მჯავსაც. მარადელი ჰგრძნობდა, რომ ყრმობიდანვე აჩემებულ საქმეს ეხლა ხელიდან სტაკებდნენ და თავგანწირვით შესძახა:

—ხალხო, ინანებთ! თვალი გაახილეთ! რამ დაგაბრმავათ? რამ დაგაყრუათ? სად მიხვალთ, ხალხო! რას ჩადიხართ, ძმებო? ჩვენი განკითხვის დღე დადგა. ერთხელაც გეტყვით და დამიჯერეთ: ეგ ენები დაიშოკლეთ, ეგ ხანჯლები დაიგრძელეთ. ჩვენი თავადები კი პირუტყულმა მოქცეულან: ხანჯლები დაუმალათ და ენებით კი დალატს უგვიან გზას. ძმებო, დროა გავათავოთ! ვინც დედალაი დარჩეს, ვინც ვაქცაცია, მომყვეს!

ოციოდე ვაქცაცის გარდა დანარჩენები მართლა გადედლებულ იყვნენ: ამათაც ხანჯლები დაიშოკლეს. ენები გადმოჰყარეს და წელანდელზედ უარესად აყაყანდნენ:

—არსენ, გეყოფა! ნუ გააჭირე საქმე! ჩვენც კაცნი ვართ და ქული გვებრავს. რა დროს ბატონობა! რა დროს შფოთია! მოსისხლე მტერი კარზე მოგვადგა და ჩვენ კი ბატონებს უნდა გავუსწოროთ ძველი ანგარიში? არ გვინდა! დრო არარის!

ოძელაშვილი წელმოტეხილივით ჩაჯდა უნაგირზე. ლურჯამ ყურები სცქიტა, რადგან მას ესოდენ მოშვებული ბატონი არასოდეს არ ეტარებინა და ეხლა გაიფიქრა მთვრალი მედუქნე ან ვინმე მელორე ხომ არ შემაჯდაო.

—ვინ არსენაა? სადაურია?—შეშფოთებით გამოჰკითხეს გლეხებს თავადებმა.

—არ ვიცით. არ ვიცნობთ. დღევანდლამდე არცკი გვინახია.—კვალი აურიეს გლეხებმა.

—არსენა ოძელაშვილი ხომ არ არის?—გაისმა აქა-იქ გაუბედავი ჩურჩული. ზოგმა არსენას გვარი არ იცოდა, მისი სახელი „გორდა“ გაეგონა და გლეხებს ეკითხებოდნენ;

—ეს კაცი მარაბდელი გორდა ხომ არ არის?

—რას ამბობ, კაცი?... აბა რა სათქმელია?... გორდას სულაც არა ჰგავს... არსენა მკედარია... არსენა ახალციხის მიწაშია.—**ამბობდნენ გლეხებიც და თავადებიც.**

გლეხები იცნობდნენ მარაბდელს და მალაენდენ, თავადები კიჟარ იცნობდნენ და გლეხებს უჯრებდნენ. რამდენიმე მათგანმა შინაც იცნო გორდა, ეს ამბავი ქალაქში ჩაიტანა და „ჰორი“ გააძლიერა: არსენა ცოცხალი ყოფილა და აჯანყებულთა მეთაური ჩვენივე თვალთ ვნახეთო.

ამასობაში პასკევიჩთან მისაგზავნი ასიოდე თავი-კაცი აირჩიეს, და ხეთისავარიც ჩაურჩიეს მაგრამ მან გადაჭრით გააქნია თავი და ჯაგნარისკენ გაემართა, სადაც წელან მისი არსენა მიიშალა.

თავი—კაცები ცხენოსანი თავადების რიგებში ჩადგნენ და ტკბილი საუბრით გაჰყენენ ქალაქისკენ.

აჯანყება დასრულდა.

ოძელაშვილი საბოლოოდ დამარცხდა.

კარგა ხანს იწვა ჯაგნარში მარაბდელი. პირქვე ეგდო, მარტო იყო და თავის შერცხვენას და გლეხების უმწეობას ჰგლოვობდა. შემდეგ თავი ასწია და ნადევარის ცალ თვალს და როსტომის სევდიან პირსახეს წააწყდა. ორივენი ჩუმად ისხდნენ შორიახლოს და არსენას თითქო არც კი ამჩნევდნენ. არსენამ სცადა თავის მამის პირსახეზე ღიმილი, ქირდვა ან რისხვა ამოეკითხა, მაგრამ ვერა შეამჩნია—რა. უდროშოდ დარჩენილი მედროშე ქვის მატურივით იჯდა, შორს სადმე გასცქეროდა და ოდნავ ისრესდა ნიკაპს.

არსენას ისე შერცხება თითქო რაიმე უკადრის საქციელზე მიასწრესო მერმე უცბად წამოხტა, ლურჯას მოაჯდა და გაფანტულ ხალხისკენ გაუტია. გლეხები ჯგუფჯგუფად მიდიოდნენ—ზოგი ზევით მთებისკენ და ზოგიც პირდაპირ არაგვისკენ. მარაბდელს ჰსურდა უკანასკნელი სათქმელი ეთქვა მათთვის და ყელში გახიჩული ბოლმა ამოეღო.

—ხალხო, შესდევით! სათქმელი მაქვს და მოისმინეთ.

რამდენიმე გუნდი შესდვა. ოძელაშვილი ერთ ჯგუფში შეიჭრა და ხრილობით მიაყარა:

—თქვენ ხალხი კი არა, ცხერის ფარა ყოფილხართ. რა თქვენი საქმეა ვაე-კაცობა და თავისუფლება დიაცებო! მონებო! მზღალებო!—და ახლო მდგომ გლესს მათრახი გადაუჭირა.—ფიცის გამტეხელნო!—და მეორესაც გადაჰჭრა.—პირშავებო და მესამესაც მიუზღო. მოლაღატენო.

გლეხები ხარხარით გარბოდნენ, არსენა კი გამალებული მისდევდა, უწყალოდ უქაუნებდა მათრახს და გავეშებული ფორიავით ურთავდა:

—ჩანჭურებო, ბედოვლათებო! ნაცარქექიებო! წადით და თქვენს ღედაკაცებს შეუთხვრით კაბის ქვეშ! ისევ ბატონების უღელში შეებით! ცინგლიანებო! წუპაკებო;

გლეხებმა მისი რისხვა ხუმრობაში ჩაატარეს. ამან ოძელაშვილი უფრო უარესად გააშფარა. სჯობდა მათ ორიოდე სახრე ედრუზხათ მისთვის ვინემ ხითხითით გაფანტულიყვნენ. მის თანამებრძოლთა გაქცევამ და სიცილმა მარაბდელს

ბრაზი ჩაუქრო და წელანდელზე უფრო მწვავე კაეშანი და უიშედობა აუშალა. გულნატკენმა ცხენი შეაყენა და წყალოვით გაფანტულ გლეხებს სევდილთ სავესე თვალეზი გააყოლა. გააყოლა და იგრძნო, რომ გული ავად ატარებდა. სული გადაუტყდა, რალარც უზინარი ფრინველი გაუფრინდა, დაცალიერდა და ამ ქვეყნად მარტოდ-მარტო დარჩა. „ამ ხალხისათვის ვიბრძოდი? ამით უნდა ამიშენონ გლეხური სიძინი?“ ჰფიქრობდა სულიერად მოდუნებული მარაბდელი.—ეს ხალხი კი არა, ლაფი ყოფილა. ქვიშა, ქაოზი! მათ კირი არა ჰქონიათ და ამიტომ არ აშენდების ლამისგან ბირთვის-სამშვილდის ციხენი. ვაი დაკარგული ჯათაფ! ვაი ტყუილბრალოდ დანუშულო მმად ნათეცებო და ვაი შენც, შედოვლათო ოძელაშვილო!“

დიდ—ხანს იდგა შუა შინდორში მხედრის ძეგლივით აყუდებული, ყვირთელი ბოლმით გავესებული და სამასი წლის მკვდარივით მივიწყებული ოძელაშვილი.

მერე ლურჯა მოატრიალა და ნელი ნაბიჯით გამოსწია ქალაქისკენ.

როსტომი და ლეთისავარიც შორი-ახლოს გამოჰყვინენ დუმილით.

ხოსიტა გურგენიძე ქვეშეთში დაბრუნდა, ზურა და მავდანაც წამოიყვანა და თავის შინგრეულ ნასახლარში დასახლდა, სადაც მარტოხელა დედაბერი თავის დაკარგულ შვილს თვრამეტ წელიწადს უკვდიდა.

—დაბრუნებას მოვილოცავ ხოსიტაე!—უთხრა მას რამდენიმე დღის შემდეგ სუმბათაშვილმა.—მობერებულხარ, რატომ აქამდე არა მნახე?

—ვერ მოვიცალე და არა გნახე.—მიუგო ნატყვევარმა.

—მაშ კიდევ დაისვენე და მერმე მოვილაპარაკოთ.

—რაზე უნდა მოვილაპარაკოთ, ბატონო?—ჰკითხა გურგენიძემ.

—რაზე და იმაზედა. განა დაგავიწყდა ვისი ყმა იყავი?

—ეგ როგორ დამავიწყდება, ბატონო? თვრამეტ წელიწადს ჯვარზე ვიყავი გაქრული და მუდამ შენს წყალობაზე ვფიქრობდი. დღემდისაც ვფიქრობ როგორ გადაგიხადო მადლობა—მიუგო ნაცემემა და შავად გავარვალებული თვალეზში თავის ნაბატონეის შემკრთალ თვალეზში გაუყარა.

—შენ რალაც ირიბულად ჰქსოვ და ვერ გამიგია.—ხრინწით ჩაუბებურტყუნა სუმბათაშვილმა.—მაშ ჩემი ყმობა აღარ გინდა?

—ძალიანაც, შინდა—წვერში ჩაღიმა ნადიაკვანარმა,—ცხადლივ და სიზმარშიც მარტო მავასლა ენატრულობ, მაგრამ ერეკლე მეფის კანონში ნათქოშია, თუ ბატონმა ტყვეობაში მყოფი ყმა სამ წლამდე არ დიხსნას, ყმა ახატად ჩაითვლებათ. აგრე ვახლავთ, ჩემო ბატონო.

—ხოსიტაე, გირჩევ ძველი კანონები დაივიწყო. ახლა ჩვენ ახალი კანონები გვაქვს და იქ მავგვარი რამ არაფერი სწერია.

—რა მათქვს და რასა მთხოვ, ბატონო?!—აუწია ხმას ხოსიტამ.—დანგრეული ქოხი, დარდისგან მიხრწნილი დედა, ერთი მტკაველი გავვრანებული ბალი და ცხრა მტკივნეული ჰრილობა. აი ჩემი ავლადიდება. წაილე და მოიხმარე!

—ქაბუჯი შვილი გყავს და შენც ყველას აჯობებ მუშაობაში.

—ზურას შენი მიწისა ერთი მარცვლიც არა უქამია რა, ის მარაბდის მიმიწაწყაზეა გაზრდილი. მე კი...—და ნაცემევი ისე დადუმდა, რომ მისი ქექაქუხილი ასეთ დუმილზე უფრო ლმობიერი იქნებოდა.

— მაშ კარგი. მერმე დაგიბარებ და ვნახოთ.—მუქარით უთხრა ბატონმა და გატრიალდა.

სუმბათაშვილმა რამდენჯერმე დაიბარა გურგენიძე, მაგრამ ზუსტად ვერც ერთ დღეა და არ მიდიოდა. მან კარგად იცოდა, რომ დღეს მან უნდა ბატონი თავისმოურავებით და შინაყმებით მიუვარდებოდა კარზე და მის დამორჩილებას მოინდომებდა. იცოდა და მუდამ მზად იყო თვითონაც, მისი ზურაც, მათი შეზობელი ლამბაშიძეც, რომელიც მგელივით მიიწევდა ბატონზე, და სიმონა, სევასტი და მეშთაც, რომელნიც ისე გათამამებულიყვნენ, რომ იქვე ტაშისკარში ჩამოსახლებულიყვნენ და ლამბაშიძესთან ერთად სუმბათაშვილზე ნადირობდნენ. მაგრამ ბატონმაც იცოდა, რომ ის ნიშანში ჰყავდათ ამოღებული და ციყვივით ფრთხილობდა

ერთ ღამეს ხოსიტას ფრთხილად დაუკაუნეს კარი.

— რომელი ხარ?

— გარეთ გამოდი. შინაურები ვართ.

ხოსიტამ სიმონას ხმა იცნო და გავიდა, დერეფანში სევასტი, მეშთა, სიმონა და ლამბაშიძე უყდიდნენ.

— ამაზე მეტი აღარ შემიძლიან!—მალალი ჩურჩულით წამოიძახა ლამბაშიძემ და ქუდი მიწაზე დაანარცხა;—ან მე და ან ის ასპიტი! თუ თქვენ არ მიშველით, მარტო წაეალ და რაც მოხდება, მოხდეს!

იმ დღეს ბატონმა ისე აცემინა მისი მამა, რომ მოხუცი სულს ჰლაფავდა და ლამბაშიძეც ამის გამო გამძვინვებულიყო.

— აღარც მე შემიძლიან.—დაუმატა სიმონა ცხოვრებადემ.—ტყის ნადირად გადავიქეციოთ და დროა გავათავოვდ.

— აღარც მე შემიძლიან. დროა გავათავოვდ.—ამოიხრიალა მეშთამაც.

ჩურჩულმა დიდხანს გასტანა.

— მაშ გათავებულია?

— გადაჭრილია

— ვინც უკან დაიხიოს, დედა შეერთოს ცოლად.

— აგრე იყოს.

პირობა დასდეს და უკვე დაშლას აპირებდნენ, ამ დროს შინიდან მანდილ-მოხვეული მაგდანა გამოვარდა, ხოსიტას მკლავში ეცა და დანარჩენებს მიიძახა:

— არ გაუშვებ! გრცხვენოდეთ!

— დედაკაცო!—დაბალი ხმით შეუტია ხოსიტამ და ხელი გამოსტაცა.

— არ გაუშვებ შეთქი შეგირცხვეთ ეგ ვაჟაკობა! ნუ თუ ერთ კაცს ოთხიც არ ეყოფით?

ოთხ ვაჟაკს შერცხვა. აირივნენ და ლულულდებდნენ:

— თუ არ უნდა... ძალას არ ვატანთ... ჩვენა, რომელიცა რომა... ხოსიტასაც ბატონის ჯავრი სჭირს და იმიტომ მოვედით თორემა...

—დედაკაცო, მამაკაცის საქმეში ნუ ერევი! მოგვწორდი!—ამბობდა დრო-გამოშვებით ხოსიტა და უნაყოფოდ ლამობდა თავის ცოლი შინ შეეგზავნა. მერმე ზურაც გამოვარდა და განაცხადა:

— ეგ რა მამა-ჩემის საქმეა მე მოვდივარ.

ხოსიტა შეკრთა, მაგდანა კი გაანჩხლდა, შვილს და ქმარს მიუქრდა და უწინდელ შავ ალქაჯად გადაიქცა. საწყალი დედაკაცი თვრამეტი წლის ნაქვრივალაია. მან უამრავი ტანჯვა განიცადა. პაპა ცეცხლში დანეწა, მამა ჩამოუხჩეს, ქმარი გადაუჟარგეს, ძმა მონასტერში შეუვდეს, სახლკარიც გადაუწვეს და ნადირივით გარეთ გააგდეს. ეხლა ძლივს გაუღიმა ბედმა და ქმარი დაუბრუნა. ხოსიტა ავადმყოფია, ზურა ჯერ ქაბუკია და ნუ თუ მათ უფლება არა აქვთ ცოტახანს მაინც შეისვენონ და გავერანებული ოჯახი ცალ ფეხზე მაინც წამოაყენონ?

— ამას ლმერთიც გვიყაბულებს და ადამიანიცა, თქვენ კი დახმარების მაგივრად უკანასკნელი თავშესაფარი უნდა დამიზნგრიოთ და ისევ ტყეში უნდა გამაგდოთ? გცხვენოდესთ!—ამოისლუკუნა ნაქვრივალმა და ცრემლი, საყვედური და მუდარა ერთმანეთში აურია:—სირცხვილია... გეხვეწებით... შემობრალეთ სანამ ზურა დედას ამშვიდებდა, ხოსიტამ სტუმრები გააცილა და უთხრა:

— დედაკაცს ყურს ნუ უვდებთ, ან მოუსმინეთ, მაგრამ პირუკულმა მოიქეციოთ და არასოდეს არ შეცდებით.—გაიხსენა ენგიჩარმა ოსმალური ანდაზა.—ახლა კი წადით და როცა მზად იქნებით მეც დამიძახეთ დი წამოვალ.

გურგენიძე რომ გაბრუნდა, მეშთამ დანარჩენებს უთხრა:

— ლმერთმანი, მაგდანამ ჩვენ მართალი გვითხრა.

— მართალი სთქვა.—დაუმოწმა ლამბაშიძემ.—ჩვენც ვეყოფით.

— შეტიც მოვალთ.—დაუდასტურა სევასტიმ.—თუ დაგვკირდა, თუნდ ათ სხვასაც ვიშოვიოთ. რაზმაძეს ველაპარაკე და სთქვა, პირველი მე შეუფარდებოი ღონღაძეც გამოგვეყება.

— მაშინ ხონიტას თავი დავანებოთ.—დაუმატა სიმონამ და ოთხივენი ბნელ ორღობეში შევიდნენ.

ბნელი და მშვიდი ღამეა. ქვეიდან მტკვრის დუღუნი ისმის, საცაა თრილ-თზე მთვარე შემოჯდება. დღეს ქვიშხეთში ნადრევად შესახლდა დუმილი. ყველამ ადრე ჩაიკეტა კარი და ისე გაინაბა, თითქო შემოპარულ მტერს ემალებოდაო. ისინი ბაღლების ღნავილს სისინით აღიობენ, დახველებასაც კი ერიდებიან, რაღაც სახარელ ამბავს ელოდებიან და ეშინიათ გამოტყდნენ, რომ მათ რაღაც იციან, მხოლოდ ძაღლებს შესჩენიათ ავი რამ წინაგრძობა, რომელიც მათ აწვალებს და ველარ დაუმალიათ: ბორცვებზე ჩასკუპებულან და ისე გულსაკლავად ჰღმუიან თითქო წინდაწინავე ვილაცას დასტირიაო.

სუმბათიან გორაკი ტყით არის შემოსილი და იმ ტყეში ცხრა შავი ღანდი მიიპარება. ცხრანივე თხემზე ავიდნენ და გალავანს მიადგნენ ბატონის სახლში სამი ფანჯარაა განათებული და შეთქმულთაც სწორედ ეს უნდათ: მაშ ბატონები ეახშამს მიირთმევენ და ერთ ოთახში იქნებიან შექუჩული. ლაცაბიძემ ერთი გლეხი ფანჯრის ძირში დააყენა და ნიავივით ჩასჩურჩულა:

— აქ იდექი თუ ვინმე გადმოხტეს, ცოცხალი არ გაუშვა.

დანარჩენებმა მარცხნივ მიუბვიეს და რკინით შეკრილ ჭიშკარს მიდგნენ. ამ დროს იგი მაგრად უნდა ყოფილიყო ჩაკეტილი, მაგრამ ლაცაბიძის ძმას სუმბათაშვილის შინაყმას, სევასტის დევალება პირნათლად შეუსრულებია. არც

სხვებს გამოუდევიათ თავი, ეზო დაუცალიერებიათ და აფე ძალღებნიც მიუ-
მალიათ.

ორი კაცი ჭიშკრის უკან აიტუზა, ექვსი კი ისე აცოცხლა, რომ
ხის კიბეს ერთხელაც არ დაუკენესია. სუმბათაანი ეახშაშს შეექცევიან. სამი
მათგანი შეთქმულთა პირისპირ ზის! დიდი ბატონი ალექსანდრე, ქალელი
აბაშიძე, რომელმაც სუმბათაშვილთან ერთად ხოსიტა გურგენიძე და მრავალი
სხვა ტყვეთ გაპყიდა, და დიასახლისი სოფიო. მათ პირდაპირ სამი სხვა ქალი
ზის, შუაში ბატონის ოთხი წლის ვაჟი ჩამჯდარა.

კეთილი და პატიოსანი. მას ყველანი შინ ყოფილან გარდა ბატონის ორი
უფროსი ვაჟისა—დავითის და ვასილისა, რომელნიც ქალაქში სწავლობენ და
ორ კვირაზე აღრე ვერ ამოვლენ. „ვაი დედი-თქვენის ღმერთსა! ბუდი გწყალობთ
და გადარჩებით“.

სამმა ჩახმახმა ჩუმი ხმით დაიჩხაკუნა და ლაცაბიძემ, ლამბაშიძემ და ცხოვ-
რებაძემ ორ ფანჯარას სამი ლულა მიუშვირეს. უცებ სახლი შეინძრა: ორმა
თოფმა ერთად დაიქექა და არც მესამე ჩამორჩა.

სოფლის ძალღებმა გამბეინებით შეტყმუველს და მას შემდეგ მათი გამბული
გლოფა ერთი წამითაც აღარ შეწყვეტილა.

ექვსი გააფეხული მამაკაცი სასადილო ოთახში შევარდა და სანთლების
შექვე ექვსი ხანჯალი ექვსრ მოკლე ელვასავით დატრიალდა.

ალექსანდრე სკამიდან გადავარდნილიყო, ბრჩილებით ჰბრლენიდა მუხის
იატაკს და წამოწევას ლამობდა. კნინა სოფიოს ორივე ხელი მკერდზე მიედო
და ძლივსლა ჰყლაპავდა ჰერს. ქალულ აბაშიძეს თავი მაგიდაზე დაეგდო და
გახეცებულყო.

— დაჰკა! აჰკუწე!

და კრიალა ფოლადები ერთ წუთში მუჭი სისხლით დაიზინდა.

— არ დაინდო! ასჩეხე! არ გაუშვა!

სამი გადადრულ-გამოფაშული ქალიც სასოწარკვეთილი კივილით და
განწირულთა უიმედო ბლავილით დაეცა იატაკზე. ოთხი წლის გაფითრებული
ბალლი კედელს აჰკროდა და ცახცახით ჰბუტბუტებდა:

— ძია, მე პატარა ვარ... ნუ მომკლავთ... შემობრალეთ.

სევასტიმ თვალი მოჰკრა მას და სიმონას მიაძახა:

— არ დაინდო! გაიზრდება და ჩენს ცოლშვილს გადაუხდის.

თვალმღვრეული და ხანჯალ-ამოწედნილი სიმონა ბალლისკენ გაემართა.
ბავშვი თვითონვე გამოიქცა მისკენ, მუხლებზე მოეხვია და ერთხელ კიდევ
წამოიძახა:

— მე პატარა ვარ, პატარა, და ნუ...

და ველარ დაამთავრა. მამაკაცის გაფეხებული ხელი ყანყარატოში მისწვდა
მას და მოუჭირა. ბავშვმა თვალეხი გადმოჰყარა და ენა გადმოგადლო.

სიმონამ კი ერთხელ კიდევ აღმართა სატყვარი.

შინ-შეჭრილნი უფრო სწრაფად გამოვარდნენ გარეთ ვიდრე წელან შე-
ვიდნენ. აივანზე და კიბეზე მუჭი ნაფეხარი დასტოვეს და წყლიადში მი-
იპალნენ.

ძაღვები უარესად აყმუფდნენ. მთვარე სარმანაშვილის მთაზე დამჯდარიყო. სოფელი წელანდელზე უფრო მეტად განაბულიყო.

ცხრა ვაჟაკი ისე მირბის მთაწმინდის აღმართზე თითქოს ფეხდებულ მღვარი მისდევდეს. ყველა სდუმს და ეს დუმილი კივილზე უფრო მწვავეა. მხოლოდ სიმონა სთესავს მათ შორის ძრწოლას და გაოცებას; დროგამოშვებით შესდგება და დაიძახებს:

— ძმებო, ენა!

სხვებიც შესდგებიან და ეკითხებიან:

— რა ენა? რის ენა?

ცხოვრებაძე ხმას აღარ იღებს და ქშენით მირბის. მერმე ისევ შესდგება და შემკრთალი ხმით დაიძახებს:

— ძმებო, ენა!

— რა გეშარტება, სიმონ? რა ენა? ვისი ენა?

სიმონა მაინც არაფერს არ უპასუხებს და მიდის, მირბის, მიჰქრის. განთიადი შორს იყო. მთაწმინდა აირბინეს, ბალხოკერას მთას მიადგნენ, უდაბურ ტყეს შეერივნენ, ცეცხლი დაანთეს და მუნჯებივით მიიხსდნენ. ზოგი მათგანი მიწვა. მეშთა და ლაცაბიძე დაკლულებივით ხრიალებდნენ, სხვები კი შამფურებივით ტრიალებდნენ, ოხრავდნენ, ლანდებივით ჰბორიალებდნენ, შემდეგ ისევ ცეცხლის პირას სხდებიან, წვეებიან და ხანდახან ისეთი ჩურჩულით ისვრიან თითოთოროლა სიტყვას თითქოს ბუჩქებისა ეშინოდესთ. სიმონა ისევ შფოთავს:

— ძმებო, ენა! ენა!—დროგამოშვებით შესძახებს, ცახცახით წამოვარდება და გაქცევას აპირებს.

ცხოვრებაძეს იჭერენ, ამშვიდებენ და აკვიატებულ შენაძახის გამოცნობას ლამობენ, მაგრამ ის ცხრაკლიტურს იღებს პირზე და ისევ მუნჯდება.

სევასტიც წამომჯდარა და დამუნჯებულა. ზოგიერთს კი უცებ აუქავდა ენა და ველარ ისვენებენ. იგონებენ წელანდელ სისხლიან ნახელავს და ზედმიწევნით ახსოვთ ყოველი წერილმანი: მომაკვდავთა პირსახის მეტყველება, თვლების ბრიალი, ტუჩების ცმაკუნნი, სიცოცხლის გადასარჩენი სხლეტა და მომაკვდავთა გმინვა და შენაძახი.

— კაი, გაჩუმდი! რა სალაპარაკოა!—იღრინება ლაცაბიძე და ყველანი ჩუმდებიან, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ მოგონებანი ხელახლა ცოცხლდება.

რიყრაყზე სიმონა ერთხელ კიდევ წამოვარდა და ყველანი წამოშალა.

— ძმებო, ი ბალლი მომაშორეთ, თორემ გავგიელები! სულ თან დამდეგს, ენას მიყოფს და აღარ მშორდება. წამოიძახა მან და ხანჯალ-ამოწვდენილი ეცა ფოთლიანს. ეცა და გავეშებული ჰკაფავდა ყლორტებს, ტოტებს, პაერს და თან ჰკიოდა.

— დაიჭი! არ გაუშვია! ესეც შენი! ესეცა! არც ეხლა მომშორდება?—და ის ბალლი ერთხელ კიდევ ასჩება და მის ენას ღრმა ხევეში დაემალა.

ისევ დაიჭირეს, შეჰკრეს, წყალი მიასხეს და პირქვე დააგდეს. მაგრამ ბავშვიც მიწაში ჩაწვა და თავის მკვლეულს იქიდანაც აწვალბდა.

— ძმებო, ავი სიზმარი ვნახე.—სთქვა მერმე სევასტიმ.—ქონველები მე-
ხვეოდნენ და ვერ მოვიშორე. აქაურობას უნდა მოვშორდეთ.

რა თქმა უნდა მოშორდებიან, მაგრამ საით წავიდნენ? ვინ შეეფერონ
თავი? ახალციხე თავშესაფარებლად სულ აღარ ვარგოდა, ამიტომ ზოგი აქარის-
კენ მიიწვედა, ზოგს იმერეთი უჯობდა. თათბირმა დიდხანს გასტანა.

ანაზღად ფოთლის შრიალი მოისმა და ბურჭებიდან სუმბათთან მოურა-
ვის ძმა ნიკო ნემსაძე გამოვიდა და ხელნაკრავივით შესდგა. ცხრა კაცში ექვს
კაცს ხელემა სისხლში ჰქონდა მოსვრილი, ზოგს კი სიბნელეში პირსახეზე მოესვა
სველი ხელი და აქა-იქ სისხლის დაღი დასჩენოდა.

— გამარჯვება, ბიჭებო!—მიიძახა ნემსაძემ და გაიფიქრა: „აღბათ სუმბა-
თანი დაუხოციათ“.

— გაგიმარჯოს, ბატონო!—უპასუხა მათ და გაიფიქრეს: „თუ ეს კაცი
ცოცხალი გავუშვით, უქველად დაგვაბეზღებს“.

ნემსაძე ხარაგოულში ცხოვრობდა და ამ ალაგებში ზშირად ნადირობდა,
ეხლაც სანადიროდ წამოსულიყო და ანაზღად ავ ბუნაგში მოექცა. მიიხედ-
მოიხედა. მაგრამ გვიანდა იყო გასხლექა. მას ცხრა სისხლნასვამი კაცი შე-
მორტყმოდა და ერთმანეთს თვალეზში შესცქეროდნენ. ნემსაძემ აღარ დააყოვნა
და მათი ზრახვა თვითონვე გააშიშვლა:

— ძმებო,—უთხრა მან,—რალაც ცოდვა ჩაგიდენიათ და ღმერთი იყოს
თქვენი გამკითხავი, მე კი ნურაფერს ნუ მერჩით და ისევე ჩემი გზით გამიშვით.

— გაგეცემს! გვილალატებს! მოვკლათ!

— ნუ, ძმებო, ჩემი ცოლშვილის ცოდვასაც ნუ მიიმატებთ. ღვთის ფიცს
გაძლევთ, რომ ხმასაც არ ამოვიღებ.

და მონადირემ ყველაფერი დაიფიცა რაც სწამდა და არა სწამდა. ლაცა-
ბიძეს შეეწვერა ეყარა თეთრი ეშვები და ხანჯალი ველარ ჩაეგო უკანვე.
„ბუხრის მტრედი“ დაიქნებით მიიწვედა აზნაურზე და ბუტბუტებდა:

— მაგის ფიცი არა მჯერა, მიმიშვით! ჩამოშორდით!

სამაგივროთ ღამბაშიძემ დაუჯერა. ისიც ხარაგოულელი იყო, ნემსაძისა
რალაც მადლი ახსოვდა და ვერ გასწირა.

— ეგეც წავიდეს და ჩვენც წავიდეთ.—ამბობდა ის.—სულ ერთია, მაინც
ქედ უნდა გვეძებონ და ამ კაცის სისხლი რალად დავიდოთ“.

დაუჯერეს და გაუშვეს. ნემსაძე ხაფანგიდან გაშვებული ვირთავასავით
შევარდა ფოთლიანში და ისეთი ფხაკუნი ასტეხა თითქო ათი კაცბ მირბოდაო.

შიში მძაფრ შიმშილს იწვევს და ამიტომ ცხრა კაცს ისე მოშვიდათ, თით-
ქოს სამი დღის უქმელები ყოფილიყვნენ. მაგრამ სანამ ჰამაზე იზრუნავდნენ, იმ
სახიფათო ალაგს მოშორდნენ რა ერთი საათის შემდეგ უფრო უღრან ტყეს
შეებიზნენ და სამი კაცი სანადიროთ გაჰგზავნეს. ლაცაბიძემ ითმინა და
ველარ მოითმინა.

— ძმებო, ვინც ხარაგოულისკენ მოდის, ეხლავე წავიდეთ.

იფიქრეს, ითათბირეს და ორ ჯგუფად გაიყვნენ: ლაცაბიძემ, ღამბაშიძემ,
შეშამ და უკე მოსულიერებულმა ცხოვრებადემ ნებოძირის ტყე ამჯობინეს, ხო-
ლო დანარჩენებმა უფრო მოშორებული აქარა აირჩიეს.

— შვიდობით იყავით, ძმებო!

— თქვენც შვიდობით იყავით, ძმებო! იქნება ერთმანეთი აპარაში ვნახოთ.

ერთმანეთს გადაეხვივნენ, მამაკაცურად იტირეს და ოთხი კაცი ცრემლის წმენდით მიიმალა ტყეში.

სანამ ნადირს მოიტანდნენ და შესწავლდნენ, შუადღე გადავიდა.

ნიკო ნემსაძე მღევარს შუა გზაზე შეხვდა. მათ ყველაფერი უამბებს და გამოჰკითხეს. ნემსაძემ ფიცი გასტეხა. სურამის ისპრაფინკა ნემსაძე წინ წამოიძლო და ორმოციოდე კაცით უკან გამოჰყვა. ორიოდე საათის შემდეგ ნემსაძე წელანდელ მოღზე გამოვიდა და წინამავალ იასაულს უთხრა:

— იმ აქ იყვნენ.

მოლი ჩაფრებით და შეიარაღებული გლეხებით გაივსო. იქაურობა მოჩხრიკეს, ადვილად იპოვეს კვალი და ისევ გზას გაუდგნენ.

ექვსი კაცი ხარბად დასცქეროდა მარგილის-ოდენა შამფურებზე აგებულ ნანადირევს, როცა აქეთ-იქიდან ორმოციოდე კაცი გამოეარდა ჭყვილით:

— არ გაინძრეთ! დაგზოცავთ! დაგვინებდით!

ექვსმა კაცმა წამოწვეა ვერ მოასწრო და ვინც წამოიწია. მომხდურებმა კონდახებით წააქციეს, სისხლში ამოსვარეს, მერმე წნელებით შეუტარეს ხელები. შუაში ჩააყენეს და უშვერი ლანძღვა-კრულვით ისევ ქვიშეთისკენ მოაბრუნეს. მაგრამ დამკითხავმა მხოლოდ ათი კაცი დათვალა. ორი აკლდა. მათ ჯოხების ქვეშ დაეღლიათ სული.

მეორე დღით სუმბათაანთ ეზოში ექვსი კაცი ჩამოჰკიდეს, ხოლო ოთხს ოთხს ცალი უღვაში, ცალი წვერი და ნახევარი თავი მოჰპარეს და ციმიბრის უღვიველ გზას გაუყენეს.

* * *

ოთხმა მმანდაფიცმა ნებოძირის ტყეში მხოლოდ ოთხი დღე დაჰყო. მეოთხე დღეს საღამო ეამს ძილის დროს მღევარმა ამთაოც დაჰკიკლა: „არ გაინძრეთ, თორემ დაგზოცავთ“—და ლაცაბიძეს და სიმონას ოციოდე კაცი მიასკდა მათ თოფის გასროლა ან ხანჯლის ამოღებაც კი ვერ მოასწრეს და მხოლოდ კბილებით, წიხლებით და მკლავითლა იბრძოდნენ. სევასტიმერთს საფეთქელი გაუხეთქა, მეორეს მისივე კბილებით გაუვსო პირი და მესამეც და მეხუთეც ააბლავლა, მაგრამ რამდენიმე კონდახი ჰკრეს, წააქციეს და უკვე შებოჭილ სიმონას გვერდით მოუწვივნეს.

სიფრთხილისთვის ლამბაშიძე და მეშთა ხევის გაღმა „ცხოვრობდნენ“. ყვირილი რომ გაიგეს, შუადღე წამოცვიდნენ, ვეება ლოდებს ამოეფარნენ დასროლა ასტეხეს. სამი მომხდური წაიქცა დანარჩენებმა მსროლელთა ადგილი აღმოაჩინეს და სროლითვე უპასუხეს.

— მეშთა, მიშველე!—დაიძახა უცებ ლამბაშიძემ.—ფეხში დამჭრეს.

მეშთა მხარში შეუჯდა დაჭრილს და ორივენი გაიქცნენ. ტყე ისევ ჰჭებდა ჩაფარ-იასაულებს ის ორი კაცი ისევ იმავე კლდეში ეგულუბოდათ და ცალიერ აღაგს გულმოდგინედ ხვრტაედნენ ტყვიით. მერმე მიხვდნენ, დაედევნენ და

მათი დილანდელი აღმა-მივალი კვალი აიღეს, მეშთა კი დაქრილ ამხანაგს/ დაღმა წყალ-წყალ მიაქანებდა. ლამზაშიდემ თანდათან უმატა კოქლეჯეს/ დე-ბულოს სთქვა:

— ძმაო მეშთა, თავს უშველე, მე კი სიარული აღარ შემიძლიან დ აქ დავრჩები.

მეშთამ დაკოდლი ამხანაგი მხარზე ჰოვდო, დიდხანს ირბიშა და ისეთ შამბიანში შეათრია, რომ იქ შესვლა ნადირსაც ვაუბნელდებოდა. ამისობაში დაბნელდა და მდევრის ხმაურობაც სადღაც ზემოთ მისწყდა.

სიბნელეში მგლის თვალმა გაიკრიალა და შემდეგ მისი ჩახლეჩილი ყმუილიც გაისმა.

მესამე დღეს დილაადრიან დაიწყეს. ხელ-ფეხ შერკული სევასტი და სიმონა ხიშტების რკალში იღვწენ და წერილი ნაბიჯით მიდიოდნენ. თან მცირე იმედი და სიცოცხლის განუზომელი წყურვილი მიჰქონდათ. ხარაგოული გაატარეს და სახრჩობელას ძირში დააყენეს, რომელიც მიწიდან ამოშვერილს სულთამბუთაეის მოლუნულ მკლავს ჰგავდა. მთელი ფორი მღუპარე ხალხს შეეკრა და ხალხთვე იყო შეკუნწული ყველა ბანი, ხის ტოტი და კორდიც.

ხელისუფალთა გარდა ყველამ ქუდი მოიხადა. ბარაბანი აკაქანდა და როცა მისი ხმა შესწყდა. ორ განწირულს ვიღაც მოხელე შიადგა და რუსულად დაწერილი განაჩენი წაუკითხა. სხვა ვიღაც ხელჯოხოსანმა ქართულად გადაუთარგმნა და განუმარტა, რომ სახმედრო სასამართლოს დადგენილებას ვერაეინ ვეღარ შესცვლიდა.

სევასტის თავის მიჩლუნგებული ეშვები მოთელილ წვერ-ულვაშზე დაეწყო გულგრილად ათვალეიერებდა ხალხს და ნიადგა სდუმდა. სიმონა თავჩაქინდრული იდგა და დროგანოშვებით ნაწყენი ბაეშეივით კენესოდა.

— ენა, სევასტო! ენა მომაშორე, შე კაი კაცო!

ლაცაბიძემ ფეხებთან დავარდნილი პურის ნაჭერი დაინახა სწრაფად წაიჭოქა, კბილებით დასწყდა. ისევ წამოდგა და გაათვრებო და-რღნა. მის ძალიან ხშირად ჰშვიებია, მაგრამ ასეთ მწვავე შიმშილს პირველად ჰგვრებოდა. გაუგებარი იყო: ლაცაბიძემ წინა საღამოს პირთამდე გაივსო: სტომიქი. ენდა კი ხუთ პურს და ერთ ბატკანსაც მოინელებდა.

უცებ ლაცაბიძემ უცხვირპირო კუჭატენეს მოჰკრა თვალი. იქვე შორიახლო იდგა და ორ განწირულს მკაცრი თვალით შეჰყურებდა.

„საიდგან განინდა ეს ტიელი?— გაუკვირდა სევასტის. ნუ თუ ასე მალე დამედგენა და აქ ამოსვლაც მოასწრო?“

არა, სეფისკვერადე სულ სხვა ვინმეს დაედგენა. მარინეს შერთვის იმედი რომ გადაუწყდა, საცოლეს ძებნას შეუდგა და კიდეც მიაგნო. ხარაგოულში ვინმე ბუაჩიძე ცხოვრობდა და მას ერთი გასათხოვარი ქალი ჰყავდა. გიორგის დედამ სოფელ უბისიდან გაურვივა ეს ქალი და შვილიც დაიბარა. ქალაქიდან ამოსულმა კუჭატენელმა გუშინწინ მიიტანა იერიში ძმადნაფიციებზე, გუშინ დანიშნა ქალი, დღეს დაესწრო საზეიმო სიკვდილს და აპირებდა ხეალ დამბრუნებულიყო ქალაქში, რათა მათორი ახალი გამარჯვებით გაეხარებინა და ახალი

ჯილდოც ეთხოვნა. სევასტიმ და სიმონამ ტყეში ბრძოლის დროს იმიტომ ვერ დაინახეს სევასტევირადე, რომ ის მეშთას და ლამბაშიძეს დაედევნა.

ლაკაბიძემ ისე გადაჰხედა და ისე ჩაუქნია თავი გიორგის, თითქმის ეუბნებოდა: „აჰა, ხომ მოესწარი, კუქატნელო, მაგრამ ჩემ მაგიერ სხვა ვინმე გიტარებს დედამო“.

მოხელემ განაჩენის კითხვა დაასრულა და საზეიმო ნაბიჯით დაბრუნდა.

ვილაცა ნელი ხმით იძლეოდა ბრძანებას.

უცებ ბარაბანი აბაგუნდა.

ჯალათმა ორივე ხელი დაიმკლავა და, თავდალუნული, ბრმა მოზვერივით წამოვიდა.

დაიცა, ჯალათო!

განწირულებს ასეთი საზღაპრო დილა ჯერ არასოდეს არ უნახავთ. არც ესოდენ ტკბილი და თავბრულდამხვევი ჰაერი უყნოსიათ.

იქვე ბალში უცხო რამ ფრინველთა გუნდი გალობს. გრილი წიავე ფოთლიანს არხეებს.

მოიცა, ჯალათო!

დილის ნაბი მარგალიტია. ლამის ნესტი მათრობელია. მოიცა, ეს თივილი მოასწენინე. ამის მსგავსი მათ ჯერ არა გაუგიათრა და ვერც ვერასოდეს გაიგებენ. ვერასოდეს! არასოდეს!

რა განქარებს, ჯალათო? ხუთიოდე წუთი მაინც აპატიე, რათა აგერ ის ხნიერი ხალხი მოათვლიერონ. იქნება ლაკაბიძის დედამამა ამოვიდა ზესტაფონიდან? შესაძლებელია ქვიშხეთიდან სიმონას დედაც გადმოჩანჩალდა? მათი უღირსი შვილები ერთხელ კიდევ გადაჰხედავენ მშობლებს და საფლავში მათს დავიწყებულ სახეებს მაინც ჩაიტანენ.

ჯალათო, მოიცა მეტკი!

ხუთიოდე წუთი მაინც ატუქე. იმიტომ ხომ არ დაბრუნდა სევასტი ცხრა წლის შემდეგ მშობელ სოფელში, რომ სამი ადლი თოკი და სამი ალაბი მიწა ეშოვნა!

მაგრამ ჯალათს მათი შინაგანი მუდარა არ ესმის და ორივენი სამეფხა სკამისკენ მიჰყავს.

რა ზღაპრული მზე ამოდის! რა მათრობელია ეს ჰაერი! რა ტკბილია ეს სურნელი! რა საამურიია სირთა. თივილი და ყვავი-ყორანთა ჩხავილიც!

აგერ იქ დიდწვერა მოხუცი იცრემლება—ნეტა სევასტის მამა ხომ არ არის?

აი აქ დედაბერი ტირის—სიმონას ბებრუტუნა ხომ არ არის.

მაშ დააცადეთ. ჯერ გაიგონ. მშობლებს გაუღიმიონ და მერმე ჰქენით თქვენი საქმენი.

მაშ არ აცდით? თუ აგრეა, ბუდრის მტრედი ლაკაბიძე ასე ადვილად არ დაგნებდებათ. ცხვარი ხომ არ არის, რომ დანის დანახვაზე თითონვე გაილელოს ყელი?

და სევასტიმ უცებ უკან დაიწია და ჯალათს ისე ძლიერ დაატაკა თავი უცელში, რომ იგი ტომარასავით დაეცა და გაიგუნდა, მაგრამ მას კუქატნელი,

დამხმარენი და ხელქვეითები მოეშველნენ და გაცოფებული სევასტი ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ სამეფეხა სკამზე აათრის.

დაიკადეთ! შესდევით! ხუთიოდე წუთი აბატიეთ... ოთხეულს შემოვიყრეთ... ერთადერთი მანც აჩუქეთ!

არ აჩუქეს.

და ლაცაბიძის შემდეგ მისმა ძმანდფიცმა სიმონამაც ისე ვადმოავდო ენა როგორც მის შიერ დატანჯულმა და მისმა მტანჯველმა სუმბათაანთ ბალმა.

ორი კვირის შემდეგ გაძვალტყავებულმა და ჩამობლერძილმა მეშთამ ოძელაშვილი თათარავანის ტბის ნაპირას იპოვნა. არსენას საზაფხულოდ იქ აერეკა ცხვარი და ჯავახეთის მსუქან თეძოებზე აძოვებდა.

— მეშთას გაუმარჯოს! რასა იქ. ბიჭო? საიდან მოდიხარ?

— იმერეთიდან მოდიხარ, — წაილულულა მეშთამ.

— იმერეთში რა გინდოდა? ბიჭოს, რა გატირებს? ჩქარა მიამბე, რა მოხდა? როგორ არიან ხოსიტა, ზურა, მავდანა? სად არიან სევასტი და სიმონა?

ორივენი ქვაზე ჩამოსხდნენ. მეშთამ ყველაფერი უამბო. არსენა სდუმდა და თანდათან სევდით იღრუბლებოდა.

— მე და ლამბაშიძე ძალიან კარგ ალაგას დაიშალენით, — განავრძო გადარჩენილმა, — მაგრამ ღამით მგლებმა გიპოვნეს.

— კარგ ალაგას დამალულხართ, კარგი შენ დაგემართოს, მერმე?

— დიდხანს ვიომეთ, მაგრამ მგლებმა გაჯობეს და მე ხეზე ავედი.

— ლამბაშიძე?

— საწყალი დამბაშიძე ვერ ავიყვანე და მგლებმა შეგკამეს.

— ვაი რა მურდლად წამხდარა! მერმე, მერმე?

— მერმე მე ხარაგაულში ჩახვედი, სოფლის ბოლოს სახჩობელა იდგა. გორაკზე იდგეი და შორიდან უყურებდი.

— მერმე? სთქვი, რალა! ნუ თუ...

— მერმე სიმონა და სევასტი მოიყვანეს და... და ორივე ჩამოგახრჩეს.

— ჩამოახრჩვეს? სიმონა და სევასტი ჩამოახრჩვეს? ღმერთო დიდებულო! — წამოიძახა მარაბდელმა და ზე წამოიჭრა. ცოტა ხანს იყუჩა და მართოლვარე ხმით დაუმატა; — ვაი შენ, ჩემის ცოდვით სავსე სევასტი! ვაი შე საწყალო სიმონავ! აბა რა ვაჟაკობაა, რომ დედაკაცები და ბავშვი დაგიბოცნიათ! რა მალე დაგწევიათ მათი ცოდო! თქვე უბედურებო, განა არ იცოდით, რომ ბავშვისა და დედაკაცის სისხლი არასოდეს არ იკარგება? ღმერთო დიდებულო, სევასტი და სიმონა ჩამოახრჩვეს!

და რათა თვალზე-მომდგარი ცრემლი დაემალა მეშთასავან, მარაბდელი გატრიალდა და ნელი ნაბიჯით წავიდა ბინისკენ.

გაოცებული ყურში ფეხაკრებით ვაჟკა მგლოვიარე პატრონს.

თავი მეცამეე

ბანკმეტილი კვანძები



მოსარჩლე ხარ კერიე-ობლისა, კვალი შევრჩა მირონისა.
სისხლი გიდულს ღვთისაურისა, ბარათაანთ მედროშისა.
ხალხური.

მარმარილოს ჭეა ვასთაღეს, დაადეს და დასწერესა.
„აქაც კარგი კაცი იყავ, იქ ნათელი დაგადგესა“.
მესტერი უღი.

„გაუწყრა მალალი ღმერთი ფარსადან ბოდბისხეველსა.“
„არსენავ, გეთაყვანები, რატომ არ მოდიხარ ჩენისა?
— მილალატებ, ნათლიმამავ, მიტომ არ მოვდივარ თქვენსა.
— არსენ, როგორ გილალატებ სამი შეილის მომნათულელსა“
„ჩემის მირონის მომღებსა!
„მაშინა სთქვა არსენამა: „მირონს როგორ დამიქცევსა!“
როსტომ სიფრთხილეს ურჩევსა, სულხანს უნდა თან გაჰყვესა:
ნუ ენდობი მარაბდელს, ფარსადან მახეს გიგებსა.
არ დაგინდობს ეგ ბოდბელი გულში რამ ცუდი უდევსა.
არსენ არ დაუჯერებსა და ჯიქივით ახირდესა:
— თუ ლალატი უნდოდესა, აქ მომგვიდა ყაზახებსა.
ორი შეილი მოვუნათლე, ორი ხატი გაუწყრესა,
ახალციხეს დაეხსენი, გაეუგზავნე ბოდბისხევესა.
— აქ ყაზახებს რად მოგიყვანს, ჯილდო თვითონ უნდოდესა.
შეგდა ლურჯას მარაბდელი, სტუმრად შორსა წაივიდესა.
ფარსადანმა რომ გაიგო შუა გზაზე დაუხედესა.
უღიმიის და ეფინება: „ნირი არა წამიხედესა.
ამისთანა ვაჟაკთანა ათი კაცი რას გახედესა!“
არსენავ, გენაცვალეები, სიზმარი არ ამიხედესა.
ლურჯას ნელა ატარებდეს, არაფერი წაგიხედესა.
როცა ბინას მიალწევსა, ცხენიდანა ჩამოხტესა.
„იარალი იყარა, ნათლიდედას აბარებსა.
„ხვალ თუ მშვიდობით გათენდა, ადრინად დამპირდესა“.
ნათლულუმს და ნათლიდედას საჩუქარსა მიართმევსა:
— მშვიდობაში ატარებდეთ“. ერთ ოქროსაც დაურთავსა.
„შემწვარი და მოხარშული წინ ტაბაკით მიართვესა.
სამი ხელადა დასცალა ღვინით რომ ვერ დაათვრესა.
ის ვერავი ფარსადანი ჯიხეში ბანგსა ჩაურევსა.
„დამთვრალსა და თავნატყენსა ტკბილი ძილი მოუნდესა“.
„ნაბადი და ბალიშები საჩქაროზე მიართვესა,
„ხედ ტყავები წაათვარეს: „არსენას არ შესცივდესა“
„ამ წამბდარსა ფარსადანსა გუნებაში რა უძევსა?“



„შეალამე რომ შეიქნა თავის ამქარში გასწევსა“.
 გიგოლაც იქვე უცდიდა, ოძელაშვილს მიადგესა.
 „ათი-თორმეტი მეცხვარე თავს მძინარეს დააწვესა.
 „ეს ოხერი და ტიელი, რა ბუზები მასხდეს ესა?
 „ათს ადგილად წაიშლდა. ყველას მუშტით ამტვრევს ყებებსა“.
 თოვ-დამბაჩა გაახსენდა, ხმალ-ხანჯალსა სძებნიდესა.
 ვაი რა დროს მიასწართო! არსენს ბრძოლა უმძიმდესა.
 „მეთერთმეტე, მეთორმეტე არსენას უკრავდენ ხელსა.
 „ისე მაგრა გაუჭირეს, ფრჩხილებში სისხლი გასწვეთსა“.
 — ვაჰ სადა ხართ როსტომ, სულხან, ერთი ამათ დასკვივლეთა!
 თქვენა რჩევა არ ვიჯერე, ახი იყოს ჩემზედ ესა!
 „ნათლიმამავ, ნუ მლალატობ, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა!
 „მე მლალატობ, ნათლიმამავ, იქ რას ეტყვი მაღალ ღმერთსა?
 „ჩემს მაგიერ სამართალსა ღვთისმშობელი გააჩინესა.
 „ნუ მლალატობ ფარსადანო, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა.
 „ორას თუმანს აქ გაჩუქებ, სამას თუმანს გომარეთსა“.
 „ფარსადანს ასე ეგონა, ჩინს მომცემენ, ტემლაკებსა“.
 ხუთას თუმანს აქ გავიკრავ, ჩემს წერილ ცოლშვილს ხომ არგებსა.
 მისი ლუჯა, მისი ცხვარი, თოფ-ხანჯალიც მე დამარჩესა.
 დიდი ვინმე ყაჩაღია. სხვა ვერავინ დაიჭრისა.
 ფარსადან ბოდბისხეველსა სახელიც გაუვარდესა.
 „ეს არსენა ცხენზე შესვეს, ძირს ფეხები გაუკრესა;
 „ბიჭი მარდია არსენა, ვზაზედ არსად გადმოხტესა“.
 მოჰყავთ არსენ თრიალეთზე, იარეს და ატარესა.
 ფარსადანი შორიბო მოსდევს, ემალება მარაბდელსა.
 თვალში თვალსა ვერ უსწორებს, ვერც ხმას იღებს იმ მურღალსა.
 მარაბდელი ვიწროებში ფიცის გამაჩებს იხელთებსა
 „მოუბრუნდება ფარსადანს, კამეჩივით შეუბღვერსა:
 — „რას მიპირობ, ნათლიმამავ, თუ წაუველ „იმათ ხელსა?
 „თრიალეთში ცხვარს გაგიწყობ, ბარში დავწვავ შენსა ძნებსა.
 „მირონსაც აღარ დავეძებ, ღორივით გამოგჭრი ყელსა“.
 ის გიგოლა ნაბუშარიც იწირპლება შორიშორსა.
 არლოც მოჰგერის ოძელაშვილს, კვლავ მისცემენ დიდ ჯილდოსა.
 როსტომ, სულხან გამორბიან; „დავემბაროთ ძმადნაფიცსა“.
 ვერ მოუსწრეს. სიმწარისგან ორივ ხელი თავს იცესა.
 „ჩამოიყვანეს ქალაქში, თვალებიდან ღერიდა ცრემლსა.
 „მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდივით დასდევსა“.
 სირაჯები, კინტოები, ხელოსნები შემოკრბესა:
 — გამო, საქულ, ერთი ნაზე, მარაბდელი ემე ჰწესა!
 — ვაჰ რა ჯიქი შეუბოჰავთ! დამჭერს ღმერთი გაუწყრესა!
 არსენ ისე ილიმება თითქო ციხე დაეპყროსა.
 „იძვრლები იძახიან; კი-კი-კი-კისა და ქვესა“!
 „სომხები გაიძახიან; „ლავე ბიჭი არის ესა“!



„ოსები კი იძახოდნენ: „ხორზუ, ხორზუ არის ესა“.
 „რუსები— „ოჩენ ხაროში, ეი ბოლუ მალადეცა“!
 ერთიც ვნახოთ მოედანზე ლაბიანა გამონდესა.
 თან ვიგუაც აედენა, ორივე უკან გამოჰყეუსა,
 — თუ ამ კაცსა არ ვუშველეთ, თავი რალად გვინდოდესა!

— ლაბიანა, გამარჯვება! ხელავ როგორ შემოჰქეტსა?
 ყურშა მომდევს, შემინახე, ვინ იცის სად დამჰკირდესა!
 სიონი რომ გაატარეს, არლოვს კარზე მიჰგვარესა.
 არლოვი გამობრძანდება, ბალკონიდან გადმოსცქერსა,
 ელდა ეცა და გაფითრდა, ლამის ქვეით ჩავარდესა.
 გიგოლა რომ დაინახა, უმალ ეზოს ჩავგორდესა.

„ორივეს გაუჯავრდება, თავსა და პირს დაამტვრევსა.“

ორივენი იძახიან: „ვერ გავიგეთ, რათა გვეცმსა?“

„არაფერი არ აჩუქეს ფარსადანს— იმის დამჰკერსა.“

„ორივეს ასე ეგონათ: „ჯამაგირსაც გაგვიჩენსა“.“

„იმდენი მამა უცხოზნადათ, რამდენიც იმათ მისცესა.“

„ერთი ოთხიოდ პანღური ამოჰკერს და გაავდესა.“

არსენა კი წაიყვანეს და ბნელ საკანს ჩაავდესა.

— ამოჰკერს და გაავდესა, არსენა კი ბნელ დილეგში ჩაავდესა. ამაზე ადვილი რალა იქნებოდა! თავდაპირველი საქმე კი ჯერ გადაუტრეული დარჩა: რა ჰქნას ეხლა არლოვმა? როგორ დაფაროს თავის სამარცხვინო საქციელი? თაღლითობას დააბრალებენ, საქვეყნოდ თავს მოსჭრიან და. სამუდამოდ დაჰლუპავენ.

რა შეტიჩარა ყოფილა ის ვილაც ფარსადანი! ვიჭვით იმან არა იცოდარა, მაგრამ ამ გიგოლას რალა ღმერთი გაუწყრა! ხომ იცოდა იმ სალახანან, რომ არსენა უკვე შვედარია და მის მოკვლისთვის თვითონაც მიიღო ჯილდო! ხელახლა მოუნდა საჩუქარი? მაშ კარგი, ინებოს: არლოვი ისე „დასაჩუქრებს“, იმ პარამზადას, რომ...

დაასაჩუქრებს, მაგრამ არსენას რა უყოს, არსენას?! და ბრაზმორეული მათორი გალიაში მომწყვდეულ მეგლივით ჰბორგავდა ოთახში. სწორედ ამ დროს შემოუსწრო კუპატნელმა, მას უკვე გიგო არსენას დაჰგრა და აღარ იცოდა, მოელოცნა მათორისათვის თუ სამძიმარი ეთქვა.

— გაიგე, გიორგი, რა ვასაჭირში ჩავეარდი?— შესჩიელა მათორმა.— თავი მომეჭრა! ვიღუპები! შეტი გზა აღარა მაქვს: მთავრობას უნდა პატაკი მივართვა და ჯილდოც დაეუბრუნო.

— ეის უნდა დაუბრუნოთ, ვის უნდა მისცენ ის ჯილდო, გიგოლას და ფარსადანსა?— ჯუჯღუნით ჰკითხა უცხვირპირო სეფისკვერამქმ.

— უუჰ მავათ „დედა და მამა!— გულიანად შეუკურთხა მათორმა.— გაიქეცი, გიორგი, და არსენა ამრშიყვანე. იმას მაინც გავიგებთ როგორ გაცოცხლდება ყაჩაღი.

რამდენიმე წუთის შემდეგ არსენამ შემოალაჯა და იმ ოთახში სინათლე და უღარდელი ღიმილი შემოიტანა. მარაბდელმა ხალვათი სალაში მისცა მათორს,

შუა ოთახში აისვეტა და ცერა თითები, ხანჯლის ტარს შეჩვეული, ქაშარში ჩაიწყო.

— გამარჯვება ყაჩაღო! — მზიარულადვე მიესალმა მაიორი, ცხენს და მე და შენ ვერასგზით ვერ გავიყარენით უკვდავი ვინმე ყაფილხანაჲს მხატვარი გადაუთარგმნე!

— ასე მოახსენე მაგ ბატონს: უკვდავი მაშინ ვიქნები თუ ეხლაც გადავრჩითქო. — მიუგო მარაბდელმა.

— ვერ მოვაროვი! გათავდა! ბასტა! გადაუთარგმნე, გიორგი! მალალი ღმერთიც ვეღარ გიშველის. ია შენი დასასრული — და მაიორმა სამი თითი მოიჭირა ყელზე. — აბა ეხლა გვიამბე, ვინ გიშველა, როგორ გაცოცხლდი?

არსენამ დალაგებით უამბო.

— მაშ იმ ძაღლს დაველუბივარ? — წამოიძახა არლოვმა.

ოდელაშვილმა სეფისკერიძის ცხვირპირს გადაჰხედა და უნებურად გაიღიმა. არსენას თვალს არლოვმაც გააყოლა თვალი და იპანაც ჩაიღიმა. დალახეროს ეშმაკმა ის კირიანი ძაღლი! იმ მურდალს ჯადო ხომ არა აქვს? მაიორს ჯილდო დააკარგვინა, კუქატნელს კი მედალი აშოვინინა, მაგრამ სამაგიეროდ უცხვირპიროდ დასტოვა.

— ის ძაღლი ეხლა სად არის? — გაერის ამოსაყრელად თუ იკითხა მაიორმა და გიორგიც კბილებით ჩაეკიდა ყურშას:

კუქატნელი: გეკითხება, ძაღლი სად არისო?

არსენა: აკი ვითხარი, მთაში დარჩა მეთქი.

კუქატნელი: იარაღი და ლურჯა?

არსენა: ფარსადანს შერჩა. მაგრამ თუ ხელიდან წაგოხველით, ვაი იმის დედის ღმერთსა!

კუქატნელი: ხუ მიჰქარავ! მაიორი შარშანვე დამპირდა, თუ არსენა დავიჭირეთ, მისი იარაღიც შენთვის მიჩუქებია და ლურჯაცაო. ხელი აიღე, დავიწყე. შენი ცხენი ბევრჯერ ვნახე სიზმარში და მისი ზურგი ჩემს ლაგებს ვერ ასცდებია.

არსენა: ცოცხალი თავით არ დაგანებებდი და ეხლა კი..

მაიორი: გიორგი ერთი ჰკითხე მაგ ყაჩაღს, ახალციხეში ვისთან იმალებოდითქო?

არსენა: ჯვარს რო მაცეათ, მინც არ ვეტყვი.

მაიორი: არც საჭიროა. მეც ვიცი: თამარაშვილის სახლში იმალებოდნენ. მაგრამ იქიდან სად გადავიდნენ და ვინ იყო მეორე დაჭრილი, არსენასთან ერთად რომ წაიყვანეს

არსენა: არ ვიცი. არ მინახავს. მე უგონოდ ვიყავი.

მაიორი: არც იმას იტყვის, სად არიან მაგის ცოლშვილი, ფიქრია, კოკლი რუსი, ლაცაბიძე, ის ალქაჯი ქვრივი და დანარჩენები?

არსენა: ყველანი გაიფანტნენ, ჩემი ცოლშვილი და ფიქრია კი სათათრეთში გავგზავნე.

ამ დროს კარებში გიგოლას წირპლიანმა თვალებმა შემოიხედეს. მაიორმა თითი დაუქნია. გახარებულმა ნაბუშარი ფეხაკრფით შემოვიარდა და გაიქცა.

არლოვმა მას, უწმინდურსავეთ წააგლო კისერში ორი თითი, მოატრიალა და ისეთი ჭიტლაყი ამოჭრა, რომ ჯაშუში კარებს მიახეთქა და თანაც ერთად ერთი სიტყვა მიაყოლა—მსუქნად, მადიანად და სისინით:

—ბა-ა-აღვან!

არსენამ ძლივს შეიშავრა ხარბარბი, არლოვი ბოლთის ცემას შეუდგა და კარვა ხანს სდუმდა.

მერე დაჯდა, ოქმი შეადგანა, არსენას ხელი მოაწერინა და ოძელაშვილი ნარიყალას ციხეში გააგზავნა, თვითონ კი სამხედრო გუბერნატორის სახელზე პატაკი დასწერა, გაუგზავნა, მერე წითურ თმაში იტაცა ხელი და ტახტზე მიესვენა. ეხლა კი ნამდვილად ილუპება მაიორი!

* * *

ნარიყალას სერის წვერზე ორიოდ ათასი წლის ციხეა გაშენებული. უწინ აქ მეციხოვნე ჯარი იდგა და ციხის თავები ცხოვრობდნენ, ხოლო ეხლა ციხეს საომარი კბილები დაადერეს, საპურობილედ გადააკეთეს და თოფხანაც გააფართოვეს. პიტალო კლდის ძირში დაბახანას ხევის გაღმა განჯის კარი იდგა და იგი ვეება ბოჭლოშივით ედო სამხრეთ ქალაქს. სპარსელების დროს ციხის-თავები ხშირად უთელიდნენ ურჩასა და მორჩილს, ერთგულსა და ორგულ თავადებსა და ბატონიშვილებს: შაჰინშა გიბარებს და მიბრძანდითო. დაბარებულნი გულის ფანჯრალით მიადგებოდნენ ხოლმე განჯის კარს და მათი ბედის წიგნიც აქ იხსნიებოდა: ციხისთავი შეწყურალს იქვე მოკვებითავე თავს და მტკვარში გადააგდებდა, ხოლო შეწყალებულს ან ხალათს აჩუქებდა და გამოაბრუნებდა, ან კიდეც გზას გაუსწინიდა და დაბარებულთა თვის წიგნის წასაკითხვად შორეულ თვირანს ან უფრო შორეულ ისპაანს მიემგზავრებოდა. შემდეგ დრონი იცვალნენ და ციციანოვ-ციციშვილებმა ეს კარი მოშალეს და ჩრდილოეთის მხრივ მოაბეს.

დროების შეცვლას პატიმართა სიმრავლე მოჰყვა. მტკვარში უთავოდ ცურაობას ისევ დილეგში ჯდომა სჯობდა, მაგრამ ნარიყალაში ორმოცი პატიმარიც ძლივს ეტეოდა და ამიტომ ამ ნაციხარს გაღმიდან მეორე ნაციხარი მიეშველა ერთლოვმა მეტეხიცი საპურობილედ გადააკეთა, პასკევიჩმა დაასრულა და ორმოცის ნაცულად ოთხას ტუსაღს გაუჩინა სადგომი.

ზის ოძელაშვილი ბნელ დილეგში და ბედის განაჩენს ელოდებოდა. პურის ნატები, წყალი და სალაფავი—აი მისი ულუფა. დღეში ერთხელ კალთის ოდენა ეზოში გაიყვანენ და სუუთა ჰაერს ჩააყლაპინებენ. მარაბდელი ქვაზე სადმე ჩამოჯდება ან ვიწრო თხემზე დაბორიანებს და თავის ფეხთა ქვეშ გადაშლილს ნახევარ ქალაქს და თვალუწვდენელ მთა-მინდვრებს გადასცქერის. აჰა ღრმა დაბახანა, თათრების სასაფლაო, კოჯრის მთები, თაბორის ჭედი და შავნაბადას კალთები. რამდენჯერ გადაუვლია ოძელაშვილს ეს მთა-გორები! იქიდან ხელისგულივით მოსჩანს კუმისის მოკამკამე ტბა, მარაბდის ველი და სამი მდინარის ტრამალი: ღარიბი ალგეთი, ძველი ქცია ანუ ხრამი და მის მზგავსად სახელშეცვლილი ბერდუჯი ანუ დებედა. იქ, მარაბდაში. ცალთვალა ნადევარი ცხოვრობს, გვერდით თავდაბალი ერეკლე უდგას და სიბერის ჭაშს ლამობს მინგრეული მამულ-დედული ერთხელ კიდეც აღადგინოს.

ნარიყალას ძირში ერევის გზა აბანოების შუა ამოდის, განჯის ნაკარე-
 ვში გაივსის, აქედან კრწანისის გვერდით ჩაუხევენს და საბაგოსკენ დაეშვება.
 იქ სპარსული სეიდაბადი ანუ ქართული ორთაქალა გაქმულად, უფროსად
 ბალ-ვენახებში მტკვარი ვერცხლის დაკლანჩილ ზოლივით ჩაწოლილია.

წყლის გაღმა სამგორის ვეება ველი გადაჭიმულია, სადაც არსენა შარშან
 ზამთარში თავის და სხვის ცხვარს აძოვებდა. შორს მინდორში, ნავთიანის იქით,
 ბარბალეს გუმბათი ლაპლაპებს. მეტეხის უკან ისანი გაწოლილია და არსენას
 გულიც მუდამ იქით მიიწევს. აგერ იქ, გოგილოს აბანოს გვერდით, ერთი მი-
 ყრუებული სახლი სდგას და არსენას სულიც ცისმარე დღეს იმ სახლს დასტრია-
 ლებს. იქაა მისი ახალი ოჯახი, იქ სცხოვრობდნენ მისი მარინე, ფიქრია და პაწია
 დათუნა, ხოლო მამაკაცები გახაფხულამდე სამგორის ბინებში იმალებოდნენ და
 ზანგამოშვებით თითოთითოდ მორიგე ქურდით მოდიოდნენ ისანში და ალიო-
 ნზე ისევ ქურდულად იპარებოდნენ სამგორში. ნეტა ვინმე გაავებინებდეს ოძე-
 ლაშვილს, ისევ ჯავახეთში დარჩნენ მისი ძმადნაფიცები და ცოლშვილი თუ
 წადრევიდ გამოორეკეს ცხვარი და ისევ ისან-სამგორში დაბრუნდნენ? მარაბდე-
 ლმა ჯერ არ იცის,—ან საიდან გაიგებდა,—რომ მაიორის მიერ გატყუებულმა
 ფარსადანმა და გიგოლამ ისევ არსენაზე ამოიყარეს ჯავარიც დაკარგული ჯილ-
 დოც ქალაქისკენ წამოსულ სულხანსა და როსტომს გვერდი აუქციეს, ისევ თა-
 ფარავანის შადამოებში აცვივდნენ, ორჯო ქალის და კოჭლი რუსის ანაბარად
 დარჩენილ ბინას მიუხტნენ და მთელი ფარა გამოირეკეს, ხოლო კარპიჩა, ავა-
 დმყოფი მეშთა და დედაკაციები მარტო იმიტომ არ მოჰგვარეს მაიორს, რომ მი-
 სი ახალ ჭიტლაყისა და სუსხიან რისხვისა შეეშინდათ. ნაბუშარმა ნაალაფევის
 ნახევარიც ფარსადანის ფარას შეუერთა და გამარჯვებული დაბრუნდა ქა-
 ლაქში

განჯის კართან მრავალი ხალხი, სახედარი, აქლემი და ურემი ირევა. ზო-
 გჯერ აქვე განზე სამიოდ-ხუთიოდე ქალი და მამაკაცი გამდგარა და არსენასკენ
 იცქირებიან. ერთი მათგანი რალაცას უკვირს—ნეტა სულხანი ხომ არ არის?

მეორე ვინმე ხელსახოცს უჭნევს როსტომი ან კარპიჩი თუ იქნება? ის და-
 ბალი დედაკაცი, ხელში რომ ბალლი უჭირავს, მარინე ხომ არ არის? ის მა-
 ლალი ვიღაც ქალი ალბათ ფიქრია იქნება. და არსენაც ხელს უჭნევს და სალამს
 უთვლის, მაგრამ ვინ იცის ვინ არიან და ვის უძღვნის ოძელაშვილი ცხარე
 სევდას და სიხარულს.

ზოგჯერ იქვე ცხენიანი ვინმე გაჩერდება და ნარიყალას დააშტერდება—
 ნეტა ცალთვალა ხომ არ ჩამოვიდა? კვირაში ორჯულ განჯის კართან მცირე
 მოლზე სუფრას გაჰშლიან. დღღუკი ბუტბუტებს, ვიღაცა ცვივავს, კრელი ხე-
 ლსახოცი ფრიალებს, რალაც უფრთილი ისმის—ნეტა ლოპიანა ხომ არ ჭეიფობს?
 ნეტა გრგუას ხომ არაფერი განუზრახავს?

ძმადნაფიცებს, გიგუას და ლაპიანასაც ბარემ ჰქონდა კეთილი ზრახვა და
 ის ციხეც ყოველმხრივ დაჰსუნეს და გაზომეს, მაგრამ იგი მიუვალი აღმოჩნდა
 და ეხლა იმასლა ლამობდნენ, რომ არსენასთვის როგორმე ხმა მიეწვდინათ ან
 ორიოდე სიტყვა მიეღოთ მისგან და შერეულ გაებათ რაიმე ქსელი და ხრიკი-
 რამ გამოეძებნათ.

ბოლოს ორიოდ სახრიკო სიტყვა ისევ არსენამ მიაწოდა. ერთ დღილას მოდარაჯე სალდათს ქალაღდის ნაგლეჯი გამოსთხოვა, ლურსმანზე გეგეკაწრა ხელი და თავისავე სისხლით დასწერა: „ძმებო, ვიღუპები და მთავარეფსი ტქნება აბანოში წამიყვანონ იქ საღმე დამიხვედით“. შემდეგ ახალუხის კალთა მოიხია, შიგ წერილი და კენჭი გაახვია და როცა კლდის თხემიდან გუშანიტ მიგნებულ თავისიანებს მოჰქრა თვალა, ის კენჭი ისე ძლიერ გასტყორცნა, რომ იგი ხევის გაღმა დაეცა. ვიღაც უცნობმა ხელსახოცის ფრიალი შესწყვიტა, ხევში ჩამოგორდა, ჩანაგდები წერილი იპოვა და გიჟური ცეკვა, ხტუნვა და კივილი ასტება.

„ეკულობს! მაშ კარპიჩა ყოფილა!“—გაიფიქრა მარაბდელმა და თვითონაც შეფიცდა: თვითონაც ხელსახოცი დაუქნია და ომახიანად ჩაქძახა:

— რუსო, გამარჯვებიაა!

ტი ჩავოო?—შემოუტია მარაბდელს საღდათმა.

— ნიჩავო, ძმაო, ნიჩაოო.—იმავე კილოზე მიუჯო არსენამ და ცისკენ გაიშვირა თითი.—აგერ, შეჰხედე, ზევით მხი ანათებს და მიხარიან.

და იმავე საღამოს დაკინებით მოსთხოვა ციხისთავს, აბანოში წამიყვანეთო. მეორე დღით მარაბდელი ქალაქში ჩაიყვანეს და შიორს მიჰგვარეს. არლოვმა ორი საათი მაინც აწვალა ოძელაშვილი: სთქვი, ვინ-და-ვინ იყვნენ შეფიცულლებიო?

— აღარ მახსოვს... დამივიწყდა... არ გეტყვი!

თორმე არსენას დაუხოცია ჩაჩიკაშვილი, საგინაშვილი, ხუთიოდე სხვაც და მასვე გაუძარცვავს უამრავი გლეხი, მოხელე, თავადი და აზნაური.

— ტყუილია! არც არავინ მომიკლავს, არც არავინ გამიკარკვია!—ცხარედ და გულწრფელად იმეორებდი ოძელაშვილი.

არსენამ და მისმა ძმადნაფიცებმა დაუხოცეს შიორს აღგეთის ხეობაში ჩაფრები და საღდათები.

— რაც მართალია, მართალია!—მოკლედ მოსჭრა მარაბდელმა.

არსენამ დასწვა ბარათაშვილის სახლკარი:

— ტყუილია! ბოლოს მივედი. არც კი ვიცოდი.

თვითონ ბარათაშვილს ჰკითხეთ.

არსენამ აპყარა ყაზახებს თოფ-იარაღი.

— საღ? კოდის დუქანში? აბა რა დასამალავია!

მე და საწყალი ოსტაპი ვიყავით, ახალციხეში რომ დააწვეინე ცეცხლში. მართალია თუ არა, თითქოს მარაბდელი ახალციხეში თათრების მხარეზე ყოფილაყო და რუსებისა და ქართველების სისხლი დაეღვაროს?

— აგრე გახლდათ. საცა სიმაართლეა, მე; იქა ვარ ხოლმე.

რად მოავგროვა ოძელაშვილმა ტყის ძმები? ვის ებრძოდა ან რა ჰქონდა უზურში

— ჩვენ ბატონებს ვებრძოდით და უზურში მიწის დაჩემება, თავისუფლება, ძმობა, ერთობა და პატიოსანი შრომა გვქონდა.

რუსის ხელმწიფეზე და ჯარზე, რაღას იტყვის არსენა?

— ისევ იმას ვიტყვი რასაც აქნობამდე ვამბობდი; თუ ისინი ბატონების მხარეზე იქნებიან, იმათაც ზედ მივაყოლებთ.

კეთილი და პატიოსანი. ამასაც სიტყვისიტყვით ჩასწერენ, კვლავ კვლავ... სიტყვას ოძელაშვილმა, რატომ გააქვლეტინა მან სუმბათიანი? — და მათვე ვაგვშა და ქალბმა?

— რაო?! — და ეხლა კი ზე წამოიჭრა მარაბდელი. — მე გავექვლეტინე? ვინ მოიგონა, ვინ მოჭორა! ან თქვენ როგორ დაიჯერეთ!

აგრე იყოს. ვთქვათ არსენა ამ საქმეში არ ერიო.

ეხლა მან ერთადერთი სიმართლეცა სიტყვას მაიორი ეხლავე აუხსნის ბორკილს და სულ გაანთავისუფლებს. აბა, მარაბდელი, მოახსენე მაიორს, სად იმალებიან შენი კოლშეილი და სულხანი, კარპიჩა და როსტომი?

— თარჯიმანო, ერთი ჰკითხე ამ ბატონს, ეგ გავიქვდა თუ მე ვგონივარ გიგი?

მაიორს გაახსენდა, რომ მან ორი წლის წინათ ღვთის საგარისგანაც ასეთივე პასუხი მიიღო, გაახსენდა და გაჩუმდა. ეხლა მარაბდელი შეუჩნდა არლოეს; ნება მიეცით მას თავის დედმამას გამოეთხოვოს და ერთხელ აბანოშიც წავიდეს.

— მაგაზე ადვილი რაღა იქნება! აბანოში ხელეე წავიყვანენ და ვისაც გნებავს გამოეთხოვე. — მაშინვე დაუთმო მაიორმა. — ყველანი დაიბარე და ინახულე; დედმამაც, კოლიც, ფიქრიაც და ძმადნაფიცებიც.

არსენამ ჩაიღიმა, ოქმს ხელი მოაწერა და გაიფიქრა: „რაკი ასე ადვილად სჩანს ჩემი საქმე ძან ცუდად ყოფილა. ამბობენ, ვისაც სიკვდილი მოელის, იმას ბევრ სათხოვარს უსრულებენო“. გაიფიქრა და სევასტი ლაცაბიძე გაახსენდა. გაახსენდა და კუჭატელს ცეცხლი შეაყარა თვალებში. შეაყარა და მდულარე წყალივით შეასხა:

— შენზე ამბობენ სევასტის და სიმონას ჩამოხრჩობაში წილი მიიღო და დიდი უნარიც გამოიჩინაო. მართალია თუ არა გიორგი?

— შენზედაც გამოვიჩენ. — ძალღურად შეუღრინა კუჭატელმა და მოკმულ პირსახითაც აღრენილ ძაღლს დაემგვანა.

— ერთხელ შენი ხელით ჩამოხრჩობას მე შირჩენიან სხვა ვინმე თხუთმეტჯერ ჩამომახრჩოს. — მიუგო მარაბდელმა. — ღმერთი დიდია და იქნება შენი ხელი ამაცდინოს. მაგრამ თუ სულ ამაცდინა, მაშინ... მაშინ მიფრთხილდი, კუჭატელო! ვაი დედასა! — და ოძელაშვილმა ისე ჩაიბაგუნა მკერდზე მუშტი, რომ წერაში გართული მაიორი შეკრთა და გასწორდა

მეორე დღეს ოძელაშვილს ოთხი სალდათი მიუყენეს და აბანოში წავიყვანეს. არსენა მზიარულად მიაჩხარუნებდა ბორკილებს და აქეთ-იქით იხედებოდა აგერ ლოპიანამ და გიგუამ ჩაუკრეს თვალი და შორიახლოს აედევნენ. სიონის წინ როსტომი ჭეის ბოძივით დარკობილა. სულხანი წინ მიუძღვის არსენას. კარპიჩა გვერდით მისდევს სალდათებს, მზეუმზირას აწკაუნებს, „ზემლაკებს“ ემცნაურება, უცინის, მერე კუთხეში შეაჩერებს და ჩუმუმდ ჯიბიდან ამოღებულ არაყით უმასპინძლდება. ეს ერთი... ესეც ორი... თითო ყიდვე გადავკრათ „ზა ნაშუ მატუშკუ რასიეუ!“ იქვე დუქნიდან ლოპიანა გამოგორდება და დაიძახებს:

— ვაჟა, რაზეც მოენა ბებ ზაკუსკა! უცხო ქვეყანაში ვადმოუკარგხარო და მგონი მშვიერებს გზოცავენ. ზახოდი, რალა! კარპინაც მიაწვა და სალდათები და მათი პატიმარიც დღუქანში შერეკა.

— სვით და სქამეთ! დახლიდარო, მოიტა! ჩემი ზემლაკები არიან და ისე უნდა გამიძლო, რომ ერთ კვირას ეკოს.

და მართლა იმდენი სვეს, რომ ერთმანეთსაც ძლივსა სცნობდენ. მაგრამ არსენას მაინც არ ივიწყებდნენ და ერთი ნაბიჯითაც არ შორდებოდნენ. მერე ისევე შუაში ჩაიყენეს და ბარბაციტ მიიყენეს აბანოში. არსენას როსტომი და კარპინა შეტყვენ, სხვები კი გარეთ შექუჩდნენ და ჩურჩული გააბეს, მაგრამ უცხად. „დროშკით“ მომავალი მაიორი დაინახეს და ბელურებივით გაიფანტნენ. არა, რალა მაიორსაც ეხლა მოუნდა ამ აბანოში მოსვლა? იქნება გაიგო რამე? იქნება უკან ყაზახებიც მოსდევენ? გიგუამ თავი გამოიღო და თამამად შეტყვა არლოვს, რომელიც მას სულაც არ იცნობდა. არლოვმა „კეთილშობილთა“ მხარეს შეუხვია, არსენა კი მდაბითთა საბანებელში შესულიყო. აქ კარის წინ ოთხი სალდათი სთვლემდა. გიგუამაც უმაღვე გაიძრო ტანსაცმელი, შიგნით შევარდა იმ აუზში ჩახტა, საცა როსტომი და სულხანი ვაცხარებით ჰქლიბავდენ არსენას ბორკილებს. ჩახტა და ჩაუბუტბუტა:

— ბიჭებო, მაიორიც ამ აბანოშია და დააჩქარეთ.

— მაიორიც აქ არის? — გაუკვირდა არსენას და ჩაფიქრდა. მერე ჩაიღიმა და სთქა: — ბიჭებო, იცით, რას გეტყვით? ჩემი ტანისამოსით ამ სალდათებს ვერ გავეპარები და სხვა რამე უნდა ვილონოთ.

— გავიგე. ეხლავე დავბრუნდები. — ჩამოართვა სიტყვა გიგუამ და ისევე გამოვარდა.

სამიოდე წუთის შემდეგ რალაცამ დაინახუნა და როსტომმა წაიბურტყუნა.

— შე გავათავე.

იმავე წამს ერთხელ კიდევ მოისმა ჩახუნი და სულხანმაც წაიბურტბუტა:

— ნეც გავათავე.

გადაქლიბული და გადატეხილი ბორკილები აუზის კუთხეში ეყარა, უკანვე დაბრუნებული გიგუა კი დაბალი ხმით ეუბნებოდა ოძელაშვილს:

— ჩქარა გამოდი. ყველაფერი მზად არის.

მობანავენი აქამდისაც ექვის თვალით გასცქეროდენ ამ ოთხ კაცს და ეხლაც გაოცებული თვალები გააყოლეს სწრაფი ნაბიჯით გასულ ძმადნაფიცებს. ვასახდელ ოთახში ათიოდე კაცი იხდრდა და იცამდა. მოლიმარი არსენა უმაღვე ჩაჯდა მაიორის მუნდირში, რომელიც ვერასვხით ვე შეიკრა. სამაგეროდ საბეჭურებით მორთულმა წამოსასხამმა, დეზინამა ჩექმებმა და სააფიცრო შავ-წითელ ქუდმა უშველეს. მხარგაშლილმა და გაჭიმულმა მარაბდელმა თამამად ვადმოაბიჯა კარის დირეს და პირდაპირ ვასახვლელისკენ წამოვიდა.

მთვლემარე სალდათები დაფეთდენ, გაიკინნენ და ნავვიანები „ჩესტი“ მისცეს. გამოვიდა თუ არა ოძელაშვილი ქუჩაში, მაშინვე ვადაკმულ კარპინას მოჰქრა თვალი, რომელმაც ახალგაზრდა „მაიორს“ უმაღვე მიუგდო საუკეთესო დროშკა და თითქმის მაშინვე შეუტია ცხენებსაც:

— Эй, вы, родимые, пошли!

ყახხურად გადაცემულმა როსტომმა ძლივს მოასწრო ეტლზე ახეობა და, შეხვეულ იარაღის და პატარა ხურჯინის აგდება, სადაც არსენაქი ტანისაქოსი ტიკტორა და საგზალი ელაგა:

ოძელაშვილმა ერთი წამით მიიხედა. ლოპიანა ხარხარებდა, გიგუა ხითბობდა, სულხანი იღიმებოდა. მარაბდელმაც ჩაიციხა და კარპიჩას მიაძახა.

— გასწი, რუსო! ეხლა გვდიოს ტიტველა მაიორმა!

— იმის დედაც და მამაცა! — გადმოსძახა კარპიჩამ და ნასუქი ცხენები დააორთხა.

* * *

არსენა ერთხანს კოჯრის მიდამოებში იმალებოდა. ნაბუშარმა გიგოლამ თაფარავანს წართმეული იარაღი ლოპიანას მიართვა და შეხვეწა, როგორმე არსენას დაუბრუნე თორემ მე ვერ ვიხმარე და არც მინდა ვაეყიდო, თვითონ კი ისეთ ჯურღმულეებში შეძვრა, რომ ერთ ხანს მაიორი და კუჭანტელიც კი ველარ პოულობდნენ.

შემდეგ ოძელაშვილი ქიზიყში გადაფრინდა და ფარსადან მირზაშვილს მიუხტა ბოდბის ხეში. მარაბდელმა თავდაპირველად თავის ლურჯას მოჰკრა თვალი. ფარსადანის ვაჟი, არსენამ რომ დაინახა ახალციხეში, არსენას ცხენზე შემჯდარიყო და გაქანებულ ჩორთით მოაქანებდა. ლურჯამ თავის გამზრდელი და მეგობარი რომ დაინახა, გიყივით დაიქიხინა და მოსხლტა. ბიჭმაც დროზე შეამჩნია თავის ნათლია და ცხენს თავი მოუგრიხა. მას მსურდა გაბრუნებულიყო და თავის მამა გაეფრთხილებინა. მაგრამ ლურჯამ აღვირი აიგლიჯა, ატორტმანდა, მერე წელი აიქნია და პატარა მხედარს ბოყინი გაადენინა შიწახე. თვითონ კი მზიარული ქიხვინით მივარდა ოძელაშვილს და მის ახალ ცხენს შეგებობდა. არსენას ნათლული ვენახებს შეერია და მოღალატე მამა დროზე გააფრთხილა.

ღითხანს მიიწვედა ოძელაშვილი მირონის დამქცევ ნათლიმამაზე და მთელ სოფელს ესმოდა მისი ხამი შენაძახი:

— გამიშვით! დამანახვეთ! ფარსადანო გამოდი სიციტის მეტი რა მიქნია შენთინა? შვილები დაგინათლე, ოჯახი საჩუქრებით გაგივსე და მოტაცებული ქალვაჟი დავიხსენი, შენ კი მადლობის მაგივრად ჯერ ცხვარი დამტაცე და მერე მაიორის ხელშიც ჩამავდე? უმადურო! ვერავცო! მუხთალო! გამიშვით მეთქი!

ფარსადანის ცოლშვილი, მისი ოთხი ძმა და მათი ჯალაბი ერთამულით მიჰყოფნენ მარაბდულს და ლეკვებოვით ეკონწილალებდნენ. ფუჭქვეშ ეგებოდნენ, მუხლებზე ეხვევოდნენ და ცრემლით ვევედრებოდნენ:

— ნათლიავ, აპატე! არსენ, ჩვენ შეგვინდე! შეგვიბრალე, ნუ დაგვაობლებ! მთელმა სოფელმა იქ მოიყარა თავი, მაგრამ ყველანი განზე გამდგარიყვნენ და სლუმდნენ, რადგან წმინდა გიოგი ურჩხულის დასასჯელად მისულიყო და გლახებს ვერავგობის გამოსარჩლება დიდ ცოდვითაც მიაჩნდათ.

არსენ ბუხუნს დაუკლებსა, კაცი არის და მოღბესა.

ხვეწნას რომ ვერ გაუძლებსა, მაშინ პირჯვარს დაიწერსა:

„ამდენ ხანს ვარ გავარდნილი, კაცის ცოდვა არა მძევსა.

ეხლა მოვკლა ნათლიმამა, ბოდოს სული წამიწყედესა? „

გამობრძანდეს ფარსადანი, არას ვერჩი არაფერსა.

ვაპატიებ ნათლიმამას ჯერ შირონს და შერე ღმერთსა!

ფარსადანი ჩოჩით „გამობრძანდა“. დაოთხებული მოვლადედა მუხლის თავებს იქლეტავდა და ბლაოდა:

— ნათლი, ღორივით დამკალი! ახია ჩემზე! აჰა მოვდივარ და ნუ დამინდობ!

მიუსოცდა, მუხლებზე მოეხვია და ფეხები ცრემლით დაუსველა, მაშინ დაინახა მთელმა სოფელმა, რომ „თეთრი გიორგის ძმად ნაფიცს“ შენდობა უფრო ეხერხებოდა ვიდრე დასჯა და დარბევა.

მარამდელმა ხანჯალი ჩაავა. იმ სიშორიდან მოვარდნილი შურის მაძიებელი ეხლა ძლივს იმაგრებდა ცრემლს და ხელაპყრობილ ფარსადანს ერთ ხანს თავზე ხელს უსვამდა, შერე ფეხზე წამოაყენა და მოდუნებულ ხმით უთხრა:

— იცი რაა... შე ჩემი ცოდვით სავსეე, შენა! მე მინდოდა ღორივით დამკალი, მაგრამ... ვაი შენ ჩემო თავო! ეხლა შენი თავი ჩემი ნათლულებისთვის და აქაურ ქვრივ-ობლებისთვის მიპატიებია. ჰო და ისა... რაც რომ შარშან მამა-ჩემს ცხვარი დააკელი და რაც ახალციხეში შენი შვილების დასახსნელი მიმიცია, აქაურ ღარიბებს და ობლებს დაურიგებდე და ჩემ სახელსაც ავად აღარ ახსენებდე. ჰო და ეხლა შენ იცი და შენმა კაცობამა.

— ნათლიმამ, შენ კაცი კი არა, წმინდანი ყოფილხარ, წმინდანი, - შესძახა ფარსადანმა და საკოცნელად მიიწია, მაგრამ არსენამ ფრთხილად მოიშორა და ხალხში შეერია. ფარსადანი ერთ ხანს გახევებული იდგა, შემდეგ გატრიალდა და თავისიანებს დაერია:

— აბა, ვიგუცავ, ეხლავე ცხენზე შეეჯე, ჩვენს ბინაში გაიქე, ის ცხვარი გამოარჩიე, თაფარავენს რომ ღმერთი გაგვიწყრა და მოვიტაცეთ, და სამგორის ბინებში მიჰგვარე ნათლიმამას. ორასი ცხვარიც დაარჩიე, ლეთისავარს რომ დავაკელი, და აქ ვამოგზავნე. ჩქარა, ნუ იზღაზნები! ფილუავ, შენ ექვსიოდე ცხვარი დაჰკალი, სოფელს და ნათლიას უნდა ეაქამოთ! სანდრო, რაც თავი-ღვინო გვაქვს, სარქველი მოჰხადე! დედაკაცო, რას შემომტკერი! ჩქარა ცომი მოზილე! ბიჭებო, თორნე გაახურეთ! დატრიალდით! აჩქარდით! ღმერთო მწყალობელო, შენც შემინდე და ჩემგან ერთი კურატი შეიწირე!

— შერე შინ შევარდა, ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოვარდა, ქართული თეთრი ფულთ და რუსულ აბაზიანებით სავსე ქუდი გამოიტაცა და ხალხში შეერია! თან იმ ფულს ქვრივ-ობლებს და ღარიბებს ურიგებდა და ბურტყუნებდა:

— აჰა, წაიღეთ! შეგვრგოსთ არსენას მზეგრძელობა ილოცეთ!.. ესეც შენ!.. აი კიდევ!.. ნუ შერიდებით, აიღეთ!

ან დროს ეხოში მღვდელი დოდაშვილი შემოვიდა—ძმა ქალაქში-მყოფ მასწავლებელ სოლომონისა, იმასავით „ქარგი პიიტოკოსი, ზრდილობასა შინა მოსაწონი, კაცი სწავლული, ქართულსა შინა ისტორიასა გამოცდილი, და თავის ძმასავით მაღალი, შავი, მსუქანი და მოუხეშავი.

ფარსადანი ეხლა მას ეცა:

— მაშაო, ლეთის ფიცი გავტეხე, მირონი დაეაქოე და უნდა მიშველო. — ხელში ფული მიაჩნა და დაუმატა: — გერ ეს საწირველი მიიღე, და შევედრე უფალსა, რომ შემინდოს შეცოდებანი ჩემნი. ერთ კურატსაც დაეძაფრე და კიდევ დამაკისრე რაც გენებოს ოლონდ ეს ცოდო მომხადე.

და ფარსადანმა სხაპუნით უამბო ყველაფერი. მღვდელმა შესაწირავი მიიღო და ფარსადანი მეორე დღისთვის დაიბარა. ეხლა კი არ ეცალა. მისი უფროსი ძმა სტეფანე, ქიზიყის მდივანბეგი, გზად მიმავალი ყოფილიყო, მასთან ჩამოშტარიყო და მღვდელი ამბავის გასაგებად მოეგზავნა.

მღვდელი შიშით და გაოცებით ათვალერებდა ოძელაშვილს. მაშ ეს ყოფილა არსენა? ამ კაცზე ლოცულობს ქართველი გლეხი? „დიდება შენდა უფალო!“ შიშმა კი იმიტომ მოიკცა ხუცესი, რომ მისი ძმა სტეფანე, აგერ იქ რომ იცდიდა, მოზრდილი ხელისუფალი იყო და როცა არსენას აქ-ყოფნას გაიგებდა მაშინვე დააპატიმრებდა. მაგრამ არსენა არ დანებდებოდა და სისხლი დაიღვრებოდა.

გლეხებმაც იცოდენ ეს ამბავი. ისიც იცოდნენ, რომ სტეფანეს ამ სოფელშიც ჰყავდა ენის მიმტანი და ამიტომ ერიდებოდნენ ოძელაშვილს. ბოლოს ერთმა ქაბუქმა გაჰხედა და ჩასჩურჩულა:

— არსენ, ჩქარა გაიქე, თორე დივანბეგი აქ არის და დაგვიჭერს.

— აქ არის? სტეფანე აქ არის? — თითქოს კიდევაც გაეხარდა მარაბდელს. — მეც იმას დავეძებ. აბა, ფარსადან, აქეთ გამოდი და ყური დამიგდე.

ყური მიუგდე, ფარსადან. არსენასაც გაუგია, — და გუშინაც შესჩივლეს გლეხებმა. — რომ სტეფანე დოდაშვილს რალაც ღმერთი გასწყრომიდა. თვითონაც აქაურია, პაპით გლეხია, სწავლის წყალობით დაწინაურებულა, მდივანბეგობა მიუღია და ეხლა თურმე თავის მოძმე გლეხობას ლამის სული ამოართვას. ფარსადანო, შენ არსენას მიერ ნაპატივები კაცი ხარ და თავი უნდა გამოიღო: ოძელაშვილს გაჰყე და ორიოდ თვეიკაცი წაიყვანე. მარაბდელმა პირობა მისცა ზემო-სოფელეებს, მდივანბეგს მოველაპარაკებო, და ეხლავე უნდა შეუსრულოს.

— სიღნაღში ასვლას ისევ აქ სჯობია სტეფანეს ნახვა. იქ ასი ძალი მიიცი ეყოლება, აქ კი ოთხიოდეს თუ წამოიყვანდა.

ეხლა არსენას გულისათვის ფარსადანი თუნდ ალაზანში გადავარდება. მარაბდელის ნათლიამა აქამდე მელიის და მგლის შენარევი იყო (მხდალი მეცხვარე ვის უნახავს!), დღეს კი რალაც მადლი გადმოვიდა მასზედა და უჯიშო ნახავი ლამის ლომად გადაიქცა. შეწუხებული გლეხები კარგა ხანს დაეძებდნენ გამბედავ მოციქულებს რათა გამბეცებულ სტეფანესთვის მიეგზავნათ (რადგან მდიდარი იყო და ამიტომ მდივანბეგიც პატიეს დასდებდა), მაგრამ თავმობერებული ვერაკინ ვერ ეპოვნათ, ეხლა კი მორჯულებულმა ფარსადანმა უმაღლე გამოარჩია ორი თავიკაცი და სამთავ წინ გაუძღვა, თანაც იქ-მდგომ ახალგაზრდებს ასეთი დარიგება მიუგდო:

— აბა ბიჭებო, არსენა ქიზიყელების გულისთვინ მდივანბეგთან მიდის და შეემზადენით. თუ ვინიცობაა სტეფანემ ავი რამ მოინდომოს, თავი გამოიდეთ, თორე შევრცხვებით და გარეთ თავს ველარ გავყოფთ.

მღვდელი წინ გაიქცა რათა თავის ძმა გაეფურთხილებინა და წინდაწინვე მშვიდობიანობა და თავდაბლობა ერჩია მისთვის. სტეფანემაც მაშინვე დაუჯერა რადგან მახლობელ გზებზე, ორლობებში და კარმიდამოებში მრავალი რაჯრატასხმული გლეხი დაინახა. დაინახა და მოციქულები სტუმარივით მიიღო. — დასხედით, თავი კაცებო. — მიიპატიეთ მდივანბეგმა.

ახალმოსულები არ დასხდნენ. მცირე შესავალის შემდეგ არსენამ თავაკეცებს დაასწრო და მოახსენა:

— ბატონო, გამოგონია, სტეფანე დოდაშვილებიც ჩვენისთანა გლეხის ჩამომავალია და მაინც არ გვიბრალებს და მეტისმეტად გვაწუხებსო. ასეთი ლაპარაკი დასაჯერებელი არ არის, მაგრამ მე მაინც გავბედე და გეახელი. ეხლა შენ ზიბრძანე, რა პასუხი გადაეცე იმ ხალხს, ვინც შენთან გამოგზავნა.

ერთმანეთს ბევრი რამ უბრძანეს, ურჩიეს და სთხოვეს. მდივანბეგი ძლიერ იჭერდა ლავამს, ძლიერ იბრუნებდა უკანვე ყელში-გახიროულ ბოლმას და დატინებით არიდებდა არსენას თავის მღვრიე თვალებს. ოძელაშვილი მიუხედა: მდივანბეგმა; იცის მისი ვინაობა, ისიც იცის, რომ მარაბდელი ციხიდან გამოიქცა და დოდაშვილი მოვალეა უმაღლე დააპატიმროს, მაგრამ ამას იმიტომ არ სჩადის, რომ ოძელაშვილს არ იცნობს და განგებ არც სახელს ეკოთხება და არც მის სადაფრობას დაედებს. მართალია, მერე მდივანბეგს ამის გამო სიცილს დააყრიან, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მას სიხსლის დაღვრას და სამუდამო ცხედრად გადაქცევას ისევ თავის გამასხარავება ურჩევნია.

აგრე იყოს. მაშინ არსენა გაჩუმდება. დეე ისევ აქაურებმა ილაპარაკონ. „ყოჩად ფარსადან აგრე, გენაცვალოს არსენაი!“ ენაცვალოს რადგან, ისეთი რიზით ლაპარაკობდა მარაბდელის ნათლიმაბა თითქო მდივანბეგი მისი ხელქვეითი ყოფილიყოს. დოდაშვილმა მოციქულებს თავი მოულოკა და ბევრ შელავათს შეჰპირდა, გულში კი ბრაზით იხერხებოდა და უწინდელზე უარეს რისხვას იგუბებდა.

— მაშ გეახლებით, ბატონო, — დაასრულა საუბარი ბოდბისხეველმა და ერთხელ კიდევ მოიქნია მელიის კუდი: — წავალთ და ხალხს შენს წააღობას გადაეცემთ, გლეხობას დავაშოშვინებთ, თორე ძალიან ბევრია გამწარებული და მანდ არა მოხდეს რა, სხვაფორე კი ისევე შენი იმედი გვექნება და შენც ძველებურად გვიმსახურე. შენი ხმალი და ჩენი კისერი. თუ გნებაეს რაიმე, ბარემ გვიბრძანე და ეხლავე შეგისრულებთ.

— როცა დამპირდებით, შეგატყობინებთ, ეხლა კი გირჩევთ ავი კაცი არ შეიხიზნოთ, თორემ ისევ თქვენ ინანებთ. — გადაჰკრა ოძელაშვილს მდივანბეგმა და შუაკაცები გამოისტუმრა.

(დასასრულ შემდეგ ნომერში)



ქურნალს განზრახული აქვს პერიოდულად გამოაქვეყნოს ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშები. პირველ რიგში ისეთი, სადაც მკვეთრად იქნება ასახული ჩვენი მუშათა კლასისა და გლეხობის შეუპოვარი ბრძოლა მზავრეულ და გვსპლოატატორ კლასების წინააღმდეგ, მისი შრომა და ყოფა-ცხოვრება; რელიგიის კლასიურ გვსპლოატატორულ ბუნებისა და სარწმუნოების მსახურთა ზნეუცემულობის გამომვლად ნებელი მომენტები და სხვ.

ვათაყსებთ რა ანს. ი. მჭედლიშვილის მიერ ჩაწერილ ლექსებს, რედაქცია სთხოვს ქურნალის მკითხველთ, მოგვაწოდონ ხალხური შემოქმედების ნიმუშები, განსაკუთრებით უკანასკნელი პერიოდისა, შერჩებილი კოლმეურნეობებსა და ფაბრიკა-ქარხნებში, გამოშატეული იმ რადიფსი გარდატეხისა, რომელიც მოახდინა ოქტომბრის რევოლიუციამ ჩვენი ქვეყნის სოციალურ და ეკონომიურ ცხოვრებაში და მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის შვეებაში.

რედაქცია.

ხალხური პოეზიის ნიმუშები

ქვემოთ მოყვანილი ხალხური დაუბეჭდავი ლექსები უმეტეს ნაწილად ზემ მიერ ჩაწერილია შილდელი გლებ-მომღერალ დედას ლევენანასაგან, და მის პირველ მოძახილ აღექსი ელოშვილისაგან.

აგრეთვე ცნობილი კაკაბელი გლებ-მომღერალ მიხა ჯილაურისაგან, ამავ სოფლის გლებ დავით ქიტიაშვილისაგან, ხაშმელი გლების გიოლება გულღიაშვილისაგან და იოსებ მესტიერისაგან. ზოგი ლექსები კი მათთან სიმღერის დროსა მაქვს დასწავლილი.

დედას ლევანა საშუალო-გლებია. ამჟამად იგი 80 წლისაა და სცხოვრობს სოფელ შილდაში.

აღექსი ელოშვილი შილდელია. საშუალო გლები 80 წლისა.

მიხა ჯილაური ღარიბი გლებია, სცხოვრობს ს. კაკაბეთში და 60 წლისაა.

დავით ქიტიაშვილი უღარიბესი გლები იყო (კაკაბელი), ოღონდ არ ვიცი ეხლა ცოცხალია, თუ არა. როცა მისგან ჩაწერე ლექსები 50 წლისა იქნებოდა.

გიოლება გულღიაშვილი, ხაშმელი გლებია, სიღარიბის გამო ტფილისში ჩამოვიდა და აქა მუშაობს მუსკოპში. ამჟამად იგი 30 წლისაა და სამი წლის წინად მღეროდა მიხა ჯილაურთან.

იოსებ მესტიერი, რაკველი გლებია, იქნება 70 წლისა. წინად მეტურე ყოფილა და შემდეგ სტიერისთვის მოუკიდია ხელი.

ლექსების ბოლოში აღნიშნული იქნება ვისგან და როდის ჩაწერე იგი.

ი. მჭედლიშვილი.



კავთობაში

კავთობას ვიყავ ხატშია,
 იდგა ბედნიერ დღეები,
 ტოკავდენ საჭიდაოთა
 ბიჭები როგორც კლდეები.
 გამომიწვია თავადმა,
 ბიჭებმაც მითხრეს შეები:
 გადავბტი წამოვიკიდე,
 ავაკრეფინე ბზეები,
 მაგრამ მის აზნაურებმა
 ხანჯლით ჩამიქრეს მზეები,

დავით ქიტიაშვილი 1912 წ.

ლექსი მუხრან-ბატონზე

მუხრან-ბატონის ყმობითა
 ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა,
 ვერც დიკული გავებდნე,
 ვერც კალო ვლესე მოზვრითა.
 ხიდის თავს შევკრათ პირობა,
 ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანია,
 ჩაუბტეთ მუხრან-ბატონსა,
 თავს დავანგრით ბანია.
 წავართვათ, წამოვიყვანოთ
 თვალ-ყუყუნ თეთრი ქალია,
 თითო იგეთი ვაკოცოთ,
 ლოყაზე ასძერეს ტყავია.

(დედას ლევეანა 1927 წ.)

ლექსი მღვდელზე

იფ, რა მღვდელი გვყავს, რა მღვდელი,
 ეს სულის მამა ჩვენია!
 გაგვინადირდა... მუცელში
 გაუჩნდა ციცილი, გენია,

ისე დარბოდა ტაბლებზე,
როგორც ულავი ცხენია,—
აბა უყურეთ როგო სკამს,
ეხლაც ვერ მოუსვენია!



(გ. გულიაშვილი, ხაშში 1927 წ.).

ლემსი მამასახლისზე

რას მიბღვერ მამასახლისო,
გული რათა გაქ დიდიო,
მაგით რას მიბუზღუნები,
გულზე რო ჯაჭვი გკიდიო!
ოთახი რკინით სავსე გვაქ,
ძაღლები ჯაჭვით გვიბია.
სახედრებივით გაქსუქდით
მამასახლისი გზირია—
როდის მოგვივა დრო-ჟამი
გამტერიოთ ცხვირი, პირია.

(დ. ქიტიაშვილი, 1912 წ.)

* *

მღვდელმა უთხრა დიაკვნსა,
ეს რა ღმერთი გვიწყრებაო,
აც არავინ ქორწილდება,
არც არავინა კვდებაო.

მესტპირა

ჩვენს მასპინძელს გაუმარჯოს,
მოუხარშავს ხაფიწიო,
აიქით რო ქალი მოსჩანს,
იმის ეშხით დავიწვიო.
გვერდით რო ვაეკაცი უზის,
ვინ იქნება, არ ვიციო—
მათ ქორწილში სტვირს დაუკრავ,
ეს კი ნამდილად ვიციო.

ნათლის გვერდით რომ ზიხარ,
სახელ მიბოძე შენიო
თუ მოგახსენო ცუდი რამ,
შამხედეს მუნ-საქეტელიო.
შუქი გადაგდის სახეზე,



გაგიტენია ბნელით,
მეც შამამხედე ხანდახან—
გამისწორდება წელით.

შენი სახელი რაღაა
გულის ამოსაოხრია,
შენი ქურდული ყურებით
პირზე სახარულს მოგვევრია.
გვერდით ვილაცა მოგისვამს,
თაეპირი ფქვილში მოჰსერია,
ოთხმოცი წლისა იქნება,
ულვაში ჯერ არ მოჰსელია.

შენი სახელიც მიბოძე,
ულვაში გაქვს, ვით ეშვები,
გვერდზე რო ქალი მოგისვამს,
იმისი ცოდვით ვეშვები.
წყალი აკლია მაგასა,
უწყლოდ უბმება დესვები,
მაგას უნდა შეუკეთო
სიყვარულისა შეშვები.

ჩემ ამბავსაც მოგახსენებთ,
დაგიმალავთ ამას განა!
მე რო დედამ გამაჩინა,
ასო-ტანი დამატანა.
საცოდევმა მამაჩემა
მღვდელ-დიაკვნს მიმაბარა.
შემეჯავრა მათი საქმე
და იმათი ანაბანა,
ამის ჯიბრზე მამაჩემმა
მესტვირესთან წამიყვანა.
ოხერი ციებ-ცხელედა
მკათათვეში შემეყარა,
სასიკვდილოდ გამიმეტა,
კილამ მღვდელი გააბარა:
დიღრთა თუ საღამოთი,
ჩამორბოდა ჩქარა-ჩქარა,
დედაკაცებს ეკითხება,
მესტვირე ხომ არ მომკვდარა.
მაგრამ ღვდელი აღრე მოკვდა,
მე ციებამ გამოიარა,



საცეცხლური და ოლარი,
 სუყველა ოხრად დაყარა,
 შხამად შეერგო ტაბლები,
 რაც რომ მუცელს ჩააყარა.
 მერე მეპურედ დაედექი,
 გაიგეთ გასაჭირიო,
 მაგრამ ხემწიფის ნალოგმა
 გამომითხარა ძირიო:
 მეპურეობა დავავდე,
 ხელში ავიღე სტვირიო—
 ჯანი გავარდეს ყველაფერს,
 მტერმა მოგვამოთ კირიო.

(მესტვირე იოსება 1925 წ.)

დაცინვის ლექსი

შენზე ქალმა დაიკვება,
 ყმაწვილი ვნახე,
 გუშინ რო წირვაზე ვიყავე,
 იქ დავინახე:
 იმან დამიწყო ყურება,
 მეც გავინახე,
 ვინ იქნება იმისთანა
 დედამიწაზე!
 თუხზე უხდება ჩუსტები,
 ქამარი—წელზე...
 ვაი რა ტურთად შემდგარა
 სულ ნათხოვრებზე.
 რათ უნდა ყალბი ქამარი,
 რო არტყავს წელზე,
 რათ უნდა სხვისა კრავილი,
 რო მხურავ გვერდზე!
 იმათი სახლი გაჩვენა,
 აბია ლელვზე,
 იმათი ქვაბი გზირს მიაქ,
 ნადგამი ცეცხლზე.

(დ. ქიტიაშვილი 1912 წ.).

სიმღერები

1.

მოდო მოუსვი კუდსაო,
 ბატონი მოგცემს პურსაო,

მოგცემს და ისევ წაგართმევს,
ნუ დაგაკლდება გულსაო.

(ძველი სიმღერა)

2.

მიშველე მიქელ-გაბრიელ,
ემშაკმა არ მიმტყუნოსო,
არ ჩამიტყუოს ჯოჯობხეთს,
კარი არ მომიხუროსო.

(დედას ლევანა. ძველი სიმღერა.)

(პარიანტი)

3.

ნუმიც გაიხაროს მტერმა და
ნურცა-რა გაუზარნია...
დამწაგრე მტერო, არ ვტირი,
ტირილი დიაცო წესია.
ბევრჯელ ვყოფილვარ ამ დღეში,
მაგრამ არ დამიკვნესია.
მაცადე გამოუტყვალო
ჩემ თოფსა ჩახმახ-კვესია,
სულ წმინდათ მოგამკვივინო,
რაც ჩემთვის დაგიტესია.

(მიხა ჯილაური. 1926 წ.)

(პარიანტი)

4.

ციგ-წყარო ჩამოვიარე,
ქალი დამიხვდა წყალზედა,
თავი ვთხოვე და არ მომცა,
საყურე ება თმაზედა:
შენ ჩემსა ქმარსა ვერ იცნობ,
სულ ხელი უღვე ხმალზედა,—
დღისით მიზოცავს ნადირსა,
ღამით უწევარ მკლავზედა.

(დედას ლევანა. შილდა 1928 წ.)

ილია ჭყონია

მამი ღლე და სთქელი

ჩემი დღე და სთქელის ამბავი ჩემი დედ-მამის ცხოვრებიდან უნდა დავიწყო, რადგანაც, მე თუ რამე ფასი მაქვს, იმიტომ უმთავრესათ, რომ მათი შვილი ვარ, და მათ შემქნეს და გამზარდეს იმისთანათ, რაც დღესა ვარ.

მართალია ცხოვრების გარემოებებსაც ჰქონდა მნიშვნელობა ჩემს დაკაცებაში, მარა უპირატესათ ჩემი ხაზიათის და მიმართულების გამოშახველი იყვნენ ჩემი მშობლები.

მამა ჩემი (დაიბ. 1819 წ.) იყო უფროსი ვაჟი თავის მშობლებისა, მამით გურულია, დედით მეგრელი, შობით კი მეორე შვილი მათი. უფროსი ყოფილა ქალი.

მოუნათლავს მამა ჩემი მთავრის ძიძის ვახტანგ გურიელის (გარდაც. 1812 წ.) მეუღლეს ორბელიანის ქალს მარიამ (მაკა)¹⁾ მგონი მთავრის ბიძას თვითონ ჰქონია იმედი გამოთავრებისა, და ამიტომაც როცა მარიამ მამა ჩემს ნათლავდა, პაპჩემისათვის ებრძანებინა „ამ შენს შვილს ჩემს სავეზიროთ გაეზრდიო“

შვიდს წლამდის შინ იზრდებოდა მამა ჩემი, ხშირად დაჰყავდათ თურმე სასახლეში. ერთხელ ძიძამ აკვანში თურმე ღვინო ასვა. ბავშვს აწყინა და პირი-

^{*)} ილია ჭყონია —საქმაოდ ცნობილი ლიტერატორი და კულტურული მოღვაწე. დ. 1860 წ. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ლექსი, ბელეტრისტული და დრამატურგიული ნაწარმოები. სთარგმნა პუშკინის „პოლტავა“. რედაქტორა გაუყვითა „ქილილა და დამანას“. შეადგინა „სიტყვის კონა“, რომელიც ნიკო მარის წინათქმით დაიბეჭდა რუსეთში 1910 წელს. სამი წლის განმავლობაში ქუთაისში ბეჭდავდა სამეურნეო ჟურნალს „მეურნეს“. მისი ლიტერატურული ფსევდონიმი იყო „თ. მაგმაძე“, რომლითაც გამოსცა თავისი წიგნაკები: „ჭოლოცი“, „ჯალმის მონასში“ და სხ. 1913 წელს გამოსცა ნაწერების სრული კრებული. ი. ჭყონია გარდაიცვალა 1927 წელს.

ქვეშოდ იბეჭდება ი. ჭყონიას მოგონების დასაწყისი. ავტორს, როგორც სწამს ფართედ განუზრახავს თავისი მოგონებების დაწერა, მაგრამ სამწუბაროდ, სხვადასხვა მიზეზებისა გამო, დასაწყის თავებზედვე შეტერებულა. ეს დასაწყისიც საქმაო ისტორიულ-ლიტერატურული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტებს შეიცავს.

რედაქტორა.

¹⁾ ხალ ორბელიანის (ყაფლანიშვილის) ქალი, დაი ფოთის ამღების (რუსთაშვილის შემდეგ) დიმიტრი ორბელიანისა.

დან ასაქმა. იმ დღიდან ისე შექულებოდა ღვინო, რომ სიკვდილამდის ერთი ჭიქაც არ დაუღვია, გარდა ერთ გზობისა და ისიც ძალაუფლებურად, — ღრო კი ისეთი ყოფილა და ღვინო იმდენი ჰქონიათ მაშინ, რომ თავმჯდომარე ცეცხლს თურმე ხელსა და ფეხს, თუ არღვინით, ისე იშვიათათ დაიბანდა.

2.

შვიდი წლის მამა ნათლია მისს გაუგზავნია თბილისში თავის ნათესავთან (იქნებ ძმასთანაც) რომელსაც ორმაგი გვარი ჰქონია ორბელიანი და ვითიშვილი. ამ ორბელიან დავითშვილისთვის სოფიოს მიუწერია: ეს ჩემი ნათლული ისე გამიზარდე და გამინათლე, როგორც ჩემი შვილიო. იმასაც მამა ჩემი თბილისისს კეთილშობილთა სასწავლებელში მიუბარებია, პანსიონში.

იქ ის, სხვათა შორის, ერთსა და იმავე კლასში სწავლობდა ლევან მელიქიშვილთან, (შემდეგ მეფის მოადგილის თანამდებობის ამასრულბელი) იასე ანდრონიკაშვილთან (შემდეგ თბილისის სამოსამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარე) და ერთ ერთს მამაცაშვილთან-ერთი კლასით წინ ყოფილა მამაზე ტატო ბარათაშვილი, იგივე პოეტი ნიკ. ბარათაშვილი.

მამა და ტატო კაი ამხანაგები ყოფილან. ახალი მიბარებული ყოფილა მამა პანსიონში, რომ ერთს დღეს სასწავლებლის დიდ შუშაბანდიანს დერეფანში კრივი გაუმართავთ. გურულ ბავშს, კრივის უნახავს, კრივი ჩხუბათ მოჩვენებია და თვლით ტატოს ძებნა დაუწყია, რომ მიშველებოდა. უცებ შეუხედავს, რომ ტატო და ერთიც სხვა ამხანაგი ერთმანეს მუშტს ცემდენ, მარა არც ერთი არც ტიროდა, არც ივინებოდა, არამედ ორივეს მოციხარი სახე ჰქონდა და რამდენსაც ერთი მეორეს მუშტს ჩასცხებდა, იმდენს მიამახებდა „ესეც სენა“. მამა მისულა და ტატოს გვერდში ამოდგომა გასაშველებლათ. ამ დროს მამისთვის თვალი მოუკრავს ტატოსთან მოკრივე ამხანაგს, გამდგარა განზე და ტატოსთვის უთქვამს.

— აბა, ტატო, ახლა ამ გურულს ეკრივე! ტატოც მობრუნებულა, და უცებ ისე ღონივრათ ჩაუტყბია მამისთვის მუშტი ფერდში, რომ მას ბლავილი დაუწყია. ტატოს ერთი კრივი კიდევ გაუკრავს. გულ მოსულს მამას სილა მოუჭნევია. სილის გასარტყამათ გაშლილ ტორს მოხვედრია ახლათ მოჭნეული მუშტი ტატოსი და მამისათვის ჩაუტყბია ნეკი ერთ გოჯამდი. მამა წაქცეულა და შედგომა სისხლის ღვარი. მოწაფეებს კრივი მიეტოვებინათ და მამას შემოხვევოდენ. მოსაფერებლათ. ექვსი კვირა სამკურნალოში წოლილა მამა და სულ კი ექვსი თვე შეხვეული უტარებია ხელი მამას. სამკურნალოში წოლის მეორე დღეს მამასთან მოსულა ტატო და უთქვამს:

— მამატივე, ამხანაგო, არ ვიცოდი თუ ქვენს ქვეყანაში კრივი არ იცოდენ, თორემ ისე უცებ კრივობას არ დაგიწყებდი.

არც მე ვიცოდი თუ თქვენში ცემას სწავლობდენ, თვარა აქ არ ჩამოვიდოდი... მიუღია მამა ჩემს.

კრივი რა ცემა? ეს ხომ ხუმრობაა! უთქვამს ტატოს.

— კრივი თუ ხუმრობაა თქვენში, აბა თამაში, კაცის კვლა იქნება! მოუგია მამას, რომლის უგულითადეს ამხანაგათ შემდეგ ყოფილა ტატო, მომავალი პოეტი.

ეს უკანასკნელი მამის სიტყვით იყო ცქვიტი, მზიარული, ჰქუჩიანი და კეთილი გულის ამხანაგი, მასთან კარგი მოკრივე და მოსწრებული სიტყვის პატრონი, ცოტა დამცინავის კილოთი.

მამას სიტყვით „მერანი“ ბარათაშვილმა დაწერა გიმნაზიაში, (კეთილშობილთ სასწავლებელი შემდეგ გიმნაზიით გადაკეთდა) კლასში, არითმეტიკის გაკვეთილის დროს.

როცა შემდეგ ბარათაშვილის ნაწერები დაიბეჭდა და გამოირკვა ტატოსივე წერილით, რომ მერანი დაიწერა ბევრათ უფრო გვიან, მაშინ როცა შამილმა შეიპყრო დავით ჭავჭავაძის ოჯახი წინანდალში, და დაიწერა ნიშნობლივ ილაკო ორბელიანის (თუ ჭავჭავაძის) ტყვეთ წაყვანის გამო, მამა მიინც არ ტყდებოდა, და ამბობდა, — „არა ბარათაშვილს „მერანი“ გიმნაზიაში სწავლის დროსა აქვს დაწერილი, არითმეტიკის გაკვეთილზეო. კარგათ მახსოვს, რომ „მერანი“ შეზებრათ ვიცოდი ჯერ კიდევ გიმნაზიაშიო.

იმ დროს წერათ ყოფილა მიღებული, გიმნაზიის კურსის დასრულების დროს, სამშობლო ენაზე ¹⁾ ეგზამენზე მოსწავლეს უნდა წარედგინა საეგზამენო კომისიისათვის თარგმანი ერთი რამ დასრულებული თხზულებისა რუსულიდან. სათარგმნი თვით მოწადეს უნდა აერჩია. მამას გადაეთარგმნა „ვილჰელმ ტელლ“. ეს ნათარგმნი, ჯერეც დაუბეჭდველია, მარა ბევრი კითხულობდა მას ხელნაწერათვე 1847—1869 წლებში.

3.

მამას გიმნაზიის კურსი დაუსრულებია 1837 წელს. იმ დროსვე მისი მამობილის ორბელიან-დავითაშვილისთვის მიუციათ კავკასიის ცხენოსან-მთიულთა პოლკი. რომელიც, თურმე, სულ ჩერქეზების აზნაურთაგან (უზდენ) იყო შექმდგარი. მხოლოთ ორი არ უნდა ყოფილიყო ჩერქეზი: პოლკის კომანდირი და ხაზინადარი. პოლკის მიღებისთანავე ორბელიან-დავითაშვილს მამა თავის პოლკში ჩაურთცხავს სამსახურში 1838 წელს და მალე ხაზინადრობის თანამდებობაზედაც დაუნისწვინებია.

იმ დროებაში თურმე, რუსის მთავრობა მოელოდა პოლკის აჯანყებას და პოლკიც ვარშავაში გადაუყვანიათ ბინათ.

პოლაკებს ერთობ შორს ეჭირათ თავი რუსის მხედრობისაგან და ძალიან ერიდებოდენ მისს სიახლოვეს, ხოლო ამ ცხენოსან-მთიულთა პოლკს კი ძალიან ეფერებოდენ. თითქმის ყოველივე მოსამსახურე ამ პოლკისა პოლაკებს ხელის-სატარებლათ ყავდათ მიჩნეული, გაურჩევლად ჩინისა და თანამდებობისა. სადილი, ვახშამი, საღამო, ბალი და პიკნიკიც კი ისე არ გაიმართებოდა თურმე, რომ ამ პოლკიდან რამდენიმე ყმაწვილი მაინც არ ჰყოლოდათ დაპატივებული. პოლაკები ყველა მათგანს ეხვეწებოდენ თურმე: „ან თქვენ ისწავლეთ ჩვენი ენა, ანდა გვენ გვასწავლეთ თქვენი ენა, ოღონდ კი ავცდეთ ჩვენი საერთო მტრის—რუ-

¹ იმ დროს ასწავლადენ თურმე ქართულს, თათრულს და სომხურს.

სის ენაზე ლაპარაკსო? მართლაც, ბევრმა ჩერქეზმა შეისწავლა პოლაკური ენა, ზოგმა მათგანმაც მწერლობაც კი.

მამა ძალიან დაეახლოვებინა თურმე ერთი დიდათ ^{განათლებულის} და მდიდარ გრაფის ოჯახს, რომელშიაც ხშირათ დადიოდა თურმე პოლკის კომანდირიც თავადი ორბელიანი-დავითაშვილიც.

გულითადათ დაახლოვებთან თურმე მამას ამ ოჯახში უფროსი ვაჟი და მისი და ერთად ერთი ქალიშვილი გრაფისა. პირველმა შეასწავლა მამას პოლაკური ენა, ისტორია და მწერლობა, ხოლო მეორემ ფრანგული ენა. და საფრანგეთის ისტორია და მწერლობა. თვით გრაფს კი ნაპოლეონის ომები შეესწავლებინა მამისათვის, რომელსაც მას შემდეგ ნაპოლეონის თითბრის პატარა ქანდაკება მუდამ საწერ მაგიდაზე ედგა.

სამაგიეროთ მთელს ოჯახს მამა ა.წავლიდა, რამდენადაც თვითონ იცოდა, რასაკვირველია, ქართულ ისტორიას და მწერლობას.

ერთხელ, როცა მამა მოუთხოვრებდა ზალაში თავმოყრილ ოჯახს აღამამამდხანის ქალაქზე თავდასხმას, ერეკლეს შებმას და 300 არაგველის ერთ დროს ერთათ გაწყვეტას, მათვე აღთქმისამებრ, გრაფს წამოეძახა.

საწყალი საქართველო და პოლსკა! რა სიმხნემ და თავგაწირულებამ რა უბედურათ ჩაუარა მით!

აი, შვილო, ეთქვა ცრემლების ღაბა-ღუბით მოხუცს მეუღლეს გრაფისას ჩვენ გული აგვიჩუყა შენი სამშობლოს უბედურებამ უცხო მტარვალისაგან მოვლენილმა, და შენ კი იმ სამშობლოს შეიღმა, ჩემ შეიღებს თოფი უნდა კრა ზვალ, ან ზეგ!

ამცბარს და შეწუხებულ მამას ძლივს მიეგო:

— მე ხომ, როგორც ზაზინადარი, ბრძოლის დროს რაზმში არ ვიქნები? ეთქვათ, ვანა რაზმშია საქმე? შენ ხომ იმათ დროშის ქვეშა ხარ, იმათ ემსახურები, ზნეობრივით ეხმარები? ან რა იცი, რომ ზვალ რაზმში არ ჩაგაყენებენ?

— პირადათ თქვენ არაფრის შიში არ უნდა გქონდესთ: თქვენ ხომ თვითონ არ გახვალთ ბრძოლის ველზე, თქვენ რაც უფრო შორს იქნებით ბრძოლის ველიდან მით უფრო მეტს დაეხმარებით აჯანყებულებს...

ამის გაგონებაზე ყველანი გველნაკებნივით წამომხტარიყვნენ.

— როგორ? სამშობლოს გამანათვისუფლებელ ბრძოლაში ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა თუ არ მე?! წამოეძახებინა ლოყაზე აღმურ მოღებულს ვაჟს გრაფისას.

— არა, შვილო, აღლევებულ ხმით მიეგო გრაფს: როცა მეტრძოლი ხალხის დროშაზე ეწერება „თავისუფლება ან სიკვდილი!“ მაშინ, ვინც ლაშქრათ არ წავა, ის მტერია ერისა და სამშობლოსი!

— მე ხომ მოხუცი და სნეული აღამიანი ვარ, მარა, მეც იქ მოვიდომებ სიკვდილს, სადაც ჩემი შვილი მკერდს მიუშვერს მტერს! ცრემლების ღვრით ეთქვა გრაფის მეუღლეს. ყველაზე უფრო გვიან ხმა ამოელო გრაფის ქალიშვილს, ლაწვებ აბროწევებულს.

— ჯარში მეც წავალ... ჩემს დაკრილ ძმებს კრილობებს შეუხვევ, მოუვლი... მოსარჩენს ვაჟამხნევებ, მამაკვდავს ვახუგეშებ...

ახლა აღარ მავიწყებს ის გრძნობების ცეცხლი, რაც ვაშოსკვირის შემცევიჩის ლექსებში! მართალია, ვინც თქვა.

„ეშე პოლსკა ნე სვინელა,

პუკი მი ჟიევი!

ეშე მოსკალ... ვეზმი,

პუკი მი ზახცემი! 1) — ეპასუხებინა მამას ყველასთვის და მით-
ცოტათი გამოებრუნებინა თავისკენ მათი შეურაცხყოფილი გული...

4.

ერთხელ მამა ორდინატორათ ყოფილა დანიშნული პოლსკის მაშინდელ მეფის ნაცვალთან (ნამესტნიკთან) პასკევიჩთან და როგორც ყველას სხვანიც, მორიგეობდა მეფის ნაცვლის კაბინეტის წინა ოთახში. ერთ ოთახში ხმა-მალა ნალაპარაკევი მეორეში გარკვევით თურმე ისმოდა.

იმ დროს მეფის ნაცვალს გამოცხადებოდა ვარშავის სამოქალაქო გუბერნატორი, პოლაკი გრაფი ლადიეინსკი (თუ ლოდიეინსკი), და წარედგინა პროექტი სახალხო სკოლების გამრავლებისათვის, პასკევიჩმა ჯერ მოუსმინა თურმე გუბერნატორს, მარა მოხსენების გათავებისთანავე შეუფერებია.

ხომ არ გამოჩერჩეტებულხარ მოხუცო?! ჩვენ ბრიყვებისთვის ვერ მოგვივლია, და შენ კი ტყვიანები გინდა გაგვიმრავლო?!

პროექტ-გაცრუებულ გუბერნატორმა გამოსვლისას ჩუმათ გადულაპარაკა თურმე, მამას:

— გაიგანე ყმაწვილო ქართველო, რაც მომძახა რუსის მეფის ნაცვალმა? ჩვენ რომ ამას გვეუბნებიან, ნეტავ თქვენ რას გელაპარაკებინა?!

5.

იმ ხანებში ნიკოლოზ I დიდი მანევრები გაუმართავს მაშინდელ პირველ ხარისხოვან ციხის ბრესტ-ლიტოვსკის მიდამოებში. მომანევრე ჯარში ყოფილასხვათა შორის ის პოლკიც, რომელშიაც მამა მსახურობდა, პოზიციების დათვალიერების დროს ხელმწიფეს დაუთვალიერებია ბრესტ-ლიტოვსკის სიმაგრეებიც. მეფეს, სარდლებს გარდა ახლდა თურმე ინგლისის და საფრანგეთის ელჩებიც მხლობელ მხედართა შორის კი ერთი თურმე მამაც. უცებ ხელმწიფე ცხენზე გადამხტარყო, მისულიყო ციხის ერთ-ერთ ქვის ნაშენთან, რომელიც უფრო ცუდ ნახელავათ მოჩვენებოდა და დაეწყო თვალიერება. ამშენებლის სამწუხაროთ, სწორეთ ამ დროს გადმოვარდნილიყო კედლიდან ერთი აგური და ხელმწიფის ფეხებთან დაცემულიყო. ნიკოლოზს აელო ის აგური და გადაეცა იქვე მდგომ მამაჩემისთვის — „ჰა, დაიჭი. მერე გადასცემ ჰ. ინენერს“.

ამის დამნაზავ ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებს ერთმანეთისათვის გაოცებით შეეხედათ.

1) ჯერე პოლსკა არ მომკვდარა,

სანამ ჩვენ ვართ ცოცხლები,

რუსი კვლავაც იქ შეჭრება,

სადაც ჩვენ მოვისურვებთ!...

ნიკოლოზმა მოკრა, თურმე, მათ თვალი და უთხრა:

—რა გაგიკვირდათ...? ეს ჩვეულებრივი აგური არ გეგდნოდათ? მე ისეთი
ობრები ინტენერები მყავს, რომ ეს აგური მისს წონა ოქროს მძიმეობას

6.

როცა მთავრობა დარწმუნდა, რომ რუსეთის პოლსკაში აჯანყება აღარ მოხდებოდა, ის პოლკი, რომელშიაც მამა მსახურობდა, მმართველობამ შეამცირა დივიზიონამდე. წინანდელი პოლკის ანგარიშები და საქმეები უნდა გაეწმინდათ, დაეწყოთ, შეეყენებიათ ჯამი და სიები, და გადაეცათ ახალ დივიზიონისათვის. ყოველივე ამას მონდომებოდა ერთ წლამდის დრო. ფულის ანგარიში რომ გაუთავებიათ ნაღდათ დარჩენოდათ პოლკის კასსაში ერთი მილიონი ზლოტი პოლსკური ფული, ანუ 66,666 მანეთი ეხლანდელ რუსის ფულათ.

ეს ფული ხელმწიფეს ეწყალობებია ორბელიან დავითიშვილისთვის, ხოლო ამას კი მამა ჩემისათვის, როგორც შეილობილისათვის, ერუქებინა იმ ფულიდან 20.000 მანეთი მაშინდელი რუსის ფულის ანგარიშით.

მამა გადასულიყო იმ ახალ დივიზიონში—ხაზინადრათვე.

ამ დროს მამა შემთხვევით გაცნობოდა თავადს გიორგი ერისთავს, ჩვენს პირველ დრამატურგს, პოლსკაში გადასახლებულს საქართველოს ასაჯანყებელათ შეთქმულებაში მონაწილეობის მიღებისათვის. ისინი შეხვედროდენ ერთმანეთს ქალაქს გროდნოში ღ სულ ერთათ დაეყოთ ხუთიოდე დღე გიორგის ბევრი რამ ეამბო მამისათვის იმ შეთქმულებაზე. მე იმ ბევრისაგან, რაც მამას ჩემთვის უამბობს სხვა და სხვა დროს, მახსოვს შემდეგი: შეთქმულობის სული და გული ყოფილა ალექსანდრე ორბელიანი, პუბლიათ წოდებული, მწერალი. პოეტის ვაბტანგის ძმა მოთავეების მთავარ კრებაზე აერჩიათ: სამხედრო მინისტრათ გრიგოლ ორბელიანი, პოეტი, შემდეგ კი მეფის ნაცვლის (ნამესტნიკის) თანამდებობის ამასრულელებელი, გენერალ ადიუტანტი; შინაგან საქმეთა მინისტრათ დიმიტრი ყიფიანი, შემდეგ კავკასიის მთავარ-მართველის მურავოვისაგან კანცელარიის დირექტორათ წარდგენილი, მარა არ დამტკიცებულა, შემდეგ თბილის გუბერნიის მარშლათ, თბილისისავე ქალაქის თავათ და ქუთაისის გუბერნიის მარშლათ ნამყოფი. ყველა თანამდებობისათვის ეშონათ კაცები, ვერ ეშოვნათ შესაფერი კაცი შოლოთ არტილერიის მოთავეთ, ფელდცესმეისტრათ. კრება რომ დიდს რჩევასა და ყოყმანში ყოფილა, უცებ ერთს იქვე დამსწრეს ერისთავს წამოეძახა რუსულათ.

ხოთ ია ბუდუ, გასპადა! (თუ გინდ მე ვიქეები, ბატონებოვო!) ყველას გაცი-ნებოდა. და იმ დღიდან იმ ერისთავს ხოთიაბუდუ დარქმეოდა და მისს შთამომავლობას კი დღესაც ხოთიაბუდუშვილებათ იხსენიებენ.

შეთქმულები, აჯანყების დაწყებამდე, გაეცა ერთ მონაწილეთაგან, თავადს ფალავანდიშვილს, შემდეგ თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს. ამ ლალატის გარდა აჯანყების ჩამშლელი კიდევ ბევრი სხვა მიზეზებიც ყოფილიყო-მათ შო-

რის ისიც, რომ აღეწმანდრე ორბელიანს ფეხში დიდი ლურსმანი შეეკაობოდა იარა გამიზუნებოდა, და ამის გამო კახეთში დროზე ვერ წასულიყო აჯანყებულ ცეცხლის ასაგუნებლად...

ერეკლეს
მეფის

7.

გროდნოში გიორგი ერისთავს მამისათვის ერჩია სამსახურისათვის თავი დაენებებია, სამშობლოში დაბრუნებულყო და სასოფლო მეურნეობისათვის ხელი მოეკიდა. „ჩვენს ქვეყანას ვერაფერი შეთქმულა ვერ უშველის, სახამ სამშობლოს მიწაზე ფეხი მაგრათ არ გვედგმება და ქონებით უზრუნველყოფილნი არ ვიქნებითო“—ეთქვა ერისთავს, შემდეგ „გაყრის“ აეტარს.

მამას მოწონებოდა ერისთავის რჩევა და თავის მამობილისათვის ეთხოვნა—სამშობლოში მინდა დაებრუნდე და სასოფლო მეურნეობას შევედგყო, და ნება მომეცი ჯარში სამსახურს თავი დაეანებო და წავიდეო.

ორბელიან დაფითშვილს მამა ჩემის ეს თხოვნა, მეტის-მეტად წყენოდა, და მხოლოდ ხანგრძლივი მოციქულობის შემდეგ დათანხმებულა მამა ჩემის სამშობლოში გამოშვებას, მხოლოდ ისიც იმ პირობით, რომ სახელმწიფო სამსახურისათვის თავი არ დაენებებია, დაკვირვებოდა ჩენი სოფლის ცხოვრებას, და თუ დაინახავდა, რომ სასოფლო-მეურნეობის წაძლოდა ხელს მიცემდა, მაშინ მიეტოვებინა სამსახური.

მამაც ძალა-უნებურათ დაყოლოდა მამობილის ნებას, და მისივე შემწეობით გადასულა ქუთაისის გუბერნიის—ის მაზრის უფროსის თანაშემწეთ (აპრილის 17-ს 1847 წელს).

8.

ერთობ ძნელი წუთები გამოუვლია მამის თავისი მამობილის და გრაფის სახლელულობასთან გამოშვებობისას. ორბელიანი-დაფითშვილი უკოლშვილო ყოფილიყო, და მამას ისე ებყრობოდა, როგორც ღვიძლ შვილს.

—„იმ დღიდან რაც ჩემმა გულმა შენ გიშვილა, მე სრული დარწმუნებული ვიყავი, რომ თვალები შენგან დამეხუჭებოდა და ჩემს კუბოს პირველა მუჭა მიწა შენგან დაეყრებოდა. დარჩენილიყავი ჩემთან, ჩემთვის დიდი ბედნიერება იქნებოდა, და შენთვისაც ბევრათ აჯობებდა. არ ინებე შვილო, და დღერთმა მშვიდობის გზა მოგცეს, წადილი შეგისრულოს და ბედს შეგყაროს!“.

გრაფის სახლელულობა მამას წინდაწინ გაეფრთხილებია წერილით, სამშობლოში მიედივარ ამ და ამ დროს, და დღეს ამ და ამ საათზე გეახლებით გამო-სამშვიდობებლათო.

მთელი სახლობა სადარბაზო ოთახში იჯდა, თურმე, როცა მამა მისულიყო გრაფისას. გამოგებებოდა მხოლოდ გრაფის ვაჟი, რომელსაც მისალმების მაგიერ საყვედურით მიემართა მამისათვის.

— მამ, მართლა გეტოვებ, მოუშინაურებულეო ქართველო?!

— გეტოვებ! გეტოვებ, მოუშინაურებულეო ქართველო? გაემოურებინათ ყველანს დარბაზში მჯდომთ, მამის შესღვისათანავე.

ყველას ისეთი მწუხარება ეტყობოდა თურმე, თითქო დიდი რამ უბედურება დატეხოდათ თავს. მამა დაბნეულა და ხელის ჩამორთმევისა და დაჯდომის მეტი ვერაფერი მოებერებინა.

სიჩუმე დაერღვია გრაფის მოხუც მეუღლეს.

ყველას ჩვენში ქალიშვილმა გვაჯობა მიხედრილობით, თქვა მან. რაცა ხანია, ის წინასწარმეტყველობდა, რომ თქვენ, მიუმართავს მამისათვის, აქაურებს და აქაურობას საბოლოოთ ვერ შეეგუებოდით და საქართველოში დაბრუნდებოდით სამუდამოთ. მას ისიც უკრა, რომ თქვენ დაგვაფიწყებდით კიდევ...

— არა, ეს კი ნამეტანია! სამშობლოს სიყვარული სხვის სიძულვილს არ მოასწავებს, მერე კიდევ თქვენისთანა ძვირფასს ადამიანებისას! თქვენ დაგვიწყებთ მხოლოთ იმ წუთს, როცა ჩემი მაჯა ცემას შეწყვეტს და ჩემი გული ძგერას! გულიანათ მიეძახებინა მამას.

გამომშვიდობებისას გრაფის ქალიშვილს, მშობლების ნებართვით, თავისი ოთახიდან გამოეტანა და ერთქებინა მამისათვის სურათი, მისი ხელით ნაქარგი ფერადი ღაზლით. სურათი წარმოადგენს ზღვის პირათ ქოხს, რომლის ღია კარებიდან გამოსულა ახალგაზრდა, პოლაკის ცოლი თითო ბავშვით, და ემშვიდობება შორს მიმავალს ყმაწვილ ქმარს, რომელსაც იქვე უცდის პატარა ნაეი.

მას შემდეგ 67 წელიწადია გასული, მარა ნაქარგი ისე შეენიერათ არის დაცული, რომ მხატვრულ საღებავით დღევანდელ დახატულს ჰგავს...



ღაპით კლდიაშვილი

მ თ გ თ ნ ე მ ა ნ ი*)

IV

1892 წ. დავითმა გაიცნო პავლე მაჭავარიანი, დაუახლოვდა მის ოჯახს და ცოლად ითხოვა პავლეს ასული მარიამი—დედაჩემი.

სიმაჰრი მეტად ტიპიური მოხუცი იყო. ოჯახი მდიდარი ჰქონდა. ხელგაშლილად ცხოვრობდა. მის სახლში სტუმარი ულევად იყო. იმერეთის რომელ სოფლიდან და კუთხიდან არ ნახავდით აქ „საჭეიფოთ“ მოსულ აზნაურებს! ამ ოჯახში მოსვლა სანაქებოთ მიიჩნდათ.

ბაბუა პავლე ასეთი მახსოვს: მორწმუნე იყო. თავის ოთახში ხატი ეკიდა. ძელი ჭეშმარიტი. დილით, ადგომისას, დიდხანს ლოცვილობს და ხშირად მეტანიას ჴვება. კვირა-უქმე დღეს წირვას არ დააკლდება. შავ ჩოხაში, გაპრიალებულ ჩეჭმებით, დინჯათ მიდის ეკლესიისკენ. გვერდით მიჰყვება მხოლოდ ცოლი, ბებია მართა. უკან ამაღლა: შვილები, შვილიშვილები, გზაზე შეხვედრილი მეზობლები. ბაბუა პავლეს, როცა ეკლესიისკენ მიდის, ხელები ჭიბაში აქვს მუდამ. ეს იმიტომ, რომ ჩამოსართმევათ ხელის გაწოდება არავინ აკადროს.

აზნაურები და თავადები—შეძლებულნი, ღარიბნი, გაღატაკებულნი,—მათე-ლი ეს ქარავანი ტიპებისა, რომელიც ასე ცოცხლად გადმოგვცა დავითმა, უმეტეს შემთხვევაში დანახულია პავლეს ოჯახში.

თითონ პავლე მაჭავარიანი, კაცი ჭკვიანი, ძველებურად განათლებული, შესანიშნავი მოლაპარაკე, საოცარი ენაშაზვილი—ლმობიერი ირონიით უცქერდა მრავალს, ვინც მის ოჯახში სტუმრობდა. იშვიათად ვინმეს გაიტოვებდა.

გასაცნობათ იმ წრისა და შესათვისებლად იმ ენისა, რომლითაც დავითის გმირები ლაპარაკობენ, სიმაჰრის სახლი მდიდარ მასალას იძლეოდა.

— იქ ჩემთვის ნამდვილი აკადემია იყო!—არა ერთხელ უთქვამს მამას.

განსაკუთრებით უყვარდა დავითს ის დღეები, როცა სიმაჰრის ოჯახში მყოფდნობდა იყო. ესე იგი მაშინ, როცა სტუმარი არ იყო. ასეთ შემთხვევებში დავითს შესაძლებლობა ეძლეოდა მთელი დღე სიმაჰრთან საუბარში გაეტარებია.

წინა აივანის კუთხეში ბაბუა პავლეს თავისი ადგილი აქვს და თავისი სკამი. სკამი იკეცება და იშლებს. ამ ადგილზე და ამ სკამზე მის მეტი არავინ

*) დასასრული. იხ. მხატობი № 3 - 4.

ჯდება. იქვე პატარა რგვალი მაგიდა სდგას. სიძე და სიმამრი ჩაის დიდი მოყვარულნი არიან. დილით აივნის ამ კუთხეში სხედან, ჩაის შეეჭყევიან და საუბარში გართული არიან.

— „კვანძი, ძარღვი მოთბობის („სამანიშვილს დედინაცვალის“) მოცემულია იმ საუბრებით, რომელიც მქონია ხოლმე ჩემს სიმამართან პაეღე მაქავარიანთან“—სწყერს დავითი თავის მეშუარეებში.

ბეკინა და პლატონი, როსტომ მანველიძე, არისტო, კირილე—სინტეტიური სახეებია იმ ხალხის, რომელიც დავითს უნახავს, ან ვის შესახებ სიმამრის ოჯახში გაუგონია.

ფაბულა, რომელზედაც აგებულია „სამანიშვილის დედინაცვალი“, დაახლოებით სინამდვილიდან არის აღებული. ამბაეი გადახდა ბაბუა პაეღეს ერთ ნაცნობ აზნაურს.

მე კარგად მახსოვს ბეკინას პროტოტიპი—მაღალი, ხმელი, ლხინის დიდი მოყვარული, შესანიშნავი მოსიძღვრე, საოცარი ენაშახელი აზნაური ივ. ავ. ლი.

ბეკინა სამანიშვილსა და მის პროტოტიპს შორის არის განსხვავებაც. ივ. ავ. ლი შეძლებული იყო და მეორე ცოლის ხელში ჰყავდა რამდენიმე ვაჟი, რომელთა დავაჯეცებას მოესწრო და რომლებთან ერთად თავის მოხუცებულობას მოლხენაში ატარებდა.

ბაბუა პაეღეს მეზობლად ცხოვრობდა ერთი ღარიბი აზნაური—კიმოთე ავალიშვილი. ძალიან მაღალი, მხრებში ცოტა მოხრილი. გრძელი თეთრი წვერი დაბლა-და-დაბლა თანდათან ვიწროდებოდა და ჰიპოთან პალოსავით იყო ჩოხას შესვებული. ენა ებორძიებოდა, ქვედა ყბა ოდნავ გამოწეული ჰქონდა და ლაპარაკის დროს წვერი უთამაშებდა. დიდი ხანია ცოლი მოუყვდა. ერთი ქალიშვილი ჰყავდა, ისიც სხვა სოფელში ვათხოვილი. მარტო ცხოვრობდა.

კიმოთეს ხელში ეჭირა გრძელი ჯოხი და როცა შიაბიჯებდა, მითითურ პატრიაჩს გავდა. კიმოთეს ხუმრობა უყვარდა, მისაც ამახრებდენ, მაგრამ არასოდეს სწყენდა. პირიქით, აყოლაც იცოდა. ხუმრობდა, მაგრამ ყოველი მისი სიტყვა და სახე, ღრმა ნაოჭებში ჩამუდარი, მუდამ სეფდიანი იყო. კიმოთე არ მახსოვს კმაყოფილი და მგონია, რომ არც ოდესმე ყოფილა. ხანდახან დამინახეს სოფლის ორღობეში როგორ მიდიოდა კიმოთე თავისი უზარმაზარი ნაბიჯით და როგორ ებუტბუტებოდა თავის თავს. და მე ვიმაღებოდი ბუჩქებში, ან სიმიდებში—ამ დროს მეშინოდა რატომღაც მისი.

კიმოთე ჩაის სმას შეეჩვია პაეღე მაქავარიანის ოჯახში. შეეჩვია და შეუყვარდა. პირდაპირ გაწუწუებული იყო ჩაიზე.

ზაფხულის დილას აივანზე, თავის საყვარელ კუთხეში, დავითი და მისი სიმამრი პაეღე ჩაის სვამენ. წინ გადაშლილა დიდი ეზო. როცა კიშკარში ვინმე შემოვა, კიდევ კარგა მანძილი უნდა გაიაროს, რომ იცნო ვინ არის. აივნის პირდაპირ ამართულა უზარმაზარი, გიგანტი ხე. კაკლის ხე. ძალიან შორ მანძილიდან სჩანდა ეს ხე. თითქო ქოლგასავით ეხურა სოფელს. შორიდან ასეთი შთაბეჭდილება იყო. დავითის ქორწილის დროს ამ ხის ჩრდილ ქვეშ სამასი სტუმარი იჯდა.

კიმოთეს საათი არასოდეს ჰქონია, მაგრამ მზითაც კარგად ატყობდა დროს. სწორედ მაშინ, როცა დავითი და პავლე დილის ჩაის უსხდნენ, კიმოთეში გამოჩნდებოდა კიმოთე ჯოხით ხელში. გრძელი ნაბიჯით, თავდაპირველად მიმავლობდა ეზოში, წუთით შეჩერდებოდა კაკლის ხის ჩრდილში და შემდეგ ისევ აგრძელებდა გზას. ვინც ამბავი არ იცოდა, ეგონებოდა, რომ მგზავრმა გზის შესამოკლებლად გადაიარა სხვისი ეზო. მაგრამ ეზოს პატრონმა იცოდა, რა საქმეს მიჰყავდა კიმოთე. როგორც კი მივიდოდა კიმოთე ცაცხვის ხესთან, რომელიც ცოტა მოშორებით იყო კაკლის ხისგან, პავლე თავისი ძლიერი ხმით გადასძახებდა:

— კიმოთე! კიმოთე!

კიმოთე ამის შემდეგ ბრუნდებოდა, შედიოდა პივანზე და მესამე ჭიქა ჩაი მისთვის იდგებოდა.

წლების განმავლობაში კიმოთე ისე იყო შეჩვეული იმას, რომ მაინცდამაინც მაშინ დაუძახებდნენ როცა ცაცხვის ხესთან მივიდოდა, რომ იმ შემთხვევებში, როცა განზრახ არ დაუძახებდნენ, კიმოთე ცაცხვის ხეს მიუახლოვდებოდა თუ არა, დაუძახებლადაც უეცრად გამოტრიალდებოდა და ეზოს პატრონის აივანს მიაშურებდა. შეიძლება ისე იყო შეჩვეული ცაცხვის მისვლისას თავისი სახელის გაგონებას, რომ ყოველთვის ესმოდა სიტყვა „კიმოთე“, როგორც კი ამ ადგილს მივიდოდა.

კიმოთე მუდამ უკმაყოფილო იყო ცხოვრებით. ამ უკმაყოფილებას უზიარებდა ის ჩაის დროს დავითსა და პავლეს.

კიმოთე ალბად მალე მოსაწყენი და აუტანელი ვახდებდა ყველასთვის, მაგრამ ამისგან იმით ჰქონდა თავი დაზღვეული, რომ ოსტატი მოსაუბრე, სპეციფიური იმერული დეკავაჭული მოლაპარაკე და ამბავის მომყოლი იყო.

ორ სტაქან ჩაის კიმოთე აუცილებლად დაღევს. ერთხანს კიდევ საუბარშია გართული. შემდეგ მოიბოდიშებს და მიდის. მაგრამ გზის მიმართულება ავიწყდება. ცაცხვისკენ კი აღარ—უკან, სახლისკენ, ბრუნდება.

კიმოთეს კიბეზე დავითი ჩააცილებს. კიბის წინ ეზოში პატარა დავითი და უზარმაზარი კიმოთე კიდევ დიდხანს ლაპარაკობენ.

„ირინეს ბედნიერებას“ წერის დროს ხშირად უკითხავდა დედაჩემს სცენებს პიესიდან, ცალკე დიალოგებს და სთხოვდა ელაპარაკნა იმ აზნაურებზე, რომელნიც სიმამრ პავლე მაჭავარიანის ოჯახში ენახა.

— აბა, მომეყვი გენაცვალე! დამგეშე, დამგეშე!

— „... ერთ, ორ შემოპატივებით რაფა დარჩებოდა, შე ქალო!.. ვადამთიელი ხომ არ არი, ჩვენებური ჩვეულება არ იცოდეს. შევეპატიყე, ვალი მოვიხადე. ისე ხომ არ გაუშობდი“. მამა, ეს გაიგონე და ჩაიწერე, თუ...

— არც გამოიგონია, არც ჩამიწერია.

— მშვენივრად არის გადმოცემული ჩვენებური შემოპატივების ბუნება.

— ვიდომ?

— ძალიან კარგია.

ჟურ. „მნათობი“ № 5—6.

— შეიძლება... სიმართლე გითხრა, მე ასეთებზე თავი არ მიტყნია, ვწერ-
დი როგორც იწერებოდა. კიტა აბაშიძემ თავის კრიტიკულ წერილში ეს წინა-
დადებაც აღნიშნა. მე იმ წერილიდან გავიგე მხოლოდ, რომ ასეთი ფრაზა
შეიძლება.

— ზოლა და ბურჯე? ახლა ამათ თქვენ აღარ კითხულობთ. ჩვენი თაობა
კი ყოველ მათ ახალ რომანს დიდი ყურადღებით ხედებოდა. განსაკუთრებით
ზოლას. ჩვენ მაშინაც ვგრძნობდით მის სუსტ მხარეებს, მაგრამ გულსისყური
შაინც მისკენ იყო. ყველა თავის დროზე თავის საქმეს აკეთებს. ზოლაში ჩვენ
ვხედავდით მოქალაქეს. ეს კი ჩვენ დროში ყველაფერი იყო. ქართველი მწერა-
ლიც ვალდებული იყო საზოგადოებრივ ასპარეზზე ებრძოლა. უშეტეს დროს
ყოველდღიურ საქმიანობაში ჩაბმული ვიყავით. ვიბრძოდით იმისათვის რომ
გვჭონოდა ქართული გაზეთი, ქართული სკოლა, წიგნი, სტამბა, თეატრი. ჩვენი
შთაფარი საზრუნავი ეს იყო. თითქმის მთელი ჩვენი ენერჯია აქ იხარჯებოდა.
და თუ კიდო ვწერდით... მე პირადათ ვწერდი იმიტომ, რომ არ შემეძლო არ
მეწერა.

1914 წ. ქუთაისში პირველად და მძიმედ ავთამყოფი შეიქნა დავითი. ქა-
ლაჭკარედ საავადმყოფოში იწვა. თითქმის ყოველდღე იმის შიშში ვიყავით,
რომ ხვალ ცოცხალი აღარ იქნებოდა. ათასგვარი დიაგნოზი დასვეს. როცა მო-
კეთდა, მაშინ გაიგეს რომ კუჭის სნეულება ჰქონოდა. აუკრძალეს ეჭამა მრავა-
ლი რამ და სხვათაშორის ხილი.

როცა ვასეირნებოხ უფლება მისცეს, დედამ და მე საავადმყოფოს ბაღში
გავიყვანეთ.

— ტყეში წავიდეთ!—ბავშვივით მიუხარო და ბუნებას.

ტყეში შავქლიავის ხე აღმოჩნდა. ხილი მწიფე ესხა. უცბად მოგლიჯა და
შეჭამა ერთი.

— ავად რომ გახდე?—სწუხდა დედა

— უცნაურს იტყვი რაღაცას!—იღიშება მამა—ამისგან წყენა არ შეიძლება.
იმავე დღეს ცუდათ შეიქნა. ერთი კვირით კიდევ ჩაწვა.

როგორც კი გამოჩნდა, ისევ ითხოვა ტყეში გავეყოლოდით. ისევ შავქლიავს
გაუარეთ. არც ვიფიქრებდით, რომ ხილს მოსწყვეტდა. უცბად ჩამოგლიჯა და
კიდევ შესჭამა. დარწმუნებული ვიყავით ისევ ავად გახდებოდა. მაგრამ ასე არ
შობდა.

— არც ახლა გჯერათ? მაშინ შავქლიავის, ბრალი არ ყოფილა. მაშინ
თქვენი ბრალი იყო. ისე გამიწყვერით, რომ დამაგუვეთ. მე შავქლიავი როგორ
გამწირავდა... დედაჩემი, კესარია ლოლობერიძის ქალი იტყოდა,—კეთილი ხი-
ლიაო!..

საიდან წარმოდგა გვარი „მორბელაძე“.

— სოფელში ჩავედი დედაჩემის სანახავად—მიამბობს მამა.—ღთახში ვზი-
ვარ. მესმის დედა ბალკონიდან ვილაცას ელაპარაკება. მეც გავედი. ეზოში, აივ-

ნის წინ, შუაზნის მამაკაცს ვხედავ. ცხენზე ორი მორჩილი ტომარა შემოუკრავს და თითონაც ჯდება.—ვინ იყო? ვკითხე დედას, როცა უცნობი წავიდა... სიმინდი ითხოვა, შეიღო, დაბლა კუთხიდანაა მორბედაძე... მოთხრობს... მორბედაძე და ნათლად წარმოადგენილი მქონდა, ოღონდ გვარი ვერ მოუხანებ და ეს მაწვალბდა. ეს გვარი მეოცა რატომღაც „მორბედაძე“ შევცვალე „მორბელაძე“, გვარმა სახელიც მოათრია (სოლომონი) და ამის შემდეგ მოთხრობამაც ხორცი შეისხა.

მსოფლიო ომის დასაწყისში, დავითი ჯარში გაიწვიეს.

ფრონტზე წასვლამდე მამა თავისი ჯარის ნაწილით რამდენიმე თვეს ახალსენაკში იდგა.

ჩავედი სანახავათ.

— ეს პიესა დავამთავრე!—მეუბნება მეორე დღეს—შენი ქირიშე გადამიწერე. მთხოვენ, უნდა გავგზავნო.

შინდოდა ცხენი მეჯირითა. მამის თხოვნამ კი ოთახში ჩამკეტა.

უხალისოთ ვწერდი. მომეწონა „უბედურების“ დასასრულში ის ადგილი, როცა ქობიდან ქალი გადასალოცათ გამოდის.

გადაწერილი გადავიკითხეთ.

უეცრად მოწყენილს ვხედავ.

— იყოს ჯერ. არ გავგზავნი... ჩემი პირველი მოთხრობა ანთებულ სანთლებით დაეიწყო, ოცდახუთი წლის შემდეგ ეს უკანასკნელი პიესაც ანთებულ სანთლებით თავდება. ისეა, თითქო გათავდა ყველაფერი... იყოს ჯერ, არ გავგზავნი!

ათასცხრაას ცხრაშეტი. დამფუძნებელ კრების კულუარები. სხდომის შეწყვეტის დროს კულუარებში მრავალი მოქალაქეა. დეპუტატები ფრაქციების მიხედვით თავიანთ ოთახებში ჩაკეტილან. ზოგიერთი თუ გაივლის ბუფეტისკენ. სხდომა იმ დღეს ცხარე იყო. გამოძახილი კულუარებში ისმის. ჯგუფებათ დგანან მოქალაქენი და ხმამაღალი, ქართული კამათი აქვთ. ბუფეტშიც საცივსა და ქადას ილუკებებიან და კამათობენ.

სპარსულ დარბაზში დავითი ცალკე ჯგუფში ჩამდგარა. აქ მწერლები არიან: პაოლო იაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, ტიციან ტაბიძე, შალვა აფხაიძე სოლომონ იორდანიშვილი.

მწერლობაზე ჩამოვარდნილი სიტყვა დავითს ავიწყებს ამ დღის ცხარე სხდომის საგანს.

— მახსოვს, ერთმა მოთხრობამ გამიკვირა საქმე. „წრფელი გული“ იყო. ვატრიალე ასე, ვატრიალე ისე—არაფერი გამოდის. მოთხრობა ჩამოყალიბებული მაქვს, დავჯდებ და წერა დავიწყო—ეს კი ვერ მომიხერხებია. დაწყება, პირველი სტრიქონი მაკლდა. პირველი სტრიქონი კი ჩემთვის ყველაფერი იყო ჩავეტე უჯრაში. აღარ მივეკარე. ბოლოს კიდევ გადამავეიწყდა. ერთხელ გრი-

გოლ ვოლსკი და მე ბათუმის ბულვარში ვსეირნობთ. სეირნობის დროს გადავწყვიტეთ ერთ ნაცნობთან წასვლა. მივდივართ. უცრად თითქო ვილაკამ ფარდა ასწია ჩემ წინ. ასწია და ჩემი მოთხოვნის დასაწყისი დაშავდა. ერთ წუთში თვალწინ გადამეშალა დასაწყისი და ბოლოც.

— „მე აღარ მოკვდივარ!“ მივაძახე ვოლსკის, მივატოვე გაკვირვებული და სახლისკენ გავსწიე. მივირბინე, ჩავიკეტე და წერა დავიწყე. ისეთი ხალისით, ისეთი გატაცებით ვწერდი!

დავითისადმი მიწერილ წერილებში რუსული ბარათი ვიპოვე. ქალისგან გამოგზავნილი. წერილი ასე იწყება: „ძვირფასო სენეკა“. ერთ ადგილას: — „ძალიან დაღლილად ვგრძნობ თავს, სიმშვიდე მენატრება. თუ შეგიძლია, ნუ მიძღულებ მეტი ტანჯა ავიკიდო...“ ბოლოში: „— გიყვარდე უფრო მშვიდათ, არა ასეთი თავდავიწყებით“...

მინდოდა გამეგო — მამა სენეკა, თუ შემთხვევით შერჩა ეს წერილი. პირდაპირ ბარათის შესახებ კი ვერ ვკითხე. ვერ გავუბედე. ვიკოდი, შვილს მომირიდებდა.

— მამა, შენი მეგობრები სენეკას გეძახდნენ?

— რუსეთში... როცა მოსკოვში ვსწავლობდი. მეტსახელად დამარქვეს.

საიდუმლო ამით გავიგე.

არ ვიცი რატომ, მას შემდეგ სევდას ვატარებ იმ ბარათის მომწერ უცნობ ქალზე.

ბაბუა სამსონს (დავითის მამა) სიმონეთში ძველი მეგობარი ესტუმრა. მაღალი, ტანწვრილი, გრძელწვერა ახნაური. ჩოხა ქამართან გაცრეცილი. რუსული ჩექმები. ქამარი ოდესღაც ვერცხლით მოქედილი ჰქონია. ახლა უმეტესად ტყავი დარჩენილია. ამოვარდნილ ვერცხლის ადგილებზე ნაჩხვლეტები სჩანს. დანაოჭებულ სახეზე ცოცხალი, მელასავით ეშმაკი თვალები, მრავალი წელიწადია ბაბუა და მისი სტუმარი ერთმანეთს იცნობენ! წარსულში რამდენი ტკბილი დღე ახსოვთ!

ბაბუა სამსონი მეგობარს გვერდით უხის, უმასპინძლდება, ღვინოს უსხანს და უამბობს:

— არათუერი მაკლია, ჩემო სიმონ... აქ შემომხედე, ხომ კარგად გახსოვარ მე, სამსონ კლდიაშვილი? ჰო და, ახლა უფრო უკეთესად ვარ. საესე ვარ ყველაფრით!

ბაბუა სამსონი პირდაპირ ზღაპარს უამბობს. თავისი ვენახის, ყანების, ციკქასა და კრახუნას ღვინით საესე ქვევრების შესახებ.

მეგობარიც ცდილობს გაახაროს ბაბუა სამსონი:

— ვერც მე დავემდურები ღმერთს, ჩემო სამსონ. შვილებმაც ძალიან შემაწყვეს ხელი. ისე ვცხოვრობ, რომ ჩემთან მოსვლა გესიამოვნება. ასი კაცი რომ უეცრად მესტუმროს, მეზობლისას ერთი კიჭის სათხოვნელადაც არ დამპირდება გადასვლა. მე გეტყვი არ მაქვს!

ორივე დიდხანს ტრაბახობს. სვამენ ერთმანეთის საღლეგრძელს, წარსულს იხსენებენ და ერთმანეთს ულოცავენ კმაყოფილ ცხოვრებას.

— დათქო, დალოლი ხარ, მოისვენე!— ეუბნება ნასადღობს დედამი

— ცოტა ხანს კიდევ, ცოტა ხანს!— არ დგება მამა—ანე შენ ხარ ჩემი მოთხოვნიდან მესტუმრენი..

დახრილი თავი გრძელი თითების სვეტებზე დაუნღვია და თვალდახუჭული უსმენს ორი მოხუცი აზნაურის საუბარს.



ქუჩაში გამაცვენეს წკიპათ ჩაცმული მოქალაქე. გალსტუკს ხშირად ქაჩავდა. ალბად აწუხებდა.

— ხომ კარგად ბძანდება ბატონი დავითი? არ მქონია შემთხვევა გამეცნო. წარმოდგენილი მაქვს რა საინტერესო იქნება მასთან საუბარი... ალბად ერთობ ენამახვილი კაცია. შეიძლება მოვიდე მასთან?

ერთ დღეს ეს მოქალაქე სრულიად მოულოდნელად დავითთან შემოვიდა მამამ უცნობი თავაზიანათ მიიღო. თითქო კიდევ გაუხარდა. მაგრამ სიხარული ხანმოკლე გამოდგა.

რამდენ სიტყვას იტყოდა დავითი, მოქალაქე იმდენს გაიცინებდა. საცინარი არაფერი იყო, სტუმარი კი სიცილით იღრჩებოდა.

უცხად მამა აღგა, ნერვიული ნაბიჯით კარისკენ წავიდა და მეორე ოთახში გავიდა. მოქალაქე ერთხანს დავითის დაბრუნების მოლოდინში იყო, იგონებდა დავითის ნათქვამს და იცინოდა. უყურებდი და მიკვირდა. რა აცინებდა, ვერ გამეგო. მამას ხუმრობა არასოდეს ჰყვარებია და არც ახლა უხუმრია...

— მოგვედი კაცი, აღარ შემიძლია მეტი!— ბრიზინებდა მოქალაქე.

როცა მეორე ოთახში გავედი, მამა წარბშეკრული დავინახე.

— ვინაა ის ჩიტირეკია?— მეკითხება გაბრაზებული— მე არ გამოვალ. უთხარი წავიდეს.

ოციოდე წუთის უნაყოფო ლოდინის შემდეგ მოქალაქე წავიდა ჩემ მიერ დარწმუნებული, რომ დავითი უცკრად წერის ხასიათზე მოვიდა და ახლა მისთვის ხელისშეწლა შეუძლებელია.



დავითი რუსთაველის პროსპექტზე მიდის. ჩქარი, მოკლე ნაბიჯი. საქმეზე იჩქარის.

შეხედება ნაცნობს. გაჩერდება. ელაპარაკება, გულს ერთ წუთში გადაუშლის. ავიწყდება, რომ საქმეზე იჩქარიდა. ყოველი შეხვედრა უხარია.

— გავვიანდება!— ბრთხილად ვახსენებ.

— მოვდივარ, მოვდივარ!— ისევ მობაკუნობს თავისი პატარა, სწრაფი ნაბიჯით.— რა მშვენიერი კაცია, რა დიდებული კაცია!— იგონებს ახლად განშორებულს.

წუთის შემდეგ ასეთივე შეხვედრა მეორესთან, მერე მესამესთან, მეოთხესთან... დაუსრულებელი შეხვედრა, ლაპარაკი და ალტაცება. მამას უამრავი ნაც-

ნომი ჰყავს. ზოგიერთის არც გვარი იცის, არც სახელი. ელაპარაკება, გულს გადაუშლის, გაშორდება და მერე შეკითხება:

— ვინ იყო, თუ იცი?

ერაკლიანი
ნიკოლოზიანი

1925 წლის შემოდგომის ერთ საღამოს სოფელში ბუხრის წინ ვზივართ. კუთხეში დაბალ სამუხეხა სკამზე დედა ზის და ქსოვს სათბურს დავითისათვის. დედის თითები ქსოვას შეუჩვეველია. უჭირს. ჩხირები თელემში სადაც საჭიროა არ ხედება. მრავალჯერ უხდება დარღვევა და ხელახლა დაწყება. ჩვენ სიყვარულით დავცინით დედის გამოუცდელიობას, მაგრამ ის ჯიუტია და არ ეშვება ხელსაქმეს.

დავითსა და ჩემს შუა ზის ჩვენი ოჯახის ძველი მეგობარი გიორგი გიორგაძე. მამაზე უფროსია, მაგრამ რა შედარებაა! მხნე, უსვენარი, კაცივით კაცი. გაზაფხულზე ბალის გაკეთებას აპირებს. სკრიდან ხეხილის ნერგი უნდა ჩამოიტანოს და ანგარიშობს რა დაუჯდება. ბალი ხუთი წლის შემდეგ თუ მისცემს ხელშესახებ ნაყოფს. ხუთი წლის შემდეგ... სამოცდაათობმეტი წლის გიორგი მომავალზე ფიქრობს.

— გახსოვს დათა, მხრებზე რომ შეგისვამდი და ეზოში დაგაბრენიებდი? მოხუცებს წარსულის მოგონება უყვართ.

მაგრამ დავითისთვის წარსულის გახსენება უბრალო მოგონება არ არის. მას აწვალებენ წარსულის სურათები და სახეები. ესენი გამორჩენ ლიტერატურულ გზაში და ახლა ეპოტინებიან. ასეთ წუთებში დავითის სახე კიდევ უფრო შთაგონებული სჩანს. გარდასულ დროს სიყვარულით იგონებს. ცეცხლს მისჩერებია და ისე ლაპარაკობს. თითქო ყურს უგდებს მხოლოდ თავის ხმას. იშლება წარსული საოცარი. ხან მშვიდი, ხან მღელვარე. ხან აღმაშფოთი, ხან ტკბილად მოსაგონარი.

ასეთი საღამო არა პირველად განმიცდია. მაგრამ პირველად ვბედავ დავაძლევ შეკვეთას: დასწეროს მემუარები.

— ვისთვის იქნება ეგ საინტერესო? რა იყო ისეთი ჩემი ცხოვრება? ჩემს თავზე ვილაპარაკო? ეს ხომ ტრაბახი გამოვა...

ვახსენებ რამდენიმე თვალსაჩინო ფაქტს მისი წარსულიდან.

— მასე რომ ვაყვეთ, ყოველი ადამიანის ცხოვრება საინტერესოა და ყურადღების ღირსი!—ჯიუტობს დავითი.—რამდენ კაცს ჩემზე უფრო საინტერესო წარსული ჰქონია..

ამაზე ვეთანხმები და მაინც ვთხოვ დასწეროს. უკანასკნელად ვცდილობ შევაჯერო და ვეუბნები:

— შენ მოვალე ხარ დავიწყებას არ მძსცე ისინი, ვისაც შენსავით მხატვრული ნაშრომები არ დაუტოვევია, მაგრამ რომელთა ცხოვრება იმის ღირსი იყო, რომ დავიწყებული არ იქნეს!

მეთანხმება.

— იცოცხლე ხალხი იყო... ჰაი, ბეჩა, რა ხალხი იყო!

იმედი შექმნევა. თუმცა ისიც ვიცი—მრავალი დღე გაივლის, სანამ დავრწმუნდებოდე რომ შემუარებს შეუდგება. ბოლოს და ბოლოს უნდა ვგვეხლოვებისუფლო, უნდა განვტვირთო წარსულიდან, მოგონებებიდან. მსინამ: მრწმწრედენ და აწვალებენ. ეს ტვირთი უნდა ჩამოიხანას. ამას მხოლოდ დაწერა უშველის. სოფლიდან დავბრუნდი არა სახეებით დაჯერებული, რომ წერას დაიწყებდა. პირველსავე ბარათში რომელიც მისგან მივიღე, მწერდა დაიწყებს მუშაობას, თუ დარწმუნდა რომ შემუარებს საზი:გადოებრივი და ლიტერატურული მნიშვნელობა ექნება.

წერილის მიღების დღეს ფული მქონდა. ვიცოდი, სოფელში ფული სჭიროდათ. მეც არა ნაკლებათ მაგრამ მაინც გავუგზავნე. თან ვწერდი, თითქო ამას „შნათობი“ უგზავნიდეს ავანსათ განზრახულ შემუარებში.

ერთი კვირის შემდეგ დავითი ტფილისში ჩამოვიდა და ჟურნალისთვის გადასაცემათ შემუარების დასაწყისი ჩამოიტანა.

— ნამუსზე შემავდეთ, რაღა უნდა მექნა.. ფულმა კი სულზე მოგვისწრო... ეს სულ შენი ხრიკებია!—მეუბნება სიცილიო—აბირებული ჩაკივება იცი, სერგო ჩემო! აჰა, მოგიტანე... მაგრამ ერთის პირობით: გადაიკითხე და მითხარი—ივარგებს ასე, თუ არა?

რად სჭირია დავით კლდიაშვილს ჩემი დასტური?

წავიკითხე და დავრწმუნდი—არ შემცდარავარ „აბირებული ჩაკივებით“. დავითმა უბრალო შემუარება კი არა, თავის საუკეთესო მოთხრობების თანაბარი დასწერა.

— ლა ლა ლა ლა...

დავითი რაღაც ჰანგს იხსენებს.

— რა მშვენიერებაა! ხომ გახსოვს ეს ადგილი კარმენიდან?

თურე კარმენიდან მღერის. სმენა კარგი მაქვს, მაგრამ დავითის ნამღერიდან ვერ მივხვდი რა ადგილია. ყოველშემთხვევაში კარმენი აქ არ ისმის. რა უყუოთ მერე! მთავარია ის, რომ თითონ გესმოდეს ჰანგი, შენში მღეროდეს ის. უცბად დავითის ღრმა ამოოხვრა მესმის—

— საბრალო ბიზე! ჩემო ბიზე! ასეთ დიდებულ კაცს თავი მოაკვლევით. ყრუ იყო ხალხი, თუ ლა ლა ლა ლა... რა მშვენიერებაა!

მე რეა წლის ვიყავი, ჩემი ძმა სიმონი შეიდის როცა მამამ პირველად ოპერაზე წავგიყვანა, ბათუმში იტალიელთა ოპერა იყო ჩამოსული.

თითქმის ყველა ოპერა მოგვასმენია. სევილიელ დალაქზე წასვლა მეორეთ მოვითხოვეთ. ღონ-ბაზილიოთი ალტაცებული ვიყავით. შინ მამას ვაძიულებდით წარმოედგინა კალთებაკეცილ ღონ-ბაზილიოს გაქცევა ოთახიდან.

მამას ყოველთვის ხალისით მივყავდით თეატრში.

ჩვენზე უფრო მგონი თითონ უბაროდა.

ეს ალტაცება ოპერით, საერთოთ მუსიკით, ბოლომდი შერჩა.

ტფილისის სახელმწიფო თეატრში, განათლების კომისარიატის ლოჯაში, დავითს თავისი ადგილი ჰქონდა. ტფილისში ყოფნისას თითქმის ყოველ ღამეს

ოპერაში იყო. პარტერს მისი თეთრი თავი იწყებდა. სავარძელში ჩაბჯდარი წინ ჯოხს დაიბიჯებდა, ჯოხზე ქუდს ჩამოანცმევს, გადასწევს თავზე და... თითქო შელოცვილი უსმენს.

1927 წ. ზაფხული ბორჯომის სანატორიუმში გაატარა.

ექიმები საყვედურს ამბობდენ დავითზე.

— რეჟის არ იცავს. იმის მაგიერ, რომ დროით დაიძინოს, კონცერტებზე ღამეებს ათენებს. ვერაფრით გავაჩერეთ!

— ახირებული ხალხია! — პირიქით ექიმებზე საყვედურობდა ჩემთან — პარკში ჩინებული კონცერტებია, მე კი ძილს მაიძულებენ. რა დამაძინებს!

პარკის კონცერტები უფრო იმიტომ არ ასვენებს, რომ მას ახალგაზრდობა მართავს. დღით სასეირნოთ გამოსული რამდენჯერმე გაჩერდება აფიშის წინ და გვარებს კითხულობს. —

— სულ ჩვენი ახალგაზრდობაა! ტუსკია, კილაძე... აგერ კიდევ ქუშისაშვილი, ანდლულაძე, ნინა თოიძე, ბადრიძე, ცირგილაძე. სულ მალე ჩვენი, ქართული, საოპერო თეატრი გვექნება!

სალამოთი კონცერტზე პირველთაგანი მიდის.

— რა საიმედო ძალა გეყავს! — ბრუნდება აღტაცებული.

სანატორიუმში მისვლისას მორიგე ექიმი საყვედურით ხვდება.

— არ ზრუნავთ თქვენ თავზე. ასე არ შეიძლება, ბატონო დავით. თავს უნდა გაუფრთხილდეთ!

— რა ვქნა, შენი ჭირიმე! — ბოდიშით უცინის დავითი. — თუ დამბამთ, თორემ ისე ვერ გავჩერდები!

აფთიაქიდან რამდენიმე შეშა წამალი მოგვაქვს.

— ეს წამალი ორჯერ დღეში — დილას და საღამოს. ეს — თითო სუფრის კოვზი ყოველ ორ საათში... ეს კიდევ...

დავითი იცინის —

— მერე და ვინ უნდა დალიოს ეგ? ჩემი კარგათ ყოფნა ვინდათ? ჰო და, აბა, ერთი ის მიკიფონი მორთეთ და დაუკარით რამე!

წამლები დაუღვევლი რჩება. სამაგიეროდ მიკიფონი მუშაობს. დავითს შეუძლია მთელი დღე მუსიკას უსმინოს. დახუჭავს თვალებს და უსმენს.

ეს პატარა მიკიფონი ხშირად პირდაპირ სასწაულს ახდენს. როგორც კი ტკივილები მოერევა და შეაწუხებს, მოვრთავთ მანქანას, დაუკრავთ დავითის რომელიმე საყვარელ ჰანგს და სულ მალე მამა არა თუ წყნარდება, იძლევა შეკვეთას რა დაუკრავთ.

თბილისელ მეზობლებს ბინაში აღბად ხშირად გაბრაზებით გაუღვიძიათ, როცა ნაშუალამევს ფირფიტას ხმამალალი ყვირილი გაუგონიათ.

ამ დროს ჩვენ დავითს ეკურნალობდით, ტკივილებს მუსიკით უყუჩებდით და ვაძინებდით.



ვასილ ბარნოვს მამა სიმონეთში ეპატრებდა. ვასილს შორს წახვეს სწორედ მოგზაურობა, აშინებს.

— იქნებ შევძლო... ვნახოთ!— შეპირებას ვერ ბედავს ვასილი.

ვგ უკვე უარია, ჩემო ვასილ... უსათუოთ, უსათუოთ ჩამოდი. გზავერობის ნუ გეშინია. ტფილისიდან სვირამდე მატარებელი მხოლოდ რვა საათს უნდბა. სვირში ცხენს დაგახვედრებ, გინდა ურემს. სადგურიდან სოფელამდე სულ რაღაც ათი ვერსია და... ვერც გეიგებ ისე ამოხვალ... ჩვენი იმერეთიც ნახე! ხან სოფელში ვიაროთ, ხან ბალკონზე დევისევენოთ. ჩემი ბალკონიდან ისეთი სურათი იშლება, რომ თვალს მოგჭრის სილამაზე...

— ჩემი მოხუცი თვალებით?— ილიმება ბარნოვი.

— დეინახავ, უსათუოთ დეინახავ. სიმონეთი შორს შეგახედვიებს. არ შეიძლება არ დეინახო. ისეთი მუები, ისეთი ადვილები მოსჩანს!.. შეუძლებელია ვერ დეინახო!

ორი ღრმად მოხუცი მწერალი, დავითი და ბარნოვი, რუსთაველის პროსპექტზე მუდამდღე ხედებიან ერთმანეთს. შიბიჯებენ ისე, თითქო ერთმანეთს შევლიან. ტანმორჩილი დავითი მკლავში ჩააფრინდება ვასილს, თითქო ჩამოეკიდა ზედ და თითქოს კიდევ ეხმარება ნაბიჯის გადადგმაში ფრთხილად მიმავალ ვასილს.

დავითი ყოველთვის შეძახილით მიეგებება.

ვასილის სიხარული ჩუმი. ოდნავ ასწევს ცილინდრს და გაულიმებს დასიხმრული თვალებით. ის თითქო სულ წარსულშია. ხმაც ისეთი აქვს, თითქო შორიდან ლაპარაკობდეს.

დავითს და ვასილს ერთმანეთთან ყოფნა და საუბარი უყვართ, მაგრამ კიდევ უფრო ახალგაზრდებში ჩარევა. ოპერის პირდაპირ სახელგამის წინ დღით ყოველთვის თავმოყრილი არიან მწერლები. ვასილს უფრო განმარტობით საუბარი უყვარს. თითქო საიდუნლოს განდობდეს. დავითი სხვაა. დავითი მწერლების წრეში შეიჭრება, მისვლისთანავე ჩაერევა ლაპარაკში, ერთ წუთში გადაშლის გულს და თითონაც გადააშლევიენებს სხვებს. სირცხვილიცა მასთან ითაღლითო... დავითის მოტყუება სულ ადვილია—თითონ რომ ტყუილი არასოდეს უთქვამს, სიცრუე არც სხვისგან წარმოუდგენია.

ბოლო ხანებში, როცა დავითი სოფელში იყო მწოლიარე, ვასილ ბარნოვი ტფილისში მარტო დადიოდა. შემხედება და აუცილებლად გამაჩერებს. დავითის ამბავს შეკითხება.

— ცუდათ არის, ბატონო. სულ წევს...

— მისწერე ჩემგან სალამი!— ნალელიანად იტყვის და გზა განავრძობს.

დამშვიდობებისას ბარნოვი ხელს ღონიერად ჩამოშართმევს. ასე მჯონია: ეშინია, რომ მასზე ახალგაზრდა დავითი ღონიერად ჩაეარდა, ხელის ჩამორთმევით ძალას ისინჯავს და თავს ინუგეშებს:

— მე კი ჯერ ღონიერად ვარ!

VI

1908 წლამდე ბათომში ვცხოვრობდით ქალაქის იმ ნაწილში, რომელიც გოროდოკი ერქვა. აქ ჯარის ნაწილი იდგა. ბინა გვექონდა „აფიცურების“ საცხოვრებელ დიდ სახლში. უზარმაზარ ტერიტორიას, რომელიც ეკავა ყაზარმებს, შტაბს, ცეიხგაუზებს, აფიცურების საცხოვრებელ სახლს—გარშემო უვლიდა ბეტონის კედელი. კედელს გადაღმა ღრმა არხი იყო. კედელს ორ ადგილას ჰქონდა კარები—ერთი გასასვლელი გოროდოკისკენ, მეორე ბარცხანისკენ. ორივეს ჯარისკაცები იცავდნენ. ძნელი იყო როგორც შემოსვლა, ისე გასვლა. აფიცურების საცხოვრებელ სახლის პირდაპირ კედლის გადაღმა ნობელის ქარხნის ვეებერთელა ნავთის ჩასასხმელი რეზერვარები იდგა. ქარხნიდან დილით საყვირის ხმა გვესმოდა, აივნიდან ვხედავდით როგორ დადიოდნენ და მუშაობდნენ შავხლათიანი მუშები. ორი სხვადასხვა საშუარო იდგა ერთი მეორეს პირდაპირ, ორი დაუნდობელი მტერი ერთმანეთისა. მაღალი იყო კედელი და არხი ღრმა მაგრამ თურმე გაუფალი არ ყოფილა. 1903 წ.-ში როცა ბარცხანაში სროლა იყო, კედლიდან გადმოიპარნენ მუშები და დავითისგან ტყვიები წაიღეს.

ჩვენი ბინა, სადაც მხოლოდ არასამხედრო პირები იკრიბებოდნენ, აფიცურების თვალში საშიში ბინა იყო. კვირაში ერთი საღამო ჩვენი სადარბაზო და სასადილო ოთახი ახმაურებულ იყო ქალაქიდან მოსული მოქალაქეებით. მრავალი მათგანის სახე ხმა, სიარული, მამას მივებება ზოგიერთებისადმი, მესხიერებამ კარგად შეინახა. რაც მეტი იყო სტუმარი, უფრო მიხაროდა: რაც მეტი იყო სტუმარი გასახდელ დერეფანში შავმაგიდაზე მეტი კატელოგი ეწყო. რიგრიგობით ვიზომავდი მათ თავზე, როგორც ჯარისკაცებს ვამწკრივებდი, ვცდილობდი ერთმანეთზე შემეხოზოლიკებიადა ასე ვერთობოდი იმ დრომდე, სანამ ზემი ცელქობა ყურადღებას მიიქცევდა.

სერთუკიანი მოქალაქენი ალბად დიდხანს რჩებოდნენ ჩვენსას. როცა დედას დასაძინებლად მივყავდი, იმათი ხმა ერთხანს კიდევ მესმოდა.

ხშირად დაძინების დროსთვის გადამიცილებია. სავარძელში მოკალათებულს ძილი შეკიდება, მაგრამ ვჯიუტობ, არ მივდივარ და, თუმცა უფროსების საუბარში მრავალი არაფერი მესმის, მაინც მინდა ვესმინო მათ. ყველაზე უფრო მიყვარდა სათვალეებიანი სტუმარი. ლაპარაკობს ყოველთვის გაცხარებით, მოუსვენარი, ერთ წუთში სამ ადგილს ინაცვლებს. ჩქარი სიარულის დროს კოჭლობს. გვიან, სულ რამდენიმე წლის წინად, როცა მამასთან ბავშობის ბათუმს ვიხსენებდი, გავიგე რომ ის კაცი პოეტი გრიგოლ ვოლსკი იყო.

ბავში ვიყავი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მე სხვა ვიყავი, აფიცურის შეილები კი, რომლებთანაც დღისით ვთამაშობდი, სხვანი იყვენ. რატომღაც მათზე უპირატესობას ვგრძნობდი. მაგრამ მათ ბედს მაინც შევნატროდი. როგორც კი 9-10 წლისანი შეიქნებოდნენ, თითქმის ყველას კორპუსებში სასწავლებლად გზავნიდნენ. მე და ჩემი ძმა სიმონი ბევრს ვთხოვდით მამას და დედას კორპუსში გავეშვიოთ,—გვიყვარდა კადეტების ფორმა, პაგონები—მაგრამ პასუხად მხოლოდ დაგვცინოდნენ. როცა თხოვით თავს მოვამბურებდით—კადეტობის სურვილს დაგვავეწყებებდნენ იმით, რომ დაგვაჯენდნენ და ჩვეულებრივზე მეტ ხანს გვიკითხავდნენ „ძია თომას ქოხს“, მოთხრობებს „ჯეჯილიდან“, „ივანანამ რა ქნა“ და სხვა და სხვა.

ათციკრებიდან ერთი თუ ორი კაცი დაუახლოვდა მიმას. დანარჩენები უფროს-
ოდენ. დედასაც ათციკრების ცოლებში ერთი თუ ორი მეგობარი ჰყავდა, სხვა
ცოლები დაეითის კოლს უფროსოდენ.

ათციკრთა საკრებულოში წელიწადში ორჯერ-სამჯერ დიდი საღამო იმარ-
თებოდა. საკრებულო იყო ზღვის პირად, სავატიმრო ციხის გვერდით. შუაში
ციხე, მარჯვნივ—ვაჟების გიმნაზია, მარცხნივ—ტბასა და ზღვას შუა საკრე-
ბულო იონიური სვეტებით. საკრებულოსა და სავატიმროს შორის მანძილი 100
ნაბიჯიც არ იქნებოდა. ახლა იმ ადგილზე, სადაც საკრებულო იყო, ძლივს ღა
სჩანს შენობის ნანგრევები. მოგარდნილმა ზღვამ, მგონი მსოფლიო ომის დროს,
წალეკა რკინა-ბეტონით აგებული სახლი.

სალამოებზე ბავშვებიც მივყავდით. ჯერ ბავშვებს გვართობდნენ კონცერ-
ტით. ცეკვით, საჩუქრებს გვირიგებდნენ და შემდეგ „დენშიჩებს“ შინ გვატანენ.
ბავშვების წასვლისას მუსიკა უკრავს გამოსათხოვარ მარშს. რჩებიან უფროსები
იღვამება ჯერ ვოდვეილი, შემდეგ ცეკვა და ბოლოს ვახშამი. მოზრდილ გიმნა-
ზიელებს გვაძლევენ უფლებას უკუროთ ვოდვეილს და დიდების ცეკვას, ვახ-
შამზე კი, თუმცა ძალიან გვინდა, არ გვტოვებენ.

ვოდვეილებში ახალგაზრდა ოფიცრები თამაშობდნენ. ალბად უნიკო არ-
ტისტები იყვნენ, რადგან არ მახსოვს გამცინებოდა. შეიძლება ბავშვს არ მე-
სმოდა, მაგრამ დიდებიც ისე იჯდნენ, როგორც მოსაწყენ მოხსენებაზე. ხანდახან
შუა ვოდვეილის დროს უეცრად დარბაზში შემოვიდოდა დაგვიანებით მოსული
ბატალიონის უფროსი. ალბად განზრახ აგვიანებდა. კარებში პოლკოვნიკის გა-
მოჩენისას ორკესტრი საოცარი ხმაურით უკრავდა მარშს, დარბაზში მყოფი
ოფიცრობა ფეხზე დგებოდა, ვოდვეილის თამაში წყდებოდა და არტისტებიც
გაქიმული იღვან იმ დრომდღი, სანამ უფროსი დაჯდებოდა და ნიშანს მისცემ-
დათ, ამ შემთხვევაში მე მახსოვს პოლკოვნიკი მერტენგრენი. მისი პორტრეტი
დასტოვა დაეითმა თავის მემუარებში. მე მხოლოდ დაეუმატებ: მერტენგრენი მე
და ჩემ ძმაზე ამბობდა—ყაჩაღის შვილები ყაჩაღები იქნებიან.

როცა საკრებულოს სალამოებზე დედაჩემი ყოფილა, ცეკვა ხშირად მას
გაუხსნია. ცეკვის გამხსნელი, პარველი ჩამოვლელი, თუ კარგი მოცეკვავე არაა,
ისე ვერ გაბედავს ჩამ ივლას. როცა მრავალი ტრიალებს, მაშინ მოცეკვავეს
თვალს ვერ ადევნებ, დეფექტებს ვერ ამჩნევ. მაგრამ ვერ გაბედავ ცეკვას, რო-
ცა მრავალი თვალი შენ ერთს გიციქრის და გაკრიტიკებს თუ როგორ მისრია-
ლებს ფეხი, როგორ გიჭირავს ტანი. ლამაზათ დევს თუ არა ხელი ვაფის მკლა-
ვზე. ყველამ იცის, რომ „მარია პავლოვნა“ ცოცხალი ბუნების ქალია და, რაც
ამ შემთხვევაში მთავარია, ვალსის საუკეთესო მოცეკვავეა. ცეკვის განყოფი-
ლება კი ვალსით უნდა გაიხსნას. მაგრამ აქ, ოფიცერთა საკრებულოში, ოფი-
ცერთა ცოლებს შორის, ის გულგრილად დადის. ჩაცმულია სადათ და მოხდენ-
ილად. ახალგაზრდა ლამაზ სახეს საოცრად უხდება შევერცხლილი თმა. თითქო
პარიკი ჰქონდეს, როგორც მეთვრამეტე საუკუნეში მანდილოსნებმა იცოდნენ.
ყველასთან თავაზიანია და თავი უჭირავს ისე, რომ ფამილიარობას ვერავინ
ჰკადრებს. მარია პავლოვნას იმიტომ კი არ თხოვენ ვახსნას ცეკვა, რომ მას
განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ—პირიქით, დაეით კლდიაშვილის,

ამ საეჭვო რეპუტაციის ოფიცერის ცოლს სხვა შემთხვევაში კიდევ უფრო-
ბიან—მიზეზი ისაა, რომ მას ხედავენ დარბაზში მყოფი ქალები და ეერ/ბედა-
ვენ. მაგრამ მხოლოდ ერთხელ ჩამოვლის დედა და მეტს...
დარბაზს პირველი გასთელავს და შემდეგ სატკეპნათ სხვებს დაუტოვებს.

დედა წარბშეუხრებლად იტანდა ყოველგვარ გასაჭირს. დავითის ოჯახს
თავიდანვე ნერვიულ პირობებში უზღებოდა ცაოვრება. საზოგადოებრივ მუშაო-
ბაში ჩაბმულ, დაუდევარ დავითს ყოველ წუთს ბიფათი მოელის: დუელი რეაქ-
ციონურ გაზეთის რედაქტორთან, გვდასახლება დიშლაგარში, დევნა, ომში გა-
წვევა. და ამასთანავე დავითის უცნაურობანი და კაპრიზები. კაპრიზი დავითს
უამრავი აქვს... მაგრამ მარიაშმა იცის ქმრის ფასი და უსაყვედუროთ იტანს
ყველაფერს.

ახალგაზრდული ენერგია დედას არც ხანში დაჰკარგვია. როცა სოფელში
საცხოვრებლად გადავიდენ, სოფელში სახლი გაჩანაგებული იყო. სულ მალე,
დედამ ოჯახი ფეხზე წამოაყენა. პირველ ხანებში დავითი სოფელში დააფრთხო და
გაქცევას აპირებდა. საოჯახო საქმეში, კეთილმოწყობაში ის უმწეო იყო. როცა
მდგომარეობა გამოსწორდა, ქალაქს სოფელი არჩია.

— უცნაური ქალია დედაშენი, — მეუბნება დავითი, — ყველაფერი მომწონს
მისი ერთის გარდა — მუდამ ახალი გვეგები უტრიალებს თავში, სულ რაღაც
იდეები აქვს, რაღაც ცვლილებებს აპირებს აქ. მგონი შენც მისი მომხრე ხარ.
რაც გინდათ ის ჰქენით, ოღონდ სახლი და ეზო უცვლელად დამიტოვეთ. რო-
გორც არის ისე იყოს. აი იმ ბრეკზე ქუხნასთან რომ ორი დიდი ქვაა, იქ დე-
დაჩემს — ჰაი ბეჩა რა ქალი იყო! — და დათიკო გოვრგაძეს უყვარდათ ჯდომა.
თითქმის ყოველ საღამოს მობიოდა დათიკა.. რა კაცი იყო, რა კაცი იყო! რა ჯობდა
მათა საუბარის მოსმენას! იმ კობიტთან სიმონა ამოლტიამ იცოდა ცხენის მიბმა.
ეზოს ბოლოში ნიგვზის ხე ირაკლიას დარგულია. საწყალი ირაკლია, რა ბიჭი
შეიწირა ომში ასე უნამუსოთ.. ძელქვას ძირში ერთხელ ბავშვებმა ორმო ამოვ-
თხარეთ და წვიმას წყალი ჩავაგუბეთ. ვენახის ჰევით სერზე წინად მეტი ხე
იყო. ნამდვილი ტყე იყო. გათლილ ქვასთან რომ კვინცა იყო, ხომ გახსოვს?
ბავშვობაში იმ ხეს ცოცხივით ვეღებოდი.. რა უცბად გაიარა დრომ. თითქო
ერთი ნაძინების ამბავი იყო.. სანამ ცოცხალი ვა-, იყოს ყველაფერი ისე რო-
გორც არის. ნუ ჩაიდენტ ბარბაროსობას!

VII.

დაუნაგრებულ ცხენებს სვირის სადგურისკენ მივაჩქარებ.

როცა სოფლიდან გამოვდიოდით, დავითი აღელვებული დავტოვე. დამით
კუდათ ეძინა გახარებულს მოლოდინში რომ ხვალ მის სანახავად მწერლები
მობიოდენ.

ადრე ამდგარს, უძილობით გაბრუებულს მესმის როგორ ესაყვედურება
დავითი დედაჩემს.

— როგორ შეიძლება სერგოს წინაშე სვირში სტუმრების დახვედრა!
ტყუილისოდან გათენებისას ჩამოვიდოდენ. საცაა გათენდება, სერგო კი ალბად

შუა ძილშია. რომელი საათია? ოთხი? ხომ ვთქვი მე,—ისინი იქ იყვნენ, აქ კი უდარდელად სძინავთ. რას გავს ეს! რას გავს ეს!

თენდება, მთებზე წისლი დაწოლილა. თქორავს.

— ჩამოვიდოდნენ?—ეჭვი მიპყრობს.

ტფილისიდან წამოსასვლელად ერთი დიდი სიძნელის გადალახვა იყო საჭირო: სადგურზე დროით მისვლა. მწერლები ასეთ უბრალო საქმეში უიმედო ხალხია. ვერაფერს იზამ—უღისციპლინო ბუნებაა.

როცა სვირის სადგურს მიუახლოვდი, წვიმა დაიწყო. ნელი და წვრილი. თითქმის ყველა, ვისაც ველოდი, ენახე:—შალვა დადიანი, პაოლო იაშვილი, შალვა აფხაიძე, ნიკოლო მიწიშვილი, დავით სულიაშვილი, ივ. ყიფიანი, ტიციან ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, გიორგი ლეონიძე.

რამდენიმე ხნით თითქო გამოიდარა, მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა სოფლისკენ გამგზავრება დაეპირევეთ, წვიმამ გახელებით დაუშვა. როგორ გინდა ათი კილომეტრის გზა ამ წვიმაში გაიარო!

უცბად პაოლო წვიმის შესაჩერებელ „საშუალებას“ მიმართავს: ქალაღდზე სწერს ორმოცი ნაცნობი მელოტის გვარს და შემდეგ ამ ფურცელს გარედ ისვრის.

— ახლა კი წასასვლელად მოემზადეთ!—გვეუბნება დარწმუნებით.

სია შედგენილი ორმოცი დარბაისელი მელოტისგან, რომელიც შეიძლება ამ წუთში ხელისგულებით უაღერსებენ თავიანთ ტიტველ კეფას, „სასწაულს“ ახდენს. წვიმა შეჩერდა. ათი ცხენოსანი გზას მზიარულად გაუდგეკით. უფრო გაბედულებმა მდინარე ყვირილა ცხენით გადაიარეს, სხვები ბორანით გავიდნენ.

როცა ხეობა მოათავდა, უცბად დაიწყო სოფლის ეზოები და ორლობე მორთული ბროწეულს ბუჩქებით, უზარმაზარ ძელტყებით. მუხნარით და კაკლის ხეებით დაზრდილულ ეზოებში იმერული ხის ოდეები ჩაბუდრებულა. გზაზე მიმავალი ბავში, ცხენების თქორუნით დაფრთხალი, ტირილით მირბის თავის ეზოსკენ. როცა ეზოს მიადწევს, უცბად მშვიდდება, შესკუბდება ყორეზე და უკვე თამაზად და გაკვირვებით უცქერის ქალაქურად ჩაცმულ მხედრებს.

დავითი მწოლიარე დაგვხვდა. მე ველოდი რომ ასე იქნებოდა. წინა დღის მოლოდინს, მოლოდინის დიდ სიხარულს არ შეიძლებოდა რეაქცია არ მოყოლოდა. ლოგინში მწოლარე სტიროდა, როცა ცხრა უმცროსი ძმა სიყვარულით შემოეხვია.

არავის ჰქონდა იმედი, რომ დავითს ამდგარს ნახავდა. მაგრამ საღილის დროს, როგორც კი მოესმა სიტყვები, ლეჩხები, ხმაური, სძლია სისუსტეს და გამოვიდა.

ხშირად უგრძენია დავითს მეგობრების აღერსი, მაგრამ ამ დღეს კიდევ სხეანაირად ბედნიერი იყო. ამ დღეს ერთხელ კიდევ ძლიერად იგრძნო ის უდიდესი სიყვარული, რომლითაც მისი სიცოცხლის დასასრული გვირგვინდებოდა. მეორე დღეს როცა მწერლები ტფილისში გაბრუნდნენ, დავითი იკონებდა მათ და მეუბნებოდა:

— სიხარული მიეცა მავათ, გამამხნევეს, ძალა მომცეს. მოვიდვარ ტფილისში, იუბილევ რომ არ იყოს—მოვიდვარ. დიდი სიყვარული კი ჰქონიათ

ჩემი! თუმცა ეს ერთგვარად კიდევ მალონებს. ეს მე მრავალ რამეს შეაქვს, მე კი უკვე აღარაფერი შემძლია...

სადილმა ზეიმის ხასიათი მიიღო, როცა მოვიდა ადგილობრივი მასწავლებელთა დელეგაცია და კოლმეურნეობის წარმომადგენელი უზარმაზარი ხის ტოტით, რომელზედაც თეთრი ბალი ესხა. სიმღერაში ყველას სჯობნის ორი მოხუცი შავ ჩოხაში—გიორგი გიორგაძე და სოლომონა ფანჩულიძე. დავითს უხარია, რომ მწერლებზე ამ მისმა მოხუცმა მეგობრებმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინეს, როგორსაც ელოდა. სადილზე განსაკუთრებით გამზიარულებულია ერთი მოხუცი მეზობელი, ოდესღაც გადაქაჩული აზნაური. ისეთი შთაბეჭდილებაა მისგან, თითქო კირილე მიმინეიშვილი მოხუცდა. ხარბათ სვამს ღვინოს, ოხუნჯობს. ამ კაცს ბოლომდი დასცინის ბედი: სამანიშვილის და მორბელაძის ავტორმა მას გაბითურება უწინასწარმეტყველა. როსტომ მანველიძის მხატვარი—მტერია მისი. ორმოცი წლის წინად სიკვდილი დასჩხავლა.

ამ მხატვართან ახალი თაობა მოდის გამარჯვების მოსალოცად, გასამზნეველად და იუბილეზე წასაყვანად, ეს მოხუცი სტუმარი—აზნაური კი დავით კლდიაშვილის სადღეგრძელოს სვამს და ეუბნება:

— იცოცხლე ჩვენო დავით! კემშარიტათ ჩვენი სოფლის სიამაყე ბრძანდები. შენი ქვეით და კალმით საუკუნოთ გვასახელე. შენი მოწყალება ნუ მოგვაკლოს ღმერთმა!

როცა დაღლილი მამა თავის ოთახში შევიყვანე, მეუბნება:

— ნუ იტყვი რომ სუსტად ვარ. მომირიდებენ. არ მაწუხებს ხმაური. პირიქით..

დაიძინა. როცა მის ოთახში ისევ შევედი, გაღვიძებული ვნახე. ვაკვირვებით შემომხედა.

— ეს რაღა ამბავია? ვინ მღერის იქ?

მხოლოდ ახლა მივაქციე ყურადღება სახლის გვერდით სამხარეთლოს მხრიდან ხმაარეული, მაღალი სიმღერა მოისმის. იქაც ლხინი ყოფილა. ლხინი სამხარეთლოში გაჩაღებულა.

დილით რამდენიმე მეზობელი მოვიდა დედასთან:

— ჩვენც გვინდა დავითს პატივი ვცეთ. რაშიც გინდათ, მოგვიხმარიე. შენ ნურაფერზე შეწუხდები,—რასაც გვეტყვი, გავაკეთებთ. სიმონეთს არ შევარცხენთ!

დამხმარენი საჭიროზე სამჯერ მეტნი აღმოჩნდნენ. სადილზე ისინიც მოვიწვიეთ, მაგრამ არ მოვიდნენ. სამხარეთლოში დარჩენ და თავის თავს გაუმასპინძლდნენ. შუა ღამე დიდძინის გადასულია, სტუმრები დასაძინებლად მილაგდნენ, სამხარეთლოში კი ისევ ხელჩართული ლხინია.

მეორე დღილა მზიანი გათენდა. ამ დღეს მწერლები ჯერ „ფალსტაფის“ და შემდეგ მასწავლებელთა სტუმრები იყვნენ. ღამით კი, რომლის საოცარ სიბნელეს ორლობეებში ოდნავ ანათებდა კვარი და ქრაკები; ისინი, რომლებმაც ამ დილიდან მზე დაუტოვეს დავითს ეზოში და გულში, ისევ სვირის სადგური-სკენ დაბრუნდნენ.

VIII



დავითი გარდაიცვალა 1931 წ. 24 აპრილს, დღის 12 საათზე. ამ დღეს ტფილისიდან სიმონეთში ჩავედი მის სანახავად. სვირში ცხენი დაეჭირავე და სოფლის გზას გაუდექი. მზიანი დღეა. იმერეთი მწვანით შე-
მოსილა.

აეადმყოფი მამა სამი თვეა არ მინახავს. მიმაქვს მისთვის ტკბილეული და ზოგი სხვა, რაც ვიცი უყვარს. ცხენზე ჩემი რვა წლის გოგონა მელიტა ზის. მე ქვეითათ ვარ. მელიტა და დედაჩემი მეგობრები არიან. ბავშს მიუხარია, რომ მალე ბებიას ნახავს. ტფილისიდან მატარებელმა დალაღა, მაგრამ მაინც მზიარულია. ცხენი მშვიდია და არ მეშინია. გლაბაკ ცხენს ბავშიც გაუთამამდა. წარამარა შოლტავს. მე და მელიტა კარგ გუნებაზე ვართ. ორი საათის გზა და უკვე შინ ვიქნებით. დღეს არ მოგველიან. რა გაუხარდებათ ჩვენი ნახვა! მივდივართ და მიგვიხარია. მელიტა რომელიდაც სიმღერას მასწავლის. პირველად ჰანგი შემეშალა. ამაზე ბავში ბევრს იციან და მაიძულებს გავიმეორო. ახლა უკვე განზრახ ვამახინჯებ ჰანგს. ჩემს უწნო სიმღერაზე ბავში იციან ისე გულთანად რომ მეც მეცივნება.

სიმშვიდე და სიამეა გულში. გარშემო—გაზაფხულში გახვ ული იმერეთი, მზე, დაჩრდილული ორლობეები.

— გაიმეორე!—არ მეშვება ბავში.

ჰანგი უკვე ზუსტათ ვიცი, მაგრამ სწორად რატომ ვთქვა, თუ კი მისი დამახინჯებით შემიძლია ბავშს სიხარული მივცე!

გზის ნახევარი გავიარეთ. უკან დაგვრჩა ყვირილას ხეობა, ჩქარი ძერული, მიწაწითელი ეწერი.

სოფლის დასაწყისში ჩემი მამიდაშვილი ვანო ლვინეთაძე მხედება. რატომღაც გაკვირვებით მიიქერის. ორივე თვალის გუგა წითელი აქვს. თითქო დასრესილი. მხედებოდა წინად მუდამ მზიარულად და შეძახილით. ახლა თითქო პირს მარიდებს. უფრო ბავშს ეხალისება.

როცა შემხვდა, სადგურისკენ მიდიოდა. ახლა პირი იბრუნა და გამომყვა.

— მამა სუსტათ არის?

— ცუდათაა!—სახეს მარიდებს ვანო.

ჩემი სახლის ეზოს მიუახლოვდით. მელიტას ეჩქარება ბებიას ნახვა და ცხენს შოლტავს. ეზოში არაფერია სჩანს. გარშემო სიჩუმეა. უცბად ვანო ხელს მკიდებს, თვალეზე ერეწლები ერევა—

— დავითი დღეს შუადღეზე გარდაიცვალა. გზაში ვერ გითხარი. სადგურზე მივდიოდი შენტვის დეპეშის გამოსავლენათ..

აივანზე შეჩიხიანმა მამაკაცმა თავი დაბლა დამიკრა. სასტუმრო დიდ ოთახში არაფერია. სიჩუმეა. დედის ოთახში, სადაც დედას ლოგინზე დამხობილს ვხედავ, მეზობლის ქალები ხმამაღალი ტირილით შემხედვენ.

გვერდით მამა დავითის ოთახია. ზეწარქვეშ პატარა ტანი უძრავად დევს. დიდხანს ვუცქირე ძვრფას სახეს. როცა თვალებიდან ნისლი ვადავიდა, სახე

გარკვევით მხოლოდ მაშინ გაეარჩიე. კვდარს არ გაედა. სახე რატომღაც ვარდისფერი ჰქონდა და უღიმოდა. უკანასკნელად გაულიშია და ასე წერჩნოდა. მეცოდებოდა, რომ მხოლოდ ზეწარი ეხურა. მამა სიცივეს ვერ უტანდა. შეგონა ალაც სციოდა. გვიან შევნიშნე, რომ ზეწარის ზევით მუხლებზე დიდი ქვა დაედეთ. ალბად იმიტომ, რომ მოკეცილი ფეხები გასწორებოდა. პატარა სხეული ამ სიმძიმის ქვეშ!

ლამით ბუხრის წინ დედა მიამბობს—

— ეს ათი დღეა ცუდათ იყო. ყოველდღე გელოდით. ძალიან გნატრობდა. ამ დილით გვიან გაიღვიძა. დაეხედე და არ მომეწონა მისი სახე. აქაურობას აღარ ეცხო რა. ჩაი შევთავაზე. დათანხმდა. ხელში ძალა აღარ ჰქონდა და კოვზით ჩაეწვეთე. როცა სახეზე მოუაღერსე, ხელზე მაკოცა. იკითხა გარედ მზე იყო თუ არა. მერე დრო იკითხა. საათს დაეხედე. თორმეტი იყო. ამ დროს ოდნავ გასაჯონი ხმით დამიძახა. მოებრუნდი, შემომხედა, უკანასკნელად გამიღიმა და გათავდა..

სვირში რომ ცხენის ძებნაში არ შევჭერებულებიყავ, ცოცხალს მიეუსწრებდა. ერთმა თუ ორმა საათმა დაუბრუნებელი წუთი, უკანასკნელი ნახვის საშუალება წამართვა.

მიხურულ კარს იქით მარტოა მამა. ამაღამიდან მისი მარტოობა იწყება. წევს პატარა დავითი, რომელსაც მუხლები ისე ვაღონიერებია, რომ დიდი ქვის სიმძიმეს ვერა გრძნობს. პატარა ოთახში, სადაც დაბლა დაწეული სანათი ბეუტავს, დასრულდა ცხოვრება დავით კლდიაშვილის, კაცის, რომელსაც გული მეტი ჰქონდა, ვიდრე თითონ იყო.

— მისთვის ასე სჯობდა!—მინდა ვანუგეშო დედა.

ტახტებზე შავებში ჩაცმულ მეზობლის ქალებს სძინავთ. თითქმის ყველა დავითის ნათლურებია. ბუხრის სინათლე კედლის სიმაღლეზე დედისა და ჩემ ლანდს ისვრის. ორი ლანდი ერთმანეთს ჩაკვრია.

ლამით რამდენიმეჯერ შევედი დავითს დასახედავით. მაწუხებდა, რომ მუხლებზე ქვა ედვა. ბოლოს ვეღარ მოვითმინე, ავიღე ქვა და ფანჯრიდან გადავისროლე. მაგრამ რატომღაც ამის შემდეგ ეს ქვა თითქმის კოშმარად გადამეჭკა. ოთახში ბუხრის წინ მჯდარი ცხადათ ვხედავდი გარედ დაგდებულ ქვას, სად ეგდო, როგორ ეგდო. ავდექი. გარედ გავედი. ფანჯრის წინ დაგდებული ქვა ავიღე და ყანაში ჩავეტანე. სიმატე ვიგრძენი. უკან დავბრუნდი თითქოს ვიღაცაზე გამარჯვებული. როცა სახლისკენ გავბრუნდი, დავითის ფანჯრიდან სინათლე დავინახე. სოფლის ბნელ ღამეში სახლი თათქო ცოცხალი თვალით იყურებოდა ანგარიში მიუცემლად რატომღაც ისე დავბრუნდი, მოვძებნე იგივე ქვა და სახლისკენ წამოვიღე. ისეე მამას ოთახში შემოვიტანე და კუთხეში ფრთხილად დავედვი. რატომ მაწვალებდა ეს ქვა, არ ვიცი. მაგრამ ის დღემდე შენახული მაქვს.

სიმონეიდან დავითის ცხედარი 27 აპრილს წამოვასვენეთ იმ დილით ტფილისიდან სოფელში ჩამოვიდა მწერალთა დღეუგაცია—პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე. შალვა აფხაიძე, სიმონ წვერავა.

იმ წუთიდან, როცა კუბოში ჩასვენებული დავითი ეზოში ჩამოიტანეს, მამა ჩენი, ოჯახს აღარ გვეკუთნოდა. ჩენი იყო დავითი, სანამ სახლიდან გამოიტანდნენ, სანამ წარბეჭედვად ვიტანდით ყველა მისი ნივთი და ნერვიულობას, ჩენი იყო სანამ ვზრუნავდით მასზე როგორც შავზე, როცა რამდენიმე წლის განმავლობაში ავადმყოფს ღამეებს უთევდით, ჩენი იყო კიდევ ამ დღით როცა კუბოში ვაწვენდით და ყვავილებით ვრთავდით. გამოვიტირეთ მამა კიბის უკანასკნელ საფეხურზე და ჩენი აღარ იყო. იმ წუთიდან, როცა დროშებით წინ, სოფლის ორღობებით ხალხმა წაიღო მისი კუბო ტფილისისკენ მიმავალ მატარებელში მოსათავსებლად. ბმიერიდან მისი კირისუფალი საქართველო იყო.

კ ა მ ტ*

11. რუსეთის მთავრობის მარცხი

„ობრანიცების“ ოცნებას ფრთა შეეკვეცა, როდესაც რუსეთის რევოლუციონერების საქმე საპოლიციო კვლევა-ძიების სტადიიდან გამოვიდა, დასავლეთ ევროპის გაბატონებული კლასების ნაკლებად სპეციფიური და უფრო მგრძობიარე ფენები ძალაუვნებურად უნდა დაფიქრებულიყვნენ პოლიტიკურ დამნაშავეთა გადაცემის საპარლამენტო გამოხმაურებაზე, ლიბერალური პრესის უსიამოვნო ჩვევებზე, — იმ პრესის, რომელსაც თავისი ანგარიში ჰქონდა გასასწორებელი შეფის ხელისუფლებასთან, — და საკუთარი სოციალისტების შარიან მანერებზე. ნაცვლად პირველი დღეების იდილიური თანხმობისა, უცბად ყოველივე ალამალაზ წავიდა. ჩვენ მალე შევამჩნევთ მღელვარების ნიშნებს პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელებსაც და რუსეთის საზღვარ-გარეთელ წარმომადგენლებსაც.

ბავარიის მყოფი რუსეთის ელჩი გამოძიებელს უგზავნის მეტად გაუგებარ დეპეშას მისი წერილის საპასუხოდ ბოროტმოქმედების ნივთიერი საბუთების და მიწერ-მოწერის გადმოცემის შესახებ:

„წერილები 17 და 18 მივიღე დღეს, რასაც თხოვლობთ 18 ნოემბერს, გვგზავნებთ 1) დღეს ჟუსტიტ. რაც ესურთ 17 ნოემბერს, 2) არ შეიძლება გამოგზავნა გადმოცემის მოთხოვნის წარდგენამდე, ვთხოვთ დააჩქაროთ უკანასკნელი პეტერბურგში.

ელჩი ვესტმანი“.

ამ დოკუმენტიდან ვხედავთ, რომ პირველად, ბავარიის მყოფ. რუსეთის საელჩოში ძალიან ცუდათაა საქმე, თუმცა სტილისტური პრანქვა-გრეხით სწორდენ რუსულად, ხოლო მეორედ, პოლიციე დირექტორი დილმანი თავის სამშობლოში ყოელის შემძლებელი კაცი არ ყოფილა.

გადმოუცემლობის იგივე შიში გამოკრთის ამხ. სემაშკოს შესახებ პოლიციის დეპარტამენტის დეპეშის პირველ სტრიქონებშიც:

„გვიდგემვთ, იქნება თუ არა წარდგენილი მოთხოვნა დაპატრიზებული გადმოცემის შესახებ.

* იხ. მნათობი № 1—2, 3—4.

1) ლაპარაკია სარა რაეინის, ტ. ბავდასარიანის და მ. ხოჯამირიანის ფოტოგრაფიულ სურათებზე.

2) ლაპარაკია ჩამოკრძეულ ბიუტეტებზე, მიწერ-მოწერაზე, პასპორტებზე და მიუწინაშე მოხდენილი თავდავირგელ გამოძიების სხვა მასალებზე.

19 იანვარს გადმოცემის საქმე, როგორც ეტყობა, საბოლოოდ ჩაელოდა. ტრუსევიჩი დეპუტატით ატყობინებს ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორს:

„სამხედრო, დამატება № 121.

კარბინსკის პატიმრობა შეიძლება განგრძობილ იქნეს, უკეთეს დაკავების დღიდან ექვს იანვარს სამი კვირის განმავლობაში შევიკარიის ხელისუფლებას ევობება ჩვენი ხელისუფლების დადგენილება კარბინსკის დაპატიმრების შესახებ. № 151.

დირექტორი ტრუსევიჩი.

ტექსტის მიხედვით აშკარაა რომ დეპუტა ნაკარნახევია დაინტერესებულების მიერ, რათა შევიკარიის ხელისუფლებამ გააგრძელოს რუსი რევოლუციონერის დაპატიმრების ვადა.

ცენტრიდან მიღებული შემადარწუნებელი ცნობები აიძულებენ განსაკუთრებით საგანგებო საქმეთა გამომძიებელს ხელახლა გადასინჯოს თავისი საბრალმდებლო დადგენილებანი.

1908 წლის 22 და 23 იანვრით არის დათარიღებული ვრცელი დოკუმენტი, ან—უფრო სწორად—მთელი რიგი დოკუმენტები, სადაც სათანადო გადახვევის, მითითების და წინანდელის განმარტების შემდეგ, ის ქმნის რამდენიმე საბრალმდებლო თეზისს, რომლის სიმტკიცე და დამაჯერებლობა ისევე მოსაჩვენებელია, როგორც ყველა წინანდელი ბრალდების. უნდა ითქვას, რომ რუსეთის საგამომძიებლო პოეზიის მუზა ყველაზე უფრო გვაგონებს იმ მრეცხავ ქალს ვოსტრიაკოვს, რომლის ყალბ ჩვენებებზედაც დაამყარა გამომძიებელმა კამოს საქმის შესახებ საბრალმდებლო აქტი, მიმართული თხუთმეტობედ სრულიად უდანაშაულო ადამიანის წინააღმდეგ.

რევოლუციის თვალსაზრისით მეტად მცირე და უმნიშვნელოა სხვადასხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ ჩვენულებებს შორის არსებული განსხვავება, მაგრამ საფრანგეთის რესპუბლიკანური პოლიცია მაინც ყველაზე უფრო შეზღუდული იყო თავის მოქმედებაში, ვიდრე ბავარიის სამეფო მილიცია. იმ დროს, როდესაც მიუნხენში ჯერ კიდევ მოლაპარკება სწარმოებდა რუსეთის რევოლუციონერების გადაცემის შესახებ, მეერ ვოლოხს უკვე საშუალება მიეცა დაეტოვებინა საპატიმროც და პარიზიც.

მიუნხენში მყოფი რუსეთის საიმპერატორო მისია, უგზავნის რა 19 იანვარს (1 თებერვალს) გამომძიებელს მის მიერ მოთხოვნილ ფოტოგრაფიულ სურათებს, ატყობინებს შემდეგს:

„რაც შეეება თქვენს თხოვნას ჩამართმეული საკრედიტო ბილეთებსა, ხეშოთ დასახელებული პირების დაქვრის და აღნიშნული საკრედიტო ბილეთების აღმოჩენის გარეშობასთან დაკავშირებულ მიწერმოწერასა და აგრეთვე მათი პასპორტების გამოგზავნაზე—ეს თქვენი თხოვნა, საწყზაროდ, შეიძლება შესრულდეს მხოლოდ მაშინ, როცა აქ გამოიგზავნება სათანადო სასამართლო დოკუმენტები და შუამდგომლობა აღნიშნული პირების ჩვენ სამოსამართლო ხელისუფლებისთვის გადმოცემის შესახებ.

პეტერბურგიდან ამა რიცხვს მიღებული ცნობების მიხედვით საიმპერატორო მთავრობას განზრახული აქვს მოსთხოვოს ბავარიის საშველო მთავრობას ხსენებული პირების ექსტრადიცია, ბავარიასთან 1869 წ. 14-26 თებერვალს დადებული დამნაშავეთა ურთიერთული გადაცემის კონკურენციის ძალით; მაგრამ აქამდე ამის შესახებ აქ ფორმალური მოთხოვნა არ მიუღიათ. ამიტომ საიმპერატორო მისია დაქმყოფილდა მხოლოდ იმით

რომ ადგილობრივ ხელისუფლებას სთხოვა განეგრძოთ წინასწარ დაპატიმრების ვადა-საიმპერატორო მისია უმორჩილესად სთხოვს. ჭკვენი მალაქეთილშობილებას დახმარებას პეტერბურგში ამ საქმის დასაჩქარებლად.

რუსეთის საიმპერატორო ელჩი ბაეარის მეფის კარზე: **ს. ი. ვესტმაინი**

იმავე 19 იანვრით არის აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც გამოდის იუსტიციის სამინისტროს პირველი დეპარტამენტიდან და მკაფიოდ გვისურათბატებს მეფის მთავრობის მანქანის „აესა და კარგს.“

ერთი მხრით მთავრობას ძალიან უნდოდა ხელში ჩაეგდო დამნაშავენი. მეორე მხრით, მისი უმალღესი, მსხვილი მასშტაბის საერთაშორისო პოლიტიკაში გართული ორგანოება, წინააღმდეგ ელჩის ვესტმანისა, ეტკობოდა, მეტად დიდს გულგრილობას და აღუჭარებლობას იჩენდენ. მესამე მხრით, საქმეში ერეოდნენ ევროპიელი სოციალისტები და, ბოლოს, მეოთხე, მხრით გამომძიებელი და პროკურატურა ისეთი ბიუროკრატები, უნიკონი და უბადრუკნი იყვნენ თავის შემოკმედებაში, რომ მათი ჩლუნგი, უგულისყურო დასაბუთება არაფითარ კოზირს არ აძლევდა ხელში საზღვარგარეთელ კოლეგებს. ყოველივე ეს თავმოყრილი იუსტიციის სამინისტროს ქვემო აღნიშნულ ეპისტოლეში.

იუსტიციის სამინისტრო
პირველი დეპარტამენტი

ტფილისის საოლქო სასამართლო

შესამე სისხლის სამართლის განყოფილება

2 საქმის წარმოება 1908 წ. 19 იანვარი

№ 772

პროკურორს.

ს.—პეტერბურგი.

იუსტიციის სამინისტროში მიღებული ცნობებიდან ჩანს რომ პარისში მყოფმა საიმპერატორო საელჩომ, როდესაც ვერ მიიღო ჭანკარგულება მეგრ ვოლოზის გადმოცემის მოთხოვის შესახებ და ამავე დროს გაიგო, რომ სოციალისტური პარტია ცდილობდა საქმისთვის პოლიტიკური ხასიათი მიეცა და დაპატიმრებული უბრალოდ გადაესახლებინათ საფრანგეთში და, —ამა იანვრის ცხრას თავის საბელით უშუალოდ შეატყობინა ნოტიო საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ იუსტიციის სამინისტრო, გადმოცემის მოთხოვნის ახლო მომავალში წარმოდგენის გამო, ითხოვს განაგრძოთ ვოლოზის დაპატიმრება აუცილებელ ფორმალობის შესრულებამდე. მაგრამ დასახელებული პირი საფრანგეთის ხელისუფლებამ გაანთავისუფლა ამ ნოტიის მიღებამდე.

ამის დამოუკიდებლად იმავე ვოლოზის დაპატიმრების გამო ახლა პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მიერ მიღებულია ცნობები იმ განმარტების შესახებ, რომელსაც იძლევიან სამოსამართლო და ადმინისტრაციული ხელისუფლების კომპეტენტური წარმომადგენლები საფრანგეთში რუსეთის მთავრობის მოთხოვნით ამგვარ დამნაშავეთა გადმოცემის შესახებლობის საკითხის შესახებ. ასეთი მოთხოვნის მოსამარჯვებლად საქირთა მისი დასაბუთება იმიით, რომ დაპატიმრებული პირი არის ან აეხაჯური გატაცების მონაწილე ან რუსეთში მის მიერ მიღებული მოტაცებული ბილეთების დამფარავი ხოლო თუ ბრალდებულმა მოახერხა იმის დამტყიცება, რომ დანაშაულის ჩადენის დროს ის სახლვარგარეთ იყო და მიიღო ცარცვით მონაპოვარი ფული უკვე რუსეთის საზღვარების გარეთ, მაშინ მისი გადმოცემა შეიძლება არ განმარკიელდეს, და ამ შემთხვევაში იგი შექმნდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დაპატიმრების ადგილის მიხედვით.

ზემოხსენებულს პირველი დეპარტამენტი ატყობინებს თქვენს მაღალეჭოილობი-
ლებს ენობად და სათანადო განკარგულებათა მისაღებად.

ვიცე-დირექტორი (ბელ-მოწერა)

გენერალური
საიდუმლოდ

გვხავნება სასამართლო გამოძიებელს ბ-ნ მალინოვსკის საქმის დასამატებლად
და საგამომწვევო მოქმედების დაუყოვნებლივ მოსახდენად და იმ საკითხის გამოსარკვევად,
ნონაწილეობდა თუ არა ვოლოხი უშუალოდ ფულების ავაზაკურ გატაცებაში და მიიღო თუ
არა მან გატაცებული ფული რუსეთის იმპერიის საზღვრებში.

23. 1—1908.

პროკურორი (ბელმოწერა)

23 იანვარს იგივე იუსტიციის სამინისტრო მწუხარებით ატყობინებს პრო-
კურატურას პარიზში მისი ცდების სრული ჩაშლის შესახებ.

ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის.

დამატებით ამა იანვრის 19-ის მოწერილობისა №772, პირველი დეპარტამენტი აც-
ნობებს თქვენს მაღალეჭოილობებს, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროს ენობების
მიხედვით პარიზში დაპატიმრებული და შემდეგ განთავისუფლებული მეერ ვოლოხი, საფრან-
გეთის ხელისუფლებამ გააძევა საფრანგეთის საზღვრებიდან, რის გამოც დასახლებული
პირის რუსეთის მთავრობისათვის გადმოცემის მოთხოვნის წარდგენა აღარ შეიძლება.

ვიცე-დირექტორი (ბელმოწერა)

პარიზში მყოფის გენერალური კონსულის ზორინის 23 იანვრის—5 თე-
ბერვალის წერილის მიხედვით, სადაც ნათქვამია, რომ საფრანგეთის ხელისუფ-
ლებას, მსგავსათ ბევირიის ხელისუფლებისა „ექსტრადიციის“ (გადმოცემის) და-
დგენილების გამოუტანლად უფლება არა აქვს გამოძიებელს გადასცეს დაპატი-
მებულის მიწერ-მოწერა და საბუთები; მეერ ვოლოხი განთავისუფლებულ იქნა
უკვე ორი დღე და ღამის გასვლის შემდეგ. საეჭვოა, რომ მისთვის ცოტად თუ
ბევრად საფუძელიანად დაკითხოდენ ამ ხნის განმავლობაში. საფრანგეთის რეს-
პუბლიკამ ამ შემთხვევაში საჭიროდ არ დაინახა უხეშად დაერღვია თავისი
ტრადიციები.

სხვა მდგომარეობაში იყვნენ იან მარტერი სტოკჰოლმსა და ს. რაიჩი მიუნჰენში

სტოკჰოლმის გენერალური საელჩო 26 იანვრის წერილში აშკარად აღი-
არებს, რომ მან და მხოლოდ მან აღმოაჩინა ი. მასტერის საქმე და „აცნობა
პოლიციას“. მხოლოდ ამას აცნობებს ბ-ნი რუსეთის კონსული გამოძიებელს.
მაგრამ Suluska Dagbladet-ის¹⁾ ამონაწერებიდან ვტყობილობთ, რომ შვეციის
მილიციას მრავალი დაკითხვა კვლევა-ძიება მოუბთენია ამ საქმის შესახებ.
დაკითხვის დროს ი. მასტერს რაღაც მოსაზრებით დაუსახებებია სადანიშაულო
ხუთას მანეთიანების დახურდავების კიდევ ერთი „თანამონაწილე—ალ. ნიკ. პან-
ჩენკო, რიმელიც რასაკვირველია, რაკი ერთხელ იქნა მოხსენებული, ადრე თუ
გვიან პასუხისგებაში იქნება მიცემული როგორც ბრალდებული „ავაზაკურ
თავდასხმაში.“

„საპოლიციო რამპარტში ჯერ მოკლედ არის აწერილი ტფილისში მომხდარი გქ-
სპროპრიაცია და მოტაცებლი სერიის ნომრები. შემდეგ გამოკვლეულია, რომ სამი 500-მა-
ნეთიანი ბილეთი სტოკჰოლმის კომერციულ ბანკში შემოვიდა სამი სხვადასხვა დამზურდა-
ბულ კანტორიდან და სამივე აღმოჩნდა ტფილისში გატაცებული თანხიდან.

1) „შვეციის გაზეთი“

გარდა ამისა გამოძიების დროს გამოირკვა, რომ კიდევ ორს დასაბუთებელ-კანტორაში არის დახურვადაცხული ორი ბილეთი იმავე გატაცებული თანხიდან. ყველა ეს ბილეთი ამჟამად ინახება სტოკჰოლმის სამხედრო მუზეუმში. ეს გამოირკვა აგრეთვე, რომ ყველა ეს ბილეთი დაახურდავა ერთდამივე პირმა, კერძოდ კი კურშინსკიმ დასაბუთდა. უცნობის ძებნამ მაშინვე კარგი ნაყოფი გამოიღო, ის შესწრობილი იქნა იმ დღესვე საღამოს 7 ს: და 40 წ. სასტუმრო „რიჟდმარკ“-ში. ბინადრობის და პირადობის მოწმობები მას არ აღმოაჩნდა. თავის თავს უწოდა რუსეთის ქვეშევრდომი, მიწაძემფლობელის შვილი, კახიშირ „სტანისლავის“-ზე კურშინსკი, დაბადებული 1884 წ. ნაპრილო ვილნოს გუბერნიაში.

დაპატიმრებული გამოტყდა, რომ მან დაახურდავა ბილეთი 500—თავითი ბილეთი, მაგრამ კატეგორიულად განაცხადა, რომ მან არ იცოდა, თუ ეს ბილეთები გატაცებული თანხიდან იყო, არამედ მიიღო ერთი ნაცნობისაგან, რომლის შესახებ ცნობების მიღებაზე უარი სთქვა. ის მისი სიტყვით, სტოკჰოლმში მოვიდა პარიზიდან ბრიუსელის და კოპენჰაგენის გზით ამასთან აღიარა, რომ კოპენჰაგენშიც დაახურდავა ორი ასეთივე ბილეთი.

კოპენჰაგენში სადგეშო შეკითხვებზე მიღებულ იქნა მეორე დღეს ცნობა, რომ შაბათს, 18 რიცხვს, ასეთივე ნიშნების უცნობმა პირმა დაახურდავა მარტინ-კონენის და ამის დახურვადაცხული კანტორაში ერთი 500-მანეთიანი ბილეთი. მარტინ-კურშინსკიმ შემდგომ დაკითხვებზე განაცხადა, რომ ის არის რიგის პოლიტექნიკურის ერთი სტუდენტი იამ იაკობისავე მასტერი და დღეს ის სწავლობს იურიდიულ მეცნიერებას ციურნიის უნივერსიტეტში. იმ ცნობების მიღებაზე, თუ სად ცხოვრობდა ის 1906 წ. მარტინს დამდგომადან 1907 წ. 14 სექტემბრამდე, მან უარი განაცხადა. ტელისში ფულბის გატაცება, როგორც ვიცით, 1907 წ. ივნისში მოხდა. ფულბის გატაცების ამბავი მან გახეტიბიდან გაიგო. შემდეგში მან სთქვა, რომ 1907 წ. დაახლოებით 20 ივლისს ის ცხოვრობდა ქალაქ ვიბორგის ახლო. შემდგომ დაკითხვის დროს მან განაცხადა, რომ იმ პირს, რომლისაგანაც მიიღო ეს ბილეთი ჰქონდა დაახლოებით ათი ასეთივე ბილეთი და რომ ეს პირი ლონდონში აპირებდა წასვლას. ბოლოს, მასტერმა დაასახელა ეს პირი ალექსანდრე ნიკ, პანჩენკო სამხრეთ რუსეთიდან, რომელიც ცნობილია რევოლუციური წრეებში „ფილტვის“ სახელწოდებით. მაგრამ მისი საცხოვრებელი ადგილი არა სთქვა. მასტერი დაპატიმრებულია გარეშე საქმეთა სამინისტროს მიერ ზომების მიღებაში.

ამასთან ერთად სტოკჰოლმის სამხედრო მილიტარ იტყობინება, რომ არავითარი შიფრიანი სადგეშო მიმოწერა ამ საქმის შესახებ რუსეთის პოლიციასთან, როგორც გახეტიბში იწყებთან არ ყოფილა და რომ ამის გამო სტოკჰოლმში რუსეთის აგენტების ჩამოსვლის შესახებ არავითარი ცნობა არაა.

1908 წ. თებერვლის დასაწყისში იუსტიციის სამინისტრომ ბავარიიდან მიიღო ცნობები იმის შესახებ, რომ რაფინის, ბალდასარიანის და ზოჯამირიანის გადმოცემის იმედი თანდათან კლებულობს.

დაპატიმრებულ ამხანაგებს, ეტყობოდა, მოებრებებიათ დაცვის მოწყობა და ამნაირად, საქმე თანდათან უფრო ხმაურდებოდა. „ბავარიის ხელისუფლების კომპენტენტური“ წარმომადგენლები ისევე კეთილ რჩევას აძლევენ მეფის იუსტიციას და გამოძიებელიც უკანასკნელის მითითებით ისევე ცვლის და ატრიალებს კანონის მუხლებსა და თეზისებს თავის დადგენილებებში.



იუსტიციის სამინისტრო.

პირველი დეპარტამენტი

მესამე სისტლის სამართლის განყოფილება.

2 საქმის წარმოება 1908 წ. 7 თებერვალი № 1313

ს.პეტერბურგი.

ფრიად სახსრად

ხრულიად ხაიდუმლოდ.

ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორს.

იუსტიციის სამინისტროში მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ იმ დადგენილების შინაარსმა, რომელიც მიუნიჩენში გაუგზავნია ტფილისის საოლქო სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამოძიებელს მალინოვსკის მიუნიჩენში გასული წლის დეკემბრის შეიქს და რომელიც ეხება მიუნიჩენში დაპატიმრებულ რავეინის, ბადვასარიანის და ზოჯამირიანის პასუხისგებაში მიცემას ქ. ტფილისში 1907 წ. 13 ივნისს საბაზინო ფულის ტრანსპორტზე ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობისათვის, შეიძლება უზერბუღოება უფუქნას ბავარიის სასამართლოს დასაბუღებულ პირთა რუსეთის მთავრობის ზღვში გადაცემის საკითხის გადაწყვეტის დროს რადგან სხენებულ დადგენილებაში აღნიშნულია დაპატიმრებულების მონაწილეობა თვით გადარცევაში, მაშინ როდესაც დაპყველები ამზადებდენ მთელ რიგ მოწვევებს, რომელთაც უნდა დაადასტურონ ის ფაქტი, რომ ისინი ბოტრმოქმედების ჩადენის დროს საზღვარგარეთ იმყოფებოდენ.

ბავარიის ზღვისუფლებების კომპეტენტური წარმომადგენლების აზრით, მოთხდენის განხორციელება უფრო უზრუნველყოფილი იქნება, უკუთუ სასამართლო გამოძიებლის დადგენილება დასაბუღებულა იმ პირების გადმოცემის აუცილებლობით, რომელთაც ბრალი ედებათ ბოროტმოქმედების ნაცოფის დამალვანი.

ზემო აღნიშნულს პირველი დეპარტამენტი ატყობინებს თქვენ მაღალკეთილშობილებას ცნობად.

ვიცე—დირექტორის მაგიერ (ხელმოწერა).

შეუძლებელია იურისტიკ და უბრალო მომაცემდავიც არ გააოცოს საგამომძიებლო ხელისუფლების იმ კაუჩუკისებურმა მოქნილობამ, რომელიც აშკარაედება ამ ერთიმეორის შემკვლელ დადგენილებათა შედარებით, მათი კილო თანდათან თავდაბალი ხდება, ბრალდება რბილდება. ლაიფყეს ყაჩაღურ გადარცევაში მონაწილეობის ბრალდებით და გაათავეს ნაძარცვის დამალვის ბრალდების წამოყენებით. საშეფო იუსტიციის მრისხანე პოზა მიმსგავსებაზე გეზის აღებით შეიცვალა.

მაგრამ უახლესი თვეები, შემდეგ კი დღეები, თანდათან უფრო უცრუება იმედებს გამომძიებელს.

თებერვალში იუსტიციის სამინისტრომ შეატყობინა მას, რომ „შვეციის მთავრობა არ აოი წინააღმდეგი მასტერი გადასცეს, მაგრამ ამასთანავე მან შესაძლებლად დინაბა უშუალოდ აღიძრას მის წინააღმდეგ სისხლის სამართლით დევნა შვეციის სამეფოს კანონების თანახმად მის მიერ გატაცებული ფულადი ნიშნების გასაღებისთვის“.

როგორც ხედავთ, შვეციის სასამართლო დანაშაულისათვის საბუთის ძიების და დამტკიცების საქმეში რუს გამომძიებელზე შორს არ წასულა.

11 თებერვალს იგივე იუსტიციის სამინისტრო იუწყება, რომ

„შვეციის მთავრობა ვერა სცნობს შესაძლებლად რუსეთს გადმოსცეს სტოკოლმში დაპატიმრებული ლიფლანდელი მასტერი, რომელსაც ბრალად ედება ტფილისის ძარცვაში მონაწილეობა, ვინაიდან ის ცნობები, რომლებიც მოყვანილია ტფილისის საოლქო სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამოძიებლის დადგენილებაში, საკმარისად ვერ ამხელენ“

დასახელებული პირის ბრალდებულობას. ამის შესახებ შედეგის გარეშე საქმეის სამინისტროს მიწერილობაზე ჩვენმა ელჩმა სტოკჰოლმში უპასუხა რუსეთის თვალსაზრისით ვრცელი განმარტება. 4 თებერვალს გაირჩა საქმე სტოკჰოლმის საქმეების განყოფილების ბრალდებისა რუსეთის საღვებებში გატაცებული საკრედიტორ ბრუნების შესახებ, ამასთან იან მასტერი გამართლებულ იქნა. მაგრამ რუსეთის საინჟინერო-ტორო ელჩის აღნიშნული ნოტის გამო, მასტერი უნდა დარჩეს დაპატიმრებული მისი გადმოცემის შესახებ მოლაპარაკების დამთავრებამდე.“

დაახლოებით იმავე დღეებში შვეიცარიის მთავრობამ უარი განაცხადა ამხ. კარპინსკის და სემაშკოს დაპატიმრების ვადის განგრძობაზე:

პოლიციის დეპარტამენტის მიერ შეტანილი ენობების მიხედვით, შვეიცარიაში, ტფილისის ძარცვის საქმესთან დაკავშირებით, დაპატიმრებული კარპინსკი და სემაშკო შესაძლებელია განათავისუფლოს შვეიცარიის ზღვისუფლებამ, რადგან დასახელებული პირები დაპატიმრებული არიან, მხოლოდ იმიტომ, რომ წერილი, რომელიც ჩამოერთვა მიუნხენში დაპატიმრებულს სარა რაიჩს, უნდა გაგზავნოდა კარპინსკის ეფრეაში.

მხოლოდ მათი საქმე საბოლოოდ მოისპო უფრო გვიან—1906 წ. აპრილში, როგორც ეს ამჟამად უნდა შემდეგი დოკუმენტადან-

იუსტიციის სამინისტრო

პირველი დეპარტამენტი

შესამე სისხლის სამართლის

განყოფილება

2 საქმის წარმოება

1906 წ. 22 აპრილი

№ 4214

ს. პეტერბურგი.

ტფილისის საოლქო სასამართლოს

პროკურორს

ამა წლის 17 და 21 იანვრის მიწერილობის №№ 1420 და 481-ის თანახმად გიბრუნებთ რა ამასთანავე სასამართლოს საბუთებს შვეიცარიიდან რუსეთისათვის ვიანესლავ კარპინსკის ნიკოლაჰ სემაშკოს და სტრელონიკოვის გადმოცემის საქმის შესახებ რაც დაკავშირებული იყო მათ პასუხისცემაში მიცემასთან ქ. ტფილისში 1907 წ. 13 ივნისს სახანო ფულად ტრანსპორტზე-თავდასხმის გამო, პირველი დეპარტამენტი აღწევს თქვენს მაღალეკთილშობილებას, რომ თანახმად გარეშე საქმეთა სამინისტროს ენობებისა, შვეიცარიის მთავრობას ვერ დაუნაბავს შესაძლებლად კარპინსკის და სემაშკოს გადმოცემა, ვინაიდან ეფრეაში მომხდარ გამოძიებას გამოურკვევია, რომ ხსენებული პირები ბოროტმოქმედების ჩადენის ეამს დასახელებულ ქალაქში ცხოვრობდნენ. გარდა ამისა, მათს განზრცვას არ აღმოუჩენია არაერთი არაერთი საბუთი, რომელიც გვაღიკრებინებდეს, რომ მათ რაიმე კავშირი ჰქონოდას ტფილისის ძარცვასთან, ხელთ ჰქონოდათ მოტაცებულ ფასეულობა ან და ესარგებლათ უკანასკნელით.

რაც შეეხება ბრალდებულ სტრელონიკოვს, იგი შვეიცარიაში არ აღმოჩენილა.

ვიცი-დირექტორის მიგვიერ (ხელმოწერა).

ჩვენამდე მოღწეული შემდგომი საბუთები ფარდას ხდიან რუსეთის მთავრობის დაძაბულ, მაგრამ ერთობ ტლანქ ცდას—რაც შეიძლება საფუძვლიანად გააძეოს საზღვარგარეთელი დამნაშავენი, და გერმანიის პოლიციის უფრო მკვეთრ და ფრთხილ ცდას გამოუძებნოს გადაცემის ისეთი მოტივები, რომელიც არ შეეხებოდა მგროზობიარე სიმებს ლიბერალების და სოციალ-დემოკრატების გულში.

ბავარიის პოლიცია თავისი ძხივის და გარეშე საქმეთა სამინისტროს საშუალებით კითხვებს აძლევს რუსეთის მთავრობას და მოითხოვს დამატებით მასალებს. ხოლო რუსეთის განდარჩერია ეძებს მათ და აჯგუფებს მათ მსგავსი ამოცანების მიხედვით.

იუსტიციის სამინისტროს „მეტად სასწრაფო“ და „საიდუმლო“ „მიწერილობა“ ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორისადმი 29 მარტს ჩვენამდე მიუღწეველ ბავარული დოკუმენტების გადმოცემას წარმოადგენს.

იუსტიციის სამინისტრო

პირველი დეპარტამენტი

მესამე სისტლის სამართლის
განყოფილება.

2 საქმის წარმოება.

1908 წ. 29 მარტი № 2065

ს.—პეტერბურგი.

საიდუმლოდ.

ფრიად სასწრაფოდ

ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორს.

დამატებით მიმდინარე წლის 4 მარტის მომართვისა № 2234 ქ. მიღწენში დაქვერილ რუსეთის ქვეშევრდობითა სარა რაეიჩის, კონსტანტინე ვეიზარაინცის და ტიგრან ხოჯოშირიანცის შესახებ, რომელთაც ბრალდებათ 1907 წ. 13 ივნისს ქ. ტფილისში სახაზინო ფულად ტრანსპორტზე ავანაყურ თავდასხმის დროს გატაცებული თანხების დამალვა, პირველი დეპარტამენტი გატყობინებდა, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროს ცნობების მიხედვით ქ. ს.—პეტერბურგში მყოფი ბავარიის მისიას შუამდგომლობას, რათა ბავარიის ხელისუფლებას ეცნობოს დიპლომატიური გზით უაზღვრეს ზანგაში, — ბავარიის სასამართლოს წინაშე დასაბეღებულ პირების წინააღმდეგ მოპარული საკრედიტო ბილეთების გასაღების ბრალდების მხარის დასაჭერად, — დამოწმება იმისა, რომ ბრალდებულების ხელში აღმოჩენილი საკრედიტო ბილეთები №№ 063771—063781 და 063783—063792, სერია A. M. აგრეთვე ბილეთი რომლის ნომერი არ ვიცით, მაგრამ საბჭოთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ესაა № 063782 იმავე სერიასა, ნამდვილად შეადგენს ტფილისში განატაცები ფულების ნაწილს.

გარდა ამისა, ბავარიის მთავრობას ესაჭიროება დაწერილებითი და სარწმუნო ცნობები ბოროტმოქმედების ჩადენის გარემოებათა შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა გზით ეცნობა ეს ბოროტმოქმედება უცხოეთის ხელისუფლებას და ყრძოდ შეეცადოს მთავრობას, აგრეთვე ბავარიის მთავრობას სერს ჰქონდეს ცნობები დაპატიმრებულთა წარსული ცხოვრების, განსაკუთრებით მათი დანაშაულებრივი პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ როგორც რუსეთში, ისე სახელმწიფო გარეთ. ეს ცნობები ესაჭიროება ბავარიის სასამართლო ხელისუფლებას დაპატიმრებულთა ჩვენების სისწორის ხარისხის გამოსარკვევად, რადგან დაპატიმრებულნი რაეიჩი და ვეიზარაინცი ამტკიცებენ, თითქოს მათ არაფერი არ იცოდენ ტფილისში ჩადენილი ბოროტმოქმედების შესახებ, ხოლო სამივენი ერთხმად ირწმუნებიან რომ მათ არ იციან აღნიშნული ფულების წყარო.

ბავარიის მთავრობის მიერ ბერლინის პოლიციისაგან მიღებული ცნობების მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ სარა რაეიჩი იგივე სარა რაბინოვიჩია, რომელიც დაიბადა 1880 წ. 29 მარტს ქ. კენზაში და რომელიც თვალსაჩინო როლს ასრულებდა რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში, ცხოვრობდა ბერლინში 1905 წლიდან 1907 წლამდე დად ვრეგება კალმან რაბინოვიჩს, რომელსაც 1906 წ. აკრძალული ჰქონდა პრუსიაში ყოფნა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის. სარა რაეიჩი კი უარს აცხადებს დასაბეღებულს რაბინოვიჩთან იგივეობაზე და ამტკიცებს, რომ ის ბერლინში მხოლოდ

გავლით იყო ეწევიდან რუსეთში გამგზავრებისას 1904 წ., რომ მას 17 ან 18 წელს, მხოლოდ 17 წელი და: დეკა. დაბდებული 1880 წ. თუ 1881 წ., ბელა — 17, სელდა — 14 თუ 15 წლის და ურედა — 12 წლის.

ეწევის პოლიციის ცნობებით რაბინოვიჩის ქალი ცხოვრობდა დასახლებულ ქალაქში დაახლოებით ერთ წელიწადს. ის იქ შეეადინებოდა ამარტისტ გიორგი კულონის ბიბლიოთეკაში და უკანასკნელის სიყვადლის შემდეგ ვილა ჰქონდა „დელაკლინის“ ბულვართან, სადაც მშორად იმართებოდა კრებები. ეგიაზარიანი სტუდენტად იყო ეწევიში. მანამდე იგი ცხოვრობდა ბრიუსელში თავის ძმასთან ტენზოლოგიურ საზოგადოების დირექტორთან.

ბოლს ხოჯამირიანიცი იყო სტუდენტი და ამავე დროს მიდევანი რუსული ერონალ „რადფასი“, რომელიც ეწევაში გამოდის.

დამოუკიდებლად ამისა, გარეშე საქმეთა სამინისტროს მიერ დეპარტამენტი, ატყობინებს რა იუსტიციის სამინისტროს, რომ კიდებრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის ავსტროუნგრეთის და შვეიცარიის მთავრობები გაფრთხილებული იყვნენ ქ. ტელიისში გატაცებული ბილეთების მოსალოდნელი დახურდავების შესახებ გარეშე საქმეთა სამინისტროს მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს თხოვნით, შუამდგომლობა, რათა მას ეცნობოს, იყო თუ არა ამის შესახებ რაიმე მიწერ-მოწერა უცხოეთის მთავრობებთან გარეშე საქმეთა სამინისტროს დამოუკიდებლად.

ამის გამო, გააბლებთ რა გარეშე საქმეთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილ მიუწენის სასამართლო გამოძიებლის ბარათს ამ საქმის შესახებ და დასახლებული რაფინის, ეგიაზარიანის ხოჯამირიანის სამ ფოტოგრაფიულ სურათს, პირველი დეპარტამენტი გთხოვთ დაუყოვნებლივ აცნობათ იუსტიციის სამინისტროს, დანართთა დაბრუნებასთან ერთად, ყველა საჭირო ცნობა ზემოთ განმარტებული საკითხების შესახებ.

ვიცე—დირექტორი (ხელმოწერა)

ცნობა: ქ. მიუნჰენის სასამართლო გამოძიებლის ბარათი სამი ფოტოგრაფიული სურათით დაჭრუნდა პირადათ ტელიისის საოლქო სასამართლოს პროკურორს.

სასამართლო გამოძიებელი

მ ა ლ ი ნ ო ვ ს კ ი

ეტყობა ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემის სურვილითაა გამოწვეული მოსკოვის სამქებრო პოლიციის „ცნობა“ 1908 წ: 30 მაის №6615 „რაეიჩის“ და „სემაშკოს შესახებ“.

„რ ა ე ი ი“, სარა ლიების ასული, ქ. ვიტესკიდან, 1903 წ. ცხოვრობდა ქ. პეტერბურგში, ჰქონდა ნაცნობობა 1906 წ. 6 ივნის დაპატორებულ მანა მიხეილის ასულ გორდონთან, რომელსაც გაჩრტკისას აღმოაჩინდა დიდ ძალი სადანაშაულო გამოცემანი ამის გამო რაეიჩი გადასახლებული იქნა პოლიციის მუუალეფერუობის ქვეშ ციმბირში, საიდანაც ის გამოიქცა 1904 წ. 18 აგვისტოს.

ს ე მ ა შ კ ო, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე, 1896 წ. მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტად ყოფნის დროს გაჩრტკალ და დაპატორებულ იქნა, როგორც ერთერთი წევრი მანაშაულის სტუდენტობის ორგანიზაციის „საკავშირო საბჭოს“ სახელწოდებით. ამ ორგანიზაციის წევრობისათვის იყო პოლიციის მუთვალეფერუობის ქვეშ ორი წლით, ვდა ითვლებოდა 1897 წ. 17 იანვრიდან. აღნიშნული ზედაშედეგლობის ვადის გასკლის შემდეგ, საერთო წესის მიხედვით, მას აცრძალა სატაბო ქალაქებში ცხოვრება ახალ განკარგულებაზე. 1908 წ. სემაშკო პასუხისგებაში იყო მიცემული ნიენი-ნოვგოროდში ნიენი-ნოვგოროდის გაერთიანებული კომიტეტის საქმის გამო, ბრალდებოდა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის დებულ. 102 მუხლით. და როდესაც განთავისუფლებული იქნა თავდებით, გადაიშალა ნიენი-ნოვგოროდიდან, მიიღო რა პასპორტი ვინმე ეალენტინ მიხეილის-ძე კოვალსკის სახელზე. ამგვამად სემაშკო უნდა იქნეს დაპატორებულ და გადაგზავნილი ნიენი-ნოვგოროდის დამცველი განყოფილების განკარგულებაში.

იმავე წლის აპრილში ბულგარეთში გამოჩნდა თავდასხმის კოლეგია/ერთი „თანამონაწილე“ ელჩმა კურილო-სემენტოვსკიმ აცნობა გარეშე სავაჭრო სამინისტროს, რომ ვიღაც ტუფეკჩიევი სოფლის ეთერთ ბანკში დააპატიმრეს, რამდენიმე საღამაშაულსა საკრედიტო ბილეთი. ტუფეკჩიევი დააპატიმრეს, მაგრამ ბულგარელმა გამოძიებელმა იგი გაანთავისუფლა თავდებით გამოძიების დასრულებამდე. საჭირო აღარაა მეთაურობა ჩამოეთვალათ ის „პოზიციები“, რომელზედაც დგებოდა რუსეთის პოლიცია, რომ ხელში ჩაეგდო ბულგარელი რევოლუციონერი.

შემდეგში ტუფეკჩიევის ირგვლივ, ისე როგორც რაიჩის, მასტერის, ბაგდასარიანის, სემაშკოს, კარპინსკის და სხ. ირგვლივაც იწყებენ ქსელების გაბმას ჩვენთვის უკვე ნაცნობი ძალები და მათი მატარებელნი; პოლიციის დეპარტამენტი, რუსეთის ელჩი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, უანდრემები და სხ.

12 მაისს გარეშე საქმეთა სამინისტრო წარმოამდგენელი ა. პერატოვი „საიდუმლოდ“ ატყობინებს ტრუსევიჩს:

„მოწყალეო ხელმწიფე-მაჰიმილიან ივანეს-ძვე! დამატებით წინანდელი მიმოწერისა სოფლაში ტუფეკჩიევის დაპატიმრების შესახებ პატრიუ მატქს ანსთან ერთად ეახლო თქვენს აღმატებულებას ასლი სამინისტროს მიერ 1908 წ. 9 მაისს მიღებული ბულგარეთში მყოფი საიმპერატორო ელჩის საიდუმლო დეპეშისა.

გთხოვთ რა უმოზრიალესად შემატყობინოთ შემდგომის შესახებ ესარგებლობთ შემთხვევით რათა გამოგეცნადოთ ზემო თქნდაში სრული პატრიუსცემა და ერთგულება.

ხელს აწერს: ა. პერატოვი.

ასლი დეისტრიტელნი სტატსკი სოვეტნიკი სემონტოვსკი-კურილოს 1908 წ. 9 მაისის საიდუმლო დეპეშისა:

ტუფეკჩიევი, რომლის მოქმედებასაც ამჟამად აქ იძიებენ, მიმართა სამთავრო ხელისუფლებას თხოვნით შეკითხოდენ პარიზის პოლიციას იმის დამოწმების მისაღებად, რომ იგი პარიზში სტოვრების დროს არ იყო შენიშნული არავითარ საძიარის მოქმედებაში და ანაქარსტებთან კავშირი არ ჰქონდა. ტუფეკჩიევი იმედოვნებს, რომ კარგ ცნობას მიიღებს და ამნაირად ფიქრობს იმართლოს თავი აქაურა ხელისუფლების წინაშე. ამ თხოვნას ოფიციალური მსვლელობა მიეცა, იგი გადმოგზავნა სტანჩევს; მაგრამ ამასთან ერთად მე საიდუმლოდ ეიყვი ამის შესახებ გაფრთხილებული, რათა საშუალება მოგეცემაოდა ყოველგვარი მისაწლოში საშუალებით ჩაგვეშალა მოხსენებული პირის განზრახვა. ამის შესახებ, ვფიქრობ, სტანჩევმა მოლაპარაკება უნდა გაართოს თქვენს აღმატებულებასთან. ტუფეკჩიევის გეგმების ჩაშლის მიზნით ნებას ვაძლევ ჩემ თავს გამოვთქვა ახრი შესაძლებელი ნაბიჯების გადადგმის სასურველობის შესახებ.

ამ დეპეშის ტექსტიდან აშკარადვება, რომ „სამთავრო ხელისუფლება“ თავის პეტერბურგელი ელჩის სტანჩევის და საიმპერატორო ელჩის სემენტოვსკი კურილოს სახით ხელიხელაქიდებული უთხრიდენ სამარეს გულუბრიყვილო ბულგარელ რევოლუციონერს, რომელიც თავის მართლების ლეგალურ მეთოდებს ამჯობინებდა პირდაპირ უარყოფას იატად ქვეშ წასვლას.

ამასობაში „სამი რუსის“ (ს. რაიჩის, ტ. ბაგდასარიანის და მ. ხოჯამირიანის) საქმე თავის გზით ვითარდებოდა.

1908 წლის მარტში ცონბილი გახდა, რომ ბავარიის მთავრობა შესაძლებლად ვერ სცნობდა რუსეთის ხელისუფლების შუამდგომლობის დაკმაყოფილებას დამნაშავეთა გადაცემის შესახებ, რადგან მათ წინააღმდეგ წამოყენებული მხილება

სრულიად არ იყო საკმარისი, და მათი უწვავლო მონაწილეობა ექსპროპრიაციაში უკვე ბათილდებოდა მართო იმ ფაქტით, რომ ბრალდებულები ორი წლის განმავლობაში ფეხმოუცვლელად ცხოვრობდნენ შვეიცარიაში. რუსეთის მთავრობის დასაკმაყოფილებლად ბავარიის ხელისუფლებამ ბრალდებულები სამართალში მისცა რუსეთში გატაცებული საკრედიტო ბილეთების დამალვისათვის, რაც მათ ყოველ შემთხვევაში საკმაოდ სერიოზულ სასცდელს უქადდა.

12 მარტს იუსტიციის სამინისტრომ განმეორებით და უკმაყოფილოდ შეატყობინა ტფილისის პროკურორს, რომ თუმცა „სამი რუსი“ ვერ ასცდებია ვასამართლებას „კვალიფიკაციურ დამალვისათვის“, მაგრამ რუსეთიდან გამოგზავნილი ფაქტიური მასალა ბავარიის ხელისუფლებას მეტად არა „საკმარისდ მიიჩნია ამ დიდად შერბილებული ბრალდების დასამტკიცებლად“.

აქვე უნდა ითქვას, რომ ბავარიაში აღძრული „სისხლის სამართლის დენა“ გერჯერობით „არ უარჰყოფს რუსეთისთვის დამნაშავეთა გადაცემის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის საგამომძიებლო ხელისუფლება შესძლებს დაამტკიცოს, რომ ისინი ტერორისტული აგენტების მონაწილენი იყვნენ.

შემდგომ იუსტიციის სამინისტროს უკმაყოფილება, საკუთარი გამოძიებლის სკანდალური უმადრუკობით გამოწვეული თანდათან მატულობს. 29 მაისის მიმართვა მისდამი მეტად გაჯავრებულ კილოზგა დაწერილი. მის დადგენილებას უკანვე აბრუნებენ. რბუსიის ქვეშერდომის „შლეიმას“ დაკითხვის მოთხოვნა გვარის აღუნიშნავად და მისამართის მიუთითებლად სასიცილოდაც არ ჰყოფნიდათ შემთხვევით აღმნიანთა დაქერა ვისიმე მიწერ-მოწერაში შემთხვევითი ნიშნების მიხედვით იუსტიციის სამინისტროს რისხვისაც კი იწვევს, — რასაკვირველია, უმთავრესად იმიტომ, რომ საზღვარგარედ ეს მანერა იწვევს მხოლოდ და მხოლოდ და მხოლოდ გაუგებრობას და ზრდილობიან პოლიციურ უშედეგო მიწერ მოწერას. გერმანელები მზად იყვენ სცემოდნენ ნამდვილ დამნაშავეებს, მაგრამ თავის შემთხვევით ნაცნობებს და პანსიონეტში გვერდით მცხოვრებ მეზობლებს ისინი ვერასგზით ვერ გაიხდიდნენ ნადირობის საგნად.

ჩვენს წინაშე, არის ასლი ბავარიის სასამართლოს გამოძიებისა, რომელიც შევსებულია შვეიცარიის პოლიციის გამოკვლევით. მხოლოდ ჩ. დიკენსს, ევროპის ბურჟუაზიული იუსტიციის მკოდნესა და მკვეთრ ამსახველს, — ძალუმს გადმოგვეცეს იმ სისულელის, პედანტიზმის და გაბროტების შეზავება რომლითაც ავსილია ეს დოკუმენტები.

ვასამართლების შედეგი შედარებით ხელსაყრელი იყო ბრალდებულათვის, მიუხედავად იმისა, რომ მათ ასამართლებდნენ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის მაჟულბლად და სასამართლოს სხდომას თავმჯდომარეობდა თვით მიუნჰენის სასამართლოს დირექტორი. გატაცებული ფულების დამალვის ბრალდების ნაცვლად მათ წაუყენეს ბრალდება ბოროტმოქმედების დახმარების შესახებ — რასაკვირველია არა რუსეთის მთავრობის ზეგავლენის მოუხდენლად. მათ მიუსაჯეს ერთი წლით დაპატიმრება.

„სამი რუსის“, ისევე როგორც შემდეგში კამოს, ბედის გადაწყვეტაში დიდი როლი შეასრულა უკოეთის პრესამ. თუ ცალკეულ გამოძახილს დაუჯერებთ, იგი მკაცრი სიტყვებით ახასიათებდა ბავარიის ხელისუფლების მანებულ

საქციელს და არ ცდებოდა იმის შესახებ, თუ რა მოელოდა რუსეთში რევოლუციონერებს, თუ ვინცობაა მათი გადაცემა მოხდებოდა. გაზეთები ამუშავებდნენ ტუსალების ყოფაცხოვრებას საპატიმროში და ალბათ, დამცველებთან შეხვედრებით ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს გადაცემის შესახებ მოღვაწეების საქმეობას.

„მსჯავრდადებულნი საპატიმროში არ ცხოვრობენ ცუდათ, — სწერდა ერთი გაზეთი, — მათ ნება აქვთ წერონ და მიიღონ წერილები, ყოველ დღე სერიოზობენ საპატიმროს ეზოში, რუსეთისადმი გადაცემა მათ უქადის სიკვდილს ან ციხიდან გადისახლებას. „პატიმართა ბედო, — იტყობინება მეორე გაზეთი, — მთლად დამოკიდებულია კარის მინისტრისა და გარეშე საქმეთა მინისტრზე. ვინაიდან გარდა დაპატიმრების მოთხოვნისა რუსეთს დღევანდლამდე არ წამოუყენებია არავითარი სერიოზული დამამტკიცებელი საბუთი, ამიტომ დაპატიმრებული განთავისუფლებული უნდა იქნეს“. „ოცი დღის ვადა ვადის, მაგრამ სამინისტრო, ეტყობა, ამას არ უწყევს ანგარიშს „იქვე“ რომ დაპატიმრებული რუსები — ტერორისტებია, აქამდე არაფრით არაა დადსტურებული“. რამდენიმე დღეში დაქვრილები განთავისუფლებული იქნებიან. მაგრამ მათ მოვლის იმგვარივე საფრთხე, როგორც დაატყდებოდათ თავზე რუსეთისათვის აშკარად გადაცემის დროსაც. შეიძლება ისინი მიიყვანონ რუსეთის საზღვარზე და აქ რუსი ჯანდარმების თვალწინ გაუშვან. რუსეთის პოლიციისადმი იმგვარი სამსახურის გაწევა სრულიად არ შეადგენს ბავარიის მოვალეობას“ „ალსანიშნავია, რომ პარიზში დაქვრივნი რუსები უკვე განთავისუფლებული არიან. ნადეილად საფრანგეთი კი უფრო მეგობრულადაა განწყობილი რუსეთისადმი ვიდრე ბავარია. საქმე ისაა, რომ საფრანგეთში უცხოეთ სახელმწიფოებთან ურთიერთობის დროსაც ანგარიშს უწყევნ კანონებს. მაგრამ ბავარიის მთავრობას უნდა ახსოვდეს, რომ იგი პასუხისმგებელია თავისი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის წინაშე“.

ყველაზე მკაცრად გამოცხადებულა ამ ამბებს „ახალი მიუნჰენის გაზეთი“ (Heues Mükchener Fageblatt) 1908 წ. 6 თებერვლის ნომერში. ციტირებულ სტატიას ასეთი სათაური ჰქონდა: „მიუნჰენის პოლიცია ემსახურება რუსეთს“.

„უკვე ორი კვირა გავიდა, რაც ნილილისტი დაპატიმრეს სამი ვერაქოვდებელი რუსი ამ ამბავში მიუნჰენში დიდი მოთქმა-მოთქმა გამოიწვია. ორი მამაკაცი და ერთი მანდილოსანი, რომელიც საპოლიციო სატუსალოში იტანებდნენ, სრულიად არ გვანან ნილილისტებს. ამასთანავე არაფრით არ შეიძლება იმის დამტკიცება, რომ ისინი მონაწილეობას იღებდნენ ტფილისის ბანკის გასარცევას, რას აბრალებდნენ მათ მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია გაშვავებით მუშაობს ამ საქმისათვის არ ზოგავს არც შრომას არც ფულს და არც დროს, — ეს აქამდე არაა ნათელი... ამ დამნაშევების კანონიერ ნებისათვის გადაცემაზე ბავარიამ ზელი უნდა აიღოს. უკეთესი ოცი დღის განმალღობაში რუსეთიდან არ მოვა არავითარი შეკითხვა, დაპატიმრებულნი განთავისუფლებული უნდა იქნეს პოლიციის უფლება აქვს გააძევოს ისინი სადაც უნდა, მხოლოდ არა თავის სამშობლოში...“

„მიუხედავად იმისა, რომ ვადა დღეს გადის, ხმა დადის, რომ პოლიცია ფიქრობს მათ მიყვანას რუსეთის საზღვარზე, უკეთესი არ იქნება პირდაპირ ციხიდან გაგზავნათ ან აქვე აავით საღარჯობელა და დაღარჯობ“

ამნიარად, პოლიციის დეპარტამენტის მითითებით ინსტრუქციული პროცესის შემდეგ სრულიად განითქვანა საცთური მიჩაძე რუსეთიდან მფუფი რიგი რუსი რევოლუციონერების ხელში ჩაგდებასა და სიკვდილიან სასჯელსა. კერძო-ენის მოედანზე ჩადენილ აქტში მათი მონაწილეობის დამოუკიდებლად, მაგრამ გამოძიების მასალები და ბრალდებულთა ჩვენებანი, განსაკუთრებით ს. რავეინის საქმის შესახებ, მიუხედავად ბავარიის ხელისუფლების ფორმალური პირველი უარისა და სხვა მთავრობების უარყოფითი აზრისა მაინც გადაეცა რუსეთის საგამომძიებლო ხელისუფლებას არა საიდუმლოდ არამედ სრულიად ოფიციალურად.

ჩვენს ხელთ არის ამის შესახებ გარდა სამი დოკუმენტის შემცველი ნამდვილი საქმისა იუსტიციის სამინისტროს კიდევ რამოდენიმე განცხადება მხოლოდ ერთერთი მათგანი 1909 წ. 3 მარტის თარიღით:

პირველი დეპარტამენტი გვგზავნით ბავარიის მთავრობის მიერ შესრულებულ სამართლო გამოძიებლის გასული წლის 24 აპრილის ცალკე მოთხოვნას ბავარიის სათანადო სამოსამართლო ხელისუფლების საშუალებით გამოძიების წარმოების შესახებ.

გამომძიებლას დართული ჰქონდა აგრეთვე დაბატიმრებულთათვის ჩამორთმეული საბუთები.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსი ვახდა რუსეთში ამხ. რავეინის წერილი ამხ. კარპინსკისთან მიმართული ეს წერილი აშკარა კონსპირატიული ხასიათისაა, იგი აღნიშნავს ენეველ ამხანაგებს იმ ჩვენებას, რომელიც ამხ. როვეინმა მისცა გერმანელ გამოძიებელს და ეტყობა აფრთხილებს მათ საკრედიტო ბილეთების დახურვაების შესახებ. ამასთანვე ჩვენ ვხედავთ ამ წერილში იმის მოწმობას, რომ მიუნჰენის პოლიცია გამოვიდა კანონიერი პასიურობის მდგომარეობიდან და ცდილობდა თავდასხმა მოეწყო მიუნჰენში (და შესაძლოა სხვა ქალაქებშიც) ჩამოსულ რუსებზე. ამასთან დაკავშირებით უნდა ვიფიქროთ, რომ გამოძიების მასალები სულ უბრალოდ და უმიზეზოდ არ იყო გადაგზავნილი რუსეთში. ბავარიის ენდარმენტი სამართლიანად ფიქრობდნენ, რომ მათი რუსი კოლეგები გაცილებით უფრო მართებულად და ჩქარა გააკვევედნენ სახელებს, გადაკვრით ნათქვამს და მათს ურთიერთობას რომელიც ხსენებულ სადამაშაულო მასალებში იყო ასახული, დავინ იცის, შესაძლებელია აღმოჩენილიყო იმ ორგანიზაციის გასაღებიც, რომელსაც, ჩანდა, არ დაუტოვებია რუსეთის ნიადაგი მიუხედავად მისთვის მოსალოდნელი სასიკვდილო განსაცდელისა.

ოქმი:

1909 წ. 6 ივნისი. ქ. ტუილისი. ტუილისის სათქუო სასამართლოს განსაკუთრებით საგანგებო საქმეთა გამოძიებელმა მალინოვსკიმ ქვემოთ ხელმოწერითანა მოწმე თა დასწრებით მოახდინა იმ საგნების დათვალიერება, რომელიც თანახლავს ბავარიის მთავრობის მიერ მოხდენილ წარმოებას და გამოგზავნილია იუსტიციის სამინისტროს პირველი დეპარტამენტის მოწერილობასთან ერთად ა/წ. 3 მარტს № 11780 რასა შინა აღმოჩნდა:

1. წარმოების განყოფილებაში რომელის სათაურში აღნიშნულია, თუ რა ჩამოერთვა ბრალდებულ სარა რავეინს. უკანასკნელს ჩამოერთვა... (თავს ვაწებებთ პირველ ოთხ მუხლს)



5. წერილი

იმადე წარმოების 32 ფურცელზე დაწებულ კონვერტში იწებება ქალაქის მთელი წერილი, რომელიც დაწერილია რუსულად ფანქრით და დანომრილად დაწერილია წიგნით და ფანქრით დაწერილი შენიშვნა. ისწავებული ზუსტი ქალაქის ვიწრო ფურცელი შეიცავს შემდეგი შენიშვნის წერილს: „ჩემო ძვირფასო ვიტა, დიდი ვაივაგლობით გწერთ ამ წერილს. ვნაში რომ მივდიოდი, გზაზე გაქვრდი მიწაში მუწევის დასათვალისწინებლად აქ ქუჩაში შევხვდი ნაცნობს, რომელმაც მთხოვა დამეზღვრა დაეგებია ორი ზუსტი მანეთიანი ბილეთი მე ვკითხე, ეს რა ფულებია მეთქა. მან აჩქარებით მითხრა, მეჩემ გეტყვი. მე არ დამბადებია გეკ არაფერზე, შევედი (ბანკში) და უსიტყვოთ დამიხურდავეს. ცოტა ხნის შემდეგ მოვაგონდა, რომ კიდევ მქონდა ერთი ასეთი ცალი და მის დასაბურღებლად შევედი ერთ ბანკში. როგორც კი დანახეს ზუსტი მანეთიანი, მაშინვე ამოიღეს ქალაქი და მითხრეს, 500-მანეთიანი სერია და ნომერი ამ ქალაქდში აღნიშნულს, და ეს ფულ-ქალაქ ტფილისის ბანკიდან არის მოტაცებულიო მათს შეკითხვაზე, თუ სად ეიშოვე მე განუცხადე, რომ ნაცნობმა მომცა მე დამატირებს და გამგზავნეს პოლიციისში, იქ მე ვთქვი ვინა ვარ და სად ვეხოვრობ. ვეჭვობ, ყველაზე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მე ბანკის გაძარცვის დროს რუსეთშიაც კი არ ვყოფილვარ. ის ფული, როგორც ეთქვი, მომცა ნაცნობმა, რომლის დასახელებას ვერ ვებედა, რადგან გავიგე რომ ეს ფულები შექმნილი ყოფილა კონფისკაციის გზით. ჩემივე თვალსაზრისით განკარგულება ყველა სისტემაში დახვედროდენ მტარებლებს ჩამოსული რუსების დასაბატონებლად. საღამოს მანქანას ორი რუსი, იმათაც ბევრი ასეთივე ფული აღმოჩნდათ. მე ამ ახალგაზრდობას არ ვიცნობ, არ მიჯერებენ. თუ შენ ჯერ არ შეუწყებინარო, ეცადე მიახდინო ლეგალიზაცია ან იქონიოთ ბინადრობის მოწმობა. გარდა ამისა, გავიგე სადმე, როგორ გადაეგებარო ვისმეს საბიბლიოთეკა თანაა 1) ვეჭვობ, ჩვენ გავაგზავნიან რუსეთში—ეს ნიშნავს ყოველგვარ უბედურებას და საღვრთაგლობაც მე ასე მგონია. თუმცა აქაც არ იქნება შეზღუდვა მაინც შესაძლებელია ამხანაგებმა გააკეთონ რამე, კავშირი გააბან, რომ ხელიშეუშალონ რუსეთისადმი. გადაეცემა. იქნება გოდებრგი იცნობს ვისმე ან გერმანელი ერთმანია. მე, მართალი გითხრა, არ ვიცი, რა შეიძლება გავეთდეს, ითათბირეთ და ეცადეთ მე თავს ვერძობ შედარებით დამწვიდებლად და შეეუბრადი ყველაფერს, თუმცა ეს მეტად საწყენია...

„ძალიან გთხოვ საჩქაროდ გადასცე ეს ეპისტოლე მინიმს. თუ იმასაც შეეშობა რამე, ეს მოლოდ თქვენ წაიკითხეთ და იქნება გააკეთოთ რამე. საქმის არსებას ამ ბარათებიდან გაიგებთ. კარგად იყავი. ოლა“.

მეხუთე ქალაქის მეორე გვერდზე, რომელიც იწყება: „ძალიან გთხოვ საჩქაროდ გადასცე ეს ეპისტოლე“... ფანქრითაა აღნიშნული: „მინიმს ან თქვენ“.

ბევარიის ხელისუფლების საგამომცემო ხელისუფლებიდან უნდა აღნიშნოს. რამოდენიმე ცალკეული შტრიხი. დაქერილს შემდეგ ამხ. რაეჩის შესთავაზეს ვანის მიღება, როცა მას უნდა გაეხადა ყველაფერი, როგორც აცხადებს „საბატონოს გამგის ქალიშვილი ფრანცისკა აუგი რომელიც გამოყენებულ იქნა ჩხრეკის მიზნით. როდესაც ქ-მა საუგმა შენიშნა, რომ რაეჩი ხელში კმუქის რაელაც საგანს, დაუყონებლივ გამოიწვივა საბატონოს ზედამხედველი და ეცა ხელებში დაბატონებულს. მიუხედავად ორი მტარვალის ცდისა, რაეჩიმა დაგლიჯა ბარათი, რომელიც „ოხრანკას“ არ უნდა ჩავარდნიოდა ხელში. ამ დაგლეჯილმა ქალაქმა, რომელიც ამხ. რაეჩიმა ვერ მოასწრო გადაეცემა, ბევარიის

1) ამხ. რაეჩი განაცხადდა ეკლინის სახელობის ბიბლიოთეკას, რომელიც პარტიულ სოც. დემოკ. ორგანიზაციას ეკუთვნოდა.

პოლიციას საშვალეობა მიეცა დაეპატიმრებია კიდევ ორი კრიმინალური ზუთასი-მანეთიანების მფლობელი.

ამხ. როვიჩის ქალღღებების დათვლიერებას, რასაკვირველია დაესწო თვით პოლიციადირექტორი დილმანი. დოკუმენტების და წერტილებს მისთვის უტესტის თარგმანსა და განმარტებაში დილმანს ეხმარებოდა არა უბრალო თარგმანი, არამედ „საელნოს მდივანი სტატსკი სოვეტნიკი ნიკოლოზ ფონ-სტოლიპინი“.

ამნაირად, დიპლომატიის არისტოკრატიულმა წარმომადგენელმა თავის წვლილი შეიტანა პოლიციურ ძიებაში და ამით დემონსტრირებულად დაადასტურა ძველი სახელმწიფოს ყველა ორგანოების ერთიანი მიზანთსწრაფვა და ტაქტიკა.

ობრანიკი კარლცაბელი ერთობ დაწვრილებით აგვიწერს, თუ დილმანის დავალებით როგორ ხედებოდა მატარებლებს მიუნჰენის სადგურებზე რათა შეეპყო „საეკო რუსები“ ბავდასარიანი და ხოჯამირიანი. მათს შესახებ აუგსბურგის პოლიცია იტყობინებოდა, რომ ისინი მოდიოდნენ მატარებლით № 7 და რომ მათ კავშირი ჰქონდათ უკვე დაპატიმრებულ ს. რავიჩთან. კარლცაბელმა სადგურზე გამოიყვანა სისხლის სამართლის მილიციის მთელი რაზმი, ეანდარშები და რკინისგზის მოხელენი და შეადგინა მათგან ჯაჭვი, რომელიც გაიჭინა გასასვლელის მარჯვნივ და მარცხნივ სტატსკი სოვეტნიკი ნ. სტოლიპინი სადგურის პერონზე გერმანულ ჯაშუშებთან ერთად განაგრძობდა თავისი მეფის ერთგულ სასახურს. ის მიესალმა დასაპატიმრებელ „პირებს“ რუსულად და როდესაც მათგან პასუხი მილო დაიძახა: „ესენი არიან!“

სე წამოაბილი პაროლად იყო აღრევე გადმოცხადებული საპოლიციო ჯაჭვის გასწვრივ. ახალ მოსულნი მყისვე შეიპრეს. ხელებზე მაშინვე ბორკილი დაადგეს, ხოლო კარლცაბელი ისევ ათვლიერებდა ორმოცამდე მგზავრს, რომელნიც დაკავებული იყვნენ და ეტყობოდათ, ცოტა ხნით იყვნენ ჩამოსული.

ამხ. რავიჩის მიერ დახეული წერილი სხვა ქალღღებების მსგავსად განსაკუთრებული გამოკვლევის საგნად გადაიქცა ტფილისელი გამომძიებლის კამერაში.

ამხ. კარპინსკის და სემაშკოს დაქერა თავის დროზე იმან გამოიწვია, რომ მათი გვარი ამ წერილებში იყო მოხსენებული.

მეფის ხელისუფლებისათვის რომ გადმოეცათ რევოლუციონერები—ეს ქალღღების ნავლეები, ტრუსევიჩის დებეშებთან ერთად, პირველ და უკანასკნელ საბუთად გამოდგებოდა იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი არიან „ერვენის მოედნის ყაჩაღური თავდასხმის“ ნამდვილი მონაწილენი.

დაპატიმრებულ „სამი რუსისთვის“ ჩამორთმეული დოკუმენტების, წერილების, ბლოკნოტების და სხვ. გადმოცემას მოჰყვა კლევადიების მთელი სერია.

განსაკუთრებით საგანგზო საჭმეთა გამომძიებელი მალინოვსკი საშურველი (თუმცა სრულიად უშედეგო) მეთოდითობით სინჯავს რევოლუციონერების (მისთვის ხელმისაწვდომ) კავშირებს ენეევას, ვენას, პარიზს შტუტგარტსა და ბერლინში, მოითხოვს მოწმეების, მესასტუმროების, საბანკო მოღვაწეების, პოლი-

ციის მოხელეების დაკითხვას, არკვევს რევოლუციონერების გამგზავრების თარიღს მათ პირად ნაცნობობას, მათი ნათესავეების ცხოვრებას რუსეთსა და უცხოეთში, ხსნის და არკვევს დახურდავებულ საკრედიტო ბილეთებს და ყოველ ახალი სახელის გაგონებაზე რომელიც კი გამოკრთება საზღვრავარეთ უკვე „ნაცნობ“ სახელებთან დაკავშირებით, ყოველი შემთხვევისათვის. თხზავს „მაგარ“ დადგენილებებს როგორც ერევნის ტრალედიის ცხადი და უდაეო მონაწილის დაპატიმრების შესახებ. ოუსი გამომძიებლის მოღვაწეობა ჯიუტური თინიანობით და ძიების მექანიკური დეტალიზაციით ძალიან შორს იტოვებს მისი სასლვარგარეთელი კოლეგების მოღვაწეობას. უნდა ვიფიქროთ, რომ უკანასკელთა პასუხი მას ალბათ იშვიათად აკმაყოფილებდა. მის სიჩლუნგეში ჩანდა რუსეთის იმპერიის უხარპახარი ბორბლის გაქანება, იმ იმპერიის, რომელიც თავის გადასარჩენად მხად იყო ზღვა სისხლი დაეღვარა და ათასობით ჩაეყარა ხალხი საპრობილეში. „დამნაშაეისადმი“ ცივი მძლვარება მათ სიჩლუნგეში ეულღებოდა აღმადრენის ჩამკვლელ ფარისეველურ თავდაქერას პიროენების კანონიერი გარანტიების წინაშე, უნდინაშაულო ხალხის განუკითხავად შებრყობის შეუძღებლობის წინაშე.

მეფოს მთავრობის მზრუნველობა მიუნქენში დაქერილი „სამი რუსისადმი“ სასამართლოს განაჩენის გამოცხადების დღეს არ დასრულებულა. მათი განთავისუფლების მომეტი, რა თქმა უნდა, ბეარის ხელისუფლების დახმარებით, აღნიშნულ იქნა საელოოსა და იუსტიციის სამინისტროში და ტვილისის პროკურატურაშიც. ს. რაეინმა სასჯელი მოიხადა ამბურგში, ბავდასარიანმა და ხოჯამირიანცმა კი ზულცბახში. 13/26 აპრილს ისინი განთავისუფლებულ იქნენ. მათ მაშინვე გამოუცხადეს, რომ დაუყონებლივ და სამუდამოდ დაეტოვებიათ ბეარის სამეფოს საზღვრები.

მოვიყვან მოკლედ ს. რაეინის შესახებ შვეიცარული გამოძების უსულელეს ნიმუშს მას, რა თქმა უნდა, წინ უძღვის იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური განცხადება, რომ გამოძიება მოხდენილია რუსეთის გამომძიებლის მოთხოვნით. მართლაც კამოს საქმეში გამოძიების ტექსტს დართული აქვს გამომძიებლის მალინოვსკის ვრცელი კითხვარი.

მოხსენება

კონტონ ვოს უნიშროების პოლიციის გამოძება, სარა რაეინი არ ცხოვრობდა მარში-სში. ის მიდიოდა ხოლმე იქ რეგულარულად 1907 წლის იელისის, აგვისტოს და სექტემბრის განმავლობაში შაბათობით და ბრუნდებოდა ორშაბათს დილით. ის იქ მიდიოდა უმეტეს ნაწილად ბიციკლეტით.

ის მიდიოდა ერთს აუადმყოფ ახალგაზრდა კაცთან, რომელიც, როგორც ანობდა მისი ქმარი იყო და რომელიც ცხოვრობოდა დაახლოებით ორ თვეს მოთჯარადრე იოსებ კარლენთან მასთანვე ცხოვრობდენ ცოლქმარი დმიტროვები, რომლის მეულღე ორსულად იყო 1).

1) ამ ერთად ცხოვრების ცნობის თანახმად რუსმა გამომძიებელმა დაუყონებლივ აღძრმა დევნა დმიტროვების წინააღმდეგ.

ახალგაზრდა კაცს, რომელსაც რაიჩი ნახულობდა, ეძახოდნენ პენის თუ ეტინგოვს; ¹⁾ მისი მუდმივ საცხოვრებელი ადგილი იყო *ენევეუკაქუფუ-25*, ჩარდახზე, ქ—ნ ბოდრისთან.

არავის არაფერი საძრახისი არ შეუმინევია არც ქ—ნ რაიჩის და არც მის ქმრად წოდებული კაცის მოქმედებაში... დმიტრიევის ცოლმა გაგზავნა ენევეაში რაიჩის სახელზე რამდენიმე პაკეტი ²⁾.

... არ დამტკიცდა, რომ სარა წასული ყოფილიყო სადმე 1907 წელს იენისში; მეზობლები ამას არ ადასტურებენ. ³⁾ უკვე 1908 წელს 24 თებერვალს იუსტიციის და პოლიციის შეერთებული დეპარტამენტის ბრძანების თანახმად მოხდენილი გამოძიებით დადასტურებულ იქნა, რომ იენისში სარა რაიჩი და კარპინსკი ენევეაში იმყოფებოდნენ ⁴⁾.

მეორე ადგილას გამოძიებლის განმეორებით შეკითხვაზე საპასუხოდ მოყვანილია ცოლქმარი დმიტროვების მისამართების სია, ამასთანავე განპარტბულია: „შეუძლებელია დანამდვილებით იმ დროს გამოარკვევა, როდესაც დმიტროვებმა გამოიცვალეს უკანასკნელი მისამართი, კიდევ უფრო შეუძლებელია მისი თქმა, თუ სად არიან ისინი ამჟამად ⁴⁾“.

შემდეგ მოყოლებულია ცნობები ამხ. კარპინსკის გაშიშვლების შესახებ, რასაც თავის დროზე მოჰყვება გაზზრევა მისი დედის, რომელიც პენზაში ცხოვრობდა, და რაც იწვევს პატარა „საქმის“ შექმნას მისი პოლიტიკური ერთიანი მიმდევრების, პირადი კავშირის, ნაცნობების და ტხოვრების შესახებ. ამასთანავე პენზის ჟანდარმათა სამართველო ატყობინებს გამოძიებელს ცნობად ამხ. კარპინსკის რევოლიუციურ ფორმულარს პენზის საზღვრებში. პენზის ჟანდარმერია კარპინსკის მშობლებსა, ნათესაეებსა და მახლობლებში ეძებს არა მარტო ზუთასმანეთიან ბილეთებს, არამედ კავშირის ნიშნებსაც რაიჩისა, ბაგდასარიანსა, ზოჯამირიანსა, ვოლოხსა, მასტერსა, სტრელონიკოვსა, სემაშკოსა, პანჩენკოსა და სხვებთან, ე. ი. ყველასთან ვინც ასე თუ ისე მოხსენებულია გამოძიების მასალებში,

სულ უბრალო რაიმე ყურმოკრული ცნობა უმსგავსო ნიშნება „თანამონაწილეობაზე“ საქმარისი იყო, რომ ყველა ეს მახლობლები და ნათესაეები დაუყოვნებლივ „დაპარტბებული“ და „გამოგზავნილი“ ყოფილიყვენ. „კონცენტრიული წრეების“ ასეთი სისტემით ზუთი ან ექვსი წლის შემდეგ ადამიანთა გადაჯვარედინებული ურთიერთ—კავშირის ძალით მთელი რუსეთი გამოძიების ქვეშ აღმოჩნდებოდა კამოს საქმის გამო.

მიგრამ მოულოდნელად ეს „კონცენტრიული წრეები“ ერთბაშად წაილეკა ძლიერი შემხვედრი მიმდინარეობით: ბერლინში დაახლოვებით იმავე თვეებსა და დღეებში შემთხვევითი დაკერის თუ ოსტატურად ჩატარებულ პროვოკაციის წყალობით აღმოჩენილ იქნა რუსეთის მთავრობის მიერ ერევნის მოედანზე მომხდარი ექსპროპრიაციის შესახებ ნაშზადები პროცესის ცენტრალური ფიგურა.

¹⁾ ამხ. გ. კარპინსკი. ²⁾ ალბათ წიგნები ჯეკლინის სახ. ბიბლიოთეკიდან. რომელსაც განაგებდა ამხ. რაიჩი. ³⁾ გამოძიებელი ცდილობდა მოენახა იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ამხ. რაიჩი ტფილისში იმყოფებოდა საბანკო ტრანსპორტის გაძარცვის დროს. ⁴⁾ ამ ცნობების იხ ვუ ვით გამოძიებელი შეუდგა დმიტროვების ძებნას უკვე რუსეთის საზღვრებში.

შთავრობამ კარგი კომპენსაცია მიღო სტოკჰოლმში, ლონდონში, პარიზში, ენენევისა და მიუნჰენში განკდილი დამარცხებისა, ხოლო ბერლინელი პოლიტიკური რეპორტორები ამხანად ლიბერალური და სოციალისტური ფეფქეფეჟმსხვერპლი არ გამხდარან.

ამხ. კარპინსკი თავის დაპატიმრების შესახებ შემდეგს გადმოგვცემს:

„უქვე დღე იყო დილით ადრე მე და ერთი ჩემი ნაცნობი მთებში ველოსიპედით გასასეირნებლად ვეშაადებოდით, როდესაც თავს დაგვესხენ agent de Surete (ენენევის ახრანკა) და ორთავეს „ავეისვეს ხელი“ ოხრანკაში დაგვბდა დაპატიმრებული ამხ. ნ. ა. სემაშკო მთელი, რიგი პარტიული ამხანაგები და უბრალო ენენევაში მცხოვრები რუსები, უმთავრესად სტუდენტები. არაფერ არ იცოდა, რაში იყო საქმე, სალამოს პიროვნების გამოარკვევის შემდეგ მე ენენევის წმ. ანტონის საპატიმროში წამიყვანეს.

აქ მე შემიყვანეს სისხლის სამართლის დამნაშავეთა საერთო კამერაში ალაც უკვე ვილაც ორი ტიპი იჯდა, მიმითითეს ფუჩინის მატრაცხე და მიბსრძანეს გამეხადა ყველაფერი, გარდა პერანგისა. პროტესტი გამოვაცხადე, მაგრამ ვალახვა მომინდომეს, გამხადეს ძალით და ტანისამოსი ტაბურეტით გაიტანეს გარეთ. თურმე, ასეთი ყოფილა წმ. ანტონის წესები, გაქცევის თავიდან ასაცილებლად.

ერთერთ უახლოეს დღეს წამიყვანეს საპატიმროს ფოტოგრაფთან, გამზომეს ქალაღზე აღიბეჭდეს ჩემი ხელის თითები ამნაირად „დიდი საერთაშორისო ბანდიტი“ ვიანესლავ კარპინსკი ყოველმხრივ „აღნიშნული“ იყო საერთაშორისო საპოლიციო მეცნიერების წესებისამებრ.

დაკითხვის დროს, მიუხედავად ჩემი მოთხოვნისა, ჩემი დატუსაღების მიზეზები არ ამიხსენეს. მე რასაკვირველია, შემძლო შეუმცდარად მიმეხდარიყავი, რომ მიზეზი საკრედიტო ბილეთების დახურდავების ჩავარდნა იყო. დაპატიმრების მიზეზები მე ძალიან გვიან გავიგე ჩემი ვეჭილისაგან. მის გვარს ახლა ველარ ვიგონებ. მაგრამ, მახსოვს, ჩემი საპატიმროს „ამხანაგები“ ძალიან შემნატროდენ რომ სახელგანთქმული ვეჭილი მყავდა,—თვით შვეიცარიის ფედერაციის (ყოფილი) პრეზიდენტი!

ერთხელ გამომიძახეს ციხის უფროსის კანტორაში და იქ მაცნობენ ამ ვეჭილს ერთობ წარმოსადგე ოდნავ შექალარავებულ ბურჟუას. მე მინდოდა გამეგო ჩემი დაპატიმრების მიზეზები მაგრამ მე ფრანგული ძალიან ცოტათ ვიცოდი ხოლო სისხლის სამართლის ტერმინები სრულიად არ ვიცოდი გარდა სიტყვისა Soleur (ქურდი). დიდხანს ვერა გაუგერა ჩემს თანა მოსაუბრეს, რომელიც იმეორებდა რომელიღაც ჩემთვის უცნობ სიტყვას. ბოლოს ის წამოხტა ზეზე, წაველო ხელი მაგიდაზე მდებარე პრეს-პაპიეს:

— აი მე ავიღე ეს ნივთი, მე—ქურდი ვარ!

პრეს-პაპიე გაუფარდა მას ხელიდან და გატყდა. მან სასწრაფოდ აკრიფა ნამსხვრევები:

— თქვენ მართმევთ (მადლევს) და მალავთ (ჯიბეში მიღებს) თქვენ receleur!

ა, მივხვდი, მე მამბრალეებენ „მოპარულის დამალვას“ ან რაში უთვლია საქმე, რასაკვირველია, მე ენერგიული პროტესტი განვაკადე, აუხებენ, რომ მე პოლიტიკური ემიგრანტი ვარ და არავითარი „ქურდობასა“ და „საქტაცვასთან“ არავითარი კავშირი არ შეიძლება შექონდეს.

შემდეგ აღმოჩნდა, რომ რუსეთის მთავრობა მოითხოვს ჩემს როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეს გადაცემას და მამბრალეებს ტფილისის ფოსტის გაძარცვაში მონაწილეობის მიღებას ამაღაამ წლის ამაღაამ რიცხვს. მაგრამ თუ გამოირკვა ერთი მხრით დანაშაულის პოლიტიკური ხასიათი, ხოლო მეორე მხრით — ჩემი „ალიბი“, შვეიცარიის რესპუბლიკის კანონების მიხედვით გადაცემა შეუძლებელია.

ცხადია, მე დიდათ არ მწამდა ბურჟუაზიული რესპუბლიკის კონსტიტუციური გარანტიები. მაგრამ ახლა მაინც ვიცოდი ჩემს წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდების არსი, რაც მთავარია „ბოროტმოქმედების“ ჩადენის დრო და ადგილი, ყოველ შემთხვევისათვის „ალიბის“ დამტკიცებამ ჩემთვის ადვილი იქნება: საკმარისი იყო საბუთად მომეყვანა ის, რომ ყოველდღე საკუთარი ხელით ვწერდი გაცემულ წიგნებს ბიბლიოთეკიდან, რომელსაც მე განვაგებდი. ჩანაწერების ექსპერტიზა მოახდენს და ამნაირად ურყევლად დამტკიცდა, რომ ტფილისის შეიარაღებული ექსპროპრიაციის დროს მე უაღრესად მშვიდობიან კულტურულ მუშაობას ვწეოდი ეწვევაში.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საკრედიტო ბილეთების რეალიზაცია სახლვარგარეთ ცუდათ იყო მოწყობილი. ორგანიზატორებს ვერ გაეთვალისწინებიათ ყველა ქვეყნის ბურჟუაზიულ „ობრანების“ საერთაშორისო სოლიდარობის ძალა. რეალიზაციაში მონაწილე ამხანაგებს არ ცოდნოდათ ექსის თარიღი და არ ებრუნათ წინდწინვე თავისი „ალიბის“ დასამტკიცებლად თუ ვინცობდა საქმე ჩაგარდებოდა; რეალიზაცია უნდა მოწყობილიყო სხოლოდ ისეთ ქვეყნებში, სადაც ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი გართულება და სხვ. გარეთ მყოფმა ამხანაგებმა ბევრი შრომა გასწიეს დაპატიმრებულთა „ალიბის“ დასამტკიცებლად. ამოქმედეს პატივცემული შვეიცარიელი მოკლაქენი, სოციალისტური პარტიის წევრები, კანტონალური და ფედერალური პარლამენტების დეპუტატი — სოციალისტები, რომლებიც გვითავდებეს და განაცხადეს, — დაპატიმრებულები პირადათ ჩვენი ნაცნობები რ. ს. - დ. შ. პარტიის წევრები და ექსპროპრიაციის დროს შვეიცარიაში იმყოფებოდნენ. ამით მაშინდელმა სოციალისტებმა დიდი საქსახური გაუწიეს ბოლშევიკებს, — რასაც ახლა არ იხამდა არც ერთი სოციალდემოკრატი, — მათ ერთგვარი მოქალაქობრივი ვამბედაობაც კი გამოიჩინეს. საქმე ისაა, რომ „თავდებნი“, როგორც შემდეგ ერთმა მათგანმა მიაპბო სრულად არ იცნობდენ დაპატიმრებულებს ხოლო ჩვენს ამხანაგებს მათთვის ფოტოგრაფიული სურათებიც კი ვერ გადაეცათ. ობრანკა, რომ მიხვადარიყო თავდებთათვის „დამნაშავეების“ ფოტოსურათები წარედგინათ, ნამდვილი სკანდალი გამოვიდოდა... მაგრამ სოციალისტების „კეთილწყობიერება“ უკვე მაშინაც დიდათ ფასდებოდა ობრანკის თვალში: თავდებობის შემოწმება არ მოახდინეს.

„წმინდა ანტონის პანსიონში“, როგორც ტუსალები ზემორობდნენ, მე, შვეიცარიის მთავრობის ხარჯზე თითქმის ორთვე იმის მოლოდინში, თუ რა ვაიმარჯვედა: პოლიციის საერთაშორისო სოლიდარობა, თუ ევროპის დემოკრატიის „საზოგადოებრივი აზრის ძალა“. ამ ხნის განმავლობაში საფუძვლიანად გავეცანი ყველაზე უფრო დემოკრატიული რესპუბლიკის“ სავატიმროს წესებს და პრაქტიკულად შევისწავლე ფრანგული ენა, განსაკუთრებით სისხლს საშარტლის ტერმინოლოგია და ქურდული ეარგონი. ამასობაში შვეიცარიის და საერთაშორისო ოხრანა, თურმე გაფაცვიცებით მუშაობდა“ ტფილისის საქმისათვის მაგრამ ეს მე გავიგე უკვე განთავისუფლების შემდეგ.

ერთხელ დილით მე ჩამაბარეს ჩემი ბინის ვასალები და გამომიშვეს შინ რომ მივედი, მთელი სახლი გადატრიალებული დამხვდა: ბიბლიოთეკის მრავალი ათასი წიგნი, მთელი მოწყობილობა სულ ანგრეულ დანგრეული გადმობრუნებული იყო. ყველგან ქუქკი და სისამაგლე იყო, როგორც მტრის შემოსევის შემდეგ. ეზოში ყვავილნარი გადაეხარათ. სარაიაში გაეხსნათ და გაეშალათ ყუთები, სადაც ინაქებოდა პარტიის ც. კ.ის არქივი. მაგრამ აქ, ჩანდა, ენევის დიდებულად ნაპატივებ ოხრანიკებს ენერგია დალეოდათ: ყუთების დიდი ნაწილი გაუხსნელი დარჩენოდათ, ჩემდა საბედნიეროდ. რესპუბლიკანური პოლიციის ძიება მეფის მთავრობისთვის „წინართმევ“ ფასეულობათა აღმოსაჩენად. უშედეგოდ დასრულდა.

თურმე დიდი ხნის განმავლობაში ოხრანიკები ბიბლიოთეკაში ათენებდნენ და აღამებდნენ: ისინი „ჩასაფრებელი“ იყვნენ და იქერდნენ ყველას, ვინც კი მოდიოდა, მათ შორის ბიბლიოთეკის ხელის მომწერთაც კი....

ოხრანა „მრავალ მოწყალედ“ მოპყრობოდა მხოლოდ ჩემს კატას: ის არ დაემწყვდიათ ცარიელ ციეს სახლში, — ჩემმა მეზობელმა სიცილით მომგვარა ის ჩემი დაბრუნებისათნვე. ეს იყო ძალიან კარგი შავი კატა, რომელსაც რბილი, ბუსუსიანი ბალანი და ყვითელი თვალები ქონდა.

თ ა შ ი XII

„დაზღვრვენი აგენტი დიმიტრი მირსკი“

პოლიციის პრეზიდენტი

ბერლინი, 1907 წ. 11 ნოემბერი.

ქერნალი № II.1876.07

კონფიდენციალურად. სასწრაფო.

9 ნოემბერს აქ დააპატიმრეს დიმიტრი მირსკი, დაბადებული ბაქოში. 1888 წელს; იგი თავის თავს დაშლევ აგენტს უწოდებს. მას აღაპნდა მასპორტი, გაცემული დაშლევ აგენტის დიმიტრი მირსკის სახელზე, რომელიც მიემგზავრება გალიციაში რიზატონის ოლქში. პასპორტი გასცა ავსტრია—უნგრეთის საკანსულომ ტფილისში, 1906 წელს 20 აგვისტოს № 1833 P. P. 10 32. მირსკის უბოვნეს ასაფეოტებელი წიგნოტრებით დატენილი ელექტრული ფალიები, რომელიც დამალული იყო ორმაგ—ძირიან ჩამადანში, ამასთანავე ვახანი ფოტოგრაფიულ და ანტროპომეტრიულ სურათს. მირსკი ირწმუნებოდა, რომ ჩამადანი მიიღო ეენაში ვინმე ვასილ პეტროვისაგან სადგურ კახლოვსკის

უფროსისთვის გადასაცემად. პეტროვი ალბად ქენევაში ცხოვრობს. მგონია, რომ დაპატიმრებული, რომელიც მირსკის გვარს ირქმევს, წამდილად ის მიჩნეულა, ან უნდა იყოს. პასპორტში რომ არის აღნიშნული. დაბეჯადებითა გთხოვთ, რაც უნდა იქნება საქმეზე. მოგვაწოდეთ დაწერილებითი ცნობები რაც კი მოგვაპოვებთ, ჩემის ფიქრით, ამ ფრიად საშიშ პიროვნებაზე, როგორც ეს შეიძლება შემდგომი გამოიჩვენოს და აგრეთვე ცნობები ვერეთწოდებულ პეტროვზე“.

ჩვენს წინაშე კვლავ გერმანიის საპოლიციო ორგანოს მეთაურის კონფიდენციალური და „სასწრაფო“ ცნობაა. როგორც ჩანს, ჩინოვიეცური შავი ინტერნაციონალი იმ წლებში მარჯვედ მუშაობდა. იგი არ აქვეყნებდა საერთო ევროპულ კონვენციებს (გარდა ფრიად პირობითი და ფრთხილი კონვენციებისა სისხლის სამართლის დამნაშავეთა გაცემის შესახებ). არ მართავდა საზეიმო ყრილობებს (ერთმანეთთან კი გზავნიდნენ მოხელეებს და თავისებურ „დელეგატებს“), მაგრამ ისტორიის ორომტრიალში იგი აკეთებდა თავის საქმეს საერთაშორისო რევოლუციასთან ბრძოლის საქმეს. იგი გულთბილი ყურადღებით ეპყრობოდა ევროპის ყველა სამეფო გვარისა და უგვირგვინო მეუფეთა ინტერესებს—დაწყებული მონაკოს პაწაწა სამთავროთი და გათავებული „დიდი“ რუსეთით.

კამოს ქვეყამ (დამზღვევი აგენტის მირსკის ნილაბ ქვეშ ხომ კამო იყო დამალული) და შესაძლოა მის ჩანთაში ნახულმა ნობათმაც ყურები აცქვეტინა და ძლიერი ეჭვი აღუძრა ბერლინის პოლიციის დირექტორს. მან სწორი ატესტაცია მისცა შეპყრობილს, როდესაც თქვა, რომ იგი ფრიად საშიში პიროვნებააო.

ამიტომაც იგი დაუყონებლივ გზავნის პეტერბურგში, ალბად რუსის მთავრობის თხოვნით, დაპატიმრებულის ბარგსა და ქალაღებს.

ამ გადაგზავნის სისწრაფე ქვეშაირიტად ფელდეგერიული იყო. კამო შეიპყრეს 9 ნოემბერს ახალი სტილით, ე. ი. ძველებურად 27 ოქტომბერს ხოლო პარველ ნოემბერს (ახ. სტ.) პოლიციის დეპარტამენტი უკვე სთხოვს მიზაილოვის საარტელერიო აკადემიის უფროსს ექსპერტიზა. მიუძღნოს ასაფეთქებელ ნივთიერებასა და „ტექნიკურ მომართულობას“, რომელიც დაპატიმრებულ ტერორისტს ჩამოერთვა.

პოლიციის დირექტორის ამ ევროპულად თავდაპერილ წერილზე (ევროპაში ამ სტილით აწარმოებდნენ მიმოწერას სამინისტროებშიც და სავაქრო ფირმებიც) პოლიციის დეპარტამენტმა წმინდა „ობრანყული“ მიმართავით უპასუხა. ეს მიმართვა გაეგზავნა დეპარტამენტის პოლიციის საგანგებო დავალებათა მოხელეს. მიმართვაში ჯერ კოტა რამ იყო კონკრეტული—უმთავრესად იგი დირექტივებს შეიცავდა. გამოძიების სამეთვალყუროდ გაიგზავნა საგანგებო ნდობით აღჭურვილი მოხელე გადასროლილი იყო ფრიად ზოგადი სახის წამახალი-სებელი ლოზუნგი: აღმოჩენილ იქნას ფარული „საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავს მძიმე დანაშაულის ჩადენას“. ქანდარმერის მოწინავე ხაზზე გაისმა გამაფრთხილებელი — „სმენა“.

ნ აგ ა ნ ზ ა კ ე მ ე თ ა ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ა .

პოლიციის დეპარტამენტი

საგანგებო განყოფილება.

1907-წ 7 ნოემბერი № 139900.

პოლიციის დეპარტამენტი
საგანგებო განყოფილება
ს. ვ. ხავციკაძე

ამასთან ერთად გიგზავნით ბერლინის პოლიციის პრეზიდენტის ცნობის ასლს (11/XII ახალ. სტ., № 1876) რუსულ ენაზე თარგმნით, ბერლინში, ნოემბრის 9-ს უცნობ პირის შეპყრობის შესახებ, რომელიც თავის თავს დიმიტრი მირსკის უწოდებს. უცნობ პირს აღმოაჩნდა საგარეო მართლების ასაფეთქებელი საგნები, რომელიც რუსეთში უნდა გადმოეგზავნათ. ვინაიდან არის იმის ნიშნები, რომ აღნიშნული პირისა და მისი თანამოაზრეთა მიერ შექმნილია საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავს მძიმე დანაშაულის ჩადენას, რაც იდევნება სისხლის სამართლის დებულების 100 მუხლით და ვინაიდან დაპატიმრებულის განკარგულებაში აღმოჩნდა ასაფეთქებელი საშუალებანი, ამიტომ პოლიციის დეპარტამენტი, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, თანახმად სისხლის სამართლის წარმოების წესდების 1035 მუხლისა, თქვენს უმაღლესობას ავალდებს მოახდინოს ამ საქმეზე ფორმალური გამოძიება სისხლის სამართლის წარ. წესდების 1035 მუხლის წესისამებრ იმ დანაშაულის ნიშნების მიხედვით, რომელიც ვათეალისწინებულია სისხ. სამართ. დებულების 102 მუხ. მე-2 ნაწ.

ამასთანავე დეპარტამენტი დასძენს, რომ პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორის ცნობა აღნიშნულ საქმის გამოძიებაზე სამეთვალყურად საპროკურორო ზედმხედველობის პირის მივლინება.

დირექტორი (ხელისმწერა).

ეს დოკუმენტი დათარიღებულია 1907 წლის 7 ნოემბრით. მაგრამ უკვე 9 ნოემბერს საგანგებო დავალებათა ხსენებული მოხელე ს. პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორთან შეთანხმებით და აღბად ოხრანკის ინფორმაციის მიხედვით, სწერს დადგენილებას. ამ დადგენილებაში სახაზინო ფრაზებსა და კანონის მუხლთა შორის მიუხეჩებელი იყო ზოგი რამ ნამდვილი და, დიხაც რომ, არა უმნიშვნელო საქმე. ამ დადგენილებაში დამხლვევ აგენტს მირსკის ბრალდებოდა იარაღის ტრანსპორტის შემოტანა ზულგარეთიდან რუსეთში. პოლიციის დეპარტამენტმა თავისი მეორე დადგენილება დიდი სიფრთხილითა და დაწვრილებით შეადგინა ეს ჩვენ არ უნდა გვაკვირებდეს: პოლიციის დეპარტამენტი მთელი რიგი მარცხის შემდეგ კვლავ ზედებოდა მირსკის საქმეში ევროპიელთა ცბიერებას, რომელნიც ცდილობდენ პოლიციურ არაზნადობაშიც კი დაეცვათ რაღაც ფორმალური კანონიერება. ევროპიელებს იმის საწინააღმდეგო არა ჰქოდათ რა, რომ თავი მოტყუებულად მოეჩვენებინათ. მაგრამ ნათი ეს თვინიერება რუს „შემყვეთილებისაგან“ მოითხოვდა კარგ მანერებს და პროცესუალურ პირობათა დაცვას.

დადგენილება

ამა წლის 9 ნოემბრის ახ. სტილით, ქალაქ ბერლინში შეპყრობილ იქნა უცნობი პირი, რომელიც თავის თავს დამხლვევ აგენტს უწოდებს. მან წარადგინა პასპორტი № 193-7-1082 დიმიტრი მირსკის სახელზე; პასპორტი გაცემულია ავსტრია-უნგრეთის საკომსულოს მიერ ტილიისში 1907 წლის 20 აგვისტოს. გაჩხრევის დროს მირსკის აღმოაჩნდა ელექტრული ფაღიები და ყუმბარები ასაფეთქებელი ნიეთიერებით, რომელიც ორმაგ-ძირიან ჩამადანში იყო შენახული და რომელიც რუსეთში უნდა გამზავრებულიყო. აშნიშნული დანაშაულისათვის დაპატიმრებულმა პირმა გერმანიის იმპერიის კანონებით უნდა ავოს პასუხი.

პოლიციის დეპარტამენტმა ეს ცნობები რომ მიიღო, ეჭვი დგებადა რაზე, რომ შეპყრობილი პირი ნამდვილად დიმიტრი მირსკია, ამიტომ მიღებული იყო ზომები ნამდვილი მირსკის ვინაობის გამოსარკვევად. კაცასიაში მოხდენილმა რეკონსტრუქციამ, რომ ტფილისში სესოვროს აესტრის ქვეშევრდომი დიმიტრი იქნებოდა მირსკის, 20 წლისა, ადგილობრივი საბუნძალტერო კურსების უფილი მოწადე, პროფესიით კანტორის მოსამსახურე. ამა წლის 20 აგვისტოს მირსკი მივიდა ავსტრია-უნგრეთის კომსულთან ტფილისში, და განუცხადა მას, რომ დაქარგა პასპორტი № 252 და სთხოვა ახალი პასპორტის გაცემა დაზღვევის სააგენტოს საქმეებზე ვალიციაში, „როზატიანის“ ოლქში გასანგზავრებლად. სადაც მას ვითომდა უნდა ემსახურა. თავისი პარსპორტის (№ 252) დაქარგვის შესახებ მან განაცხადება დაბეჭდა ჯახეთ „კაცაზში“ № 165 ა/წ 4 აგვისტოს, რაც კომსულს განუცხადა და მისგან მიიღო ახალი პასპორტი ოცი აგვისტოს თარიღით № 193 - 1032, ე. ი. სწორედ ის პასპორტი, რომელიც აღმოჩნდა ბერლინში, 9 ნოემბერს შეპყრობილ პირს, და ასაფეთქებელი ნეთიერებაში რომ უპოვენს ჩბრეკის დროს. აღნიშნული პასპორტი მირსკის ამჟამად ხელთ არა-აქვს.

პოლიციის დეპარტამენტის ცნობებით, ბერლინში დაპატიმრებული პირი, რომელსაც მირსკის პასპორტი ჰქონდა, გასული წლის ბოლოში მონაწილეობას იღებდა ბულგარეთიდან რუსეთში იარაღის ტრანსპორტის მოტანაში; ტრანსპორტი შეიცავდა 2000 თოფსა და 650.000 ეახნას, რომელიც აღნიშნული მიზნით დაფარავებული იყო გეშე „ზარია“ („განთიადი“). გეშეა უფროსად იმ კამად დამიწული იყო პირველი ხარისხის შტურმანი ათანასე სტეფანეს ძე კაუტინ-კაუტენკო, რომელიც შემდეგში, მიმდინარე წლის მაისს, დაპატიმრებულ იქნა ადრესში მოროშკინის გვარით. იგი დაკითხვის დროს დამცველ განყოფილებაში გამოტყდა, რომ მისი გვარი მოროშკინი კი არა, არამედ კაიუტინ-კაუტენკოა.

მირსკისა და კაიუტინ-კაუტენკოს აღნიშნული უზღობა შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, რომელიც პირველის მიმართ გათვალისწინებულია სისხლის სამართლის დებულების 51 მუხლით და 102 მუხ. მე-2 ნაწილით ხოლო მეორის მიმართ—102 მუხლის მე-2 ნაწ.

ხემათქმულისა გამო, მე, პოლიციის დეპარტამენტის საგანგებო დავალებათა მე-2 კლასის მოხელემ კოლეესკი სოვეტნიკმა საეიკიმ ს.—პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორის აშანაგ ე. ე. კორსაკოვთან შეთანხმებით, დაეკადგინე პასუხისმგებლობა იქნენ მიცემული ავსტრის ქვეშევრდომი დიმიტრი ივანეს ძე მირსკი, 21 წლისა და პირველი ხარისხის შტურმანი ათანასე სტეფანეს ძე კაიუტინ-კაიუტენკო როგორც ბრალდებულნი: პირველი სისხლის სამართლის დებულების 51 მუხლით და 102 მუხლის მე-2 ნაწილით, ხოლო მეორე—იმვე დებულების 102 მუხლის მე-2 ნაწილით.

ს.—პეტერბურგ, 1907 წელი, 28 ნოემბერი.

კოლეესკი სოვეტნიკი—ხელმოწერა.

სამოსამართლო პალატის პროკურორი—ე. კორსაკი.

ის მიმოწერა რომელიც ნოემბერში წარმოებდა დამზღვევ აგენტის მირსკის შესახებ, დეკემბერში ერთბაშად სწყდება, თუ კი პოლიციის დეპარტამენტმა ტფილისის ქანდარმერიის დახმარებით ადვილად გამოარკვია ნამდვილი მირსკის საბინადრო ადგილი და მისი რეგოლუციური ფორმულარი, —სამაგიეროდ ჩვენთვის ჯერ-ჯერობით საცხებით გაუგებარია, თუ როგორ მოხდა, რომ ასეთ მცირე ხანს—1907 წლის 9 ნოემბრიდან ვიდრე 30 დეკემბრამდე გამოკვეულ იქნა, რომ მირსკის ნილაბ ქვეშ კამო იმალებოდა. იმის მიხედვით, თუ რა საფუძველიანად გადმოგვეცემს ს.—პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორი კამოს რეგოლიუციურ ბიოგრაფიას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დეკემბრის ბოლოში არც პროკურორი და არც მისი ინფორმატორი—პოლიციის დეპარტამენტი, აღარ ეჭობენ, რომ ბერლინში სწორედ კამოა დაპატიმ-

რებული. ასეთი დაჯერება, რომელსაც ტფილისის მთავრობის ხალხი უპირის-პირებად ხანგრძლივ ყოყმანსა და თვითშემოწმებას, შეიძლება შექმნილიყო მხოლოდ მარჯვე პროპაგანდის ინფორმაციით, რომელიც ფაქტობრივად ყოველი ნიღაბფარებული და ღრმად იყო შეჭრილი არალეგალურ წრეებში.

კამოს დაპატიმრებამ ბერლინში და მისი ამხანაგების ჩხრეკამ თავისი გამოხმაურება ჰპოვა ვ. ი. ლენინის წერილში, რომელიც გამოქვეყნებულია „ლენინის მე-XXIII კრებულში“. „თქვენი წერილი, — სწერს. ლენინი გ. ა. ალექსინსკის, — ძრვალეთ იმ პანიკის დროს, რომელიც გამოიწვია 17-ის დაპატიმრებამ ამიტომ. იგი საკმაო ყურადღებით არც კი წაგვიცითხავს, ისე მოვსკეთ“ (წერილს თარხილად აქვს 1908 წ. 7 იანვარი).

იუსტ. სამინისტრო

ს.-პეტერბურგი სამოსამართლო

პალატის პროკურორი

1907 წ. 30 დეკემბერი № 19892.

ახლი

ხაიფულმო.

იუსტიციის სამინისტროს

პირველ დეპარტამენტს

პატივი მაქვს ვაცნობო პირველ დეპარტამენტს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის ორდერით, რომელიც გაცემულია პოლიციის დეპარტამენტზე სისილის სამართლის წარმოების 1035 მუხლის წესით, ამჟამად აღძრულია ფორმალური გამოძიება შემდეგი საქმისა, რომელსაც აწარმოებს პოლიციის დეპარტამენტის მე-5 კლასის საგანგებო საქმეთა ნივთულ სააგენტო ს.-პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორის ამხანაგის კორსაკის შეთვალფერვობით:

მიმდინარე წლის შემოდგომას, გერმანიის ხელისუფალთ ბერლინში შეიპყრეს უცნობი პირი, რომელიც ცხოვრობდა დიმიტრი მირსკის პასპორტით; პასპორტი გაცემული იყო 1907 წლის 20 აგვისტოს ავსტრია-ჰუნგარიის საკონსულოს მიერ ტფილისში 193-1302 ნომრით.

გაბრეკის დროს დაპატიმრებულს აღმოაჩნდა ასაფეთქებელი ნივთიერების შესამჩნევი რაოდენობა, მანძილზე აფეთქების მოსახდენად ელექტრო ძრავი და დიდძალი არალეგალური ლიტერატურა რუსულ ენაზე.

პოლიციის დეპარტამენტის ცნობებით, ბერლინში შეპყრობილი პირი კავკასიის მკვიდრია, მაგრამ გვარად მირსკი არაა. ნამდვილი მირსკი დიმიტრი ივანეს ძე ცხოვრობს ტფილისში და ადვოკატობრივი დამკველი განყოფილება მას იცნობს, როგორც „დაწმკვეტილს“ მებრძოლთა რაზმის წევოს. იგი ამჟამად ტფილისში არის დაპატიმრებული ბერლინში მომხდარ დაპატიმრებათა შემდეგ.

— იმ პირს რომელიც შეიპყრეს ბერლინში, პოლიციის დეპარტამენტი იცნობს გამოცვლილი პარტიული სახელით — „კამო“. დაახლოებით 9 წელიწადი იწევა რაც ხსენებული პირი რევოლუციურ ორგანიზაციებში მუშაობს; მას იცნობენ ურთულგვარი „ტექნიკური საქმეების“ ძალიან მოხერხებულ ორგანიზატორად. ასე ტფილისში მან მოაწყო წუმბარების ლაბორატორია; ამ თთბი თვის წინად აღნიშნულ ლაბორატორიაში შემთხვეით აფეთქდა დამზადებული კაპსული, რამაც „კამოს“ დაუშავა ხელი და მარჯვენა თვალი. იგი მთელ რიგ ექსპრობრაციებზე იღებდა მონაწილეობას და, სთბვათა შორის, დიდი როლი ითამაშა 1905 წელს გვირგვინის ხახიიდან 200.000 მან. გატაცებაში.

ამ ფულით კამომ ემიგრანტ მეერ ვოლოხთან ერთად (რომელიც კიევის ციხიდან არის გატყვეული) სახლვარ გარეთ იყიდა იარაღი, რომელიც სპეციალურად დაქირავებულ გემით „ზარია“-თი უნდა შემოეტანათ ვარნიდან რუსეთში. 1906 წელს, 12 დეკემბერს ამ გემმა ავარია განიცადა და რუმინეთის სანაპიროზე გაირიყა. „ზარია“-ს ტვირთი დააკავა რუმინეთის ხელისუფლებამ. ამაში იყო 2.000 თოფი, 650.000 ვაზნა, ასაფეთ-

ტებელი ნიეთიერებანი და დიდძალი არალეგალური ლიტერატურა რუსულ ენაზე გემს გეოპატი ბულგარეთში მიიშალა. მაგრამ მიმდინარე წლის მაისს, ქ. ადესაში ნიეტა მოროშკინის ყალბი პასპორტით დაპატიმრებული იქნა შორეული მზხარეუროს მტრულად ათანასე კაიუტინ-კაიუტინკო, რომელიც „ზარიას“ უფროსად იყო მუშაობის მუშაობის გეში დაიქირავეს იარალის შემოსატანად რუსეთში.

უკანასკნელი მძიმე დანაშაული, რომელიც „კამოს“ ჩადენილი აქვს იმპერიის სახელგერებში, ეს არის მიმდინარე წლის 13 ივნისს ტფილისში მომხდარი ექსპროპრიაცია. გაიტაცეს 250.000 მანეთი, რომელიც ფოსტის კანტორიდან სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში გადაქმნდა. ერეენის მოედანზე, ფულის ტრანსპორტს, ესროლეს შეიდი ყუმბარა და ასტეხეს რევოლვერების ძლიერი სროლა. მოკლულ იქნა ორი გორაღვიფი, სასიკვდილოდ დაიჭრა სამი ყახაზი და ამათ გარდა დაიჭრა 19 კაცი.

— ეს ძარცვა მოახდინეს რ. ს.-დ. მ. პარტიის ორგანიზაციის შოლმევიებმა სხვა ადგილობრვ წევრთა დახმარებით, ხოლო მთელი ამ საქმის სათავეში „კამო“ იდგა“.

ბერლინელ პატიმრის ვინაობის გამოსარკვევად გამოძიებამ ძალიან დააკვირა ფეხი ნამდვილ მირსკის. დეკემბრის ოცს წინდარამერიის როტმისტრი ფირალოვი კდილობდა მირსკისთვის კამოს შესახებ რაიმე ცნობა გამოეტყუენა. მაგრამ მირსკი გამოძიებისათვის ძალიან ურჩი ობიექტი გამოდგა. მან უარი სთქვა იმაზე, რომ დასმულ კითხვებზე თავისი ხელით დაეწერა პასუხები, თავი აბსოლუტურად უდნანაშაულოდ აღიარა, უარყოფდა მონაწილეობას რ. ს.-დ. მ. პარტიის მეგრძოლ ორგანიზაციაში; ამბობდა, რომ პასპორტი არავისთვის არ გადამიციაო; კამოს ფოტოგრაფიული სურათი რომ აჩვენეს, იუარა, ამ კაცს არა ეცნობო და ბოლოს სრულიად შეწყვიტა ჩვენების მიცემა. დაკითხვის ოქმზე მისი ხელმოწერაც კი არ არის. ოქმს ხელს, აწერენ ჩვენების ჩამომრთმევი ფირალოვი და „თანამოწმენი“; ესენი იყვნენ მეტეხის ციხის მოსამსახურენი, რომელთაც მირსკი დაკითხვაზე წაიყვანეს.

გამოძიებისათვის რაიმე მისალა რომ ჰქონოდათ, პოლიციის დეპარტამენტი „ოხრანკას“ სთხოვს, ცნობები მომაწოდო. ეს დოკუმენტი ისე დამახასიათებელია ცარიზმის ეპოქისათვის, რომ მას შემოკლებით მოვიყვანთ.

ტფილისის დამცველი
განყოფილების უფროსი
1907 წ. 6 დეკემბერი
№ 4961.

სრულიად საიდუმლო

ტფილისის გუბერნიის
წინდარმთა სამმართველოს
უფროსს.

ქ. ტფილისი.

პოლიციის დეპარტამენტის მიერ სამ ნოემბრის გემოგზავნილი დეპეშის (№ 2311) გამო, რომელიც გუთხოვენ დიმიტრი მირსკის ვინაობისა და საქმეობრებული ადგილის გამოარკვევას, ფარული ძებნის გზით გამოიჩქრა, რომ მირსკი განყოფილების მეთვალყურეობის ქვეშ იყო 1905 წელს „ოტეაენის“ სახელწოდებით; პრთუყისით კანტორის მოსამსახურეა, ცხოვრობს ტფილისში დედ-მამასთან ერთად. დასახელებული მირსკი იმავე ნოემბრის 4-ს მდიოდა უცნობ ახალგაზრდასთან ერთად სადგურის იქით; ისინი შეაჩერა შტაბს-კაპიტანმა თლიაევმა, რადგანაც არა კეთილსამიეროდ პირებდა ჩათვალა. ამ დროს მირსკის ამხანაგმა შალგებში შეგადო რევოლვერი და სასწრაფოდ მიიშალა, ხოლო მირსკი შეტყობილ იქნა. პირადი გაჩრგვის დროს აღმოაჩნდა პასპორტი ივანე იოსების ძე რევიას სახელზე; პასპორტი გაცემულია ქუთაისის მაზრის პოლიციის სამმართველოს მიერ იმავე წლის ივნისის 5-ს № 227; რის გამოც მირსკი გადაეცა ტფილისის.

მე-9 საპოლიციო უბნის ბოქაულს. ამ უკანასკნელმა საქმე ოქმითერთ გადასცა გასამართლებელს, რათა ბრალდებული პასუხისმგებლობაში ყოფილიყო მიცემული სხვისი პასპორტით ცხოვრების გამო.

7 ნოემბერს მირსკი პატიშრობიდან გაანთავისუფლეს და მანუქს სასტიკო ტყვე მეთვალყურეობა დააწესეს. 13 ნოემბერს მირსკი ტფილისიდან გაემგზავრა შორაბნის მაზრაში, სოფ. საქაირ-ქედში თავის ბიძასთან დედის შვირთ—ჯიბო მალაქიას ძე მუკავარიანთან; აქ იგი შეპყრობილ იქნა 28 ნოემბერს, რადგანაც ამ დროისთვის მოვიდა პოლიციის დეპარტამენტის განკარგულება, მის შესაყრობად გაგზავნილ იქნენ ჩემდამი რწმუნებული განყოფილების პოლიციის ზედამხედველნი.

განყოფილების საქმეებში 1905 წლის ცნობების მიხედვით მირსკი წარმოადგენს აქტიურ რევოლუციონერ მოღვაწეს; წინად ეკუთვნოდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას, ხოლო შემდეგ სოციალისტ-რევოლუციონერებისკენ გადაიხარა. შვიდრო კავშირი ჭკონდა იმ პირთა ჯგუფთან, რომელნიც ჩარეულნი იყვნენ 1905 წელს, 11 სექტემბერს „გორსა“ და „სკრას“ შუა ნაოთენ ყუმბარების საქმეში. ამის გამო, იმავე წლის 12 სექტემბერს სახელმწიფო დაცვის დებულების წესთა თანახმად იგი განაზრკულ და დაპატიმრებულ იქნა; გაჩხრევის დროს მას აღმოაჩნდა სამი კლოფი სტრიქონი, შხამიანი სოკოები და მოწამლული მაკარონი.

თუშანოვის პირველ ჭურხე მდებარე სახლი № 15, სადაც მირსკი ცხოვრობს, შეერთებულია იმავე ქუჩის მეორე სახლთან № 17, რომელშიც ამა წლის ივნისის თვეს ცხოვრობდა მოსკოვიდან ჩამოსული მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი სიბონ ივანეს ძე მესხივი, სამეთვალყურო სახელწოდებით „ბუშკარი“; აქ ზშირად დაიარბოდა მასთან ერთად მოსკოვიდან ჩამოსული უცნობი ახალგაზრდა, რომელსაც მეთვალყურეთა სახელად „ტონკი“ ეწოდებოდა ამას რაღაც დამოკიდებულება ჭკონდა. ამა წლის ივნისის 13-ს ვრევის მოედანზე მომხდარ 250.000 მანეთის ექსპროზორიაციასთან. აღნიშნულ პირებზე სასტიკო მეთვალყურეობა იყო დაწესებული: ამა წლის ივნისის 24-ს ჩემდამი რწმუნებული განყოფილების ხელთა აგენტმა შენიშნა, რომ მათ დილის რვა საათიდა, უთვალთვალებდა ვიღაც ექვსი უცნობი ადგილობრივი მკვიდრი („ტუხუმეცები“). დილის 7 საათზე, აგენტები, რომელნიც მეთვალყურეობდნენ სახლს № 17, სადაც შენიშნული პირი შევიდა, შემდეგნაირად დანაწილდნენ: ორი აგენტი ქუჩის ერთ ბოლოში დადგა ხოლო სამი მეორე ბოლოში; ამ უკანასკნელებმა შენიშნეს, რომ სუნებული „ტუხუმეცები“ მათ ვარშემო ვრტყობდნენ, და თანდათან ავიწროვებდნენ რკალს; აგენტებმა ეჭვი აიღეს, რომ ეს მკვიდრნი მათზე თავდასხმას აპირებდნენ; აგენტები სამუთვალყურეთა ადგილიდან წავიდნენ და ერთმა მათგანმა ეს ამბავი აცნობა კავკასიის მე-2 მხროლელ ბატალიონს, საიდანაც გაგზავნილ იქნა პატრული აღნიშნულ მკვიდრთა შესაყრობად. ამ უკანასკნელმა პატრულის მოახლოება რომ შენიშნეს, გაიქცნენ; ორი—ქალაქის შიშროთლებით გაიქცა და დაჭერას გადაურჩა, ოთხნი კი რკინის გზის ლიანდაგისკენ გაიქცნენ და შეახტნენ ამ დროს მიმავალ საბარაგო მატარებელს; ორი მათგანი ჯარისკაცებმა ვაგონის საფურეებიდან ჩამოათრეს და დაიპარეს, ხოლო ორმა კი თავს უშველა.

— ამა წლის 29 ნოემბერს მირსკის მამის, ივანე კახიშორის ძის მირსკის ბინაზე მოხდა ჩხრეკა, რის ოქმიც წარედგინა საპოლიციო ნაწილის საგანგებო განყოფილების გამგეს. ჩხრეკის დროს არ ყოფილა აღმოჩენილი რაიმე აშკარად დანაშაულობრივი რამ. ამჟამად დიმიტრი მირსკი, მე-10 საპოლიციო უბნის ბოქაულის ნოემბრის 29-ის დადგენილებით № 21010 დაპატიმრებულია მეტეხის ციხეში და ჩემზე ირთვება.

— გაცნობებთ რა ამას, ვთხოვთ გაცხეთ განკარგულება, რომ მირსკი თქვენი მალალ კეთილშობილებაზე გადაშორიცხოს.

არტმისტრი ანიკევი

ბერლინის პოლიცია, რუსეთის პოლიციის მსგავსად ცდრობდა არაკეთილსაიმედო ემიგრანტთა რაც შეიძლება ფართო წრეები გაეხვია საქმეში.

კამოს დაპატიმრების შემდეგ დაიწყო დევნა ვილაც პირებზე, რომელთაც და-
შოკიდებულება ჰქონდა კამოსთან ეს პირდაპირ არის ნათქვამი ჩვენი დეკრეტების
დადგენილებაში № 5, რომელსაც ხელს აწერს პროკურორი კორსაკი.

პოლიციამ დეპარტამენტის ცნობებით, პანკ შტრასის № 32 სახლის
გახჩრეკა (ბერლინი, ნოემბრის 25-ს, ახალ. სტ.) მოხდა უცნობი პირის, დიშ.
მირსკის პასპორტის მქონე პირის ჩხრეკის შედეგებთან დაკავშირებით. რო-
გორც შემდგომ დოკუმენტიდან ჩანს, ჩხრეკამ დადებითი შედეგი მოიტანა:

შინაგან საქმეთა სამინისტრო

პოლიციის დეპარტამენტის
საგანგებო დავალებათა
მოხელეს ს. ე. სკიტკის.

საგანგებო განყოფილება
1907 წ. 10 დეკემბერს,
№ 142726

ნოემბრის 25-ს ახ. სტ. ბერლინიში პანკ შტრასს სახლში № 32, ადგილობრივმა
პოლიციამ მოხელეებმა აღმოაჩინეს რევოლუციური შინაარსის რუსული ლიტერატურის
დაჯი საწყობი და აგრეთვე 19,000 თაბახი ქალაქი წყალის ხაზებით, რომლის იმპუზ-
საც ამასთანავე გახადებთ. სახელმწიფო ქალადების დამამხადებელ ექსპედიციის ცნო-
ბით ეს ქალაქი განოსადევია იმისათვის, რომ დამხადდეს სამანეთიანი ღირსების ყალ-
ბი საქრედიტო ბილეთები ამასთანავე ბერლინის პოლიციის გამოძიებით გამოჩვენდა, რომ
რომ ასეთი ქალაქის შეყრა ამა წლის იელისის დამდეგს გაიგზავნა ფინლანდიაში შემ-
დეგი მისამართით: ვიბორგი, ტულორუო, რედაქტორ ნესტორ ვალაგარს.

დირექტორი (ხელმოწერა)

რუსეთის ენდარმერია, ფინლანდიის კონსტიტუციის გვერდის ავლით,
უმაღლე შეუდგა რედაქტორ ვალაგარის ძებნას, ხოლო გერმანიის ენდარმერია
არა უშედეგოდ განაგრძობდა თავის ნატპინკერტანიელ საგმიროს საქმეებს იმ გან-
სხვავებით მხოლოდ, რომ გერმანიის პოლიციის მსხვერპლნი ენდარმეთა გამო-
ძიებიდან გადადიოდნენ ნაკლებად დაგეშილ გერმანიელ მოსამართლეთა ხელში
და სულ მალე ხელშიუწვდენელნი ხდებოდნენ. ასე არ იყო რუსეთში.

დეკემბრის 28-ს საგარეო საქმეთა სამინისტრო შემდეგ თავიზიან წერილს
უგზავნის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს მ. ი. ტრუსევჩის და თანაც
რუსეთის ბერლინელ ელჩის დეპეშას აახლებს.

„ასლი სანდოდ, მორჩ დეპარტამენტის დირექტორი თავის უღრმეს პატივის-
ცემას უთვლის მის აღმატებულებას მაქსიმოლიანოვიანს ძეს და პატივი აქვს ამასთანავე
ერთად აახლას ასლი იმ დეპეშას, რომელიც მიღებულია საომარკატორო ბერ-
ლინელ ელჩისაგან ამა დეკემბრის 14-ის თარიღით № 81 და რომელიც შეეხება აღნიშ-
ნულ ქალაქში გასულ ნოემბრის აღმოჩენილ რუსულ ტერორისტულ ლიტერატურისა და
იარაღის საწყობს; უმორჩილესად გთხოვთ წაიკითხვისთანავე გამოგზავნილი ქალაქი
დააბრუნოთ.“

„ასლი, გრაფი ოსტენ — საყენის დეპეშა. ბერლინი დეკემბრის 14/27, 1907 წ. № 81
16/24-ის დეპეშით № 72 პატივი მქონდა მეცნობებია თქვენი მაღალ-აღმატებუ-
ლებისთვის, რომ ბერლინიში აღმოჩენილ ჰქნა რუსული ტერორისტული ლიტერატურისა
და იარაღის საწყობი. ამ დღებში სასამართლომ გააჩინა რუსი ქვეშევრდომების ნი-
კოლოზ ტროვიმოვისა და ოლეგ სტრელცოვის საქმე სასამართლოს გამოქვეყნებული ანგა-
რიშით მიუძღვრული ცნობები, რაჟოუდენივედ ნათელს აჩვენს ამ საწყობის საქმეს.
სასამართლოში გამოიჩენა, რომ პამბურგის დიდ ქუჩაზე (ბერლინიში) მდებარე

სახლში, სადაც ორივე ბრალდებული იქნა შეპყრობილი ვერ კიდევ იტალიის მიერ 1922-ს აკრძალულ კრებაზე მონაწილეობისთვის, პირველი-კრების მომწყობი იყო, /ხოლო მეორე-თარატორი/, პოლიციაში მიავსო რუსი ანარქისტის მირსკის საწყობის მართველ-სასის ტერაზე ინახავდა ასაფეთქებელ ნივთიერებებს; შემდეგში კონსტანტინე უნა ვხსენებული დიდო საწყობი ტრფინგის სახლში. ამნაირად გამოჩვენდება კავშირი ამ ამბებს შორის, მაგრამ სასამართლოში სრულებით ვერ გამოიჩვენა თუ რუსის აღნიშ-ნული დარი კვეშევრდომი რამდენად იყო ბრალდებული იარაღის შენახვაში. საქმის გარბე-ლის შედეგად ტრფინგის (იგივე ნიკოლაევი) მისაჯვა ვეკის კვირით დაპატიმრება და 10 მარტით დაჯარიმება; წინასწარი პატიმრობის ჩათვლით სასჯელის ვადა უკვე გასუ-ლი იყო; ხოლო სტრელკოვს მიესაჯა მარტო დაჯარიმება 10 მარტით.

როგორც ჩანს საქმის ნაშედეგმა შესძლეს ზოლისუფალი მოტყუება; იმ დღეებში ჭახუთ ფორვერტსში დაიბეჭდა „რუსების სოც. დემ. მუშათა პარტიის სახელმძღვანელო ცენტრალური ბიუროს“ განცხადება იმის შესახებ, რომ ამ ორგანი-ზაციის არაფიარობი კავშირი არა აქვს ალბანან აღმომჩენილ იარაღის საწყობთან, სასა-მართლოში აგრეთვე სრულიად ვერ დამტკიცდა ის, რომ ვერმანის სოციალ-დემოკრა-ტიას ამ საქმეში ბრალი მიუძღოდეს.

დასრულებული იქნა იტალიის მიერ იტალიის სასამართლოში დასატიმრებამ ბერლინში და იმ ჩრგანგ, რომელიც მოხდა მის ამნახებ-თან, თავისი გამოხმაურება ჰოვა ვ. ი. ლენინის წერილში, რომელიც გამოსვესებულია „ლენინის კრებულში“ ტ. XIII. „თქვენი წერილი, — სწერს ლენინი მ. ა. ალექსინსკის, — შევიღეთ იმ პანიკის დროს, რომელიც გამოიწვია 17-ის დაპატიმრებამ. ამიტომ იგი საკმაო გულადღებო არცა წაგვიფიქრებავს, ისე მოესაუთ“ (წერილს თარაღად აქვს იანე-რის 7, 1908 წ.).

1908 წლის თებერვლის 21-ს გამოძიებული სთხოვს ბერლინელ გენერა-ლურ კონსულს, რომ მან იზრუნოს „მირსკის“ ფოტოგრაფიული სურათის ვად-მოგზაუნისთვის; გამოძიებული არ იხსენიებს „მირსკის“ პარტიულ სახელწოდე-ბას; ამასთანავე იგრ შემდეგი სიტყვებით ახასიათებს დამნაშავეს: „იმ ტომკვ ის მახედვით, რომელიც მომეპოვება, ჩანს, რომ აღნიშნული პირი მონაწილეობას იღებდა ერევნის მოედანზე მომხდარ გაძარცვაში-იმავე თებერვლის „დადგე-ნილებაში“ რამოდენიმედ ნათელი ეფინება იმას, თუ როგორ შეიძლებოდა იგე-ბულიყო „მირსკის“ წინააღმდეგ ეს ბრალდება, მაგრამ წინანდებურად აქ ლა-პარაკი გამოხება, როგორც ჩანს, პოლიციის დეპარტამენტმა ერთმანეთთან შეაზა-ვა თავისი ფარული ინფორმაცია და ის ჩვენება, რომელიც თვით კამომ გერმა-იის ხელსუფლებას მისცა. ეს ფარული ცნობები, ალბად, ან ბერლინელმა პრეკატორმა ეიტომირსკიმ მისცა, — არღანაც ა. ჭარსაძის გულახდილი ჩვენება; უფრო შემდეგომ პერიოდს, — ან და სხვა რომელიმე მესამე წყაროდან გამომლი-ნარობდა, რომლის კვალი გამოძიების დოკუმენტებში არა ჩანს.

დადგინდება

1908 წელი, 21 თებერვლს, კ. ტფილისი; ტფილისის საოლქო სასამართლოს სა-განგებო საქმეთა გამოძიებელმა მალინოვსკიმ სენთ:

ამ გამოძიების ცნობებით ირკვევა, რომ შემოდგომაზე, 1907 წელს ქალ. ბერლინში გერმანიის შთავრობის მსახურებმა შეიპყრეს უცნობი პირი, რომელიც დიმიტრო მირსკის პასპორტით ცხოვრობდა; პასპორტი გაცემულია ავსტრია-უნგრეთის საკონსულოს შერა ქალაქ ტფილისში 1907 წ. აგვისტოს 20-ს № 193/1902; დაპატიმრებულს განაზრვის დროს აღმოაჩინდა ასაფეთქებელი ნივთიერება ნიშნულთაგანი რაოდენობით, ელექტროძარბა და მანძილზე აღფთქებათა მისახვეწათ და დიდძალი პრალეგალური დოკუმენტურა რუსულ-ბერლინელ კოლონელს, ვილჰელმს იულისსმა იმსახურა მან (ს. კ. უდაბნაძის იყო)

ენაზე აღნიშნულ პირს ატყვიან მიღებული კრილობის ნიშნები მარჯვენა ხელში. მან გემანიის ზღლისფლებას განუცხადა, რომ ეს კრილობა მიიღო ტფილისში, იგი იმყოფებოდა ერევნის მოედანზე იმ მომენტში როდესაც მოხდა თავდასხმა ქაქულაშვილზე ბანკის ტფილისის განყოფილების ფულის ტრანსპორტზე და დაიჭრა ადგილობრივ ყვამბარების ნატებებით.

საქმის გამოძიების ინტერესები მოითხოვენ აღნიშნული პირის კრილობის სასამართლო-სამეცნიერლო შემოწმების აქტს და მის ახსნა-განმარტებას, თუ რა დროს, რა ადგილას და რა პირობებში მოხდა მისი დაშვება; ამიტომ სასამართლოს გამოძიებულმა და აადგინა: იუსტიციის მინისტრმა საგარეო საქმეთა სამინისტროს საშუალებით ბერლინის სასამართლოს ზღლისფლებას მოსთხოვა: 1) ქ. ბერლინში ბინკის გვარით დაპატიმრებული პირის სასამართლო-სამეცნიერლო შემოწმება იმის გამოსარკვევად, თუ სხელის რა დაზიანება აქვს მიღებული და სად ან რითი დაზიანდა; 2) აღნიშნული პირის დაკითხვა, როგორც ზოწმისა, სისხ. სამართ. წარმოების წესდების 772 მუხლის დაცვით შემდეგი საკითხების შესახებ: რა პირობებში, როდის და სად მიიღო ეს დაზიანება, მაშინ ზამ არა, იგი რომ იმყოფებოდა ტფილისში 13 ივნისს ერევნის მოედანზე იმ მომენტში, როდესაც სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების ფულად ტრანსპორტზე ავსაყრი თაფდასხმა მოხდა, რასაც თან სდევდა ყვამბარებისა და რევილერების სროლა. ამ კითხვაზე დამადასტურებელი პასუხის შემთხვევაში: რა პირობებში მოხდა ეს თავდამსხმა, რანაირად გაჩნდა აღნიშნული პირი ერევნის მოედანზე თავდასხმის მომენტში, სად და ვინ აღმოუჩინა მას საეჭიშო დახმარება; როდის, საიდან და აგრეთვე რისთვის ჩამოვიდა იგი ტფილისში 1907 წელს ზაფხულში, ვისთან ერთად ჩამოვიდა სად ცხოვრობდა იგი ტფილისში, სად იმყოფებოდა ახლა ის პირი, ვისთანაც ერთად ჩამოვიდა ტფილისში; სადა და რისთვის წაივიდა იგი ტფილისიდან, რა პირობებში მიიღო მან ის პასპორტი რომლითაც ტფილისში ცხოვრობდა დაპატიმრებამდე, ვინ მისცა მას ეს პასპორტი, რისთვის დასჭირდა მას სხვისი პასპორტით ცხოვრება (პასპორტი რომელიც ამ პირს აღმოაჩნდა ეკუთვნის დიმიტრი ივანეს ძეს შირსკის, რომელიც ამჟამად ტფილისში იმყოფება) და 3) შემოწმების აქტისა და დაკითხვის ოქმის გადმოგზავნით ტფილისის საოლქო სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამოძიებლის სახელზე და ამის აღსრულების მიზნით ამა დადგენილების ასლი გავგზავნოს ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორს.

სასამართლოს გამოძიებელი მალნიოვსკი.

გამომძიებელი მხოლოდ იმ „ფრიალ სასწრაფო“ მიმართვაში აცხადებს პირველად ოფიციალურად, რომ დიმიტრი შირსკი პარტიის კამოს სახელს ატარებსო, რომელიც კურსკის საოლქო სასამართლოს პროკურორს გაუგზავნა 1908 წლის 18 იანვრის თარიღით.

ბერლინის პოლიცია 1908 მარტისთვის პირისპირობამდე „დაეუფლა“ თავის აღმოჩენებს. ჩვენს განკარგულებაში არის ერთი მკვეთრი დოკუმენტი რომელიც ეკვშიუტანლად ამტკიცებს პოლიციის საქმიანობის პარალელიზმს ბერლინსა, პეტერბურგსა და ტფილისში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო

საგანგებო დაავლებათა
მოხელეს

პოლიციის დეპარტამენტი

ს. ვ. სავიცის

საგანგებო განყოფილება

1908 წ. 6 მარტი № 126451

ბერლინის პოლიციის პრეზიდენტის ცნობით ბერლინში დაპატიმრებულ დიმიტრი შირსკის წიგნებში აღმოჩნდა: 1) ქალაქის ნაგლეჯზე დაწერილი გვარები: „ქ. ს. შივა-როვი შარაბიძისთვის“, 2) ფრის წიგნაკში ჩაწერილი მისამართი: „ტერიოკი, ქ. კუნენ-

ნაია, მანინის აგარაკი, გოლდენბერგს, სილინისთვის (თუ სილინისთვის) და № 31 მასმართი ქალაქის ნაგლეჯზე; ა. დ. ავრაზოვი, ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი № 84 ბინა 27* აღნიშნული მასმართების შემოწმების დროს შემდეგი გამოცხადება:

1) „ა. ს. შივაროვი შარაბიძისთვის“; შარაბიძის გვართი ინტელის პროსპექტზე სახ. № 30, ცხოვრობს ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი შალვა გიორგის ძე შარაბიძე; ამავე ბინაზე ცხოვრობენ (ჩამოთვლილია რამდენიმე გვარი); ა. ს. შივაროვის“ გვართი კი პეტერბურგში მაცხოვრებელი არ ითვლება. 2) „ტერიოვი, ჭუნა კუნენინაია, განინის აგარაკი“; ეს არის ქ. სიმჭვროპოლის მდებარე მოქალაქის იოსებ პეტრესძე გოლდენბერგის მისამართი. აღნიშნული პირი ბრალდებულად იყო ჩაბმული ს.-პეტერბურგის საგუბერნიო ენდარმთა სამმართველოს მიერ წარმოებულ გამოძიებაში; ს.-პეტერ. საგუბერნიო თათბირის 1907 წ. მარტის 12-ის დადგენილებით გამოიძება მოისპო; რაც შეეხება სილინსა თუ სილინს, მისი ეინაობის გამოკვეცვა ვერა ხერხდება. 3) ნევის პროსპექტზე სახ. № 84, ბინა 25 ცხოვრობდა ნოვოროსისისკის მდებარე მოქალაქე დიონისე იაკობის ძე აქრახოვი; 1907 წელს ნოემბრის 15-ს იგი აღნიშნულია ქალაქ კიევში წასულად თანამად ს.-პეტერბურგის საგუბერნიო ენდარმთა სამმართველოს უფროსის მოთხოვნისა ავრაზოვი გაჩხრეკილ იქნა, რის ოქმიც კუთვნილებისამებრ არის გავხანული.

დირექტორის მაგიერ ს. ესარიონოვი.

აპრილსა თუ მაისში გამოძიებელი მალინოვსკი მეორეჯერ ცდილობს, რომ კამო და ყველა საზღვარგარეთელი ბრალდებული დაუკავშიროს შორეული მგზავრობის შტურმანს ა. კაუტინ-კაუტენკოს, რომელიც პეტრუპავლოვსკის ციხეში ზის გემი „ზარიას“ იარაღის ტრანსპორტის საქმეზე. მაგრამ შტურმანმაც, მსგავსად მირსკისა, რაიმე ჩვენების მიცემაზე ცივი უარი უთხრა. „ვაცხადებ, რომ ყველა ამ კითხვის შესახებ,—კითხვები კი შეიცავდა საქმეში ჩარეულ პირთა ბიოგრაფიებს და მათ ურთიერთობას,—მე არაფერი ვიცი და არაეითარი პასუხის მიცემა მათზე არ შემიძლია.“

გამომძიებელი დაინტერესა იმან, რომ პოლიციის დეპარტამენტს ასე სწრაფად და ასე სრულად აქვს ცნობები კამოს შესახებ. და კარგა ხნის შემდეგ იგი ეკითხება ს.-პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორს ამ ინფორმაციის წყაროების შესახებ.

პროკურორის პასუხი საბოლოოდ გვარწმუნებს, რომ საქმეში ჩარეულა გაწაფული და ობრანკისათვის ფრიად ძვირფასი პროვოკატორი. ეს მიმოწერა გამოძიების დასაწყისში კი არა სწარმოებდა, არამედ 1908 წლის ნოემბერ-დეკემბერში, როდესაც საიდუმლოს შენახვა ისე რიგად საჭირო იღარ იყო.

მიუხედავად ამისა, მაინც „გენტურის გზით მიღებული ცნობები სიმონ პეტროსოვის დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ „არ შეიძლება შეიმოწმებულ იქნას საგამომძიებლო გზით“. (მიმართვა 1908 წლის 14 დეკემბრის № 20257).

რამდენიმე თვის შემდეგ ქუთაისის ციხეში მუდარი გამცემი არსენ ქარსაძის (იგივე ფალავანდიშვილი) მეოხებით კამოს ეინაობა საბოლოოდ გამოიკვეა, ასე რომ გერმანელი ენდარმების მიერ შეპყრობილ ტერორისტს ჩამოეცალა როგორც პირველი, ისე მეორე ნილაბი, რომლითაც იგი თავს იფარავდა. 1908 წლის აპრილის 16-ს პოლიციის დეპარტამენტის საგანგებო განყოფილების გამგე ვასილიევი დეპეშას უგზავნის ტფილისის ენდარმთა სამმართველოს უფროსს:

„219 №-ზე დებეშით გვაცნობეთ შედეგები იმისა, არსენ ქარსიძეს რომ წარედგინა ბერლინში დაბატონებული კამოს სურათი“.

ხელს აწერს საგანგებო განყოფილების გამგე ვასილიყვიძე 1908 წ. აპრილის 16,

ერთი კვირის შემდეგ იგზავნება პასუხი. ამ პასუხით იწყება ახალი ფურცელი კამოს იმ დატინებული დენისა, რომელსაც მეფის მთავრობა აწარმოებდა.

„შიფრიანი დებეშის გარჩევის ასლი. დებეშა გამოგზავნილია ტფილისიდან ქანდარძთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის მიერ პოლიციის დეპარტამენტის საგანგებო განყოფილების გამგის სახელზე № 12184. დებეშა მიცემულია 1908 წლის აპრილის 22-ს ნაშუადღევს 2 საათსა და 26 წუთზე“.

„653. ქარსიძის ჩვენებით, სურათზე გამოსახული კამო არის გორის მცხოვრები ტერ-პეტროსიანიცი. ქარსიძის ჩვენების შემოწმება სწარმოებს. შედეგს დამატებით გაცნობებთ“ 505. ხელს აწერს: პოლკოვნიკი კრემინი.

ობრანკა დარწმუნდა, რომ კამოს ფსევდონიმი სწორად არის გამოკვეთული. და ძირითად გამოძიებასთან ერთად, რომელიც ეხება ერევნის მოედანზე მომხდარ ექსპროპრიაციას და რომელიც ამ დროისთვის უკვე ათეულ ტომს შეიცავდა,ობრანკა რატომღაც გზა და გზა აგროვებს ცნობებს კამოს მახლობლების შესახებ, რაცობრანკის მიზნებისათვის სრულიად უსარგებლოა მაგალითად, საქმეში ვხედებით შემდეგ დოკუმენტს, რომელიც ახასიათებს „დამნაშავეს“ ოჯახურ მდგომარეობას.

ტფილისის საგუბერნიო ქანდარძთა

სამმართველოს უფროსი

1908 წ. ივნისის 14; № 1202

ქ. ტფილისი

ხაიდუშლოდ

ტფილისის საოლქო სასამართლოს

საგანგებო საქმეთა გამომძიებელს

ბ. მალინოვსკის.

ვაცნობებ თქვენს მაღალკეთილშობილებას, რომ მიღებული ცნობების თანახმად, 1907 წელს ივნისის 13 ს ერევნის მოედანზე მომხდარი შეთარაღებული თავდასხმის მთავარი ხელმძღვანელი „კამო“ არის ქალაქ გორის მცხოვრები სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანი.

ხსენებულ სიმონ ტერ-პეტროსიანს მყავს მამა არშაკ ტერ-პეტროსიანი, ქალაქ გორის მცხოვრები; მის ხელობას წინათ შეადგენდა, რომ გორის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილს ხორცს აწვდიდა. არშაკ ტერ-პეტროსიანს რვა წლის წინათ ცოლი მოუყვდა; დარჩა ხუთი შვილი,—სიმონის გარდა კიდევ ოთხი ქალი; ესენი დედის სიყვდილის შემდეგ აღსაზრდელად აიყვანა დეიდამ ელისაბედ ბახჩიყვამ, რომელიც ცხოვრობს ქ. ტფილისში „დევირიანსკაია“ ქუჩაზე № 8.

სიმონის უფროსი და უჯავირა ტერ-პეტროსიანი 18 წლისა მოღარედ მსახურობს ტფილისის ფენიკლოზზე, ხოლო სამი [და ტფილისის ქალთა მე-3 გიმნაზიაში სწავლობს.

პოლკოვნიკი (ხელმოწერა).

დაახლოებით ამავე დროს, 1908 წლის ივლისსა და აგვისტოს გამკეცმა-ქარსიძემ მისცა თავისი ახალი, ფრიალ ვრცელი და „გულახდილი“ ჩვენებანი რომელშიაც ქანდარძთა თავისთვის მრავალი ძვირფასი ცნობა მიიღო, თუმცა ამ ჩვენებებში სიმართლე და სიცრუე ერთმანეთშია არეული.

მან ეანდარმერიას უამბო ის საქმეები, რომლის მონაწილნიც მისი ციხის ამხანაგები იყვნენ; გარდა ამისა, როგორც ეს გამცემებს სჩვევიათ, მრავალი უდანაშაულო პირი გააჩვია საქმეში. კამოს იგი პირადად იცნობდა, როგორც ზემოთ ვნახეთ, მან უშალვე იცნო იგი ბერლინიდან მიღებულ ფოტოგრაფიულ სურათზე მაგრამ ეანდარმები არ დასჯერდნენ გაცემის ლიტონ განცხადებას და მის მიერ ფოტოგრაფიულ სურათზე კამოს ცნობას. მათ ეს სურათი კამოს სამშობლოში—გორში გადაგზავნეს. აქ „კამოს“ არავე იცნობდა, მაგრამ სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანცი ბევრს ახსოვდა. ამგვარად, დამცველი განყოფილება (ოხრანკა) და პოლიციის დეპარტამენტიც დარწმუნდნენ დაპატიმრებული ტერორისტის ნამდვილ ვინაობაში; ამის ექვეები გაოფუნტა არა მარტო შინაგანმა რწმენამ და აგენტურის ცნობებმა, არამედ ფორმალური გამოძიების შედეგებმაც.

ტფილისის საგუბერნიო ეანდარმთა
სამმართველო იელისის 12, 1908 წ.
№ 1705. კ. ტფილისი.

საიდუმლოდ სასწრაფო.
ტფილისის საოლქო სასამართლოს
საგანგებო საქმეთა გამოძიებელს.

485 ნომერზე, მიმდინარე წლის მარტის თვეში, ქუთაისის ციხეში პატიმრად მყოფმა ქარსიძემ ქუთაისის დროებითი გენერალ-გუბერნატორის სახელზე განცხადება წარადგინა, რომელშიაც ასახვლებდა ერევნის მოედანზე მომზადარ 250.000 მანეთის გატაცების მონაწილეებს, მათ შორის იგი იხსენიებს „კამოს“.

ქარსიძეს წარედგინა დიმიტრი მარსკის პასპორტი ბერლინში დაპატიმრებული პირის სურათი, მან ამ სურათზე იცნო „კამო“ და აღნიშნა, რომ ეს კამო მთავარი ორგანიზატორი იყო ეფლის იღნიშნული გატაცებისა და აგრეთვე კ. ალექსანდროპოლში გენერალ აღიზანოვის მკვლელობისა; ქარსიძემ გახაცხადა, რომ როგორც მან იცის „კამო“ ქალ. გორის მცხოვრებია, სადაც მას კარგად იცნობენ ადგილობრივი ვაჭრები და მისი ნამდვილი გვარი ტერ-პეტროსიანციაო.

ამის გამო „კამოს“ ფოტოგრაფიული სურათი გადაუგზავნეს გორის მაზრის უფროსს, რათა მას ზრევენებია იგი ადგილობრივ მცხოვრებთათვის და კამოს მშობლებისთვის. ამა მოთხოვნისთვის აღსასრულებლად გორის მაზრის უფროსმა ამა წლის მაისის 15-ის მოწერილობით გეაცნობა, რომ რადესაც ფოტოგრაფიული სურათი აჩვენა ადგილობრივ მცხოვრებლებს, მათ განაცხადეს: სურათზე გამოხატული პირი ძალიან წააგავს სიმონ არშაკის ძეს ტერ-პეტროსიანს, მაგრამ ამას დანამდილებით ვერ იტყვიან, რადგანაც იგი უკანასკნელად ამ რეა წლის წინათ ნახეს და შემდეგ აღარ უნახავთ „კამოს“ სახელით ისინი მას არ იცნობენ. სურათი წარედგინა აღნიშნული სიმონ ტერ-პეტროსიანის მამას, ლედლის შეილს არშაკ ნერსესას-ძეს ტერ-პეტროსიანცს; ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ სურათზე გადაღებული პირი საოცრათ ემსგავსება მენს შეილს სიმონს, მაგრამ მეც ვერ ვიტყვი ამას დარწმუნებით, რადგანაც რეა წელიწადია რაც ჩემგან წავიდა და მაშინ სიმონს არც ვჭერი და არც უღვაში არა ჰქონდაო. გარდა ამისა, მაზრის უფროსის მიერ გამოგზავნილი ცნობები „კამოს“ მამის შესახებ საეცხებით ვთანხმება იმ ცნობებს, რომელსაც მის შესახებ პოლიციის დეპარტამენტს მოგზავნა.

ზემოთ გადმოცემული ცნობები საბუთს გეაძლევს ვთქვით, რომ „კამო“ არის სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანიც.

პოლკოვნიკი (ბელის მოწერა).

ა. ქარსიძის გულახდილი ჩვენება იმის ღირსი არაა, რომ იგი მთლიანად მოვიყვანოთ. გამცემი ცდილობდა თავის დამკითხველებისთვის იმაზე მეტი ფაქტურ. „მს.თობი“ № 5-6.

ტები მიეწოდებია, რაც მის განკარგულებაში იყო. აქედან: წერტილები (ცილის-წამებანი, სახელების არევა, ბრალდება რევოლუციონერებზე, რუმე მთელი პოლიციასთან კავშირი აქეთო, არა საკმაო ანდა აშკარად ყალბი განმარტების ცალკე რევოლუციურ პარტიების ნაშრომებდარისა. მაგრამ ცნობები იმ პირთა შესახებ, რომელიც ყველაზე უფრო გვინტერესებს—კამოსა და კოტე ცინცაძის შესახებ—სრულიც არის და ზუსტიც.

„ოქმი 1908 წლის აგვისტოს შევიდისა. ქალაქი ქუთაისი. საგუბერნიო ციხე. პოლიციის დეპარტამენტის საგანგებო დაკლებათა მოხელემ ვასილიევმა, ს-პეტერბურგის სამოსაართლო პალატის პოლიტორის ამხანაგის კორსაკის დაუწრებლად, სისხლის სამართლის წარმოების წესდების 4443 და 1035 მუხლთა თანახმად, როგორც მოწმეს ჩვენება ჩამოართვა ქვემოთ აღნიშნულ პირს, რომელმაც შემდეგი განაცხადა: მე ვარ არსენ დავითის ძე ჭარხიძე, მეტ სახელად „ფალავანდიშვილი“, 26 წლისა, მართლმადიდებელი, ტფილისის გუბერნიის ახნაური, სამართალში ვარ მიცემულ ბრალდებით სახელმწიფო დანაშაულობაში. საქმის მონაწილე პირებთან რაიმე განსაკუთრებული დამოკიდებულება არა მაქვს. ვგრძობ წოდებელი „შორაპნის რესპუბლიკის“ საქმის გამო ვარ მიცემული პასუხისმგებელი. დამაპატიმრეს 1906 წელს ნოემბრის 17-ს; ვერ მთელ დროს ვიჯდები ტფილისის პოლიტიკური პატიმართა საპრობოლევსო, ცერეთწოდებულ მეტების ციხეში. ახლა კი გადმოყვანილი ვარ ქუთაისის ციხეში მეტების ციხეში ყოფნის დროს გავიცანი შრავალი პოლიტიკური პატიმარი, რომელმაც ჩემს საქმეს იცნობდებ და ამიტომ არაფერს მიზალადგან. 1907 წელს ტფილისში ერევნის მოედანზე ზოგადი სახანის ფულად ტრანსპორტზე ცნობილი თავდასხმა; ეს ახმავე უმაღლე გავიგეთ ციხეში, ანუ მეტებში. ეს ცნობები მივიღეთ იმ პირთაგან, რომელმაც პატიმრებთან სანაშავედ დაიარაღებოდგან. რადგანაც პატიმრის წესები სასტიკად არ იყო დადებული, ამიტომ მთელი ნახევარი საათისა და უფრო მეტი დროის განმავლობაში ყველაფერზე თავისუფლად შეიძლებოდა ლაპარაკი. და რადგანაც ყველა პატიმრისთვის სერინობა ერთად იყო დანიშნული, ამიტომ ციხის იმხანაგებისაგან მალე შევიტყვე დაწერილებითი ამბები მომხდარი ექსპროპრიაციის შესახებ, კერძოდ, უფრო დაწერილებითი ცნობები ერევნის მოედანზე ჩადგნილი დანაშაულობის შესახებ მე უშუალოდ გავიგე ამ თავდასხმის ინიციატორებისაგან და ზოგიერთ მონაწილესაგან. თავდაპირველად მეტების ციხეში მოიყვანეს ექსპროპრიაციის ერთ-ერთი მონაწილე კონსტანტინე ცინცაძე. რა საქმეზე იყო დაკერილი ეს დანაშაულებით არ ვიცო ყრველ შემთხვევაში აღნიშნული დანაშაულობისათვის არ ყოფილა შესპრობილი. შემდეგ დუშეთის ბახინის გაძარცვის საქმეზე მეტებში მოიყვანეს კაპიტანი გედევანოვი, რომელთანაც სანაშავედ დაიარაღებოდა ერევნის მოედანზე მომხდარი თავდასხმის მეორე მონაწილე ვინზე ივანე ინწყორველი, პარტიული მეტსახელით „სტიგაკო“, რომელიც იმყამად დამატირებული არ იყო. ეს „სტიგაკო“ მერე რაღაც საქმეზე მალე დაიჭირეს; მასთან სანაშავედ დაიარაღებოდა პალე სავეარდლიძე; ჩემთან კი დაიარაღებოდა ამხანაგი ზაქარია გურული. მას თუმცა მონაწილეობა არა ჰქონდა მიღებული ერევნის მოედანზე მომხდარი თავდასხმაში, მაგარამ ამ საქმის ყველა მონაწილეს იცნობდა და დაწერილებით იცოდა მთელი ამბავი. ამ ყველა ამ აღნიშნულ პირებისგან გავიგე სრულიად გულახდილი ცნობები ექსპროპრიაციის შესახებ; მიუხედავად იმისა, რომ ეს ცნობები სხვადასხვა პირმა გადმომცა, ყველანი ერთნაირად გადმომცემდნ ამ ამბავს თავის დეტალებში. ამ ეს ცნობები,

ამ ქარცვაში უმთავრეს მონაწილეობას მხოლოდ შეიძენ კაცი იღებდა,—სახელდობარ: ინიციატორი „კაზო“, რომელმაც მე შეუტყვემბლად ეცნობ თქვენ მიერ წარმოგენილ ფოტოგრაფიულ სურათზე და რომელსაც თქვენ ტერ-პეტროსიანის უწოდებთ. ამ კაცს დიდხანია პირადათ ვიცნობ და არ შეიძლება, რომ შევიტყვე. ექსპროპრიაციის მეორე აქტიური მონაწილე იყო ზემოთ დასახელებული ივანე ინწყორველი, მეტი სახელით „სტიგაკო“ მესამე მონაწილე იყო კონსტანტინე ცინცაძე, მეორე—ილია ებრაელიძე, მესამე—ილია კაკიაშვილი, მეოთხე—აკაკი დალაქიშვილი და მეხუთე—

ივანე კალანდაძე განზრახული ჰქონდათ ქუთაისის ან ყვირილის მაზრის გაქარცვა, მაგრამ „კამო“ ცხარედ გაილაშქრა ამ გეგმის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ უფრო ადვილი და ხელსაყრელია ტფილისის კომერციული ბანკის გასპარაკება.

ა. ქარსიძის ჩვენებამ „ობრანკას“ საშუალება მისცა სტენაზე გამოეყვანა და კამოს საქმეში ხანგრძლივად ჩაება კიდევ ერთი დიდი „დამნაშავე“—ნამდვილი დიმიტრი შირსკი. ტფილისის ეპიდარმთა სამართველომ ქარსიძეს მოსთხოვა დამატებითი ცნობები დიმიტრი შირსკის შესახებ.

ტფილისის გუბერნიის
ეპიდარმთა სამართველოს

სატუსალო.

უფროსი.

ფრ. სასწრაფო.

1909 წ. სექტემბრის 25;

№ 19977

ქუთაისის გუბერნიის ეპიდარმთა
სამართველოს უფროსი.

კ. ტფილისი.

გთხოვთ განქარგულება გასცეთ, რათა დამატებითი ჩვენება ჩამოართვან როგორც მოწმეს, თანახმად სისხლ. სამართლის წარმოების 1035 მუხლისა, ქუთაისის ციხეში პატიმრად მყოფ აზნაურ არსენ დავითის ძე ქარსაძეს, გამოცვლილი სახელით „ფლავიანდიშვილს“ შემდეგ კითხვად: 1) რა სახელი აქვს მას, ქარსაძეს, როდესაც თავისი ჩვენებით (1908 წ. 7 აგვისტოს) ამბობს, რომ დიმიტრი შირსკი ეკუთვნის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და რომ იგი ტერორისტი იყო; საიდან და რახაირად იცის ეს (2) რა საფუძველი აქვს მას განაცხადოს, რომ დიმიტრი შირსკი კამოს თავიდანვე შეგობობდა. 3) საიდან და რახაირად იცის მან, რომ კამო წინათაც შირსკის პასპორტით ცხოვრობდა; 4) აჩვენეთ მოწმეს ამასთანავე დართული ფოტოგრაფიული სურათი დიმიტრი შირსკისა, რათა შემოწმდეს: იცნობს თუ არა იგი, ქარსიძე, სურათში გადაღებულ პირს იმ დიმიტრი შირსკად, რომელიც მისი ცნობით სოციალ-დემოკრატი და ტერორისტია.

ქარსიძეს დიდი ხეწნა არ დასჭირდა. უნდა კი ითქვას, რომ გამცემის უკანასკნელი ჩვენება ფრიად უფერული და ზოგადი ხასიათისაა. აქ შილოდ ერთი საინტერესო შტრიხია,—საინტერესო რევოლუციური ყოფაცხოვრების თვალსაზრისით—თუ რთვორ ინახავდენ ტერორისტები იარაღს.

„მათი საერთო მისამართი შემდეგია,—მოუთხოვს გამცემი, სადაც ისინი თითქმის ყოველდღე თავს იყრიან ნაშვადღევის 3 საათიდან. ზოგჯერ ღამის 11 საათამდე, უფრო ხშირად კი 7-8 საათზე იმღებრიან—მე-8 უბანში, მეორე „გონჩარის“ ქუჩაზე ცხოვრობს მოხუცი ქალი ბარბარე ბოკორაშვილი, იგი თავაზიან მასპინძლობას უწყვეტ მოსულ ხალხს. სწორედ აქ მოიტანა 13 ივნისს „კამო-სიმონმა“ 250,000 მანეთი. აქ იკრებებიან სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები. ბინის ქვემოთ სარდაფია, ხოლო სარდაფში ზოგჯერ იარაღი ინახება ხოლმე. ჩხრევის დროს უფრადღება უნდა მიეჭყეს აედელს ჩამოფარებული აქვს თუ არა ხალიჩა. ხალიჩის ქვეშ კდდელი ამოკრილია და ისეა შეფესილი, რომ თვალთ ვერ შეეტყოს. აქ ინახება ხოლმე რევოლვერები და ყუმბარები. აგრეთვე უფრადღება უნდა მიეჭყეს ტახტებს. ტახტი უნდა გადმოიპოკვაედეს, და უნდა აეგლოჯოს გადაკრული მატერია და გაისინჯოს თივა—თივაში რევოლვერები და ყუმბარებია ხოლმე დამალული“.

კამოს რევოლუციური მოღვაწეობის კვალის ძიება ისე ენერგიულად სწარმოებდა, რომ აქა-იქ ამოტივდრედა თითქმის მივიწყებული საქმეები. ტერორისტული აქტები, რა თქმა უნდა ზედმიწევნით იყო ჩამოთვლილი, განსაკუთრებით ა. ქარსიძის გულახდილი ჩვენების შემდეგ. მაგრამ აი, ეპიდარმერიამ

გამოადგინა საქმე ბათუმის ციხეში კამოს დაპატიმრებისა და ციხიდან გაქცევის შესახებ. კამო მაშინ დააპატიმრეს არალეგალური ლიტერატურის ტრანსპორტის საქმეზე. 1908 წელს 31 ივლისს ტფილისის ენდარში სასამართლო უფროსი შემდეგი შინაარსის „მიმართვას“ უგზავნის საგანგებო საქმეთა გამოძიებელს;

ტფილისის გუბერნიის ენდარშითა

სამმართველოს უფროსი.

1908 წ. 31 ივლისი

№ 2039

ქ. ტფილისი

დამატებად ამა წლის 12 ივლისის მიმართვისა № 1205, თქვენს მაღალკეთილშობილებას ვაცნობებ, რომ „კამოსი“ და სიმონ არშაკის ძის ტერაპეტროსიანცის იგივეობა ამჟამად ზუსტად არის გამოკვლეული.

1903 წელს ბათუმის სადგურზე ენდარში უნტარ-ოფიცერმა ევტოშენკომ შეაყრო ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ჩანთებში აღმოაჩნდა თვალსაჩინო რაოდენობის პრეტოლიანი რუსულ სომხურ და ქართულ ენებზე. შეპყრობილი გამოდგა სიმონ არშაკის ძე ტერაპეტროსოვი; ამის გამო ქუთაისის გუბერნიის ენდარშითა სამმართველოს უფროსის თანაშენწებ ბათუმის ოლქში, ზემოთაღნიშნული პირი პასუხისმგებლობაში მისცა იმ დანაშაულისათვის, რომელიც გათვალისწინებულია სასჯელთა დებულების 252 მუხლით. აღკვეთის ზომად ტერაპეტროსის მიმართ არჩეულ იქნა დატუსაღება ბათუმის ციხეში, საიდანაც იგი 1904 წლის სექტემბერში გაიქცა, ხოლო გამოძიება მისი საქმის შესახებ გადგზავნა პოლიციის დეპარტამენტში. ამ უკანასკნელმა თანახმად იისი უდიდებულესობის ბრძანებისა 1904 წლის მაისის 25-ისა, გადმოუგზავნა ტფილისის სასამართლო პალატის პრიორის. იმ დროს, 1903 წელს გადაიღეს ტერაპეტროსოვის სურათი—„ან ფასი“ პრთილი. ეს სურათი ამჟამად ჩ.მ.ს განკარგულებაში იმყოფება. როდესაც ეს სურათი შევადარებ ბერლინში გადაღებულ „კამოს“ სურათს, გამოვარკვევთ სურათებზე აღბეჭდილ პირთა სრული იგივეობა, რის მიხედვითაც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „კამო“ არის სიმონ არშაკის ძე ტერაპეტროსიანცი, იგივე ტერაპეტროსოვი.

პოლიციით (ხელისმოწერა).

იმავე წლის აგვისტოს 16-ს კამოს ფოტოგრაფიული სურათი, ზემოთ-მოყვანილი მიმართვის შინაარსით, გავგზავნა დეპარტამენტის პოლიციის საგანგებო დავალებათა მე-V კლასის მოხელეს ა. ტ. ვასილიევს. კამოს შესახებ გამოძიების რეალი დამთავრდა. ხელთ არის ყველა საბუთი იმისთვის, რომ შედგეს საბრალმდებლო ოქმი—როგორც ადგილობრივი საჭიროებისათვის, ისე თავაზიან ბერლინელ ხელისუფალთა დასარწმუნებლად იმაში, რომ კამო მშობლიურ ენდარშიარსის უნდა გადმოეცეს. გამოკვლეულია მისი წარმოშობა, მისი ნათესავეები, მათი ხელობა და ქონებრივი მდგომარეობა. სრული დაკმაყოფილება კპოვა თავისებურმა ენდარშიულმა პედანტიზმმა, რომელიც წააგავს საღმთო ინკვიზიციისა და ძველი მოსკოური რუსეთის „პრიკაზების“ წვრილმან ახირებასა და ბეჯითობას.

მთელ რუსეთში გაჩაღებული ძიება—ეძებენ კამოს გადამაღულ ამხანაგებს. ა. ქარსაძის ჩვენება პოლიტიკურ დამნაშავეთა ერთგვარი საინვენტარო სიაა. საქმეში კურობებიც ერევა თუმცა დევნა და ძიება ფრიალ არაკურობულა. ჩვენამდე მოაღწია ერთმა „საიდუმლო მიმართვამ“ 1908 წლის აგვისტოს 26-ის თარი-

ლით. თერგის ოლქის ქანდარმთა სამმართველო იუწყება ვინმე ლევან კალანდაძის დაპატიმრების ცდას და ამ ცდის მარცხით დამთავრებას. ამასთანავე ქანდარმერია აშკარად აღიარებს: აღნიშნული პირი იმიტომ შეწყვეტა, რომ მისი და ერევნის მოედნის ექსპროპრიაციის ერთ-ერთი მონაწილის სახელში ბგერათა შეხამება ვნახეთო. ასე იოლად და უსინდისოდ შენდება ეჭვების ხუხულა, რომლის მიზანიც ერთია—აღეკვეთოს ლევან კალანდაძის თავისუფლება მიუხედავად იმისა, იგი „ის“ კალანდაძეა თუ არა. მაგრამ დევნილმა მოხერხებულად გააცურა მდევნელები. დასახელებული დოკუმენტის ბოლო სტრიქონები გვისურათებენ გარდასული ეპოქის მკვეთრ საყოფაცხოვრებო სურათს:—მოგვრალ ყაზახს, რომელიც პიატიგორსკის ქუჩებში დაბარბაცებს და დაეძებს ხელიდან გასხლექილ ტუსალს და გონებამახვილ კალანდაძეს, რომელმაც წესრიგის გამოთავყვანებული დამცველის მიმართ ყველაზე მარტივ და საიმედო ხერხი იხმარა: ალკოჰოლი.

ტფილისის გუბერნიის
ქანდარმთა სამმართველოს
უფროსი
1908 წ. აგვისტოს 26.
№ 2412
ქ. ტფილისი

საიდუმლოდ.
პოლიციის დეპარტამენტის
მე-V კლასის მოხელეს
ა. ტ. ვასილიევს
(ერევნის მოედანზე 250,000 მანეთის
გატაცების საქმეზე).

თერგის ოლქის ქანდარმთა სამართველოს უფროსმა საიდუმლო წერილით (7 აგვისტოს, № 6758/114) შემატყობინა, რომ იმ პირთა ძიების დროს, რომელიც ქუთაისის ციხეში დაპატიმრებული არსენი ქარსიძის ჩვენებით, მონაწილეობდენ 250,000 მანეთის გატაცებაში, მივიღე შემდეგი ცნობებიო,—ესენტუკში, გაბუნიას რესტორან-ბაღში მახურობს ვინმე ლევან კალანდაძე; ეჭვი იყო აღებული, რომ აღნიშნული კალანდაძე ოზურგეთიდან, ვიღაც ებრაელისაგან იღებდა ფოსტის ამანათებს სამამნეთიანი და მანეთიანი ყაღბი საკრედიტო ბილეთებით და ასაღებდა მათ.

განვიღო იელისის 23-ს კალანდაძე გაიზრიკა; ჩხრეკამ არ მოგვცა აღნიშნული ცნობების დამადასტურებელი შედეგები. მაგრამ იგი მაინც დაპატიმრებული იქნა, ეინაიდან იგი ატარებდა ერევნის მოედანზე მომზადარი გატაცების ერთ-ერთი მონაწილის სახელსა და გვარს. მეორე დღეს ესენტუკის პოლიციის ბოქაულმა იგი ქალაქ პიატიგორსკში გაისტუმრა ერთი ყაზახის ოანზღებით. გზაში კალანდაძემ ყაზახი დაათრო და თვითონ მიიშალა, პოლიციამ მთვრალი ყაზახი პიატიგორსკის ერთ-ერთ ქუჩაზე იპოვა. ლევან კალანდაძის ძებნა გრძელდება“.

პოლკოვნიკი (ზელისმოწერა).

გაგრძელება იქნება



მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის

წარიღი მემძვსი

4. ეგნ. ნინოშვილის კერძო წერილები და კორესპონდენციები

ეგნატე ნინოშვილის ნაწერების აკადემიურ გამოცემასთან დაკავშირებით, სხვადასხვა პირთა და მოღვაწეთა არქივებში, ძველ ჟურნალ-გაზეთებისა და მუზეუმებში დიდძალი ახალი საინტერესო მასალები იქნა აღმოჩენილი ეგნატეს შესახებ. საგრძნობი ნაწილი ამ მასალებიდან თვითონ ეგნატეს კალამს ეკუთვნის „მნათობისა“ (№ 8—9—10, 1930 წ.) და „ქართული მწერლობის“ (№ 11-12, 1929 წ.) ნომრებში ჩვენ უკვე გამოვქვეყნეთ ზოგიერთი საინტერესო მასალები ეგნატეს შესახებ და მისი კერძო წერილები და ავტობიოგრაფია. ამჟამად ჟურ. „მნათობის“ რედაქციის თხოვნით ვაქვეყნებთ ჩვენი მწერლის ჯერ გამოუქვეყნებულ სამს კერძო წერილსა და ოთხს კორესპონდენციას 1888—89 წლების „იერიაში“.

I. ეგნატე ნინოშვილის კერძო წერილები

ა) წარიღი სიონი ხუმბურიძისადმი

18 $\frac{IX}{26}$ 86 წ.

სოფ. ჩიბათი

ძვირფასო სულიერო ძმავ სიონ!

ძლიერ მომენატვრა თქვენი ნახვა, მაგრამ ოხერი აქაური აბანდული და უნიშვნელო საქმეების გადაყადეს სად მაქვს დრო, რომ დავსტკეპე ძმა-მეგობრების ნახვით და ლაპარაკით? ვფიქრობ გამოვეთხოვო აქაურობას, მაგრამ ჯერ-ჯერობით თითქო მოჯადოებული ვარ, ვერ ვახერხებ. თუ ღმერთმა ქნა და გამოვეთხოვე, ნახევარ თვეს არსად არ წავალ—სულ სახლში დავრჩები და იმე-

დი მაქვს ამ დროს განმავლობაში არ მოვაკლდები თქვენს ხშირს ნათქვამს. არ ვიცი თქვენ იგრძენ ჩემში რაიმე სიმპატია, თუ არა და მე კი რაღაც ისეთი სიმპატური კაცი ვაფიქროვებ თქვენში რომ თქვენი დაახლოებება მასთან მომწონდ მინდა. აქაურ მასწავლებლებთანაც ძმურად და მტკიცებულად განწყობილი ვარ; იმის გამო ძლიერ შენანება აქაურობის დატოვება. ეს ისეთი ყმაწვილი არის, რომელიც არ აუჭარბებს კაცის გაცნობას და დაახლოვებას, ესე იგი სინამ დინჯათ არ გაიგებს კაცის გარემოებას, არ გაუხსნის გულს, ხოლო როცა კაცს გაიცნობს, მაშინ კი მთელს მის გულს სიღრმეში ჩაახედებს, გულის სიღრმეში, სადაც პარტიოსნება, კეთილშობილური გრძობები და ღრუბულიანნი გაცხოველებულნი და ცხოველებიანი—ერთი სიტყვით ის არის ტიპი ნამდვილი ივერიელისა, თავგანწირული პატრიოტი, რომელიც მე დარწმუნებული ვარ, ოდესმე შესწირავს სიცოცხლეს თავის სამშობლო... *) გარდა ამისა სიმონ, მაკვირვებს: ერთი როგორ არ შეგვხვდა საჭიროება ღანჩუთისაკენ გამომგზავრებისა? იქნება კიდევ იყავ და ჩვენთან არ ჩამოუხვეით. უეჭველია შევიწევოდით ამდენს ხანს ჩოჩხათის Madmoisael-ებს და ვეღარ პოულობთ დროს წასვლა-წამოსვლისა. სხვანაირი სოფელია ჩოჩხათი! უცბათ შეიტყოფს მლოცველებს ვენერის საყდარში ტერ ფსიხო-ას ფეხებზედ სამთხვეველათ მაგრამ ნამეტანი ლაყობა მომივიდა, უეჭველად თავი წავიკითხე მოგზებრდება და ამიტომ კიდევ ვათავებ ეხლა, გინატრი რა წარმატებას და კეთილ დღეობას.

თქვენი სულიერი მეგობარი ეგნატო ინგოროყვაა..

P. S. გაზეთები თუ რამე გამოიწირო მამცუნე.

ამ წერილში მოხსენებული სიმონ ჭუმბურიძე ახლო მეგობარი იყო ეგნატესი. იგი 1886—88 წლების განმავლობაში მსახურობდა მასწავლებლად გურიისაში, —სახელდომ სოფ. ჩოჩხათში. ს. ჭუმბურიძე გურიიდან ხშირად გზავნიდა წერილებს ვახ. „ივერიისა“, 1888 წ. ივნისიდან მან ჩოჩხათის სკოლას თავი დაანება და ზემო ივერეთში—ამაზუეთის სკოლაში დაიწყო მასწავლებლობა. თავის კორესპონდენციებს ხშირად აწერდა ლორეშელს. შემდეგ იგი მღვდლად ეკურთბა, მიწერა-მოწერა ეგნატესა და ჭუმბურიძის შორის ხშირი ყოფილა 1889 წლამდე. სამწუხაროდ ეგნატეს წერილებიდან მხოლოდ ეს ერთი აღმოჩნდა ჭუმბურიძის არქივში. არის კიდევ ერთი პატარა ნაწყვეტი მისი წერილი, რომელიც თვით ს. ჭუმბურიძეს მოყავს 1894 წელს დაწერილ თავის მოგონებაში ეგნატე ინგოროყვას შესახებ. ჭუმბურიძის ეს მოგონება ჯერ ჯერობით არსად არ დაბეჭდილა: მასში საინტერესო ცნობებია ეგნატეს ცხოვრებიდან. მოგვყავს ერთი ადგილი ამ „მოგონებიდან“.

„ჩვენი ერთმანეთის გაცნობის შემდეგ (1886 წ.) არ გასულა ერთი კვირა, რომ ეგნატესაგან დაახლოვებით შემდეგი წინაარსის! წერილი მივიღე:

„სულიერო ძმაო სიმონ! პირველად მეგობრულ მოკითხვას მოგიძღვნი და გინატრი ყოველ კეთილ საქმეში წარმატებას. შენ ჯერ შეუძინეველი ხარ მადაურობას და ალბად მოწყენილი იქნები, მაგრამ მალე გავიცნობენ, მივიწ-

* აქ ერთი სიტყვა ვერ ამოვიკითხეთ. ს. ხ.

ვევ-მოგიწვევენ და გულს გადააყოლებ. მე ხომ შენში ისეთი სიმპატიური კაცი გავიცანი, რომ ნახვას არ მოგაკლებ, თუ ამ დასაქცევ კანცელარიას დავადგინებ თავი. სილარიბეს დაუდგა თვალი, თორემ სოფლის კანცელარიაში განა დაიდგინებ კაცი. ორიოდ გროში მაქვს ამოსაგები და ის თუ დავტყუებ როგორმე გაიძვერა მამასახლისს, მერე აქ რომ დამაბან, მაინც არ დავდგები. შგონია მალე განეთავისუფლდე აქედამ და გნახავ. შენი სულიერი ძმა ეგნატე ინგოროყვა“.

მართლა არ გასულა ამის შემდეგ ოთხი ხუთი დღე, რომ ეგნატეს კანცელარიისათვის თავი დაენებებია და ჩოჩხათში ჩამოვიდა. შინ ყოფნის დროს უფრო ხშირად ჩემთან იყო. როცა სკოლაში შევირდები ის ან მე მებზარებოდა სწავლებაში ან იქვე თავის ნათესავ ვასაძისას იყო. სკოლას რომ მოვრჩებოდი, დავიწყებდით ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების კითხვას. ხან ის კითხულობდა და მე ვისმინდი, ხანაც მე ვკითხულობდი და ის ყურს მიგდებდა; ხან ისეც ვშვებოდით, რომ ის რომელიმე წიგნს შინ წაიღებდა წააკითხავად, შემდეგ მოვიდოდა და იმის შინაარსს მე მომიყვებოდა და აგრეთვე მეც გადავცემდი ჩემგან წაკითხული წიგნის შინაარსს. წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს უზვად გვივზავნიდა ბ. სპირიდონ თოფურია სამოქალაქო სკოლის წიგნთ-საცავიდან და სამოქალაქო კლუბიდან, სადაც საერთო ფულით ჰქონდათ გამოწერილი მასწავლებლებს საუკეთესო რუსული და ქართული ჟურნალ-გაზეთები. განავენებულს ძლიერ უყვარდა მოთხრობებში ტიპების დაკვირვება და აწონ-დაწონვა. ის უფრო გაიტაცა ტურგენიევის, ტოლსტოის, გოგოლის და დოსტოევისკის თხზულებებში. ტურგენიევის ნაწერებში ძლიერ მოსწონდა მოთხრობა „Отцы и дети“, მას აკვირვებდა ბაზაროვის სულიერი ძალა, ენერჯია და არკადის ბედოლათობა. ამნაირად გვაეატარეთ დრო თითქმის შუა ნოემბრამდე. ამ დროს ეგნატემ და ორმა სკოლის მასწავლებელმა გადასწყვიტეს საფრანგეთში წასვლა და იქ საჯარო ლექციების სმენა, ფრანგული ენა შინაურულად ცოტა შეისწავლეს. იმათ ჰქონდათ განზრახვა რაიმე ხელობა მეცნიერულად შეესწავლად და ბოლოს იგივე ცოდნა სამშობლოში გაეგრეკლებინათ, მეც მირჩიეს მათ წავყოლოდი. მაგრამ შეძლება არ ჰქონდა, ამასთან ფრანციული ენასთან ძლიერ უკაცრავად ვახლდით და ამიტომ უარი ვსთქვი. ეგნატეს რაც წიგნები ჰქონდა მთლად მე გადმომიცა. ესენი ჩემთვის საჭირო აღარ იქნება და ფულად მისაგძლე რამყო. მე რაც შემეძლო ფული მივეცი, ზოგი მამამ შეაგროვა და გიორგობისთვის გასულს 1886 წელში ეგნატე და მისი ამხანაგები მარსელიაში გაემგზავრენ. იქ ძლიერ ძვირად დაჯდომოდა ეგნატეს ცხოვრება და 1887 წლის იანვარში თუ თებერვალში, სწერდა მამა-ბიძებს. მე და აგრეთვე სხვა მეგობრებსაც: ფული მომაშველეთ, შიმშილი მკლავს, ერთი სამშობლოში ცოცხალი მოვიდე და ყველას გადაგიხდით ვალსაო (აკი აგვისრულა კიდევ) მარტში თუ აპრილში, კარგად არ მახსოვს ეგნატე გურიასში მოვიდა.

როგორც ცნობილია, საფრანგეთში ეგნატემ რამოდენიმე თვე დაჰყო (1886-87 წ.). დღემდე ეგნატეს საფრანგეთში ცხოვრების შესახებ ძლიერ ცოტა ცნობები გვქონდა, ისიც მეორე პირის მიერ გადმოცემული აბეამად აღმოჩნდა თვით ეგნატეს შეიდი წერილი საფრანგეთიდან გამოგზავნილი 1886-87 წლების პერიოდში ნაწილი ამ წერილებსა—სახელდობ ეგნატეს წერილები თავის ბიძა

აღუქსი ინგოროყვასადმი—ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ 1930 წლის „ნაწიწვალაბ“ მოგვეყავს აქ ახლად აღმოჩენილი მეშვიდე წერილი საზღვარგარეთიდან.

ბ) წერილი სიო კალანდაძისადმი

7 მარტი

26 თებერვალი 1887 წ. ფოანცია. კ. მონპელიო.

ძმაო სიო!

იქნება გაჯავრებული იყვეთ ჩემზედ, რომ, ცალკე წერილი ვერ მოგწერეთ მაგრამ მე მგონია თქვენ და ბესარიონ ერთ სულს შეადგენთ, თქვენში ყოველივე საერთოა და ამიტომ ყოველთვის საერთო წერილს გწერდით აქომამდე (ექვს ხელ მოგწერე წერილი, თქვენგან არც ერთ ხელ პასუხი არ მღირსებია). წერილები ვრცელნი არ იყვნენ, მაგრამ ჩემს მდგომარებას უქვევლათ შაიტყობდით იმ წერილებიდან. მეტადრე ჩემს ადრესს, რომელსაც ისე გულ მზურვალეთ მთხოვედი წამოსვლის დროს. მე მეგონა თუ მართლა რამე საქართვებას შეადგენდა თქვეთვის ჩემი ადრესი. მაშინდელ თქვენ სიტყვებში ისეთი ენერგიული კალოერია, რომ მე დარწმუნებული ვიყავი, ერთი თვის შემდეგ ჩემი წამოსვლიდან, თქვენც აქ მოხვიდოდით. მეგონა თუ სწავლის და განათლების სურვილი გაგაბედღინებდა აქ წამოსვლას. თქვენ რომ ანბობდით: მდიდარი ოჯახი მაქვს, ფულებს ადვილათ მოვიკიდებ ხელს და წამოვალო, მე მართალი მეგონა. იმ წამში სწოოეთ მართალიც იყო. მაგრამ შემდეგ ვინმე ბოროტმა სულმა კეთილის მტერმა დაგიშალა ეგ კეთილა განზრახვის აღსრულება. ცოტა არიან ქვეყანაზედ ბოროტები?! ეხლა მაინც ამ წერილს შემდეგ ეცადე, როგორმე წამოხვიდეთ და თან იმოღენი ფულები წამოიღოთ, რომ მეც და სამსონ კანდელაკსაც რამე გვხეთს. თქვენი ოჯახი მეტათ მდიდარია და თქვენ რომ განზახვა გაქვთ იმდენი ფულების წამოღება ვერა რას დააკლებს, არც კი დაეტყობა. არ იფიქროთ, რომ ეგ ფულები გამოუღებქრათ ჩაგელით ევროში. იმ ფულებით თქვენ ორ კეთილ საქმეს იზამთ. ერთი თავის თავს განათლებთ სწავლით და მეორეთ საქართველოს სამნასწავლ კაცს შესძენთ (შეიძლება მეტაც თუ ფულები ბლომათ იქნება). ომ! სიო რომ იცოდე აქაური განათლების ანბავი?! აქ რომ ვისწავლით, ჩენი თვალები ისე განათლება, რომ მტერს მტერათ გვაცნობებს და მოყვარეს მოყვრათ. ეხლა აწუჯერე, კი ვერც ერთს ვერ ეხედეთ! სიბნელის ფარდა გვახვევია თავზედ და გვახვევია კიდევ, თუ აქაურმა სუფთა ახალმა ჰაიერმა არ გარეკა ჩენი თავიდან ის მთელი ბურუსი. ერთი სიტყვით აქ თქვენი წამოსვლა ყოველ გვართ საუჯობესოც არის და საქიროც და კიდევაც ეცადე როგორმე წამოხვიდე, დასძლიე ყოველ გვარ დაბრკოლებას, გაბედე, ნუ შეგეშინდება ყოველივე ადვილია.—ამაზედ მეტს ეხლა ვერაფერს გწერ რადგან ქალაღი ილევა, თორემ მოსაწერი ბევრი მქონდა.

თუ წამოსვლას ფიქრავ ამის მიღებისთანავე ტელეგრაფით გვამცენე. აი ადრესი: Франция. Montpellier. Wakhwakhoff Ecole d'agriculture pour Jngorokwa ou Kandellaki. მარსელში შეგხვდებით თუ მოგვწერ.

შენი ეგნატე ინგოროყვა.

P. S. ამ ერთი თვის წინეთ დათომიდგან ტელეგრამმა მივიღე ინგოროყვას სახელით (ალექსიდგან უნდა ყოფილიყო). იმ ტელეგრამის პასუხი შენ სახელზედ გამოგზავნე. უკველათ მიიღებდით. აგრეთვე გეცოდინებდა, რომ ფული გამოგზავნილია თუ არა—დაიხარჯეთ შენ და ბესარიონმა და ტელეგრამით მამცნეთ ყოველივე ამის შესახებ ორივეს ერთი ტელეგრამის ფასი (3 თუ 2 მან.) არ დაგლუპავთ. თუ გამოგზავნილია—მამცნეთ რომელი თვით და რიცხვით და თუ ჯერ არ არის გამოგზავნილი, როდის გამოგზავნიან ურჩიე ალექსის რომ ფული ბანკით გამოგზავნოს. თუ ტელეგრამით არ მამცნეთ ფულის გამოგზავნა, შეიძლება ტყუილა დაიკარგოს ფული, რადგან მე სხვაგან წავალ. მოველი ტელეგრამით,

ეგნატი.

ეს წერილი საინტერესოა ეგნატეს ცხოვრების გასაცნობად საზღვარგარეთ. წერილში მოხსენებული ალექსი არის ეგნატეს ბიძა, ბესარიონ—კალანდაძე, ეგნატეს ახლო მეგობარი,—თვით სიო კალანდაძე იყო ახლო მეგობარი ეგნატესი და ბათომში მსახურობდა. ვახტანგოვი—მონპელიეს აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტი, ა. ვახვაზაშვილი, რომელთანაც ჩამომხტარი იყო ეგნატე; სამსონ კანდელაკი—ეგნატეს პირადი მეგობარი, რომელთანაც ერთად წავიდა ის საფრანგეთში. ეგნატეს წერილთან ერთად იმავე კონვერტით წერილი გამოუგზავნია ამ კანდელაკსაც, რომელშიც ამცნევს სიო კალანდაძეს მისსა და ეგნატეს მდგომარეობას მონპელიეში.

8) წერილი პეტრე უმიკაშვილისადმი

ძვიფასო პ. პეტრე იოსებისძე!

თქვენი წერილი მივიღე. დიდ მადლობას მოგახსენებთ კეთილ დარიგებისათვის. თქვენი ერთი სიტყვაც ძვირფასია ჩემისთანა გამოუცდელი, კალმით მოვარჯიშისათვის. თქვენი წერილი რამდენიმეჯერ გადავიკითხე. უნდა მოგახსენოთ, გული გამითბო, გამიზხნევა, მისმა გულ წრფელმა მამობრივმა კილომ. ამ წერილს ისე შევინახე ჩემ სიკვდილამდე, როგორც ერთ ძვირფას განძს.

რაც შეეხება ყაჩაღობას ჩვენს სამშობლოში და კერძოთ გურიასში, მე თანახმა ვარ, რომ აქ, დღევანდელ გარემოებას ვარდა, შთამომავლობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი (საქართველოს) ისტორიული ცხოვრება ისეთი იყო, რომ ყოველად შეუძლებელია იმისაგან ტრადიციულად გადმოცემული ცუდი ზნე-ჩვეულება ასე ადვილად ამოიფხვრას ჩვენში. ჩვენს ხალხში ტრადიციულად გადმოცემული ცუდი ჩვეულება და ინსტიქტი, რომ გაიწმინდოს, ამისათვის კიდევ რამდენიმე საუკუნეა საჭირო.

მაგრამ ამასთან ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ დღევანდელი გურიის ხალხის საყოველთაო ყაჩაღობის მიზეზი იმდენად შთამომავლობითი ცუდი ინსტიქტი არ არის, რადენათაც სოციალური და ადმინისტრატიული წესწყობილება. დასამტკიცებლად ამისა ისიც კმარა, რომ სამოციან და სამოცდ ათიან წლებში,

როცა შედარებით ეხლანდელთან გვიანნი კარგი მაზრის უფროსები იყო და როცა ხალხს სწამდა შრომით და გარჯილობით ხერიანად მოვაწყობთ ჩვენს ცხოვრებასო, გურიაში ყაჩაღი არ მოიპოვებოდა. მაგრამ გვიანში, გაცი-რუვდა იმეუები, იმ დროინდელი რბილი ადამინისტრაცია შერცელდა სასტიკს, ხალხის წეურაცმყოფს ადამინისტრაციანად, მაზრის უფროსებმა წალმა და უკულმა, ბრალზე და არა ბრალზე—დაუწყო ხალხს მათრახით ცემა და გურულ-მაც, ამპარტავანმა გურულმაც, ველარ მოითმინა, — „ამ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს“ო სთქვა და აიღო თოფი ხელში. ვინც ახლო იცნობს დღევანდელ გუ-რიას ყოფა-ცხოვრებას, ის, რა თქმა უნდა იმისთანა „დანოსი“ სებურ ფელე-ტონს არ დასწერს გურულეებზე, როგორც გუშინ წინ სანოს (სტ. ჭრელაშვი-ლის) ფელეტონი იყო „ივერიაში“, ის გურიის ხალხს კი არა, დღევანდელ წესწყობილებას დასდებს ბრალს გურიაში ფირალობის გამო.

მე, რასაკვირველია, სრულიადაც არა მაქვს პრეტენზია მაზედ, რომ ჩემს „სიმონა“-ში სრულად ყოფილიყოს დახატული დღევანდელი გურიის ხალხის მდგომარეობა. მე მეტრე ამისათვის საკმაო ძალაც არა მაქვს და მერე კიდევ-თუნდა ძალაც მქონდეს, სად შემძლია დინჯად და ძლიერ დაკვირვებით ვხატო ხალხის ცხოვრება, მაშინ, როცა ლუკმა პურისათვის მოუსვენრად იჭით-აქეთ-გწანწალეზე? ძლიერ უკაცრავად დამჩნა „ივერიის“ რედაქცია: აგერ რაღაც ათი-თვის განმავლობაში ოთხი (დიდი და პატარა) მოთხრობა და ერთი დიდი სტა-ტია დაღესტნის შესახებ დაბეჭდა ჩემი, დაბეჭდა და თან ჭებასაც მეუბნებოდა—კარგია შენი ნაწერებო, მაგრამ ფულად. კი ერთი გროში არ გამოიმეტა ჩემთ-ვის. რა უშავდა მცირეოდენი ხელფასი მოქცა, ამით მეც საშვალეა მომეცმო-და შემდეგაც დამეწერა რამე. რომ ისე ღარიბი იყოს „ივერიის“ რედაქცია, არ შეეძლოს თანამშრომლისათვის ფულის მიცემა, მაშინ მეც არ დამწავდა გულს. მაგრამ სხეებს კი აძლევს და მე რაღა ვიყავ? ოუ კი ჩემი ნაწერი რაღაც ათი თვის განმავლობაში ოცდა ორი ფელეტონი მიაწოდა მკითხველებს, ური-გობა იქნებოდა, რომ ორიოდ გროში ჩემთვისაც გაემეტებია? არ ქნეს და ეს იყო მიზეზი, რომ გუშინ უარი მოვსწერე, — თქვენს გაზეთში არაფელს დავებეჭდავ მეთქი. ბრძანდებოდეთ ნეტარებით თქვენი ერთგული ეგნატე ინგოროყვა.

P. S. უკაცრავად. ამ მცირე წერილში ვერ მოვახერხე საკმაოდ მეზიანა თქვენთან: ეგნატე.

ეს წერილი აღმოჩნდა პეტრე უმიკაშვილის არქივში, რომელიც პროფ. ფ. გოგიჩაიშვილთან ინახება. (უღრმესი მადლობა პროფ. ფ. გოგიჩაიშვილს ამ წერილის დედნის ვადმოკემისათვის) სამწუხაროდ, პეტრე უმიკაშვილის წერი-ლი არ არის შენახული. იგი, ალბად, ეგნატეს არქივთან ერთად დაიღუპვა.

ეგნატეს ეს წერილი დაწერილია 1892 წლის თებერვლის 14 ს. (თვით წე-რილის დედანზე პ. უმიკაშვილის ხელით მოწერილია: „მოვიღე 18 თებერვალს 1892 წელს“).

პეტრე უმიკაშვილი (1878-1904). 60-იანი წლების ერთ-ერთი ცნო-ბილ მოღვაწე მწერალია 80-იან წლების მეორე ნახევარში იგი მსახურობდა ნ. ლოლობერიძის ზენტაფონის კანტორაში, სადაც გაეცნო ეგნატე ნინოშვილს.

მისი წერილი გამოუწვევია ეგნატეს მოთხოვნას „სიმონას“, რომელიც „ივერიის“ 1892 წლის იანვრის ნომრებში დაიბეჭდა ფელეტონებად და რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მკითხველ საზოგადოებაზე. ყაჩაღობის-ფერაღობის შესახებ ეგნატეს მთელი რიგი წერილებისა ჰქონდა მოთავსებული 1888-89 წლების „ივერიაში“ (იხ. ქვევით).

წერილში მოხსენებული სანო—არის ცნობილი პუბლიცისტი სტ. ჭრე-ლაშვილი, ერთ დროს ნაროდნიკი და აღნიშნულ პერიოდში კი გაზ. „ივერიის“ უახლოესი თანამშრომელი და მისი იდეოლოგიის მოზიარე. ნინოშვილის მიერ დასახელებულ წერილში („ქართველთა შარის“) სანო აღნიშნავს, რომ გუ-რია ყოველი მხრივ კარგ მდგომარეობაში იმყოფება,—მდიდარი ბუნება, სააღმ-შიცემო-გზები და შავი ზღვა, და მრავალი სხვა. მშვიდობიან მდგომარეობასთან ერთად, ხელს უნდა უწყობდეს გურიის წარმატებასა და ეკონომიურ აყვავებას; მაგრამ გურიის ხალხი არ სარგებლობს ამ მშვიდობიანი, ხელსაყრელ პირობებით, და ნაცვლად ენერგიული შრომისა თოფს ჰკიდებს ხელს საყაჩაღოთ. სანო სრულიად ვერ ხედავს, ან არ სურს დაინახოს, რომ ყაჩაღობა სოციალ-ეკონო-მიური და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული პირობების შედეგი იყო გურიაში. ყაჩაღობის მიზეზებს იგი გურული ხალხის ფსიხოლოგიურ განწყობილებაში ეძებდა სანოს ამ წერილს ძლიერ აღეშფოთებია ეგნატე. სანოს—წერილი და-ბეჭდილია „ივერიის“ 1892 წლის 12 თებერვლის ნომერში.

1891 წლისა და 1892 წლის თებერვლამდე „ივერიაში“ ეგნატემ მოათავსა შემ-დეგი თავისი მოთხოვნები: „არ შიკნი“; „უცნაური სენი“, „პალიას-ტომის ტბა“ „სიმონა“ და „წერილი დალესტნიდან“. ამ ნაწე-რებში „ივერიის“ რედაქცია ეგნატეს ჰონორარის მიცემას პირდებოდა მაგრამ არც ერთი კაპეიკი არ მიუტანა: მიუხედავად იმისა, რომ ეგნატეს ნაწერებს ხალხი ძლიერ ეტანებოდა და „ივერიის“ მკითხველთა რიცხვი ამით საგრძნობათ გაიზარდა, მისმა რედაქტორმა ი. ქავკავაძემ ჰაინც არ მოისურვა ულა-ობებს მწერლისათვის თავისი გასამრჯელო მიეცა და ამით ხელი შეეწყო მისთ-ვის.

შემდეგში უფრო საინტერესო წერილებსა, და მასალებს გამოვაქვეყნებთ „ივერიისა“ და ეგნატეს შორის დამოკიდებულების შესახებ.

სამწუხაროთ ეგნატეს წერილები „ივერიის“ რედაქციისადმი დღეს-დღეო-ბით დაკარგულია. ჩვენ ყფიქრობდით, რომ იგი აღმოჩნდებოდა გრ. ყიფშიძის არქივში, მაგრამ თვით ეს არქივი აღმოჩნდა სრულათ განადგურებული.

II. ეგნატი ნინოშვილის წერილები გაზ. „ივერიაში“.

ქვევით ჩვენ ვაქვეყნებთ ეგნატეს რამდენიმე წერილს, რომელიც მოთავსე-ბულია გაზ. „ივერიაში“. ეს წერილები დღემდე სრულიად უცნობი იყო, მაგ-რამ მისი ახალი ფსევდონიმის ე-ი-ს გახსნამ და „ივერიის“ ნომრების ხელ-ახლა გადასინჯვამ საშვალემა მოგვცა ამ წერილებზე ეგნატეს ავტორობა და გვედ-გინა.

უკვე ცნობილია, რომ ეგნატე 1887 წლიდან თანამშრომლობდა გაზ. „ივე-რიაში“. პირველი მისი წერილი—„გურიის ამბები“—ფელეტონად დაიბეჭდა

ეგ-ინ—ის ფსევდონიმით „ივერიის“ 1887 წლის ნომერში (№ 165). შემდეგ, მისი კერძო წერილებიდან ჩვენ ვიცით, რომ იგი 1888 წელს იაც გზავნიდა წერილებს „ივერიაში“. სამწუხაროდ ყველა ამ წერილების დადგენა ვერცხვით შესაძლებელია ამჟამად. ახსანიშნავია, რომ ზოგიერთ წერილებს რედაქცია ამოკლებდა და სრულიად ხელმოუწერლად ათავსებდა გაზეთის „ახალ ამბებში“.

მკითხველის საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ აქ გამოქვეყნებულ წერილებს ჩვენ ამჟამად უკომენტარიოდ ვებუქდავთ. ვრცელი კომენტარიები ამ წერილებს გაკეთებული ექნება ეგნატე ნინოშვილის აკადემიური გამოცემის^{*)} მესამე ტომში, სადაც მოთავსდება ეს წერილები ვრცელი შენიშვნებითა და განმარტებებით.

აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ ამ კორესპონდენციებში მოყვანილი ზოგიერთი ცნობა ეგნატეს გამოუყენებია შემდეგ თავის მოთხრობებში; მაგ. „გოგია უიშვილი“, „სიმონაში“ და სხვ.

წერილი პირველი

გურია*)

როგორც ყველგან, ისე გურიაშიაც გზები (გარდა რკინის გზისა) და ბოგირები გლეხ-კაცის შრომით გახლავსთ გაკეთებული. ვინ მოსთვლის რამდენი სიმწარე და მწუხარება უნახავსთ გზის საკეთებლად გაწვეულს გლეხებს! რამდენს თოვლ-ქაპიანს და ყინვიანსა ტაროსებში გდებულან უსახუროდ ტრიალს ბინდორში! ვინ მოსთვლის იმასაც, რამდენჯერ გზის საკეთებლად გაწვეულ გლეხებს: „ნახირატელის“ ოჯახშიაც უმსახურნია მთელის კვირაობით, უზიდაეს წყალი, შეშა, ფქვილი და სხვანი „ნახირატელის“ ოჯახისათვის. მაგრამ ამ უკანასკნელ დრომდე რაკი, გზის კეთება მარტო გლეხების მკლავზედ იყო დამოკიდებული და არა იმისთ ჯიბეზე, ისინი როგორც იყო უძლებდნენ ყველაფერს. ამ უკანასკნელ დროს კი, გლეხების სამწუხაროდ, სულ სხვანაირად გადატროილდა საქმე: ერთმა ხერხიანმა კაცმა, რომელსაც გზის საქმეში ხელი მჭონდა, მოიფიქრა: მოდი, გლეხებმა თავიანთი ბარ-ნიჩბები იქით წაიღონ და სამაგიეროდ გზების გასაკეთებლად თეთრი ფულები მოიტანონ; მერე, რაკი ფულები ბლომად იქნება, გზებს—კი არა, რაგინდა, რომ მე ვერ გადავკეთოვო. ამის მოფიქრება და აღსრულება ერთი იყო (რადგანაც მომფიქრებელი აბირებული ვინმე არ ვახლავსთ). „ტარშინებმა“ გამოუტყდადეს გლეხებს—გზის საკეთებლად გაწვევა გვიპატრონებია, მაგრამ სამაგიეროდ გზის გასაკეთებელ ფულებზე ბევრი ქინკილ-მინკილი არ იყოსო! რამდენიც ვიბძანოდ, მოიტანეთ, ასეა ბრძანებოაო. აქ—კი დაადგათ გასაქირის ოფლი ჩვენს გლეხებს. ფულით გზების კეთება ჩვენ სად შეგვიძლიან, მამასახლისო? ჩვეულებრივის თავის ფხანით უკასუხებს გლეხობა:—ჩვენი ფული ჩვენივე მკლავიაო. „ტარშინებმა“ ამ პა'უბს ყურიც არ ათხოვეს, გაუსიეს სოფლებს თავიანთი „პომოშნიკები“ და ყოველ ორს თვეში თითო ჯერ მაინც ახდევინებენ გლეხებს ოჯახეულობაზედ ორს-სამს მანათსა და მეტსაც. ასე და ამგვარად დღეს გურიაში გზების გაკეთება გლეხობისთვის წინანდელზე ოცჯერ უფრო ძნელია, მაგრამ სამაგიეროდ გზის „ნახირატელსა“ და „პოდრაჩისა“,—კი გაუადვილდათ საქმე. აი ეს არის ოსტატობა, აი!

*) „ივერ ა“ № 201, 1888 წ.

ვის არ ახსოს, რა შიში და მოძრაობა დაჰბადა შარშან გურიაში მიწის ძვრამ! პარასევცი, შაბათი, მკვდარი, ცოცხალი — სულ ყველა აქავეს ამ მიწის ძვრის სახელობაზედ. ბოლოს ძლიერ-ძლიობით დაიწყნარეს გურულენის გულს და მოუბრუნდნენ თავიანთს საქმეს. მაგრამ დახე, იმოდენა ქთამშა და საჩუქრებმა სულ ამოდ ჩაიარა და ამ მდგომარე სექტემბრის 14-ს განთიადისას ამ დაუნდობელმა დედამიწამ ქე არ შეიანძრია გურიაში თავისი ზურგი! წინანდებურადვე შინმა შეიპყრო ჩვენი მკვირცხლი გურულენი, მართალია, მიწის ძვრა ისე მძლავრი არა ყოფილა, როგორც წარსულს წელს, მაგრამ შინს დიდი თვალები აქვს.

— მოგვაკითხა, ძამიანე, და მინც მოგვაკითხა! პაწაი რომ კიდევ გაქანე; ბულიყო კვერცხსავით გასკდებოდა,

— ამბობენ ბევრი გურიაში ამ მიწის ძვრის შესახებ. სამწუხარო ის არის, რომ ვისაც ძველი, ფეხებ-შერყეული საწოლი აქვსთ, ისინი 14 სექტემბრიდან მოყოლებული ყოველ დამე ჰგონობენ მიწის ძვრას რადგანაც თავიანთი საწოლის რყევნ მიწის ძვრა ჰგონიათ, და ხალხს აშინებენ:

— ამ ხელა კაცი მოვიხარე, და ამდონი მიწის ძვრაც აღარ მინახავს! ფარსავი აღარ მოელის ქვეყანასო, ამბობს ხან ერთი და ხან მეორე.

თუ რა ქთამშა და საჩუქარს გაიმეტებენ ამ ხელად ამ მიწის ძვრის სახელობაზედ ჩვენი გულ-უხვი გურულენი. ეს — კი არ ვიცი, თუმცაღა — კი იმედია, დაუსაჩქრებელს არც ეხლა დასტოვებენ მეუფეს.

ე—ი.

წერილი მეორე

პურიან *)

გასულ ზამთრიდგან დაწყებული ვიდრე ამ მდგომარე ოქტომბრის თვემდე ძალიან კარგი ამინდები დაიქარა გურიაში; არც ნამეტანი წვიმები იყო, არც ნამეტანი გვალვა და არც ძლიერი ქარი. ამ ოქტომბერმა — კი წვიმები დაიწყო, წვიმებით გაატარა და ამ ბოლოს კიდევ ჩამოგვითოვლიანა, დღეს 31 ოქტომბერს გურიის არე-მარე თოვლით მოთეთრებულია (ოქტომბრის თვესა გურიაში თოვლი ძლიერ იშვიათი ამბავია!) მაგრამ ამ ერთი თვის ავი ტაროსი არაფრად გამოსჩნდება, რომ შევადაროთ გასულ თვეების ნასიკეთაწარს, სწორეთ ღეთის შეცოდება იქნება, რომ გურულმა კაცმა წრევანდელ ამინდებზე და მოსავალზე საყვედური თქვას. როგორც ჩვენში იტყვიან, წელს წმ. ელიამ სიკეთის თვალთ მოხედა გურულენს და წმ. გიორგიმ კი — სიუხვის კალთა დაიბერტყა ჩვენს ყანებში. გურულმა მუშებმა გამოკატრეს თავიანთი ნალიები (სასიმინდოები) ღომ-სიმინდით, „პამეშჩიკებმა“ და მათმა მოურავეებმაც ხომ მუშებზე უიდეე უფრო მოითბეს ხელი წლევანდელის მოსავლით.

სამაგიეროთ ბახუსი ძალიან მოწყენილი და დაღვრემილი შეგვექნა; რადგანაც გურიაში ვიზები ნაცარმა სულ ერთიანად შემუსრა. ის დალოცვილი, აქამდე დაუნებელი, „ადესაიცი-კი“ (იზაბელას ვაზი) დაჭირიანდა და იშვიათად თუ ვისმე ახალწლამდე სამყოფი მოსვლოდეს. არ ვიცი — კი, ღეთის წინაშე, წელს

*) „ივერი“, № 236, 1888 წ.

რით-ღა ჩაიშხიარულებენ ხაზას, „აბადელას“ დროს, ჩვენი შხიარული გურულები? ნიშანში-კი ეტყობათ, რომ რუსული „აჩინენაია“ უნდა შეჲყუდუნე ზმარებაში. აბა როცა ეს ფიცხელი სასმელი (არაყი) და ფიცხელი გურუჯებმა: ქრთქი და შეიყ-რებთან მაშინ ენახავთ სეირას, მაშინ შევესწრებით ხანჯლების ტრიალს.

მორჩნენ რა ნამუშევერის აღებასა და მოიშუყეს რა გული კარგის მოსაგლით, გურულები ეხლა წუნს უღებენ თავიანთის ეკლესიების შენობებს—ძველია, არ გვეკადრება, უკეთესი ავაშენოთო. ოცამდე სოფელი კი იქნება დღეს გურიაში, რომ ეკლესიების ქვიტკირის შენობების აგებისათვის ფაცი-ფუტკობს და ათასობით ფულს აგროვებს ამ საგნისათვის; თვითეულ კომლზე ასი-ორასი მანეთი გააწერეს, თუმცა-ღა ღარიბები კი წიწმატობენ—არ შეგვიძლია აბდენი ფულის გადახათა, ამდენი ფული რომ გადავიხადოთ, სულ გავნადგურდებით, ფუტი (კომლი) გა-გვიცივდებოა, მაგრამ, როგოც ყველგან, ისე ჩვენშიაც ღარიბ-უბედურის სურ-ვილი მდიდარ—შემღებულის სურვილის კული გახლავთ.

ეხლა საქმე იმაზე მიდგა თუ რომელს ადგილას ააშენონ ახალი ეკლესიები. ადგილის გამორჩევამ დასდასობა და დავიდარება გამოიწვია. ყველა კულა-მწყერა ჩვენებურს მდიდარს უნდა, რომ ეკლესია მის სიახლოვეს აშენდეს. ამ გვარმა სურვილმა და დას-დასობამ ამას წინათ იმხზვერპლა აქაური ერთი გამოჩენილი კაცი, რომელიც ერთის დასის მოთავედ ითვლებოდა.

დას-დასობის საქმე მეტად გაამწყვავეს დედაბრებმა, რომელთ ღამ-ღამო-ბით ანგელოზები ეცხადებათ და ეუბნებიან: აქა და აქ უნდა დასდგან ეკლესიაო. საქირ-ბოროტო ის არის, რომ ყველა დასს თავიანთი სახელგანთქმული, ანგე-ლოზთან მოსაუბრე დედაბერი ჰყავს და ერთი დასი შეორეს არ უჯერებს, რად-განაც თავისის დედაბრის სრუკეები შიანია ქვეშარიტებად. ღმერთმა ჰქმნას, რომ მშვიდობიანად და უსისხლოდ დაბოლოვებულოყოს ეს საქმე ჩვენში! თუმცა-ღა-კი ჩვენ ჩვენობით იმედი არა გვაქვს ასეთს გამწვავებულის საქმის მშვიდო-ბიანად დაბოლოვებისა, მეტადრე მაშინ, როცა საქმე მივარდნილია ისეთს მო-ციქულებზე, როგორიც სოფლის დედაბრებია!..

ყველა ყველა, მაგრამ ამ ვილაც ყაჩაღებმა შიშის ზარი დასცეს დღეს გურიის მკედართ; ამ ყაჩაღებს შიშით დღეს ჩვენში ზუთი-ექვსი კაცი თუ არ არის ერთად, ისე გზად წასვლას ველარავინ ჰბედავს; ქალები და ბავშვები სახ-ლიდგან ველარ გამოქაქანებულან, ზოგიერთები ვერც თავიანც სახლში გახლავან უშიშრად. აგერ ერთი კვირა არ არის მას შემდეგ, რაც სოფ. ჩოხხათში ერთის გლეხის ჯალაბს დაეცენ ყაჩაღები, საწყალი სახლის უფროსი სულ ერთიანად დაჰკებეს, თუ რომ ნიეთი ებადათ წაართვეს და გაუღღუნენ გზას. ხარსა, ძროხა, და სხვა საქონლის მოპარვას ზომ საზღვარი არა აქვს; ოზურგეთის სიახლოვეს ისე დღე არ გაივლის, რომ ვისმე საქონელი არ მოჰპარონ.

სამწუხარო და თან სასაცილო კიდევ ის არის, რომ ზემოხსენებული ყაჩა-ღები ზნეობითს მოძღვარობასაც ჩემობენ. „ადამიანს“, რომლის ჯიბეებს ეს ყაჩა-ღები „ობისკ“ ს უშვებინან, თუ არაფერი აბადია, ესე იგი ან ფული და ან ნიეთი არა აქვს, სულ პანდურის ცემით დაჰყვენ, —როგორ იქნება ასე ხელ-ცარიელი გზაში წასვლამ მუორეხელ არ მოგივიდეს ეგ ბაიყუშობა, თორემ სულს ამოგწვდიოთ!

— რა ვქნა ღარიბი ვარ, არაფერი გამაჩნიაო, ვმუდარებო თურმე ვაჩალებს ამ გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანი, მაგრამ თქვენც არ მომიკიდეთ, სანამ კარგა არ შეზელენ, მანამ არ მოეშებებიან.

— ნუ ზარმაცობ, გაანძრე ხელი და აღარ იქნები ღარიბო, დაბარებენ თურმე ეს თავ-გასული მორალისტ-პოლიტიკო-ეკონომები, მიატანენ კიდევ რამდენსამე პანდურს და გაისტუმრებენ.

გ. ი.

წერილი მესამე

გ უ რ ი ა *)

ავერ რამდენიმე წელია მას აქეთ, რაც ლანჩხუთელებმა განიზრახეს ორკლასიანი სასწავლებლის დაარსება, იმ ხელად, ლეთის წინაშე, უნდა ვსთქვა, ძალიან კარგათ დაიწყეს საქმე, კლასებისთვის კარგი, სუფთა ოთახებიანი. სახლი უნდა აეგოთ და კარგი მასწავლებლები უნდა მოეწვიათ. ასე გასინჯეთ, სასწავლებლის მოსამსახურე ბიჭებიც რჩეულნი უნდა ჰყოლოდათ. ასე იყო იმ თავითვე ლანჩხუთის რჩეულთა აზრი და ვინ ენა-ყბედი გაჰბედავდა მაშინ იმის თქმას, რომ ეს განზრახვა ლანჩხუთელებისა აუსრულებელი დარჩებაო. ყველანი სიხარულით მოვივლოდით—იი ლანჩხუთელები გაჰპართავენ ორკლასიანს სასწავლებელს, გააჩაღებენ სწავლა და ლანჩხუთელ მოსწავლეებთან ერთად, იქნება, გარეშე სოფლელების ბავშვებსაც ჰხედეს ერთი-ორი მონაგარდი სკამიო. მზად ვიყავით ლანჩხუთის ახლო-მახლო სოფლელების მცხოვრებლები, რომ, როცა ლანჩხუთელები სკოლის საქმეს შეუდგებოდნენ, ჩვენც ჩვენის მხრივ, რაც შეგვეძლო, შემწეობა ვაგვეწვია იმათთვის. გავიდა რამდენიმე წელი. ლანჩხუთელებმა ამ ხნის განმავლობაში ბევრი საქველ-მოქმედო საქმე ჩაიდინეს, ბევრი სასაფლაო გადათხარეს—კენესა ისმის სასაფლაოდგან და უუქველად მიცვალებულებს ბატონები დამართებოდათო,—ბევრი „პრიგოვორები“ შეადგინეს „მარხვის მჭამელებისა“ და „პარასკევის გამტებლების“ დასასჯელად, ბევრი დედაბრების წინასწარ-მეტყველება—ქადაგება ისმინეს, ბევრი, ბევრი ამისთანები მოიმოქმედეს, მაგრამ ორკლასიანი სასწავლებელი-კი არსად არის!!! რატომ? რამ შეუშალა ხელი? ნუ თუ „პრიგოვორები“-ს წერასა და სასაფლაოების თხრას ეგ კეთილი განზრახვა შეესრულებინათ, ის არ სჯობდაო? იკითხავს მკითხველი. დიად სჯობდა. ამაზე თვითონ ლანჩხუთელებიც დაგეთანხმებათ, მაგრამ რა ვუყოთ? ლანჩხუთელებმა ორკლასიანი სასწავლებლის დაარსების შესახებ იმდენი ფიქრის, რომ ამ ფიქრში აზრი დაივიწყეს და ორკლასიანი სასწავლებლის მაგიერ კაცებმა ვერცხლის ქამრები გაიკეთეს, ქალებმა—ტურნურები და ამით დასრულდა საქმე, ღმერთმა ჰქნას, რომ ამ გვარობას აშორებოდნენ სოფ. ბახვისა და ბასილეთის (ოზურგეთის მაზრაში) მცხოვრებლები, რომლებსაც განუზრახავთ ორკლასიანი სასწავლებლის დაარსება.

„ივერიის“ მკითხველებმა უკვე იციან რაც შავი დღე შეასწრეს ყაჩაღებმა გურიას: ზოგს სჭირდნენ, ზოგს ჯიბეს უტალხერებდნენ, ზოგს აპანდურებდნენ და ვინ იცის რაებს არ სჩადიოდნენ გამგელებული ყაჩაღები. ამ ყაჩაღებისაგან შეწუხე-

*) „ივერია“ № 275, 1888 წ.

ბულ გურულების წყვეა-კრულვა ცასა სწვდებოდა. ამასობაში მოაბლოცა ბატონი კალანდა, აბა ვინ არ იცის, რომ გურული კაცი კალანდის სიხარულით, დრომდე მაინც, ყოველსავე ტანჯვას იფიწყებს ხოლმე. ეხლა ვილას ახსოვდა მწიკვლები! ყველანი საკალანდოდ მზადებას შეუდგნენ: საკალანდო ხორბტისათვის ეჭმ და-ტვირთულ ურემს მიაკრიალებდა ქ. ფოთში, ანუ ქ. ოზურგეთში, ვინ „საქი-რაოს“ მიდიოდა, ვინ ფულს სესხულობდა. ქათმები და ღორები ხომ დიდი ხანია ყველა ოჯახებმა ჩაასუქეს, მოეწყო რალა საქმე, კალანდის მომზადებას რამდენიმე დღე-ლა აკლია. და აგერ მთელს გურიას მოედება ლხინი და ქეიფი, დავიძა-ხებთ „აბა დელა“, „ხასან ბეგურას“, „მრავალ-ქამიერ“ და სხვა. მაგრამ დახე ამ უსინდისო ყაჩაღების მოწყალებით როგორ უტყბათ ჩაშხამდა გურიას ეგ მზადება, ეგ სიხარული! ყაჩაღების შესაპყრობად გურიის სოფლებში მობრძანდნენ ბატონი უფროსები. უფროსებს მოჰყვენ ყაზახ-რუსები, ჩადგნენ აქა-იქ სოფლებში და გამოუტყბადეს მამასახლისებს—ხარჯი სოფლებმა უნდა გვაძლიონო. ამ ბრძანების ძალით მამასახლისები დადიან სოფელში, თან უტყბადებენ ხალხს—ეკუციას (ვი-თომ-და ეგ ზეკუციას) ხარჯი უნდა აქამოთო და თან ჰზოცვენ ძროხებს, ღორებს, ქათმებს, ბატ-ინდოურებს და მიაქვთ ყაზახ-რუსებისათვის (ზოგი თავისთვისაც). ასე და ამ გვარად წაეიდა ხელთაგან კალანდის ტაბლა! კალანდის სახელობაზე ვასუქებულები ყაზახ-რუსებმა მიირთვეს, ანუ სხვა გვარად რომ ვსთქვათ, რაც ყაჩაღებს მოურჩათ, „ეკუციას“ მოუნდა.

— ყაჩაღებს ხომ მაინც შეიპყობდნენო? იკითხავს ვინმე. შეპყრობით კი არ შეუპყრიათ, პირ-იქით, ყაჩაღების რიცხვს თითო-ორ-ორი ყოველ კვირაში ემატება, რადგანაც ოზურგეთის საპატიმროს კარები, როგორც ეტყობა, ძლიერ სუსტია.

ე. ი.

წერილი მეოთხე

ხმა გუჩიიდან *)

ვერაფერი სასიამოვნო ამბებია გურიაში! ბოროტმა სულეებმა და უსრომლად დიდის ლუკმის მულაპავემა ქვეყნის მტერმა ყაჩაღებმა ეს-ეს არის აგვიკლეს და დაგვაწიოკეს. შენს მტერს ღმერთმა ისე გაუჭიროს, როგორც ჩვენ საქმე გავივ-რებელი გვაქვს და მოსვენება დაკარგული შეგვკვამეს ერთიან, ჩაგვნთქეს და დაგვაფრთხეს ამ ღვთის მტრებმა.

ისე მოშინაურდნენ, რომ უბრალო სოფლის კაცისაგან ძნელი გასარჩევი არიან; ირვეიან და დანავარდობენ სოფლებში, დაბებში და ქალაქებში. ვერა-ფერმა ვერ შეაშინა. მთელი მაზრა ხელში ჰყავთ მომწყვდეული, დამორჩილებული და ყველას იმათი ეშინიან. „სტრაჟის“ შემოღებამ არამც თუ შეაფერხა ივ-კა-ცობა, პირიქით გააღესა და გააძლიერა უფრო. აკი ამას წინად მოგახსენებდით, რომ ასეთი წესით ყარაულობის შემოღება ჩვენში წყალ-წაღებულის კაცის ხე-სისთვის ხელის წავლება და საქმეს, თუ არ არევ-დარევეს, არაფერით არ გააუშ-

*) „ივერია“ № 186, 1889 წ. ეს წერილი ხელმოწერულია: ვფიქრობთ, რომ იგი უნდა გულთხოვრად ვგნატეს კალანდას. ს. ხ.

ჯობესებს-მეთქი. ისე ყველაფერი საკეთილო საქმე თქვენ აგიხდით, როგორც მე წინასწარმეტყველება ამიხდა, რადგან ამას დიდი შორს—მხედრობა არ სჭირდება, ამიტომ მე არც თავი მომწონს. მხოლოდ საქმე ის განსწავლეთ, რომ ხალხი ორ ანტიანელ ტვირთ ქვეშ იზიკებო: ერთის მხრივ საყარაულო გადასახადი აწუხებს და მეორეს მხრივ—ყაჩაღების ონავრობა. რომ „სტრატის“ შემოღების შემდეგ იმატა გურიაში ავ-კაცობამ, ამის დასამტკიცებლად მარტო ჩამოთვლიაც საკმარისია იმ ბოროტ-მოქმედებათა, რომელიც ამ ბოლო ხანებში მოხდა.

სოფ. საჯავახოში გასტეხეს ე. ქორიძის დუქანი და გაიტანეს ყველაფერი, რაც შიგ იპოვებოდა. სოფელი დანაშავედ ისევ ყარაულებს ასახელებს ამ საქმეში, მაგრამ ღმერთმა იცის, მართალია იმისი დაწამება, თუ ტყუილი ესროლეს თოფი მახრის უფროსს შიგ ოზურგეთში და კინაღამ სული გააფრთხობინეს. კიდევ კარგი, რომ ტყვია უბის საათს მოჰხვდა და ქრილობა მსუბუქი გამოდგა. დაბა ჩოხატაურის მახლობლად საღამოს ეამს რამდენიმე შეიარაღებული კაცი დაპატრიებულ სტუმრებსავეთ ეწვივნენ ბ-ნს ს. ხუნდაძეს, შებრძანდნენ სახლში და მოსთხოვეს ვახშამი სტუმრის მოყვარე მასპინძელსაც მშვენიერი სუფრა გაუმართავს და სტუმრები შეუხარბოშებია. ნაებაშძვეს გაუმტყალებიათ იმისთვის, რომ ფულებისათვის ვართ მოსულნი და არა ვახშმისათვისაო. მაშინ კი იკბინა ნეკზედ მასპინძელმა, მაგრამ გვიანლა იყო. მიაბჯინეს ხანჯლები და „დააყაჭვინეს“ 227 მანეთი ფულად. ნიეთები თვითონ ყაჩაღებს მოუგროვებიათ სახლში და ჩაულაგებიათ, ხურჯინებში. ბოლოს ჩამოუღიათ კედლიდგან ხატი და ზედ დაუფიცებიათ მასპინძელი, რომ ამ ავ-კაცობასა არაფერი გაამეაფნოს და არც ყაჩაღები მისცეს მთავრობას ხელში. თუ მაინც და მაინც არ დაიშლიო—უთქვამთ ფიცის შემდეგ:— და გავგეცემ თავი მოამზადე საიქაოსათვისაო, და წაბძანებულან არბეინად. ეს საცოდავიც ვეღარა მხედავს ხმის ამოღებას ცალკე ფიცის შიშით და ცალკე მუქარის გამო, თუმც როგორც ამბობენ ყაჩაღები იცნოვო.

ამ დღეებში ს. ასკანაში დასცემიან ერთ რომელღაც ჩხეიძეს სახლში და გაუძარცვავეთ. ახლა ყურები დაცვეტილები გვაქვს, აცა საიღამ მოგვივა გაძარცვა-გაგლეჯის ამბავიო. ყველანი-კი მომზადებულნი ვართ სასხვერპლოდ. არა ნაკლებ უხეტიაევენ გულს ხალხს ყაჩაღები წერილებით: ხან ერთს მიუგზავნიან წერილს და სთხოვენ, ანუ უკეთ ვსთქვათ უბრძანებენ ამდენი და ამდენი ფული გამოგვიგზავნო და ხან მეორეს. ამბობენ, ყაჩაღების რიცხვმა იმატა და რამდენსამე დასადაც არის გაყოფილი. ჩვენში რომ იკითხო ამითი ასეთის გახელების მიზეზი, გიპასუხებენ: „იგენი“ „სტრატების“ ჯინზე შვრებიან ამ საქმესო, ყაჩაღები კიდევ ამბობენო: აბა შოვიდენ მაგი ყაზირალები და დაგვაკლონ რამეო. მართლაც ვერაფერს დააკლებენ. ამას წინად ხუთმა ყარაულმა ერთად მისაწრეს ერთ ყაჩაღ დათუნაიშვილს მისსავე სახლში. შეტევა ვერ გაუბედეს და წაფიდენ ყველანი მთავრობის შესატყობინებლად. იქ დარაჯობა ვერ გაუბედეს: არ გამოვიდეს, არ მოგვეკლასო, როცა რამდენისამე ხანს შემდეგ სახლს ჯარი შემოახვიეს, აღმოჩნდა, რომ შიგ აღარ იყო; ყაჩაღს გამოეძინა და წაბძანებულიყო ადრე ღამიან. იგიც კია სათქმელი „სტრატები“ არც ისეთ არიან მოკლილნი, რომ იმათის თქმისა არ იყოს, „ზდიონ ვინცხა გადარეულ ყაძახებს ტყეში“. მთელი დღე თითქმის სულ ძილს უნდებიათ. „ნეტაი ძილი არ დახოცდეს მაგ საცო-

დავებს, თუ არა ქორდების დაქვრას ვინ უყვითსო“, იტყვის გურული ხშირად საყარაულში გულ-აღმა წამოპარკულ ყარაულების გროვებზე და მგენის დაქვრულ ქორდს ხელ-მეორედ დაქვრვა უნდაო“.

„ერთი ცხვრისკენ თქვი მეორე მელიისკენო“, ამბობს ჩვენებური ანდაზა. ყოველთვის და ყველაფერში რომ ყაჩაღებს ვამტყუნებთ, ვლანძღვთ, ვაგინებთ და დავსტირით მარტო იმით ნასისხლარს და ამას ვახმარებთ ამდენს დროს, რატომ ერთხელ იმ მიზეზებზედაც არ დავფიქრებთ, რომელნიც ჰბადებენ ყაჩაღობას, მართალია, კაცი ზომ ყაჩაღად არ იბადება? ალბათ იზრდება და მერე ცხოვრება სწერთნის ყაჩაღობაში. მეტად საგულისხმოა გამოკვევა, რა მიზეზი აღებინებს კაცს ხელს საყვარელს ცოლსა და შვილზედ, მეზობელსა და ნათესაობაზედ, მშობლიურს მიწა-წყალზედ, მამა-პაპეულს ზნე-ჩვეულებაზედ და გაუყენებს განსაცდელითა და სატანჯველით სავეს გზას? არ გეგონოთ-კი, რომ ყაჩაღს თავისი ცხოვრება ტკბილ ცხოვრებად ჰქონდეს მიჩნეული, პირ-იქით, ჰგანძობს სატანჯველსა და ხშირად ნანობს თავის ავ-კაცობას იქნება, როცა დაფიქრდება, მაგრამ რა ჰქნას! სოფელ-ქვეყანაში თავი არ გამოეყოფა: ყველასაგან მოძულე-ბულია და როგორც გამკვრელ მგელს, ისე უცქერიან, რაკი ერთხელ ფეხი გადასცდომია სწორე გზიდან, მერე სულ უკუღმართად მიდის იმისი საქმე. ვერც იმას ვიტყვი, რომ ყაჩაღები ან გონებით, ან ჯანით სუსტები იყვნენ და რომ სიგიჟით სჩადიოდნენ ბოროტებას, მაშინ ამდენ მოხერხებასა და სიმარდეს ვერ გამოიჩენდნენ. მაშ როგორ უნდა მოეწყოს ჩვენი ცხოვრება, რომ მავნე და მაზარალბელთ მაგიერად საზოგადოებას ეზრდებოდნენ კეთილი და სასარგებლო მუშა-მოღვაწენი?! ვიცით, როგორც უნდა მოეწყოს, მაგრამ ჩვენ ვინა გვკითხავს...

შინაური ყაჩაღებიც დიდ ამბავში არიან. იკბინებიან და ივლიჯებიან რაკ-კი გაუვათ. ზომ ასეა ეს დასაქცევი, როცა დრო გაქვსატდება და სოფელში სიღარიბე ჩამოვარდება, მაშინ ყველა სოფლის წვრილი და მსხვილი მოხელენი, ერი და ბერი ყველა წაგლეჯასა ჰფიქრობენ და არაფერს საშუალებას არა ჰზოგვენ, რომ სხვებს პირიდგან ლუკმა გამოაცალონ. წელსაც ასე მოხდა ჩვენში: თავიანთ ბელობას სოფლის მოხელენი მარჯვედ ხმარობენ სისხლის გამოსაწოვ მანქანად. წელს სიმიინდმა, თუთუნმა და თითქმის ყველაფერმა სოფლის ნაწარმოებმა ფასი დაკარგა, ამიტომ ყველა ესენი მოქრთამე მოხელეებმა ფულზედ შესცვალეს და მეტად გამსუნევებულნიც არიან. ამასთან ისეთის ოინბაზობითა და ეშმაკურად იქცევიან, რომ თვით ჩოხატაურელი ადვოკატ-მწერლებსაც არ დაუვარდებიან ვერაგობაში. ცხადათ ეტყობათ იმ ავ-სულეების ზედ-გაღვინა. ნასისხლარ ტუჩებს რომ უხედავდა, ისე ხერხიანად იწმენდს სისხლს მოქრთამე, რომ მერე რა გინდა ეცადო, ვერას უზამ და პასუხს ვერ აგებინებ.

აკაც უნდა ვიკითხოთ: რა მიზეზი უმართავს ხელს ამისთანა. შავსა და ბნელს საქმეებს ჩვენს ცხოვრებაში? ქრთამებზედ და ადამიანის ყიდვა-გაყიდვაზედ იქნება სულ აშენებული ჩვენი სასამართლოები? ნუ თუ ხსნა არსით არის?!

არის ხსნა, მაგრამ ჩვენ ვინა გვკითხავს.



ქართული
კომუნისტური პარტია

ფრიდრიხ ენგელსი ლიბერალურის შესახებ

ენგელსის გამოუქვეყნებელი მიმოხილვა პაულ ერნსტთან.

წინასიტყვაობა მარკს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტისა. კომუნისტური ფ. შილერის.

ენგელსის წერილი, პაულ ერნსტისადმი მიწერილი, მთლიანად ჯერ არსად გამოქვეყნებულა; მისი ცალკე ნაწევრები დაბეჭდილია ენგელსის სტატიის „პასუხი ბატონ პაულ ერნსტს“, ს-დ. ვაზეთ „ბერლინერ ფოლქსბლატ“-ში 1890 წელს 5 ოქტომბერს.

წერილი დაწერილია ეჟრანლ „დი ფრაიე ბიუნე“-ს ფურცლებზე. ადრინდელ გერმანულ ნატურალიზმის პერიოდის ორი ახალგაზრდა მწერალის, გერმან ბარის და პაულ ერნსტის შორის წარმოებულ პოლემიკის გამო. პაულ ერნსტი იმ ხანებში ახალი შესული იყო სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

პოლემიკის საგანს შეადგენდა ქალთა საკითხი იბსენის დრამებში. ენგელსის წერილი, რომელიც პასუხია ერნსტის შეკითხვაზე პოლემიკის შესახებ, წარმოადგენს ენგელსის ერთ-ერთ საუკეთესო ანალიზს, გაკეთებულს კონკრეტულ სალიტერატურო მასალაზე; იგი მიმართულია უწინარეს ყოვლისა ერნსტის მექანიკური სალიტერატუროთმცოდნეო კონცეპციისა და მის მიერ „მეწიანობის“ სოციალური კატეგორიის ვულგარულ-ეკლექტიური ტრაქტოვების წინააღმდეგ. თუ როგორ ზედმიწევნით გაარკვია ენგელსმა ერნსტის მეთოდოლოგიური დაბნეულობა, რომლის მიხედვითაც ისტორიული მატერიალიზმი იქცეოდა თავის წინააღმდეგობად, იდეალიზმად, მოსჩანს ამ „მარქსისტის“ შემდეგი განვითარებიდან: 1890-93 წ. წ. ერნსტს მერყევი პოზიცია ეკირა პარტიაში, იგი თანაუგრძნობდა „ახალგაზრდათა“ ოპოზიციის წვრილბურჟუაზიულ, ანარქო-ინდივიდუალისტურ ლიდერებს, შემდეგ დასტოვა პარტია და სათავეში ჩაუდგა „ნეოკლასიკურ“ იდეალისტურ შკოლას ლიტერატურაში, ებლა იგი ფაშისტური მწერალა. მისი ძველი ოპონენტი გერ. ბერი კი განაციონალისტდა და გამოსტიკოსდა.

ენგელსის წერილს დღემდისაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა, როდესაც მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურის მკოდნეობის წინააღმდეგ ილაშქრებენ სხვადასხვა ჯურის მექანიკები და ეკლექტიკოსი „თეორეტიკოსები“.

მარკს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი.

ლონდონი, 1890 წლის 5 ივნისი.

მოწყალეო ხელმწიფე!

სამწუხაროდ მე არ შემიძლია შევასრულო თქვენი თხოვნა, რომელიც ჩემთვის ისეთი წერილი, რომლის გამოყენებასაც თქვენ შესძლებდით ბ. ბარის წინააღმდეგ. ეს მეც ჩამითრევდა აშკარა პოლემიკაში, რომლის გულისათვის მე მომიხდებოდა მომეპარა ჩემი თავისთვის ძვირფასი დრო. ამიტომ არის, რომ ყოველივე, რასაც გწერთ, დანიშნულია მხოლოდ პირადად თქვენთვის.

გარდა ამისა მე სრულებით არ ვიცნობ იმას, რასაც თქვენ სკანდინავურ ქალთა მოძრაობას უწოდებთ. ვიცნობ მხოლოდ იბსენის რამდენიმე დრამას და აბსოლუტურად ვერ წარმომიდგენია, რამდენად შეიძლება ჩავთვალოთ იბსენი პასუხისმგებლად ბევრად თუ ცოტად ისტერიულ [მისწრაფებათათვის ბევრად თუ ცოტად მომწიფებულ ნორვეგიულ ქალწულებს] გულმოდგინებისათვის ბურჟუაზიულ და მეშინურ კარიერისტ ქალებსა.

მთელი ის სფეროც, რომელსაც ჩვეულების თანახმად ქალთა საკითხს უწოდებენ, იმდენად ვრცელია, რომ შეუძლებელია მის შესახებ წერილის ფარგლებში გამოითქვას რაიმე ამომწურავი ან ოდნავ დამაკმაყოფილებელიც კი. მაგრამ ყოველშემთხვევაში ერთი რამეა ექვს გარეშე, სახელდობრ ის რომ მარქსს არ შეეძლო იმ „თვალსაზრისზე დგომა“, რომელსაც წას. ბ. ბარი მიაწერს ეს რომ ასე ყოფილიყო, მარქსი გიყი იქნებოდა.

რაც შეეხება თქვენს ცდას—მატერიალისტური ანალიზი გაგვეთბინათ საკითხისათვის,—უწინარეს ყოვლისა უნდა, ვთქვა, რომ მატერიალისტური მეთოდი იქცევა თავის წინააღმდეგობად, როდესაც მას იყენებენ არა როგორც სახელმძღვანელო ძაფს ისტორიულ გამოკვლევის დროს, არამედ როგორც მზა-მზარეულ შაბლონს, რომლის მიხედვითაც სკრიან და სთარგავენ ისტორიულ ფაქტებს. და თუ ბ. ბარს ჰგონია, თითქო თქვენ დანაშაულის ადგილზე დაგიჭირათ,—მე ვფიქრობ, რომ მას ზოგიერთი საამისო საფუძველიც მოეპოება.

მთელ ნორვეგიას და ყველაფერს, რაც იქ ხდება, თქვენ ათავსებთ მეშინობის კატეგორიაში და შემდეგ უკანმოუხედავად მიაწერთ ამ ნორვეგიულ მეშინობას იმას, რაც თქვენ დამახასიათებლად მიგანჩიათ გერმანული მეშინობისათვის. მაგრამ აქ ორი გარემოება აბრკოლებს საქმეს.

ჯერ ერთი, როდესაც მთელს ევროპაში ნაპოლეონზე გამარჯვებით აღინიშნა რეაქციის გამარჯვება რევოლუციაზე და როდესაც რევოლუცია მარტოოდენ მის სამშობლოში, საფრანგეთში; ჯერ კიდევ იმდენ შიშს იწვევდა, რომ უკან დაბრუნებულ ლეგიტიმურ ხელისუფლებას ხელიდან გამოგლიჯეს ბურჟუაზიულ-ლიბერალური კონსტიტუცია, მაშინ ნორვეგიამ შესძლო უფრო დემოკრატიული კონსტიტუცია მოეპოვებინა ბრძოლით ვიდრე ყველა სხვა იმდროინდელი კონსტიტუცია იყო ევროპაში.

მეორეც ის არის, რომ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ნორვეგიამ ისე ააყვავა ლიტერატურა, რომ მის მზგავსად არცერთ ქვეყანას არ შეუძლია იამაყოს გარდა რუსეთისა. მეშინებად ჩავთვლით მათ თუ არა, ყოველ შემთხვევაში ნორვეგიელები გაცილებით უფრო მეტს სულიერ განძებს ჰქმნიან, ვიდრე

სხვა ერები და თავის დაღს ასევე აგრეთვე სხვა ხალხების ლიტერატურასაც. მათ შორის გერმანულსაც.

თუ თქვენ ამ ფაქტებს ასწონ-დასწონით, მაშინ იძულებულნი იქნებით აღიაროთ, რომ ისინი საესებით ვერ ურიგდებიან ნორვეგულს მეშინების, მასთან გერმანულ ყაიდის მეშინების, კატეგორიაში მოთავსებას; ჩემის აზრით ეს ფაქტები ვალდებულს გვყოფენ უფრო ზუსტად განვმარტოთ ნორვეგიელი მეშინობის ნიშანდობლივი ბუნება.

და აი თქვენ ალბათ ნახავთ, რომ აქ თავს იჩენს დიდი განსხვავება. გერმანიაში მეშინობა ნაყოფია ვერ-მოხერხებული რევოლუციისა, შეწყვეტილი და შეკავებული განვითარებისა; აქ მეშინობამ მიიღო თავისებური, მკვეთრად გამოხატული ხასიათი სიმხდალის, გონების სიეწროვის, უილაჯობის, უმწეობისა და ინიციატივის მოდუნებისა ოცდაათწლიანი ომისა და მისი მომდევნო ეპოქის მეოხებით, მაშინ როდესაც ყველა დანარჩენი მსხვილი ერები უდიდესი სისწრაფით ვითარდებოდნენ. გერმანულ მეშინობას ეს ხასიათი შემდეგაც შერჩა, როდესაც გერმანია ხელახლად ჩაითრია ისტორიული განვითარების დენამ; იგი-საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა, მან თავისი დალი დაამშინა გერმანიის სხვა დანარჩენ საზოგადოებრივ ფენებსაც საყოველთაო გერმანული ტიპის სახით, სანამ ბოლოს ჩვენმა მუშათა კლასმა არ გააძლიერა ეს ვიწრო ჩარჩოები. გერმანელი მუშები სწორედ იმ მხრივ წარმოადგენენ ყველაზედ უკიდურეს „სამშობლოს უარყოფელს“ რომ მათ მოიგლიჯეს თავიდან გერმანული მეშინური კარჩაკეტილობა.

ამგვარად გერმანულ მეშინობაში ნორმალურ ისტორიულ ტიპს კი არ უნდა ვხედავდეთ, არამედ უკიდურესობამდე მიყვანილ კარიკატურას, გადაგარების ნიმუშს (მზგავსად პოლონელი ებრაელისა, რომელიც წარმოადგენს კარიკატურას ებრაელებზე. იგი კლასიკურია მხოლოდ უკიდურესად გამოკვეთილ და გადაჭარბებულ წვრილ ბურჟუაზიულ სახეში.). ინგლისელი, ფრანგი და სხვწვრილი ბურჟუა სრულიადაც არა დგას ერთ დონეზე გერმანელ ბურჟუასთან.

პირიქით, ნორვეგიაში წვრილი გლეხობა და წვრილი ბურჟუაზია, საშუალო ბურჟუაზიის მცირედი შენარჩევით—როგორც იყო მაგალითად ინგლისსა და საფრანგეთში მე-XVII საუკუნეში—მთელ რიგ საუკუნეთა განმავლობაში წარმოადგენენ საზოგადოების ნორმალურ მდგომარეობას. აქ არ შეიძლება ლაპარაკი რომელიმე მარცხით დამთავრებულ დიდი მოძრაობისა ან რომელიმე ოცდაათწლიანი ომის გამო განვითარების დაძვლებულ ეტაპებისაკენ ნაძალადევ დაბრუნებაზე. თავისი განმარტოებისა და ბუნებრივი პირობებისა გამო ეს ქვეყანა ჩამორჩა, მაგრამ მისი საერთო მდგომარეობა მუდამ შეეფერებოდა საწარმოო პირობებს და ამის წყალობით იყო იგი ნორმალური. მხოლოდ სულ უკანასკნელ ხანებში ამ ქვეყანაში სპორადიულად ჩნდება ჩანასახები მსხვილი მრეწველობისა, მაგრამ კაპიტალთა კონცენტრაციის ყველაზე ძლიერი ბერკეტისათვის—ბირჟისათვის—აქ ადგილი არ არის; მასთან ერთად კონსერვატორულ გავლენას ახდენს საზღვაო ვაჭრობის უდიდესი განვითარება. მაშინ როდესაც ყველგან სხვა სახელმწიფოებში ორთქლის გემი თანდათან სდევნის იალქნიან გემებს, ნორვეგია სულ უფრო აღიღებს თავის იალქნიან გემთმშენებლობას და

მას მოეპოება თუ ყველაზე დიდი არა, სიდიდით მეორე ადგილზე მაინც მყოფი იალქნიანი ფლოტი, რომელიც უმთავრესად წარიღსა და საშუალო გემთმფლობელებს ეკუთვნის ასე თუ ისე, ამან მოძრაობა შეიტანა სტელს-დამყავებულ არსებობაში და ეს მოძრაობაც, სჩანს, გავლენას ახდენს ლიტერატურის აყვავებაზედაც.

ნორვეგიელი გლეხი არაოდეს არ ყოფილა ყმა, და ეს გარემოება, როგორც კასტილიაში, თავის ბეჭედს ასეაშს მთელს განვითარებას. ნორვეგიელი წვრილი ბურჟუა თავისუფალი გლეხის შვილია და ამისგამო იგი — ნამდვილი ადამიანი ბეჩავ გერმანელ მეშჩანინთან შედარებით. ამგვარადვე წვრილბურჟუაზიული წრის ნორვეგიელი ქალი უსაზღვროდ უფრო მაღლა დგას გურმანულ მეშჩან ქალზე, და როგორც უნდა იყოს იბსენის დრამების ნაკლი, იქ მაინც გამოხატულია — თუმცაღა პატარა, საშუალო-ბურჟუაზიული, — მაგრამ გერმანულზე უსაზღვროდ მაღლა მყოფი ქვეყანა, სადაც ადამიანებს კიდევ მოეპოებათ ხასიათი, უნარი ინიციატივისა, და ისინი მოქედებენ დამოუკიდებლად, თუმცა კი ხშირად უცნაურადაც უცხო ქვეყნის მაყურებლის თვალსაზრისით. მე საკუროდ მიმანია ყოველივე ეს საფუძელიანად შევისწავლო, სანამ საჯაროდ გამოვსთქვამდე ჩემს მოსაზრებას.

ვუბრუნდები რა ხელახლა იმას, საიდანაც დავიწყე, ე. ი. ბ. ბარს, მე უნდა ვთქვა, რომ საოცრად მაკვირვებს თუ როგორ სერიოზულად ეპურობიან, ერთმანეთს თანამედროვე გერმანელები. გონება მახვილობა და იუმორი, როგორც სჩანს, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, აკრძალული შეიქნა გერმანიაში და [(თვით ებრაელებიც კი თითქოს ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ღრმად დაფარონ თავიანთი ბუნებრივი გონებამახვილობა)] მოსაწყენი ტონი სამოქალაქო მოვალეობად გადაიქცა. სხვანაირად რომ ყოფილიყო, თქვენ, ექვს გარეშეა, ცოტა უფრო დაკვირვებით გაშინჯავდით ბ. ბარის „ქალს“, რომელიც მოკლებულია ყველა „ისტორიულად განვითარებულ“, თვისებებს. ისტორიულად განვითარდა მისი კანი, ვინაიდან იგი უნდა იყოს თეთრი ან შავი, ყვითელი, ყავისფერი ან წითელი, — მაშასადამე იგი არ შეიძლება იყოს ადამიანის კანი ისტორიულად განვითარდა მისი თმებიც — ხუჭუჭი ან მღელვარი, კულულებიანი ან დაფენილი, შავი, წითური ან ქერა. მაშასადამე ადამიანის თმები მას არ რგებია. რაღა დარჩება თუ მას წავართმევთ კანთან და თმასთან ერთად ყოველივეს ისტორიულად შექმნილს და ჩვენს წინაშე „წარსდგება ქალი როგორც ასეთი“? მაიმუნნი anthropopstheca და მეტი არაფერი, და დეე ბ. ბარმა წაიყვანოს იგი — „ადვილ ხელახებში და ფსკრამდე გამჭვირვალე“ — წაიყვანოს თავისთან, ლოგინში, ყველა მისი „ბუნებრივი ინსტიქტებით“. ¹⁾

¹⁾ ენგელსის მიერ წერილში წაშლილი სტრიქონები ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში.

ფრიდრიხ ენგელსი და 90-იანი წლების მექანიკური ლიტერატურის მკვლევართა

ენგელსის ზემომოყვანილი წერილი, პაულ ერნსტისადმი მიწერილი, დათარიღებული 1890 წლის 5 ივნისით, პირველად ქვეყნდება მთლიანი სახით. მას თავისი ისტორია აქვს და მასში გამოთქმული მეთოდოლოგიური შენიშვნები, რომელთაც აქამდისაც კი არ დაუყარავთ აქტუალობა, ჩვენთვის უფრო გასაგები გახდება, თუ გამოვარკვევთ იმ სადაო საკითხებს, რომელნიც განხილვის საგანს შეადგენდნენ 90-იან წლების გერმანულ მარქსისტულ ლიტერატურის მკვლევართა და რომელთაც გამოიწვიეს ეს წერილი, — და გამოვავაშვარავებთ იმ შემცდარ დებულებათა ფესვებს, რომელთა წინააღმდეგაც ილაშქრებს ენგელსი.

ჯერ რაც შეეხება ერნსტისა და გერმან ბარის შორის ატეხილ დისკუსიას, რომელმაც გამოიწვია ერნსტის მიმართვა ენგელსისადმი. მე-80 წლების დამლევს ახალგაზრდა გერმანული იმპერიალიზმი ცდილობდა კოლონიების დაყოფის დროს უზრუნველყო თავისათვის გასასაღებელი ბაზრები. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც წერილი წარმოების გერმანია ხდებოდა მსხვილ-კაპიტალიზმის, იმპერიალისტურ სახელმწიფოდ, ამავე დროს უდიდესი სისწრაფით იზრდებოდა პროლეტარიატის მრავალმილიონიანი არმია, რომელიც ერთიანდებოდა უძლიერესი სოციალ-დემოკრატიული პარტიის დროშის ქვეშ. სოციალისტების წინააღმდეგ კანონის ძალაში ყოფნის დროს რომლის ვადა 1890 წლის სექტემბერში თავდებოდა, პარტია არ დაღუპულა, რისი იმედიც ჰქონდა ბისმარკს. პირიქით იგი ამ ბრძოლიდან გამოვიდა უფრო მტკიცე და გასაღვედებული. კაპიტალიზმის ძლიერება განვითარებამ გამოიწვია წერილი ბურჟუაზიისა და ხელოსნების გალატაკება, შესუსტება. და აი, ამ განადგურების გზაზე შემდგარ ფენების ადოლოგები, მოშიშშილე ბუნტარული ინტელაგენცია ქალაქებში, ნაწილი ეგრეთწოდებულ ადრინდელ გერმანულ ნატურალისტებისა, რომლებიც გრძნობდნენ წერილი ბურჟუაზიის განწირულებას, მიეყვდნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რადგანაც ისინი სოციალიზმში ხედავდნენ „კაცობრიობის“ ხსნის ახალ „სახარებას“. ორგანიზაციულად ეს ლიტერატორები და მწერლები დაჯგუფებულნი იყვნენ ოტო ბრამისა და სხვათა მიერ 1889 წელს ბერლინში დაარსებულ თეატრის „თავისუფალი სცენა“-ს და ამავე სახელწოდების ჟურნალის გარშემო. ნატურალისტთა უკიდურესი მემარცხენე ნაწილი შევიდა ს-დ. პარტიაში და 1890 წელს დაარსა „თავისუფალი სახალხო სცენა“, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ბრუნო, ვილე, ვილჰელმ პულშე და იულიუს ტურკი. ამ წერილბურჟუაზიულ, ინდივიდუალისტურ-ანარქისტულად და ანტი-ავტორიტარულად განწყობილ ინტელექტულისათვის ის იყო დამახასიათებელი, რომ „თავისუფალი სახალხო სცენის“ პროგრამაში გაბატონებული ადგილი ეკირათ იბსენის ისეთ დრამებს, როგორც „საზოგადოების ბურჯი“ და „ხალხის მტერი“, სადაც არ შეიძლება უკეთესად ყოფილაყო გამოხატული ამ ჯგუფების იდეოლოგია — მასების მალღამდგომი პიროვნების კულტი, სიძულვილით „ჯოგურ“, „პარტიულ ადამიანებისადმი“, რომელიც ორგანიზაციულად შედიოდა მტკიცედ ცენტრალიზებულ მუ-

შათა პარტიაში და შემთხვევითი არ არის, რომ პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ 1890—92 წლის ეგრ. წოდ. „ახალგაზრდათა“ ობიექტიური ინდივიდუალისტური შენტის თითქმის ყველა ლიდერები წამოშორდნენ იყვნენ ამ მწერალთა ჯგუფებისა, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ „თავისუფალი სახალხო სცენის“ გარშემო (ვილე, ვალდერბერგი, ტეისტლერი და სხვ.)

ამ „ადრინდელ ნატურალისტებს“ ეკუთვნოდნენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერლები ბარი და ერნსტი. პირველი მათგანი 1890 წელს პარიზიდან მოვიდა ბერლინში და გერმანულ ნატურალისტებს გააცნო სენის ნაპირების უკანასკნელი მოდა, ფრანგული იმპრესიონისტების სალონები; მისი ნატურალისტური დრამები „ახალი ადამიანები“ და „უდიდესი ცოდვა რომლებიც წინათ თითქმის შეუძნეველი დარჩა, ეხლა მეტად პოპულარული შეიქნა. ახალგაზრდა, 27 წლის აესტრო-გერმანულმა მწერალმა ბერლინში სწრაფად გააკეთა კარიერა და ბრამთან ერთად შეიქნა ეურნალ „თავისუფალი სცენის“ თანარედაქტორი. იმ ხანებში ბარი „ეარშიყებოდა“ მარქსიზმს და ვინაიდან იმ დროს ითარგმნებოდა იბსენის ყველა ძველი და თვითნაყოფი ახალი დრამა და უდიდესი ნორვეგიელი დრამატურგის მიერ წამოყენებული პრობლემები ცხოველ დავას იწვევდა ყველგან, —საკვირველი არ არის, რომ პოლემიკა ჩამოვარდა „თავისუფალი სცენის“ იდეოლოგიის წარმომადგენელ ბარსა და პ. ერნსტს შორის, რომელიც მაშინ უკვე საკმაოდ ცნობილი ს.-დ. პუბლიცისტი და თითქმის ოფიციალური ინტერპრეტატორი იყო იბსენისა პარტიის მთავარ თეორეტიულ-მარქსისტულ ორგანოს „Neue Zeit“-ის ფურცლებზე.

პაულ ერნსტი თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებსა და რეცენზიებში შემოქმედების, კერძოთ იბსენის შემოქმედების ანალიზს აწარმოებდა ტაბიური მექანიკური მეთოდით. ჯერ ერთი, მას ლიტერატურა გამოჰყავდა უშუალოდ ეკონომიკიდან, მიუხედავად იმისა, რომ თითონ რისხევას აფრქვევდა სხვა კრიტიკოსების თავზე, ვინც ამ საქმეში სცოდავდა; იგი თანასწორობის ნიშანს სვამდა „ეპოქის“ სოციალ-ეკონომიურ განვითარებასა და „დროის იდეებს“ შორის. შემდეგ მას სრულიად მექანიკურად ესმის ურთიერთობა მწერალსა და კლასს შორის: მწერალს ორგანიულად არ ძალუქს გამოვიდეს თავისი კლასობრივი იდეოლოგიის ფარგლებიდან, იგი ფატალურად ტრიალებს მხოლოდ თავის კლასობრივ წარმოდგენათა რკალში. ამგვარადვე არ შეუძლია იბსენს გადალახოს ერნსტის მიერ მეტად შაბლონურად გაკებული „მეშინაობის“ სოციალური კატეგორიის იდეოლოგიური საზღვრები. „მეშინაობის დიალექტიკა, —სწერს იგი ერთ-ერთ თავის რეცენზიაში იბსენის შესახებ,—კატის კნუტია, რომელიც თავის კუდსა ჰკბენს: კუდი კატის კნუტს ეკუთვნის, კატის კნუტი—კუდს“ (იხ. „Neue Zeit“ 1890 წ. გვ. 43.)

ერნსტი სრულიად არ აისტორიულად და განწყენებულად უდგებოდა „მეშინაობის“ გავებას: მას ჰქონდა საკუთარი წარმოდგენა გერმანულ მეშინაობაზე 1890 წელს, და ეს უკუნითი-უკუნისამდე გამომუშავებული შეხედულება მან გაუმბრალოებურად, როგორც მზამხარეული შაბლონი, გამოიყენა სკანდინაველ, რუს და ფრანგ მეშინაობისა და მისი მწერლების კრიტიკაში, რო-

შელთა შემოქმედების შესახებ იგი ათავსებდა რეცენზიებს „ნორიკტ“-ში და პარტის საზღვარგარეთის ცენტრალურ ორგანო—„სოციალ-დემოკრატში“.

ერნსტსა და ბარს შორის ატეხილ პოლემიკის უშუალოდ მიზეზად შეიქნა ლ. მარგოლმის სტატიები, დაბეჭდილი ეურნალ „თავისუფალი ცენტრალიზმი“ ქალები სკანდინავურ ლიტერატურაში“ (ეს სტატიები ავბებული იქნა უმთავრესად იბსენისა და სტრინდბერგის შემოქმედებით მასალაზე). სტატიებმა გამოიწვიეს დიდი დისკუსია, რომელიც დაიწყო პაულ ერნსტის წერილით „ქალები და სოციალური საკითხი“. ერნსტმა გაილაშქრა წმინდა ბიოლოგიურ ელემენტებისადმი გადაჭარბებული ყურადღების წინააღმდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა მარგოლმის წერილებში.

ერნსტი სწორად უსვამდა ხაზს ქალთა საკითხის სოციალურ ხასიათს და ქალთა მოძრაობას (არა მარტო სკანდინავიაში) საზოგადოებრივი განვითარების შედეგად მიაჩნდა. მაგრამ ამასთან ერთად მას გადაჰყავს სკანდინავური ქალთა მოძრაობისა და ლიტერატურაში მისი გამოხატულების მთელი პრობლემატიკა გერმანული მეშინაობის კატეგორიაში და ქალთა საკითხის გადაწყვეტას ხედავს საწარმოო ურთიერთობათა წმინდა პასიურ განვითარებაში. „ყოველ ექვს გარეშეა.—სწერს ერნსტი,—რომ ქალთა საკითხი გადაწყვეტილი იქნება ისევე, რთგორც ყველა „საკითხები“—თავის თავად, საწარმოო ურთიერთობათა უბრალო განვითარებად“. ამგვარად ერნსტი აქ საესებით უარპყოფს იდეოლოგიური ბრძოლის მნიშვნელობას, კერძოთ—ლიტერატურაში.

ერნსტის ამ სტატიის წინააღმდეგ გაილაშქრა გერმან ზარმა სასტიკი წერილით „მარქსიზმის ეპიგონები“. იგი სთვლის ერნსტის თვალსაზრისს მარქსიზმის ეპიგონების „დაშლისა და გაბრწყინის უტიპიურეს დოკუმენტად“. ეს ეპიგონები, მისი აზრით, მარქსის „კრიტიკულ მეთოდს“ აქცევენ „დოგმატიურ აქსიომად“. ერნსტს იგი ადარებს აეტომატს, სადაც საკმარისია ჩაადგოთ ორ შაურაინი, რომ მან მყისვე გამოავდოს „მარქსისტული სიბრძნის უცოდველი გრძელი თავი“. ასეთი „მარქსისტების“ (ასე უწოდებს ბარი ერნსტსა, და კამპანიას, „ნამდვილი მარქსისტებისაგან“ განსასხვავებლად, რომელთა რიცხვს იგი თავისთავს მიიხსენებს არ მიაწერს) კვლევის მეთოდს იგი უბირისპირებს ვითომდა თვით მარქსის მეთოდს—„მე ეხლა არ მახსოვს,—სწერს ბარი,—დაუწერია თუ არა მარქსს რაიმე ქალთა საკითხის შესახებ, მაგრამ მე ნათლად მაქვს წარმოდგენილი მისი მიდგომა ამ საკითხისადმი“. ბარის აზრით, მარქსი დადგენდა თვითთული ქალისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ამ ნიშნების შედარებიდან გამოიყვანდა ყველა ქალებისათვის ტიპიურ თვისებას; იგი დაადგენდა იმ წრეს, სადაც შეიძლო და უნდა განვითარებულიყო ასეთი და არა სხვა ტიპი და ბოლოსდა ბოლოს თავისი მატერიალისტური მეთოდის საშუალებით იპოვიდა „შემომქმედ“ მიზეზებს“ ეკონომიურ ნიადაგზე, აღმოაჩენდა „მარადიულ კავშირს მატერიალურ ბაზისსა და იდეოლოგიურ უკუფენის შორის“. ამგვარად მარქსი „შეამჩნევდა“ მდიდარ ბიურგერის ქალსა, მეშინ ქალსა და მუშა ქალში „იმ ქალს“, რომლიდანაც ეკონომიკამ ჩამოაყალიბა ეს სამი სხვადასხვა ტიპი. შემდეგ ბარი სწერს: „მარქსისათვის, ისე როგორც ტენისა და ზოლასათვის, აღმინი ხორცის „ნა-

ჭერია. ამ ხორცის ნაჭერს თავისი გამოხატულება აქვს—სული. ეს სული განიცდის გარემოს ვაგლენას, რომელიც მას აყალიბებს და აესებს.

ამგვარად თვითეული ადამიანი, ცალკე აღებული, არის; მემკვიდრეობით ადამიანი (ისე როგორც იგი გამოვიდა დედის საშოდან და მემკვიდრეობით მიიღო თავისი ფიზიკური წინაპრების თვისებები), რომელსაც ემატება ეკონომიური ადამიანი (როგორც იგი ჩამოყალიბდა ბუნებასთან ურთერთობაში. ეკონომიური ადამიანი ყოველთვის აყალიბებს ბუნებრივ ადამიანს“).

ასეთია ბარის აზრით მარქსის თვალსაზრისი, მაშინ როდესაც მარქსიზმის ეპიგონები უარპყოფენ „ბუნებრივ ადამიანს“ და ლებულობენ მხოლოდ „ეკონომიურს“. თვით ბარი არ ეთანხმება არც მის მიერ შეხანხლულ „მარქსის თვალსაზრისს“, არც „ეპიგონებს“. იგი ფიქრობს, რომ გარდა „გარემოს ვაგლენისა“ (ეკონომიკისა) და „წინაპართა მემკვიდრეობისა“ თვითეულ ქალში საჭიროა გამოირჩეს კიდევ „მესამე ქალი“—წმინდა ქალური სქესი. სწორედ ეს „მესამე ქალი“ არის, ბარის აზრით, ნამდვილი ქალი, „ქალი როგორც ასეთი“; იგი არ განიცდის არც ეკონომიურ, არც ისტორიულ მოვლენას და მხოლოდ აქედან იწყება ქალთა საკითხი, ეს საშინელი და მომაკვინებელი ამოცანა“. ამიტომ ბარი მოითხოვს, რომ ქალის ანალიზის დროს მუდამ ტარდებოდეს გარკვეული საზღვარი „ბუნებრივ ინსტიქტებსა“ და „ისტორიულად შექმნილ“ თვისებებს შორის. მხოლოდ უკანასკნელთა გამოკლების შემთხვევაში არის შესაძლებელი „ქალის, როგორც ასეთის“ აღმოჩენა. ბარის დასკვნაა: ქალთა საკითხი დარჩება მარადიულ პრობლემად მამაკაცსა და დედაკაცს შორის“, ვინაიდან „ინინი ვერასოდეს ვერ გაუგებენ ერთმანეთს, პირიქით მუდამ იბრძობლებენ ერთმანეთის წინააღმდეგ“.

ბარის სტატია დაიბეჭდა „თავისუფალ სცენაში“ 1890 წელს 28 მაისს. მაშინ ერნსტმა მიმართა ენგელსს შემდეგი წერილით 1890 წლის 31 მაისს:

„მოწყალეო ხელმწიფე!“

მაპატიეთ თქვენთვის სრულიად უცნობ ადამიანს, რომ ვებდავ და გაწუხებთ თხოვნით.

ამასთანავე ერთად მე ვთამამდები და გიგზანით კურნალ „თავისუფალ სცენის“ ორ წომერს. ერთ მათგანში მოთავსებულია ჩემი წერილი სკანდინავიურ ქალთა მოძრაობის შესახებ, ხოლო მეორეში—გერმან ბარის პოლემიკა ამ წერილის წინააღმდეგ. ბარი მისაყვედურებს, რომ ამ შემთხვევაში მე უსწოროდ გამოვიყენე მარქსისტული მეთოდი, მისაყვედურებს ბევრ სხვა რამესაც.

მრავალი მიზეზის გამო მე მსურდა მცოდნოდა, სწორია თუ არა ბარის საყვედური და ფიქრობდა თუ არა მარქსი სხვაგვარად ქალთა მოძრაობის შესახებ, ან ლურო სწორად—რა აზრს გამოსთქვამდა იგი ამ შემთხვევაში. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მე ვიცავ ჩემს შეხედულებებს სხვა ორგანოებშიაც (მაგ. „სოციალ-დემოკრატი“) და ასეთი რამეები, თუ იგი სწორი არ არის, სახიანო ვაგლენას ახდენენ; შემდეგ იმიტომ, რომ ბარი, როგორც თქვენც დაინახავთ სტატიიდან, მე წარმოუდგენელი უსირცხვილობით მექცევა.

ჩემის აზრით, ბარს საერთოდ ყველაფერი ყალბად ესმის და ქალთა საკითხს იგი აქცევს სქესობრივ საკითხად. თუ სტატიის ბოლოში მოთავსებული

მრავალსიტყვიერი თეზისი სწორია, მაშინ, შე ვფიქრობ, იგი გამოხატავს ისეთ რაღაცას, რაც უკრ კიდევ ადამ და ევას დროს არსებულა. მე ვხედავ „ქართულ ვთელი ავტორის მხოლოდ პირად ცდად. ყოველ შემთხვევაში ამათ სტრუქტურული დამოკიდებულება არა აქვს ქალთა საკითხთან, რომელიც წამოიჭრა მხოლოდ გარკვეულ საზოგადოებრივ პირობებში. შე სრულიადაც არ მახასიათებს ქედ-მალლობა, რომელიც ბარს სწადია მომანწეროს. შე მსურს მხოლოდ ვიმოქმედო პრაქტიკულად რამდენადაც ღონე შემწევს. მით უმეტეს შეურაცხყოფელია ასეთი ინსინუაციები.

თქვენ ძალიან დამაყლებდით, თუ იმდენად თავაზიანი იქნებოდით, რომ ჩემი თხოვნა შეგესრულებინათ და გეცნობებინათ ჩემთვის ორიოდ სტრიქონით — ეთანხვება ჩემი შეხედულება მარქსისას თუ არა, და გარდა ამისა ნებას მომცემდით გამომეყენებინა თქვენი წერილი ბარის წინააღმდეგ.

ულრესი პატივისცემით თქვენი ერთგული პაულ ერნსტი

ამ შეკითხვას მოპყვა ენგელსის ზემომოყვანილი პასუხი; ენგელსი იქ აღნიშნავს ერნსტის ორ ძირითად მეთოდოლოგიურ შეცდომას: 1) მისი მეთოდის მექანიკურობას და 2) მის არაისტორიულობას, განუცნებულ-შაბლონურ მიდგომას იბსენისთანა მწერლის შემოქმედების კლასობრივი დეტერმინულობის გამოკვლევის დროს.

ერნსტის შეცდომას პირველ პუნქტში ენგელსი შემდეგნაირ ფორმულირობას აძლევს: „რაც შეეხება თქვენს ცდას—მატერიალისტური ანალიზი გაგმკეთებინათ საკითხისათვის,—უწინარეს ყოვლისა შე უნდა ვთქვა, რომ მატერიალისტური მეთოდი იქცევა თავის წინააღმდეგობად, როდესაც მას იყენებენ არა როგორც სახელმძღვანელო ძაფს ისტორიულ გამოკვლევის დროს, არამედ როგორც მხამხარულ შაბლონს, რომლის მიხედვითაც სჭრიან და სთარგავენ ისტორიულ ფაქტებს. და თუ ბ. ბარს ჰგონია, რომ მან თქვენ დანაშაულის ადგილზე დაეკვირათ,—შე ვფიქრობ, რომ მას ზოგიერთი საამისო საფუძველიც მოეპოება“. ერნსტის მეთოდის გარკვევის დროს ენგელსს, ცხადია, მხედველობაში ჰქონდა როგორც იგი ამას ცოტა გვიან ამტკიცებს კიდევ—არა მარტო მისთვის გაგზავნილი სტატია „თავისუფალ სცენაში“. ენგელსი, რომელიც რევულარულად ადევნებდა თვალყურს „სოციალ-დემოკრატსა“ და „ნოიე ცაიტს“ და თვითონაც თანამშრომლობდა ამ ორგანოებში, ყარგად იცნობდა ერნსტის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს და ეს დასკვნა მან გამოიყვანა თავისი აღრესატის იმ დროს ყველა ცხოზილ ნამუშევრიდან.

მეორე პუნქტში ენგელსი გერმანულ მეშინაობაზე ერნსტის შეხედულების არაისტორიულ, მექანიკურ-შაბლონურ გადატანას სკანდინავურ მეშინაობაზე, ე. ი. იბსენის შემოქმედების სოციალურ ფესვებზე,—უპირისპირებს ღრმა ისტორიულ ანალიზს იმ ნიშანდობლის თავისებურებისა, რომელიც ანხვავებდა მაშინდელ ნორვეგიულ „მეშინაობას“ გერმანულისაგან; ანუ იმ სოციალურ კატეგორიისა, რომელსაც მაშინ გერმანიაში მეშინაობა ეწოდებოდა. ენგელსის ეს ანალიზი წარმოადგენს კლასიკურ ნიმუშს, იმისას თუ როგორ უნდა მიუდგეს მარქსისტი ისეთ რთულ მოვლენას ლიტერატურაში, როგორიც იყო იბსენის შემოქმედება, თუ როგორ უნდა იქნეს გახსნილი სპეციფიკა,

რომელიც შექმნილა გარკვეული კლასის ვარკვეულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, კლასობრივ ძალთა რეალურ ურთიერთობაში. იმსენის შემოქმედების სოციალურ ფესვების ეს ანალიზი ჩვენ ბევრ რამეს აგვეჩვენებს, რაც ასე ძლიერ არის დაბურღული დღესაც კი ბურჟუაზიულ და ფეოდალურ მკვლევართა წყალობით. უკეთესს რა ჯამს თავის ანალიზს, ენგელსი სწერს: „როგორც უნდა იყოს იმსენის დრამების ნაკლი, იქ მაინც გამოხატულია თუმცა და პატარა, საშუალო-ბურჟუაზიული, მაგრამ გერმანულზე უსაზღვროდ მაღლა მყოფი ქვეყანა, სადაც ადამიანებს კიდევ მოვებებით ხასიათი, უნარი ინიციატივისა, და ისინი მოქმედებენ დამოუკიდებლად, თუმცა კი ხშირად უცნაურადაც უცხო ქვეყნის მაყურებლის თვალსაზრისით.

მე საჭიროდ მიმაჩნია ყოველივე ეს შევისწავლო საფუძვლიანად სანამ საჭიროდ გამოვსთქვამდე ჩემს მოხაზვებას.“

ენგელსის წერილი, გაგზავნილი მხოლოდ „პირადი ცნობისათვის“, ერნსტმა შემდეგნაირად გამოიყენა ბარისადმი სპასუხო სტატიაში: „ბ. ბარის წერილზე „ქალთა საკითხი“ მე დაუყოვნებლივ ვუპასუხებდი, —სწერს ერნსტი, — მაგრამ ვინაიდან ბ. ბარი თავიდან უპირისპირებდა მარქსის შეხედულებებს — როგორ იმსჯელებდა მარქსი ამ საკითხზეო, „მარქსისტების“ შეხედულებებს მე მივმართე შეკითხვით ენგელსს... იმის შესახებ თუ როგორი შეხედულება ექნებოდა მართლაც მარქს ამ საკითხზე.

ერგელსი იმდენად თავაზიანი იყო, რომ მიპასუხა დამიდასტურა დაწვრილებით წერილში, რომ ჩემი გაგება საკითხისა ძალიან უახლოვდება მარქსის გაგებას (!) (ხაზგასმა ჩენია. — ფ. შ.) მაგრამ ენგელსს არა სურს თავისი წერილის გამოქვეყნება, რათა არ იქნეს ჩათრეული ბ. ბართან პოლემიკაში, რომელსაც მას მეტად ეშინია. ამგვარად მე მარტოვამ უნდა მოვიკრიფო გამბედაობა... „შემდეგ ერნსტი დაკინებით ასაბუთებს „ქალთა საკითხი“ მისებურ გაგებას და ბარის თვალსაზრისს ახასიათებს როგორც „სტესობრივ საკითხს“. ამაზე, როგორც სჩანს, პოლემიკა მასა და ბარს შორის შეწყდა.

მაგრამ როგორ უპასუხა ერნსტმა იმ საერთო მითითებებს, რომელიც ენგელსის წერილში მიეცა მას, როგორც პარტიის წევრს, რთგორც ახალგაზრდა პუბლიცისტს, რომელიც ბევრის აზრით დიდ იმედებს იძლეოდა? მან ძალიან თავისებურად უპასუხა: როდესაც რამდენიმე ხნის შემდეგ ბებელ-ლიბკნეხტის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ აშკარად გაილაშქრა „ახალგაზრდათა“ იმ დროს უკვე არსებულმა ოპოზიციამ, ერნსტი, — რომელიც თუმცა საესებით არ ეთანხმებოდა ამ ოპოზიციის ულტრა-მემარცხენე ლიდერების მოთხოვნილებებს, — მაინც მიემხრო მათ და ასე ვასინჯეთ რედაქტორიც კი გახდა ბერლინური ოპოზიციონურად განწყობილი ს.დ. ვაზეთისა „სახალხო ტრიბუნა“. და აი, როდესაც ენგელსმა ლონდონის „სოციალ-დემოკრატი“ „ახალგაზრდათა“ ოპოზიციის ლიდერების გამოსვლას „სტუდენტებისა და ლიტერატორების ბუნტის“ კვალიფიკაცია გაუკეთა, ერნსტმა, პარტიის წინააღმდეგ ამ წერილ-ბურჟუაზიულ — ნახევრად-ანარქისტული ოპოზიციის სხვა იდეოლოგებთან ერთად, ხელახლად გაიმეორა თავისი შეცდომა, — ქვეყნის პოლიტიკური სიტუაციისა და კლასობრივ ძალთა განწყობილების შეფასებას იგი მიუღდა ისეთივე მექანიკურ-

რი და არაისტორიული მეთოდით, როგორც ეს მან ჩაიდინა — ლიტერატურაში: მან შემარჯვენე ოპორტუნისტული ელემენტები გამოაცხადა პარტიის უმრავლესობად, რომელიც (პარტია) თითქოს სავსებით წერილობითად დაპარლამენტო პარტიად გადაგვარდა და თუ ბებელ-ლიბკნეხტის მამოძღვრელი ცენტრი მარალაც არ იყო თავისუფალი ზოგიერთი შეცდომებისაგან, მაინც მისი გამოცხადება მთლიანად ოპორტუნისტულად წარმოადგენდა შემარჯვენეთა შეცდომების მთელი პარტიისათვის უმართებულოდ თავზე მოხვევას და ნიშნავდა პარტიის შიგნით ფრაქციათა შორის წარმოებულ რეალურ ბრძოლის იგნორაციას „ულტრა-მემარცხენე“ ოპოზიციის თვალთახედვის წერტილიდან. და აი, ერნსტი უპასუხებს ენგელსსა და მის წერილს „ახალგაზრდების“ შესახებ საკუთარი სტატიით ოპოზიციონურ გაზეთში „მადდებურგერ ფოლკსშიტემ“-ში (1890 წ. 16 სექტ.), სადაც იგი ენგელსის მისამართით სწერს: „და თუ ეხლა ენგელსი ჩვენს ოპოზიციას „სტუდენტების ბუნტს“ უწოდებს, მაშ კეთილ ინებოს, და მიგვითითოს, სად სცილდებიან ჩვენი შეხედულებები მის საკუთარსა და მარქსის შეხედულებებს“.

ერნსტის ეს გამოწვევა ენგელსმა მიიღო და გამოვიდა სტატიით „პასუხი პაულ ერნსტს“, სადაც მან კვალიფიკაცია გაუყეთა ერნსტის მექანიკურ მეთოდს, როგორც საერთოდ „ახალგაზრდათა“ მთელი დაბნეული, მერყევი და ანარქო-ინდივიდუალისტური ოპოზიციის საერთო მეთოდს. იგი სწერდა: „რაც შეეხება თითონ ბ. ერნსტს, მე საქიროდ აღარ ვსთვლი გავუმეორო მას ამის შესახებ მე მას ჯერ კიდევ ოთხი თვის წინად ვეუბნებოდი ამას და ძალაუნებურად იძულებული ვარ თავი შევაწყინო კიდევ საზოგადოებას ჩემი „სერიოზული“ კორესპონდენციით“. შემდეგ ენგელსი სწერს, თუ როგორ მიმართა მას ერნსტმა წერილით 31 მაისს, მოჰყავს ყველაზედ საგულისხმო ადგილები თავის 5 იენისის პასუხიდან და განაგრძობს: „მაშასადამე აქ მე თუმცა თავაზიან ფორმაში, მაგრამ ნათლად და გარკვეულად მივუთითებ ბ. ერნსტს, სად (შორდებოდა იგი მარქსსა და ენგელსს: ფ. შ.) სახელდობრ — მის მიერვე ჩემთვის გამოგზავნილ სტატიაში „თავისუფალ სცენაში“. და როდესაც მე მას იქ ვუხსნიდი, რომ იგი სარგებლობს მარქსისტული მეთოდით, როგორც მზამზარეული შაბლონით, რომლითაც იგი ჰკერავს ისტორიულ ფაქტებს, ეს სწორედ ნიმუშია იმავე მეთოდის იმ „სრული ვერგაგებისა“, რასაც მე ამ ვაჟბატონებს (ე. ი. „ახალგაზრდებს“ ფ. შ.) ვუსაყვედურებდი. და თუ შემდეგ მე მას ვუმტკიცებ მისივე საკუთარ ნორვეგიის მაგალითზე, რომ მეშინაობის გერმანულ ყაიდაზე გაკეთებულ შაბლონის მის მიერ ნორვეგიისათვის გამოყენება აშკარად ეწინააღმდეგება ისტორიულ ფაქტებს, ამით მე წინდაწინვე მის ანგარიშზე გადაიქონდა ის „უხეში უცოდინარობა“ ყოველგვარ საკითხში გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონე ისტორიული ფაქტებისა, რაშიდაც მე აგრეთვე ბრალს ვდებდი ამ ბატონებს. იქნებ უნდა ბ. ერნსტს იცოდეს თუ კიდევ „სად“? თუნდაც მაგალითად სტატიაში, რომელიც „სახალხო ტრიბუნაში“ იყო მოთავსებული „მარქსიზმის საშიშროებათა“ შესახებ, სადაც იგი ბევრი ლაპარაკის გარეშე ისაკუთრებს მეტაფიზი-

¹⁾ შეუძლებელია ამ სიტყვის თამაში გადართავმა: Ernst ნიშნავს „სერიოზულად.“

კოს დიურონგის უცნაურ მტკიცებას, თითქოს მარქსის აზრით ისტორია სავსებით ავტომატიურად ხდებოდეს, ადამიანების დაუხმარებლად (რომლებიც ხომ თვითონ აკეთებენ ისტორიას) და რომ თითქოს ეკონომიური პირობებზე უკეთესონ—ადამიანის ხელით შექმნილი) ათამაშებენ ამ ადამიანებს, როგორც პაიკებს. და თუ ადამიანს (ერნსტს. ფ. შ.) ძალუქს მარქსის თეორია აუროს ამავე თეორიის დამახინჯებას, ჩადენილს ისეთი მოწინააღმდეგის მიერ, როგორც პაიკის დიურონგი,—დეე მას სხვა დაეხმაროს, მე უარს ვამბობ ამ საქმეზე“. ენგელსი კიდევ ერთხელ აღნიშნავს „ახალგაზრდათა“ მიერ პარტიის შეგნით არსებულ მდგომარეობის შემცდარ შეფასებას და ხაზს უსვამს ამ „ლიტერატურათა“ მეთოდის პოლიტიკურ საშიშროებას, განსაკუთრებით „თუ მათ არ ძალუქთ უყურონ თვალებით სრულიად უბრალო საგნებს და ეკონომიურ და პოლიტიკურ გარემოებათა შეფასების დროს არ შეუძლიათ მიუდგომლად ასწონდასწონონ არც ამ ფაქტების შედარებითი მნიშვნელობა, არც სიდიდე მათში მონაწილე ძალებისა“.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ერნსტის მექანიკური მეთოდის კრიტიკა ენგელსის წერილში წარმოადგენს შეცდომათა მთელი სისტემის კრიტიკას და არა მარტო ლიტერატურულად, არამედ პოლიტიკაშიც, და არა მარტო ერნსტისა, არამედ ანტიპარტიულ ოპოზიციონერთა მთელი ჯგუფისას; ამ ჯგუფის შეხედულებანი პოლიტიკასა და ხელოვნებაზე მჭიდრო კავშირში აოიან ერთმანეთთან.

„ახალგაზრდები“, რომლებიც 1891 წელს პარტიიდან გასვლის შემდეგ გულმოდგინედ იცავდნ თაეის მექანიკურ მეთოდს, თანმიმდევრობით მივიდნ ლიკვიდატორობამდე როგორც პოლიტიკის სფეროში (ნაწილმა „ახალგაზრდებისა“ არქი-ოპორტუნისტული მეზარჯვენე ხაზი დაიპირა ს.-დ. პარტიაში, ნაწილი განარქისტდა), ვინაიღვან აყენებდნ ლოზუნგს მხოლოდ ეკონომიური ბრძოლის შესახებ და ასეთივე ას პროცენტინი ლიკვიდატორები შეიქმნნ ისინი აგრეთვე ხელოვნების დარგში.

ვერც პაულ ერნსტმა გამოასწორა თაეის მექანიკური შეცდომები; მისმა პოლიტიკურმა ევოლუციამ 1890—94 წ.წ. არამც თუ საშეალება მისცა მას გამოესწორებინა შეცდომები, არამედ პირიქით მიიყვანა იგი „ულტრა-მემარცხენე ლიკვიდატორულ შეხედულებებისაკენ ხელოვნებაზე: ამ წლებში მისი პარტიული პოზიცია მერკევი იყო, მისი იდეოლოგია — გამოხატავდა მუდამ მერყევე წერილ-ბურჟუაზიულ-ინტელიგენტურ ელემენტების სულისკვეთებას ს.-დ. პარტიაში. იგი განაგრძობდა ს.-დ. პრესაში თანამშრომლობას, მაგრამ თაეის შეცდომებს, რომელიც მას ენგელსმა უჩვენა, მან მიუმატა ახალი შეცდომები. როდისაც 1892 წელს „ნოიე ცაიტ“-ის ფურცლებზე გაიშალა დიდი დისკუსია ხელოვნების საკითხებზე, იგი თუხცა არ ეთანხმებოდა გუსტავ ლანდაუერის ასპროცენტინ-ლიკვიდატორულ თეორიას, მიუხედავად ამისა თითონ მაინც იხრებოდა ლიკვიდატორობისა და „წმინდა ხელოვნებისაკენ“. ქადაგებდა ხელოვნების „დაუინტერესლობისა“ და პოლიტიკიდან მკვეთრი გამოიჯენის თეორიას. ცნობილია აგრეთვე, რომ 1892 წელს იგი გამოვიდა „ნოიე ცაიტ“-ის ფურც-

ლებზე მერინგის წიგნის „ლეგენდა ლესინზე“-ს საკმაოდ დაბნეული, არსებითად იმავე მექანიკური კრიტიკით.

ეს ლიკვიდატორობა ხელოვნების დარგში თანმიმდევრულად ვერ მომდინარეობდა მისი ლიკვიდატორობიდან პოლიტიკის დარგში, რაც უნდა იყოს ამა თუ იმ სახით „ახალგაზრდების“ პოზიციის ყველა ამ მერყევე, წვრილბურთულ-ზიულ თეორეტიკოსებს. სწორედ ამას ამტკიცებს დასახელებული პოლემიკა „ნოიე ცაიტში“.

აი რას სწერს გუსტავ ლანდაუერი, იმ დროს რედაქტორი „ახალგაზრდების“ ორგანოსი—„სოციალისტისა“ თავის სტატიაში, რომელიც „მომავალი და ხელოვნებას“ სათაურით იყო მოთავსებული „ნოიე ცაიტ“-ში (1890 წ.): „ყველანი რატომღაც მოვლიან ხელოვნების ახალ აყვავებას, გოეტეს მსგავს ახალ გენიოსს; მაგრამ მე არ ვოცნებობ ამ იმედზე, ანუ უფრო სწორად ვთქვათ, აღარ ვოცნებობ მის შესახებ. მე არ ვფიქრობ, რომ უახლოესი მომავალი ხელოვნების ნიშნის ქვეშ იღვომება, და ძალიანაც მეწყინებოდა, რომ ეს მაინც ასე მომხდარიყო.“

უწინარეს ყოვლისა, ჩვენ უკვე აღარა გვცალიან ხელოვნებისათვის. ხელოვნებას სჭირდება სიწყინარე; ჩვენ ვსაქიროებთ ბრძოლას. ხელოვნება თავის უმაღლეს საფეხურზე „braucht Abgeklärtheit“. ჩვენ გვჭირდება დუღილი. ხელოვნება... ეყრდნობა წარსულს და მშვიდად სჭერტს აწმყოს; ჩვენ თავყვანს ვსცემთ მყობადს და გვწადია მისი დანახვა. ხელოვნება მძლარი უნდა იყოს; ჩვენ მშვიგრები ვართ და გვსურს გავალვიძოთ შიმშილს გრძნობა. ხელოვნება სუბიექტია, იგი უთვალთვალებს, ისრუტავს; ჩვენ ვცოცხლობთ და მოქმედებით, ვიმედოვნებთ გავხდეთ ღირსეული ობიექტი მერმინდელი დროის ხელოვნებისა; ჩვენ გვსურს ვიყოთ აქილესი; ხელოვნება ჰომიროსია; საჭიროა, ბოლოსდაბოლოს, გავნთავისუფლდეთ ავადმყოფური მანიისაგან, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ საგნებს ვატყუებთ ისეთ მარკას, რომელიც მათ არ უდგება; რომ ელაპარაკობთ განვითარებასა და განვითარების კანონებზე, როდესაც არ არსებობს რამე, რომელიც ვითარდებოდეს, ხელოვნება და ლიტერატურა—განყენებული მცნებებია და მეტი არაფერი, რომელთაც არა აქვთ საკუთარი განვითარება... ის, ვინც დღესა და უახლოეს მომავალში ზრუნავს გერმანულ პოეზიაზე, არ შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი დიადი გენიოსების ქეზმარიტ შთამომავლად. ჩვენ დროში გოეტე შეიძლება გენიოსი სახელმწიფო მოღვაწე განხდარიყო, ან ნიციშე მონათესავე წინასწარმეტყველი,—ძნელია ამის გადაწყვეტა; მაგრამ ლენაუ ალბად დასძლევდა მსთფლიო სევდას და შეიქნებოდა ვნებით აღზნებული სოციალიზმის ავიტატორი“.

ამგვარად, ლიტერატურა და ხელოვნება წარმოადგენს მხოლოდ მექანიკურ, დამშვიდებულ, პასიურ უკუფენას საზოგადოებრივი პროცესის განვითარებისა; საუკეთესო პირობებს თავისი განვითარებისათვის ლიტერატურა და ხელოვნება ნახულობს სიმშვიდისა და ძალთა წონასწორობის ხანაში და არა რევოლუციონურ ეპოქებში, როდესაც გამოდიან მებრძოლი ახალი კლასები; ამიტომ სოციალისტურ მოძრაობას, მუშათა კლასს მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ლიტერატურა და ხელოვნება არ სჭირდება, და მანებელიც კი

არის. ლიტერატურა და ხელოვნება თავს იჩენს კანონზომიერად მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში, როდესაც შესაძლებელი იქნება უდარდლოდ გადაათვალიერო და განსჯერიყო წარსული. ლანდაუერი ამ წერხრში წინადადება ხელოვნების ლიკვიდატორობას ყველაზე უფრო თანმიმდევარ წერხრში წაგრაამ ერნსტიც, რომელიც 1890 წელს გამოვიდა „ნოიე ცაიტ“-ში ლანდაუერის წინააღმდეგ, ამტკიცებდა, რომ ხელოვნება მისთვის არსებობს, „რომ იმით დაესტკებთ“, და „შატერები დატბობის საშულებას უნდა გვაძლევდენ“. და თუ ერნსტი წინად, 1889—1890 წლებში, ჯერ კიდევ სცნობდა ხელოვნების პოლიტიკურ ფუნქციას, ეხლა იგი სწერს: „გვეს გარეშეა, რომ ბევრი შატეარი გასცილდა ამ ამოცავის საზღვრებს (ე. ი. „დატბობის მოცემას“—ფ. შ.) და იბსენს, მაგალითად, სურს არა მარტო შინაიკოს სიტკბოება მას, ვინც ყურს უგდებს, არამედ აგრეთვე ჩაავონოს გარკვეული სოციალური შეხედულებანი“. ამ მიზნისათვის კი—მისი აზრით—უკეთესია მიემართოთ რომელიმე სპეციალურ გამოკვლევას. იბსენი, მისი აზრით, ჩაერიო არა თავის საქმეში. აქ ერნსტი უკვე შეაფიოდ ამუღანებს ხელოვნების კანტისებურ ვავებას.

ხელოვნების ასეთი ვავება ვეხვდება „ნოიე ცაიტ“-ის სხვა პოლემიკურ სტატიებშიდაც, რომლებიც ეკუთვნის „ახალგაზრდების“ წრიდან გამოსულ ავტორებს. ხელოვნებას, როგორც საზოგადოებრივი პროცესის განვითარების მექანიკურ „უკუფენას“ არა აქვს თავის მიზნები და ამოცანები, არამედ იგი წარმოადგენს „მხოლოდ მოვლენას“—აი რა შეხედულებისა იყვენ ეს „ულტრამემარცხენე“ ლიკვიდატორები. ამგვარად, —გვისჩინდენ ისინი, —პროლეტარული ხელოვნება შესაძლებელი არის მხოლოდ მას შემდეგ, რაც მუშათა კლასი ააშენებს სოციალისტურ საზოგადოებას. აქ „ულტრამემარცხენე“ ლიკვიდატორები მკიდროდ უახლოვდებიან 90-იანი წლების ხელოვნების მემარჯვენე-ომორტუნი-სტულ-თეორეტიკოსებს, ისევე, როგორც საერთოდ მაშინდელი გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ზოგიერთი ოფიციალური თეორეტიკოსი შორს არ იდგა ამგვარი კონცეპციისაგან. შემდეგ ეს შეხედულებები საფუძვლად დაედო მეორე ინტერნაციონალის ესტეტიკას. საბჭოთა ლიტერატურაში ამ შეხედულებებს ატარებდა ტროცკი, რომელსაც სურდა ზღუდე დაედვა პროლეტარული ლიტერატურის განვითარებისათვის.

ამგვარად, მექანიკურმა შეცდომებმა, რომლებიც წარმოადგენდენ 90-იანი წლების მარქსიზმის დროებითი, მერყევი, „თანამგზავრების“ მთელი მსოფლ-მხედველობის შედეგს, შეცდომებმა, რომელზედაც ენგელსი მიუთითებდა თავის წერილში ერნსტს, —სახელდობრ აფრთხილებდა, რომ შატერიალისტური მეთოდი ვადალის თავის წინააღმდეგობაში, თუ მას მექანიკურად მოიხმარებენ, — ამ შეცდომებმა მიიყვანეს ერნსტი და მისი თანამოაზრეები იდეალიზმთან. პაულ ერნსტი გამოვიდა პარტიიდან და გახდა მოხეტელო იდეალისტი, მწერალთა ეგრეთწოდებული ნეოკლასიკური შკოლის დამაარსებელი და ცნობილი დრამატურგი. ომის შემდეგ იგი შეიქნა გუგენბერგის ჯგუფის „ზომიერი“ ფაშიზმის თანამგზავრი, დასწერა წიგნი გერმანული იდეალიზმისა და აგრეთვე „მარქსიზმის გაკორების“ შესახებ, ხოლო თავის უკანასკნელ წიგნში (1930 წ.) ქადაგებს

ღმერთთან დაბრუნებას. მისი ოპონენტი 1890 წელს, ავსტრიელი იმპერესიონისტი მოესტეტო მწერალი ბარი, რომელმაც განვლო ყველა სათესურები ბურჟუაზიულ დეკადენტური ლიტერატურის განვითარებისა ნაუტორფიზმიდან მოკიდებული სიმბოლიზმით ექსპრესიონიზმამდე, — აგრეთვე მივიდა ბოლოს მისტიციზმამდე და ნაციონალიზმამდე, და თუ ერნსტი აცხადებს, რომ მას ესლაც შეუძლია ჩააბაროს მარქსიზმის მინიმუმი, — ისე ჩინებულად შეითვისა თითქოს მან ისტორიული მატერიალიზმის მეთოდი თავის ცოდვილ ახალგაზრდობის დროს, — ეს ადასტურებს მხოლოდ იმ შეფასებას, რომელიც მას მისცა თავის წერილში ენგელსმა; უკანასკნელი კი ამბობდა, რომ ერნსტს მარქსიზმი მიაჩნია შაბლონად, სოციალური პროცესის მექანიკურ აბსნად. სადეთენ მივეყვართ საბოლოო ანგარიშში მარქსიზმის ასეთ გაგებას, — ამის მაგალითს, უყეთესი რომ არ შეიძლება, გვიჩვენებს თვით ერნსტის ევოლუცია.

ფრიდრიხ ენგელსი ბალზაკის შესახებ

ენგელსის გამოკვლევებელი მიმოიხილა მარგარიტ პაკანესთან

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის წინასიტყვაობა, კომენტარები ფ. შილერისა.

ენგელსმა ეს წერილი მე 80 წლების ინგლისელ სოციალისტ მწერალ ჯალს მარგარეტ ჰარკნესს მისწერა (შვად არის დაწერილი) და ჯერ არ ყოფილა გამოქვეყნებული. მას თაობი არა აქვს, (მაგრამ ჰარკნესის საპასუხო წერილიდან (1888 წ. ნ აგვისტოს თარიღით) სჩანს, რომ იბი იმავე წლის აპრილის დასაწყისში უნდა იყოს დაწერილი.

ცნობილია, რომ მარქსი ძალიან აფასებდა ბალზაკის მხატვრულ შემოქმედებას. „კაპიტალიზმის“ დასრულების შემდეგ ის ბალზაკის შესახებ ნაშრომის დაწერასაც კი აპირებდა. ქვემოთ დაწერილი წერილი ენგელსისა გვანუნებს, რომ ისიც დიდად აფასებდა ბალზაკს და მას უდიდეს რეალისტ მწერლად სთვლიდა, ისეთ მწერლად, ვისგანაც ის ზოგჯერ უფრო მეტს გებულობდა იმ ეპოქისას, ვიდრე იმ პერიოდის ყველა პროფესიონალი ისტორიკოსების, ეკონომისტების და სტატისტიკოსების ერთად აღებულ წიგნებიდან.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი

(1888 წლ. აპრილის დასაწყისი)

ძვირფასო მის ჰარკნეს, გმადლობთ თქვენი „ქალაქელი ქალიშვილისთვის“, რომელიც ბ-ნი ვიზიტელის ხელით გამომიგზავნეთ.

მოთხრობა უდიდესი სიამით და სიხარბით წავეკითხე. როგორც ჩემი მეგობარი და თქვენი მთარგმნელი ეიხჰოფი ამბობს, იგი მართლა ხელოვნების პატარა ქმნილება ყოფილა, ამას მან ისიც დაუმატა (რამაც თქვენ უნდა დაგაკმაყოფილოსთ), რომ მისი თარგმანი სიტყვა-სიტყვითი უნდა იყოს, თორემ ყოველგვარ გამოტოვებას ან გადაკეთების ცდას შესაძლოა მოჰყვეს მხოლოდ დედნის ღირსების გაფუჭება.

თქვენ მოთხრობაში ყველაზე მეტად რეალისტურ სიმართლესთან ერთად ის მეცა თვალში, რომ იქ ნამდვილი მხატვრის გამბედაობაა გამოჩენილი.

იგი მოსწანს არა მარტო დამხსნელი არმიის თქვენს მიერ მოცემულ ახსნაში,—რაიც მძაფრად ეწინააღმდეგება თავის-თავით კმაყოფილი მეშწანების აზროვნებას, რომლებიც შესაძლებელია პირველად შეიტყობენ თქვენი მოთხრობიდან თუ რატომ აქვს მხსნელ არმიას ამგვარი დასაყრდენი ხალხის მასაში,—არამედ უმთავრესად შეუფერადებელ ფორმაში, რომლითაც შეგიშოსიათ მთელი წიგნის საფუძველი,—ძველისძველი ისტორია პროლეტარი ქალისა, რომელიც საშუალო კლასის მამაკაცმა შეაცდინა. საშუალო ნიჭი შეცდებოდა ხელოვნურ წერილმანისა და სამკაულის ახუხულავებით მიეჩქმალა ფაბულის შაბლონური ხასიათი და, მიუხედავად ამისა იგი გამოცნობილი იქნებოდა, თქვენ

კი აგრძენით, რომ შეგიძლიანთ გვიამბოთ ძველი ისტორია, რადგან ძალა შეგწვეთ დამაჯერებელი თბრობით განაახლოთ იგი.

თქვენი მისტერ არტურ გრანტი—შედევრია. თუ მე შემიძლიან კრიტიკა გავუწიო რასმეს, შესაძლოა ეს იყოს მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოთბრობა საკმაოდ რეალისტური არ არის. ჩემი თვალსაზრისით რეალიზმი დეტალიზმის სისწორის გარდა ჰგულისხმობს ტიპური ხასიათების ტიპურ გარემოში სწორ გადმოცემას. თქვენი ხასიათები საკმაოდ ტიპურია იმ ფარგალში, რომელიც გადმოგვეცით, მაგრამ იგივე არ ითქმის იმ გარემოებებზე, რომლითაც ისინი გარემოცულნი არიან და რომელიც მათ ამოქმედებს.

„ქალაქელ ქალიშვილში“ მოცემული მუშათა კლასი პასიური მასაა. მის არ ძალუძს თავის თავს უშველოს, ის არც კი ლამობს თავის თავს უშველოს. ყოველი ცდა რათა მან თავი დააღწიოს დამძლუნგებელ სილატაკეს, მოდის გარედან, ზემოდან. (ეს კლასი მათთა ყველაზე უფრო ღარიბია, ყველაზე უფრო დატანჯულია, ყველაზე უფრო მრავალია, როგორც ამბობს სენ-სიმონი, ყველაზე უფრო ღარიბია, დაჩაგრულია, როგორც ამბობს რობერტ ოუენი¹⁾) მაგრამ თუ ამგვარად აწერა სწორი იყო 1800 და 1810 წლებში, სენ-სიმონის და რობერტ ოუენის ხანაში, იგი ასეთივე აღარ არის 1837 წელს იმ კაცისთვის, ვისაც 50 წელიწადს პატივი ჰქონდა მონაწილეობა მიეღო მეზრძოლი პროლეტარიატის ბრძოლაში, და ვინც მუდამ ხელმძღვანელობდა პრინციპით, რომ მუშათა კლასის განთავისუფლება თვით მუშათა კლასის საქმე უნდა იყოს. მუშათა კლასის მიერ რევოლუციონური უკუგდება მისი მჩაგვრელი გარემოსი, მისი დაძაბული ცდა—ნახევრად შეგნებული ან შეუგნებელი—რათა მან მოიპოვოს, თავის ადამიანური უფლებანი ისტორიის ნაწილია და მას შეუძლიან პრეტენზია გააცხადოს ალაგისთვის რეალიზმის დარგში.

მე სულაც არა მსურს ბრალი დაგდოთ იმის გამო, რომ თქვენ არ დასწერეთ ნამდვილი სოციალისტური მოთბრობა, „ტუნდენციური რომანი“ როგორც ჩვენ, გერმანელები, ვიტყვით ხოლმე, სადაც ქებაშესხმული იქნებოდა, ავტორის სოციალისტური და პოლიტიკური იდეები.²⁾ ეს სულაც არ არის ის რასაცმე ვფიქრობ. რეალიზმი, რომელიც მხედველობაში მქონდა, ავტორის შეხედულებათა მიუხედავადაც თავს გამოიჩინეს ხოლმე. ნება მიბოძეთ ერთი მაგალითი დავასახელო. ბალზაკი, რომელიც მე გაცილებით უფრო დიდ მხატვარ-რეალისტად მიმანია, ვიდრე წარსულის, აწმყოსი და მყობადის ყველა (ხოლა, თავის „ადამიანურ კომედია“-ში გვაძლევს საფრანგეთის „საზოგადოების“ ყველაზე უფრო შესანიშნავს რეალისტურ ისტორიას, ავგიწერს რა ქრონიკის სახით ზნეცუფლებებს წლიდან-წლამდე, მოკიდებული 1816-იდან—1848-მდე, როცა აღმავალი ბურჟუაზია სულ მეტის და მეტის სიძლიერით ახრეინებდა ქედს თავადნაწარულ საზოგადოებას, რომელმაც

¹⁾ ენჯელსს ეს სიტყვები წაუშლია.

²⁾ ამ ალაგას არში. ხე ენჯელსს მეტად გაურკვეველი ზელით მიუწერია და მისი სწორი გარჩევა შეუძლებელია. შესაძლოა იგი ასე წავიკითხოთ: „The more the opinions of the author remain hidden, the better Fou the work of art“, ვ. ი. რაც უფრო მეტად არის დამარული ავტორის აზრები, მით უკეთესია ზელოვნების ნაწარმოებისათვის. მაგრამ ეს სათუო რედაქცია. საბოლოო ტექსტი მაშინ იქნება დადგენილი, როცა წერილის დედანი აღმოჩნდება.

1815 წ. შემდეგ ისევე წამოაწია, გასწორდა და, რამდენადაც კი შეიძლებოდა (*tant bien pue mal*), აღადგინა ძველი ფრანგული პოლიტიკის დროშა. ის ასწერს თუ როგორ დალუპა ან როგორ გარყვნა თანდათან მისთვის სანიმუშო საზოგადოების უკანასკნელი ნაშთები ვულგარული ფულიანი მეტიჩარას შემოტევამ; თუ როგორ მოხდა, რომ *grande date*-ამ, რომლისგანაც ქმრის ლალატი იყო მხოლოდ თავდასაცავი საშვალეობა, რაც სავსებით შეეფერებოდა მისდამი მიკუთვნებულ მდგომარეობას ცოლქმრობაში, — როგორ დაუთმო ადგილი ბურჟუაზიულ ქალს, რომელიც ფულისთვის ან ჩაცმა-დაბურვისთვის იძენს ქმარს. ამ ცენტრალურ სურათის ირგვლივ ის აგროვებს საფრანგეთის საზოგადოების მთელ ისტორიას, საიდანაც ეკონომიური დეტალების მხრივაც კი უფრო მეტი გავიგე, (მაგალითად გადაჯგუფება რეალური (*real*) და პირადი საკუთრებისა რევოლუციის შემდეგ), ვიდრე იმ პერიოდის ყველა პროფესიონალ ისტორიკოსების, ეკონომისტებისა და სტატისტიკოსების ყველა წიგნებიდან. მართალია, პოლიტიკურად ბალზაკი ლეგიტიმისტი იყო. მისი დიდებული ნაწარმოები განუწყვეტელი ელევიაა უმაღლესი საზოგადოების გამოუსწორებელი დანგრევის გამო. ის თანაუგრძნობს სასიკვდილოდ განწირულ კლასს. მიუხედავად ამისა მისი სატირა არასოდეს არ ყოფილა უფრო მკრეული, მისი ირონია უფრო მწარე, ვიდრე, მაშინ, როცა ის ამოკმედებს არისტოკრატებს, მამაკაცებსა და დედაკაცებსაც, რომელთაც ის ღრმა სიმპატიით ეკიდება. ერთად ერთი ხალხი, რომლის შესახებ იგი აშკარა ალტაცებით ლაპარაკობს, ეს არის მისი ყველაზე უფრო დაუძინებელი მტრები, რესპუბლიკის გმირები *Claire Saint Merri*, ის ადამიანები, ვინც იმ დროს (1830—1836) მართლაც ხალხის (ნამდვილი წარმომადგენლები იყვნენ, ის გარემოება, რომ ბალზაკი იძულებული გახდა წასულიყო თავისივე კლასობრივი სამუშაოების და შემცდარი პოლიტიკური რწმენის წინააღმდეგ, რომ ის ხედავდა თავის საყვარელი არისტოკრატების განადგურების აუცილებლობას და ხატავდა მათ ისეთ ადამიანებად, რომელნიც უკეთესი ხედრის ღირსნიც არ იყვნენ, და რომ ის ხედავდა მომავლის ნამდვილ ადამიანებს მხოლოდ იქ, სადაც ამ დროს შესაძლო იყო მათი პოვნა, ეს გარემოება მე მიმაჩნია რეალიზმის ერთ-ერთ უდიდეს გამარჯვებად, მოხუცი ბალზაკის ერთერთ უდიდეს თავისებურებად.

მე უნდა ვაღიარო თქვენს დასაცავად, რომ არსად ცივილიზებულ მსოფლიოში მუშათა კლასი არ იჩენს ესოდენ ნაკლებს აქტიურ წინააღმდეგობას, ესოდენ დიდ პასიურობას ბედის წინაშე, და ქედმოხრილობას, როგორც, ლონდონის ისტენდში. აბა რა ვიცი, იქნება თქვენ საკმაო საბუთიც გქონდათ დაკმაყოფილებულიყავით მუშათა კლასის ცხოვრების პასიურობის აღწერით და ამავე ცხოვრების აქტიურობა მეორე ნაწარმოებისათვის დაგეტოვებინათ?

მარძნი და ენგელსი ბალზაკისა და რეალიზმის შესახებ ლიტერატურაში

ეს არის ეხლა გამოქვეყნებული ენგელსის წერილი, მინაწერი, 80-90 წ. ინგლისელ სოციალისტი მწერლის მარგარეტ ჰარკნესისადმი, ავსებს მნიშვნელოვან ხარვეზს ჯერ კიდევ სუსტად დამუშავებულ თემისას შესახებ იმისა, თუ

რა აზრისა იყვნენ მარქსი და ენგელსი ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე და კერძოდ—რელიგიონისა და ბალზაკზე. ცნობილია მარქსის უნცროსი ქალიშვილის ელეორონას ნაამბობიდან, რომელიც ბლომად მუშაობდა ჟურნალისა და ლიტერატურაზე, აგრეთვე ლაფარგის და სხვათა მოგონებიდან, ვინც ახლო იცნობდა მარქსს, რომ მას ძალიან უყვარდა ბალზაკის ნაწარმოები და დიდად აფასებდა მას. უმთავრესად ამ ნაამბობის და აგრეთვე თვითონ მარქსის ნაწერებისა და წერილების საბუთებით მერინგი სწედს თავის ცნობილ ბიოგრაფიაში, სჰლაც ის მოკლე ჯამს უყუთებს მეცნიერული სოციალიზმის დამფუძნებლის სალიტერატურო ინტერესებს: „მარქსი ძლიერ აღტაცებაში მოჰყავდა ბალზაკის „ადამიანურ კომედიას“, რომელიც მთელი ეპოქის ანარეკლია სარკესაგეთმას სურდა თავის დიდი ნაშრომის (ე. ი. „კაპიტალის“) დასრულების შემდეგ დაეწერა ბალზაკის შესახებ, მაგრამ ეს გეგმაც, როგორც მრავალი სხვაც, შეუსრულებელი დარჩა“. რაც შეეხება ენგელსს, მისი აზრი ბალზაკის შესახებ ძალიან ნაკლებად იყო ცნობილი. ის მხოლოდ ერთხელ ახსენებს ამ სახელს მარქსისადმი მიწერილ წერილში 1852 წ. 4 ოქტომბრის თარიღით. ამ ეპიოდს გამოჰქვეყნებული წერილი, 1888 წ. აპრილის დასაწყისს, ე. ი. მარქსის სიკვდილის ხუთი წლის შემდეგ დაწერილი, ამტკიცებს, რომ ენგელსის აზრი ბალზაკის შემოქმედების შესახებ ეთანაბრებოდა მარქსის აზრს. ეს წერილი შესაძლებელია ერთგვარად შეეფასათ როგორც იმ ნაშრომის მაგიერი ბალზაკის შესახებ, რომელიც, სამწუბაროდ, ისევე დარჩა დაუწერავი, როგორც დარჩა მისი მეორე საყვარელი პოეტის ჰაინეს შესახებ. ენგელსის ამ ფრიად საინტერესო წერილის ვასაგებად ჯერ იმ საკითხების გარკვევაზე შევჩერდეთ, რომლის გამოც იყო იგი დაწერილი, და აგრეთვე იმ გარემოზე, რომელიც ენგელსმა მხოლოდ გარკვევით გაიხსენა, და შემდეგ—ზოგიერთ მნიშვნელოვან საგანზე, რომელიც რელიგიონისა და ბალზაკის ნაწარმოების შესწავლის დროს გვხვდება.

I

ენგელსის წერილის ადრესატი ქ-ნი მარგარეტ ჰარკნესის ინგლისელ წერილბურთუფაზიული ინტელიგენციის იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც მე-80 წ. სოციალისტურ მოძრაობას შეუერთდა. მაშინდელ ინგლისში სოციალისტების სამი ჯგუფი არსებობდა: „სოციალ-დემოკრატიული ფედერაცია“ რომელსაც ჰაინდმანი ხელმძღვანელობდა „ფაბიანელთა საზოგადოება“ და „სოციალისტური ლიგა“. ქ-ნი ჰარკნესი პირველ ჯგუფს ეკუთვნოდა. სოციალისტურ მოძრაობაში ის რამდენადაც გამოჩენილ აქტიურ-პოლიტიკურ როლს არ ასრულებდა. სამაგიეროდ იმ ხანაში დიდად ცნობილი იყო მისი სოციალისტური მოთხრობები, რომელსაც სწერდა ჯონ ლოუს ფსევდონიმით მისი ნაწერების მთავარი თემა იყო: ნატურალისტური ასახვა უაღრესად დაჩაგრულისა და უსინდისოდ ექსპლოატირებული მუშების და ქალაქელი მუშაქალებისა („ქალაქელი მუშა ქალების“) წარმოების სხვადასხვა დარგში, ნამეტნავ ლონდონის პროლეტარულ უბანს ისტ-ენდში, შემდეგ—„მუშაობა მხსნელი არმიის“ ორგანიზაციისა ამ მოსახლეობაში და მუშების ყოფა-ცხოვრება უმუშევრობის დროს. მარგარეტ ჰარკნესს ყველაზე მეტად აინტერესებდა „ქალა-

ქელი ქალიშვილები“. ეს თემა ძლიერ პოპულარული იყო 80 წ-ში. მან ჰარკნესის გარდა მრავალი სოციალისტი მწერალიც გაიტაცა, ნამეტან კი ქალები. მაგალითად ელეონორა მარქს-ვევლინგი, რომელსაც ჰარკნესი იყენებდა დიპლომატთანაც ერთად ჰარკნესი ალბათ, იკვლევდა ამ ქალიშვილებს ურთიერთობებს, სოციალისტურ პრაპაგანდას ეწეოდა მათ შორის, აწყობდა გაფიცვას და სხ. და სხ. საკმაოდ ცნობილი ანა ბეზანტი, ამის წინაღ გარდაცვლილი, მაშინდელი სოციალისტი მოღვაწე, შემდეგ გამოსტიკოსებული 1907 წლიდან დამფუძნებელი და ხელმძღვანელი საერთაშორისო თეოსოფიური საზოგადოებისა, 80 წლებში თავის ქმართან ერთად ბევრს მუშაობდა ამ ქალებში და მათს შრომას ქ-ონი ჰარკნესიც იზიარებდა, და ამ ნაშრომის პირველი ნაყოფი იყო ის „ქალაქელი ქალიშვილი“, რომლის გამოც არის დაწერილი ენგელსის წერილი. ამ მოთხრობის გამოსვლის დროსვე ჰარკნესმა წერილი დაბეჭდა ამავე თემაზე ჰაინდშანის ვახუთ „ფურნალისტში“-ში. აღნიშნავს რა ხაზგასმით, რომ სოციალისტების გარდა ამ საგანს „იკვლევენ“ საქარბნო ინსპექტორებიც, სამღვდლოებაც და ყოველგვარი საკვლამოქმედო საზოგადოებანიც, რომელთაც მხოლოდ ფილანტროპიული მიზანი აქვთ დასახული, ჰარკნესი ამბობს, რომ „შრომის დამჭირებელთა და მუშათა აზრი ერთიდაიგივე საგანზე ძლიერ განსხვავდება ურთიერთისაგან“, და ერთგვარი სანიმუშო აზრი გამოაქვს ამგვარი წერილობრივადი ინტელიგენციისთვის, რომელიც ცდილობდა ყველა მოვლენა „ზეპარტიულად“ შეეფასებინა. იმის აზრით საჭიროა ორივე მხარეს მოუსმინო და შემდეგ საშუალო გეზი გამოიძებნო. აღმოჩნდა, რომ ქალი წარმოების 200 დარგში მუშაობდა, რომ ზოგან (უმთავრესად პოლიგრაფიულს, თამბაქოს, ელექტროტექნიკურს, პარფიუმერიის და სხ. დარგში) ის შრომობდა დილის 8 ს. საღამოს 7-მდე. ხელფასის მხრივ ორი ჯგუფი იყო: ვინც 8-14 შილინგს იღებდა კვირაში და ვისაც 4-8 შილინგი ეძლეოდა.

ასწერს რა ამ ქალების ცხოვრების საშინელ პირობებს და მათს ექსპლოატაციას, ჰარკნესი თავის წერილებს და ენგელსის მიერ გარჩეულ მოთხრობებშიც მხოლოდ ანგარიშს იძლევა მათი მდგომარეობისას და გამოსასვლელ გზას კი არ გვაჩვენებს. „ქალაქელი ქალიშვილიში“—სწერს ენგელსი მუშათა კლასი მოცემულია როგორც პასიური მასა. მას არ ძალუძს თავის თავს უშველოს, ის არც კი ლამობს თავის თავს უშველოს. ყოველი ცდა რათა მან თავი დაიღწიოს დამპყრობებელ სილათაკეს, მოდის გარედან, ზემოდან* ქ-ნი ჰარკნესი მუშათა კლასის პრობლემას არკვევს 80—90 წლების ჩვეულებრივი წერილობრივადი ნატურალისტების თვალსაზრისით—მარტო ინგლისელი ნატურალისტებისა კი არა არამედ გერმანელის, ფრანგის, სკანდინავიელისა და სხ. და სხ. ამ მოთხრობაში ნუ ეძებთ საკითხის დაყენებას მარქსისტულ-რევოლუციონერად, მსგავსად ელეონორა მარქსისა, რომელმაც იგივე წრე გამოიკვლია და რომლის (წრის) გამოც ენგელსი სწერდა: „არსად ცივილიზებულ საზოგადოებაში მუშათა კლასი არ იჩენს ესოდენ მცირე აქტიურ წინააღმდეგობას, უფრო მეტს პასიურობას ბედის წინაშე, არ განიცდის უფრო მეტს კაეშანს, ვიდრე ლონდონის ისტ.-ენდში“ მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ რევოლუციონერმა მწერალმა, როგორც ჩინებულად აღნიშნავს ენგელსი, მხოლოდ უნდა ას-

წეროს ეს სავალალო მდგომარეობა, მხოლოდ ფოტოსურათი გადაიღოს და მთელ ნაწარმოებს სარეველუტციო გეზი არ მისცეს. ელენოროა მარტის პარკენსავით მარტოდუნ დადასტურებით კი არ კმაყოფილდებოდა. **კრემლში** კდგლობდა კლასობრივად აღეზარდა ისტ-ენდის მუშები.

ასეთივე წვრილბურჟუაზულ-ფილანტროპიული მიდგომით ასწერს პარკენსი „მსხნელ არმიას“. ენგელსი ხაზგასმით აღნიშნავს თავის წერილში იმის მნიშვნელობას, რომ მწერალი ქალი არკვევს ამ ბურჟუაზულ-ფილანტროპულ-ეკლესიური ორგანიზაციის პოპულარობის მიზეზს. მაგრამ პარკენსმა აქაც ვერ შეამჩნია ბოლომდე ამ ორგანიზაციის მტრობა მუშათა კლასისადმი. ეს გამოიჩინდა იმის წერილშიც „მსხნელი არმია და სოციალისტები“ (გაზ. „უესტის“). მას მოსწონს, რომ „არმიამ“ მეურნეობის კრიზისის დროს მრავალი სასადილო გახსნა ისტ-ენდში და, მაგალითად, ერთ დღეში მხოლოდ ერთმა სასადილომ 4 ათასი სული გამოჰკვება. იმ ხანებში დისკუსია ასტყდა „არმიის“ ხელმძღვანელთა და სოციალისტების შორის. „არმიელები“ თავიანთ თავს „ქრისტეს მსახური უწოდეს, სოციალისტებს კი „აღამიანის მსახური“. პარკენსიც ჩაერია ამ დისკუსიაში და მკაფიო პასუხის მაგიერ ბუნდოვანი საკითხი წამოშვა: „არ ვიცი რას ფიქრობენ სოციალისტები „მსხნელი არმიის“ წევრებზე, მაგრამ ის კი ვიცი, რომ არმიელები ძალიან კარგად იხსენიებენ „აღამიანის მსახურებს“. ამას წინათ გენერალმა ბუტსმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ ის პატივს სცემს სოციალისტებს და ორივე ორგანიზაცია უფრო მჭიდროდ უნდა მუშაობდეს საერთო საქმეზე ვინემ აქამდე მუშაობდა, რადგან მათ ბევრი საერთო ინტერესი მოეპოვებათ. „რაც შეგვეხება ჩვენ, „არმია“ კარგ მაგალითს გვაძლევს. იგი არასოდეს არ გაპობილა. იგი მუშათა ფართე კავშირია.

მიუხედავად იმისა, რომ პარკენსის შემოქმედება და იდეოლოგია წვრილბურჟუაზიულია ენგელსს ამ მწერლის „რეალისტობა“ ფრიად სასარგებლოდ მიაჩნდა მაშინდელი სოციალისტური პროპაგანდისთვის, ვინაიდან თუ ნებადართული იქნება ეხლანდელი ტერმინი ვიხმარო, პარკენსი 80 წ. ინგლისის მუშათა მოძრაობის „თანამგზავრი“ იყო. ენგელსის აზრი—და ცხადია, მარქსაც იმ დროინდელი წვრილბურჟუაზიულ მწერლებზე მეტად მნიშვნელოვანია ენგელსი აღიარებდა, რომ მათ მუშათა კლასის წინაშე დასახურება ჰქონდათ, ის ხაზგასმით აღნიშნავდა მათს შემოქმედებითს მეთოდში არსებულს სწორ აღაგებს და ეხლაც და აგრეთვე სხვა შემთხვევაშიც, რომელიც კი ვიცი, დაწერილებით ჩერდებოდა მათს შეცდომებზე და ისე აშენებდა თავის კრიტიკას, რომ იგი ნამდვილ ლექტიად გამოდგება თანამგზავრი მწერლის აღსაზრდელად დიალექტური მატერიალიზმის შეთვისების მხრივ. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ მან პარკენსს წერილთან ერთად გაუგზავნა ინგლისურ ენაზე გამოსული თავის წიგნიც „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“. მას სსურდა იმ მწერლისათვის მარქზიზმის საფუძვლების საუკეთესო ახსნა-განმარტება მიეცა.

პარკენსის „ქალაქელი ქალი“, რამდენადაც კი შევძელით და აღვადგინეთ, 1887 წლის დასასრულს გამოსცა ვიხეტელიმ. როგორც ენგელსი სწერს, გამომცემელმა აიტორის თხოვნით სარეცეფშიოდ გაუგზავნა მას ეს წიგნი. რადგან ენ-

გელსს შემდეგაც ჰქონდა კავშირი ამ გამომცემელთან და რადგან ევროპორა მარქსს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მასთან, ამიტომ საჭიროა იმაზედაც ითქვას რამდენიმე სიტყვა.

ბენრი ვიზეტელი (1820—1894) თავის დროზე ცნობილი ინგლისელი რადიკალი ჟურნალისტი, გამომცემელი და პიონერი იყო ინგლისური ბურჟუაზიულ-დასურათებული ბეჭდვითი საქმისა („Illustrated London News“, „Pictorial Times“ და სხ.) ის შეიდ წელიწადს ცხოვრობდა პარიზში (1865-1872) და წიგნი დასწერა შესახებ პარიზის ალყისა გერმანეთ-საფრანგეთის ომისა და 1871 წ. კომუნისა. ის აგრეთვე ავტორიც არის რამდენიმე ბელეტრისტულ წიგნის. 1887 წლიდან ვიზეტელი სპეციალური კორესპონდენტი იყო ლონდონში და მისი მთავარი საქმე ის იყო, რომ სთარგმნიდა და ბეჭდავდა უცხოეთის ლიტერატურას (ფლობერს, დოდეს, შერბულიეს, გოგოლს, დისტოვესკის, ტოლსტოის და უფრო მეტად კი ზოლას). ვარდა ამისა მან გამოსცა რამდენიმე ნაწარმოები თავის ინგლისელი მეგობარი მწერლებს, მაგალითად მურეის, ჯორჯ მურის და პარკენსის. და აი ენგელსმა, რა წაიკითხა მის მიერ გამოგზავნილი „ქალაქელი ქალი“, არა თუ მეგობრულ კრიტიკული წერილი მისწერა მას, ის ცდილობდა ამავე დროს ამ წიგნის მთარგმნელიც ეშოვა რათა იგი გერმანულ მუშებრათვისაც მიეწოდებინა¹⁾ ამ მიზნით ის ურჩევს თავის და მარქსის ძველ მეგობარს ვილჰელმ ეიხზოფს (ცნობილი წიგნის ავტორს I ინტერნაციონალის შესახებ და მორგანის „ანტიკური საზოგადოების“ მთარგმნელს, რომელიც იმ დროს მიუნჰენში ცხოვრობდა) ეკისრა თარგმნა.

რადგან ეიხზოფს რამდენიმე ხანი საპატიმროში უნდა გაეტარებინა, მან ეს შრომა იქ შეასრულა. ენგელსი ჰშველოდა მას ძნელი სიტყვებისა და ტერმინების თარგმნაში. 1888 წ. 18 მარტს ეიხზოფი სწერს ენგელსს: „რაც შეეხება „ქალაქელ ქალს“, თავის თავადაც ცხადია, რომ იგი სიტყვა სიტყვით უნდა იყოს თარგმნილი, ვინაიდან ყოველგვარი შემოკლება ან შეცვლა ერთგვარ ფასს დააკლდება ამ მოთხრობას, რომელიც თავისებური პატარა შედევრია. უკანასკნელ დროს მე მიწერ-მოწერა მქონდა ი. გ. დიტცთან²⁾ შტუტგარტში და მისი ყურადღება მივაქციე „ქალაქელ ქალს“. მან მთხოვა გამეგზავნა მისთვის ხელწერილი მისი დასრულებისთანავე. მე ეკვი არ მეპარება, რომ დაასრულებს თუ არა თავის ჟურნალში ქ-ნი კაუცკის რომანის „ვიქტორიას“ ბეჭდვას, ამ მოთხრობასაც დაბეჭდავს. რადგან საკმაოდ დრო რჩება ჰონორარის გამორკვევისთვის, ამიტომ მე გერჯერობით მიწერმოწერას არ ვიწყებ ქონ პარკენსთან, რომელსაც ვთხოვ გადასცე ჩემი თავდაბალი სალამი“.

1888 წელს ზაფხულში პარკენსმა მეორე რომანი დაასრულა— „უმუშევარი“, რომელიც, ალბათ ენგელსის რეკომენდაციით, დაბეჭდა ლონდონელმა ცნობილმა გამომცემელმა ზონენშტეინმა და დაბეჭდა, რომელიც თვითონ ენგელსის ნაწერებსაც ბეჭდავდა. სანამ რომანი დაიბეჭდებოდა, ენგელსი ურჩევს ეიხზოფს ეს რამენიც სთარგმნოს გერმანულად. 1888 წ. 2 ივნისს ეიხზოფი სწერს ენგელსს:

¹⁾ ამ წერილმანებზე იმითმ შევტრდით, რომ პარკენსის ნაწერებია გარჩევა ენგელსის მიერ საინტერესოა თვითონ ენგელსის სალიტერატურო პრაქტიკის ისტორიაში.

²⁾ გერმანულ სოც.-დემ. პარტიის ოფიციალური გამომცემელი.

დიტცმა მიიღო „ქალაქელი ქალის“ ხელნაწერი და ერთდროულად გამოცემაში 150 მარკა დამინიშნა. მოთხოვნა დაიბეჭდებოდა ახლად დაარსებულ ჟურნალში, რომელსაც ალბათ ასეთი სათაური დაერქმევა: „Der Gesellschafter, Zeitschrift für die elegante Welt“¹⁾ მე დიტცს თორმეტიოდე ცალს გამოეპროსიშეცა და ამგვარი „გერმანელ მწერალთა სალიტერატურო ბიუროს“ საშეაღებით, სადაც მეც ვითვლები წევრად, მოვახერხებ და ამ მოთხოვნას ავსტრო-გერმანულ ჟურნალ-გაზეთებშიც დავაბეჭდვინებ. დრო იქნება და შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოვა²⁾ მე მადლობით შევეუდგები ახალ მოთხოვნას, რომელიც ეხლა იბეჭდება, და რადგან ხელშეკრულება „Ancient Society“-ს სათარგმნელად 7 თვეს მძღვეს, ამიტომ შესაძლოა სხვადასხვანაირობისთვის ამ შრომასაც მოვკიდო ხელი, ვერ დავადგინებ, გადასთარგმნა თუ არა ეთხოვება ეს წიგნიც, რადგან ამის შემდეგ მან უშუალო მიწერმოწერა გამართა ჰარკენსთან.

სამწუხაროდ ვერ თითონ ჰარკენსის შემდგომი ბედიც არ ვიცი. 1891 წლის აგვით მას აღარავითარი დამოუკიდებელი ნაშრომი არ გამოუქვეყნებია. ვერც მისი წიგნები ვიშოვეთ და ამიტომ ვერ გამოვარკვიებთ, განახორციელა თუ არა მან კონკრეტულ სამხატვრო შემოქმედებაზე ის რჩევა, რომელიც ენგელსმა მისცა მას. ამის შესახებ მისი საპასუხო წერილი ენგელსისადმი ზოგიერთთა მიხედვრის საშუალებას იძლევა. იგი ასეა დათარგმნებული: ლონდონი, 49, Russell street, 1888 წელს 5 აპრილს. ჰარკენსი სწერს:

ძვირფასო მისტერ ენგელს!

დიდად ვმადლობთ წერილისა და წიგნისთვის. თქვენი წიგნი უკვე წავეკითებ და ხელმოვარულ უფრო მეტი ინტერესით წავეკითებავ ვინემ პირველად.

მე მუდამ დიდის აღტაცებით და პატივით მიგურობოდით და არასოდეს არ მეგონა, რომ ღირსი გავხდებოდი წერილი მიმეღო თქვენგან, ისეთი ადამიანისგან, ვინც მსოფლიო ისტორიის შექმნას ეხმარება.

როცა ელენოზრა დაბრუნდება, იქნება ნება მიბოძოთ განახოთ. ბევრი რამ, რასაც მწერთ ჩემს წიგნზე, სრული სიშარბლეთა, ნამეტან კი ის, რომ მას რეალიზმი აკლია.

ამ მხრივ ჩემი დაბრკოლებათა ახსნა-განმარტებას დიდი დრო მოუნდებოდა. მე მგონია ეს დაბრკოლებანი უმთავრესად იმიტომ აღმოცენდა, რომ მე მაკლია რწმენა ჩემი ძალღონისა და აგრეთვე ჩემი სტესის გამოც. გთხოვთ მიიღოთ ჩემი უმხურვალესი მადლობა თქვენი გულკეთილობისათვის.

თქვენი ერთგული

მარგარეტ ე. ჰარკენსი.

ის გარემოება, რომ ამ წერილის შემდეგ დაწერილი „უმეშავეარნი“ რადიკალურ გამოცემლობაში კი არ დაიბეჭდა, არამედ სოციალისტურში, რაოდენივე საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ენგელსის რჩევას უქმად არ ჩაუვლია³⁾.

¹⁾ ჩვენ ვერ გამოვარკვიებთ რომელ ჟურნალში დაიბეჭდა, „ქალაქელი ქალის“ გერმანული თარგმანი.

²⁾ „ქალაქელი ქალი“ ცალკე წიგნად არ გამოსულა.

³⁾ ჰარკენსის ბიოგრაფიისა ვერ მთლიანად ის ვიცი, რომ ის იყო ლონდონელი პასტორის ქალიშვილი და ერთხანს სამცურნალოში მუშაობდა. ვე ბერძნულის მოგონებებდან სწამს, რომ ის რანდენივე წელიწადს ენგელსის მახლობელ მეგობართა წრეში ტრიალებდა და მის

II



ენგელსის წერილი, ჰარკნისადმი მიწერილი, უფრო მეტად უნაყოფი ფორმულებით ადასტურებს ხელახლა მარქსისა და ენგელსის დაბრუნებას შესახებ „ტენდენციური“, „სუბიექტურ იდეალისტური“ და „ობიექტურ-რეალისტური“, ლიტერატურისა რომელთაც ისინი უკვე შეეხნენ მთელ რიგ ნაწარმოებში ტ უფრო სისტემატიური ფორმით გამოსთქვეს ლასალისადმი მიწერილ წერილებში მისი დრამის „ფრანკ ფონ ზიკინგენის“ გამო. „მე სულაც არა მსურს ბრალი დავდოთ იმის გამო, — სწერს ენგელსი ჰარკნესს, — რომ თქვენ არ დასწერეთ ნამდვილი სოციალისტური მოთხრობა, „ტენდენციური რომანი“, როგორც ჩვენ, გერმანელები, ვიტყვით ხოლმე, სადაც ქებაშესხმული იქნებოდა ავტორის სოციალური და პოლიტიკური იდეები. ეს სულაც არ არის ის რასაც მე ვეძიებო. 1) აქ იგივე აზრია გამოთქმული შემოქმედების შეთოდზე, რომელიც მარქსმა და ენგელსმა განათარეს ლასალთან კამათის დროს, როცა მათ „შილერიზაციას“ „შექსპირიზაცია“ დაუპირდაპირეს. მერინგი ამ შემთხვევაშიც ლასალს ეყრდნობოდა და იმ გარემოებას, რომ მარქსსა და ენგელსს „არ უყვარდათ“ შილერი, მათი „პირადი ანთიპათიით“ და შილერის ნაწარმოების „უყოღინარობით“ გვიხსნის.

ნამდვილად კი ამ საკითხს შილერ-შექსპირის შესახებ ღრმა პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მერმინდელი შილერისთვის ნაწარმოების „გმირი“ რუპორია სუბიექტიურ განყენებული „იდეის“, ის გამოსახავდა „ბრძოლას“ ყალბი პათოსით „მსოფლიო-ისტორიულ პიროვნებათა“ დაპირისპირებაში, რომელნიც ვითომ გამოსახავდნენ ისტორიულ შეჯახებას და თითქოს ისინი ყოფილიყვნენ საზოგადოებრივი განვითარების გადამწყვეტი და მამოძრავებელი ფაქტორები. იმ დროინდელმა შილერმა განათლებულ მონარქისკენ აიღო გეზი („დონკარლოსი“), რომელსაც ზემოდან უნდა გადაეჭრა სოციალური საკითხი. შილერი

ოჯახშიც დადიოდა. შემდეგ ჰარკნესი დი გერმანელი სოციალისტი გერტრუდა გილმ შაქალარ დადიოდნენ ენგელსის საოჯახო საღამოებზე. მიზეზის შესახებ ბერნშტინი სწერს: „ერთხელ ენგელსს ქ-ნი გერტრუდა გილმ შაქის წერილი მოუფიქრა, სადაც სწერდა, რომ ის მანადე ველარ მივა მის ოჯახში, სანამ იქ დოქტორი ეველინგი იცლის. როცა მე ლონდონში დაესახლდი, ასეთივე წერილი მოუფიქრა მას ფრიად განათლებულ ინგლისელ სოციალისტსაგან, რომელმაც უკან ლაუს ფსევდონიმით მოთხრობების სახით თვალნათლივ დაგვუბატა მანჩესტერელი თეთრფელის მკერდალთა ყოფაცხოვრება, მოლგაწეობა „შანხელი არმიისა“ ლონდონის ისტ-ენდში და მათი მზგავსი სოციალური მოვლენა. ორივენი ქ-ნი (ჰარკნესი) და ქ-ნი შაქალ — მტკიცე უარზე იდგნენ და არ მსურდათ უფრო დაწვრილებით აუხსნათ, თუ რად ერიდებოდნენ ეველინგს. შესაძლოა ეველინგმა იმგვარი შეფრაცხოდა მიაცხნა, რომლის შესახებაც ზრდილობიანი ჭელი ზალისით აუ ლაპარაკობს ზალმე. (E. d. Bernstein, Aus den Jahren des Exils. Erinnerungen eines Sozialisten. 5—8 Aufl., Berlin, 1918, გვ. 219).

1) ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქო მარქსი დი ენგელსი წინააღმდეგი ყოფილიყვნენ ტენდენციისა ლიტერატურაში. არა, ისინი ებრძოდნენ მხოლოდ ხერხულ ტენდენციას, „მიკროძობას“, რომელიც ფაქტებს ამბინჯებს და მათს ლოლიკას ძალას ატანს. ამას საუკეთესოდ ამოწმებს მათი შეფასება ჰაინესს, ჰერვეგისა და ფრიდრიხშტაინის თვით ბოლომდე რევილუციონერ — „ტენდენციური“ პოეზიისა, მარქსი და ენგელსი ამბობდნენ, რომ ყველა დიდი მწერალი, არისტოფანედან მოყოლებული ჰაინემდე, თავითბოლომდე ტენდენციური იყო, მაგრამ ტენდენცია თვითონ ნაწარმოების მიერ უნდა იყოს ნაკარნახევი (подказано).

ვერ ხედავს ფართე მასაში საზოგადოებრივი განვითარების მამოძრავებელ ფაქტორს, ვერ ამჩნევს კლასობრივ ბრძოლას და ამიტომ ეძებს ხსნას „ელიტაში“. სუბიექტიურ-მორალურ ფენომენში. ამგვარ „შილერიზაციას მარქსმა და ინგელსმა დაუპირდაპირეს ხალხის ფართე მასების ისტორიული ბრძოლის რეალისტური ასახვა, იმგვარი ასახვა, როგორც იგი ხდება ნამდვილად. ისინი მოითხოვენ ამ ბრძოლის ისეთ ლიტერატურულ აწერას, რომელიც სუბიექტიურ-რიტორიკული პათოსით კი არ დაკმაყოფილდებოდა, არამედ ნამდვილ მამოძრავებელ ძალებს და ისტორიულ-კლასობრივ კონფლიქტებს გამოაშკარავებდა. მარქსი ამგვარი მიდგომის ელემენტებს შექსპირის მეთოდში ხედავს, ხოლო ლასალი ხაზგასმით სწერს (წერილი ლასალისადმი 1859 წ. 18 მაისის თარიღით), „რომ აღნიშნავს მარტო ის კი არ ახასიათებს, თუ რას აკეთებს იგი. არამედ ისიც, თუ როგორ აკეთებს. და ამ მხრივ-აგრძელებს ლასალი—დრამის იდეური შინაარსი მგონი არ დაზარალდებოდა „მის გამო, რომ (მომქმედი პირების) ხასიათი უფრო მძაფრად ყოფილიყო დაპირდაპირებული. უწინდელი დახასიათების სტილი ჩვენს დროში საკმაო აღარ არის და აქ, ჩემის ფიქრით, თქვენ უზიანოდ შეგებლათ ცოტა უფრო მეტი ანგარიში გაეფიქრათ იმ მნიშვნელობისათვის, რომელიც შექსპირს აქვს დრამის განვითარების ისტორიაში.

ვიმეორებთ, შექსპირისა და მერმინდელი შილერის დაპირდაპირება შემთხვევითი არ არის მარქსისა და ინგელსისთვის. საქმე ედება ბურჟუაზიული ლიტერატურის შემოქმედების ორ მეთოდს: სუბიექტურ გაიდებას, რომელიც უაღრესად ამახინჯებს კლასობრივი ბრძოლის ობიექტურ ვხას, და იმგვარ რეალიზმს, რომელიც ააშკარავებს (რადენბადაც შეუძლიან საერთოდ ბურჟუაზულ შემოქმედების მეთოდს, ვინაიდან ბოლოს და ბოლოს ეს რეალიზმიც იდეალისტურია) კაპიტალისტური განვითარების შინაგან წინააღმდეგობას. ისევე უბრალო შემთხვევა არ არის, რომ მარქსს ყველაზე მეტად ჰომიროსი, დანტე, სერვანტესი, შექსპირი, დიდრო, ფილდინგი, გოეტე და ბალზაკი უყვარდა.

მსოფლიო მწერალთა ამ სიას ისინი ნაწილობრივ ურთავდნენ დიკენსს და ზოგიერთს მათზე უფრო ნაკლებ რეალისტ მწერლებს, მაგალითად, მარქსი ერთ წერილში („ნიუ-ორკის ტრიბუნა“ 1854 წ. 1 აგვისტოს ნომერი) სწერდა იმდროინდელ რეალისტებზე: „ინგლისელი რომანისტების თანამედროვე ბრწყინვალე სკოლის თვალნათელმა და მკერმეტყველმა კალამმა უფრო მეტად გაუმჯღავ ნაკვეყნიერებას პოლიტიკურ-სოციალური კუთხარტებანი, ვიდრე ერთად აღებულმა ყველა პოლიტიკოსმა, პუბლიცისტმა და მორალისტმა აგვიწერეს ბურჟუაზიის ყველა ზოლები, მოყოლებული „ფრიად პატივცემულ“ „რანტიესი და სახელმწიფოს პროცენტინი ჭალადების მესაკუთრიდან, რომელიც ზემოდან დასცქერის „საქმის“ ყოველ დარგს, როგორც ვულგარულ რასმეს, და გათავებულს წვრილფეხა მედუნემდე და ვეკილის ხელქვეითამდე. როგორ ასახეს ისინი დიკენსმა, ტემერეიმ, შარლოტა ბრონტემ და ქნმა ჰასკელმა! ისინი სავსე არიან თავმჯდრობით, მედიდურობით, მიუკარებლობით, წვრილმანი ტირანობით და უფიცობით, და განათლებულმა კაცობრიობამაც დაადასტურა მწერალთა განაწინი დამდაღებელი ეპიგრამით, რომელიც მიაკერეს ამ კლასს, რომ იგი პირფერია

ზემოურებისა და დესპოტია ქვემოურებისა“. კაპიტალისტური საზოგადოების შინაგან წინააღმდეგობათა სწორედ ამგვარ გაბედულსა და პირდაპირს გამელავნებას, ამგვარ „ნიღაბთა ჩამოგლეჯას“ მარქი და ენგელსი დარღვევებდნენ ბურჟუაზულსა და წერილობრივრეალურ რეალიზმს. კაპიტალიზმის საზოგადოებრივი წინააღმდეგობათა ასეთი მართალი ასახვა, ბურჟუაზულ-რეალიტური ლიტერატურის დიდი შემცნობი ნიჭი—აი რა იყო მათის აზრით ამ ლიტერატურის უდიდესი უპირატესობა წინაშე „სუბიექტიურ-იდეალისტური“ ლიტერატურისა, და იი რატომ მოუწოდებდნენ ისინი იმდროინდელ სოციალისტ მწერლებს ზოგი რამ ესწავლათ ბალზაკისაგან. მაგრამ ეს იმგვარად კი არ უნდა გავიგოთ, ვითომ მარქსი და ენგელსი ისე აფასებდნენ დიდროს. ბალზაკისა ან დიკენსის შემოქმედებითს მეთოდს, როგორც მეთოდს დიალექტური მატერიალიზმისა, მეთოდს პროლეტარული ლიტერატურისა. არა, ენგელსის მიერ ბალზაკის შემოქმედების შეფასება ცხადად გვაჩვენებს, რომ საქმე სწორედ ისტორიულ პარალელს შეეხება, რომ პროლეტარმა მწერალმა, უკვე დიალექტური მატერიალიზმის მეთოდიდან გამოსულმა, უნდა ასახოს მუშათა კლასის ბრძოლა კაპიტალიზმთან ისეთივე რეალისტური ძალღონით, როგორც ბალზაკმა ასახა თავის ბურჟუაზულ რეალიზმის მეთოდის წყალობით ბურჟუაზიის ბრძოლა თავადაზნაურობასთან. ის სწერს: „ბალზაკი, რომელიც მე გაცილებით უფრო დიდ მხატვარ რეალისტად მიმაჩნია, ვიდრე წარსულის, აწმყოსი და მყობადის ყველა ზოლა, თავის „ადამიანურ კომედია“-ში გვაძლევს საფრანგეთის „საზოგადოების“ ყველაზე უფრო შესანიშნავს რეალისტურ ისტორიას, აგვიწერს რა ქრონიკის სახით წლობით-წლამდე, 1816-1848-მდე, თუ როგორ ჰქაჩავდა უფრო მეტად და მეტად აღმა-მიმავალი ბურჟუაზია თავადაზნაურთა საზოგადოებას რომელმაც 1815 წ. შემდეგ ისევ წელში წამოიწია, გასწორდა და, რამდენადაც კი შეიძლებოდა (tant bien que mal), ხელახლა აღადგინა ძველი ფრანგული პოლიტიკის დროშა. ის ასწერს თუ როგორ დაღუპა ან როგორ გარყვნა თანადათან მისთვის სანიმუშო საზოგადოების უკანასკნელი ნაშთი ფულის ვულგარული მეტიჩარას შემოტევამ; თუ როგორ მოხდა, რომ grande dame-ამ, რომლის ცოლქმრული ღალატი იყო მხოლოდ თავდასაცავი საშუალება და იგი ღალატი საესებით შეეფერებოდა მისდამი მიკუთვნებულ მდგომარეობას ცოლქმრობაში, თუ როგორ დაუთმო მან ადგილი ბურჟუა დედაკაცს, რომელიც ფულისთვის ან სამკაულისთვის იძენს ქმარს. ამ მთავარი სურათის ირგვლივ ის აგროვებს საფრანგეთის საზოგადოების მთელ ისტორიას, საიდანაც ეკონომიური დეტალების მხრივაც კი უფრო მეტი გავიგე (მაგალითად გადაჯგუფება რეალური (real) და პირადი საკუთრებისა რევოლუციის შემდეგ), ვიდრე იმ პერიოდის ყველა პროფესიონალ ისტორიკოსების, ეკონომისტებისა და სტატისტიკოსების ყველა წიგნებიდან“.

ეს განმარტება საოცრად გვაგონებს მარქსის მიერ შემოხსებებულ შეფასებას ინგლისელი რეალისტების სკოლისას, და „კაპიტალის“ ის ალავებიც, სადაც მარქსი ბალზაკის აზრებს ასახელებს, გვიდასტურებს იმის და ენგელსის აზრების მსგავსებას. მაგალითად, „კაპიტალის“ პირველ ტომში, სადაც მარქსი ამბობს, რომ ფულის ამოღება მისი საბრუნავი სფეროდან სრული წინააღ-

მღევობა იქნებოდა მისი კაპიტალისტური მოზმარებისა, ხოლო საქონლის შექმნება, როგორც განძეულის დაგროვება—სრული უაზრობაა, ის ასეთ შენიშვნას უკეთებს. „მაგალითად, მოხუცი მეფახზე გობსეკი ბალზაქისა, რომელიც (ბალზაქმა) საფუძვლიანად შეისწავლა კრიტიკანობის ყოველნაირი იერი, ისეა აწერილი, რომ იგი უკვე დაბრუნდა ბავშვობის იმ ხანაში, როცა ის იწყებს შექმნილი საქონლის შენახვას თავის სარდაფებში“. ხოლო „კაპიტალის“ მესამე ტომის პირველ თავში, სადაც ნაამბობია შესახებ წარმოების ხარჯისა და მოგებისა და ხაზგასმულია, რომ სადაც კაპიტალისტური წარმოება ბატონობს კაპიტალისტური მწარმოებელიც კი, ემორჩილება კაპიტალისტურ აზროვნებასო, მარქსი ამ აზრის დასასურათებლად ისევ ბალზაქს ასახელებს და სწერს: „თავის უკანასკნელ რომანში „გლეხები“ ბალზაქი, რომელიც საზოგადოდ შესანიშნავია რეალური ურთიერთობის ღრმა ცოდნით, ზუსტად ასწერს ერთ ღარიბ გლეხს, რომელიც უფასოდ უსრულებს თავის მეფახშეს ყოველგვარ სამუშაოს რათა შეინარჩუნოს მისი წყალობა, და ამავე დროს ჰგონია, რომ ის არაფრით არ ისაჩუქრებს მეფახშეს, რადგან ის გლეხი თავის საკუთარ შრომაში არავითარ ხარჯს არ ეწევაო. მეფახზე თავის მხრივ ორ კურდღელს ჰქვავს ერთბაშად. ის აღარ ხარჯავს ხელფასს და უფრო მეტად და მეტად აბაშს მეფახშურ ბაღეში გლეხს, რომელიც თანდათანობით სისწრაფით ღატაკდება იმის გამო, რომ თავის მამულს შრომას აკლებს... იმის გამო, რომ ბალზაქი საოცრად იცნობდა ეკონომიკას, მარქსი ადრევე სწერდა: ენგელსს (1868 წ. 14 დეკემბერს): „ბალზაქის“ სამრევლო მღვდელში“ ში სწერია „მრეწველობის ნაყოფს რომ ორჯერ მეტი ფასი არა ჰქონოდა, ვიდრე მათი დამხადება ღირს. ვაჭრობაც აღარ იქნებოდაო. რას იტყვი ამაზე? (მარქსი და ენგელსი. თხზულებანი. ტ. XXIV, გვ. 146).

III

ბალზაქის შემოქმედების ამგვარი მაღალი შეფასების მიუხედავად არც მარქსსა და არც ბალზაქს არ დაუხუჭიათ თვალი იმ ფაქტის წინაშე, რომ ბალზაქი თავის მსოფლმხედველობით როიალისტი და ლეგიტიმისტი, ე. ი. მეფის ძალაუფლების მომხრე იყო. „მართალია—სწერს ენგელსი—ბალზაქი პოლიტიკური ლეგიტიმისტი იყო. მისი დიდებული ნაწარმოებია განუწყვეტელი ელევგიაა უმაღლესი საზოგადოების გამოუსწორებელი დანგრევის გამო. ის თანაუგრძნობს სასიკვდილოდ განწირულ კლასს. მიუხედავად ამისა მისი სატირა არასოდეს არ ყოფილა უფრო მჭრელი, მისი ირონია უფრო მწარე, ვიდრე მაშინ, როცა ის ამოქმედებს არისტოკრატებს, მიმაკაცებსაც და დედაკაცებსაც, რომელთაც ის ღრმა სიმპატიით ეკიდება. ის აშკარა აღტაცებით ლაპარაკობს მხოლოდ იმ ადამიანებზე, ვინც მისი უდიდესი მტერია, რესპუბლიკის გამორებზე Gl'oître Saint Merri, იმ ადამიანებზე, ვინც იმ დროს (1830—1836) ხალხის ნამდვილი წარმომადგენელი იყო. ის გარემოება, რომ ბალზაქი იძულებული იყო წაასულიყო თავისივე კლასობრივი სიმპატიების და პოლიტიკური ცრუმორწმუნების წინააღმდეგ, რომ ის ხედავდა თავის საყვარელი არისტოკრატების განადგურების აუცილებლობას და ისე ასწერდა ამას, რომ ისინი უკე-

თესი ხვედრის არ იყენენო, და რომ ის ხედავდა მომავლის ნამდვილ თვამიანებს მხოლოდ იქ, სადაც ამ დროს შესაძლო იყო მათი პოვნა, ეს გარემოება მე მიმაჩნია რეალიზმის ერთერთ უდიდეს გამარჯვებად. მოხუცი ბალზაიკის ერთერთ უდიდეს თავიანებურებად. ასეთივე კილოზე სწერს მარკსი ენგელსს 1867 წ. 25 თებერვალს: „მართლა, ბალზაიკის შესახებ. ვირჩევ წაიკითხო მისი „უცნობი შედეგები“ და „შერიგებული მელმოტი“. ეს ორი პატარა შედეგებია და სავსეა მშვენიერი ირონიით. (თხზ. ტ. XXIII, გვ. 396).

მარკსისა და ენგელსის მხრივ ბალზაიკის მხატვრული ნაშრომებისა და მსოფლმხედველობის ამგვარ შეფასებას უდიდესი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს: ისინი არ გამოჰყოფენ მოაზროვნე ბალზაიკს მხატვარ ბალზაიკისაგან არ უპირდაპირებენ ერთმანეთს მხატვრის სუბიექტურ მსოფლმხედველობას და მისი ასახვის ობიექტიობას, როგორც სწადის და სწადიოდა II ინტერნაციონალის ბევრი კრიტიკოსი და ბურჟუაზული ლიტერატურის მკოდნე. ბალზაიკის რეალიზმი ენგელსს რევოლუციონური მიაჩნია, რადგან ბალზაიკი, მიუხედავად თავის ლეგტიმისტური ხიზმებისა, ხედავდა თავადაზნაურობის დაღუპვის აუცილებლობას და ხედავდა მომავლის ნამდვილ ადამიანებსაც, 1830—1836 წ.წ. „ხალხის მასის წარმომადგენლებს“. წერილობრივი მწერლები კი, მაგალითად ჰუგო და ზოლა, ე. ი. „რომანტიკოსი“ და „ნატურალისტი“, ამ წინააღმდეგობას მოაზროვნე ბალზაიკსა და მხატვარ ბალზაიკის შორის ხანთან ან ნამდვილი სუბიექტური ან შეუგნებელი მომენტით. მაგად, ჰუგო სწერს ბალზაიკზე: „ამ უდიდეს ადამიანს დემოკრატიული გული და დემოკრატიული ტვინი აქვს. სწორედ რომ ვთქვათ, მისი მონარქისტობა მხოლოდ ეჩიხანობა იყო. მცირე ხნის შემდეგ ის თვითონვე მიუდგებოდა დემოკრატიის მშვენიერ პრინციპებს“. ხოლო ზოლა, ვისაც თავის თავი ბალზაიკის „სულიერ ძედ“ მიანდა, სწორედ უთითებდა თავის „მასწავლებლის“ შემოქმედების სარეველუციო ფუნქციაზე, მაგრამ მას მაინც არ ესმოდა ამ ფუნქციის მიზნები, როცა სწერდა: „მიუხედავად იმისა, რომ ბალზაიკი ყოველ მიზნის გამო ააშკარაებდა თავის პატივს მონარქიისადმი, მან აფრთხილებული მეგობრები მხოლოდ მათ შორის იპოვა, ვინც ახალ თაობასთან ერთად თავისუფლებას იცავდა. სწორ განმარტებას არ იძლევიან ბალზაიკის საკითხის გამო, რომელიც აქ გვანტერესებს და რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს (ბალზაიკი მოაზროვნე და მხატვარი) აგრეთვე ზეორე ინტერნაციონალის დასავლელი კრიტიკოსები ომის წინანდელი დროისა და ეხლანდელბიც. ეს კრიტიკოსები ბალზაიკს ჩვეულებრივ „რევოლუციონერად“ მხდიან, „სოციალისტად“ კი აცხადებენ, ძალაუნებურად, მიუხედავად იმის მსოფლმხედველობისა, მოაზროვნეს მხატვრისაგან გამოჰყოფენ და თითქმის ყველანი ამგვარად მსჯელობენ: მსოფლმხედველობის მხრივ ბალზაიკი რეაქციონერი იყო, მხატვრული შემოქმედების მხრივ კი, შეუგნებლივ რევოლუციონერი და სოციალისტიც კი იყო. ამგვარ უმართებულო, ანტიმარქსისტულ მიდგომას ხელოვნებისადმი საფუძვლად ის თეორია უდევს, რომელსაც ჰგონია, ვითომ მხატვრული შემოქმედების პროცესი ხდებოდეს ქვეშეცნებაში, თითქო ის ყოფილიყოს ინტუიტიური და მას შეცნობილი მსოფლმხედვე-

ლობა „კონტროლს“ არ უწევდეს. ამგვარი თეორია ძალიან გავრცელებული იყო ომის წინანდელ მე-II ინტერნაციონალის კრიტიკოსთა შორისაც. ამგვარი ბელოვნებისა და შემოქმედების მეთოდით შექმნილ რობერტ ზერნინს-შეიძლო სოციალისტად ჩაეთვალა ბალზაკი და კერძოდ მისი „სამრევლო მღვდელი“ და „სოფლის ექიმი“ „აბსოლიუტურ და ხალას სოციალიზმად“ ელიარებინა¹⁾ ამავე „რევოლუციონურ ქვეშემცნებების“ მიჰყავს ბალზაკის შემოქმედება თან მელისს, რომელსაც ჰგონია, რომ ბალზაკი „დეკლასიური ადამიანია როიალისტების პარტიასა და არისტოკრატის წრეში“. დანარჩენები, ნამეტან კი რადიკალ-წვრილბურჟუაზიული კრიტიკოსები, სცდილობენ ბალზაკის ნაშრომებდარს როგორმე ჩამოაშორონ წინააღმდეგობანი და ყოველგვარი ამონაწერი მოაქვთ იმის დასამტკიცებლად, რომ ბალზაკი თავის მსოფლმხედველობითაც რევოლუციონერი იყო და რომ მისი მონარქისტული სიმპატია „ეინიანობა და უცნაურობა იყო“ და მეტი არაფერი!

რა თქმა უნდა, შეცდომა იქნებოდა რომ გვეფიქრა, ვითომ ბალზაკი მხოლოდ თავადაზნაურული მწერალი ან ეკლესიისა და ტახტის მართლ-მორწმუნე-კათოლიკური მოქადაგე ყოფილიყო. ამგვარი შეფასება კი საკმაოდ ხშირად გვხვდება რეაქციონურ კრიტიკაში, მაგრამ, ვიმეორებთ, ენგელსმა სრულიად სამართლიანად აღნიშნა, რომ ბალზაკი თავის მსოფლმხედველობით ლეგიტიმისტი იყო და მისი თანაგრძნობის საკმაო ნაწილი თავადაზნაურობას ეკუთვნოდაო.

აბალგაზრდა ბალზაკი, უაზრო ინტელიგენციიდან გამოსული (ვექილის შვილი), პროვინციიდან პარიზში ჩაივდა (როგორც მისი თანამედროვე სტენდალის განთქმული რომანის „წითელი და შავი“ გმირი სორელი). მას იმდროინდელი ზეწამოწეული (ბურჟუაზიის უმთავრესი ეინი მოკრეკებოდა—ფული, სიმდიდრე, სახელი. აბალგაზრდა ბალზაკის ლოზუნგი იყო: „რაც ნაპოლეონმა მასვილით ვერ მოახერხა, მე კალმით შევასრულებ“. მართალია, პირველ ხანს მას მრავალი მარცხი დაემართა კომერციულ ასპარეზზე, მაგრამ მაინც დაძაბდა მალე ფრანგულ ლიტერატურაში ვითარცა „კალმის ნაპოლეონი“, რომანების სერიაში „ადამიანური კომედია“, რომელიც ასე ძლიერ აფასებდნენ მარქსი და ენგელსი, უფრო კი „ზნეჩვეულების ისტორია“ ნაწილში (92 ტომია) ის სოციალურ სინამდვილეს რომანტიულად, სუბიექტიურ იდეალისტურად არ უდგება, წინა სცენაზე არა სწევს. ავტორს და თავის გმირებს სადღეისო „რუპორად“ კი არ აქცევს, არამედ უაღრეს რეალისტურად, ანალიტიკურად და გამოკვლევის ხერხით გვაძლევს ამ სოციალური სინამდვილის ფართე ტილოს. „ზნეჩვეულების ისტორიას“ მიზნად აქვს „ასახოს მთელი სოციალური სინამდვილე და გვერდი არ აუქციოს ადამიანის ცხოვრების არც ერთ მდგომარეობას, არც ერთ ტიპს, არც ერთს მამაკაცის ან დედაკაცის ხასიათს, არც ერთ ხელობას. ცხოვრების არც ერთ ფორმას, არც ერთ სოციალურ ჯგუფს, საფრანგეთის არც ერთ

¹⁾ თანამედროვე სოციალ-ფაისტიზმის წვრილბურჟუაზიული დაეასახელოთ პატარა საგახეთი წერილი მე II ინტერნაციონალის ბელადის ემილ ვანდერველდის, რომელმაც შემთხვევა ისარგებლა და ერთხელ კიდევ დასაწამა ცილი საბჭოთა კავშირს (Emile Vanderveide, Karl Marx et Balzac, „La Wallonie, Liege, 25/III 1931).

ოლქს, არც ბავშვობას, არც სიბერეს, არც სიმწიფის ხანას, არც პოლიტიკას, არც უფლებას, არც მხედართა ცხოვრებას. საფუძველი—ისტორია ადამიანის გულისა, ისტორია სოციალური ურთიერთობისა. გამოგონილი ფაქტები არა, არამედ ის რაც ყველგან ხდება?

მაგრამ ბალზაკს არ აკმაყოფილებდა ფაქტების მოგროვება, თუმცა „ადამიანური კომედიის“ წინასიტყვაში ის ამბობს, რომ „ფრანგული საზოგადოება თვითონვე ჰქმნის თავის ისტორიას“, ის კი „მდივანია და მხოლოდ სწერს მას“, ავტორს მინც არ აკმაყოფილებს „მეთვალყურის“ „ობიექტიური“, როლი და ის ცხადპყფეს ამ „ისტორიის“ მიზეზებს და გვაძლევს ბურჟუაზიის და ძველი თავადაზნაურობის „გატიკებულ ინდივიდებს“ და „გაინდივიდებულ ტიპებს. ბალზაკს რომ მარტო ფაქტები დაედგინა და იმდროინდელი საზოგადოების „რეალისტური ხასიათები“ მოეცა, მის ნაშრომქმედარს თუნდაც თუ ვაარჩევდით ჰარკნესის „ქალაქელ ქალისგან და ენგელსიკ ალბათ წინ არ წამოსწევდა მის მეთოდს როგორც რეალისტური შემოქმედების ნიმუშს.

არა, ბალზაკს ფაქტების გარდა ისეთი რამე აქვს რაც ჰარკნესს არ მოეპოვება, სახელდობრ—ენგელსის თქმისა არ იყოს, „ზუსტი წერილმანის გარდა მას აქვს მართალი ასახვა ტიპიური ხასიათის და ტიპიური გარემოსი“, ე. ი. ტიპიური „გარემოებაც, რომელიც მოიცავს და აიძულებს მათ იმოქმედონ“. ბალზაკმა სწორედ ისე ასახა თავის „გმირები“, როგორც ენგელსი მოსთხოვდა ლასალს როცა სწერდა მას, „რომ ადამიანს მარტო ის კი არა ახასიათებს რასაც ის აკეთებს, არამედ ისიც, თუ როგორ აკეთებს“. ბალზაკი ფაქტების გაღმა, იმის იქით „რაც ყველგან ხდება“, ფარდას ხდის კულისებსაც და საზოგადოებრივი ცხოვრების მექანიზმსაც. მან აქაც იცოდა, როგორც დადგინებული ბურჟუაზიის ამწერმა, რომ იმდროინდელი კლასობრივი ბრძოლის მთავარი ღერძი ბურჟუაზიის გამარჯვება იყო მიწაძმფლობელსა და საგვარეულო არისტოკრატიაზე და რომ ფული ამ გამარჯვების გასაღები იყო. მართლაც, გეორგ ბრანდესის თქმისა არ იყოს, ფული „ბალზაკის ნაწერებში უსახელო და უსქესო გმირია“. მისი „ადამიანური კომედია“ ფრანგი ბურჟუას განვითარებაა მომქუზავე მეფაზშიდან ბანკირამდე. მაგრამ თუ არ შეიძლება ბალზაკი თავადაზნაურობის მწერლად ჩავთვალოთ, არც მისი სიმპატიის უარყოფა შეიძლება „რელიგიისა და ტაბტიისადმი“. ბალზაკი თვითონვე ამბობდა: „მე წერის დროს ორი მარადიული ქეშმარიტება მინათებს: რელიგია, და მონარქია, ორი საჭიროება, რომელსაც გვაუწყებენ დღევანდელი ამბები და ყოველი გონიერი მწერალი უნდა ცდილობდეს, რომ ჩვენი ქვეყანა ხელახლა მიიყვანოს მათთან“. ცნობილია, რომ მან საპარლამენტო არჩევნების დროს თავის კანდიდატურა წამოაყენა როიალისტების პარტიის მხრივ, რომ ის მხარს უჭერდა კონსტიტუციონურ მონარქიას, მემკვიდრეობითს კაროლს და ძლიერს პერთა კამერას რათა მათ საკუთრება დაეცვათ. მისი აზრით ბალზს „რაც შეიძლება ძლიერი უღელი უნდა დაადგა იმგვარად, რომ ის სარგებლობდეს განათლებით, შემწეობით და დამცველობით მაგრამ აზრი, ფორმა და მოქმედებამ არ უნდა აგულიანებდეს მას ამ-

ბოხების სასარგებლოდ“. ისიც ცნობილია, რა წინააღმდეგი იყო ის რევოლუციის ნამეტან კა 1848 წლის რევოლუციისა. თავის დისადმი მიწერილ წერილში (1849 წ. 30 აპ.) ის სწერს: „განუზომელია ის უბედურება, ~~უბედურება~~ რევოლუციამ დაატება საფრანგეთს, და ჯერ ყველა მისი შედეგად გამოაშკარავებული“... „დემოკრატიის ამ უგუნურმა მასიურმა აჯანყებამ. რომელსაც ლამარტინი ჩაუდგა სათავეში, მრავალი ტანჯვა მიაყენა საფრანგეთს და იგი იმასაც გაანადგურებს ვინც ის გამოიწვია“. ბალზაკის სურვილი, რათა მშვიდობიანად ეცხოვრათ თავდაზნაურობასთან, აიხსნება 1815—1848 წ.წ. საფრანგეთის ბურჟუაზიის იმ ნაწილის ყოფა-მდგომარეობით, რომელიც 1830 წ. ფინანსიური ბურჟუაზიის გამარჯვების მეოხებით კრიზისს განიცდიდა და ლუი ფილიპეს რეჟიმს უპირდაპირობდა საფრანგეთის მონარქიის პრეციდენტის თავედაზნაურულ-ბურჟუაზიულ კავშირს. ამ მონარქიის მფარველობით ვითარდებოდა „ძველი, პატიოსანი სავაჭრო ბურჟუაზია“ და აგრეთვე სამრეწველო ბურჟუაზიაც, რომელსაც საბირჟო ფინანსისტები დაუპირდაპირდა. ვ. ფ რ ი ჩ ე თავის გამოკვლევაში „დასავლეთის ლიტერატურის განვითარება“-ში სწერს, რომ ბალზაკი „იდეოლოგი იყო ძველი სავაჭრო ბურჟუაზიისა და ამიტომ მტრობდა 1830 წ. შემდეგ გაბატონებულ საფინანსო ბურჟუაზიასა და ივლისის მონარქიის მთელი სოციალ-პოლიტიკური რეჟიმის, რომელიც საფინანსო კაპიტალზე აშენდა. ეს განმარტება სავსებით არ ამოსწურავს ბალზაკის მსოფლმხედველობის მთელ შინაარსს და მის დამოკიდებულებას იმდროინდელი ფრანგული ბურჟუაზიის სხვადასხვანაირ ჯგუფებისადმი. ყოველ შემთხვევაში საერთოდ ბალზაკი ბურჟუაზიული იდეოლოგი და ბურჟუაზული მხატვარია, და ტყუილად კი არ მოხვდა მისი „ადამიანური კომედია“ ვატიკანის მიერ აკრძალულ წიგნების სიაში, რადგან იგი აქებდა მეცნიერებას, „აწბილებდა რელიგიას“.

IV.

ენგელს პარკნისადმი მიწერილ წერილში ბალზაკის შემოქმედების მეთოდი რეალისტურ შემოქმედების ნიმუშად მიაჩნია. ეს, რა თქმა უნდა. იმას კი არ ნიშნავს, ვითომ პროლეტარულმა მწერალმა ბალზაკის ნაწერების ასლი უნდა გადაიღოს. საქმე შეეხება ისტორიულ პარალელს, სახელდობრ-პროლეტარულმა მწერალმა შემოქმედების დროს (აქ ენგელსი, ჰგულისხმობს 80 წლების მუშათა კლასის ბრძოლის ასახვას ბურჟუაზიასთან) ისეთივე რეალისტური ძალოვანებით უნდა გვაჩვენოს პროლეტარიატის ბრძოლა, როგორც ნახევარი საუკუნის წინათ გვაჩვენა ბალზაკმა ბურჟუაზიისა და თავდაზნაურობის ბრძოლის ასახვით. და ენგელსიც, თუ სიტყვისიტყვით არა, არსებითად მიიწე გვაჩვენებს, რომ პროლეტარული მწერალი ბალზაკის ბურჟუაზიული რეალიზმის მეთოდით კი არ უნდა იყოს შეიარაღებული, არამედ დიალექტური მატერიალიზმის მეთოდით.

პარკნისის „ქალაქელ ქალს“ ბალზაკის აზრით ის მნიშვნელოვანი ნაკლი ჰქონდა, რომ ავტორი ასწერდა მუშათა კლასს „პასიურ მასად. მას არ ძალუძს თავის თავს უშველოს, ის არც კი ლამობს თავის თავს უშველოს“, და რომ

„ყოველი ცდა რათა მან თავი დააღწიოს დამჩლუნგებელ სიღატაკეს, მოდის გარედან, ზემოდან“, და უმატებს: „მაგრამ თუ ამგვარი აწერა სწორი იყო 1800 და 1810 წლებში, სენ-სიმონის და რობერტ ოუენის ხანაში, მერე ასწინავე აღარ არის 1887 წელს იმ კაცისათვის, ვისაც 50 წელიწადს პატრუნი მონაწილეობა მიელო მებრძოლი პროლეტარიატის ბრძოლაში და [ვისაც] მუდამ ხელმძღვანელობას უწევდა ის პრინციპი, რომ მუშათა კლასის განთავისუფლება თვითონ მუშათა კლასის საქმე უნდა იყოს!“ ცხადია, რომ პროლეტარიატის ამ ბრძოლას ვერ ასახავს თავის შემოქმედების მეთოდით ბურჟუაზიული მწერალი, თუნდაც ბალზაკი, ვინაიდან მუშათა კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიასთან განსხვავდება ბურჟუაზიის ბრძოლისაგან თავადგზნაურობასთან. ბურჟუაზია თავისებურ იდეოლოგიურ ფუძეს ებჯინებოდა და მისი საუკეთესო ნიმუშია ბალზაკის შემოქმედების მეთოდი, პროლეტარიატი კი შეიარაღებულია შეუღარებელი უფრო მაღალი მსოფლმხედველობით—დიალექტური მატერიალიზმით, რომელმაც შემოქმედების საკუთარი მეთოდი შექმნა. ვიმეორებთ, მარქსსა და ენგელსს ბალზაკის შემოქმედების მეთოდი, რომელიც კაპიტალისტური განვითარების შინაგან წინააღმდეგობას ააშკარავებდა, რევოლუციონურ-ბურჟუაზული რეალიზმის უმაღლეს მიღწევად მიაჩნდათ, ზოლო ენგელსი სწერდა, რომ ბალზაკი „გაცილებით უფრო დიდი მხატვარი-რეალისტია, ვიდრე წარსულის, აწმყოსი და მყობადის ყველა ზოლა“, სწორედ იმიტომ, რომ ზოლას რეალიზმი უფრო მეტად იყო მომრავლებელი, რომ იგი ამახინჯებდა კლასობრივი ბრძოლის რეალურ მამოძრავებელ ძალებს, ნამეტან კი ზოლას შემოქმედების მეორე ნახევარში; მაშინ, როცა პროლეტარიატის ბრძოლა უფრო მეტად გამძაფრდა.

პარკენისადმი მიწერილი ენგელსის წერილი ადასტურებს, რომ მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა სწორედ დააყენეს საკითხი შესახებ კულტურული მემკვიდრეობისა. მას განსაკუთრებული ინტერესი ეძლევა იმ საკითხისთვისაც, თუ რა უნდა ვისწავლოთ კლასიკოსებისაგან.

ენგელსის მიერ ბალზაკის შემოქმედების შეფასებიდან ის დასკვნა გამოდის, რომ ბურჟუაზულ ლიტერატორ-კლასიკოსთა შორის მას ერთერთი პირველი ალაგთავანი უნდა ექიროს, რადგან, როგორც ენგელსი სწერს, „ის ვარემოება, რომ ის ხედავდა მომავლის ნამდვილ ადამიანებს... მე მიმაჩნია რეალიზმის ერთერთ უდიდეს გამარჯვებად, მოხუცი ბალზაკის ერთერთ უდიდეს თავისებურებად“.

ფ. შილერი.

გ. ყურულაშვილი

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 23IV-ის დადგენილება და საქ. საბჭ. მწერლების ამოცანები

სიტყვა წარმოთქმული საკ. საბჭ. მწერ. საგანგებო ყრილობაზე 1932 წ. 27 ივნისს.

ამხანაგებო, საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ცეკას ეს დადგენილება ლიტერატურის წინაშე აყენებს სრულიად ახალ ამოცანებს, რომლებიც განისაზღვრებიან გაშლილი სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე პერიოდით. რამ გამოიწვია ცეკას ეს დადგენილება? როდესაც ჩვენ გვინდა ხაზი გაუსვათ ცეკას ამ დადგენილების ისტორიულ მნიშვნელობას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ფონი, რომელზედაც გაიშლება ბრძოლა ამ დადგენილების რეალიზაციისათვის. როგორ მიმდინარეობს დღეს საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობა? მე ოკლედ შეეჩერდები იმ მიღწევებზე, რომელიც ჩვენ გვაქვს სოციალისტური მშენებლობის ყოველ დარგში. უკვე 1931 წლის განსაზოგადოებული სექტორის პროდუქციის ხვედრითი წონა მთელ სახალხო მეურნეობაში 80%-ტს აღწევს. ჩვენ მოწმენი ვართ მეურნეობის კერძო სექტორის სწრაფი შევიწროებისა, მისი მოქმედების ფარგალის შეზღუდვის, ჩვენ მოწმენი ვართ ინდუსტრიალური მშენებლობის ისეთი ტემპების, რომელიც არ ახსოვს არც ერთ ქვეყანას დედამიწას ზურგზე, თუნდაც მისი განვითარების უმაღლეს პერიოდში; ამერიკაში, რომელიც შედარებით სხვა ქვეყნებთან, უფრო ჩქარი ტემპით განვითარდა, მრეწველობის პროდუქციის წლიური ნამატი ათ პროცენტს არ აღემატება, საბჭოთა კავშირში კი მრეწველობა დიდის სისწრაფით ვითარდება. ჩვენი განვითარების ტემპები წლიურად აღწევს 34—40%-ტს. 34% იყო გასულ წელს და დღეს კი გაცილებით მეტია. მაგრამ მართო ეს როდია დამახასიათებელი. დამახასიათებელია ის, რომ საბჭოთა კავშირში განსაკუთრებით წინ მიიწევი მრეწველობის ისეთი წამყვანი დარგი, როგორცაა მძიმე ინდუსტრია, რომელიც კმნის ბაზას საერთოდ მთელი სახალხო მეურნეობის ჩქარი ტემპით განვითარებისათ-

ვის. სწორეთ სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების ეს ტემპები საზღვარია იმისა, რომ სოციალიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში გადალახავს ყველა დამბრკოლებებს. თქვენ ალბათ იცით, რომ უმთავრესი მანქანა-იარაღები, რადიო-ტელევიზორთი მთავარი პირობათაგანია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების, უმეტესად საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა, დღეს კი მანქანათმშენებლობას თვით საბჭოთა კავშირში ჩაეყარა მკვიდრი საფუძველი. მომავალში ჩვენ ვისახავთ ამაკანას მთლიანად ვათავისუფლდეთ კაპიტალისტურ ქვეყნების დამოკლებულობისაგან მანქანათა მოწოდების მხრივ, ცხადია მრეწველობის ასეთი განვითარება შედეგია იმ დიადი მუშაობისა, რომელსაც აწარმოებდა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და მშრომელი მასები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ამავე დროს უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ ჩვენ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში. სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა კოლექტივიზაციის გზით ხდება გაცილებით უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე ხუთწლიანი გეგმით იყო განზრახული. კოლმეურნეობებში გაერთიანებულია მთელი მეურნეობების, 62 პროცენტი, სულ 218 ათას კოლმეურნეობაში გაერთიანებულია 13.500,000 ღარიბი და საშუალო გლეხური მეურნეობა. 1951 წელს საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა ხნავდა მთელი ფართობის 77%-ს. 1600 სამანქანო სატრაქტორო სადგური, აი ის ბაზა, რომელიც ქმნიდა შესაძლებლობას საბჭოთა კავშირში ჩამორჩენილი, დაქუცმაცებული წვრილი მეურნეობები გადაქცეულიყო მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად. განვითარების ასეთი ტემპი შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ მიღწევების ნიადაგზე, რომელიც ჰქონდა ჩვენს პარტიას ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში. ლენინის მიერ დასმული საკითხი „ენ-ვის“ გადაიჭრა, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში. ხუთწლიანი გეგმა წარმატებით ხორციელდება. დასაწყისში ძალიან ბევრი იქვის თვალთ უყურებდა მის შესრულებას არა მარტო საზღვარგარეთ, არამედ თვით საბჭოთა კავშირის შიგნით, მაგრამ დღეს უკვე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებას ხედავს არა მარტო საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა, არამედ ეპიძლებული არიან დაინახონ კაპიტალისტურმა ქვეყნებმაც. რა თქმა უნდა, ის დიადი მიღწევები, რომელიც ჩვენ გვაქვს ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში, არ შეიძლება მომხდარიყო სიძნელეთა გარეშე და ჩვენს პარტიას მოუხდა მრავალ დამბრკოლებათა დაძლევა.

ეს მიღწევები პარტიამ მოიპოვა დაუნდობელი ბრძოლით ტროცკიზმის ბურჟუაზიული თეორიის წინააღმდეგ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აგების შეუძლებლობის და კაპიტალიზმის რესტავრაციის აუცილებლობის შესახებ, ტროცკიზმის, რომელიც ეხლა გადაიქცა ბურჟუაზიული კონტრ რევოლუციის მოწინავე რაზმად.

ეს მიღწევები პარტიამ მოიპოვა დაუნდობელი ბრძოლის შედეგად მემარჯვენე გადახრის, როგორც მთავარი საფრთხის, „ემარცხენე“ განწყობილებათა და მათდამი შემარცხლებლობის წინააღმდეგ.

ამხანაგებო, ჩვენ არ ვიპოვებთ ისეთ პირობებში, რომ მშვიდობიანად და წყნარად ვაწარმოოთ ჩვენი სოციალისტური მშენებლობა. ჩვენ გარემოცული

ვართ კაპიტალისტური მსოფლიოს სიძულვილით. იმ კიდილში, რომელიც სწარმოებს დღეს მთელ მსოფლიოში, ორი სისტემა არის დაპირისპირებული, სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემა, სოციალისტური გვეგონება მშენებლობა და კაპიტალისტური ანარქიული წარმოება. გვეგონება მშენებლობის უპირატესობა უკვე დამტკიცებულია არა მარტო საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისათვის და მისი მეგობრებისათვის მთელ მსოფლიოში, არამედ ეს უკვე ცხადი ხდება კაპიტალიზმის იდეოლოგიებისათვის-ეკონომისტებისათვის, ფინანსისტებისათვის და სხვ. ისინი, ვინც ეცნობიან საბჭოთა კავშირის სენამდვილეს, მოდიან საბჭოთა კავშირში, ათვალისწინებენ იმ ცვლილებებს, რომელიც ჩვენ ქვეყანაში ხდება, იძულებული არიან აღიარონ სოციალისტური სისტემის უპირატესობა. კაპიტალისტური მსოფლიო მწვავე კრიზისს განიცდის. ეს არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, კრიზისს თან სდევს უმუშევრობის უდიდესი ზრდა, ვალატაკება სოფლად გლეხობის, ვალატაკება ქალაქად წერილი ბურჟუაზიის, ვალატაკება ინტელიგენციის საგრძნობი ფენების. ეს კრიზისი იწვევს დამაფიქრებელ იქვს კაპიტალისტურ სისტემისადმი და როდესაც კაპიტალიზმის მესვეურნი ეძებენ გამოსავალს, ისინი ზოგჯერ სცდილობენ მივებამონ ჩვენ. სცდილობენ გადაიტანონ გვეგონიანობა და არ შესცვალონ თავისი წყობილების, კაპიტალისტური წყობილების, საფუძვლები. აი ასეთი „შეკეთებით“ უნდათ გამოვიდნენ კრიზისიდან. მაგრამ გვეგონება წარმოება, ცხადია, შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც მოსპობილია კერძო საკუთრება, მოსპობილია ის საფუძველი, რომელზედაც დამყარებულია კაპიტალისტური სისტემა.

დღეს თქვენ ზედავთ როგორი გარდატეხის პროცესს აქვს ადგილი ბურჟუაზიული ევროპის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილში. თქვენ იცით რა გარდატეხა მოხდა ბერნარდ შოუსს, რომენ როლანსა, დრაიზერსა და მთელ რიგ დიდ მწერლებში. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერში არ გვეთანხმებიან ჩვენ, ისინი აშკარად იცავენ საბჭოთა კავშირს.

ჩვენ ვაწარმოებთ მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ მოველით თავდასხმას კაპიტალისტური ქვეყნებისაგან. ბრძოლა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის არ დამთავრებულა. ეს ბრძოლა ვრძელდება, ღებულობს სხვადასხვა სახეს და ფორმას. კაპიტალისტური მსოფლიო კრიზისისაგან გამოსავალს ეძებს ახალ ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გუშინდელი პაკიფისტებიც კი, რომლებიც ომის შემდეგ ბევრს ლაყბობდნენ კაპიტალიზმის „მშვიდობიან“ განვითარებაზე და ომების თავიდან აცილების საჭიროებაზე, დღეს ჰქადაგებენ ახალი ომების აუცილებლობას და იღებენ ამზადებენ ამისათვის შესაფერ ნიადაგს.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ ატარებს მშვიდობიანობის პოლიტიკას. ჩვენ მივისწრაფით იმისკენ, რომ რაც შეიძლება გავახანგრძლივოთ შესვენების პერიოდი სოციალიზმის მშენებლობისათვის. მაგრამ კაპიტალისტური სამყარო ამზადებს ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენი ამოცანაა კიდევ უფრო განვამტკიცოთ საბჭოთა კავშირის თავდაცვითი უნარიანობა. ჩვენ თავდაცვის უნარიანობამ მოგვცა საშუალება ჯერჯერობით აგვეცდინა ომი შორეულ აღმოსავლეთში. ამგვარად, დიდ აღმშენებლობითი მუშაობასთან ერთად

ჩვენ გვმართებს ვიზრუნოთ თავდაცვის უნარიანობის კიდევ უფრო გან-
მტკიცებაზე.

მე-17 კონფერენციას აუცილებლად დიდი მნიშვნელობა უნდა მივაწეროთ საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისათვის. მე-17 პარტ. კონფერენცია მოწვეული იქნა ისტორიულ მიჯნაზე, მაშინ, როდესაც ჩვენ ვამთავრებთ პირველ ხუთწლედს წარმატებით და ვსახავთ მეორე ხუთწლედის ამოცანებს. მე ესლა აუ შეუდგები ყველა იმ საკითხების გაშუქებას, რომელიც განიხილა მე-17 პარტკონფერენციამ. მე შეეცები მხოლოდ იმ საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია თქვენ ყრილობასთან, ლიტერატურასთან. მთავარი პოლიტიკური ამოცანა, რომელიც დასახა მე-17 პარტკონფერენციამ, არის შემდეგი: „კაპიტალისტური ელემენტების და საზოგადოთ კლასების საბოლოო ლიკვიდაცია, კლასიური განსხვავების და ექსპლოატაციის გამოწვევ ყველა მიზეზების სრული მოსპობა“, და ჩენი „ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის უკლასო სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ მშენებლებად გადაქცევა“. ეს ამოცანა უნდა დაედოს საფუძვლად მთელ ჩვენს მუშაობას მეორე ხუთწლედში. ცხადია, კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრა არ მოხდება მშვიდობიანი გზით. მომავლადი კლასების ნაშთები ყოფავ განაგრძობენ მწვევე ბრძოლას, შეეცდებიან შექმნან დაბრკოლებანი, გამოსძებნონ ბრძოლის ახალი საშუალებები. შეუძლებელი იქნება კაპიტალიზმის ნაშთების ერთბაშად აღმოფხვრა, მეტადრე როდესაც მე-17 პარტკონფერენცია გვისახავს ამოცანას და ვსძლიოთ კაპიტალიზმის ნაშთები არა მარტო ეკონომიკაში, არამედ ადამიანთა შეგნებაში და ზნეჩვეულებებში.

ბი ამხანაგებო, მოკლედ ის მიღწევები, რომელიც ჩვენ გვაქვს სოციალისტური მშენებლობის დარგში.

მე-17-ტე პარტ. კონფერენციის მიერ დასახული მთავარი ამოცანები დაედო საფუძვლად ცეკას 23 აპრილის დადგენილებას „სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა მუშაობის ვარდაქმნის შესახებ“.

ცეკას დადგენილება კატეგორიულად აყენებს საკითხს სხვატვრო ორგანიზაციათა ვარდაქმნის შესახებ. პარტიას არა ერთხელ მიუთითებია პრ. მწერალთა ორგანიზაციებისათვის, რომ მათ ვარდაქმნათ თავისი მუშაობა. პარტიის ამ დადგენილებას საფუძვლად დაედო ის ცვლილებები, რომლებიც მოხდა ამ დიდ აღმშენებლობითი მუშაობის გამო საბჭოთა კავშირის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილში. თქვენ იცით, რომ ჩენი განვითარების განსაზღვრულ პერიოდში ტეხნიკური ინტელიგენციის მხრივ ჩვენ გვქონდა მთელი რივი ფაქტებისა: მანებლობის სხვადასხვა სახით გამოვლენა, ხელის შეშლა, ღია თუ ფარული ბრძოლა სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ. ცხადია კლასობრივი ბრძოლა გამომავბილს პოულობდა არა მარტო ტეხნიკურ ინტელიგენციაში, არამედ მწერლობაშიც. ჩვენ დღეს მოწმე ვართ იმ ფაქტის, რომ იმ მიღწევათა საფუძველზე, რომელიც ჩვენ გვაქვს, ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილმა აუცილებლად იბრუნა პირი საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. ამხ. სტალინმა ეს აღნიშნა თავის ისტორიულ გამოსვლაში გასულ წელს სამიურნეო მუშაკთა თათბირზე და ამასთან დაკავშირებით დასმულ იქნა საკითხი ჩენი დამოკიდებულების შეცვლის შესახებ ტეხნიკური ინტელიგენციისადმი. ცხადია, მარტო ეს არ არის მიზეზი პროლეტ. მწერალთა ასოციაციის ლიკვიდაციისა. როგორც აღვნიშნე, პარტია არა ერთ-

ხელ მოითხოვდა ასოციაციისაგან გარდაექმნა თავისი მუშაობა, თვითკრიტიკის გაშლის, კარჩაქეტილობის, ჯგუფობრიობის მოსპობის ნიადაგზე. ლოეს გამოდის ზოგიერთი ახალგაზრდა, რომელიც ამტკიცებს, რომ მთავარი დეზახალი ამ დადგენილებაში ეს არის პარტიულობის განხორციელება ლიტერატურაში. ბოლშევიკური პარტიულობისათვის ბრძოლა ლიტერატურაში პარტიამ დიდი ხანია წამოაყენა, ბოლშევიკური პარტიულობისათვის ბრძოლა ჩვენს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს, მაგრამ ეს არ არის ახალი მომენტი ცეკას დადგენილებაში. ცეკას დადგენილება გამოწვეულია იმ მიღწევებით, რომლებიც ჩვენ გვაქვს კულტურულ მშენებლობის ფრონტზე. გაიზარდა საბჭოთა ლიტერატურა, როგორც რეალურებით ისე თვისობრივად. სოციალიზმის ძლევა-მოსილმა მსვლელობამ უზრუნველყო მოახლოვება მწერალთა ფართო კადრების.

საგრძობი მიღწევები გვაქვს აგრეთვე საქართველოში ლიტერატურის დარგში. მთელი რიგი ნაწარმოებები თანამგზავრ მწერლებისა, როგორც არიან გალ. ტაბიძე, სიმ. ჩიქოვანი, რ. გვეტაძე, ს. კლდიაშვილი და სხვა—ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენენ. ზოგიერთ თანამგზავრებშიც, რომლებიც იმყოფებოდნენ ძალიან მემარჯვენე ფრთაზე, მოხდა გარდატეხა. ამ მწერალთა უკანასკნელი პერიოდის მხატვრული პროდუქცია ადასტურებს, რომ ისინი ცდილობენ მოვიდნენ ახლოს საბჭოთა ხელისუფლებასთან, შეითვისონ ის ამოცანები, რომლებიც დასახულია ჩვენს მიერ ლიტერატურის წინაშე. გარდა ამისა ცეკას დადგენილება გამოიწვია პროლეტარულ ლიტერატურის კადრების ზრდამ. გაიზარდა პროლეტ. ლიტერატურის კადრები ჩვენშიც. ამის უარყოფა დღეს არაავის შეუძლია. მოიგონეთ პროლეტარული მწერლობა თუ გონდ რამოდენიმე წლის წინად, მოიგონეთ არა აღმინისტრატული საქმიანობა კომუნისტების და პროლეტმწერლების, არამედ ის შემოქმედებითი ძალა, რომელიც გამოიჩინა პროლეტარული მწერლების მთელმა რიგმა თავიანთ ნაწარმოებებში, როგორც პროზის და პოეზიის, ისე დრამატურგიის დარგში. გამავრდა ძველი კადრები პროლეტარულ მწერლობისა. წინ მდიან პირველი პერიოდის მწერლები, როგორც არიან ეული, ზომლეთელი, ვაკელი, სამსონიძე; და სხვა. თქვენ იცით რომ დიდ ძალას წარმოადგენენ პოეზიის დარგში ისეთი მწერლები, როგორც არიან მაშაშვილი, ლორთქიფანიძე, კალაძე, ნაროუშვილი. მათ მიყვება მთელი რიგი ახალგაზრდა პოეტებისა. ასევეა პროზის დარგშიც. მთელი რიგი ახალი ძალები წამოვიდა, როგორც არის ჩხიკვაძე, ლორთქიფანიძე, პოლუმორდვინოვი, ჩხეიძე, ჩაჩიბაია. ჩვენ გვაქვს განვითარება ისტორიულ მასალებზე მომუშავე მწერლებისა როგორც არიან პავლე საყვარელიძე, ს. თალაკვაძე და სხვა. ასევეა დრამატურგიის დარგში. ეს კადრები ასახვენ თავიანთ შემოქმედებაში სოც. მშენებლობას. მე არ ვამბობ, რომ პროლეტარული მწერლები დაზღვეული არიან შეცდომებისაგან. მათ აქვთ მთელი რიგი უხეში შეცდომები და მრავალი წვრილბუტყუაზიული ვაგლენები.

იზრდებიან ახალი მწერლები, რომლებიც გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე უმთავრესად საბჭოთა ხელისუფლების დროს. მე არ შევედგები, ამხანა-

გებო, მათ ჩამოთვლას, მე არ ვარ კრიტიკოსი პროფესიით და ამას არ ვსახავ ამოცანად. უმთავრესად ჩემი მოხსენების მთავარი ამოცანაა მოვხაზო ზოგადი ჩვენი ლიტერატურის განვითარების გზები. საერთოდ პრ. მწერლობის აქვს დიდი მიღწევები, რაც საფუძვლად დაედვა ცეკას დადგენილებას. ბევრი შეიძლება ფიქრობს, რომ სჯობდა არ დაარსებულიყო თავის დროზე პრ. მწერალთა ასოციაცია, მათ ჰგონიათ, რომ პრ. მწერალთა ასოციაციამ ძალიან დიდი ზიანი მოუტანა მწერლობას. ბევრი ასე მკვლობს. ასეთ აზრს გაიგონებთ შეიძლება არა ხმამაღლა გამოთქმულს. ეს შემდგარი მოსაზრებაა. პრ. მწერალთა ასოციაციამ ითამაშა დიდი დადებითი როლი იმ მხრივ, რომ როდესაც მწერლობაში, როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიც უცხო იდეოლოგიის ძლიერ გავლენებს ქონდა ადგილი, საჭირო იყო, თუნდაც მცირე და სუსტი, მაგრამ ისეთი ძალების დარაზმვა და დაჯგუფება, რომელიც შესძლებდა იდეოლოგიურ ბრძოლის წარმოებას მტრულ განწყობილებებთან. ამ მხრივ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ აუცილებლად დიდი დადებითი როლი ითამაშა. პრ. მწერალთა ასოციაციამ ითამაშა დიდი დადებითი როლი იმიტაც, რომ მან მწერლობაში განამტკიცა პარტიის გავლენა. მაგრამ მიღწევებთან ერთად მას ჰქონდა უხეში შეცდომებიც, ეს შეცდომები ხელს უშლიდენ იმ ამოცანების შესრულებას, რომელსაც ჩვენი პარტია უსახავდა და აძლევდა მწერლობას. პროლეტმწერლობის ხელმძღვანელობამ დაუშვა როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიც მთელი რიგი უხეში თეორიული პოლიტიკური შეცდომები. ეს შეცდომები განსაკუთრებით გამომკლანდა ამხ. სტალინის ცნობილი წერილის „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხების გამო“ დამუშავების დროს. ჩვენი განვითარების მიმდინარე ეტაპზე აღარ არის უკვე საჭირო პროლეტმწერალთა განსაკუთრებული ორგანიზაციების არსებობა. პროლეტმწერალთა ეს ორგანიზაციები უკანასკნელ პერიოდში ხელს უშლიდა ლიტერატურის განვითარებას. ადგილი ჰქონდა ლიტერატურის მოწყვეტას დანამდროების აქტუალურ ამოცანებისაგან. გარდა ამისა პროლეტმწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო გავშალა ბრძოლა ამხ. სტალინის ექვსი მითითების რეალიზაციისათვის, რომელიც ჩვენი გამარჯვების მთავარი პირობაა. ჩვენში მაგალითად იყო შეცდომები ფედერალისტური, მენშევიკური ხასიათისა. ადგილი ჰქონდა მემარჯვენე და „მემარცხენე“ ვიღახრების გამოვლინებას. ამ შეცდომებმა ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ პრ. მწერალთა ასოციაციამ ვერ შესძლო იმ ამოცანების შესრულება, რომელიც მას პარტიამ დაუსახა. პროლეტმწერლობის ასოციაციაში ფართო გასავალი ჰქონდა კარნაქტილობას, ჯგუფობრივობას, როგორც პრ. მწერლობის რიგებში, ისე თანამგზავრებისადმი მიდგომაში. ბოლშევიკური თვითკრიტიკა პრ. მწერლობის მიერ არ სწარმოებდა ისე, როგორც ამას მოითხოვს პარტია. კრიტიკის დონე აუცილებლივ იდგა დაბალ საფეხურზე. პრ. მწერლობის ხელმძღვანელობა უშვებდა უხეშ შეცდომებს თანამგზავრებისადმი მიდგომაში, უშვებდა ამ საკითხში „მემარცხენე“ ფულგარიზატორულ შეცდომებს. რაში გამოიხატება ეს უხეში „მემარცხენე“ შეცდომები. თუ ავიღებთ საქარ. პრ. მწერ. ასოციაციის ხელმძღვანელობას, უნდა ეთქვას, რომ ეს შეცდომა გამოიხატებოდა თანამგზავრებისადმი ადმინისტრაციულ მიდგომაში. პარტია ამბობს: პრ. მწერალთა ასოციაცია არის ორგანიზაცია არა ადმინისტრაციული, არამედ აღმზრდელითი ხასიათისა. მიუხედავად

ამისა პრ. მწერლობის ხელმძღვანელობა ხშირად მიმართავდა ადმინისტრაციულ ზომებს. ამ მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებდა ის უხეში პოლიტიკური შეცდომები, რომელსაც საქ. კ. პ. ცეკას ყოფილი ხელმძღვანელობა უშვებდა. ზრამარტო გლეხებისადმი დამოკიდებულების საკითხში, არამედ კულტურის დარღვივა. ასეთი უხეში ადმინისტრაციული წესით ჩატარებული იქნა საქარ. პრ. მწერალთა ასოციაციის მიერ საბკ. მწ. ფედერაციის წმენდა ანუ ბუაჩიძის მეთაურობით. ეს იყო შეცდომა. უნდა ითქვას, რომ ეს „მემარცხენე“ ვულგარიზატორული შეცდომები ახასიათებდნენ არა მარტო პრ. მწერ. ასოციაციის ძველ ხელმძღვანელობას, არამედ დღესაც აქვთ მათ ადგილი. ბევრ ახალგაზრდა კრიტიკოსს ვერ გაუგია ცეკას დადგენილება თანამგზავრობისადმი მიდგომის საკითხში და ხშირად უშვებდა უხეშ „მემარცხენე“ შეცდომებს. ცეკას დადგენილება თავისი მახვილით მიმართულია „მემარცხენე“ ვულგარიზატორების წინააღმდეგ. ეს არ ესპის ზოგიერთ ამხანაგს. მე ძოვიყვან ანუ სტალინის სიტყვებს, წარმოთქმულს სამეურნეო მუშაკების ყრილობაზე. მართალია აქ არის ლაპარაკი ტენიკურ ინტელიგენციაზე, მაგრამ ის დასკვნები, რომელიც ამ სიტყვებიდან უნდა გამოვიტანოთ, ჩვენ უნდა გავავრცელოთ ლიტერატურაზედაც. ანუ სტალინი ამბობს: „უნდა შეიცვალოს ჩვენი პოლიტიკა ძველი ტენიკური ინტელიგენციის მიმართ. თუ შევცვლებოთ მისი გაჩაღების დროს ჩვენი დამოკიდებულება ძველი ტენიკური ინტელიგენციისადმი გამოიხატებოდა, უმთავრესად, განადგურების პოლიტიკაში, ებლაროდესაც ამ ინტელიგენციამ პირი იბრუნა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ, ჩვენი დამოკიდებულება მისადმი უნდა გამოიხატოს, უმთავრესად, მისი მოზიდვისა და მისთვის ზრუნვის პოლიტიკაში. არა სწორი და არა დიალექტიკური იქნებოდა ახალ გამოცვლილ პირობებში განგვეგრძო ძველი პოლიტიკა. სისულელე და უგუნურობა იქნებოდა, რომ ძველი სკოლის თითქმის ყოველ სპეციალისტს და ინჟინერს უკურებდეთ ისე, როგორც არ დაქერილ ბოროტმოქმედს და მავნებელს. „სპეცკამიაობა“ ყოველთვის ითვლებოდა და ახლაც რჩება ჩვენში მავნებელ და სამარცხენო მოვლენად.

ამრიგად, დამოკიდებულების შეცვლა ძველი სკოლის ინჟინერ-ტექნიკოსებისადმი, მეტი ყურადღების მიქცევა მათთვის და მეტი მზრუნველობა მათზე, მათი გაბედულად ჩაბმა მუშაობაში—ასეთია ამოცანა“.

ამ საზომით შეიძლება თუ არა მიუდგეთ ლიტერატურის საკითხებს? მთლიანად ეს საზომი შეიძლება გადატანილ იქნას ლიტერატურაში, მაგრამ როგორც გითხარით ცეკას დადგენილება ვერ გაუგია ბევრ ახალგაზრდა მწერალს და კრიტიკოსს. ისინი დღესაც დგანან ადმინისტრაციულობის ნიადაგზე, ამის საუკეთესო ილუსტრაციათ შეიძლება დავასახელოთ „ზარია ვოსტოკაში“ მოთავსებული კრეიტანის წერილი.

პარტია უდიდესი მზრუნველობით ეპყრობა ინტელიგენციის იმ კადრებს, რომელთაც სურთ ჩვენთან თანამშრომლობა. თქვენ იცით, რომ რამდენიმე თეიბ წინათ საყვედური გამოეცხადა სამრეწველო აკადემიის დირექტორს, კომუჯრედის მდივანს, და მიეთითა რაიონულ კომიტეტს იმის გამო, რომ მათ მოხსნეს სამუშაოდან ყოველი მავნებლები, რომლებიც ებლა კარვად მუშაობენ.

თქვენ იცით აგრეთვე რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნებული ერთ-ერთი დადგენილება საქ. კ. პ. (ბ) ცეკასი კომუნისტ პროფესორ ხეჩკასიძეს წესახებ, რომელიც კამათის დროს უხეშად მოექცა უპარტიო ტენიკოსებზე. კამათის პოლიტიკა ჩვენი პარტიისა. ეს უნდა გაიგოს მეტადრე იმან, ვინც კომუნისტის სახელს ატარებს, ან კომკავშირელის ბილეთი ჯიბეში აქვს. სამწუხაროთ ზოგიერთ ამხანაგს ეს ჯერ კიდევ ვერ შეუთვისებია.

შემდეგ უსაყვედურებენ საქართველოს სახელგამს იმას, თუ რატომ გამოსცა მიწიშვილის ნოველები. გამოდის რომ სახელგამს ეს ნაწარმოები არ უნდა გამოეცა, რომ ამ მწერლის ნაწერების გამოცემა არის შეცდომა, მაგრამ არავითარი საბუთი არ მოყავთ მისი აკრძალვისათვის. თუ რა ხასიათის ნაწერები უნდა აკრძალვოთ და როგორ უნდა მიუდგეთ ცალკე მწერალს, ამაზე შემდეგ ვილაპარაკებ. არის მთელი რიგი ამხანაგებისა, რომელთაც მიზნათ აქვთ დასახული ეძიონ შეცდომები სხვა და სხვა ნაწერებში. ეს კარგი ჩვეულებაა, მაგრამ ძალიან ცუდია დაინახო ის, რაც არ არის. ცუდია გაყალბება ციტატების და ამ გაყალბებული ციტატებით ნაწარმოების კრიტიკა. შემდეგ პოლიტიკურად არ არის სწორი, როდესაც ავტორები აწარმოებენ გათანაბრების პოლიტიკას, გომართელის, ს. დედეძარიაშვილის და მიწიშვილის შედარების დროს. არის თუ არა სწორი მაგ. როდესაც მიწიშვილს ვეძახით ლეგალურ მენშევიკს. არა ამხანაგებო, ეს არ არის სწორი. პოლიტიკურად ეს სიბეცეა, უხეში „მემარცხენეობა“. მე უკვე აღარ ვილაპარაკებ იმის შესახებ, რომ გათანაბრების პოლიტიკა იქამდე მივიდა რომ რადიანსა და ლუარსაშიძეს აქცევენ თითქმის მენშევიკ მწერალთა ჯგუფში (ხმა-რატომ გაუშვეს) ამის შესახებ იყო ლაპარაკი სადაც საჭიროა, „ახ. კომნისტ“ უსაყვედურეს და ეს ამბავი მე მგონია არც თვით „ახ. კომუნისტა“ მიაჩნია დადებით მოვლენად.

არის თუ არა სწორი შანშიაშვილს დღეს უწოდოთ კულაკობის მწერალი. ეს არ იქნება სწორი მიდგომა. შემდეგ არის თუ არა სწორი, როდესაც ძალიან კარგი პოეტი ამხ. ნაროუშვილი „წითელ არმიელ“-ის ლიტერატურულ დამატებაში (რომელიც სხვათა შორის აკრძალული იქნა) ათავსებს რაღაც „სამხეცეს“, გამოყავს მის. ჯავახიშვილი მხეცათ და სხვა. თითქოს მისი წიგნები ცუცხლს უკიდებენ კოლექტივს, ფაბრიკა ქარხნებს. ჩვენ იძულებული ვიყავით ჩაერეულიყავით ამ საქმეში, ჯერ გაზეთი დაგვეკავებია და შემდეგ როგორც რედაქტორისათვის, ისე ამხ. ნაროუშვილისათვის მიგვეთითებია ასეთ უხეშ შეცდომებისათვის. ცხადია შეცდომა იყო თავის დროზე ამხ. შანშიაშვილის ლექსი, მოთავსებული „სალიტ. გაზეთში“. შანშიაშვილი სწერდა „ტყვიამ ვადასწყვიტოს ქიდილი პოეზიაში“-ო. ეს შეცდომა არის, უხეში შეცდომა და თავის დროზე ეს გააკრიტიკეს. ამ ლექსის ავტორს მხედველობაში ჰყავდა პოეტები, რომლებიც თავის შემოქმედებითი მუშაობით ყველაზე ახლოს დგანან ჩვენთან. ცეკას დადგენილება ლაპარაკობს, რომ ჩვენ საბჭოთა მწერლების კავშირში უნდა მივიღოთ ყველა ის, ვინც სდგას საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე და ცდილობს მონაწილეობა მიიღოს სოციალისტურ მშენებლობაში. მე მგონია საკითხი გარკვეულია და თუ ის ჩამოთვლილი ამხანაგები, რომლებზედაც მე ვილაპარაკე მართალი არიან, მაშინ უნდა დაისვას საკითხი, შეიძლება თუ არა ასეთი მწერლების გამსახურდიასი, ჯავახიშვილის, აბაშელის, შანშიაშვილის და სხვების მიღება

მწერალთა კავშირში, თუ კი ისინი რეაქციონერები არიან, ცუცხლს უკიდებენ თავიანთი წიგნებით კოლმეურნეობებს, ფაბრიკა-ქარხნებს და სხვა შეიძლება თუ არა, რაც არ უნდა ლიბერალურად მიუდგეთ მათ, რეაქციონერებზე ვულგარების წარმომადგენლები და ცუცხლის წამყიდვლები მივიღოთ მწერალთა კავშირში? მაშინ ასეთი მწერლების მიღება კავშირში არ შეიძლება და ის, ვინც ცუცხლს უკიდებს, ასეთები პოლიტსამმართველოში უნდა იყვნენ. ეს ამხანაგები ცხადია თვითონ გრძნობენ თავიანთ უბეშ შეცდომებს. თუ არ გრძნობენ, უხდა იგრძნონ და თუ არ იგრძნობენ—ვაგრძნობინებთ, ჩვენ ვიცით, რომ საორგანიზაციო კომიტეტმა ყველა ეს მწერლები მიიღო ერთხმად.

მე შევეხები ამხანაგებო საბჭოთა მწერლებს, რომელთა წინააღმდეგ ყველაზე მეტად იყო მიმართული „მემარცხენე“ ვულგარიზატორების კრიტიკა. არის თუ არა მიწიშვილის „ეპოპეა“ მენშევიკური ნაწარმოები? კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ „ეპოპეა“ მენშევიკური ნაწარმოები არ არის; მიუხედავად იმისა რომ „ეპოპეა“—მრავალ მომენტებში ნაციონალისტურია, ის მიმართულია მენშევიკური ემიგრაციის წინააღმდეგ. ცხადია ერთი ნაწარმოებით არ განისაზღვრება მწერლის სახე. უნდა შევფასოდ მთლიანად მთელი მისი შემოქმედება. მათ ვინც ძალიან ბევრს ლაპარაკობენ დიალექტიკაზე, უნდა იცოდნენ, რომ სწორედ დიალექტიკა მოითხოვს მწერალის შესახებ საერთო დასკვნის გამოტანის დროს არა მარტო ცალკე ნაწარმოების, არამედ მთელი მისი შემოქმედების ყოველმხრივ შეფასებას მის განვიხარებაში. მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე მწერლის პრაქტიკული მოღვაწეობაც. არის თუ არა მიწიშვილის მუშაობა როგორც მწერლობაში, ის პრაქტიკულ მოღვაწეობაში ისეთი, რომ გვაძლევდეს საბუთს უწოდოთ მას მენშევიკი, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ის თავის გამოსვლებში უშვებს ნაციონალისტურ და მემარჯვენე შეცდომებს? ცხადია არა. ავიღოთ მეორე მწერალი შანშიაშვილი. შანშიაშვილმა ის ლექსები, რომლებზედაც სამართლიანად უყიენებენ მას, დასწერა არა შარშან და არა შარშანწინ, არამედ მგონი 1926—1927 წელს. შანშიაშვილმა ასახა კულაკური ფენა სოფლისა, მაგრამ შეიძლება თუ არა იმ დასკვნის გამოყვანა, რომ რაკი მან 27 წელს დასწერა ასეთი რამ, იგი კულაკობის წარმომადგენელია დღესაც. შანშიაშვილმა ამის შემდეგ მოგვცა მთელი რიგი ნაწარმოებებისა, რომლებშიაც იგი შეეცადა დაახლოვებოდა ჩვენი ეპოქის აქტუალურ პრობლემებს. ავიღოთ მისი უკანასკნელი ნაწარმოები „სამნი“ დრამატურგის დარკში. იდეოლოგიურად „სამნის“ ავტორს ვერავენ ჩასთელის კულაკობის იდეოლოგიად, შეიძლება ჩვენ სხვა რამე დაუწუნოთ „სამნის“ ავტორს, შეიძლება იგი არ დგას შანშიაშვილისათვის ჩვეულებრივ მხატვრულ ხარისხის სიმაღლეზე, მაგრამ იდეოლოგიურად „სამნი“ ძირითადად გამართლებულია. ამიტომ ჩვენ უნდა ავიღოთ მწერლის შემოქმედება მთლიანად, და არა ამოვკლიოთ ცალკე ნაწარმოები და უკუვადგოთ მწერლის განვითარების მთავარი ტენდენცია. ავიღოთ მესამე მწერალი ჯავახიშვილი, რომელსაც აქვს მთელი რიგი პოლიტიკურად მიუღებელი ნაწარმოები („დამპატიყე“ და სხვა). მაგრამ ავიღოთ „არსენა მარაბდელი“—მისი უკანასკნელი დიდი ნაწარმოები. მიუხედავად იმისა, რომ აქ მთელი რიგი ადგილები ნაციონალისტური ხასიათისაა, არის თუ არა ამ ნაწარმოებით ჯავახიშვილის მიერ გადადგმული დიდი ნაბიჯი

არა ჩვენს წინააღმდეგ, არამედ ჩვენსკენ? ეს უთუოდ ნაბიჯია ჩვენსკენ. ეს დიდი ტილო, რომელიც მან მოგვცა ჩვენი განსაზღვრული ისტორიული პერიოდის დახასიათებით, ცხადია ყურადღების ღირსია. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს ამხანაგებო, რომ ჩვენ არ გავარჩიოთ ჯავანიშვილის, შან-შიაშვილის, მიწიშვილის, გამსახურდიას, აბაშელის და სხვების ნაწერებში ის, რაც მიუღებელია, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ საჭიროა ამნი-სტია გამოვაცხადოთ მემარჯვენე მწერლობის მიმართ. კრიტიკა არ შეიძლება ნეიტრალური იყოს მსოფლმხედველობის საკითხში. მოიგონეთ მწვავე კრიტიკა წარსულში. აიღეთ კრიტიკა არა მარტო კომუნისტური. არამედ იდეალისტური. კიტა იბაშიძის ნაწერები მაგალითად ეს არის განსაზღვრული იდეოლოგიის მსოფლმხედველობის ნაყოფი, მან ვერ შეამჩნია ისეთი დიდი მწერლები, როგორც იყვნენ ნინოშვილი, ლომთათიძე, ჭონჭაძე. მან შეტი დასწერა გრიშაშვილზე, იოს. მჭედლიშვილზე, შანშიაშვილზე, ვიდრე ნინოშვილზე და სცდილობდა ამ მწერალთა უგულუბელყოფას. და ეს იმიტომ, რომ მას ჭონდა განსაზღვრული მსოფლმხედველობა. ნურავინ იტყვის. რომ საბუთიანი, მაგრამ მწვავე კრიტიკა იყოს მიუღებელი. რამდენიმე დღის წინათ გუნდამ მომიცა თავისი წიგნი, 30 წლის წინ გამოცემული, რომელშიაც იგი ისე მწვავედ არჩევს აკაკი წერეთლის ნაწერებს დრამატურგიის დარგში, რომ დღეს ასე რომ დაწერო რომელიმე უპარტიო მწერალზე, დევნათ ჩასთვლიან (ბენა-შვილი — მემარცხენეობა“ იქნება). მემარცხენეობაზე ტყუილა ნუ ლაპარაკობთ, თქვენ გიკვირებენ პარტიული ხაზის უხეშად დამახინჯებას, და არა იმას, რომ არ შეიძლება მწვავე კრიტიკა. შეიძლება საკითხის მწვავედ დაყენება თუ იგი იქნება არა თითიდან გამოწვეული ამბებზე დამყარებული, არამედ დასაბუთებული. პრინციპიალურად უნდა ითქვას ამხანაგებო, რომ ის უხეში „მემარცხენე“ შეცდომები, რომელთა წინააღმდეგ არის მიმართული ცეკას დადგენილება, ჩვენ ხელს კი არ გვიწყობენ ამოცანების შესრულებაში, არამედ ხელს გვიშლიან. ჩვენ მწერალთა კადრებს უნდა მიუდგეთ დიფერენციულად. „მემარცხენე“ მიდგომა ხშირად აერთიანებს ერთ ბანაკში მტერსაც, მოყვარესაც და აძნელებს ჩვენთან საბჭოთა მწერლების დაახლოვებასაც. ბევრს ჰგონია და წინასწარმეტყველებს, რომ მათ იცოდნენ რომ ასეთი დადგენილება იქნებოდა გამოტანილი, ზოგიერთი კი ფიქრობს, რომ ცეკას დადგენილება ეს უკან დახევია. მე გგონია ასეთ დასკვნაში ერთიანდებიან ზოგიერთი მემარჯვენე და „მემარცხენე“. ეს დადგენილება არავითარი უკან დახევა არ არის, არავითარი დათმობა როგორც მემარჯვენეებთან, ისე „მემარცხენე“-ების მიმართ. ბევრი ფიქრობს, რომ ჩვენ შევწყვეტთ ბრძოლას იდეოლოგიურ ფრონტზე. ეს არის უხეში შეცდომა და გაუგებრობა. ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე კლასიური მტრის ყოველგვარი ვაფლენების წინააღმდეგ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ. მწვავედ უნდა დავარტყათ კლასიური მტრის აგენტურას. პარტია ვერავის დაუთმობს თავის პოზიციებს. ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა ყოველგვარ გადახრების წინააღმდეგ. ძირ-შივე უნდა ამოვწვათ დიდმპყრობელური შოუნიზმისა, ადგილობრივი ნაციონალიზმის, მენშევიზმის იდეოლოგიური ნაშთები. მაგრამ ცეკას დადგენილება რას გვავა-ლებს? იგი გვავალებს, რომ მიდგომა საბჭოთა მწერლებისადმი იყოს ამხანაგური, რომ

დავეხმაროთ საბჭოთა მწერლებს, გამოასწორონ დაშვებული შეცდომები, ბოლო მოუღონ დიალექტიკურ მატერიალიზმის მცნებების სქოლასტიურ თამაშს. დიალექტიკის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მეტად მსინჯებულნი ვერ ილი დასწერა ამხ. სტეცკიმ. ამხ. სტეცკის ეს წერილი მართალია ძალიან დავეიანებით, მაგრამ მაინც გადმობეჭდილი იქნა გაზეთ „კომუნისტი“ მიერ. ცხადია, ის რაზედაც სწერს სტეცკი დიალექტიკის დაუფლების საკითხში, მთლიანად მისაღებია მწერლობისათვისაც. რას სწერს სტეცკი? ის სწერს: „ჩვენ არ შეგვიძლია უჩვენოთ უპარტიოებს, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს თუჯის გამოდნობის პროცესი მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე, ან როგორ უნდა იწერებოდეს სურათები და შენდებოდეს სახლები მატერიალისტური დიალექტიკის საფუძველზე, და ვინც ამისათვის იბრძვის, იგი შარლატანია. მაგრამ მივცეთ მათ მარქსიზმის ფუძემდებელთა საუკეთესო შრომები, მოვაწყოთ საქმიანი ლექციები დიალექტიკის საკითხებზე, დავანახოთ მათ, თუ როგორ ატარებდენ თავიანთ შრომებში დიალექტიკურ მეთოდს მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი, — ყოველივე ეს ჩვენ არა თუ შეგვიძლია გავაკეთოთ, არამედ აუცილებლად უნდა გავაკეთოთ. ხოლო ის სამეცნიერო მუშაკები, რომელნიც ჩვენს მხარეზე გულწრფელად გადმოდიან, ითვისებენ რა მარქსს და ლენინს, — ისინი შეეცდებიან და მოისაზრებენ, თუ როგორ გამოიყენონ თავის დარგში დიალექტიკური მეთოდი მათ განკარგულებაში არსებული კოდნის, ფაქტიური მასალის, თავისი მეცნიერების პრობლემების ნამდვილი გაგების საფუძველზე“.

ეს ციტატა ეხება არა მარტო სპეციალ მეცნიერებას, იგი ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ლიტერატურის მეთოდოლოგიის და მხატვრული შემოქმედების საკითხების შესწავლის დროსაც. ცხადია ამხანაგებო, იმისათვის, რომ შევისწავლოთ მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკა, საჭიროა ჩვენი კრიტიკა უფრო მაღალ საფეხურზე იდგეს. ცეკას დადგენილება გვავალებს ჩვენ გამოვიტანოთ დასკვნა ჯერ იმის შესახებ, რომ კრიტიკა ვერ იდგა შესაფერ დონეზე. კრიტიკოსებისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა თეორიული დონის ამაღლება. ეს სავალდებულოა ყველა კრიტიკოსებისათვის. ზედმეტია იდეოლოგიურ საკითხებში დათმობაზე ლაპარაკი, მაგრამ საჭიროა კრიტიკოსმა თავისი ტონი შეიცვალოს თანამგზავრობისადმი მიდგომის საკითხში. კრიტიკოსმა უნდა აიღოს ხაზი იქით, რომ მწერალს დავეხმაროთ მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიის შეთვისებაში, მარქსისტულ ლენინურ დიალექტიკის დაუფლებაში. უნდა ითქვას, რომ სერიოზული გარჩევა ცალკე მწერლებისა, როგორც თანამგზავრების, ისე პრ. მწერლების, ჩვენ არ გვაქვს. მე ვლაპარაკობ ისეთ გარჩევაზე, რომლისაგანაც მწერალს შეუძლია სათანადო დასკვნების გაკეთება და შემდეგ იმ შეცდომების გამოსწორება, რომლებზედაც კრიტიკა მიუთითებდა. ასეთი გარჩევა, კრიტიკა ჩვენ არ გვაქვს. ჩვენ ამხანაგებს უყვართ ძალიან მყვირალა სათაურები და ერთ წერილში ათავსებენ მრავალ ავტორს. ძნელია ასეთი კრიტიკული წერილისაგან მწერალმა რამე დასკვნა გამოიტანოს თავისი შეცდომების გასწორებისათვის. არ კმარა თქმა მარტო იმისა, რომ შენ რეაქციონერი ხარ. უნდა გააჩიროთ

ნაწერი დეტალურად, უნდა უთხრათ მწერალს, რომელი ადგილი არის რეაქციონური, მოიყვანოთ ის ადგილი, გააკრიტიკოთ მისი რეაქციონური მსოფლმხედველობა. ასეთი მიდგომა არის საჭირო. ლიტერატურულ გარჩევას სჭირდება სერიოზული და კვალიფიციური კრიტიკა. თუ კრიტიკა იქნება თავის სიმაღლეზე, აუცილებლად გაუადვილებათ მწერლებს ყველა იმ შეცდომების გამოსწორება, რომელთაც ადგილი აქვთ მათ შემოქმედებაში.

რა ამოცანებს უსახავს ცუკას დადგენილება ჩვენ მწერლობას? ჩვენი მწერლობის წინაშე დგას ამოცანა — შევქმნათ სოციალისტური ლიტერატურა, კიდევ უფრო განვამტკიცოთ პროლეტარული ლიტერატურა ამასთან დაკავშირებით, უაღრესად დიდი ამოცანები ისახება კომფრაქციის წინაშე. კომფრაქცია უნდა დაეხმაროს ცალკე მწერალს ჩვენი მსოფლმხედველობის შეთვისებაში, უნდა მიუღდეს ყოველ ცალკე მწერალს ინდივიდუალურად, გაუწიოს დახმარება კრიტიკით. ჩვენ აუცილებლად მოვითხოვთ თვითნებულ მწერალს, რომ მან მოგვეცეს სწორი ასახვა ჩვენი თანამედროვე ცხოვრების. უნდა ითქვას ამხანაგებო, რომ ერთი მთავარი მიზეზთაგანი, რომლის გამო ჩვენ გვიხდება დღეს ლაპარაკი მწერალთა ორგანიზაციის გარდაქმნის შესახებ, არის ის, რომ მწერლობა ჩამორჩა ჩვენი ქვეყნის დიად ამოცანებს. ჩვენ უნდა გადავდგათ მტკიცე ნაბიჯი წინ იმ ამოცანების შესასრულებლად, რომელსაც უსახავს ჩვენი პარტია მწერლობას. მწერლობამ უნდა გვიჩვენოს ჩვენ სოციალისტური მშენებლობის გზები, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში, ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში. მწერლობამ უნდა ასახოს ფაბრიკა ქარხნების, წითელი ჯარის, კომკავშირის ცხოვრება, გარდა ამისა მწერლობამ უნდა მოგვეცეს თანამედროვე თვალსაზრისით გაშუქებული შორეული წარსული ამავე დროს, ამხანაგებო, აუცილებლად უნდა ვაძლიერდეს ბრძოლა ნაწარმოების იდეურ-მხატვრული მაღალი ხარისხისათვის, იდეური ხაზის სიწმინდისათვის. აი ამ აზრით ვლაპარაკობთ ლიტერატურულ „მაგნიტოსტრობზე“. მწერლობამ უნდა მოგვეცეს ისეთი დიდ-მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოები, როგორც არის მრეწველობისათვის „მაგნიტოსტროი“, — ნაწარმოები ღირსეული თანამედროვე ეპოქისა: ცხადია, ჩვენ უნდა ვაწარმოოთ სასტიკი ბრძოლა ყოველგვარი ხალტურის წინააღმდეგ მწერლობაში. ვიმეორებ, ყველა ამ ამოცანების შესრულებაში აუცილებლად დიდი როლი უნდა ითამაშოს კომუნისტურმა ფრაქციამ. თქვენ იცით ამხანაგებო, რომ პრ. მწერალთა ასოციაციაში შედიოდნენ არა მარტო კომუნისტები, არამედ ბევრი უპარტიო მწერალიც. აქ მიდგომა ისეთი იყო, რომ ხშირად დაბალი ხარისხის ნაწარმოები სალდებოდა კარგ ნაწარმოებათ. ეს აუცილებლად უარყოფითი მოვლენა იყო. კომფრაქციამ უნდა იზრუნოს პარტიის ხაზის სწორად გატარებისათვის. ამგვარად, დიდი მუშაობაა საჭირო, რომ გამოვასწოროთ ის შეცდომები, რომლებიც დაშვებული იყო ლიტერატურის დარგში. მე მინდა კიდევ ერთ საკითხზე შევჩერდე.

უნდა დარჩეს თუ არა ლიტერატურული ჯგუფები? თქვენ იცით, რომ ჩამოყალიბებულია მთელი რიგი შემოქმედებითი ჯგუფებისა. უნდა დარჩეს თუ არა ეს ჯგუფები იმ სახით, რა სახითაც ისინი დღემდე არსებობდნენ? მათი დატოვება იმ სახით, რა სახითაც დღეს არსებობენ, შეუძლებელია

შემოქმედებითი მუშაობის მაგიერ ამ ჯგუფებში ადგილი ჰქონდა კინკლაობას, ჯგუფობრიობას, ინტრიგებს და სხვ. ასეთი ბრძოლის მთავარ ბანაკად გადაიქცა ეს შემოქმედებითი ჯგუფები. ამის საბუთები ძალიან ბევრია. დუ შვეტაძე უცუფუნის ამა თუ იმ ჯგუფს, ყოველგვარი მისი შეცდომები იჩქმალება. ერთი ხატუნი გომამანეთს მართლაც ამინსტიას უცხადებენ (სიცილი). მთელი კრიტიკის სიმძიმე და უფრო ხშირად ჩხირკედლელობა, შეცდომების ხშირად ყურით მოთრევა ხდება უმთავრესად იმ მოსაზრებით, თუ როგორ მიაყენონ ზიანი მეორე ჯგუფს. ამხანაგებო, შეუძლებელია დიდი ნაწარმოების შექმნა გარეშე შეჯიბრისა. შეჯიბრს უნდა შეუწყოთ ხელი ყოველმხრივ, მაგრამ ჯგუფობრივობა ძირშივე უნდა ამოეწვათ.

მე მინდა ამხანაგებო ორიოდ სიტყვით შევეხო ერთ საკითხს, რომელიც აუცილებლად დიდ საკამათო საგნად არის გადაქცეული ჩვენს ლიტერატურაში, ეს არის კლასიკოსებთან მიდგომის საკითხი, კლასიკოსების დაუფლების და კრიტიკული გამოყენების საკითხი. აქაც არის გაყალბება. ერთი გაყალბების წარმომადგენელი არის კოტეტიშვილი, რომელიც ცდილობს, რომ ორბელიანის „სადღევრძელო“-ში გამოუშვას მთელი თავი, ვვიჩვენოს თითქოს ორბელიანის ნაწარმოებში ეს შემთხვევითი მოვლენაა. ეს არის გაყალბება როგორც ნაწარმოების, ისე მწერლის მსოფლმხედველობისა. არის ამხანაგებო აგრეთვე შემცდარი მიდგომა კლასიკოსებისადმი, კომუნისტების მხრივაც, ლიბერალური, ფედერალისტური პოზიციებიდან. ამაზე ბევრი დაიწერა ამხ. სტალინის წერილის დამუშავების დროს. მაგრამ არის კიდევ სხვა გვარი გაყალბება. ეს არის „მემარცხენე“ ეულგარიზატორული მიდგომა კლასიკოსებისადმი, რომელიც აუცილებლად მიუღებელია ჩვენთვის. თუ ამაზე შევეჩრდები, იმიტომ, რომ ბევრს ჰგონია, თითქოს ეს ყოფილიყოს პარტიული ხაზის გატარება კლასიკოსების საკითხში. მაგ. ნაროუშვილის ლექსები ილია ქავჭავაძეზე და გრ. ორბელიანზე და მთელი რიგი სხვა გამოსვლები შიანიათ პარტიულ ხაზად. მეორეს მხრივ ბევრს ჰგონია, როდესაც ჩვენ უყვირებთ ამხ. ნაროუშვილს ამ შემცდარ ნაბიჯზე, თითქოს ჩვენ წინააღმდეგი ვიყოთ ორბელიანის მიწერ-მოწერისა და დოკუმენტების გამოქვეყნებისა, ან მისი კლასობრივი სახის ბოლომდე მზილებისა. ეს არაა მართალი, მისი მიწერ-მოწერა, დოკუმენტები. სათანადო კომენტარიებით უნდა იქნას გამოქვეყნებული. მაგრამ დაუშვებელია ისეთი ტონი, როგორც აიღო ნაროუშვილმა. თუ გინდათ ილიას პიროვნება სრულიად გაეიგოთ, ისე, როგორც ყიფიანის სახე შესანიშნავად გამოარკვია მისმა მემუარებმა და ფარდა ახადა ამ დიდ პოლიტიკურ მოღვაწის მსოფლმხედველობას, — უნდა გამოვაქვეყნოთ ილიას მიწერ-მოწერაც და სხვ. დოკუმენტები. ეს ხელს შეუწყობს მისი კლასობრივი სახის და მსოფლმხედველობის სწორად გაგებას. შეაფერი კომენტარიებით ჩვენ საშვალეებს მივცემთ შეითხველს თითონ გაერკვეს საკითხში. ჩვენ აუცილებლად გვიჩრდება გავიხსენოთ, თუ როგორ უდგებოდა ლენინი კლასიკოსების საკითხს. ლენინმა ლიტერატურაზე საზოგადოთ ცოტა დასწერა, მაგრამ რაც დასწერა ეს უნდა დაედგას საფუძვლად ჩვენს მიდგომას კლასიკოსებისადმი. ზე არ მოვიყვან მის ციტატებს, რადგანაც მოხსენება ისედაც გამოგრძელდა. ცნობილია ლენინის წერილები ტოლსტოიზე. ლენინი ტოლსტოის მსოფლმხედველობას სთვლის რეაქციონურად, ეს ასეც არის ბოლშევიკური თვალსაზრისით, მაგრამ ლენინი

არ აურყოფს, რომ ტოლსტოი დიდი მხატვარი იყო, განსაზღვრული ტიპის ამსახველი თავის მხატვრულ ნაწარმოებებში. ის გაყალბება, ტყუილად წმინდის კოტეტიშვილი კლასიკოსების საკითხში, ბოლომდე უნდა გამოვამყაროთ კლასიკოსთა შესახებ სათანადო დოკუმენტების გამოქვეყნება შესაფერ კურნალებში გამოამყარებებს მათ კლასობრივ სახეს. ასევე შეიძლება ითქვას ილიაზე (ქიქინაძე-რატომ პუშკინზე, გრიბოდოვზე არ ამქვანებენ), პუშკინზე და გრიბოდოვზე მრავალი დაიწერა (ქიქინაძე-ქართულად არ არის). ჩვენ პუშკინის ნაწერები არ გამოვცემა. ყოველი მწერლის გამოცემა უნდა დაიწყოს მხატვრული ნაწერებიდან და არა მისი კერძო მიწერმოწერიდან, მეტადრე როდესაც საჭიროა თარგმანის გამოცემა. შესაფერ კურნალებში ქვეყნდება პუშკინის ლექსები, რომელიც მიძღვნილი იყო მეფისადმი (ქიქინაძე—რომ არ დაიკარგოს) რას ნიშნავს რომ არ დაიკარგოს. ქვეყნდება იმიტომ, რომ შეფასებული იქნეს შესაფერისად მისი მსოფლმხედველობა და მისი როლი არა მარტო იმ მხრივ, რომ ის იყო დეკარისტის და თანაუგრძობდა ამ მოძრაობას განსაზღვრულ დროში, არამედ ამის გამოსარკვევად, თუ როგორი მსოფლმხედველობის იყო შემდგომ პერიოდში. მგონია გამოქვეყნდა მისი პოლონეთის აჯანყებისადმი მიძღვნილი ნაწარმოები, რომელიც ამქვანებს პუშკინის დამოკიდებულებას ამ ფაქტისადმი. ჩვენ უნდა გამოვაქვეყნოთ ისტორიული დოკუმენტები და ყველა მწერლიდან ავიღოთ ის, რაც ღირსშესანიშნავია და მისაღებია ჩვენი ეპოქისათვის; ის კი, რაც დასაგმობია როგორც მხატვრულ, პუბლიცისტურ, პრაქტიკულ საქმიანობაში, უნდა უკუვადგოთ. კლასიკოსების დაუფლებას უნდა მიუღვეთ მარქსისტული თვალსაზრისით, კრიტიკულად გადავამუშაოთ ჩვენი თვალსაზრისის მიხედვით.

ამხანაგებო, დაუყონებლივ უნდა გარდაეკმნათ ჩვენი მუშაობა, აგრეთვე მუშაობა სახელგამის, ფედერაციის, საბავშვო გამომცემლობის, ცალკე კურნალების და ლიტერატურული განყოფილებებისა; ყველამ თავისი საქმიანობა უნდა დაუქვემდებაროს იმ მთავარ ამოცანის შესრულებას, რომელსაც ცეკას დადგენილება გვიყენებს. მიუხედავად იმისა, რომ დიდი მუშაობის ჩატარება გვიხდება ჩვენი სასწავლებლების სახელმძღვანელოებით დასაკმაყოფილებლად, წელს ვაკლებით მეტი გამოვყავით ქალაქი მხატვრულ ლიტერატურისათვის. ლიტერატურის გამოცემის საქმეს მეტად აფერხებს პოლიგრაფიული ბაზის ჩამორჩენილობა. ჩვენ მიღებული გვაქვს სათანადო ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად. დავიწყეთ უკვე და ვაშენებთ დიდ სტამბას. ახლო მომავალში უნდა დაიწყოს საკუთარი სტამბის აშენება სახელგამშიც. მომავალ წლიდან „კომუნისტმა“ და სხვა გაზეთებმაც უნდა ააშენონ თავისი დიდი ახალი სტამბები. ეხლა „კომუნისტს“ აქვს ასე ათასი ტირაჟი. თქვენ არ გახსოვთ ალბათ ასეთი ტირაჟი და რომ ქალაქი იყოს, რამდენიმე თვეში მისი ტირაჟი ანუ არა ნაკლებ 150.000-დე. ეს იმ დროს, როცა ტფილისში და თითქმის ყველა რაიონებში და აგრეთვე მსხვილ ქარხანა-წარმოებებში გვაქვს ნაბეჭდი გაზეთები. ამასთანავე უნდა გარდაიქმნას კურნალების მუშაობაც. კურნალების რაოდენობას ჩვენ ვერ შევამცირობთ. გამოდის „მნათობი“, „პრ. მწერლობის“ ნაცვლად უნდა გამოვიდეს სხვა

ჟურნალი, მწერალთა კავშირის ორგანო. ამ მეორე ჟურნალის საშუალებით საკიროა ახალგაზრდობას მიეცეთ შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა ლიტერატურულ მუშაობაში. ამ საქმეში „პრ. მწერლობამ“ წინადაც... კოლი ითამაშა და მის ფურცლებზე იზრდებოდა ახალგაზრდობა. უნდა ითქვას, რომ „სალიტერატურო ვახეთი“ დიდ როლს ითამაშობს ჩვენი ლიტერატურის გარდაქმნაში, იგი უკანასკნელ ხანებში ცდილობს გარდაქმნას თავისი მუშაობაც, ამხვილებს ყურადღებას ცეკას დადგენილების რეალიზაციისკენ. ცხადია ამხანაგებო, რომ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მწერლობაში ახალი კადრების წამოწვევისათვის. ეს ახალი კადრები ჩვენ უნდა გავზარდოთ ფაბრიკა ქარხნებიდან, კოლმეურნობებიდან, ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობიდან.

მწერალთა კავშირის ერთ ერთ მთავარ ამოცანას უნდა შეადგენდეს მუშაობა შესაფერ სალიტერატურო წიგნებში, ახალი კადრების აღსაზრდელოთ. კავშირმა უნდა გამოიჩინოს მეტი აქტიურობა, მეტი შემოქმედებითი უნარიანობა იმ დიდი ამოცანების შესასრულებლად რომელსაც გვისაბავს ცეკას დადგენილება და მერვედმეტე პარტკონფერენცია. (ტაში).

ს ა ბ ო ლ ო ს ი ტ ყ ვ ა

ამხანაგებო! სამწუხაროდ საშუალება არ მქონდა სტენოგრაფები გადამეთვალყურებია და ციტატებით შესარგებლა, ამიტომ ზეპირად გავეცემ პასუხს ზოგიერთ საკითხს, რომელიც აქ იყო დასმული. პირველ ყოვლისა უნდა ვთქვა, რომ ყრილობის ცალკე მომენტებში ბევრი ასცდა საგანს: იყო მსჯელობა უფრო სხვა საკითხებზე, ვიდრე იმაზე, რაზედაც უნდა გავცათ პასუხი. მთელი რიგი ამხანაგებისა უფრო თავის ავტობიოგრაფიას და პირად თავგადასავალს მოგვიყვა და უშუალოდ არ შეეხო დასმულ საკითხებს. ცხადია, რომ ნაწილობრივ საჭირო იყო ელაპარაკათ პირად საკითხებზეც, მაგრამ უფრო მეტ საჭიროებას წარმოადგენდა შეჩერებულიყვნენ იმ ამოცანებზე, რომლებიც დასახულია მწერლობის წინაშე და იმაზე, თუ როგორ უნდა მიუდგეთ ამ ამოცანების განხორციელებას. მწერლობის წინაშე დგება გრანდიოზული ამოცანები. მწერლობამ უნდა გარდაქმნას თავის მუშაობა ახალ საფუძველზე. აქ ზოგიერთმა ახალგაზრდა ამხანაგმა უკიდურესი რადიკალობა გამოიჩინა. ისინი ძლიერ აქარბებენ და ეტყობათ, სწორედ ვერ გაუგიათ ცეკას დადგენილების მთავარი მომენტები. ამ ჯგუფს ეკუთვნიან ამხანაგები ნაროუშვილი, ბენაშვილი, ნატროშვილი, ნაწილობრივ ამხანაგი მელაქეც. მათ ვერ გაიგეს, რომ ცეკას დადგენილება უმთავრესად თავის სიმახვილით მიმართულია „მემარცხენე“ ფულგარიზატორობის წინააღმდეგ. ეს რომ ასეა, მე პატარა ციტატას მოგიყვანთ პარტიის ცენტრალურ ორგანოს „პრავდა“-ს სარედაქციო წერილიდან „ახალი ამოცანების სიმაღლეზე“, სადაც ვკითხულობთ შემდეგს:

„ცეკას უკანასკნელი დადგენილება სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის შესახებ მთელი მისი სიმახვილით მიმართულია

„მემარცხენე“ ვულგარიზატორობის და გაუბრალოების წინააღმდეგ სამსჯოთა ხელისუფლების პლატფორმაზე მდგომ თანამგზავრებთან დამოკიდებულულებს სა-კითხში“.

მე მგონია, რომ ამ ამონაწერში გარკვეული ხაზია მოცემული. ამ ხაზის მიხედვით უნდა ყოფილიყო ამხანაგების გამოსვლა და მათ მიერ წარსულში დაშვებული შემცდარი ხაზის გამოსწორება. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ამხანაგებმა ვერ შესძლეს მთლიანად დაეტოვებიათ შემცდარი პოზიციები, რომლებზედაც იდგნენ და რომლიდანაც ეხლა ცდილობენ უკან დაიხიონ, მაგრამ თანაც ირგვლივ იხედებიან, მეტი არ მოგვივიდესო. ასეთი იყო ამხ. ნაროუშვილის გამოსვლა. მან სთქვა, მე თავხედურად დაესწერე „სამხეცეში“ გამსახურდია-ჯავახიშვილზე, მაგრამ თუ ვინიცობაა მათ არ გაამართლეს ეს დახასიათება, მაშინ მეც ვიტყვი, რომ ეს თავხედობააო. მისი გამოსვლა პირობითი იყო, მან ერთდამივე დროს აღიარა და უარპყო თავისი შემცდარი მიდგომა სამსჯოთა მწერლებისადმი. ამგვარი ორმავობა კომუნისტს არა სჩვევია. თუ არის შეცდომა, პირდაპირ უნდა ითქვას. ასევე მოუვიდა ნატროშვილსაც. მან სწორედ დაიწყო: მე შეცდომები მქონდაო, შემდეგ კი დაავიწყდა თავისი სიტყვები და ისევ ძველებურად განაგრძო.

მგონი საქართველოს ცუქამ საკმაოდ გააფრთხილა ამხანაგები, რომ მათ აღებული ჰქონდათ შემცდარი ხაზი, რომელიც აუცილებლად უნდა გამოესწორებიათ. მე სახეში მაქვს ის დადგენილება, რომელიც გამოქვეყნებული იყო გუშინ გაზეთ „სამხედრო მწერლის“ შესახებ. რაც უფრო მალე გამოსწორდება შეცდომები, მით უკეთესი იქნება სწორედ იმ კლასობრივი ხაზის გასატარებლად ლიტერატურაში, იმ კლასობრივი დიფერენციაციის მოსახდენად სამსჯოთა მწერლობაში, რომლის შესახებაც ბევრს ლაპარაკობენ ამხანაგები. ჩემის აზრით საჭიროა ამხანაგებმა რაც შეიძლება მალე გაიგონ, თუ საით არის მიმართული ცუქას დადგენილების სიმძიმე, ამ დადგენილების რეალიზაციისთვის შესაფერი ნაბიჯი გადადგან და რაც შეიძლება ჩქარა გამოასწორონ თავიანთი წარსული შეცდომები. მე ჩემს მოხსენებაში გითხარით, რომ შემოქმედებითი ჯგუფები შესაძლებელია დარჩეს, მხოლოდ იმ პირობით კი თუ ისინი არ გადაიქცევიან ჯგუფობრივობის შექმნისა და განვითარების მთავარ მიზეზად მეთქი. მე გავაფრთხილე ამხანაგები, რომ ასეთი საფრთხე არსებობს. შემოქმედებითი ჯგუფებმა ჯერ-ჯერობით უფრო მეტი გააკეთეს ჯგუფობრივობის განხორციელებისათვის, ვიდრე შემოქმედებითი მეთოდების დამუშავებისა და ერთმანეთის დახმარებისათვის. რაში მდგომარეობს შემოქმედებითი ჯგუფების ამოცანა? კრიტიკოსები შემოქმედებითი ჯგუფში იმისთვის შედიან, რომ დახმარება გაუწიონ მწერლებს, შეუყარონ მათ თავი, გაარჩიონ ნაწარმოები, ამხილონ ნაკლი, კოლექტიურად დაამუშაონ ცალკე თხზულება. მე არ ვიცი, რომელმა შემოქმედებითმა ჯგუფმა წარუდგინა თავისი ანგარიში პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას თავისი მუშაობის შესახებ?

მომავალი კავშირის ყურადღების ცენტრში უნდა დაისვას პიოველ რიგში იდეური-შემოქმედებითი ხასიათის საკითხები. საჭიროა მომავალმა პრეზიდიუმმა მოისმინოს ანგარიში ცალკე შემოქმედებითი ჯგუფების მუშაობის შესახებ,

გამოარკევოს რაში გამოიხატება ეს მუშაობა და თუ შემოქმედებითი ჯგუფი არა სდგას შესაფერ გზაზე, უნდა აღმოუჩინოს მას დახმარება, მისცეს სათანადო მითითება და ისე კი არ მოიქცეს, როგორც იქცეოდა დღემდე მწერალთა ასოციაცია, რომელსაც არც ერთხელ არ მოუსმენია შემოქმედების მუშაობის ანგარიში და არც მიუცია დირექტივა, თუ როგორ უნდა ემუშავათ მათ. შემოქმედებითი ჯგუფი არ არის თავისუფალი ორგანიზაცია, ის არა სდგას ხელმძღვანელობის გარეშე. ის კავშირის დისციპლინას უნდა ემორჩილებოდეს. ცხადია, რომ შემოქმედებებს აქამდე ვერ გაუკეთებიათ ის, რაც უნდა გაეკეთებიათ. ეს უნდა აღიარონ ამხანაგებმა. აქ მთელის კატეგორიულობით უნდა ითქვას, რომ შემოქმედებითი ჯგუფები იმ სახით, როგორც ისინი წინად არსებობდნენ, ვერ დარჩებიან.

შემდეგი საკითხია პროლეტარული ლიტერატურის პეგემონიის და კლასთა ბრძოლის შესახებ. მე მგონია, რომ ზოგ ამხანაგს სრულიად ნათელ საკითხში შეაქვს ბურჟუაზია. ამგვარად მოიქცა ამხ. ნაროუშვილი და მას მიემატა ამ საკითხში ამხ. ბესო ჭლენტიც. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ სოციალისტური ლიტერატურის შექმნისათვის. რას ნიშნავს ეს? ნუ თუ სოციალისტური ლიტერატურა ეწინააღმდეგება პროლეტარულ ლიტერატურას? ნუ თუ ბრძოლა სოციალისტური ლიტერატურის შექმნისათვის ნიშნავს კლასთა ბრძოლის მიჩქმალვას და შენელებას ლიტერატურაში? რასაკვირველია არა. პროლეტარული ლიტერატურა თავისი შინაარსით სოციალისტურია, მას გარკვეული კლასობრივი ხასიათი აქვს. იგი გამსჭვალულია იმ ბრძოლით, რომელსაც პროლეტარიატი აწარმოებს კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ. პროლეტარული ლიტერატურა ზოგადკაცობრიულია იმიტომ, რომ პროლეტარიატი მშენებელია ახალი საზოგადოებრივი წყობილების, სადაც არ იქნება კლასები, ჩავკრა. ზედმეტია დაპარაკი კლასობრივ ბრძოლის შენელებაზე ლიტერატურაში. ჩვენ აღებული გვაქვს თანამიმდევარი ხაზი კაპიტალისტურ ელემენტების მოსპობაზე, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგებაზე კლასობრივი ბრძოლის გზით, კაპიტალიზმის ნაშთების მოსპობაზე ეკონომიკაში და ადამიანთა შეგნებაში.

ცხადია, სანამ იარსებებს კაპიტალიზმის ნაშთები როგორც ეკონომიკაში, აგრეთვე ადამიანის შეგნებაში, მანამდე გამწვავებული კლასთა ბრძოლის ნაშთები სხვადასხვა სახით თავის გამოძახილს იჭონიებენ ლიტერატურაშიც. მაგრამ ყველა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საჭირო იყოს დაუპირდაპიროთ სოციალისტური და პროლ. ლიტერატურა. რაც შეეხება პროლ. ლიტერატურის პეგემონიისათვის ბრძოლის საკითხს, შეუძლებელია მისი ამგვარი დაყენება, როგორც იღვა ძველად, როგორც ეს ესმოდათ „რაპის“ ხელმძღვანელთ. ჩვენ უნდა განვაგრძოთ ბრძოლა, რომ პროლეტარიატის იდეოლოგიის შეთვისების საფუძველზე მწერლობაში შეექმნათ პირობები პროლეტარულ იდეოლოგიის სრული პეგემონიისა.

მე მგონია არ არის საჭირო ბუნდოვანობა შეეიტანოთ ასეთ საკითხში. ეს სრულიად გარკვეული საკითხია. ზოგიერთ ამხანაგებს კი უნდათ რაღაც ფილოსოფიაში გაახვიონ იგი. ამხ. დუდუჩავას სჩვევია ეს. ზოგი ამხანაგი, პირიქით, ძალიან აუბრალოებს საკითხს. საკითხი მეტად ნათელია, მხოლოდ მას

სწორი ვაგება უნდა, რომ არ ვაგებუნდოვანოთ. სწორედ ამიტომ შევებე სა-
ქართველოს ცეკას დადგენილებას, სადაც ლაპარაკია „სამხედრო მწერალის“
მიერ მოწინავე წერილში ამ საკითხის გამო დაშვებულ შეცდომების შესახებ.
მე ეფიქრობ საჭირო არ იქნება მოვიყვანოთ ციტატები „სამხედრო მწერლის“ აბ-
ნეულ მოწინავე წერილიდან. სცდებიან ამხანაგები, როდესაც რამდენიმე საკით-
ხს ერთმანეთში ურევენ და არ იციან საით მიმართონ კრიტიკის ცეცხლი. მე
მინდა ამ მხრივ შევებო ერთ საკითხს. მე ვფიქრობ, რომ შემცდარი არიან ის
ამხანაგები, რომელთაც იერიში მიჰქვთ „სალიტ. გაზეთზე“. აქ რამდენიმე ამხა-
ნაგი გამოვიდა „სალიტ. გაზეთის“ რედაქტორის და რედაქციის წინააღმდეგ.
ჰქონდა თუ არა სალიტ. გაზეთს—მეტადრე პირველ ხანებში—შეცდომები?
ჰქონდა. გამოასწორა თუ არა მან ეს შეცდომები უკანასკნელ პერიოდში?
—გამოასწორა.

ყოველი მწერალი დამეთანხმება, რომ „სალიტ. გაზეთი“ დღეს უკვე სათა-
ნადო სიმალღებ სდგას და არც ერთი სალიტერატურო ორგანო არ ყოფილა მა-
საკით აქტუალური ლიტერატურის საკითხებში. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს
„სალიტ. გაზეთს“ მუშაობის გაუმჯობესება არ სჭირდებოდეს. მე პირადად ამის
შესახებ ლაპარაკი მქონდა გაზეთის რედაქტორთან. გაზეთის მუშაობა არ უნდა
შემოიზღუდოს ვიწრო ფარგლით, მარტო ლიტერატურის საკითხებით. ლი-
ტერატურულ საკითხებთან დაკავშირებით ის უნდა შეეხოს ხელოვნების ყველა
საკითხებს, იქნება ეს დრამატურგიის საკითხი, კინოს, თეატრის, მხატვრობის
თუ სხვა.

რუსული „სალიტერატურო გაზეთი“ თითქმის იგივე ზომისაა, მაგრამ იგი
ყველა ამ საკითხს ეხება, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ბევრი სპეციალური
სახელოვნო ორგანო გამოდის. ამ მხრივ საჭიროა „სალიტერ. გაზეთმა“ გააფარ-
თოვოს თავისი მუშაობა და, შესაძლებლობის ფარგლებში უფრო ხშირადაც
გამოვიდეს, მაგალითად 5 დღეში ერთხელ.

ამხანაგებო! ყოველ გამოსვლას ყრილობაზე განსაზღვრული მიზანი უნდა
ჰქონდეს. არ შეიძლება ტყვილად გამოსვლა და ლაპარაკი. „სალიტ. გაზეთის“
მთავარი მიღწევა იმაში მდგომარეობს, რომ გაზეთი ცალკე ჯგუფობრივობის
ფარგალს ვასცდა და შესძლო ჯგუფობრივობის ზევით დადგომა. ეს სწყენია
ბევრ ამხანაგს არა მარტო იმ ჯგუფისას, რომელიც აქ გამოვიდა, არამედ სხვებ-
საც. ყველა რედაქცია ვალდებულია უპირველეს ყოვლისა იბრძოლოს ჯგუ-
ფობრივობის წინააღმდეგ. მან მტკიცედ უნდა გაატაროს პარტიის ხაზი. ამი-
ტომ უსაფუძვლო გამოსვლები „სალიტ. გაზეთის“ წინააღმდეგ მე უხეშ შეცდო-
მად მიმაჩნია. ამხ. დემეტრადე ატარებს სწორ ხაზს და ის შეცდომები, რომე-
ლიც გაზეთს ჰქონდა, მიეწერება იმას, რომ ამხ. დემეტრადე პირველ ხანებში
რბილად იქცეოდა და ამა თუ იმ ჯგუფის წარმომადგენლებს ძალიან ბევრს
უთმენდა. მე მგონია, რომ შემდეგში ის მკაცრად მოიქცევა ჯგუფობრივობის
წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ეხლა შევებოთ მეორე ხასიათის გამოსვლებს. დავიწყეთ კ. გამსახურდიას
გამოსვლიდან. მე ვეთანხმები ამხ. აბაშიძეს იმაში, რომ კ. გამსახურდიას უყვარს
სენსაციურობა, ამ მიზნით ის ხშირად ლაპარაკობს ყველაფერს და უმთავრესად

კი იმას, ვითომ ჩვენ მას, „ვდევნიდეთ“. კ. გამსახურდია „დევნას“ უწოდებს იმას, რომ ჩვენ ვაწარმოებდით შეურიგებელ იდეურ ბრძოლას მის რევოლუციონერ შეხედულებათა წინააღმდეგ. არის თუ არა დღეს ერთგვარი განსაზღვრება გამსახურდიას მსოფლმხედველობაში? მგონი რომ არის რამოდენიმე მათი. მე შევხედრივარ მას ათი წლის წინათ, საბჭოთა ხელისუფლების პირველ ხანებში. ის აშკარა მოწინააღმდეგე იყო საბჭოთა ხელისუფლებისა, ის არც მალავდა ამას, რისთვისაც ცხადია, მას თავზე ხელს არ მოუსვამდი. რადგან ჩვენ რბილი ხასიათის აღმზიანები არა ვართ პოლიტიკაში. პოლიტიკაში დათმობა არ გვიყვარს.

მე მაინც მჯერა, რომ დღეს კ. გამსახურდია გულწრფელად ცდილობს წარსულს მოსცილდეს. მასში ბრძოლაა დღევანდლობის და წარსულის შორის, ეტყობა, რომ მას არც იმდენად ეადვილება ჩვენთან მოსვლა. მე წაიკითხე გამსახურდიას დაუბეჭდავი ნარკვევი უკრაინის შესახებ. ავტორი სცდილობს, რომ პოლიტიკურად სწორად მიუდგეს საკითხს. ეს ნარკვევი უკრაინის დღევანდელ ცხოვრებაზე დაწერილი, მაგრამ ავტორი სამი თავის მანძილზე მსჯელობს შამილზე, მატარებლებზე, გურამიშვილზე და სხვ. ავტორი შესავალში უსაყვედურებს უცხოელებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლის დროს ისინი მატარებლის ფანჯრიდან უყურებენ ცხოვრებას და მას იქიდან ასწერენო. მაგრამ თვითონ გამსახურდიასაც სწორედ ასევე მოუვიდა: ის იყო უკრაინაში და ვერ შეამჩნია იქაური დიადი მშენებლობა. ეს დაუშვებელია საბჭოთა მწერლისთვის. მე არ ვამბობ, რომ არ შეიძლება დავით გურამიშვილზე, შამილზე და სხვებზე წერა. შეგიძლიანთ ამაზე სამი წიგნი დასწეროთ, მაგრამ რა კავშირი აქვს ყველა ამას უკრაინასთან? ამ ნარკვევში კი, სადაც თითქოს გარკვეულად უნდა ყოფილიყო დღევანდლობა ასახული, სამ-ნახევარი თავი ეხება წარსულს და ერთ-ნახევარი კი დათმობილი აქვს თანამედროვე ცხოვრებას, ისიც ვაკვრით, უცხოელი მგზავრის თვლით დანახულს. რისთვის მოვიყვანე ეს მაგალითი? იმისთვის, რომ მიჩვენებინა, როგორი ჭიდილი სწარმოებს გამსახურდიას მსოფლმხედველობასა და შემოქმედებაში წარსულსა და დღევანდლობას შორის. ჯერ-ჯერობით მაინც წარსულსა ჰყავს შეპყრობილი გამსახურდია. გამსახურდიას ძალიან უყვარს გარეგნული ფრაზა, თორემ მე დარწმუნებული ვარ, მას ინგლისური კოვერკოტი ურჩევნია ქუთაისის მაუდს. მაგრამ მას უნდა ქუთაისის მაუდის პატრიოტობა დაამტკიცოს. რა შუაშია მაუდი? სულ ერთი არ არის სადაური იქნება იგი, მოსკოვისა თუ ქუთაისის ფაბრიკისა? გამსახურდია კი ასე მსჯელობს: რაც ქართულია, კარგია, სხვა ეროვნებისა კი ცუდიაო. რა თქმა უნდა, ის ამავე დროს თითქო სცდილობს კიდევ და შემდეგში უფრო მეტად უნდა ეცადოს, რომ განთავისუფლდეს ასეთი ზოოლოგიური ნაციონალიზმისაგან. თუ ის იმ შეგნებამდე მივიდა, რომ ოქტომბრის რევოლუციამ გაანთავისუფლა ერები, რომ ის სპობს გაბატონებულ კლასებს, მაშინ მან თავი უნდა დაანებოს ისეთ ამბავს, რომელზედაც მას ჰქონდა ლაპარაკი.

შემდეგ: ყოველად დაუშვებელია ისეთი მიდგომა ახალგაზრდებისადმი, როგორც გამსახურდია უდგება. მე ზოგს ახალგაზრდა ამხანაგს ძალიან სასტიკად ვუსაყვედურე, მაგრამ ჩემი საყვედური მათი პოლიტიკური შეცდომებით იყო გამოწვეული. არ ყოფილა არც ერთი ახალგაზრდათა ჯგუფის გამოსვლა-

ლიტერატურის სარბიელზე, რომ მას შეეცდომები არ დაეშვას. მაგრამ განადსაშეგებია ასეთი შედეგური კილო: „თქვენ უბედურები ხართ, როგორ ვიკადრებ თქვენთან ლაპარაკს! (გამსახურდია: კრიტიკოსებზე ვთქვით). თუ გინდა კრიტიკოსებზე იყოს, კრიტიკოსებს შეეცდომებზე უნდა მიუთითოთ, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ახალგაზრდა კრიტიკოსები აბუჩად ავიგდოთ. ამის უფლებას, რა თქმა უნდა თქვენ არავენ მოგცემთ. ეს ძველი პოზიციებიდან თქვენი ბრძოლის ერთერთი დაფარული ფორმაა.

ამგვარად, მე ვამბობ, რომ ასეთი მოპყრობა ახალგაზრდობისადმი არ შეიძლება. არავენ თქვენთაგანი თავიდანვე დიდი მწერალი არ ყოფილა, და იმ ახალგაზრდებს, ვისაც უფროსები არ დახმარებინან, გაუჭირდებათ მწერლობა. მე მგონია სავსებით უსუსური იყო ის აზრი, რომელიც გამოსთქვა გამსახურდიამ, თითქოს, ილია ქავჭავაძე მხატვარი იყო, და არა პოლიტიკური მოღვაწე. საერთოდ კლასიკოსებზე ქვევით შეეჩერდები. მე არ მინდა ესლა მოვწყდე საკითხს და მერე დაუბრუნდები ილია ქავჭავაძეს.

გამსახურდიას, პოლიტიკურ მსოფლმხედველობაში, აუცილებლად აქვს ზოგიერთი ვარდატება, მაგრამ ეს არ კმარა. იგი აუცილებლად უნდა განიცვიერთოს ზოოლოგიური ნაციონალიზმის მძიმე ტვირთისგან, თორემ უამისოდ ვერასოდეს ვერ გახდება ეპოქისთვის საჭირო მწერალი. არამც თუ მან, არამედ სხვა მწერლებმაც უნდა მოისნან ნაციონალიზმის მძიმე ტვირთი, რომელიც ხელს უშლისთ მათ და რაც აუცილებლად რეაქციონური მოვლენაა (გამსახურდია: ეს ჩემი ბრალი არ არის). თქვენ ამბობთ, ვცდილობ გავთავისუფლდეთ და თქვენი ბრალი კი არ არის? არა, საჭიროა უფრო გაბედულად გადმოდგათ ნაბიჯი. თუ ეს ტვირთი არ მოცილეთ, ისე არაფერი გამოვა, დღევანდლობისათვის საჭირო მწერალი ვერ გახდებათ. ჩვენ მომავალშიდაც, ისე როგორც წინად, მოუკრიბებლად ვამხელთ და დაუნდობლად შევებრძობებით ყოველგვარი ჯურის ნაციონალიზმის გამოვლინებას კერძოთ ლიტერატურის ფრონტზე. მართალი იყო ერთსაკითხში მიხვილ ჯავახიშვილი როდესაც სთქვა, რომ მწერალი თანადროულობის ამსახველი უნდა იყოს. არ შეიძლება მწერლად გამოდგეს ის, ვისაც თანამედროვეობა არ შეუგნია, და თუ ჯავახიშვილმა შეიგნო ეს და გადმოდგა ნაბიჯი, მე მგონია მას უნდა ხელი შეუწყოთ, შეეცდომები კი ბოლშევიკურად გამოუმეღავნოთ.

მაგრამ არ შეიძლება ისეთი ყალბი რადიკალიზმშიც, რომელიც ალი არსენიშვილმა გამოიჩინა ჯავახიშვილის და სხვების მიმართ. ეს სხვის გულში ხელის ფათურია და არ ვარგა. გულწრფელი არის თუ არა მათი გამოსვლა, ეს მათ უნდა დაამტკიცონ თავიანთი შემოქმედებით. (ხმები: სწორია!). რასაც აქ იტყვიან, შემდეგ რეალიზაცია უნდა უყონ თავიანთი შემოქმედებით. ამას მოვითხოვთ ჩვენ, მაგრამ არ შეიძლება ასეთი ვადაპარებაც, თქვენ წინასწარვე შეგაქვთ ეკვი მათ ნათქვამში, ამხანაგო ალი. ჩვენ პარტიის წევრსაც არ ვუწონებთ „მეწარესენე“ ვადაპარებებს და იგი არც უპარტიოსგან არის საჭირო. (საერთო სიცილი)

შეკიდარია ამხ. ჯავახიშვილი, როდესაც ამბობს, რომ ყველა კლასიკოსები დიალექტიურ-მატერიალისტური მეთოდით მწერდნო. ვინ ჰყავდა მას მხედველობაში — არ ვიცი. მგონი მწერალი რეალისტები უნდა ჰყოლოდა. (ჯავახიშვი-

ლი: დიალ, აგრეა). ე. ი. ის მწერლები, ვინც რეალისტები იყვნენ თავის ლიტერატურული მეთოდით. მაგრამ შეიძლება თუ არა ყველა რეალისტი მწერალი აღჭურვილი იყოს დიალექტური მატერიალიზმის მეთოდით? შეესაბამება თუ არა თავს ნუ მოიტყუილებს ნურც ჯავახიშვილი და ნურც სხვა (ხმა: რეალისტები იდეალისტებიც იყვნენ). ცხადია, რეალისტობა მწერლობაში კიდევ არ ნიშნავს უსათუოდ დიალექტიურ მატერიალიზმის პოზიციებზე დგომას.

ზოგიერთები აქ ლაპარაკობდნენ, თითქოს ცეკას 23 აპრილის დადგენილებით არაფერი შეცვლილიყოს, თითქოს არაფერი მომხდარიყოს და ყველაფერი ისევ ძველებურად მიმდინარეობდეს. სცდებიან ამ მხრივ ამხანაგები როგორც მარჯვნივ, აგრედვე „მარცხნივაც“. სცდება ვინც ლაპარაკობს, რომ ცეკას ეს დადგენილება არაფერ ახალს არ წარმოადგენს და იგი 1925 წელს აღებული გეზის ჩვეულებრივი გაგრძელებააო. ეს არ არის სწორი. რაკი ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ისტორიული დადგენილებაა, მაშ რაღაც ახალიც ყოფილა. 1925 წლის დადგენილება თავისი პერიოდისთვის ისტორიული დადგენილება იყო, მან გეზი მისცა ლიტერატურას განსაზღვრულ პერიოდში. 23 აპრილის დადგენილება კი ჩვენი განვითარების ახალ პერიოდს გულისხმობს, ახალ ამოცანებს უბასუხებს. მე ჩემი მოხსენება დავიწყე უმთავრესად იმით, რომ ჩვენ შევდგით ჩვენი განვითარების ახალ ეტაპზე; ვასრულებთ ხუთწლედს, ავაშენებთ სოციალიზმის საფუძველი. ამოცანად ვისახავთ მეორე ხუთწლედში უკლასო საზოგადოების შექმნას. ლიტერატურა ჩამორჩა იმ ჩქარ ტემპებს, რომელიც ჩვენი ქვეყნის მშენებლობის სხვა დარგებში გვაქვს. ცხადია, ეს მოითხოვს ლიტერატურის გარდაქმნას. ამასთანავე შეიცვალა პირობები მწერლობის შიგნით, გაიზარდა პროლეტ. მწერლობა, გაიზარდა მოკავშირეთა კადრები, გაიზარდა თანამგზავრული მწერლობაც და გამაგრდა ჩვენი პოზიციები იდეოლოგიის სფეროში, აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა სალიტერატურო ორგანიზაციათა მუშაობის გარდაქმნისა. ცეკას დადგენილება მაჩვენებელია ჩვენი წინსვლის, ჩვენი ზრდის, ჩვენი პოზიციების განმტკიცების, იგი მაჩვენებელია ჩვენი შემდგომი შეტევის.

შემდეგ: აქ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ფანჯარა გაიღო და „თავისუფლების სიომ“ დაბერაო (ხმა: ეს ჯავახიშვილმა სთქვა) იყო საერთოდ ასეთი ლაპარაკი. რას ნიშნავს ეს? ბევრი ილაპარაკეს ამის შესახებ. მე ჩემ მოხსენებაში ვთქვი, რომ მიდგომა თანამგზავრობისადმი იცვლება. მაგრამ რას ნიშნავს ეს „თავისუფლების სიომ“? თუ თავისუფლების სიომ მიაჩნიათ საბჭოთა მწერლებთან ცეკას დადგენილებიდან გამომდინარე სწორი მიდგომა, მაშინ შეიძლება დავეთანხმოთ, მაგრამ თავისუფლების სიომ აქ სხვანაირად ესმით. თავისუფლების სიომ საკმაოდ მოიპოვება იმათთვის, ვინც პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის იბრძვის, სხვანაირი თავისუფლების სიომ კი ჩვენ არ ვიცით. თუ აქ ბურჟუაზიულ სიომზე ლაპარაკობენ, ჩვენ ამას ვერ მივიღებთ, სასტიკად შეგვბრძოლებით. ვისაც ბურჟუაზიული სიომ ენატრება, მათთვის ფანჯარა გამოსუროული რჩება. ტყუილია ლაპარაკი ფიქთომ ჩვენ იდეოლოგიის სფეროში ვისმე დაუთმოთ პოზიციები. ჩვენ ბოლშევიკურად ვიბრძობებთ ყოველგვარი ჯურის ოპორტუნიზმის და კლასიური მტრის გავლენების წინააღმდეგ

ლიტერატურაში. რაც შეეხება თანამგზავრებს, მათს შესახებ ბევრი ვიღაცაა და მგონი გამეორება არ არის საჭირო. ჩვენ თანამგზავრებს უნდა შევუდგეთ დიფერენციალურად, მივიღეთ თვითუღთან ცალკე, ვიზრუნოთ, დავეხმაროთ ჩვენს შეითვისონ ჩვენი მსოფლმხედველობა. ხელი არ უნდა წავკრათ მათ, შეცდომები უნდა ვამხილოთ როგორც დაინტერესებულმა ხალხმა, რომ ისინი მოვიახლოთ, ასე რომ თანამგზავრებთან დამოკიდებულების საკითხში ცხადია ბევრი რამ იცვლება. ზოგიერთებს ჰგონიათ: დასწერეთ რაც გინდათ, კარგი იქნება თუ ცუდი, სახელგამი და ჩვენი რედაქციები ყველაფერს დაგიბეჭდავენო. ასე გაგება არ შეიძლება. მაგრამ ისიც ცხადია, რომ საბჭოთა მწერალს ვერ მოვითხოვთ ერთბაშად დასწეროს ასპროცენტინი დიალექტიურ-მატერიალისტური მეთოდით და ლენინური მსოფლმხედველობით გამართლებული ნაწარმოები.

ებლა მინდა შევჩერდე კლასიკოსების საკითხზე, ვინაიდან თითქმის ყველამ ილაპარაკა ამის შესახებ. დავიწყებ გამსახურდიასაგან. ის შეჩერდა ჰავკავაძეზე. ილია ჰავკავაძეს რომ შესძლებოდა გამსახურდიას სიტყვების გაგონება, უსათუოდ შეინძროდა საფლავში. გამსახურდიამ სთქვა, „ილია პოლიტიკური მოღვაწე კი არა—მხოლოდ მწერალი იყო“ როდესაც ილია ჰავკავაძეს პუშკინს აღარებთ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ დიდი მანძილია პუშკინსა და ჩვენს შორის ამიტომ ეს საკითხი ჩვენთვის იმდენად აქტუალური არ არის. ილია ჰავკავაძის ცხოვრება კი არა მარტო ზოგიერთ ჩვენგანს, არამედ დიდ უმრავლესობასაც ძალიან კარგათ გვახსოვს, გვახსოვს ის ბრძოლა, რომელიც ჰავკავაძის და მარქსისტებს შორის სწარმოებდა, — ასე რომ თუ დღეს ილია ჰავკავაძე გვახსოვს, ყველას გვახსოვს იგი როგორც ძალიან დიდი პოლიტიკური მოღვაწე, გარკვეული მსოფლმხედველობის მატარებელი და არა მარტო მწერალი. მისი პოლიტიკური ნამოღვაწარი სულ ახალია, ეხლანდელია და მისი პოლიტიკური ტვირთი დღესაც აწევს ბევრ ქართველ ინტელიგენტს, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლიან გვერდი აუაროთ მის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას და სასწორიდან ჩამოვადგოთ იგი ჰავკავაძის შეფასების დროს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქმის ჩვენ ჰავკავაძეს ვეჭვოდეთ ისე ბარბაროსულად, როგორც კ. ტიქინაძეს ჰგონია. უნდა მოვახსენოთ, რომ პირველად ჰავკავაძე მთლიანად გამოიცა საბჭოთა ხელისუფლების დროს. (ტიქინაძე: სოფლების სამკითხველოებიდან გამოავადეს), არავის ამის დირექტია არ მიუცია: მაგრამ არა თუ ჰავკავაძე, რუსეთში იყო შემთხვევა მიაკვოსკი ერთი საუკეთესო თანამედროვე რევოლუციონური მწერალი იყო და ეს მიაკვოსკი ბიბლიოთეკებიდან გააძევეს. რა უყოთ თუ ასეთ თავხედობას აქვს ადგილი ცალკე შემთხვევებში? თქვენც დაგვეხმარეთ, დროზე გვაცნობეთ და გამოვასწორობთ. ილია ჰავკავაძის მხატვრული ნაწარმოები არავის აუკრძალავს და ასეთ მაგალითს ვერ დამისახელებთ. თუ რომელიმე საბჭოთა ორგანომ ასეთი დირექტია მისცა, ჩვენ მას შესაფერ პასუხს მოვითხოვთ, ამისათვის საჭირო არ არის ყრილობის გაკდენა. ვისაც უნდა დაგვეხმაროს, ნუ ელოდება ყრილობას. როცა ყრილობისთვის ინახავენ ასეთ ამბებს, ამას სხვანაირი პოლიტიკური სუნი ეძლევა. თუ გინდათ გულწრფელად დაგვეხმაროთ ამ საკითხებში, მოგვეხმარეთ როცა დროა. როგორც

ეთქვი, თნელია ისე მიუდგეთ ილია ჭავჭავაძესაც, როგორც პუშკინს, ყველანი მოწმე ვართ იმ პერიოდის, როცა ის გვებრძოდა და თავად-აზნაურულ რეაქციის სითავეში იღგა. ამას ვერავენ უარპუფს, ამიტომ უარესენ რეაქციონერი ჩვენი ახალგაზრდა ამხანაგები ხშირად აქარბებენ. ამას აქვს თავისი გამაყენებელი საბუთიც.

ცხადია, ამხანაგებო, რომ ჩვენში ინგოროყვის და აბაშელსაც შეუძლიანთ იმუ-შაონ, მაგრამ მათ, როგორც ილია ჭავჭავაძის კომენტატორებს, და რედაქტორებს, არ შეუძლიანთ მოგვცენ ის, რაც ჩვენ გვჭირდება: ინგოროყვა და აბაშელი ჩვენი თვალსაზრისით ვერ მისცემენ მას შესაფერ რედაქციას. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას აუცილებლად სჭირდება მარქსისტული მიდგომა-გარჩევა და კომენტარიები, ისე უნდა მოხდეს მისი შეფასება, რომ წარსულის ამბების არმცოდნე ახალგაზრდობამ სწორედ გაიგოს ჭავჭავაძე, გაიგოს არა მარტო მხატვრული, არამედ მისი პოლიტიკურ-პრაქტიკული მოღვაწეობაც. აუცილებელია ერთი მორიგი ტომი გამოიკეს შესაფერი მარქსისტული კომენტარიებით იმისათვის, რომ ახალგაზრდობამ გაიგოს, როგორი იყო ილია ჭავჭავაძე როგორც მწერალი, მხატვარი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, როგორც პუბლიცისტი, როგორც განსაზღვრული კლასის წარმომადგენელი. დღეს ყველა გაერკვევა ვინ იყო ჭავჭავაძე, თუ კი შესაფერ მარქსისტულ გარჩევას და შეფასებას მიესცემთ მას. ასეთია ილია ჭავჭავაძის ამბავი.

ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია კ. ჭიქინაძის გამოსვლა და ლაპარაკი, თითქო რაღაც ბარბაროსობა ხდებოდეს იმის გამო, რომ არ ბეჭდავენ მის წერილს შოთა რუსთაველის შესახებ. ვინ მოსთვლის, რამდენი ბუნდოვანება შეიტანეს შოთა რუსთაველის გარშემო მკვლევარებმა. ჩვენ იმის წინააღმდეგი არა ვართ, რომ კვლევა გაგრძელდეს. შეიძლება კიდევ ბევრი დაიწეროს. ის ღირსია ამისი, რადგან დიდი მწერალი თავის ეპოქისთვის და მის ნაწარმოებს დღესაც ყველანი სიამოვნებით ვკითხულობთ. ვიხსენებ რამდენჯერ გამოიცა შოთა რუსთაველი საბჭოთა ხელისუფლების დროს: ერთი სახალხო გამოცემა; ერთი აკადემიური გამოცემა; მეორე და მესამეც აკადემიური გამოცემა. არასოდეს არ გამოცემულა „ვეფხისტყაოსანი“ და არც ამდენი გამოცელება დაწერილა და გამოცემულა დაწყებული მეთორმეტე საუკუნიდან საბჭოთა ხელისუფლებამდე, რაც საბჭოთა ხელისუფლების დროს. მაშ რაშია საქმე? რა უნდა ჩავვიხედოთ ბარბაროსობათ ისტორიამ? ის, რომ სახელგამმა ან „მნათობმა“ ვერ დაბეჭდა კ. ჭიქინაძის ნარკვევი შოთა რუსთაველის შესახებ? ვერ დაიბეჭდა იმიტომ, რომ დღეს უფრო საქირო, უფრო აქტუალური მასალები იბეჭდება ჩვენი ჟურნალების ფურცლებზე, რომელსაც პოლიგრაფული ბაზის სისუსტის გამო ისედაც ვერ ვცემთ რეგულიარულად. მე მგონია, რომ ვერც მთავალი თაობა და ვერც ელანდელი ვერ გვისაყვედურობს ამას.

ასეთივე ამბავი მოხდა ყაზბეგის ირგვლივაც. რა კორიანტელი არ ააყენეს მის გარშემო, რამდენი ცილისწამება და რა ოჯახური კინკლაობა არ გამოიტანეს და მთელი თეობით სწერეს ჟურნალების ფურცლებზე. ყაზბეგის ბევრი თანამედროვე ჯერ კიდევ ცოცხალია და განა არა სჯობდა ისეც იმათ დაეწერათ ალ. ყაზბეგზე, ვიდრე დაინტერესებულ ოჯახის წევრებს გამოეფინათ თი-

ვიანთი ამბავი და ზღაპრები? ამხ. კიკინაძეს შეუძლია თავისი გამოცდები თვითონვე გამოსცეს. ქალაქსაც მოგვცემენ, არავენ დაგიშლით, სახელგამო კი დღეს მეტისმეტად დატვირთულია სახელმძღვანელოების ბეჭდვით. თქვენი შრომა შოთა რუსთაველის შესახებ დროებით მოიცდის, სახელმძღვანელოების დაგვიანება კი არ შეიძლება. ასე ამხანაგებო! საჭიროა შეწყდეს სპეკულიაცია ილიას გარშემო. საჭიროა შეწყდეს სხვა კლასიკოსების გარშემო დაეცე იმიტომ, რომ ყველაზე მეტი კლასიკოსები იბეჭდება სწორედ საბჭოთა ხელისუფლების დროს. ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა ერთბაშად გამოვსცეთ ყველანი, იმიტომ კი არა ვითომ წინააღმდეგი ვიყოთ კლასიკოსების გამოცემისა, არამედ იმიტომ, რომ შესაძლებლობა არა გვაქვს ერთბაშად გამოვცემისა, არა გვაქვს არც ქალაქის, არც პოლიგრაფიული ბაზის მხრივ და არც ხალხი გვყავს იმდენი, რომ შესაფერად გავარჩევინოთ და ყველანი რამდენიმე წელიწადში გამოვცეთ, ძველი ნაწერების გაუსწორებელივად გამობეჭდა კი შეუძლებელია. ჩვენ ისეთ ნაწერებსაც კი ვცემთ დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს, რომლებსაც არასოდეს არ ღირსებით დაბეჭდვა და ჩვენ რომ ვინმემ გვიკეთინოს კლასიკოსებისადმი ბარბაროსული მოპყრობა, ეს რეაქციონური სისულელის ჩმახვა იქნებოდა და მეტი არაფერი.

შემდეგ: მე ვსთქვი და ვიმეორებ, რომ ამა თუ იმ კლასიკოსის კლასობრივი სახის გასარკვევი დოკუმენტები უნდა გამოქვეყნდეს, როგორც როზგის ისე მათრახის და სისხლის ღვრის შესახებ, ყველა დოკუმენტები უნდა გამოვაქვეყნოთ, მაგრამ ჩვენ არა ვართ იმის მომხმარებ, რომ ასეთი ანშლაგები გამოიფინოს: აი ვინ იყო გრ. ორბელიანი, ნამდვილი შხეცი და სხვა, როგორც ეს ჰქნა „სამხედრო მწერალში“. არა ვართ მეთქი ასეთი მყვირალა ფრაზების მომხმარებ, მაგრამ მომხმარებ ვართ იმისა, რომ თვითონ გრ. ორბელიანის დოკუმენტები გამოქვეყნდეს და შესაფერი განმარტება მიეცეს მათ. თუ კი თვითონ სწერს, ლექები უნდა გავეკლიტოთო, რატომ არ უნდა გამოვაქვეყნოთ? (ხმა: რა შუაშია „სამხედრო მწერალი?“) „სამხედრო მწერალში“ მოთავსებულ წერილის გამოცეკას დადგენილებით საყვედური გამოეცხადა რედაქციას და დივიზიის მიერ გაცემული ბრძანება ამის შესახებ. ალბათ ვისაც ეხება, იმასაც მოსთხოვენ არა ნაკლებ ბასუსხს იმის გამო, რომ „სამხედრო მწერალში“ გადაიტანეს ასეთი ხასიათის ამბავი (დ. მეგრელი: მგონი აკრძალეთ). დიად, აკრძალეთ, და ამით ჩვენი „მემარცხენე“ ამხანაგები ვაეაფრთხილეთ, მაგრამ ამავე დროს უნდა შეწყდეს სპეკულიაცია კლასიკოსების გარშემო. მაშ თქვენც დიგვეხმარეთ და კლასიკოსებს უფრო ჩქარა გამოვცემთ. ჩვენ გამოვცემთ ყოველგვარ ისტორიულ ხასიათის მისალას რომლის გამოყენებაც კი შეიძლება, რომელსაც შეუძლია სარგებლობის მოტანა, რომელიც მოგვცემს საშუალებას გავეცნოთ წარსულს, — რასაკვირველია შესაფერი კომენტარიებით და განმარტების მიცემით, — რომ არ დაიკარგოს არც ერთი საყურადღებო დოკუმენტი არც აწმყოსთვის, არც მომავლისთვის, მაგრამ სპეკულიაციის ამბავი კლასიკოსების შესახებ უნდა მოიხსნას.

მე ყველა გამოსვლებზე აღარ შეეჩერდები ამხანაგებო. აქ გამოვიდა ამხ. ტიციან ტაბიძე და მოგვითხრო, თუ როგორ სდგენილენ მას და პ. იაშვილს.

ტიციანი და პაოლო ისეთი მებრძოლი ხალხია, რომ არა მგონია მათ დაჩაგრულად ეგრძნოთ თავი. არც იმის თქმა შეიძლება. თითქმის მეთექვანისკნელ ხანებში სდევნიდა ვინმე. ეს არ არის მართალი. თუნდ ჩრმისხეცსკეოფილიყო, მაინც არ შეიძლებოდა ამის თქმა: ჩვენ იმიტომ არ ვწერდით, რომ გვაგრავედნო. მეტადრე ეს არ ეთქმის ტიციანს, რომელიც ყოველთვის ძალიან ახლოს იმყოფებოდა პროლ. მწერ. ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან და ისეთი ჩივილი მგონი ზედმეტია. (ტ. ტაბიძე: მე ვლაპარაკობ საერთო ატმოსფერაზე). არავითარი ასეთი ატმოსფერა არ ყოფილა. პაოლო კარგად მოიქცა. მან ილაპარაკა არა მარტო ატმოსფერაზე, არამედ მთელ რიგ ღონისძიებებზე, რომელიც გამომდინარეობს ცეკას დადგენილებიდან. მარტო ჩივილი საკმარისი არ არის. იმ ამხანაგებს, ვინც შეცდომას უშვებდა, უნდა დაეხმაროთ შეცდომების გამოსწორებაში, მაგრამ თქვენც მეტი მოგეთხოვებათ, რადგან განსაზღვრულ პერიოდში ყველაზე მეტს თქვენ მუშაობდით და უფრო მოგეთხოვებათ მტკიცე ნაბიჯის გადმოდგმა, რადგან თქვენ გაქვთ შესაძლებლობა არა მარტო ჩივილის, არამედ სხვაც, როგორც შემოქმედებითი, აგრედვე აქტიური პოლიტიკური მუშაობისა.

ეხლა იმ საყვედურის შესახებ, რომ ბევრი ნაწერები არ იბეჭდებოდა. ეს არის ერთი დიდი საყოფა-ცხოვრებო საკითხი მწერლობისათვის. ჩვენ ვერ მივცემთ გარანტიას ყრილობას, რომ ყველა მწერლის ყველა ნაწარმოები დაბეჭდილი და გამოცემული იქნება. უნდა იცოდეთ, რომ ყველა მწერალს აქვს დიდი პრეტენზია თავის ნაწარმოების დაბეჭდვის, რა ღირსებისაც არ უნდა იყოს იგი. იმიტომ საქართველოში ალბად ბევრი ხალხი დაემდურება თვითველ რედაქტორს, რომელიც მაგრად ჰკიდებს ხელს თავის საქმეს. ცხადია, ისეთი ამბები რაც ილაპარაკა გიგო ხენუაშვილმა, მიუღებელი მოვლენაა, უხეში ბიუროკრატიის ნიშნები.

ორიოდე სიტყვა მწერალთა კავშირის ორგანიზაციის შესახებ. უნდა ეთქვას, რომ ორგანიზაციაში რამოდენიმე კაცი ღებულობდა ჯამაგირს, მაგრამ ვინ რას აკეთებდა? რამდენი კაცი ღებულობდა ჯამაგირს? (ხმები: ცხრა) რამდენი მუშაობდა? (ხმა: მარტო მემანქანე მუშაობდა.) (საერთო სიცილი) თქვენ მოდიხართ ამხანაგებო და ბევრ რამეს თხოულობთ ჩვენგან, ჩვენც ვვაქვს უფლება მოგთხოვთ ზოგი რამ. ყველას აქვს პრეტენზია დაჯდეს ორგანიზაციაში, ყველას აქვს პრეტენზია მიიღოს ხელფასი, მაგრამ მუშაობა კი არ უნდათ. შემდეგ მოდიან ყრილობაზე და იძახიან: ეს არ კეთდებოდა, ის არ კეთდებოდა და ყველაფერში ბენიტი ბუაჩიძეა დამნაშავეო. რალა მარტო ბენ. ბუაჩიძე? რატომ თქვენც არა ვინც მასთან ერთად ისხედით ორგანიზაციაში? საჭიროა თქვენც აილო პასუხისმგებლობა და იმუშაოთ. შემომიხილეს: ხუთი მდივანია და კვირაში დაწესებულია თითო საათი თითოსათვის ე. ი. თითო ერთი საათით უნდა მოვიდეს კვირაში, მაგრამ ერთხელაც არ მოდიანო. ყველას ეზარებოდა მუშაობა (ზომლეთელი: ვინ არის დამნაშავე?). ვინ არის და ისინი ვინც არ მუშაობდნენ. უსათუოთ უნდა გისაყვედუროთ, რომ თქვენ სამეურნეო და ყოფა-ცხოვრების საკითხების მოგვარებაშიც მოიკოჭლებთ. თქვენ ორი სახლისთვისაც ვერ მოგივლიათ. ხუთი-ექვსი გამგეობის განთავისუფლებული წევრი კი

გყავთ. ზის რამოდენიმე ძალიან პასუხის მგებელი ამხანაგი და ლაპარაკობს: ფული გვაქვს დიმიტრი ყიფიანის სახლის შესაკეთებლად და ვერ შევაკეთებთო. გაიხსენეთ ჭავჭავაძისეული სახლი. თქვენ ძალიან ბევრს ყრბობით გეყავება, ჭავჭავაძის ხსოვნაზე და მისი სახლი კი, რომელიც გადმოგეცათ, ინგრევა. ფული გაქვთ და ვერ აკეთებთ. ორი სახლისთვისაც ვერ მოგვიღიათ, ამხანაგებო და ხუთი-ექვსი კაცი კი განთავისუფლებული გყავთ გამგეობაში. რას მოითხოვთ კიდევ? ჩვენ ზომ ვერ გავიკეთებთ საქმეს! ფული გაქვთ და საჭიროა მხოლოდ ხელი გაანძრითო. ამისათვის მწერალიც არ არის საჭირო. თუ თქვენ არ შეგიძლიანთ, მე მოგიყვანო ორ კაცს და ისინი ყველა ამ საქმეებს გააკეთებენ (ხმა: სამეურნეო საქმეებს?). არა მარტო სამეურნეოს, თუ თქვენ არ შეგიძლიანთ, ორგანიზაციულსაც გააკეთებენ. (ზომლეთელი: ეს ყველაზე უკეთესი იქნება). გიშოვნით თუ არ შეგიძლიან მუშაობა (სიცილი). ლაპარაკობენ, სომხეთში ყველა მწერლებს დაუნიშნეს ჯამაგირიო. არა, ამხანაგებო, პენსიის დანიშვნა მოხუცებს სჭირდებათ, ინვალიდებს, ახალგაზრდა მწერლებს პენსია არ სჭირდება. მწერალმა უნდა იშრომოს, როგორც ყველა ჩვენთაგანი შრომობს. თუ არ იმუშავებთ, ჩვენ ვერაფერს გავიკეთებთ. თქვენ იმუშავეთ და ჩვენც მზად ვართ ყოველივე დახმარება გავიწიოთ, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ჩვენ ყოველთვის ვერ ვიზრუნებთ. ეს უნდა გააკეთოს თქვენმა კავშირმა, ჩვენ კი მოვეხმარებით. თქვენ თვითონ უნდა იმუშაოთ, ბოლოსდაბოლოს მარტო ლაპარაკი არ არის საქმე. თავის დროზედ უნდა იზრუნოთ თქვენს წევრებზე. ყოფაცხოვრების საკითხები არა გაქვთ მოწესრიგებული. აქვთ თუ არა საშუალება მწერლებს იშოვნონ დრო, რომ იმუშაონ თავის ორგანიზაციაში. ვიმეორებ, დრო გაქვთ, ყოველ მწერალს შეუძლია დღეში რამდენიმე საათი იმუშაოს მწერალთა ორგანიზაციაში.

მე ვამბობ, ამ დიდი საქმის გასაკეთებლად საჭიროა მუშაობის შესაფერი გარდაქმნა. შეუძლებელია ცეკას დადგენილების თანახმად მწერლებზედ დაკისრებული დიდი ამოცანების შესრულება ისეთი ორგანიზაციული მუშაობით, რომელსაც აწარმოებდა მწერალთა ორგანიზაცია აქამდე.

უკანასკნელად ამხანაგებო! მე ერთი საკითხი გამოძრაა, რომელსაც მხოლოდ გაკვრით შევხები — საკითხი კრიტიკოსების შესახებ, კრიტიკოსთა კადრების აღზრდის შესახებ. აქ გამოვიდენ ამხანაგები და აღნიშნეს თითქოს კრიტიკა არ იყოს საჭირო, ეს შემცდარი მოსაზრებაა (ხმა: კრიტიკა საჭიროა, მაგრამ საბუთიანი) კრიტიკის ხასიათზე მე ბევრი ვილაპარაკე. ერთში მართალი იყო პ. იაშვილი, მან განაცხადა: ჩვენგან, ყანწელებისაგან, პრ. მწერალებმა და სხვებმა, ცუდი ჩვეულება ისესხესო, ისესხეს მეგობრული განწყობილება, ოჯახურობა. ცხადია, სოციალიზმის ამენება ძმა ბიჭობით შეუძლებელია. თვენ ძალიან კარგათ გესმით რა ძმა ბიჭობაზე ვლაპარაკობთ. მე ისეთ ძმაბიჭობას ვგულისხმობ, როცა ერთი ამხანაგი მეორის ნაკლს ჭყარავს. რამდენიც უნდა მალოთ ნაკლი, ის მაინც წამოსწევს თავს, ამიტომ დროზე უნდა მოისპოს ასეთი ამბავი. ეს ავადმყოფობა ქართულ ლიტერატურაში აუცილებლად უნდა მოვსპოთ. მე თუ შეეჩერდი აპარატის საკითხზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც გინდა დიდი საქმე იყოს, თუ არა გყავს ხალხი, შემსრულებელი-

ვერაფერს გააკეთებთ, ჩვენ აუცილებლად მოვთხოვთ მწერალთა კავშირს მეტ საქმიანობას, ორგანიზაციულ გარდაქმნას. პრ. მწერ. ასოციაციის გაუქმების შემდეგ თქვენ არა მარტო უნდა გარდაქმნათ ძველი კადრების მუშაობა, არამედ უნდა მოამზადოთ ახალი კადრებიც, რასაც ნაკლებ ყურადღებამ სჭიქვება პრ. მწერ. ასოციაცია. სად არის ეს კადრები? ეს კადრებია ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში, წითელ ჯარში. თქვენ უნდა გაამაგროთ და გააუმჯობესოთ ფაბრიკა-ქარხნების და კოლმეურნეობების სალიტ. წრეები. ამას ჩვენ აუცილებლად მოვთხოვთ მწერალთა კავშირს. მწერალთა კავშირმა ამ მხრივ უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა და დღევანდელი ამოცანების სიმძლავრე დადგეს. ეს შეუძლებელი იქნება თუ თქვენ არ დაეყრდნობით მუშათა ფართო მასებს. ძალიან საყურადღებო იყო ამ მხრივ პ. ოზოლის გამოსვლა იმის შესახებ, თუ როგორ უყურებენ მუშები ამათუიმ ნაწერს. ეს იყო უსათუოდ სწორი შეფასება, მკითხველს არა ნაკლები შეუძლიან გააკეთოს; არა თუ სხვების სწავლება შეგიძლიანთ თქვენ ამ სალიტ. წრეებში, არამედ ზოგირამეს თქვენც ისწავლით. იქ ბევრი კარგი და საგულისხმო შეფასება შეგიძლიანთ მიიღოთ თქვენი ნაწერებისა, რაც შემდეგ ძალიან გამოვადგებათ პრაქტიკულ საქმიანობაში, ასე რომ საჭიროა აქეთაც მიაქციოთ ყურადღება. მერე: თქვენ მწერლობას აქვს გამომცემლობა. არ ვიცი, რამდენჯერ მოისმინა გამომცემლობის მუშაობის შესახებ მოხსენება პრეზიდიუმში. არა თუ გამომცემლობა „ფედერაცია“, არამედ სახელგამიც ვალდებულია მწერლობას ანგარიში ჩააბაროს. პარტია ყოველთვის დააკისრებს მათ, რომ მოვიდნენ და ანგარიში ჩააბარონ მწერალთა კავშირს, რათქმა უნდა, მწერალთა კავშირი რომ დადგენილებას გამოიტანს, სახელგამი ვალდებული არ იქნება, შეასრულოს იგი, მაგრამ იგი მაინც მოვალე იქნება ერთგვარი ანგარიში გაუწიოს მწერალთა კავშირს.

ამრიგად, ამხანაგებო, საჭიროა მთელი მუშაობის გარდაქმნა. ახალი ამოცანების შესრულება მოითხოვს მუშაობის სრულიად ახალ ნიადაგზე დაყენებას (ტამი).



საქართველოს
წიგნების
კავშირის

საქართველოს საბჭოთა მწერლობის საგანგებო ყრილობის რეზოლუცია.

მოისმინა რა ამხ. გ. ყურულაშვილის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილებისა და საქართველოს საბჭოთა მწერლობის ამოცანების შესახებ, საქ. საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობა საესებით და მთლიანად იწონებს საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებას.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის შესვლამ სოციალიზმის პერიოდში და გაშლილმა შეტევამ კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ მთელ ფრონტზე, მოითხოვა მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გადაქმნა სოციალისტური მშენებლობის ყოველ დარგში. ახალ პირობებში ახალ წესით მუშაობის ამოცანები უდიდესი პრინციპიალური სიღრმითაა დასაბუთებული ამხ. სტალინის სიტყვაში — „ახალი პირობები და სამეურნეო მშენებლობის ახალი ამოცანები“, რომელიც წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკის თეორიულ განზოგადოებას და შეეხება არა მარტო სამეურნეო ორგანიზაციებს, არამედ ატარებს გადაწყვეტ მნიშვნელობას მთელი იდეოლოგიური ფრონტისათვის, კერძოდ ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის.

უკანასკნელ პერიოდში სოციალისტური მშენებლობის უდიდესმა წარმატებებმა გამოიწვიეს ძველი ტენიკური ინტელიგენციის დიდი ნაწილის გადმოსვლა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. ლიტერატურის დარგშიაც ეს შემობრუნების პროცესი აისახა საბჭოთა მწერლების ფართო ფენების აქტიური მონაწილეობის სახით სოციალისტურ მშენებლობაში, რამაც თავისი გამოხატულება პპოვა მათ მხატვრულ შემოქმედებაში; ამასთანავე საგრძნობლად გაიზარდა პროლეტარული ლიტერატურისა და ხელოვნების კადრები, ფაბრიკა—ჭარხნებიდან და კოლმეურნეობებიდან დაწინაურდნ ახალი მწერლები და მხატვრები, რაიც იმის მაჩვენებელია, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში შექმნილია სრული შესაძლებლობანი მშრომელთა მასების შემოქმედებითი ძალების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილება სალიტერატურო—სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ ახალ ეტაპს ქმნის საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში, იგი კონკრეტულად მოითხოვს სალიტერატურო — სამხატვრო ორგანიზაციათა მუშაობის ძირეულად გადახალისებას,

ყრილობა საესებით დროულად და სწორად სთვლის ცეკას დადგენილებას პროლეტარულ მწერლობის ასოციაციების („ვოაპი“, „რაპი“ და სხვ.) ლიკვიდაციის შესახებ.

რამდენიმე წლის წინა უ, როცა ლიტერატურაში ჯერ კიდევ ადგილი ჰქონდა უცხო ელემენტების საგრძნობ გავლენას, რომლებიც განსაკუთრებით გამოცოცხლდნ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებში და პროლეტარული ლიტე-

რატურის კადრები სუსტი იყო, პარტია ყოველნაირად ხელს უწყობდა განსაკუთრებულ პროლეტარულ ორგანიზაციების შექმნას და განმტკიცებას ლიტერ. და ხელოვნების დარგში, პროლეტარული მწერლობის და ხელოვნების მუშაკთა პოზიციების განმტკიცების მიზნით. ამჟამად „პროლეტ. სალიტერატ. სამხატვრო ორგანიზაციათა ჩარჩოები უკვე ვიწრო ხდება და აფერხებს მხატვრული შემოქმედების ფართოდ გაშლას. ასეთი გარემოება ქმნის იმის საფრთხეს, რომ ეს ორგანიზაციები, სოციალისტურ მშენებლობის ამოცანების გარშემო საბჭოთა მწერლობის და მხატვრობის რაც შეიძლება მეტი მობილზაციის საშუალებიდან გადაიქცევიან კარჩაკეტილობის დანერგვის, თანადროულობის პოლიტიკური ამოცანებისა და მწერალთა და მხატვართა იმ საგრძნობი ჯგუფებისაგან მოწყვეტის საშუალებად, რომლებიც თანაუგრძნობენ სოციალისტურ მშენებლობას* (ცეკას რეზოლიუციიდან). პარტიამ არა ერთხელ მიუთითა პროლეტ. მწერალთა ასოციაციების ხელმძღვანელობას მუშაობის გარდაქმნისა, თვითკრიტიკის გაშლისა, პროლეტარული ლიტერატურის და კრიტიკის ყველა ძალების კონსოლიდაციის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ ეს მითითებანი უმეტეს შემთხვევაში არ სრულდებოდა, ადგილი ჰქონდა ჯგუფურ კარჩაკეტილობას, არა ობიექტურ კრიტიკის ფაქტებს, იდეურ აღმზრდელობით მუშაობის ადმინისტრაციული მეთოდით შეცვლას და უხეშ თეორიულ შეცდომებს; განსაკუთრებით პოლიტიკური შეცდომები იყო დაშვებული თანამგზავრებთან დამოკიდებულების საკითხში, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა უმთავრესად ლოზუნგში — „მოკავშირე ან მტერი“.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საქართველოს პროლეტარული და საერთოდ საბჭოთა მწერლობა პარტიის ხელმძღვანელობით საგრძნობლად გაიზარდა და განმტკიცდა. საბჭოთა მწერლობის წრიდან აღიზარდა მთელი რიგი მწერლებისა რომლებიც თავისი მხატვრული შემოქმედებითი პრაქტიკით აქტიურ მონაწილეობას იღებენ სოციალისტურ მშენებლობაში. მიუხედავად ამისა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ ვერ შესძლო მუშაობის გარდაქმნა ახალ ამოცანებთან დაკავშირებით. ის დიდი ნაკლოვანებანი, რომელიც რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ახასიათებდა, საქართველოს პროლეტ. მწერალთა ასოციაციის მუშაობის პრაქტიკაში გამომკლავნდა მთელი სისრულით. ჯგუფურ კარჩაკეტილობას, ადმინისტრაციული მუშაობის, მოწყვეტის თანამედროვეობის პოლიტიკურ ამოცანებიდან, თვითკრიტიკის ჩახშობის ცდებს მემარჯვენე ხასიათის გადახრებს და „მე მარცხენა“ ვულგარიზატორობას თანამგზავრობის საკითხში, ადგილი ჰქონდა საქართველოს პროლეტ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობის მუშაობაში. ადმინისტრაციული მუშაობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა „წმინდა“, რომელიც ჩატარდა საქართველოს საბჭოთა მწერლობის ფედერაციის ხაზით. იდეური პრინციპიალური ბრძოლის მაგიერ ამა თუ იმ მწერლის მექანიკური მოკვეთა ორგანიზაციიდან აი რა ახასიათებდა მთელ რიგ შემთხვევებში საქართველოს პროლეტ. მწერალთა ასოციაციის ძველი ხელმძღვანელობის მუშაობას (აბზ. ბ. ბუაჩიძე, შ. რადიანი, ვ. ლუარსაბიძე). ადმინისტრაციული მუშაობისა და ჯგუფობრივი ბრძოლის ამ ტენდენციებს ხელს უწყობდა ძველი პარტიული ხელმძღვანელობა, არ იყო გაშლილი ბრძოლა ლენინური მემკვიდრეობის

დაუფლებსათვის. უხეშად მახინჯდებოდა პარტიის ხაზი კლასიკოსებთან დამოკიდებულების საკითხში, იჩქმალეზოდა ფედერალისტური ხასიათის რეციდივები (ბ. ბუაჩიძე, ს. ხუნდაძე და სხ.); არ ყოფილა შესაფერისებრი ბრძოლა „მემარცხენე“ ვულგარიზატორების წინააღმდეგ (ქიქოძე და სხ.); ჩაჩქმალეზოდა გამომტაცებული დებორინული, პერევერზიანული ხასიათის შეცდომები, „ლიტფრონტის“ გავლენები და სხვა. უკანასკნელ პერიოდში, ე. კ. 23 აპრილის დადგენილების შემდეგაც „მემარცხენე“ ვულგარიზატორული მიდგომა თანამგზავრთა მიმართ კვლავ გრძელდებოდა (ამხ. ბენაშვილი, ნატროშვილი ფ. ნაროუშვილი და სხ.) არადაამკაყოფილებლად დამუშავდა ამხ. სტალინის წერილი — „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგერთი საკითხების შესახებ“, რომელშიაც მოცემულია ტროცკისტული კონტრბანდისტების, ყველა ჯურის რევიზიონისტების და დამპალი ლიბერალიზმის გამანადგურებელი კრიტიკა.

ყრილობა განსაკუთრებით აღნიშნავს სალიტერატურო კრიტიკის დაბალ თეორიულ დონეს საქართველოში. სალიტერატურო კრიტიკა მთელ რიგ შემთხვევებში არ ეხმარებოდა მწერალს თავის შეცდომების გამოსწორებაში და მისთვის შემდგომი განვითარების გზების გარკვევაში. კრიტიკა დაშორებული იყო თანამედროვეობის პოლიტიკურ ამოცანებს, ფართო გასავალი ქონდა დეკრეტული ხასიათის კრიტიკას, დიალექტიურ მატერიალიზმის კატეგორიათა სქოლასტიურ გამოყენებას; ბრძოლა დიალექტიურ მატერიალიზმის ვულგარიზატორობის წინააღმდეგ ნიშნავს გეგმიან და მეთოდურ ბრძოლას მწერლის მსოფლმხედველობის ამაღლებისათვის. ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა უმეტესად ემყარებოდა ჯგუფურ ინტერესებს.

ყრილობას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, დაუყოვნებლივ იქნას გამოწვრთნილი ყველა დაშვებული შეცდომები და დამახინჯებანი ლიტერატურული თეორიისა და პრაქტიკის დარგში ბოლშევიკურ თეოტიკრიტიკის საფუძველზე. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წინაშე ყრილობა ძირითად ამოცანად სახავს მალალ მხატვრულ კვალიფიკაციის მქონე თავის შინაარსით სოციალისტური ლიტერატურის შექმნას. მე-17 პარტ-კონფერენციამ დასახა უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გრანდიოზული გეგმა, რომელიც მთელი სიღრმით აყენებს კულტურული რევოლუციის შემდგომი გაშლის ამოცანას. სოციალისტური კულტურის მშენებლობა გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში მიმდინარეობს, ამიტომ პროლეტარიატის კლასობრივი კულტურის და კერძოდ ლიტერატურის წინაშე დასახულ ამოცანათა განხორციელების ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს ყოველგვარ ანტილენინურ მიმართულებათა წინააღმდეგ გამანადგურებელი ბრძოლის გაამხვილება. ბრძოლა პროლეტარული ლიტერატურისათვის, რომელიც პროლეტარულ კულტურის ერთ-ერთი უძლიერესი ელემენტთაგანია, არის ამავე დროს ბრძოლა სოციალისტური ლიტერატურისათვის. ზემოხსენებულიდან გამომდინარე ყრილობა ავალეებს საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს:

1) უზრუნველყოს საბჭოთა მწერლებისათვის მუშაობის ყველა ის პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს მხატვრული შემოქმედების ფართოდ გაშლას. ძირ-

შივე უნდა აღიკვეთოს ყოველგვარი ცდა რომელიმე ლიტერატურული ჟანრის დაკანონებისა და ფართო გასაქანი მიეცეს ჟანრების თავისუფლად შერჩევას, ნაწარმოებების თემატიური მასალისა და ავტორის ინდივიდუალობის მხედველთა; ჟენი სინამდვილის სწორად ასახვით მწერლობამ უნდა შესძლოს სოციალისტური მშენებლობის დიადი ეპოქის შესაფერისი ნაწარმოების მოკემა.

2) აღმოფხვრილ იქნას ბოლშევიკური თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის საფუძველზე ჯგუფობრივობის ყოველგვარი გამოვლენა და დაწყებული იქნას მუშაობის გარდაქმნა შემოქმედებითი შეჯიბრის გაშლით ცალკე ლიტერატურულ მიმდინარეობათა და ცალკეულ მწერალთა შორის.

3) საჭ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წარსული მუშაობის დადებითი გამოცდილების გათვალისწინებასთან ერთათ, ბოლომდე მზილებული იქნას ძველი ხელმძღვანელობის და ცალკე ამხანაგების შემცდარი შეხედულებანი, განსაკუთრებით ისეთი შეხედულებანი, რომლებიც კმნიდენ „თანამედროვეობის პოლიტიკური ამოცანებისაგან მწერალთა საგრძობ ჯგუფების ჩამოშორების საფრთხეს“. პირველ რიგში ეს შეეხება „მემარცხენე“ ვულგარიზატორებს, რომელთა წინააღმდეგ მთელი თავისი მახვილით არის მიმართული ცეკას დადგენილება. ამ ბრძოლის ჩატარების გარეშე შეუძლებელია საბჭოთა მწერლების მობილიზაცია სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გარშემო.

4. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საბჭოთა მწერლების იდეურ აღზრდის საქმეს, მათ მიერ მარქსიზმ—ლენინიზმის ფილოსოფიურ საფუძვლების შეთვისებას. ამასთან დაკავშირებით გამანადგურებელი ბრძოლა უნდა იწარმოოს კლასიური მტრის ყოველგვარი გავლენის და კლასიური ზავის ტენდენციების წინააღმდეგ.

5) უდიდესი ყურადღება მიექცეს კავშირის მუშაობაში თავდაცვითი ლიტერატურის შექმნას, რისთვისაც აუცილებლად საჭიროა საბჭოთა მწერლების და წითელ არმიელთა ნაწილების შორის მჭიდრო კავშირის განმტკიცება. საბჭოთა მწერალი ვერ აუხვევს გვერდს მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს დაცვის ამოცანას.

6) უზრუნველყოფილი უნდა იქნას სწორი ლიტერატურული—მხატვრული აღზრდა მუშებისა და კოლმეურნეთა, რომლებიც მოდიან ლიტერატურაში. უნდა აღინიშნოს ასოციაციის ძველი ხელმძღვანელობის მიერ ლიტერატურაში დამკვრელთა გაწვევის უაღრესად ფორმალური ჩატარება. მათი ლიტერატურული სწავლების ორგანიზაცია და მისი აყვანა მაღალ თეორიულ ლიტერატურულ დონეზე უმთავრეს ამოცანად სდგას კავშირის წინაშე.

დაუყოვნებლივ გამომუშავებული უნდა იქნას სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი სალიტერატურო წრეების მუშაობის გასაშლელად. დამკვრელთა გაწვევას ლიტერატურაში უნდა ჰქონდეს არა კამპანიის, არამედ სისტემატიური მუშაობის ხასიათი.

7) უზრუნველყოფილი უნდა იქნას სისტემატიური ხელმძღვანელობა ლიტერატურული ორგანიზაციებსა რაიონებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში (აქარისტარი, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი); აგრეთვე გაძლიერებული უნდა იქნას კავშირის ხელმძღვანელობა ნაცუმცირესობათა სექციებზე, და ამით უზრუნველყოფილი იქნას ნაცუმცირესობათა ლიტერატურის შემდგომი განვითარება.

ორგანიული კავშირი უნდა იქნას დამყარებული ამიერ-კავკასიის ერეკლან (სომხეთი, აზერბეიჯანი) და საბჭოთა კავშირში შემაჯალ დანარჩენ რესპუბლიკებთან.

8) მხატვრული შემოქმედების სპეციფიურ საკითხებში მარქსისტულ-ლენინური თეორიის სწორად გამოყენებისა და კონკრეტისაციის მიზნით კავშირმა ფართოდ უნდა გაშალოს შემოქმედებითი დისკუსია და ჩაბახ მასში მთელი ლიტერატურული აქტივი. დისკუსია უნდა მიმდინარეობდეს სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდისათვის ბრძოლის ნიშნის ქვეშ. ამ ხაზით წარმოებული მუშაობა თავიდანვე უნდა დაზღვეულ იქნას სქოლასტიურ აბსტრაქტიულობის საფრთხისაგან და უნდა დაემყაროს მხატვრული პროდუქციის ანალიზს და ლიტ. თეორიის კონკრეტულ პრობლემათა დამუშავებას პროლეტარიატის მსოფლმხედველობის საფუძველზე.

9) ყრილობა ავალებს კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებს უზრუნველყოფა ყველა პირობები იმისათვის, რომ საბჭოთა მწერლობის ფართო ფენებმა ღრმად შეითვისონ სოციალიზმის მშენებლობის თეორია და პრაქტიკა ქალაქად და სოფლად მიმდინარე სოციალისტური რეკონსტრუქციის პროცესების უშუალო შესწავლისა და მათი სწორად გამოხატვის მიმართულებით და მხატვრული შემოქმედებითი პრაქტიკის ნიადაგზე; მწერლობა უნდა გაიმსჯელოს მუშათა კლასის მსოფლმხედველობით და შეიარაღდეს მისი მებრძოლი თეორიით; უარყოფილი უნდა იქნას ამ საკითხში პროლეტმწერალთა ასოციაციის მიერ დადგენილი შეხედულება: ჯერ მარქსისტული თეორიის შეთვისება და შემდეგ შემოქმედება, — რაც თეორიის და პრაქტიკის მექანიკურ გათიშვის ნამდვილი გამოხატულებას წარმოადგენს. მწერლების შემოქმედებითი მივიღებები წარმოებებსა და ახალ მშენებლობებზე უნდა ატარებდეს სისტემატიურ ხასიათს.

10). მშრომელი მასებისათვის მხატვრულ მომსახურების გაძლიერების მიზნით საბჭოთა მწერლების კავშირმა უნდა გაშალოს მასიური მუშაობა ლიტერატურული საღამოების, მოხსენებების და სხვა სახის გამოსვლათა რეგულიარულად მოწყობით, როგორც თბილისის მუშათა კლუბებში და წარმოებებში, ისე რესპუბლიკის ყველა მნიშვნელოვან სამრეწველო და ადმინისტრიატიულ ცენტრებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში.

11). საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭომ თავის ძირეულ ამოცანად უნდა დაისახოს მხატვრული ლიტერატურის გამოცემის საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. ამ მიზნით მჭიდრო კავშირი და საქმიანი ურთიერთობა უნდა დაამყაროს სახელმწიფო გამომცემლობასთან, უკანასკნელის მუშაობაში მწერალთა აქტივის ჩაბმით; მხატვრული ლიტერატურის გამოცემის ხარისხის გაუმჯობესების და გავრცელების საქმეზე საზოგადოებრივი მეთვალყურეობის უზრუნველყოფა უნდა შეადგენდეს კავშირის ხელმძღვანელ ორგანოების ამოცანას. კავშირმა უნდა იზრუნოს გამომცემლობა „ფედერაციის“ გასაძლიერებლად და მისი ნივთიერი ბაზის განსამტკიცებლად. თანამედროვე მხატვრული მწერლობის გამოცემის საქმეში რიცხოვობი და ხარისხობრივი ზრდის მიღწევასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქართულ და უცხოელ კლასიკოსთა გამოცემას. ამ საკითხში მტკიცედ უნდა გატარდეს კულტურული მექვიდრობისადმი ლენინური დამოკიდებულობის პოლიტიკა და უნდა აღიკვეთოს როგორც ერთის მხრივ დამაბალი ლიბე-

რალიზმის და ფედერალიზმის რეციდივები, ისე „მემარცხენე“ კულტურისტორული დამახინჯებანი.

12). ყრილობა განსაკუთრებით აღნიშნავს სახელმწიფო გამომცემლობის მიერ უკანასკნელ ხანებში მხატვრულ ლიტერატურის გამოცემისადმი დაუშვებელ უყურადღებობას და ავალებს კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებს მიიღოს საჭირო ღონისძიებანი, რათა სახელგამის საგამომცემლო გეგმაში მხატვრულმა მწერლობამ დაიჭიროს შესაფერი ადგილი და უზრუნველყოფილი იქნას საწარმოო გეგმის შესრულება ამ დარგში.

13). კავშირის საბჭომ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები კავშირის ბეჭდვითი ორგანოების გასაძლიერებლად. აღნიშნავს რა ჟურნალ „მნათობის“ და „სალიტერატურო გაზეთის“ მუშაობის შედარებითს გაუმჯობესებას უკანასკნელ ხანებში, ყრილობა საჭიროდ სთვლის გაცხოველდეს ამ ორგანოთარედეკოლეგების მუშაობა და უზრუნველყოფილი იქნას მათ ირგვლივ მკითხველთა აქტივის ორგანიზაცია. კავშირის ბეჭდვითი ორგანოები უნდა წარმოადგენდეს მწერლობის ახალ ეტაპზე აყვანის, სალიტერატურო ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის ძირითად დაქტორს. ყრილობა საჭიროდ სცნობს საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ჟურნალის „პროლეტარული მწერლობის“ ნაცვლად გამოიცეს საბჭოთა მწერლების კავშირის მეორე ჟურნალი, რომელსაც უნდა მიეცეს მასიური ხასიათი და რომლის ფურცლებზე, გარდა კვალიფიციურ მწერალთა ნაწარმოებისა, ფართო გასაქანი უნდა მიეცეს მწერლობაში მომავალ ახალ კადრების შემოქმედებას.

14). საბჭოთა მწერლების კავშირის ხელმძღვანელმა ორგანოებმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ როგორც რესპუბლიკანურმა, ისე სარაიონო გაზეთებმა გაამხვილონ ყურადღება მხატვრული მწერლობის საკითხებისადმი და სისტემატიურად მოათავსონ თავის ფურცლებზე მხატვრული პროდუქცია. უნდა აღიძრას საკითხი, რათა მთელ რიგ გაზეთებში დაარსდეს პერიოდული ლიტერატურული გვერდი, რაც საგრძობლად შეუწყობს ხელს მწერლობის მასაში გატანას და საერთოდ მხატვრული ლიტერატურის ზრდა-განვითარებას,

15). საბჭოთა მწერლობის კავშირმა ურთიერთობა უნდა დაამყაროს ხელოვნების მოსახლერე დარგთა მუშაკების გამაერთიანებელ ორგანიზაციებთან. მწერლობამ, როგორც საბჭოთა კულტურული მშენებლობის მოწინავე ელემენტმა, აქტიური დახმარება უნდა გაუწიოს ხელოვნების ყველა დარგების (თეატრი, კინო, მუსიკა, სახვითი ხელოვნება და სხვა) იდეურ-ხარისხობრივ ზრდა-განვითარებას. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას თეატრის და კინემატოგრაფიის შესახებ, რომელთა მუშაობა ბევრადაა დამოკიდებული ლიტერატურული მასალისაგან.

16). ყრილობა ავალებს კავშირის საბჭოს განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრას მწერალთა საყოფაცხოვრებო საკითხებს, რადგან ამ მხრივ მწერალთა უზრუნველყოფა არის აუცილებელი პირობა შემოქმედებითი ნაყოფიერებისა და მხატვრული პროდუქციის ხარისხობრივი ზრდისათვის. დაუყონებლივ უნდა გაიშალოს მუშაობა საბინაო მშენებლობისა და მწერალთა მომარაგების ხაზით. უნდა

მოგვარდეს მწიგნობრობის საკურორტო დასვენებისა და მკურნალობის საკითხი, რასაც უნდა მიეცეს ორგანიზაციული ხასიათი.

17). კავშირის ხელმძღვანელმა ორგანოებმა უნდა იბრძოდნენ მწიგნობრობის უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საავტორო უფლებისა და პანორამების ტარიფების საკითხს, ყრილობა სთელის რა ყოვლად არა დამაკმაყოფილებლად იმ მდგომარეობას, რომელსაც ამჟამად ჩვენში საავტორო უფლებისა და პანორამების საკითხში აქვს ადგილი, როგორც საკანონმდებლო დარგში, ისე საგამომცემლო პრაქტიკაში, — აქვს ადგილს კავშირის საბჭოს დაუყონებლივ აღიძრას საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე ამ საქმეში საჭირო გარდატეხის მისაღწევად.

18). საბჭომ თავის მუშაობაში მტკიცე კავშირი უნდა დაიჭიროს ლენინურ კომკავშირთან, პროფესიონალურ ოლგანიზაციებთან, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტთან და სხვა. —

19). კავშირის საბჭომ დაუნდობლად უნდა აწარმოოს ბრძოლა დიდიმპრობელურ შოვინიზმის, ყოველგვარი სახის ნაციონალისტური ტენდენციების, მენშევიზმის იდეოლოგიურ ნაშთების წინააღმდეგ, რომელსაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს მწიგნობრობის ზოგიერთ ფენებში.

კომუნისტური პარტიის გარშემო დარაზმებით, ორ ფრონტზე დაუნდობელი ბრძოლით, ყოველგვარი ჯურის ოპორტუნიზმის ბოლშევიკურად გამომჟღავნებით, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარ გავლენასთან გადამწყვეტი ბრძოლით საბჭოთა მწიგნობრობა შესძლებს იმ დიადი ამოცანების განხორციელებას, რომელსაც მას უსაზღვრს საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება.



გიორგი წერეთელი

თხზულებათა სრული კრებულის გამოცემის გამო *

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში გიორგი წერეთელს, როგორც პუბლიცისტსა და ბელეტრისტს, ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ქართული პრესის ისტორიაში მუდამ აღსანიშნავი იქნება ის ფაქტი, რომ გიორგი წერეთელი იყო დამაარსებელი და პირველი რედაქტორი პირველი ქართული გაზეთის „დროებისა“ (1866 წ.), პირველი სასოფლო-სამეურნეო ორგანოსი—„სასოფლო გაზეთისა“ (1868 წ.) და თავისი დროისათვის მეტად სერიოზული სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალ „კრებულისა“ (1871 წ.)

იშვიათია სხვა ქართველი მწერალი, რომელსაც ისეთი მრავალფეროვანი ლიტერატურული შრომა გაეწიოს, როგორც გასწია გიორგი წერეთელმა მისი ორმოცწლოვანი მოღვაწეობის განმავლობაში.

განათლებით ბუნების მეტყველი, პროფესიით ჟურნალისტი და მოწოდებით ბელეტრისტი, უნივერსალური ცოდნით აღჭურვილი და თავისი ეპოქის კულტურულ დონეზე მდგომი ინტელიგენტი, გიორგი წერეთელი თანაბარი ენერგიით იბრძოდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურული აღორძინების ფრონტზე ოთხი ათეული წლის მანძილზე. ეს დრო ერთი ადამიანისათვის ცოტა არ არის. მით უმეტეს გიორგი წერეთლისათვის, რომელიც თავის პიროვნებაში აერთიანებდა ათეულ სხვადასხვა პროფესიას და საქმეს: ის იყო ერთსა და იმავე დროს რედაქტორიცა და პედაგოგიც, პუბლიცისტიცა და არქეოლოგიც, ბუნებისმეტყველი და ისტორიკოსი, ბელეტრისტი და მთარგმნელი, — დაბოლოს პრაქტიკოსი—მოღვაწე, ინციტორი და ენტუზიასტი ყოველი ახალი საზოგადოებრივ-კულტურული წამოწყებისა ჩვენს ქვეყანაში.

ასეთი დანაწევრება მისი ნიჭის, უნარის და სხვას რომ თავი დავანებოთ, — ფიზიკური ენერგიისა, ცხადია, სათანადო დაღს ამჩნევდა მისი ნაშრომის კვალიფიკაციას ყოველ დარგში, მაგრამ ეს იყო ხვედრი თვითიველი კულტურული

*) გ. წერეთელი—თხზ. სრული კრებული ტ. I. სიძ. ხუნდაძის რედაქციით „ქართ. წიგნის“ გამოცემა 1931 წ.

მუშაისა იმ დროინდელ ჩვენს ჩამორჩენილ ცხოვრებაში და ვერც გიორგი წერეთელი ასცდებოდა ამ მძიმე და ატყულებელ ხედვრს.

გ. წერეთელი საუკეთესო წარმომადგენელი იყო ჩვენი, ქვეყნის წლების „თერგდალეულთა“ იმ უნცროსი თაობისა, რომელიც 1869 წელს ჩამოყალიბდა ცალკე ჯგუფად „ახალი ახალგაზრდობის“ სახელწოდებით. თვით გიორგი წერეთელმა ერთ-ერთ მერმინდელ წერილში თაობათა კლასიფიკაციის დროს ამ ჯგუფს „მეორე დასი“ უწოდა. გ. წერეთლის ვარდა ამ „ახალ ახალგაზრდობაში“ შედიოდნენ ნიკო ნიკოლაშვილი, სერგეი მესხი, კირილე ლორთქიფანიძე, პეტრე უმიკაშვილი და შემდეგში მათთან მიკედლებული აკაკი.

თავის დროზე „ახალ ახალგაზრდობის“ ჯგუფმა თავისი სამოქმედო პროგრამა დაუპირისპირა ქართული საზოგადოების მთელ ფეოდალურ-რეაქციონურ ფრონტს და მასთან ერთად თავადაზნაურული ლიბერალიზმისა და შემდეგში აგრარული კაპიტალიზმის იდეის მატარებელ ინტელიგენციის ნაწილს ილია ჭავჭავაძის მეთაურობით.

გიორგი წერეთელს ჯგუფი რადიკალურ-დემოკრატიულ სულით გაქცენილი ბურჟუაზიული ინტელიგენციის მსოფლმხედველობასა და სულსიკვეთებას გამოხატავდა მე-60-ე წლებში.

ამ რადიკალურ-ბურჟუაზიულ აზროვნებას გიორგი წერეთელი იზიარებდა ბოლომდე, იმ დროსაც კი, როდესაც 90-იანი წლების დასაწყისში იგი ორგანიზაციულად დაუახლოვდა საქართველოს მარქსისტულ წრეებსა და მუშათა მოძრაობას.

მე-60 წლების რუსულ პუბლიცისტიკაზე აღზრდილმა გიორგი წერეთელმა საქართველოში პირველად შემოიტანა ბუნებისმეტყველების ზატერიალიზმი და რაციონალიზმი. მაგრამ ამ მატერიალიზმმა რუსეთში ვერ ჰპოვა სათანადო განვითარება დიალექტიურ მატერიალიზმამდე; ვერც გიორგი წერეთელმა შესძლო თავისი ბუნებაში აღიარებული მატერიალიზმი საზოგადოებრივ ურთიერთობისა და ისტორიის განვითარების შემეცნებაზე გადმოეტანა. მატერიალისტი ბუნებისმეტყველებაში გიორგი წერეთელი დარჩა წმინდა წყლის იდეალისტად სოციოლოგიაში. მას, როგორც რაციონალისტს, ისტორიის მამოძრავებელ ძალად გონება და აზროვნება მიაჩნდა, საზოგადოებრივი განვითარების მთავარ ფაქტორად სუბიექტური მომენტა-შეგნება წარმოედგინა, ხოლო ეკონომიური პირობები და სოციალური გარემო—ამ სუბიექტიური მომენტისგან გამომდინარე შედეგად.

ასეთ ყალბ სოციოლოგიურ საფუძველზე ჰქონდა აშენებული გიორგი წერეთელს თავისი სოციალ-ეკონომიური პროგრამაც. იგი უტოპიურ-ბურჟუაზიული კონცეპციის ხასიათს ატარებდა. ამ პროგრამის დედააზრს შეადგენდა ეროვნული კაპიტალიზმის განვითარება ჩვენი ქვეყნის შიგნით. გიორგი წერეთლის აზრით საჭირო იყო, რომ ეს კაპიტალიზმი ჩვენში კოლექტიურ და ასოციაციურ ფორმებში განვითარებულიყო. ამით, ფიქრობდა გ. წერეთელი, „დემოკრატიულ კაპიტალიზმს“ ჩვენში დაეკარგებოდა ის სასტიკი და მკაცრი კლასობრივი ანტაგონიზმის სახე, რომელიც მას ევროპაში ჰქონდა მიღებული. ასეთი კაპიტალიზმი, მისი აზრით, ჩვენს გლეხობას იხსნიდა „პროლეტარიატში

ჩაცვნიდან* და გააერთიანებდა თავის წიაღში სრულიად სხვადასხვა სოციალურ კატეგორიებს: გლეხებს, მუშებს, ხელოსნებს, ვაჭრებს, მრეწველებს, ინტელიგენტებს და სხვ.

გიორგი წერეთელს, როგორც იდეალისტსა და სუბიექტივისტს ისტორიის შემეცნებაში, არ ესმოდა რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას არა ადამიანების ნება-სურვილები განაგებენ, რომ ეს განვითარება დამოკიდებულია არა ამათუ იმ საზოგადოებრივი ფორმაციის სასურველობასა და უმჯობესობაზე, არამედ იმ ისტორიულად აუცილებელ კანონებზე, რომელიც ახასიათებს საწარმოო ძალთა განვითარებას და მისზე აშენებულ სოციალურ ურთიერთობას. გიორგი წერეთლისათვის, რომელსაც ღრმად სწამდა ადამიანის გონების ყოვლად შემძლებლობა, და უკანასკნელის დომინანტური როლი საზოგადოებრივი ფორმაციის პროცესში, ცხადია უცნობი იყო და გაუგებარი დარჩა შემდეგშიაც ისტორიის მატერიალისტური შემეცნება. მისი სოციალურ-ეკონომიური პროგრამა თავისებური უტოპიურ-ბურჟუაზიული კონცეპციის ხასიათს ატარებდა.

აღსანიშნავია, რომ გიორგი წერეთლის ეროვნული-პოლიტიკური პროგრამა არსებითად განსხვავდებოდა მისი დროის ქართველი თავად-აზნაურობის ნაციონალური პროგრამისაგან. უკანასკნელის შინაარსი გამოიხატებოდა „რუსეთის ტახტისადმი ერთგულებასა და საქართველოს სიყვარულში“. ამ თავად-აზნაურული წოდების მიერ შემუშავებულ კონცეპციის ტიპურ იდეოლოგს წარმოადგენდა მაგალითად დიმიტრი ყიფიანი. მე-60 წლების ინტელიგენციის ნაწილი კი გ. წერეთლის მეთაურობით, სრულიად საწინააღმდეგო ლოზუნგს აყენებდა. მისი შინაარსი იყო: თვითმპყრობელობის დამხობით ეროვნული თავისუფლების მოპოება. გიორგი წერეთელი სასტიკად ებრძოდა „რუსეთის ტახტის ერთგულებით ქართველი ხალხის სამსახურის“ ცრუ იდეას. რომელსაც ებლაუტებოდა თვითმპყრობელობის მიერ ჩინ-ორდენებითა და პრივილეგიებით მოსყიდული ქართული თავად-აზნაურობა. გიორგი წერეთელი ერთი პირველ ავტორთაგანი იყო ჩვენში ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობისა და მათი ურთიერთ თანამშრომლობის იდეისა. იგი იმთავითვე იცავდა ამ. კავკასიის ხალხთა დამოუკიდებლობის და დემოკრატიულ-ფედერატიულ საფუძველზე მათი ერთმანეთთან დაკავშირების პრინციპს. ჯერ კიდევ 1874 წელს ციურბში მოწვეულ ამიერ-კავკასიის მოღვაწეთა თათბირზე გ. წერეთელი ადგა იმ აზრს, რომ საჭიროა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის მოპოება და ამ. კ. ერთა სახელმწიფოებრივობის შექმნა დემოკრატიულ-ფედერატიულ საწყისებზე. ამ მხრივ გ. წერეთლის პოლიტიკა არსებითად განსხვავდებოდა ქართველი თავად-აზნაურობის და კერძოთ იღია ჰუკუაძის ჟურნალ „ივერიის“ პოლიტიკისაგან, რომელიც ამ დროს ცხარე ბრძოლას აწარმოებდა სომხის პლუტოკრატიათთან და მისი სახით მთელ სომხობასთან.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში გიორგი წერეთელი ფართო მკითხველ ფენებისათვის ცნობილი იყო უმთავრესად როგორც ბელეტრისტი და არა პუბლიცისტი და მოწინავე პოლიტიკური მოღვაწე. სამწუხაროდ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობაც არ იყო რევოლიუციის წინ სათანადოდ შესწავლილი და შეფასებული. იმ დროის ქართულმა „ოფი-

ციალურმა კრიტიკამ უმეტეს შემთხვევებში ტენდენციურად, ვალბად და უმართებულად გააშუქა გ. წერეთლის შემოქმედება. კრიტიკის მსჯავრი შის მიმართ უსათუოდ დაუმსახურებელი და მიკერძოებული იყო. ამის ახსნა უნდა გეძიოთ გ. წერეთლის კრიტიკოსთა პოლიტიკურ მსოფელმხედველობაში და ძალიან ხშირად ავტორისადმი მტრულ განწყობილებაში.

არსებული ლიტერატურული დოკუმენტები და უმთავრესად 70—90 წ. წ. ქართული პრესა გვიჩვენებს, რომ გიორგი წერეთლის მხატვრულ შემოქმედებას სრულიად სხვანაირად აფასებდნენ მისი თანამედროვენი. ოთხმოცდაათიან წლების დასაწყისში ნიკო ნიკოლაძე სწერდა მაგალითად: „როცა ამ ოცდა-ხუთი წლის წინად „დროებამ“ პირველ ხანებისა შეჭდვა დაიწყო ბ-ნ წერეთლის „მგზავრის წიგნებისა“, მკითხველებში თითქმის იმგვარივე მოძრაობა შეიქნა როგორც, ცოტათი უწინ ბატონ ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანმა“ მოახდინა მგონია, ცოტა არ არის ამით ნათქვამი. მთელმა საზოგადოებამ მიაქცია ყურადღება დამწყები ავტორის ნიჭს. მისი ცხოველი სურათები, მისი იუმორი, მისი ტიპები ყველას მოსწონდა და თვალწინ უდგა...“

გ. წერეთლის ლიტერატურული შეხედულებები რუსეთის მე-60 წლების მწერალთა, უმთავრესად ნ. ჩერნიშევსკის, თეორიების გავლენით შემუშავდა. იგი ქართულ ლიტერატურაში „შეფუერავი“ რეალიზმის აპოლოგეტად გამოვიდა. გ. წერეთელი ისევე, როგორც ნ. ჩერნიშევსკი, უარყოფდა თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“—და ლიტერატურის დანიშნულებას ხედავდა გარემო სინამდვილის სწორად ასახვასა და მის სოციალურ სარგებლიანობაში. ამგვარ უტილიტარიზმისა და „შეფუერავი“ რეალიზმის პრინციპი ქვეყთხედათ დაედგა გ. წერეთლის შემოქმედებას. ამ პრინციპისათვის მას არ უღალატნია თავის უმთავრეს ლიტერატურულ ნაშრომებში.

პირველი დიდი ნაწარმოები გიორგი წერეთლისა—„მგზავრის წიგნი“ ანუ „იკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა,—მე-19-ს. ქართული ლიტერატურის ერთ ერთ შედევრად შეიძლება ჩაითვალოს, ამ ნაწარმოებში გ. წერეთელი შეეხო თავისი დროის უაქტუალურეს და უმწვავეს სოციალურ პრობლემებს. აქ მან ერთმა პირველთაგანმა ქართულ ლიტერატურაში დაგვიხატა სურათი ჩვენი წოდებრივი საზოგადოებისა ბატონყმობის გადავარდნის მეორე დღეს. ავტორის დიდი ლიტერატურული ოსტატობა, დაუშრეტელი იუმორი და ღრმა ცოდნა თანამედროვე ცხოვრების ვითარების,—აი უდიდესი მხატვრული ღირსებები, რომელიც ამ ნაწარმოებს ახასიათებს.

სხვათაშორის შეიძლება აქვე აღინიშნოს გაკვრით, რომ გ. წერეთელი თემატიკის თვალსაზრისით უშუალო წინამორბედი და ვით კლდიაშვილისა.

გ. წერეთელმა დაგვიხატა იმერელი აზნაური იმ დროს, როდესაც ამ წოდებას ფეხქვეშ ეცლებოდა ეკონომიური ბაზისი, მაგრამ იგი ჯერ კიდევ მაინც მძლავრად გრძნობდა თავის წოდებრივ უპირატესობას; იგი ჯერ კიდევ საკმაო უფლებრივ პრივილეგიებით სარგებლობდა და საკმაო ეკონომიური წელი მოსდევდა, რომ ქედმაღლურად და ამპარტაუნულად დაეჭირა თავი სხვა, „დაბალი“ წოდებისა და კლასების წარმომადგენლებთან.

დავით კლდიაშვილის პერსონაჟებიც რომ იგივე აზნაურები არიან, „კულდა-ბზიკას პირდაპირი შთამომავალი, მისი სისხლი და ხორცი. შეფრეფუფ... მესამე თაობა. მაგრამ რა საოცარი ტრანსფორმაციაა! საზოგადოებრივი ცხოვრების გამაღლებულ წინმსვლელობის, საწარმოო ძალათა სწრაფ განვითარების თავისი გამანადგურებელი გავლენა მოუხდენია ამ პარაზიტი წოდების ცხოვრებაზე. დავით კლდიაშვილის სამანიშვილებსა და ქაშუშაძეებს ჩვენ ვხედავთ იმ დროს, როცა სწრაფი დეგრადაციისა და სრული ეკონომიური გაკოტრების გზაზე შემდგარი იმერეთის თავადზნაურობა უკვე სამარის კარს მისდგომია.

გიორგი წერეთლის „მგზავრის წიგნს“—ქართულ კრიტიკაში ჯერ კიდევ არ მიუღია სათანადო შეფასება. სულ უკანასკნელ ხანებშიდაც კი იყვნენ ისეთი კრიტიკოსებიც, რომლებიც ამტკიცებდნენ თითქმის „პირველა შეხედვით ეს ნაწარმოები მოკლებულია წმინდა ლიტერატურულ ღირსებებს და შეუძლებელი ხდება მისი რომელიმე ლიტერატურული ეანრისათვის მიკუთვნება („ახალი კავკასიანი №1-2. 1925). ჩვენის აზრით ამ ნაწარმოების უდავო ლიტერატურული ღირსების შესახებ აქ ზედმეტია ლაპარაკი...

რაც შეეხება მისი ამა თუ იმ ეანრისათვის მიკუთვნებას, ჩვენ გვინდა ხაზი გაუსვათ მხოლოდ ერთ გარემოებას, სახელდობრ იმას, რომ ილია ჭავჭავაძის (მგზავრის წერილებთან) ერთად გიორგი წერეთლის „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კულდაბზიკა“ წარმოადგენს მხატრული ნარკვევის კლასიკურ ნიმუშს გასული საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. თანამედროვე მწერალ-მენარკვევეთა საყურადღებოდ საჭიროა აღინიშნოს უდიდესი ოსტატობა, რომლითაც გიორგი წერეთელს გარკვეული სოციალური იდეები და აქტუალური პრობლემები მისი დროისა დასმული აქვს ნაწარმოებში და მოცემული მხატვრულ სახეებში.

იგივე უნდა ითქვას გ. წერეთლის მეორე ნაწარმოების, „ჩვენი ცხოვრების ყვავილის“ შესახებ. ეს გაკეთებულია უმთავრესად ავტობიოგრაფიულ მასალაზე და ბატონ-ყმობის სოციალურ ფონზე. გ. წერეთელმა ამ ნაწარმოებში კონკრეტ მასალის გაშლითა და განზოგადობით უპასუხა მისი დროისა და თაობის მიერ დასმულ საზოგადოებრივ საკითხებს, გიორგი წერეთელი საუკეთესო მაგალითია იმ „თეორეტიკოსებისათვის“ რომლებიც ჯიუტად იცავენ „უსათუოდ დიდი დისტანციების თეორიას ლიტერატურულ შემოქმედებაში.

გ. წერეთლის ლიტერატურულ პროდუქციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის „პირველ ნაბიჯს“ ეს არის ერთი საუკეთესო ნიმუში სოციალური რომანისა ქართულ ლიტერატურაში. აქ ასახულია ის ისტორიული პროცესი სოციალური დიფერენციაციისა, რომელიც განსაკუთრებით იწყებს გარღმავებას ჩვენს ქვეყანაში მე-19. ს. მეორე ნახევრიდან. რომანში ნაჩვენებია ახალი კლასის სავაჭრო ბურჟუაზიის გამოსვლა ჩვენი ეკონომიკის სარბიელზე და აგრეთვე ის მტკივნეული კონფლიქტი. რომელიც მოჰყვა მის გამოსვლას არსებულ საზოგადოებრივ წყობილებაში, ეს კონფლიქტი რომანში თუმცა ყოფაცხოვრებითი ხაზით არის მოცემული, მაგრამ სოციალური კოლიზია მინც დომინანტურ მტკივად რჩება, ნაწარმოებში.

ერთხელ თუმცა ძალიან მოკრძალებით, უკვე იქმნა გამოთქმული აზრი, რომ შემცდარი და დებულება, თითქმის ქართულ ლიტერატურაში პირველად

ლ. არდაზიანს აესახოს ბურჟუაზიის შემოსვლა ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე. მართლაც ეს შეხედულება ძალიან უმწეოა. მეჯღანუაშვილი ტიპიური წარმომადგენელია ქალაქელი მევახშისა და არა განზოგადოებული სახე ახალბურჟუაზიული კლასისა მე-60 წლების საქართველოში. ცხადია მეჯღანუაშვილსა და პანჭვა ფულავას შორის არის არსებითი და პრინციპიალური განსხვავება. რაც შეეხება მევახშის ტიპს ისიც დაბატული იქნა არდაზიანზე გაცილებით ადრე გ. ერისთავის კომედიებში.

თავი რომ დაეანებოთ პრიორიტეტის ძიების სოციალურ ფენათა, წარმომადგენლების ასახვის საქმეში, უნდა აღინიშნოს, რომ გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“ თავის თავად პირველხარისხოვან ლიტერატურულ ნაწარმოებს წარმოადგენს, როგორც სოციალურ კატეგორიათა განსახიერების დიპაზონით ისე ტიპების ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზითა და სიუჟეტის გაშლის მაღალი ოსტატობით.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკას და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების მკვლევართ კიდევ ბევრი მუშაობა და გულმოდგინე ანალიზი დასჭირდებათ გ. წერეთლის შემკვიდრეობისა, სანამ სათანადო სიღრმითა და ობიექტიურობით შეფასდებოდეს ამ ფრიად თვალსაჩინო ბელეტრისტის, ნიჭიერი პუბლიცისტისა და პოლიტიკური მოღვაწის მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურული ნაშრომი.

გ. წერეთლის თხზულებათა შესწავლის საქმისათვის პირველსა და მეტად დროულ ნაბიჯს წარმოადგენს მისი თხზულებათა სრული კრებელის გამოცემა.

უკვე გამოსული პირველი ტომი შეიცავს გ. წერეთლის პუბლიცისტურ წერილებს დათარიღებულს 1862 წლიდან 1868 წლამდე. სულ თხზულებათა კრებული, რედაქტორის მიერ დასახული წინასწარი გეგმის თანახმად, განზრახულია გამოიცეს 15 ტომად. მთელი ნაწერები გაყოფილი იქნება ორ სერიად: პირველი სერიაში (ტ. ტ. 1-8) დაიბეჭდება პუბლიცისტური და ისტორიულ-სამეცნიერო ნაწერები, ხოლო მეორე სერიაში მხატვრული ნაწერები (ტ. 9-14) და კერძო წერილები (ტ. 15). თხზულებათა კრებული გამოდის ამხ. ს. ხუნდაძის რედაქციით. პირველ ტომს დართული აქვს საკმაოდ დიდი წერილი გ. წერეთლის მოღვაწეობისა, აზროვანებისა და შემოქმედების შესახებ და აგრეთვე ვრცელი შენიშვნები, სადაც მოსჩანს რედაქტორის მართლაც უდიდესი ერუდიცია და გრანდიოზული შრომა; გაწეული მის მიერ გ. წერეთლის ნაწარმოებისა და მისი ეპოქის ზედმიწევნით შესწავლისათვის. ამ რედაქტორის შენიშვნებში უნდა აღნიშნულ იქნეს წერილი თერგადალეულთა შესახებ, სადაც გამორკვეულია ვინაობა „სამთა მშითა-სამთა თერგადალეულთა“, ვრცელი ნარკვევი „გაზ. «დროება»-ზე გ. წერეთელი“ და მრავალი სხვა მეტად საგულისხმო შენიშვნა, რომელიც საკმაოდ ნათელ-ორიენტაციას აძლევს მკითხველს გ. წერეთლის დასახელებელი პერიოდის ნაწერების და თანადროულების გასაგებად.

გამომცემლობა „ფედერაციის“ საყურადღებოთ გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი გარემოება. გ. წერეთლის მხატვრული ნაწერები დღეს წიგნის ბაზარზე თითქმის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. გამონაკლისს შეადგენს ამ რამდენ-

ნიმე წლის წონად გამოცემლი რომანი „გულქან.“ ამიტომ საჭიროა ზოგ შეიძლება დაჩქარებით იქნეს გამოშვებული გ. წერეთლის ბელეტრისტული თხზულებები. მისი თხზულებათა კრებულის გამოცემას დროს სავალდებულო არ არის მაინცდამაინც ტომების თანრიგის დაცვა. ჩვენ უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოშვებულ იქნეს მხატვრული ნაწერები ჩვენი ავტორისა თუ პირველ რიგში არა მისი პუბლიცისტურ ნაწერების პარალელურად მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში გ. წერეთლის მხატვრულ ნაწარმოებთა გამოცემა ძალიან დაგვიანდება. საჭიროა გამომცემლობის სარედაქციო კოლეჯიამ გადასინჯოს გ. წერეთლის თხზულებათა კრებულის გამოცემის გეგმა და პირველ რიგში შეუდგეს მის მხატვრულ ნაწარმოებთა გამოქვეყნებას.

04. აბაშიძე — „რამდენიმე ლექსი“. სახელგამი — 1932 წ.

ირაკლი აბაშიძის ლექსების მთავარი თემა სოციალისტური ყოველდღიურობის პოლიტიკურათ აქტუალურ საკითხების ირგვლივ ტრიალებს. მშენებლობის ტემპები, საოქტომბრო პატაკი საიუბილეოთ გამოშვებულ ორთქლპაეალის შესახებ, ქარხნის საწარმოო ცხოვრება, ობლიგაციები, ტეხნიკის დაუფლება, ხელწოდების გმირი, კომლენურებათა მშენებლობა — აი საკითხები, რომელთა ლირიკულ ფორმით დამუშავებას აქცევს მთავარ ყურადღებას ავტორი. ამასთანავე ერთად პოეტი წმირად ეწება ახალი ადამიანის ფსიქოლოგიურ განცდებს, ირ. აბაშიძე უმთავრესად ლირიკული მიმართებითი ხერხით სცდილობს მოვლენის პოეტურ შემეცნებას, ამგვარი მიმართებითი ფორმითა დაწერილი „ჩემს ობლიგაციებს“, „ტემპები“, „დაფუფლე ტეხნიკას“, და სხ. ირ. აბაშიძის პოეზიაში მძაფრად იგრძნობა ის ფსიქოლოგიური გარდატეხა „მწიგნობრულ და გლეხურ განცდებიდან“ პოლიტიკურულ-კლასიურ იდეოლოგიამდე, რ. შიძის შესახებაც ის ხანდისხან ლაპარაკობს თავის ლექსებში. ამ შხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ლექსი „სომღერის თემა“, უნდა აღინიშნოს, რომ აღებული თემის, საგნის შხატურული შემეცნება აბაშიძის მიერ არასოდეს არ ხდება ზეგულე და განყენებული სახით; ის ყოველთვის იღებს კონკრეტულ მოვლენას (ობლიგაცია, ორთქლპაეალი და სხ.) უზრალე ფაქტს, ყველასთვის ხელშესახებ ამბავს და ამ ცალკეულის ანალიზით გვიჩვენებს პოლიტიკურ რეოლიუციის პერსპექტივას, სოციალისტურ მშენებლობის გაქანებას ამ შხრივ ამხ. აბაშიძე ცდილობს გაჭყვს ბენიშენსკის მიერ ნაჩვენებ ხაზს: ყოველ წერილშიში უნდა გვიჩვენოთ მსოფლიო რეოლიუცია. ბენიშენსკის ეს ფორმულა მკეთრად უპირისპირდება რეოლიუციის გაგების „კუზნიცისებურ“ მეთოდს და ამავე დროს წარმოადგენს დიალექტიკურ შატერიალისტური შემოქმედებითი მეთოდის ერთი უმთავრეს დებულების შხატურულ გამოთქმას. „არის არ იმყოფება მოვლენის იქით ანუ მოვლენის მიღმა შხარეს“, ამბობდა ჰეგელი. ეს იმას ნიშნავს, რომ გპირიფლი სინამდვილის ყოველი მოვლენა ასე თუ ისე გამომოგვეს ზოგადის შინაარს. შემეცნება როგორც პოეტური, ისე მეცნიერული მიდის კონკრეტულიდან აბსტრაქტიულისაკენ. ამიტომ სასებით სწორია ბენიშენსკის აღნიშნული ფორმულა, რომელიც „წერალიშან“ მოვლენებში სცდილობს მსოფლიო რეოლიუციის არსის ამოცნობას. ეს მოწოდება კონკრეტულობისაკენ ჯერ კიდევ არ არის განაღდებული მთლიანად ჩვენი პოეტის მიერ, ესაა მისი უდიდესი ნაკლოვანება. ჩვენ არ ვამბობთ აბაშიძის პოეზიაში თავიდან ბოლომდე დაცული იფოს ეს ხაზი, მაგრამ მას აქვს ცდები საგანთან ასეთი მისვლისა. ამ შხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსი „ოქტომბროს პატაკი“.

.... რომ მასაც
რონოდა მიტონდეს
ველებში გავიდეს კშენით,
რომ ისიც მიტროდეს
მიტროდეს,
როგორც საბჭოეთი ჩვენი*.

შემდეგ აბაშიძე სწერს:

„შე ეი დღიფრებს ვამბობ შენაკრფეს,
ყოველ მოვლენის ახლო მოწმე ვარ
ჩემთვის მკვლელობაც განცდას შეადგენს
და შეჯიბრებულე ამქრის მოცემა.
ვიმღერი ყოფას,

მხოლოდ შეგნებით
 ეუკრი ბილიყებს პირად გაგებას,
 ვაძლევ ცხოვრებას მახვილ შენიშვნებს
 ვაძლევ საჭმთან წინადადებას*.

ასე სწერს აბაშიძე თავის ლექსში: „რეპორტიორის დღიური“, შემდეგ ის დაასვეს:
 „დღიურ ცნობებით დაეთარი მომაქვს
 მომაქვს ცხოვრება შრომის უბნების“.

აქ მრავალი რამაა საყურადღებო თუორიული მხრივაც. პოეტის აზრით „დღიური ცნობები“ იძლევა გასაღებს „შრომის უბნების ცხოვრების“ შემეცნებისათვის. „შენაკრები დღიურების“ გამოქვეყნება მისთვის გაიკვირებულა „ყოფის შესახებ შეგნებით“ მღერასთან*. აქ აბაშიძის მიერ საესებით სწორადაა გაგებული არსის და მოვლენის დიალექტიური მოღიანობა. სოციალისტური პოეტისათვის სხვა გზა არც არსებობს. ლენინი სწერდა: „უნდა დავიწყეთ ყველაზე მარტივი, ჩვეულებრივი მასობრივი წინადადებით: ხის ფოთლები მწვანეა, ყურცა ძალღია და სხ. აქ უფე (როგორც ჰეგელმა გენიოსურად აღნიშნა) დიალექტიკაა: განკერძოებული არის ზოგადი... ზოგადი მხოლოდ განცალკევებულის სახით, განცალკევებულის შეწყობით არსებობს“. ამ თვალსაზრისით ლექსის შედარება „რეპორტიორის დღიურთან“ ძალზე საინტერესო და საგულსხმოა.

აღსანიშნავია, აგრედვე ერთი მხარე აბაშიძის პოეზიის, ამას შეიძლება ეწოდოს უაღრესი სიყვარულით და გულთბილობით მისვლა საგანთან. მაგ. აბაშიძე ობლიგაციების შესახებ სწერს ისეთი ინტიმური ტონით, როგორც ძველათ რომანტიკოსები გ. წ. სამშობლო ქვეყნის ან, საყვარელი ქალის შესახებ მსჯელობდენ. ის მიმართავს ობლიგაციას, რომ „შენს ფურცლებს ისევე მოვაგენ, და ჩაფიქრებით გვერდებს ფუტკერი, აღშენებლობის შენ ხარ მოამბე“... და სხ. შემდეგ განაგრძობს:

„მიტომ არ გახსოვს
 ჩემგან არც ერთხელ
 რომ საცდელურის ლაფში ჩამეფლა,
 მე ჩემს ქვეყანას შრომა ვასესზე
 ჩემის ცხოვრების ასაყვავებლათ“.

უბნება პოეტი ობლიგაციებს ისე თითქოს ცოცხალ ადამიანს ელაპარაკებოდეს.

აბაშიძე უმთავრესად ლირიკოსია. მაგრამ ეს ლირიკა არ არის მხოლოდ და მხოლოდ მელოდიური, როგორც ეს იყო რომანტიზმის დროს. ძველი რომანტიული ლირიკოსები სცდილობდენ სიტყვის ლოლიკური შინაარსი შეეცვალათ განწყობილებით, მუსიკალური თანხმოვანებით. ეს რასაკვირველია არ გამოდიოდა, წონა პლანზე მაინც იდგა რჩებოდა. პროლეტარული რდიოლოგიის მატარებელი პოეტი კი თვითონ აცნებს იდეას წინა პლანზე. აღსანიშნავია აგრეთვე თავისი სატირული სიმბეჭილით ლექსი „ბიკოლა ჩემის შესახებ“, რომელიც დაწერილია „იმ პართველ პოეტების საპასუხოთ, რომელთა აზრით საქართველოში ფოსტით მივიღეთ რევოლიუცია“. აბაშიძეს მძაფრი ლირიკული შეგრძნობით აქვს გადმოცემული მენშევიზმის დაცემა და ჩვენი ქვეყნის გასაბჭოება:

„თებერლის დღენი,
 თოვლიანი თებერლის დღენი
 ყმაწვილ გონებას რომანტიკით არ მისვენებენ,
 ხოანის ქუჩებში
 ორთქლიანი სამხედრო ცხენი
 და მგზაურობაში დაღაფული გარნიზონები“.

საყურადღებოა აგრედვე ლექსები „სოფლად და „ღამე რაიკომში“. უკანასკნელ ხანებში ირ. აბაშიძის პოეზიის შემოქმედებითი ზრდა ყველასათვის საგრძნობი ხდება.

კ უ ლ ტ უ რ ი ს მ ა ტ ი ა ნ ი

ქართული
ინჰელინისტიკა

უ ც ხ რ ე თ ი

გაკვეთილი

გოეთის იუბილეზე დასვიგზი.

თავისუფალ ქალაქ დანიცეში, რომელიც ამ ჟამად გერმანიის პოლიტიკურ ზედგავლენისაგან გამოთიშულია, მარტის 22-ს, გოეტეს იუბილეზე გაიმართა. პროფ. კონლერმანმა მოხსენება გააკეთა: „გოეტესეზური გზა ფაუსტურ ადამიანისა“, მოხსენებას მოჰყვა გოეტეს ლექსების წართქმა და გოეტეს მუსიკალური ინტერპრეტაცია. („კლენიშე ცაიტუნგ“)

თანადროული ინდუსტრია მხატვრის სუკათეზში მოცემული.

გელზენკირხენში გაიმართა მხატვრის ვ. ნენგელენის სურათების გამოფენა. ამ გამოფენაზე წარმოდგენილია თანადროული ინდუსტრია მხატვრის შემოქმედებაში განსახიერებელი. ამ გამოფენაზე განსაკუთრებით საინტერესოა დიდი ინდუსტრიალური ქალაქი შფრინაის თვალით დანახული.

გოეთის დღესასწაული ზენზენაში.

ზენზენაში გოეტეს სატროუს ფრიდრიკე ბრონის სამშობლოა (ელზასში) ეს პატარა სოფელი აწერალი აქვს გოეტეს თავის „პოეზიასა და სინამდვილეში“. 22 მარტს მთელი ზენზენაში მთელი გლეხობა დროშებით, ყვავილების გირლიანდებით, მუსიკით გაემართა ფრიდრიკე ბრონის მამისეულ სახლისკენ (ეს სახლი თავად დახატული აქვს გოეტეს.) მოზვიმეებმა მოინახულეს სწორედ ის ადგილი მახლობელ ტყეში, რომელსაც გოეტემ აღწერს „პოეზ. და სინამდ.“ და „ფრიდრიკეს საენეს“ უწოდებს. ეს დღე ზენზენაში გლეხობამ ისე ჩაატარა, როგორც სახალხო დღესასწაული. დიდი და მცირე საღამომდის ცეკვავდა, ზეიმობდა და გოეტეს ლექსებს მღეროდა.

გოეთის საზოგადოება ვაიმახში

გოეტეს ქალაქში—ვაიმახში, სადაც უხადოდ დაეცვლია გოეტეს სახლი და მთელი უბანი უცვლელად. (გოეტეს პატივსაცემად) ვაიმახშივე მრავალი ათეული წლების მანძილზე მუშაობს გოეტეს საზოგადოება. ამ საზოგადოების თავმჯდომარეა, ცნობილი ლიტ. ისტორიკოსი პროფ. პეტერსენი (ბერლინის უნივერსიტეტისა). იენისში ჩატარდა საზოგადოების საანგარიშო კრება, რომელზედაც პროფ. პეტერსენმა გააცნო საზოგადოებას მთელს მსოფლიოში გამართულ გოეტეს დღესასწაულის ანგარიში. კრებას მომხსენდა გოეტეს მუხეუმის მდგომარეობის შესახებ.

იანსტ ტოლდერი და მარინები გუდაპესტის მშობლითა ქალაქში

ბუდაპესტის ინტერნაციონალურ მწერალთა კლუბში, სადაც 48 სხვადასხვა ქვეყნის მწერლები და პოეტები იყრიან თავს, იენისის პირველ რიცხვებში გაიმართა მორიგი ყრილობა

ამ ყრილობაზე გამოვიდა მარინეტი და სახვებით მოულოდნელად იტალიურად წამოსთქვა სიტყვა. იგი დიდის ტემპერამენტით დაპარაკობდა. მარინეტი კლუბს მიესალმა მუსკოლინის სახელით. მარინეტის შემდეგ ილაპარაკა გლასჟორისმა და მარინეტის გასაგონად აღნიშნა: „ამ კონგრესზე სიტყვები: ფაშიზმი, არისტოკრატია, და სხვ. არც უნდა იხმარებოდეს, რადგან ეს აპოლიტიკური კლუბი არისო“. გლასჟორი მოუწოდებდა თანადასწრეებს: „ნაწი უნდა ვიკავებოდეთ და არა ფაშიზმი და ომიო“. ამის შემდეგ გამოვიდა ერნსტ ტოლლერი, მან მოიგონა ვილანდის დრო, როცა ამ ქვეყნის ძლიერნი საპრობილეებში ამწვედებოდნენ მწერლებს, როცა ამ უკანასკნელთ მთავრობების საწინააღმდეგო სიტყვა წამოსცდებოდათ. „მწერლის მოვალეობა იგი იყოს არა ტაქტიანი დიპლომატი, არამედ ჰემმარიტების მლაღდებელი, როცა ჰემმარიტებას უნდაგაროდ ემსახურება მწერალი, მას უტაქტოს უწოდებენ ჩვენს დროში, ეს ჰემმარიტება დღეს ყველგან პირაკრულია“, ამის შემდეგ ორატორმა დაასახელა მრავალი ცნობილი პოეტის დევნა, მათი წიგნების აკრძალვა, ჩხრევა, დატუსაღება და სხვა მთელს ევროპაში. „ჩვენს აპოლიტიკურ მუშაობაში პოლიტიკოსები ერგვიან და ხელს გვიშლიანო“, განაცხადა ტოლლერმა. ტოლლერმა მოუწოდა კონგრესის მწერლების დევნის წინააღმდეგ ვიბრძოდითო. დამსწრე საზოგადოებამ დიდი ოვაციები გაუმართა ტოლლერს.

პ.რ.უ. ანუზანიძე

მოწვეულია 1933 წლის სემესტრებისათვის ჰერბერტ სპენსერის კათედრაზე.

* *

იოჰანეს შლაფ

„ფრანკფურტერ ცაიტუნგის“ ცნობით 21, VI, 70 წლის იუბილეა გადაუხადეს ცნობილ გერმანელ პოეტს და ბელეტრისტს იოჰანეს შლაფს. იგი ახალი გერმანიის ერთერთ უდიდესს სიტყვის ოსტატთაგანია. შლაფს ლიტ. ისტორია უწოდებს კონსექვენტურა ნატურალიზმის მამა-მთავარს. აბლგაზრდობაში მან არხო ჰოლცთან ერთად დასწერა ნოველები: „პაპა ჰამლეტ“, „პირველი დღე სკოლაში“, „სიკვილი“, მან სახელი გაითქვა ნოველების ცოკლით „Dingsda“ (იქ სადღაც...) „გაზაფხული“, რამოდენიმე წლის მანძილზე შლაფი ნევრასტენის სენით იყო დააჯადებული.

როგორც არა ერთ მწერალს მოსვლია ეს, ასე შლაფსაც მიმართულება იცვალა და დეკანდენტური პოეზიის იდეოლოგი გახდა. ამ გამოქვაში დასწერა მან „მესამე სამეფო“, „მიდიგბენი“, „პრინცი“, „პატარა“ და სხვ.

შლაფის ნოველები გერმანიის გარეშე მაინც და მაინც პოპულარული არ არიან, რადგან იგი თავისი სტილის ექსპოტურობით ლირიულ პოეზიას უახლოვდება და ამიტომ მისი თარგმნათითქმის შეუძლებელია, ან არა და თარგმანში ბევრს ჰყარგავს ავტორი.

შლაფის შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა ჟოლტ ჟატმენმა.

იოჰანეს შლაფს გარდა პოეტური ქმნილებებისა გამოქვეყნებული აქვს მრავალი თეორეტიკული შრომა: „ჟოლტ ჟატმენ“, „ეზილ ვერპერენ“, „მოთის მეტერლინიკ“, „ნოვალის უნდ სოფიი ფონ კაუნ“, „ტენის თეორიის კრიტიკისათვის“, „ომი“, „ნიციუმ“ და სხვ.

უკანასკნელ ხანებში, გერმანელ პოეტების ჯგუფებისამებრ იოჰანეს შლაფ მისტიციზმში გადაიჭრა, იგი ბევრს სწერდა ქრისტეს და ანტიქრისტეს შესახებ.

შლაფ, რომელიც არხო ჰოლცთან ერთად, კონსექვენტური ნატურალიზმისათვის იბრძოდა უკანასკნელ წლებში „აბალი რახის დაფუნების საკიროებას“ ჰქადავებს.

შლაფი კოსმოგონიის საკითხებსაც შეეხო. მან ზელმეორედ წამოაყენა გეოცენტრიული თეორია, სადაც იგი ამტკიცებს: მზე როდია მსოფლიოს ცთომილთა ცენტრდიგურა, არამედ მიწა. პოზიტივისტებმა სასაცილოდ აიღეს ეს თეორია.

შლაფ დიდი ხანია ეპიპარში სკოპორობს და „ერთგულად იცავს ეპიპარის მიწას“. მას თარგმნილი აქვს ზოლა, ვერლენ, ბრედერენ და სხვ.

21 ივნისს ვაიხაროს ნაციონალურ თეატრში გადაიხადეს შლადის იუბილე, მის საპატივ-
ცემლოდ შესრულებულ იქნა ბუღიჯინის მეცხრე სიმფონია. პროფ. ვერნერ ვეტენიანი-ტეტცა
წარმოსთქვა, მთავრობა მარგარიტე ნეფუმა მ-სი ნაწერებიდან ფრაგმენტები, საიროვნა დასას-
რულ მისმა სამშობლო ქალაქმა კუროფურტმა დელეგაციის ხელით გამოუცხადება ბუღიჯინის
საპატიო მოქალაქის სიგელი.

(ვოლფ.)

ბარნო ჰოლცი

გარდაიცვალა ცნობილი გერმანელი მწერალი ბარნო ჰოლცი.

ბარნო ჰოლცი დაიბადა 1863 წ. ახალგაზრდობა გაატარა გვირგვინში, ოცი წლისამ გა-
მოსცა ლექსების პირველი წიგნი „რევია ვულში“. მას მოსდევს მთელი რიგი კრებულებისა
(ლექსები, პოეზიის და კრიტიკის დარგიდან), ბარნო ჰოლციმა მალე დაიშინებულა ლიტერატურუ-
ლი წრეებისა და კრიტიკის ყურადღება, ის სათავეში გვევება ნატურალისტურ მიმართულებას
გერმანულ მწერლობაში. ეს პერიოდი აღნიშნულია რევოლუციონური რადიკალიზმით, ბარნო
ჰოლციის შემოქმედებას შემდეგაც არ დასტყობია ისეთი დაქანება დეკადენტობისა და სიმბო-
ლიზმისაკენ, როგორც ეს მოუვიდა მეორე ნატურალისტს დრამატურგიიდან—ჰერმარდ ჰაუპტ-
მანს.

ბარნო ჰოლცი უმთავრესად ლირიკოსია, თუმცა მის კალამს ეკუთვნის მნიშვნელოვანი ნი-
ბეუბები დრამატული განზრების დარგში და უაღრესად ყურადსაღები თეორიული შრომები ლი-
ტერატურის ისტორიიდან და თეორიიდან. მისივე დამსახურებას მიეწერება ცნობილი ამერიკელი
პოეტის, უოტ უიტმანის კანონიზაცია ევროპიულ ლიტერატურაში.

ბარნო ჰოლციის მთავარი ნაწარმოებია 1899 წელს გამოცემული ვებერთელა ტომი ფილო-
სოფიური ლირიკისა: „ფანტაზეს“. (ხელმოწერედ, გადაამუშავებული სახით ის გამოცემა 1916 წ.).

ბარნო ჰოლცი პირველია გერმანულ პოეზიაში, რომელიც ებება ქალაქის პროლეტარიატის
ყოფას. ის თავისუფალია კაპიტალისტური ბაზრის დაკვეთისა და ბუნდვარული რეზონანსის
ძიებისაგან. მასიური მკითხველის დაინტერესება წილად ზედა შოლოდ ერთს მის თხზულებას
რომელიც ცნობილია „დაფნი“-ს სახელწოდებით. ბარნო ჰოლცი გარდაიცვალა ისევე მარტოვს, გა-
რეგნულად წაკლებ ბრწყინვალე გარემოში, როგორშიაც მას უხდებოდა მრავალწლოვანი და
მძიმე მეშაობის წარმოება.

საუკანგეთი

— მწერალი ქალის ეპიის გარდაცვალება.

გარდაიცვალა ცნობილი რევოლუციონერი მწერალი ქალი ეპიი, დრეიფისა და სხვა
ანტიმონარქური კამპანიების ერთი მთავარი სულისსამდგმლოვანი საფრანგეთში. ამ ქალმა
იკბოურა 83 წელს და დასწერა სამოცამდე, მსუბუქად საკითხავი რომანი.

— პროლეტარული ლიტერატურის გამოფენა.

ერთნაღ „მონდის“ ცნობით პარიზში გაიხსნა პროლეტარული ლიტერატურის პირველი
გამოფენა.

— ბერანტეს გარდაცვალების 75 წლის თავი.

მომდინარე წლის 16 ივლისს შესრულდა 75 წელიწადი რაც გარდაიცვალა სახელგან-
თქმული ფრანგი პოეტი პიერ-ჟან ბერანტე (1780—1857), ანტორი პოპულიარული პოლიტი-
კური პამფლეტებისა და სოციალური ელფეგების.

ერთ. „მნათობი“ № 5—6.

ბ. დაბ. პარხში, ღარიბ შიხელის ოჯახში. ახალგაზრდაობაში გამოიყვანა მრავალი პროფესია: იყო მესაათესთან შეგირდათ, სამიკიტნოში მოსამსახურეთ, ~~სამკინძეძეში~~ მომუშავედ, ოქრომჭედლად და სხვ. ბერანეს ჰირველ საგელისბო ნაწარმოებში ~~სამკინძეძეში~~ პამფლეტები წაპოლენ პირველზე. მავრამ მისი სატირიული ნიჭი საცემბით გაიფურჩქნა რესტავრაციის (1815—1890) პერიოდში, თავისი სატირების ობიექტად ბერანეს გამოაყვანა ხელისუფლებასთან დაბრუნებული ბურჟოაზები და აგრეთვე იმიგრანტი-არისტოკრატები, რომელთაც არაუფრო დაეიწყინაოდათ და ვერც ვერაფერი ესწავლათ რევოლუციის განმავლობაში. თავის სიმღერა-პამფლეტებში ბერანე დასცინოდა მეფეს, ეკლესიას, ბიუროკრატებს და ბურჟუაზიას, იგი იყო ნამდვილი პოეტი—ტრიბუნი და მუდგრადა იცავდა მშრომელი მოქალაქეების ინტერესებს ბერანე წარმოდგენილი იყო პოეზიაში მისი დროის რევოლუციონერად განწყობილი წერილი ბურჟუაზიისა. მთავარ მოტივებს მის შემოქმედებაში წარმოადგენს ზოტბა შრომისა, აღწერა დატყუანა ცხოვრებისა და ბრძოლა ექსპლოატატორებსა და მდიდარ კლასებთან. ბერანე ხშირად ხდებოდა მმართველ კლასების რეპრესიათა მსხვერპლი. ლექსების პირველი კრებულისათვის იგი გამოაძევეს სამსახურიდან. მეორე კრებულისათვის (1821 წ.) იგი სამი თვით ჩასვეს ციხეში. ხოლო მესამე კრებულმა იგი მ თვით მოათავსა სატყუალში. ბერანეს დასჯამ ზღაპრულად გააძლიერა მისი პოპულარობა. მის ციხის კარებს ყოველ დღე აწყდებოდა უამრავი ხალხი. ბერანეს ლექსებს იმდროინდელ ქუჩებში, გლეხის კოხებში, სახელსწიფებში, კახარებშია და მანსარდებში. ზეღისუფლება ამაოდ ცდილობდა ბერანეს გადაბირებას, იგი განაგრძობდა თავის ოპოზიციონერობას და რევოლუციონერი ლექსების თხუხას. 1848 წელს ნიშნად პატივისცემისა ბერანე პარხის მოსახლეობის ფართდ ფუნების მიერ არჩეულ იქნა ერთდელ საერებულ-ლოში წევრად. სიციხელის უკანასკნელ ხანებში ბერანე იმდენად სახელგანთქმული იყო, რომ სიციხელის შემდეგ, წაპოლიონ მე-III-ის მთავრობა იძულებული შეიქნა ეყისრა მისი დასაფლავება და ოფიციალურად მიეცა უკანასკნელისათვის საერთო-ნაციონალური აქტის ხასითი.

ბერანეს დიდი გავლენა ჰქონდა თავისი და შემდეგი ხანის რევოლუციონერ პოეტებზე. რუსულად ბერანეს გადმოთარგმნა დაიწყო ჯერ კიდევ გასულ საუკუნის მე-20 წლებში იგი ამდროს საქმავთ-ცნობილი პოეტი იყო რუსეთში. თვითონ პუშკინმა ბერანეს სახელი მოახსენია „გრაფ ნელიში“. ბერანეს ერთერთი ლექსის („დე ვილენ“) ძლიერი გავლენა იქცა პუშკინის ლექსს „Моя родословная“. მე-40 წლებში ბერანეს რუსეთში აფასებდნენ განსაკუთრებით მისი პოლიტიკური სიმღერებისათვის, რომელიც მიმართული იყო მონარქიისა და რელიგიის წინააღმდეგ. განსაკუთრებული პოპულარობა ბერანემ მოიპოვა მე-40 წლების რუსულ რაზნაიხურ ინტელიგენციაში. ამ დროს ბერანეს საუკეთესო მთარგმნელად ითვლებოდა პოეტი კურჩაკინი.

ბერანეს რევოლუციონერი ლექსების დიდი გავლენა განიცადა მე-60 წლებში რუსეთში მოსწავლელ ქართველმა ახალგაზრდაობამაც—ე. წ. თერგდალეულთა თაობამ. ბერანეს ლექსები, გადმოთარგმნილი ქართულად, მრავლად არის გაფანტული გასული საუკუნის ჩვენს ქუჩა-გაზეთებში.

ჩვენი ქუჩა-გაზეთის მორიგ ნომერში მოთავსებული იქნება ბერანეს ლექსები და წერილები მისი შემოქმედების შესახებ.

— ახალი წიგნები სტენდალის შესახებ.

ველასათვის ცნობილია, რომ უკანასკნელ ხანებში საოცარი სისწრაფით იზრდება ინტერესი მე-19 ს. დასაწყისი ხანის რომანისტის სტენდალისადმი. ყოველ წელიწადს ყველა ევროპულ ენაზე გამოადის უამრავი წიგნი, გამოკლევთა და წერილი სტენდალის შესახებ. სტენდალისადმი ინტერესი დიდია საბჭოთა კავშირშიდაც—რუსეთში დიდი ხანი არ არის მის შემდეგ, რაც გამოიყა სტენდალის საუბოვო რომანი „წითელი და თეთრი“.

ერთ ძირითად საკითხს, რომელსაც არ შეუძლია გვერდი აუხვიოს კრიტიკამ, წარმოადგენს საკითხი: რა მიზეზი იყო, რომ სტენდალის შემოქმედება შეუმჩნეველი დარჩა მის თანამედროვეთათვის და სტენდალის დიდება იწყება მხოლოდ მე-19 საუკუნის მიწურულებში, ხოლო ამ დიდებამ დღეს თავის აპოგეას მიაღწია. ეს საკითხი—სტენდალის შემოქმედების ძირითად საკითხს შეადგენს. მისი ახანა ნიშნავს სტენდალის შემოქმედების დედა-აზრის და მისი სიციხა-

ღერი თავისებურების ახსნას; ამ თავისებურებიდან გამომდინარეობს ის სოციალური გეოლოგია, რომელიც მოხდა მკითხველთა მასების მიერ სტენდალის ნაწარმოებთა მიღება დაფუძნების საქმეში.

ეს გარეობა ამტკიცებს, რომ სტენდალის შემოქმედება განსხვავდება განსაკუთრებული სირთულით, რომ ავტორის სოციალური განწყობა რაღაცთა განსხვავებულად წარმოებულების ფართე ფენების განწყობიდან, რომლის გამომხატველიც ლიტერატურაში იყო შექმნილი ავტორი ამ თავისებურების ახსნა დიდსა და რთულ საკითხს შეადგენს მარტოსტულ კრიტიკაში, ეს საკითხი ბურჟუაზიულ კრიტიკას უკრ კიდევ არ დაუსვამს. ამ მხრივ მეტად საგულღისმთა გასულ წელს საფრანგეთში გამოსული ორი წიგნი სტენდალის შესახებ. ეს წიგნები გუთუნებია ძალიან გამომჩინელი ფრანგ კრიტიკოსისა და ლიტერატურის ისტორიკოსის ალბერ ტიბოდესა და მორის დავიდს. დავიდის წიგნს ქვესათაურიც კი ახლავს: მასალა ფრანგული ლიტერატურის ისტორიისათვის. რას წარმოადგენს ეს „მასალა“? ლიტერატურის შესასწავლი მასალის ნაცვლად (ისე, როგორც ჩვენ გვესმის საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში) მთელი წიგნი შესადგება ფსიქოლოგიური ეტიუდისაგან და ისიც არა სტენდალის შემოქმედებაზე, რამედ მის ცხოვრებაზე. ასეთი „ბიოგრაფიები“ ერთი უსაყვარლესი ხერხია თანამედროვე ფრანგულ კრიტიკაში მაგრამ „ავტორის პიროვნების“ ანალიზი დიდ ცოდვას არ შეადგენს ლიტერატურის ისტორიაში. მთავარია ის, თუ როგორ იქნება გაგებული და წარმოებული ეს ანალიზი. სტენდალის პიროვნების ანალიზი იმ ზახით უნდა სწარმოებდეს, რომ გამოარკვეული იქნეს ავტორის სოციალური განწყობილებები, მის მიერ ლიტერატურაში ასახული; გამოირკვეს ის სოციალური გარემო-სინამდვილე, რომლისწარმოადგენელიც ის იყო წყაროებაში, დავიდის წიგნი ამ მხრივ სრულიად არ შეეფერება დასახულ ამოცანებს. მის მიერ წარმოებულ ანალიზი სტენდალის შემოქმედებითი პიროვნებისა წარმოადგენს მარტოოდნ მისაწევნ ქვეყანა ავტორის ბიოგრაფიულ წყაროებში.

რაც შეეხება ტიბოდეს, იგი ყოვლად უსაფუძვლოდ ათავსებს სტენდალს „რომანტიკოსთა“ რიგებში, მაშინ როდესაც იგი წარმოადგენილი იყო წყარო-ბურჟუაზიული რეალიზმისა, რაც მუდგუნდება, ყველაფრეს რომ თავი დავანებოთ, სტენდალის ენასა და სახეების შინაარსში. თუმცა უნდა ითქვას, რომ ტიბოდეს სტილს სრულიად არ ეხება, ტიბოდე არ ეხება აგრეთვე შემოქმედებითი მეთოდის პრობლემას, რაც საერთოდ უცხო ხილს წარმოადგენს თანამედროვე ბურჟუაზიულ ლიტერატურათმცოდნეობაში. ტიბოდეს წიგნი წარმოადგენს ტიპურ თანამედროვე ფრანგულ მონოგრაფიას, დაწერილს ფსიქოლოგიური ეტიუდის სახით ავტორის პიროვნებაზე. წიგნის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს სტენდალის ცხოვრების აღწერას, თითქმის დამოუკიდებლად მისი შემოქმედებისაგან. უკანასკნელს ავტორი უთმობს მხოლოდ ერთადერთ თავს მთელი წიგნიდან.

ტიბოდესა და დავიდის წიგნები სტენდალის შესახებ ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ თანამედროვე ფრანგული ბურჟუაზიული ლიტერატურათმცოდნეობა გამოყოვალ ჩიზშია მომწვედული.

(უცხოეთის წიგნი).

მ ბ რ ს ე ლ პ რ უ ს ტ ი

მიმდინარე წელს სრულდება ათი წელი გამოჩენილი ფრანგი რომანისტი, მარსელ პრუსტის გარდაცვალებიდან (1871—1922) ფრანგული პრესა ამ თარიღს ყურადღებით ხვდება. მარსელ პრუსტი უდიდესი გავლანიით სარგებლობს ამჟამად ევროპაში. პირველ მის ნაწარმოებს „ნუშტეში და დღეები“ წინასიტყვაობა დაჯილდოვებული ანატოლ ფრანსმა მიუხედავად ამისა საერთო ცნობას და ლიტერატურულ დიდებას მარსელ პრუსტი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მოესწრო (1919 წ. მან მიიღო გონწერების პრემია).

მარსელ პრუსტი საფრანგეთის ბურჟუაზიის პირშიშო შეიღია. მამა მისი პარიზის ერთ-ერთი უნივერსიტეტის პროფესორი იყო, თვითონ პრუსტის ცხოვრება საესეა წამებით და მარტოობით. ცხოვრობდა ვიწრო ოთახში და მძიმედ დაეკადებულ (მას აწვადებდა „ასტმა“) ქმნიდა პარიზის საღონების იმ უდიდეს გამოვას, რომელსაც ეწოდება „დაკარგულ დროთა ძიე-

ბაში“ ეს არის ცალკეულ ტომების შმცველი დიდი რომანი და რუსულად მისი უკლებლიან თარგმნილია „სვანის მხრით“ (სამი წიგნი) და „ქალწული ყუაილნარში“ (პირველი ტომი).

მარსელ პრუსტი არ არის ბელეტრისტი ამ სიტყვის ჩვეულებრივ გაგებით. ის უფრო მეტად თანის გმირების სულიერი ვითარება (საგრანობისა და სიყვარულის) მოტივების სიჭარბე). ამ მხრით დამახასიათებელია ავტორის თავისებური ლიტერატურული ხერხი: პრუსტი ხშირად 80—100 გვერდს უთმობს ზოგჯერ პირის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ჩვენებას. მოკმდე გმირთა ქცევაში მონაწილეობა აწარმოებს. ეს არის მწერლის სახეითი მეთოდი: მ. პრუსტის რომანებში წვრილმანები დაუსრულებელ გადახვევებს იწვევს, თავს იწინას ავტორის უჩვეულო ტადანტი დროის ფარგლების ათვისებისა. (ხსოვნათა აღდგენის გზით) სამართლიანია შენიშვნა იმაზე, რომ მარსელ პრუსტი—ამ მხრით ფრანგი მოაზროვნის, ჰანრი ბერგსონის ფილოსოფიის უკლებლად გავლენას განიცდის (იხ. ამ უკანასკნელის შემოქმედებითი ევოლიუტია“ და „მატერია და ხსოვნა“). ყოველშემთხვევაში მ. პრუსტის თხზულებაში ეს მომენტი გაცილებით უფრო მკაფიოდ იგრანობა, ვიდრე ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიტური სისტემის გავლენა.

სალონების ცხოვრება, პარიზის ბურჟუაზიის ყოველდღიურობა, მიმავალი კლასის ესთეტიკა—აი ის ქვეყანა, რომელსაც მხატვრულად გადმოგვცემს მ. პრუსტის შემოქმედება.

კომპონიების მხრით მ. პრუსტის რომანები უფრო დღიურებს წარმოადგენს. თანრის ასეთი გზით გამართვა საცხებით შეიფერება მის სტილს. გრძელი პერიოდები. ნელი ინტონაცია და უკიდურესი სუბიექტივიზმი. მ. პრუსტის თხზულებებს ხშირად ამოიშებს საკითხავად.

მ. პრუსტის სახელის გარეშე საფრანგეთში მთელი კულტა შექმნილი. დაუსრულებლად იცემა მწერლის წვრილები და დღიურები. კართულად თარგმნილია მ. პრუსტის პროზის ნაწყველი „ბერგატის სიკვდილი“ (დაიბეჭდა „ქართ. მწერლობა“-ში).

— P. E. N.—კლუბის პროტესტი.

საერთაშორისო P. E. N.—კლუბმა, მწერალთა ორგანიზაციამ, რომელიც აერთიანებს 25 ქვეყნის P. E. N.—კლუბსა და 4000 მწერალს, პოეტს, დრამატურგს, მენარკვევს და კრიტიკოსს,—გადსწყვიტა „დაიკვას“ აზროვნებისა და სიტყვის ფეტიქვე მათელილი თავისუფლება. კლუბმა გამოაქვეყნა მოწოდება „ყველა მთავრობისადმი“, სადაც მოკრძალებით არის ნათხოვნი „პატივი ეცეს კაცობრიობის უფლებებს“ და ბოლო მოელოს იმ ტანჯვა-გვემს, რომელსაც განიცდიან პოლიტიკური პარტიები. მოწოდებაზე ხელი უწერია მთელ რიგ გამოჩენილ მწერალს, მათ შორის არიან: რომენ როლანი, ველსი, ბერნარდ შოუ, კნუტ ჰამსუნ; დუამელი, რაბინდრანატ თაგორი, პაუტკამანი, მეტერლინიკი, პოლსუორსი, სელმა ლაგერლიეფი, ძულ რომენი თომას მანი და სხვ.

მწერალთა კლუბის მოწოდებაში ყველა მთავრობები ერთმანეთში არიან არეული და მათ შორის არავითარი გამორჩევა არ არის გაცხადებული. ცხადია ეს სუსტი მოწოდება არავითარ ნაყოფს არ გამოიღებს, მაგრამ იგი მაინც საგულისხმო მოელენას წარმოადგენს.

P. E. N.—კლუბი მუდამ აცხადებდა, რომ იგი აპოლიტიკური ორგანიზაციის წარმოადგენს, რომ იგი ლიტერატურის გარდა არავითარ სხვა მუშაობას არ აწარმოებს და რომ საერთოდ ლიტერატურასა და პოლიტიკას შორის არაფერი საერთო არ არსებობს. და აი, ეხლა იგი იძულებულია ფლალატოს თავის პრინციპს, რამდენადაც უბადრუკი არ უნდა იყოს ეს მოწოდება, მაინც იგი ერთხელ ხედმეტად კადვე ამტკიცებს, რომ ჩვენი ეპოქის დიად სოციალურ ბრძოლაში არავის არ შეუძლია დარჩეს ნეიტრალურ პოზიციებზე.

რ უ ს ე თ ი

— ლენინი მხატვრულ ნაწარმოებებში.

რუსეთის სახელგამი ოქტომბრის რევოლუციის XV წლის თავისათვის უშვებს დიდ კრებულს: „ლენინი მხატვრულ ნაწარმებში“. გამოცემის საორიენტაციო ზომა—20 ფორმა, კრებულ-

ში მოთავსებული იქნება ნაწყვეტები რომანებიდან, მოთხრობები და ლექსები (ქრონიკის შესახებ—მაქსიმ გორკისა, შაიაკოვსკისა და სხვა მწერლების).

კრებულში საგრძობი ადგილი დაეთმობა საბჭ. კ. ვ. შ. ხალხთა პოეტებისა და მწერლების ნაწერებს. გამოცემა დასურათებული იქნება ცნობილი მხატვრების მიერ.

გ. ხ. ლ. ი. მ. ს. ს.

— ფლობერის თხზულებათა სრული კრებული.

რუსეთის სახელგამო შედგა გუსტავ ფლობერის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემას 10 ტომად. ფლობერია ნაწერები ახალ თარგმანებში გამოქვეყნდება. პირველად რუსულ ენაზე გამოქვეყნებული იქნება ფლობერის მიმოწერა. გამოცემას დაერთობა მრავალიცხოვანი გამოკლევა და წარიდები ფლობერის შემოქმედებაზე ამჟამად უკვე იბეჭდება პირველი ტომი, სადაც შედის „ქალბატონი ბოვარი“ და შემოდე ტომი—შერჩეული მიმოწერა ფლობერისა. გამოცემის რედაქტორები არიან ლენჩარსკი და გიბერგოლი.

— მარქსის ნაწარმოებთა გამოცემა.

ლენინგრადის სალტკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, მეცნიერული სოციალისმის მამამთავრის გარდაცვალებიდან 50 წლის თავის აღსანიშნავად, ამზადებს კ. მარქსის ნაწერებისა და მარქსისმის შესახებ ლიტერატურის დიდ გამოცემას.

მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის განყოფილება საპეციალურ კრებულს უშვებს 50 წლის თავისთვის.

— შალვა სოსლანის წიგნი.

თანამედროვე რუსული მხატვრული ლიტერატურის სერიაში რუსეთის სახელგამო გამოცემა შ. სოსლანის რომანი „ცხენი და ჭეტვანი“.

— მხატვართა დაჯილდოება.

განათლების სახკომის აშ. ბუბნოვის მოხსენების შემდეგ საკავშირო ცაკა დაადგინა მიენიჭოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეთა სახელწოდება მხატვრებს: ვ. დენის, დ. მორაჩის და მ. ჩერტინის.

— საბჭ. ზუროთმომღვართა გაერთიანებული კავშირი.

მოსკოვის ზუროთმომღვართა ხელმძღვანელ ორგანოთა და საზოგადოებათა აქტივმა განიხილა ცკვას 23 აპრილის დადგენილება.

მოსკოვში არსებულ ზუროთმომღვართა გაერთიანებამ გაუქმებულად გამოაცხადა თავი ნათი წევრები ამჟამად წედთან საბჭ. ზუროთმომღვართა ერთიან კავშირში.

ახალი კავშირის გამგეობაში არჩეულნი არიან: პროფ. ვესნინი, არქიტექტორები: ალბიანი, ვალიხინი, ბაბაევი, პროფ. ვინსტურგი, აკად.-არქ. ველტოვსკი და სხვ.

გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა არქ. პროფ. ვესნინი.

— საქართ. საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობა.

27—29 ივნისს ეგ. ნინოშვილის სახელობის მწერალთა კლუბში ჩატარდა მწერლების საგანგებო ყრილობა.

ყრილობას დაახლოებით დაეწრო 120 მწერალი გადამწყვეტი ხმის უფლებით, მათ შორის 15-მდე დელეგატი ავტ. ხუთიდან, აკარისტანიდან, სამბუთ-ოსეთიდან და ქუთაისიდან. მწერლების გარდა ყრილობის გახსნას დაესწრნ პარტიულ, პროფესიონალურ და კულტურულ-საზოგადოებროვ ორგანო ხ. ციხების წარმომადგენლები, ხელ ოენების სხვადასხვა და რვის მუშაკები, მუშათა ლიტურების წევრები და სტუმრები.

ყრილობა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა აშ. პ. ჩხიკვაძემ.

ყრილობის საპატიო პაზეზიდიუმში არჩეულ იქნნ აშ. სტაღინი, ს. ორჯონიკიძე, ვორთა შილოვი, მოლოტოვი, მაქსიმ გორკი, მამია ორახელაშვილი, ფ. მახარაძე და ლ. ბერია.

საქართველოს პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ანზ. გ. ყურულაშვილი, მ. ტოროშვილიძე, ს. ეფელი, ს. თოდრია, ნ. მიწიშვილი, ა. მაშაშვილი, პ. სამსონიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ნ. ზომლეთელი, პ. ჩიკვაძე, აკოფ აკოფიანი, ს. ჩიქოვანი, ლეო ქიაჩელი, გ. ტაბიძე, ტაბიძე მთ. ჯავახიშვილი და ს. შანშიაშვილი. სულ 17 კაცი.

სამდივნოში: ბ. ელენტი, რ. გვეტაძე, კ. კალაძე, დია ჩიანელი და ი. აბაშიძე.
სარედაქციო კომისიაში: დ. სულაშვილი, კონ. ლორთქიფანიძე და იონა ეკელი.

სამანდატო კომისიაში: ს. კლდიაშვილი, ა. ქუთათელი და ფრ. ნაროშვილი.
ფრილობის პირველ დღეს საკ. კ.პ. (ბ) ც. კ. 23 აპრილის დადგენილებიდან და მწერლობის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კომიტეტის მდივანმა ანზ. გ. ყურულაშვილმა. (მოხსენება იბეჭდება ამ ნომერში).

მოხსენების გაჩუმება კამათი, რომელშიდაც 40 მწერალზე მეტმა მიიღო მონაწილეობა იმ დღეს გაგრძელდა.

მწერ. კავშირის საბჭოს პირველი სხდომა

პირველ ივლისს, საღამოს, ეგ. ნინოშვილის სახ. მწერალთა კლუბში შესდგება საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს პირველი სხდომა.

სხდომამ განიხილა საორგანიზაციო საკითხები და აირჩია საბჭოს პრეზიდიუმში, თავმჯდომარე, მისი ორი მოადგილე და მდივანი.

პრეზიდიუმში საბჭომ აირჩია: ანზ. გ. ყურულაშვილი, მ. ტოროშვილიძე, დ. დემეტრაძე, ს. ეფელი, პ. ჩიკვაძე, გ. ბუხნიკაშვილი, შ. რადიანი, ა. მაშაშვილი, ბ. ელენტი, ნ. მიწიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ლ. ქიაჩელი, რ. გვეტაძე, ს. ჩიქოვანი და ტ. ტაბიძე.

თავმჯდომარეთ არჩეული იქნა ანზ. მ. ტოროშვილიძე, თავმჯდომარის მოადგილეებად: ანზ. ს. ეფელი და ნ. მიწიშვილი, მდივანად ბ. ელენტი.

მეხუთე სხდომაზე, 25 ივნისს, საღამოს, ანზ. გ. ყურულაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობის შესახებ საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ანზ. პ. ჩიკვაძემ.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლუცია და მოხდა საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს არჩევა.

საბჭოში ყრილობამ აირჩია შემდეგი მწერლები:

ანზ. გ. ყურულაშვილი, ნ. მიწიშვილი, მთ. ჯავახიშვილი, ს. აბაშელი, ტ. ტაბიძე, გ. ტაბიძე, რ. გვეტაძე, ს. კლდიაშვილი, ნინო ნაკაშიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ს. ჩიქოვანი, ლ. ქიაჩელი, ი. გრიშაშვილი, ბ. ელენტი, ს. შანშიაშვილი, ა. ქუთათელი, პ. იაშვილი, ა. ტუშაძე, დ. შენგელაია, მ. ტოროშვილიძე, ს. თოდრია, პ. საყვარელიძე, პ. ჩიკვაძე, დ. დემეტრაძე, ს. ეფელი, ნ. ზომლეთელი, ბ. ბიბინიშვილი, ა. მაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, პ. სამსონიძე, ს. თალაკვაძე, შ. რადიანი, ფრ. ნაროშვილი, გ. ბუხნიკაშვილი; ი. აბაშიძე, ს. ბუნდაძე, ა. დუდუჩაძე, კ. კალაძე, დ. ჩიანელი (ქუთაისიდან), პ. ოზოლი (აქარისტანი), ფარნიევი (სამხრეთ-ოსეთი), გრიგოლია (აფხაზეთი), ატრანი, მარქარი, ვართანიანი, ასკერი და გრებენშიაყვი. სულ 47 წევრი

სარევიზიო კომისიაში: ა. არსენიშვილი, გ. ბერუაშვილი, ი. ლისაშვილი, დ. სულაშვილი და კ. შელაძე.

ყრილობამ კავშირის საბჭოს საპატიო წევრებად ერთხმად აირჩია: ანზ. ფ. მაზარაძე, ეკ. გაბაშვილი, ან. ერისთავ-გომართიანი, ვ. ბარნოვი, და დ. მეგრელი.

მწერალთა საბჭოს პირიდიუმის გაფართოებული სხდომა

7 ივლისს, საღამოს, ეგ. ნინოშვილის სახ. მწერალთა კლუბში ანზ. მ. ტოროშვილიძის თავმჯდომარეობით შესდგა საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა.

პირველ რიგში განხილული და დამტკიცებული იქნა კავშირის მუშაობის საორიენტაციო გეგმა, გეგმაში გათვალისწინებულია კავშირის მუშაობის მთავარი მომენტები მიმდინარე წლის ბოლომდე.

შემდეგ განხილული იქნა კავშირის სტრუქტურის საკითხი. სულ კავშირის ექვსი სექტორი: მასიური, საორგანიზაციო, ყოფა-ცხოვრების, საგანმცემლო და მატერიალურ-სამეურნეო სექტორი.

კავშირის მუშაობის გასაშლელად საჭირო თანხების გამოანბნა დაეგეგმა საფინანსო-სამეურნეო სექტორის ამხ. მ. ტოროშელიძესთან ერთად.

ორგანისტორის წინადადება მიეცა დეტალურად დაამუშაოს საკითხი იმის შესახებ, თუ კავშირთან რა სახით და ფუნქციებით უნდა იქნენ ჩამოყალიბებული ერთნულ უმცირესობათა სექციები.

აღმზრთში, აკარისტანში და სამარეთ-ოსეთში მწერალთა ყრილობების ჩასატარებლად, ადგილობრივ მწერალთა კავშირების ჩამოსაყალიბებლად და ამავე მიზნით კუთასში მწერალთა კრების მოსაწვევად გამოყოფილ იქნა კომისია ამხ. ს. ეული, გ. ბუხნიკაშვილის და ბ. ჭლენტის შემადგენლობით, მთელი ეს მუშაობა უნდა ჩატარდეს ივლისის ბოლო რიცხვებამდე.

შემდეგ არჩეული იქნა მწერალთა კავშირის ბეჭდვითი ორგანიზების სარედაქციო კოლეგები, სექტორების ხელმძღვანელები, მათი გამგეები და მოხდა სექტორებზე მისამარებელ საბჭოს წევრთა ჯგუფებით დაყოფა.

დასასრულ სხდომამ აუცილებელ საჭიროებამ სცნო მწერლების შემოკმედებით მივლინების საქმის გაფართოება და მისი დაყენება მტკიცე ნიადაგზე. სხდომის დადგენილებით უპრობობით სამრეწველო და სამეურნეო რაიონებში გაიგზავნება 10 მწერალი თითო თვით.

კავშირის სექტორები

მწერალთა საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომის დადგენილებით არჩეული იქნენ:

მასიური სექტორის ხელმძღვანელათ ამხ. ს. ეული, გამგეთ ამხ. რ. გვეტაძე, საორგანიზაციო სექტორის ხელმძღვანელათ ამხ. ბ. ჭლენტი, გამგეთ ამხ. მიხ. ჩიქოვანი.

ყოფა-ცხოვრების სექტორის ხელმძღვანელად ამხ. მ. ტოროშელიძე, გამგეთ ამხ. მიხ. ჯავახიშვილი.

საგანმცემლო სექტორის ხელმძღვანელად ამხ. დ. დემეტრაძე, მდივნად ამხ. ლ. ასათიანი.

საფინანსო-სამეურნეო სექტორის ხელმძღვანელად ამხ. ნ. მიწიშვილი, დამხმარეთ ამხ. შ. კუმბურიძე.

სექტორების დამხმარე ჯგუფებში გამოყოფილი იქნენ:

მასიური სექტორის ჯგუფში: ს. ეული, რაქდენ გვეტაძე, ირ. აბაშიძე, გ. ბუხნიკაშვილი, გრ. ცეცხლაძე, ს. შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი, კ. კალაძე, ფრ. ნაროშვილი, ს. კლდიაშვილი.

საორგანიზაციო სექტორის ჯგუფში: ბეს. ჭლენტი, მიხ. ჩიქოვანი, ს. ჩიქოვანი, ტ. ტაბიძე, ა. ვართანიანი, კ. ლორთქიფანიძე, შ. რადიანი, პ. სამსონიძე, პ. საყვარელიძე, არ. კუმბაძე.

ყოფა-ცხოვრების სექტ. ჯგუფში: მ. ტოროშელიძე, მიხ. ჯავახიშვილი, ლ. ქიჩელი, პ. ჩიქვაძე, გ. ბუხნიკაშვილი, გ. ყურულაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ნ. მიწიშვილი, ბ. ბიბინიშვილი, ს. ეული.

საგანმცემლო სექტორის ჯგუფში: გ. ყურულაშვილი, მ. ტოროშელიძე, დ. დემეტრაძე, შ. რადიანი, შ. დუღლაძე, ბ. ბიბინიშვილი, ლ. ასათიანი, ი. ლისაშვილი, აღ. კუთათელი.

ფინანსური — სამეურნეო ჯგუფში: ნ. მიწიშვილი, დ. დემეტრაძე, ს. ეული, შ. კუმბურიძე, პ. კეშელაძე, ვარ. რუხაძე, მიხ. ჯავახიშვილი.



გაგვიძიოთ ოკვანოების სარედაქციო კოლეგიაში

ამავე სდომანზე არჩეულ იქნა შემდეგი ბეჭდითი ორგანოების სადრეკვეყნო კოლეგიები: „მნათობი“ გ. ყუბლაშვილი (სახელოსანი), რედაქტორი (მ. ლომიძე), მდივანი, ს. ფელი, პ. ჩიქვაძე, დ. სულიაშვილი, გ. ტახიძე, ტ. ტახიძე, ივ. ვაშაყაძე, სიმ. ჩიქვაძე.

„სალიტერატურო განვითი“ დ. დემეტრაძე (პ. შვ. რედაქტორი) რ. გავტაძე (რედაქ. მდივანი), შ. დუდუაძე, ს. თალაკვაძე, ნ. მიწისჭელი, ლ. ჭიჭილაძე, ნ. ხაშვილი ბეს. გულაძე.

„ქრწ. „საბჭოთა მწერლობა“ შ. რადაიბი (პ. რედაქტორი) ალ. ქუთათელი (მდივანი), ფრ. ნაროშვილი, ს. კლდიაშვილი, პ. სამოსანიძე, ალ. მანაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ი. მონაშვილი, გ. ბუნიკაშვილი, კ. კალაძე.

კავშირის საორიენტაციო გეგმა

7 ივლისის გაფართოებულ სდომანზე საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო კავშირის საორიენტაციო სამუშაო გეგმა. გეგმა შედგენილია 1933 წ. პირველ იანვრამდე. ამ გეგმის მიზნდებით ვგალებათ:

მასიური სექტორის ჯგუფში:

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილებისა და საქართველოს მწერალთა კავშირის საგანგებო ყრილობის შედეგების პოპულარიზაცია როგორც ტფილისში, ისე რაიონებში. მოხსენებების, საწარმოო თათბარების და დისკუსიების მოწესობა როგორც სასაბჭოში, ისე მუშათა კლუბებში და სარაიონო ცენტრებში (წინასწარ შედგენილი მტკიცე თემატიური კალენდარული გეგმით).

ოქტომბრის 15 წელს თავის აღსანიშნავ ზეიშში მონაწილეობის მიღება.

ლიტურების ჩამოყალიბება ტფილისის რამდენიმე ძირითად მსხვილ წარმოებებში და ლიტერატურაში გაწვეულ დამკვეთ მუშებთან შეკავშირება.

ლიტერატურული კონსულტაციის მოწესობა ახალი კადრებისათვის.

მწერალთა საკლუბო მუშაობის გაძაბვას.

რადიოსთან კავშირი.

მონაწილეობა ტარხნის ისტორიის შედგენაში.

მონაწილეობა სამოქალაქო ომის ისტორიის შედგენაში.

საორგანიზაციო სექტორი:

კავშირის აპარატისა და საქმეთა მმართველობის ჩამოყალიბება.

კავშირთან ყოველდღე უწყარესობათა სექციების ჩამოყალიბება.

კავშირის განყოფილებების ჩამოყალიბება ავტონომიურ ერთეულებსა და ქუთაისში.

მეზობელ რესპუბლიკების სალიტერატურო ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება.

მწერალთა ბიბლიოთეკის გაფართოება.

მწერალთა კავშირის წესდების დამუშავება.

მწერალთა კავშირის აღრიცხვის დამთავრება ძირითადში როგორც ადგილებზე ისე ტფილისში.

საქ. მწერალთა ორგანიზაციაში მონაწილეობა და საკავშირო მწერალთა ყრილობაზე მონაწილეობა.

ყოფა-ცხოვრების სექტორი:

საბინაო აშენაგობის ჩამოყალიბება, სათანადო კრედიტების გამოძებნა და სხვა ღონისძიებათა ჩატარება ბინებით მწერლების უზრუნველყოფის მიზნით.

მწერალთათვის დახურულ განმანაწილებლის დაარსება და მომარაგების საკითხების მოგვარება.



სახეწოდება და სახანძრო კურორტებზე მწერალთა გაგზავნის საქმის მოწესრიგება. მწერლების გაგზავნა სისტემატიურად შემოკმედებით მივლინებებში და მათი კონტრაქტაციის ორგანიზაცია.

საგამომცემლო სექტორს

გამომცემლობა „ფედერაცია“-ს მუშაობის გარდაქმნა.
 ჟურნ. „პრ. მწერლობა“-ს ნაცვლად ჟურნ. „საბჭოთა მწერლობა“-ს გამოცემის ორგანიზაცია.
 კავშირის ბეჭდვითი გამოცემათა გავრცელების საქმეზე ზრუნვა.
 საბუნებისმეტყველო ჟურნალების გაძლიერება.
 ქართული ლიტერატურის ნიმუშების სხვა ენებზე თარგმნა და გამოცემა.

საფინანსო სამეურნეო დარგს

ბიუჯეტის შედგენა და სათანადო თანხების გამოწვევა მიმდინარე წლის დასასრულამდე და მომავალი წლისათვის, მომავალი წლის ბარჯთაღრიცხვის შედგენა და სათანადო ორგანიზებთან შეთანხმება.
 კავშირის ტონების ადრიცხვა, მოვლა და პატრონობა.
 კავშირის განკარგულებაში მყოფ სახლების შეკეთება და ამისათვის სათანადო თანხების გამოწვევა.
 ლიტერატურული ფონდის დაარსება.
 გამომცემლობა „ფედერაცია“-ს მუშაობაზე მეთვალყურეობა.
 სექტორებს დაევალებათ ამ საორიენტაციო გეგმის მიხედვით და მის საფუძვლებზე დატყობინებით დაამუშაონ დეტალურად თვითნაირი სამუშაო გეგმა და შეუდგენ პრაქტიკულ მუშაობას.

— საუბარი ამბ. გრონსკისთან

ივლისის 12-ე რიცხვებში ტფილისის ესტუმრა რუსეთის საბჭოთა მწერალთა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ამბ. გრონსკი 20 ივლისს ვე. ნინოშვილის სახელობის მწერალთა კლუბში გაიმართა საუბარი და ახრთა გაცვლა-გამოცვლა ამბ. გრონსკისთან საუბარს დაესწრო განათლების სახალხო კომისიარი ამბ. ვ. ბელია; საბჭ. მწერ საბჭოს პრეზიდიუმი მიწველი შემადგენლობით სახელმწიფო გამომცემლობის ხელმძღვანელი ამხანაგები, სალიტ. გაზეთისა და ჟურნალების რედაქციათა, წარმომადგენლები და საბჭ. მწერალთა აქტიური საუბარის თემა იყო „საკავშირო კომ. პ. (ბ) ცვცას 23 აპრილის დადგენილება და საბჭოთა მწერლობის ახალი ამოცანები“. საუბარმა ამბ. გრონსკისთან გასტანა რამდენიმე საათს.

— მწერალთა შემოკმედებითი მივლინებები

საბჭ. მწერ. პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად საქართველოს სამრეწველო რაიონებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში შემოკმედებით მივლინებაში გასაგზავნად გამოყოფილი იქნა 15 მწერალი. ნაწილი მწერლებისა უკვე გაემგზავრა ბროვიციებში. ჟურნ. „მნათობის“ რედაქციის მიერ შემოკმედებით მივლინებაში ერთი თვით იგზავნებიან პოეტო ფრ. ნაროუშვილი და სერგო კლდიაშვილი. მწერლებს რედაქციის მიერ მიცემული აქვთ გარკვეული შემოკმედებითი ხასიათის დაეალება. მათი ნამუშევარი გამოქვეყნებული იქნება „მნათობის“ მახლობელ ნომრებში.

სიძველეთა დაცვა

საქ. პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოში ისტორიული ხასიათის სიძველეებისა და ზელოვნების ძეგლების დაცვის საკითხი და გამოყო კომისია ამბ. მ. ტოროშელიძის, ს. კაკაბაძის და ბ. შანაიძის შემადგენლობით სიძველეთა და ზელოვნების ძეგლების დაცვის შესახებ საველე-დებულო დადგენილებას პროექტის შესამუშავებლად.



მხატვართა კოოპერატივი

ხელოვნების მუშაეთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ განიხილა მხატვართა საწარმოო კოოპერატივის მოწყობის საკითხი. კოოპერატივი მიიღებს შედეგებს საბუთი ხელოვნების ყოველგვარ ნიმუშებს, რისთვისაც მასთან მოწყობილი იქნება სპეციალური ატელიე-საბელონოები.

უკვე არჩეულია მხატვართა კოოპერატივის საბუთი: გ. ბუხნიკაშვილი (თავმჯდ.) ს. ცაქაბაძე, ლორის მელიქოვი, ბიკნაძე, ასილოვი, მიჩხოვეი, ვეფხვაძე, შავგულიძე, გუდიაშვილი, კროტკოვი, საბუთის გამგეობაში არჩეული არიან: გოცირაძე (თავმჯდ.), სტეფანოვი, კოპალიანი, მოსე თოიძე, აბაკელია თამარ, ამიროვი, რომანიშვილი, კანდელაკი და შენტიაძე.

მწერალთა დაჯილდოება

ა.კ. ჯეჯერაციის 10 წლის თავის დღესასწაულთან დაკავშირებით ა.კ. შრომელ ხალხთა კულტურულად დაკავშირების საქმეში გამსაყობებელი ღვაწლისათვის, ა.კ. ცაქმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა მწერლები: ანბ. გ. ბუხნიკაშვილი, მ. დარბინიანი, ნოე ხომლედი, გ. ქუჩიშვილი, ალ. მაშაშვილი, პ. სამსონიძე, გ. ტაბიძე, პ. ჩხიკვაძე და ს. ეული.

კომპოზიტორების კონტრაქტაცია

ოქტომბრის 15 წლის თავის აღსანიშნავ სპეციალურ მუსიკალურ პიესების, საგუნდო და მასიური სიმღერების დასაწერად საქ. პროფსაბჭომ დააკონტრაქტა შემდეგი კომპოზიტორ-მუსიკოსები: თაქთაქაშვილი, ბარბუღარიანი, მელიქოვი-უბუცესი, თეთროშკიძე წრეებისათვის; გოკიელი, მასიურ სიმღერებისთვის: არაყიშვილი, ბუგაია, გაბიჩაძე. საგუნდო სიმღერებისთვის. გაბიჩაძე, შველიძე, ფალიაშვილი, კოკოლაძე, აზმაიფარაშვილი და ტალიანი.

საქ. დრამაში კონტრაქტაციით აიყვანა მცირე ფორმის 6 ავტორი. მათ დაეკალათ ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავისათვის დასაწერონ სპეციალური პიესები. გარდა ამისა მასიურ სიმღერების დასაწერათ კონტრაქტაციით აყვანილ იქნა 10 კომპოზიტორი.

განზრახულია საკომპოზიტორული და საბუთო მუშაუნებების თვითმომჭმედ დრამატულ წრეებისათვის დაიბეჭდოს 4 პიესა.

თბილისის მთავარი სახელმწიფო თეატრი სტალინის მიხედვით

თბილისის მთავარი სახელმწიფო თეატრი კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით 15 ივლისიდან 15 აგვისტომდე სტალინისში ჩატარებს 15 საგასტროლო წარმოდგენას.

რეპერტუარში შეტანილია: „მედი“ „ფოლადის პოემა“, „როგორ“, „ყვარულ თუთაბერი“, „უროელ აგოსტა“, „მუნჯები აღაპარაკდენ“, და სხვ ამას გარდა, გადაწყვეტილია პრემიერა—ვიღერის „ყაჩაღების“ დადგმა.

წარმოდგენები უკვე დაიწყო რკინის გზის ახალ კვლევში, რომლის სცენაც საცხებით უზრუნველყოფს აკადემიური თეატრის ნორმალურ მუშაობას.

აპსტრიული გარეგნობის გამოსვენა

ახლო ხანში თბილისში მოეწყობა ავსტრიული გრაფიურის გამოფენა. გამოფენაზე უმთავრესად წარმოდგენილი იქნებიან ვენის თანამედროვე მხატვრები. თბილისიდან აღნიშნული გამოფენა გადატანილი იქნება ბაქოსა და ერევანში.

ქ. კოლმისის სურათების გამოსვენა

სექტემბერში თბილისში ჩამოვა ცნობილი გერმანული მხატვარი კალი კ. კოლმისი, რომელიც მოაწყობს თავის სურათების გამოფენას.

სოხური ლიტ. ისტორია

სომხეთის განთავლების საზ. კომისარიატმა გადასწვიტა გამოსცეს სოხური ლიტერატურის ისტორია მარქსისტულ-ლენინური თვალთახედვით შედგენილი. მთელი სოხური ლიტერატურის ისტორია დასაწყისიდან დღემდე გამოცემული იქნება სულ 6 ტომად.

ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავზე გამოვა მე-2 ტომი, რომელშიაც გამოქვეყნული იქნება მე-19 საუკუნის დასაწყისის და მე-80 წლის პერიოდის ლიტერატურა.

ისტორიის შესადგენად მოწვეულნი არიან ლიტერატურის ცნობილი და კვალიფიციური მწვანეები და მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის ლიტერატურის სექციის ახალგაზრდა თანამშრომლები.

რუსთაველის თეატრის გახატოლანი გათოშვი

15 ივნისიდან 20 ივლისამდე ბათუმში საგატროლოდ იმყოფებოდა რუსთაველის სახელობის თეატრი წარმოდგენები მიმდინარეობდა აქარ. აკადემიური თეატრის შენობაში.

დაიდგა „ანზორი“ შანშიაშვილის, „განგაში“—ა. მაშაშვილის, „ლამარა“—გრ. რობაქიძის და სხვ.

გასტროლები წარმატებულ მიმდინარეობდა, როგორც ღია, ისე დახურულ წარმოდგენებს დიდძალი ხალხი ესწრებოდა.

თეატრი არ დაემაყოფილა წარმოდგენების გამართვით ქალაქში. გამოყოფილი იქნა შესაბამისი ბრიგადები, რომლებიც ფაბრიკა-ქარხნებში და მსხვილ საწარმოებში მართავენ კონცერტებს.

საქართველოს სახკინძოქოვში

— „უკანასკნელი ჯვაროსნები“.

სახკინძოქოში შეუდგა ახალ სრულმეტროვანი კინო-სურათის „უკანასკნელი ჯვაროსნები“ დადგმას. სცენარი გუთუნის ავტორს—რეჟისორს სიკო დოლიძეს, რომელსაც ახალგ. რეჟისორ ს. ფალავანდიშვილთან ერთად მიმდობილი აქვს სცენარის გამოორციელება. მხატვრად მოწვეულია ანბ. ვაწაძე, სცენარის თემაა ხაყოლმულრნეთი მოძრაობა ხეყსურეთში, ძველი ყოფის მსხვერვა და შრომისა და ყოფის ახალი ფორმების დამკვიდრება მთის საქართველოში. სურათის ნატურ-გადაღებები იწარმოებს ხეყსურეთში.

— „უდაბნო“.

სახკინძოქოში მეორე მხატვრული სურათი, რომელიც ამჟამად უკვე დადგმის პროცესშია არის „უდაბნო“. სცენარის ავტორია სცენარისტი სამსონ სულაჯაური, სცენარს ანზორციელებს რეჟისორი ნიკ. სანიშვილი. სურათის ნატურ გადაღებათა საწარმოებლად რეჟისორის ჯგუფი ამჟამად იმყოფება ბაქურიაში, ნაწილი გადაღებებისა მოხდება შირაკში. „უდაბნო“ თემაა მეტეოლოგიის განვითარება საქართველოში და შესაქონლეობის საბჭოთა მეტრნიომის მშენებლობა.

„როტე ფანე“.

სახკინძოქოში სრულმეტროვანი მხატვრული სურათი საქართველოს გერმანელთა კოლონიზების თანამედროვე ცხოვრების თემაზე. სცენარი გუთუნის გ. მდივანს. რეჟისორი ლეო ესაკია. ამ სურათის უბრალო ვარიანტი ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დამდეგს იყო დასრულებული. ამჟამად რეგ. ესაკია იმყოფება ლენინგრადში, სადაც აწარმოებს მუშაობას სურათის გასაბჭოვანებლად. სურათის მუსიკალური ნაწილის გამსახორციელებლად მიწვეულია კომპოზიტორი იონა ტუსკია.

სურათის მშოვანი ვარიანტი დამთავრებული იქნება სექტემბერში.

— „საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლები“.

დამთავრდა სურათი „საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლების“ დამატებითი გადაღებები. სურათის ავტორია მხატვარი დავით კაკაბაძე, რომელმაც ფიქსაცია გაუკეთა საქართველოს უმთავრეს არქეოლოგიურ ძეგლებს.

„მნათობის“ № 5-6-ს შინაშესი.

მხატვრული ლიტერატურა თარგმნული შინაშესი

1. სეკგო კლდიაშვილი—სევანური მოთხრობები	1
2. ვალერ. გაფრინდაშვილი—ისრიმი, ანტოლოგია და ბეტონი (ლექსი)	9
3. ვარლამ შურული—ცხენოსანთა ლაშქრული (ლექსი)	13
4. ფრიდონ ნაროშვილი—ერიყლაპია (პოემა)	15
5. პანტ. ჩხიკვაძე—ნაბიჯები რომანი (გაგრძელება)	25
6. კონსტ. ლორთქიფანიძე—ძირს სიმინდის რესპუბლიკა (გაგრძელება)	74
7. დავ. სულიაშვილი—კედელი (გაგრძელება)	94
8. შიხ. ჯავახიშვილი—არსენა მარამდელი (გაგრძელება)	117

ხალხური შემოქმედება

✓ 1. ხალხური პოეზიის ნიმუშები—ჩაწერილი ი. მხედლიშვილის მიერ	161
---	-----

მეგობრები და დოკუმენტები

1. ილია ჭყონია—ჩემი დღე და სოფელი	167
✓ 2. სეკგო კლდიაშვილი—დავით კლდიაშვილი. მოგონებანი (დასასრული)	175
3. ბ. ბიბინაშვილი—კამო (გაგრძელება)	194
✓ 4. სიმონ ხუნდაძე—ეგ. ნინოშვილის კერძო წერილები	230

წერილები ლიტერატურაზე

✓ 1. ფრიდონ მხედლი—წერილი პაულ ერნსტთან. *	244
✓ 2. ფ. შილდერი—ფ. ენგელსი და 90-იანი წლების მექანიკური ლიტერატურათმცოდნეობა	248
✓ 3. ფ. მხედლი—წერილი მარგარეტ ჰარკნესთან	259
✓ 4. ფ. შილდერი—მარქსი და ენგელსი ბალზაკისა და რეალისმის შესახებ ლიტერატურაში	261

აქტუალური საკითხები

1. ბ. შურული—საკ. კ. პ. (ბ) ცუკას 23 აპრილის დადგენილება და საქ. საბჭ. მწერლების ამოცანები	276
✓ 2. რეზოლუცია—საქართველოს საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობისა	303

წიგნები და მწერლები

✓ 1. ლევან ახათიანი—გიორგი წერეთელი	310
---	-----

ბიბლიოგრაფია

1. ბ. ნატარაშვილი—ირ. აბაშიძის „რამდენიმე ლექსი“	317
--	-----

კულტურის მართიანი

გერმანია. საფრანგეთი. რუსეთი. საქართველო	319
--	-----